


საქართველო

2

1971

ს ე ლ ე მ ი

საქართველოს კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობას



ნახატი ჯ. ლომუასი.

სსსკ

11811

165

გამოცემის მეთხუთმეტი წელი

2

თებერვალი

1971

თბილისი



საქ. კვ. ცვ.-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მეცნიერული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკვ ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

შინაარსი

კოეზიცია

3. ვახტანგ გორგასენი. ლექსები
4. ალუდა არაბული. საპარტიველო
47. თედო ბაქიუვილი. ლექსები
49. ანჟორ აბულაშვილი. ლექსები
51. ილია არონია. 25 თებერვლის დღილა
54. ტარიელ ჰანტურია. ლექსები
63. ზაქარია შარაზადიუვილი. ლექსები
64. ნოდარ მამაცაუვილი. სიზაბუქის ქახილი
65. ავთანდილ ხარაიუვილი. ლექსები
66. გივი ზეგეპკორი. ლექსები

პროზა

5. თამაზ ზილაძე. კოსმიდონის სასახლე. მოთხრობა
52. აკაკი გელოვანი. საბედისწერო უღელტეხილი
58. გივი ჯოხაძე. მწუხრი. მოთხრობა
71. სერგი ზილაძე. მე და ჩემი პროფესორი. ქრონიკა-დასასრული

უცხოური ნოველა

88. მარსელ ემე. ალაშინი, რომელიც კედელში ტაღის ფრანგულიდან თარგმნა ირინა ქორქიამ

ნარკვევი

93. ტარიელ ხავთასი. მზე მწვანე ტალღებზე
102. გიორგი აბულაძე. როცა თედებოდა
109. გიორგი სანადირაძე. მიწის ღმირი

მოგზაურის უთაბეჭდილებები

114. გივი ვარდოსანიძე. გონჯი მზეთუნახავი. აჭერო-კული ჩანახატები

წერილები

138. გიორგი უთეაჟური. სოციალისტური უროვის ჰა-რონიკა ქართულ ხალხურ კომეზიაში
144. ელგუჯა ხინთიბიძე. „მეფისტყაოსნის“ კრონოსი
153. ნათელა ნადიბაიძე. ალექსანდრე ბატონიუვილი
158. ყოველი მხრიდან

მთავარი რედაქტორი ჯანსუღ ჩარკვიანი

ხარედაქციო კოლეგია:

- გურამ ასათიანი,
აკაკი ბაქრაძე,
გივი ზეგეპკორი,
გურამ ზვარდუთელი,
მერაბ ელიოზიუვილი,
კარლო კალაძე,
კონსტანტინე
ლორთქიფანიძე,
ოტია პაპორია
(პასუხისმგებელი მდივანი),
ნუგზარ ფოფხაძე,
ნოდარ წულეისკირი,
ტარიელ ჰანტურია,
სერგი ზილაძე,
თამაზ ზილაძე,
ლავა ჯანაშია,

ნ ა ს ა კ ი რ ა ლ თ ა ნ

აქ ბრძოლა იყო ცხარეზე ცხარე,
იმ ცეცხლის ალი დღეის დღეს ანთებს.
ნასაკირალთან ჩერდება მთვარე,
რომ ეამბოროს მის წმინდა კალთებს.
აქ უკვდავების გუგუნებს ზარი,
წლებს იპყრობს წამი კრძალვის და რიდის.
ნასაკირალთან გავლილი მგზავრი
დარდიანიც კი იმედით მიდის.
ვმღერით და ჰანგებს სიცოცხლეს ვატანთ
მომავლის ფუძის ჩასაკირავად,
თუმც ჩვენი ქვეყნის დიდების გარდა

აქ სხვას რას ვიტყვით ნასაკირალთან.
ამასვე იტყვის ასი წლის შემდეგ
აქ შვილიშვილი ჩაივლის როცა,
უფრო დიდი მზე დახატავს ქედებს
და ძირს ჩამოვა წარსულის ლოცვად.
რა ელვა სცვივით ვარდსა და შრომანს,
როგორ ედება ბეჭიდან ბეჭობს...
გაჰყვება დროჟამს,
გაჰყვება დროჟამს
ნასაკირალის ბრძოლების ექო.

თ ა ვ ე ჯ დ ო მ ა რ ე

მიხაკო ორაგველიძის

რა მოხდა, ზოგმა ასე თქვას იქნებ,
კმარა, შენამდის საკმაოდ აქეს.
როგორ არ ვუთხრა ვაშა შენს ფიქრებს
და საათივით აწყობილ საქმეს.
როგორ არ შევხვდე იმ ღამეს ქებით,
შენ რომ ზრუნვაში უძილოდ ათევ.
შრომით დაღლილი გვიან რომ წვეები
და გელვძება ყველაზე ადრე.
რა დათვლის, ქარი რამდენ ვარდს არხევს,
ზის აივნებზე რამდენი მტრედი.
მე ვუმზერ ახლა იმ გლეხის სახეს,
კმაყოფილი რომ ოჯახში შედის.
იცინა, გაწყდა რამდენი სიმი,
ან დარდს რამდენი გრიგალი შლიდა.
მე ვუმზერ ახლა იმ პაპის ღიმილს,
რომ მოსწრებია სიხარულს შეილთა.
ამ მიწის მადლმა ამივსო პეშვი,
მომავლის თვალით ვსინჯავ და ვზომავ.
კარგი სოფელი ბევრია ჩვენში,
მაგრამ სხვა არის სოფელი შრომა.
იწვის? დაიწვას ლერწამის ყელი,
ოღონდ გაშალოს ჰანგები სუფთა.
იმ თავმჯდომარის დიდებას ვმღერო,
ქვეყნად რომ სოფლის აკვარგით სუნთქავს.

ს ა ქ ა რ თ ე ლ ო


მობრუნდი ჩემსკენ,
მობრუნდი, —
შენი წიაღიდან მე გადმოვედი
და შენი ენით გესაუბრები.
მე სულ მჯეროდა,
რომ ჩემი დღეც გათენდებოდა,
მე შენი ენით გესაუბრები,
შენი იმედის ხმას ვიმეორებ.

წითელი გველი კარს მეწვა,
შავი — კარს უკან წიოდა,
წინ მედგა ბოღმის სადილი,
შუბლს ხვითქი გადამდიოდა.
მკერდს მჭირდა ასი იარა,
სისხლის რუები მდიოდა.
გულს მჭირდა უფრო მრავალი, —
სახლებში ქარი ხვიოდა.
ვუძლებდი — მაინც თავს იქით
გზა არსად მიმიდიოდა.
მაინც ხმალს მავაგელვებდი,
ჩემი ძახილი ყიოდა.
მაინც მტრის ყელში სული, — და
ჩემში ხმა ამადიოდა...
ემაგ შენი ხმის ჭირიმე,
მამირჩა, თუ რამ მტკიოდა.
ჯაფრს არც მე გაგაკენტიებ
შენზე მოსული მტრისასა,
დიაცის კაბა ჩამაცვან,
თუ არ დაეუხვდი წინასა.

დამიგდე ყური,
დამიგდე, ენა გაცვდა მრავალი,

მე შენი ენით გესაუბრები
და მუხლმოყრილი
ვდგავარ შენი ნათლის წინაშე,
ჩამხედე გულში,
მე გპირდები,
მე გეფიცები,
რომ ჩემი სისხლის წვეთი ყოველი
შენს უკეთეს დღეს გამოადგება.
ჩამხედე გულში,
მე შენი ენით გესაუბრები.

შენ უფლება გაქვს
ასლა სიმღერის,
შენ გაგიტენდა.. ყველა იარა
შენ გაგიმთელდა .
აღმართე ხელი,
ასწიე მაღლა დროშა მზიანი.
შენ გაგიტენდა, —
გადმოაქციე
შენი სულიდან შუქის ჩქერალი.
ასწიე ხელი,
მაღლა ასწიე
შენი დროშები და თებერვალი.
აილე, სულში მზე ჩაიყარე,
პეშვით აილე — შენთვის ამოხდა
უკვე მნათობი.
შენს ზვრებს, შენს ყანებს
გააქვთ ბრიალი.
შენთვის წყაროსთვალს
გადმოუღვრია წმინდა ჩქერალი..
ასწიე მაღლა შენი სიმღერა,
შენი დროშები და თებერვალი.





ამ ამბავს როცა ვიხსენებ, გული მიცარიელდება. სიცარიელე, მკვდარ ოკეანესავით ავსებს სივრცეს, ანგრევს გულმოდგინედ აშენებულ დავიწყების კებიურებს, ფარავს იმედის პაწაწინა კუნძულებს, რომელთა არქიპელაგიც, როგორც ნაკადულში ჩაყრილი ქვები, მეორე ნაპირზე გადასვლას მშველოდა. ქრება ყოველდღიურ ფუსფუსში თავისთავად გაჩენილი გულგრილობის ბეტონის გზა, უმოკლესი მანძილი ორ წერტილს შორის — ყოფნასა და არყოფნას რომ აერთებს და მე წამით მარ-

ტო ვრჩები იმ ლანდებთან, რომელთა გამოხმობაც, ჩემი მახსოვრობის წყალობით, ჩემდაუნებურად მოხდა...

●
ადამიანის ცხოვრების გვერდით მისი მახსოვრობის წყალუხვი მდინარე მიედინება. ზოგჯერ ის ნაპირზე გადმოდის და ყელამდე გაყინულსა და მღვრიე წყალში ვდგავართ.

და ვისაც ამ წყლიდან ამოსვლა შეუძლია...

ტკივილი კი იბადება დიდიხნის მერე, როდესაც ჩამავალი მზის შუქით განათებულ ფანჯარასთან დგახარ და აღიღებულ მდინარეს გადასცქერი. რამდენი დრო გასულა, რამდენი რამ გამჭრალა, სული კი მაინც ციმციმებს, პაწაწინა სანთელივით, ჩვენი არსებობის თიხის კედლებს რომ ანათებს...

ჩემი ხმით, თითქმის ჩურჩულით, გვეუბნება და გვანიშნებს, რომ მხოლოდ მას, ერთადერთს, განუმეორებელს, ნათელსა და ბნელს ერთსადაიმავე დროს, დიდსა და მანუგეშებლად მცირეს, შეუძლია დაბითის ჩვენი ფიქრი. უძილობისაგან დაღლილი, საღდაც ბნელი უფსკრულების ფსკერზე მალავს უამრავ ნათელ წერტილს: მეტეორს, კომეტას, პლანეტას, ვარსკვლავს, გალაქტიკას.

და უეცრად შუალამისას, როცა ყველას და ყველაფერს სძინავს, როცა ტალღები მთვარის უცნაური ნებით აწყდებიან და შორდებიან ნაპირს და როცა ვერცხლისწყლის მძიმე, ბრჭყვილა წვეთებივით, ხელისგულზე, თითებს შორის ქრებიან წამები, წუთები, და მარადისობის, დროისა და სივრცის არტახები წყდებიან, თითქოს მისი საიღუმლო წიალიდან ამოდის ჩვენი სათქმელი სიტყვა: აჰა, ჩვენ ვცოცხლობთ!

მე უკვე ბებერი ვარ! ყოველ შემთხვევაში, ასე ამბობს მამუკა, ჩემი ათი წლის ვაჟიშვილი. პრესტორიულ ცხოველივით დავაბოტებ პრილა, სუსტსა და ფაქიზ ავეჯს შორის, რომელსაც ჩვენი მღვიმე ისე გაუფსია, რომ ზოგჯერ სული მეხუთება. აივანზე გავდივარ და იქაც სულ ქვის კლდეებია გარშემო, ფანჯრებით დაჩრეტილი, საიდანაც ათასი თვალი მომჩერებია. კიდევ კარგი, ასეთი რამ იშვიათად შემართება. ჩვეულებრივად კი დინჯი, მშვიდი და ზედმეტად აუღელვებელი ვარ — ამას განსაკუთრებით ჩემი მეუღლე ღია მსაყვედურობს. მაშინაც კი არ ვბრაზობ,

როცა მამუკა შუა ოთახში ველოდებოდით წრეებს უვლის, ანდა მთელი დღე ტელევიზორთან ზის და გაშტეტულად შესცქერის. ღია ტირის იმიტომ, რომ თურმე მე არაფერი მაინტერესებს და ოჯახი თავდაყირავ რომ დადგეს, ყურსაც არ გავიბერტყავ. ღიამ რა იცის, რომ სიმშვიდე ჩემი ნიღაბია უძლეურობის დასაფარავად. აშკარაა, რომ მე მამუკას ვერ მოვერევი. მასთან ბრძოლა ჩემი ღირსების დამცირებად კი არ მიმაჩნია, მეშინია, ეს ღირსება საერთოდ არ დაუკარგო. ჯერჯერობით ის, იმ ოცდაათ წიგნს უჭირავს, კარიბტიდებივით, თართდან დაღვრემილები რომ გადმომცქერიან, თითქოს გრძნობენ, მათი დღეები დათვლილია. ესენი ჩემი დაწერილი წიგნებია, რომლებიც ათი წლის განმავლობაში სოკოებივით გამრავლდნენ და მოედენენ არა მარტო ჩემს ბინას, არამედ მრავალი და მრავალი წიგნის კარადის ბინადარნიც გახდნენ. მათ ხშირად შევხვედრივარ ქუჩაში, ტრამვაოში, მეტროში თუ აეროდრომზე. შორ ვზახე მიმავალი მგზავრები, პიემოსთან ერთად, ჩანთიდან ჩემს წიგნსაც იღებენ, ნათურას რთავენ და, ვაგონის თართზე მყუდროდ მოკალათებულნი, ყლაპავენ მას, როგორც ძილის წამალს, ანდა ნარკოტიკს. ბევრს უყვარს დეტექტივებისა და ფანტასტიკური მოთხრობების კითხვა.

ვარდა ამისა, ისინი შემხვედრია ნავის ყუთებში, ურნებში, ბალის სკამებზე მიტოვებული, სადგურის მოსაცდელი დარბაზის კუთხეში მიგდებული, საპირფარეოებშიც. მაგრამ, საკვირველია, არიან ისეთი მკითხველებიც, ამ წიგნებს სერიოზული ლიტერატურის გვერდით რომ ინახავენ. ზოგი ქალაქის ან ცელოფანის ყდასაც კი აკრავს, არ დაისვაროს, არ დასველდეს, არ დაიგლოჯოსო და, როცა სადმე სტუმრად მივდივარ, შიშით ვიყურები წიგნის კარადისკენ, აქაც არ შემეფეთონ, მიტოვებულ და საძულველ შვილებივით, მშობლის სიზარმაცისა და უნიჭობის წყალობით, საცოდავად რომ გამო-

იყურებიან. კეთილი მასპინძელი კი სახელოზე მეტაჩება, კარადისკენ მივყევარ და ამაყად მაჩვენებს ჩემსავე წიგნებს, თაროებზე რომ გამწკრივებულან და აქაც, კარიატიდებივით, მასპინძლის ლიტერატურული განათლება მხრებით უჭირავთ. და მერე ღვინოს ვეძალები, ლიას შემფოთებული ჩურჩული მესმის: რას შვრები, გიგა, ვაგუდი? მასპინძლები კი ღიმილითა და ცნობისმოყვარეობით მიცქერენ, ასეთი პოპულარული კაცის დათრობა იშვიათი სახანავია, სიამოვნებით დაუძახებდნენ მეზობლებს, მორეკავდნენ ნაცნობებსა და ამხანაგებს, ჩვენი რომ არ ერიდებოდეთ და ამავე დროს ისეც არ აყვებდეთ, რომ ურჩევნიათ მარტო ტუბებოდნენ.

ჩემი რომანებისა და მოთხრობების მიხედვით გადაღებულა ბევრი კინოსურათი, ტელეფილმი, იდგმება სპექტაკლები. მაქვს აგარაკი, მანქანა, კარგი ბინა. მწერლები ჩემთან საუბრის დროს გვერდზე იხედებიან, თვალს ვერ მისწორებენ. მათთვის სხვა ვარ, უცხო, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ზოგიერთ მათგანს შურს კიდევ ჩემი. შური კი ისეთი რამ არის, ვერ დამალავ, გვაძვივით ამოტივტივდება წყლის ზედაპირზე და რადგან შურთ, ჩემი სულიერი ნათესავებიც არიან, ოღონდ უფრო მორიდებულები და მოკრძალებულნი.

ერთადერთი, ვისაც მტკიცედ სჯერა, რომ მე დიდი მწერალი ვარ—ლიაა. მეც არ ვეკამათები, მაინც ვერ გადავათქმევინებ, ან რატომ უნდა წავართვა ეს დიდი სიამოვნება? ეს ხომ იმას ნიშნავს — დმერთს ერთადერთი მორწმუნე ყავდეს და იმასაც პირზე ხელი დააფაროს?

ზოგჯერ მამუკაც აიღებს ხოლმე ჩემს წიგნს წასაკითხად, ვუშლი, მაგრამ არ მიჯერებს, ხომ არ ვეტყვი, დაანებე თავი ამ სისულელის კითხვას-მეთქი? რაც არ უნდა იყოს, ჩემი დაწერილია. თანაც რამდენიმე წლის მერე თავად მიხვდება.

მამუკა თბილისელი ბავშვის სტანდარტული ექვემპლარია. დადის სკო-

ლაში, სწავლობს მუსიკასა და უცხო ენას, ამზადებს ექვს გაკვეთილს, უფლებებს ტელევიზორს და, ამასთან ერთად, ყოველი მეოთხედის ბოლოს კარგი ნიშნები მოაქვს შინ. მე ამ საიდუმლოებას ვერაფრით ამოვხსნი, აქ უძლური ვარ. მე შემძლია მოვიგონო ათიათასი დაძაბული, დახლართული და ისეთი საინტერესო სიუჟეტი, რომ მკითხველს სუნთქვა შეეუკრა და ღამით ოთახში მარტოდ დარჩენის შემინდეს. ვავიყვანო გმირი უამრავი ხიფათით სახსე ლაბირინთში, მეკობრის თოკივით გაკვანძული ამბავი ისე ნელ-ნელა და ოსტატურად გაუხსნა, რომ მადლიერების უსაზღვრო ჯრძნობა დავიმსახურო მკითხველისაგან, მაგრამ მამუკა ჩემთვის სფინქსია, უფრო მეტიც — მრავალმხრივი საქმიანობის გამო— იულიუს კეისრის ახალი ვარიანტია, რომელსაც მოწიწებითა და მორიდებით ვეძიებ, რადგან მისი მიღწევები ფანტასტიკურად მეჩვენება. ზოგჯერ ვფიქრობ მამუკა და მისი ამხანაგები ჩვენსავით, ჩეულებრივ მოკვდავებივით, დედის მუცლიდან კი არ დაბადებულან, არამედ რომელიღაც პლანეტიდან ჩამოფრინდნენ-მეთქი, ჩუმები, ჭიანჭველებივით შრომის მოყვარენი და ჯიუტები. დღედაღამე ტელევიზორის ეკრანს იმიტომ მისჩერებიან, იქნებ რაიმე ნიშანს ელოდებიან მშობლიური პლანეტიდან ან იქნებ სრულებითაც არ არიან ბავშვები და პირდაპირ ჩამოყალიბებულ ადამიანებად დაიბადნენ-მეთქი, და გული შვებით მეფსება, როცა მამუკა მთხოვს, მეთამაშეო და მეც დაოთხილი დავრბივარ ბიზონივით და მამუკა ყურისწამლები ყოყინით დამდევა. ცოდვა გამხელილი ჯობს, ამ დროს ცხოველური თავდაცვის ინსტინქტი და შინში მიპყრობს, სიამოვნებით დავუძახებდი ლიას, ამ დროს სამზარეულოში არხეინად რომ დიღინებს, მიშველე-მეთქი, მაგრამ მამუკასი მერიდება, უფ-

თამაზ ზილაძე

პოსტდოქტორის სახანა

რო სწორად ჩემი თავმოყვარეობა არ მაძლევს უფლებას — ერთი ქეცია-ნი ბიზონობა როგორ ვერ უნდა გავწიო? და ჭირის ოფლში ვიწურები. დავილაღე, — ვამბობ, — მეტი აღარ შემიძლია, თუმცა ძალიან კარგი თამაშია და მთელი სიცოცხლე სიამოვნებით ვითამაშებდი, მაგრამ ხომ იცი სიბერე! ეს სიტყვა მამუჯაზე მაგიური ძალით მოქმედებს და ისე სევდიანად მიყურებს, რომ საშინლად მეცოდება ჩემი თავი.

ახლა კი ნამდვილად დროა გითხრათ, რამდენი წლისა ვარ, რადგან არც ისეა საქმე, როგორც ჩემს იულიუს კეისარს ჰგონია. ჩემს ასაკს როცა გაიგებთ, ალბათ, გაიკვირებთ, რა დროს შენი სიბერეაო. შეიძლება მართალიც იყო. მე წელს ორმოცისა გავხდი. რადგან ოფიციალურად ორმოცი წლის მწერლისათვის იუბილის გადახდა არ შეიძლება, ამიტომ ლიამ შინ დიდი წვეულება გამართა. ორ დღეს ვქეიფობდით. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს ჩემი ნაცნობ-მეგობრები ყვავილებითა და სიმღერებით სამუდამოდ მეთხოვებოდნენ. განსაკუთრებით გულში ჩამრჩა თამაღის, ცნობილი კრიტიკოსის სიტყვები. აქვე მინდა ჩემი ხანგრძლივი ცხოვრების გამცდილება გავიზიაროთ: თუ კი როდისმე წვეულებას გამართავთ, დაპატიჟეთ ის, ვისაც მაინცდამაინც გულზე არ ახატისართ. ამით საზოგადოება მოგეცემათ თქვენი დიდსულოვნება გამოამყლანოთ, თანაც მისგან ქება-დიდებას მოისმენთ (სუფრაზე სხვანაირად არ შეიძლება). ისიც გრძნობს ამას და მერე, შინ დაბრუნებული ბორგავს, კედელს თავს ურტყამს, სიმწრისაგან მაჯებს იქამს, ჰგონია, რომ მოატყუეს, არა, კი არ მოუტყუებიათ, ადამიანის ნამდვილი მოწოდება გაახსენეს: გიყვარდეს შენი მოყვასი!

ცნობილმა კრიტიკოსმა კი აი რა მითხრა: თქვენ სახელგანთქმული მწერალი ხართ, თქვენი წიგნები დიდად პოპულარულია. სად არ შეხვდებით მათ (ურნებში, ნაგვის ყუთებში, საპირფა-

რეშობებში, — ვფიქრობდი მე, მაგონებდა მორცხვად თავდახრილი, მორჩილად მილით ვისმენდი იმას, რაც თავდაც ძალიან კარგად ვიცოდი) მისი ლაპარაკი იმ მისალოც წერილს გავდა, იუბილარს რომ უგზავნიან ხოლმე: დაიბადეთ ამა და ამ წელს, პირველი წიგნი ამა და ამ წელს გამოეცით, ამა და ამ წელს შეხვედით მწერალთა კავშირში, თითქოს ბიოგრაფიას ახსენებენ... თქვენ, ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცმა შესძელით ის, რასაც ბევრი ხანდაზმული მწერალი ვერ ახერხებს, — ამბობდა თამადა, მე კი ვფიქრობდი: აგარაკის აშენება, მანქანის ყიდვა, კარგი ბინის მიღება!

— ახლა თქვენ თქვენი ცხოვრების ახალ მიჯნას მიაღებთ. დამთავრდა ერთი და იწყება მეორე — გონიერებისა და სიმწიფის ხანა...

აქ სუფრაზე მსხდომმა ჩემმა სტუმრებმა ყურები ქეციტეს, დაძაბული სიჩუმე ჩამოვარდა. შეიძლება ახლა მაინც ეთქვა კრიტიკოსს ჩემთვის სიმართლე: გეყოფა, რაც იმატრებაზე. დროა, სერიოზულ მწერლობას მოეციდოო. მეც რატომღაც მეგონა, სწორედ ამას მეტყუოდა. კრიტიკოსმა კი თავისი სიტყვა ასე დაასრულა:

— გონიერება თქვენ არასოდეს გაკლდათ და აი სიმწიფის ხანაც დაგიდგათო!

სიმართლე გითხრათ შევებით ამოვისუნთქე. ასეთ დროს ლიასი განსაკუთრებით მეშინოდა. დარწმუნებული იყო, ყველას, ვინც ჩვენს სუფრას უსხდა, თავდავიწყებით ვუყვარდი. შეიძლება იმიტომ, რომ ჩემს მიმართ ნათქვამი ცუდი სიტყვა იშვიათად ესმოდა. საკვირველია, რა ცოტასა და არასწორ ცნობებს იღებენ ჩვენი ცოლები ჩვენს შესახებ! თუმცა, საერთოდ, ადამიანს ის ესმის, რისი გავებაც უნდა.

გაბრწყინებული სახით დასტრიალებდა სუფრას, ზოგჯერ გვერდით მომიჯდებოდა, ხელს მხარზე ჩამომადებდა და ასე ისმენდა ჩემს ქებადიდებას. თან თავს იქნევდა.

ხიფათი მაინც არ ამცდა. საერთო

სიხარულისა და სიყვარულის ექსტაზით შეპყრობილმა ლიამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ამჯერადაც ვერ შეიკავა თავი და თამადას სიტყვა გააწყვეტინა:

— იცით, ამას წინათ ერთ სკოლაში შეხვედრა მოუწყვეს გიგას და ბავშვებმა უთხრეს, ჩვენი საყვარელი მწერალი თქვენა ხართ!

აღარ ვიცოდი, სად დავმალულიყავი, მიწა გამსკდომოდა, ის მერჩია. თავჩადუნულმაც ვიგრძენი, როგორ დაებრიცათ სახე ჩემს სტუმრებს შეკავებულ სიცილისაგან. ახი კი იყო, გადაეხარხარათ, რომ ჩემს სულელ ცოლს იქნებ თვალი ახელოდა. თუმცა ამაში ეჭვი მებარება.

ღმერთო, რა საერთო მაქვს ამ ქალთან, რა მინდოდა, ვის გადავეკიდე! — ვფიქრობდი მე.

ლია იმ ქალების რიცხვს ეკუთვნის, მეტად ოსტატურად შენიღბული ზედამხედველის კომპლექსი რომ აქვთ. არასოდეს მისგან ხმამაღალი სიტყვა არ გამიგონია, არ უთქვამს, აქ ზიხარ და იქით გადააქეპო. ის ან ჩუმად ტიროდა, ანდა ჩურჩულებდა. ცრემლისგან და ჩურჩულისგან, როგორც ორი სხვადასხვა ფერის ძაფისაგან, ის ჩემს გარშემო ჭრელსა და მყუდრო ბადეს ქსოვდა, რომელიც თქვენ წარმოიდგინეთ, ჩემთვის ნელნელა სასიამოვნოც კი ხდებოდა, შეიძლება იმიტომ, რომ ადამიანს მოწონს, როცა მას გატრუნულები უსმენენ, უსიტყვოდ ასრულებენ მის სურვილს, არ უმართავენ სცენებს მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ დაიგვიანა, ანდა ცოტათი ნასვამი დაბრუნდა. ასე შეუძინველად მე ჩვენი ბინის ტყვე გავხდი, სადაც თბილ ფლოსტებში ფეხებწაყრილი დაფვრატუნობ ერთი ოთახიდან მეორეში. თუმცა ვგრძნობ, რომ რაღაც დავკარგე, დავთმე, მაგრამ იმის თავი აღარ მაქვს, გამოვიძიო, თუ რა დავკარგე. ლია სამზარეულოში ხმადაბლა ღიღინებს, მაგრამ ვიცი, ერთი წამითაც არ მაშორებს თვალს და ჩემთვის უხილავი საჭურჭეტე-

ლიდან ჩემს ყოველ მოძრაობას უთვალთვალეს. დამავიწყდა! ის ბავშვები და კიდევ ერთი, ოღონდ გაურკვეველ მწერის ძაფითაცაა მოქსოვილი. ამ ძაფს ლიას ავადმყოფობა ჰქვია. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ყველა მოდური ავადმყოფობა ლიას გადატანილი აქვს. ამ ბოლო დროს კი უკვე კიბოც ახსენა. ლია თავის უიმედო ავადმყოფობაზე ლაპარაკობს ძილის წინ, როცა ორივენი ბნელ ოთახში ვწევართ, ცრემლგარეული ჩურჩულთ, თითქოს თავის თავს ელაპარაკება, ამიტომ მეც, ჩემდაუნებურად, სევდა მიპყრობს, თუმცა ვიცი, რომ ბევრი სხვა ავადმყოფობის მსგავსად, კიბოც მხოლოდ ლიას წარმოდგენაში არსებობს, მაგრამ აღარ შემიძლია წინააღმდეგობა გავუწიო ჩვენს ოთახში ტბასავით ჩამდგარ სევდას, რომელშიაც ჩემს თვალწინ იძირება და ქრება ლია. ღმერთო! — ვამბობ მე, — ოღონდ ლია ცოცხალი მიმოყოფე!

საკვირველი ის არის, რომ ამავე დროს ვიცი, ეს ყველაფერი მოგონილია და ჩემი ცოლი ისეთივე ჯანმრთელია, როგორც... როგორც, ვთქვათ, ჯანმრთელობის სამინისტრო.

ამ უკიდურეს ხერხს ლია განსაკუთრებით მაშინ მიმართავს, როცა შინ ჯდომა უკვე ყელში ამომივა და მავთულზე დაბმულ ძაღლივით ოთახში გავდი-გამოვდივარ ან ტუსადივით გაუპარსავი და თვალეზარიალებული ფანჯარას არ ვშორდები. ამ დროს ყოველთვის მახსენდება ჩემი ძველი ოთახი, მაშინდელი, როცა თავისუფალი ვიყავი! სხვათაშორის, მე უნარი მაქვს, ფიქრით ერთსადამიანე დროს სხვადასხვა ადგილას ვიყო. ეს რომ თქვენთვის უფრო გასაგები გახდეს, შევეცდები დაგიხატოთ დაახლოებით ასეთი სურათი:

ფანჯრის რაფაზე თიხის ქოთანში ჩადგმული კაქტუსი მოჩანდა, მზის სხივე-

თაგაჟ მილამაჟ

აოსიიფონის სასახლე

ბში აბრწყვილებული მტვერი ოქროს ვარაყივით ეფინა საგნებს და ოთახს ძველებური სპექტაკლის დეკორაციას ამსგავსებდა.

ამ ბნელ ოთახში რომელსაც მზის სხივი კიდევ უფრო აბნელებდა, არც ხავერდგადაკრული სავარძლები იდგა, არც მუთაქები ეყარა ტახტზე, მაგრამ ამ წუთას რატომღაც მჯეროდა, სწორედ ასეთი, ღუმელივით ცხელი სავარძლებითა და მუთაქებით იყო სავესე ოთახი. უფრო მეტიც: დარწმუნებული ვიყავი, რომ სადმე, რომელიღაც კუთხეში მიყუყუული კედლის საათიც უნდა მდგარიყო და დაძაბული ვუცდიდი მის ხმას, როდის დარეკავდა, სპილენძის ლანგარზე დაკრული ჩაქუჩის ყრუ ზრიალით.

მეჩვენებოდა, რომ ეს ოთახი ახლა სულ სხვანაირია, ვიდრე სინამდვილეში. ეს უცნაური შეგრძნება დიდი ხნის ნაცნობი გარემოსი, ალბათ, ბავშვობიდან გამოიყვია. ასე მეჩვენებოდა მაშინ, ასევე მეჩვენება ახლაც, როცა უკვე ორმოცი წლისა ვარ, როცა ჩემთვის აზრი დაკარგა ყოველგვარმა ოცნებამ, სიზმარმა თუ ზღაპარმა. დიდხანია წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა მხოლოდ წარმოდგენებით შემეძლო მეცხოვრა. სხვა ბავშვებისაგან განსხვავებით, არ მეთამაშა ეზოში, ვმჯდარიყავი შინ (როგორი წყნარი ბავშვია!) ჩამალული ხავერდგადაკრულ სავარძელში, ხელი ჩამეყო მის ჩახეულ უბეში, მომეძებნა რკინის ზამბარები, კასრში ჩამწყვდეულ ჯამბაზებივით ამოხტომას რომ ცდილობდნენ. ანდა წარმომედგინა გემის ტრიუმი, სადაც შიშველი ზანგები არიან ჩაკეტილნი (ტამანგო!), ისინი მხრებით აწევებიან სახურავს, ოფლი წურწურით ჩამოსლით და ტანიც ბრინჯაოსავით უბზინავთ, მაგრამ სახურავს მძიმე ბოქლომი ადევს.

— მოდი, ამ ზაფხულს ნურსად ნუ წავალთ, — ამბობს ლია, — ასე მგო-

ნია, მარტო ეს ზაფხულია დამოჩინა. ხო, სასაცილოა, მართალი ხარ, რომ ვიფიქრობო, რა სულელურად ვტიკტიკებ, თითქოს ოცი წლის გოგო ვიყო.

— დაიძინე.

— დღისით რა დამაძინებს?

— შენთვის საჭიროა.

— მოვესწრები.

ფანჯრიდან მოჩანს ხალხით გაქედნილი ქუჩა. აპრილის თბილი საღამოა და თუმცა შინიდან დიდხანია ფეხი არ გამიდგამს, მაინც ისე ვარ მოთენთილი, როგორც აი ის, ხესმიყრდნობილი ბიჭი, პალტო რომ გაუხდია და მკლავზე გადაუკიდებია. ერთადერთი, რისი ვაკეთებაც ასეთ საღამოს შეიძლება, სეირნობაა და ხალხიც სეირნობს: თეთრწინსაფრიალი მოწაფე გოგოები, ოფიციალტები და ნოქრები, კიბერნეტიკოსები და ვატმანები, სტუდენტები, ფილოსოფოსები, მაკლერები და ბუღალტრები, ჯიბეში გაკეცილი საღამოს გაზეთი რომ უდევთ. მათ შორის მამლაცინწასავით დააბიჯებს მაღალი მილიციელი, ხოლო ხალხის ტალღის ზემოთ კალათბურთელების თავები ჰაერის ბურთებივით ნებივრად და უდარდელად ქანობენ.

ხესმიყრდნობილი ბიჭი ვიღაცას ელოდება. ზოგჯერ ჩემსკენ გამოიხედავს. მაგრამ, ალბათ, ვერ მხედავს, რადგან ფარდის უკან ვდგავარ. თუმცა ვიცი, რომ საათმა არ შეიძლება დარეკოს, მაინც ევლოდები მის ხმას, თითქოს ის რაღაცას შეცვლის, თითქოს ეს ოთახი უცებ ქუჩის ნაწილი გახდებოდა, ქუჩაც მდინარესავით აიტაცებს, გავსებს დაბანგული ჰაერით, ბენზინისა და თუთუნის სუნით, მანქანების მუხრუჭების ხრქიალით, ქუსლების ბაკა-ბუყით, მილიციელის სასტვენის ხმით და ოთახი, როგორც მაგრად დატვირთული ტივი, ნება-ნება, თითქმის შეუძინევლად გაცურდება ქუჩაში და ამ ტივს შემოახტებიან ბიჭები და გოგოები და აგერ ის

ნაყინის გამყიდველი კაციც, რომლის ჩაჩიც, მილიციელის მუნდრის მერე, ახლა ყველაზე უფრო თვალშისაცემია.

მზე ოთახიდან აუჩქარებლად და ნელა მიიპარება, თითქოს ნოქარი დახლზე გამოფენილ ქსოვილს თოფებად ახვევს და ინახავს, ქსოვილიც უხმოდ მიცურავს სკამებზე, მაგიდაზე, ფანჯრის რაფაზე. ცოტახანს ჩერდება იქ, კიდევ რამდენიმე წამს ბრჭყვიალებს, კულისებში შესული მსახიობი ქალის შლეიფივით, და აი ისიც ქრება.

საათი კი დუმს.

ის ბიჭი ისევ ისე დგას და ვგრძნობ, რა მიძიმეა პალტო, რომელიც იმ ბიჭს ხელში უჭირავს; სული მეხუთება. ცა კი წითლად არის აღანძული და ქუჩის თავზე თეთრი, პატარა ღრუბელი მიცურავს ქაღალდის ნავივით.

სწორედ ჩემს ბავშვობაში რეკდა კედლის საათი და ის საათი ომის დროს გაყვიდეთ. ვილაც შავებში ჩაცმულმა ქალმა იყიდა და ჩვენი ბინიდან ორმა კაცმა ძლივს გაიტანა კარადასავით უზარმაზარი საათი.

ხმა კი დარჩა, საათის ხმა, ამ ოთახში თავისთვის რომ ცხოვრობს, არავინ იცის, სად, რომელ კუნჭულში... კრიტიკისავეთ.

• აი მოდის ის, ვისაც ნახევარი საათია, ველოდები. მოდის ისე თითქოს არსად ეჩქარებოდეს. მასაც პალტო გაუხლია, მუცელზე გადაჯვარედინებულ ხელეებზე გადაკეცილი მოაქვს, თითქოს პალტო შინ უნდა გეცვას და გარეთ კი უნდა გაიხადო. ეს ის დროა, როცა უპალტოოდ სიარული ერთ-ორ დღეს კიდევ უჭირს ყველას და, როგორც ყველა ჩვეულებას, მასაც წვალებით იშორებს. მინდა გავიქცე, შევეგებო, მაგრამ ნაბიჯს ვერ ვდგამ, რადგან რაღაც თუ ვილაც მკარნახობს, რომ სჯობს ასე ვიდგე, თან ვფიქრობ, რატომ უნდა ვიდგე ასე, როცა გაქცევა მინდა და მაინც ვდგავარ და ვუყურებ, როგორ მიახლოვდება, როგორ ეცლებიან გზიდან, როგორ აქრობს

ქუჩის ხმაურს მისი ფეხსაცმელის ბავნი.

— წადი, ქუჩაში გაიარე, სულ ზიხარ, აღარ შემიძლია, შენი ყურება, — ამბობს ლია.

— რა თქვი? — ვეკითხები უზროდ, — რა აღარ შეგიძლია?

— ასე ერთ ადგილას რომ ზიხარ. გაგაწამე. გააღე ფანჯარა.

ფარდას ვწევ და ფანჯარას ვაღებ. ბიჭი და გოგო ერთად დგანან, ბიჭი სიგარეტს უკიდებს, გოგოს ისეთი სახე აქვს, თითქოს მას ეცადოს ამდენ ხანს და მის მოთმინებას საზღვარი არ ჰქონდეს.

— არა, არ წახვიდე!

— არსად არ მივდივარ, სად უნდა წავიდე?

ბიჭი და გოგო ნელა მიდიან, მეც მათ მივყვები. ზოგჯერ გაკვირვებულები გამომხედავენ ხოლმე, უკვე შემამჩნიეს. აი სკამზე ჩამოსხდნენ. მეც მათ გვერდით დავჯექი. რა გნებავთ? — მეკითხება ბიჭი. გოგო ცოტახანს დაკვირვებით მიყურებს, მერე გვერდზე იხედება. სუსტსა და გამზდარ ყელზე ძარღვი უფეთქავს.

საათი რეკავს!

როგორც იქნა!

ვხედავ, როგორ იშლება ის პატარა, თეთრი ღრუბელი და ხეების კენწეროზე როგორ მისრიალებს წითელმუცლიანი ქარი. კიდევ ერთი საღამო ეფინება და ეპატრონება ქვეყანას. ეს საღამო ჩემი სახლია, ქვისკედლებიანი ლბარინთი და, მგონი, ძაფის გორგალი ილევა.

ხმა, ხმა, ხმა გამეცი!

გოგო დგება, კამბის სახელოდან გამოვარდნილ პერანგის ბრეტელს თითოთ ისწორებს. ცოტახანს ასე დგას, თითქოს ვილაცას გასცქერის ბალის ხეივანში და მერე ამბობს:

— აღარ მოდიხარ?

ვგრძნობ, ბიჭს უჭირს წამოდგომა და ამას ჩემდამი თანაგრძნობად ვუთვლი და იქნებ მართლაც გრძნობდეს,

თამაზ ზილაძე

აკოშილონის სასახლე

რომ ჩემი ასე დატოვება არ შეიძლება, მაგრამ რა უნდა ქნას? მე ჩემი სისულელით რეტდასხმული ვზივარ და ვვხვდები, როგორი მძიმე ტვირთია ის, რასაც ჩვენ თანაგრძნობას ვეძახით და როგორი უსვენდისო ვარ, ამოღენა ტვირთი ამ პატარა ბიჭსა და გოგოს რომ ავკიდდე. მაგრამ ჩემს სიბრძივეს ვერაფერს ვუხერხებ და ასე დავეყვები მათ ქალაქში, ჭირვეული, როგორც მშობლებს გატირებული ბავშვი და ისღა მაკლია, ყვირილი მოვრთო:

— არ დამტოვოთ, მარტო არ დამტოვოთ!

ფანჯარას ვხურავ:

— არ შეგციოდეს!

— სად იყავი?

— სად უნდა ვყოფილიყავ?

— შუქი არ აანთო... მოდი, აქ ჩამოვქეჩი.

მივდივარ და საწოლზე ვჯდები, მუხლზე ხელს მადებს და მეკითხება:

— დაიღალე?

— რატომ უნდა დავდლილიყავი?

— აი სულ რომ შინ ზიხარ.

— საქმე მაქვს და იმიტომ ვზივარ შინ, გარეთ რა მინდა? — იქით ვამშვიდებ.

— სულ ჩემი ბრალია.

— მოდი, ლია, — ვუბნები, — ლენინგრადში წავიდეთ, იქ კარგი ექიმებია, გაგსინჯონ, იქნებ არაფერი არ გჭირს, ბოლოსდაბოლოს ექიმმა ზომ უნდა გნახოს?

— მე უქიმზე უკეთესად მესმის, — ცოტახანს ჩუმდება, მერე ამბობს, — როცა მოგვედები, მაშუქას დაუშალე. უთხარი, წასულია და დაბრუნდებათქო. მერე დავავიწყდები...

და ორივე ვტირით.

სიბერე გამოქვამული ყოფილა, სადაც სტალაქტიდებად ქცეული ჩვევებია თავმოყრილი. მე უკვე შევეჩვიე დამით საწოლთან ბორჯომის ბოთლს, კარგ წიგნს, დილით ცხელ ყავას, დაკრიალებულ ოთახს, ცივ შხაპს, ჩემს ფლოსტებს, ჩემს საფერფლეს, ჩემს სკაპს, ჩემს ჭიქას, ჩემს თევზს. ერთი

მათგანიც რომ მომაკლდეს, არ ვიცი, რა დამემართება, როგორ ვიქნები, როგორ, სათვალედაკარგულ ბეცივით? მაგრამ წარმოდგენა, რომ ლია აღარ მეყოლება, გულს გადამიტრიალებს ხოლმე. მან ხომ ასეთი მყუდრო გამოქვამული შემიქმნა! მაგრამ არც ის შემიძლია დავმალო, რომ ლიას ქვის გული აქვს. ერთს ველოსიპედი აქვს, მეორეს ექვსი თითი აქვს ფეხზე, მესამეს — ყბაყურა. მეოთხეს — სამპროცენტრიანი ობლიგაცია, ლიას კი ქვის გული აქვს. მისი ერთადერთი კერპები ციფრები და ფაქტებია. ცხოვრებისეული ლირიკა, ადამიანს რომ გულს უჩვილებს, მისთვის არ არსებობს.

ესეც რომ უფრო გასაგები გახდეს, კიდევ ერთ ამბავს მოგიყვებით:

მე ერთი ამხანაგი მყავს, პოლიკო, ლიას ბიძაშვილი. ინჟინერია, მწერლობასთან არავითარი ურთიერთობა არ გააჩნია, ამიტომ კარგად ვეწყობით ერთიმეორეს. ზოგჯერ კვირაობით მანქანით გამოგვივლის და ქალაქგარეთ მივდივართ...

პელოს და პოლიკოს ისაამნის ბუჩქის ჩრდილში სძინავთ. ლია მდინარეზე ჩასულა და ჭურჭელს რეცხავს. კარებზე გამოღებული „ვოლგა“ მზეში დგას. პოლიკოს მისი ჩრდილში გადაყენება დავიწყანია. იქვე ბალახზე ნასუფრალი მოჩანს, გახეთის ნახევები, ბოთლები, პურის ნატუნები. საზამთროს წითლად დაუღია პირი.

მდინარის გაღმა, მოტიტვლებულ გორაკზე პატარა საყდარი დგას. იმ გორაკის უკან, უფრო მაღალი, ასევე მოტიტვლებული გორაკებია. მდინარიდან სიო უბერავს და ეს ოდნავ ანელებს სიცხეს. ცაზე ღრუბლების იალკიალია, შეიძლება გაწვიმდეს. ნეტავი გაწვიმდებოდეს...

მუსიკის ხმა მოისმის — პელოსა და პოლიკოს ტრანზისტორი ჩართული დაჩენიათ. პელო და პოლიკო მხიარული ცოლქმარია, სულ მდგრიან და ახლაც რატომღაც მუსიკის ხმას მათ ვუკავშირებ, თითქოს ისინი ძილშიაც

ავრძელებენ სიმღერას. ტრანზისტორი ხმელ, გაყვითლებულ ბალახშია ჩაფლული, მისი ანტენა მზეზე ბრწყინავს. პელო და პოლიკო ისე ყრიან, თითქოს მოულოდნელად გონება დაუკარგავთ და წაქცეულანო. პოლიკო პირდაღებული ხერხინავს. პელოს კაბა გადასწეულია და თეთრი, მსუქანი ბარკლები მოჩანს, ბარკალზე ჭია-მაია მიცოცავს. შინდა მივიდე და ტრანზისტორი გამოვართო, პელო და პოლიკო გავაჩუმო, მაგრამ ვერ მივდივარ, რადგან პელო ასე წევს.

ლიას წყალში ფეხები ჩაუყრია და იცინის. ალბათ, ელოდება, დაუძახებ, რა გაცინებს-მეთქი, მაგრამ ვერ მივართვი, იცინოს რამდენიც უნდა. თანაც პირი გამშრალი მაქვს და ხმის ამოღება არ შემიძლია.

ცოტა მოშორებით ჩირგვნარი იწყება. იქითკენ მივდივარ, ბალახიდან კალიები ხტებიან. ჩირგვნარში ვრილა და რაც უფრო ღრმად შევდივარ, სიგრილე უფრო და უფრო მატულობს. აქ ბალახი აღარ არის, მიწაა და ზაესი და კიდევ შარშანდელი ხმელი ფოთლების გრილი ფენა. რა თქმა უნდა, ჯობდა მდინარესთან ჩაესულიყავი და პირზე წყალი შემესხა, მაგრამ მაშინ ლიას უნდა დავლაპარაკებოდი. ალბათ, დამეთანხმებით, არის ზოგჯერ ისეთი განწყობილება, როცა ცოლთან ლაპარაკი არ შეგიძლია.

ხმელ ფოთლებზე ვწეები და თვალს ვხუჭავ, მაგრამ მაინც კიდევ კარგა ხანს გარკვევით ვხედავ მოტიტვლებულ გორაკზე მდგარ საყდარს, კაბააწეულ პელოსა და ტრანზისტორის ანტენას, მერე ჩემი აღგზნებული მხედველობა ნელ-ნელა ცხრება და ვიძინებ.

ლიას ძახილი მალეძიებს. მანქანაში ვსხდებით, წინ პოლიკო და პელო, უკან — მე და ლია.

— ბადრიჯანი დაგვრჩენია, კარგი იყო, ხორციან ერთად შეგვეწვა, — ამბობს ლია და ჩანთაში იხედება, მუხლებზე რომ უღევს.

პოლიკო და პელო მღერიან.

მანქანა მიქრის.

ლია ჩანთას უკან, ფანჯარასთან დგას: — თავი მიადე ზედ!

მერე ჩემს ხელებს იღებს და მსუქანებს ში მიყუტებს:

— ხომ კარგი იყო დღეს, ხომ კარგი იყო?

ზნელა. ფანჯრები ლია გვაქვს, მაგრამ მაინც ცხელა. ლიას ოფლიანი, მხურვალე მკლავი მხარზე შემოუხვევია ჩემთვის.

უცებ პელოს ხმა გვესმის:

— ნახეთ! ნახეთ! კურდღელი! კურდღელი!

მართლაც გზაზე მანქანის შუქში მომწყვდეული კურდღელი გარბის.

ლია წამომდგარა, ორივე ხელით სკამის სახურავს ჩაფრენია და, წინ გადახრილი, ისტერიულად ყვირის:

— დაეწიე! დაეწიე! დაეწიე!

როგორმე, ყოველ მიზეზგარეშე, უსათუოდ უნდა დაეწიოთ, რომ გავსრისოთ, გავაქროთ, მოვკლათ ეს საცოდავი კურდღელი.

ათასჯერ, ათას გზაზე, ათას მანქანაში გამიგონია ასეთი ყვირილი, როცა ჩვენს წინ კურდღელს ან მელას გადაუტრებნია: დაეწიე! მოკალი! რატომ თოფი არა მაქვს! რატომ თოფი არა მაქვს! და თან მკერდში მჯიღს იცემდნენ. აი ზოგჯერ როგორ ვფიქრობ ლიაზე, მაგრამ თითქმის მაშინვე მისადმი უსაზღვრო სიყვარულისა და მადლიერების გრძობა მომაწვება ყელში გორგალივით და მახრჩობს. მთელი მისი არსება მაშინ უნახესი და უტკბილესი მშობლიური გარსით იფარება, შეეყუტებ, როგორც დედას, ერთადერთ ადამიანს, რომელსაც მე, ასეთი უფარგისი, ვუყვარვარ.

ამ დროს თვითონვე მახსენდება მშობლის მოვალეობა და მამუკასთან ასეთ საუბარს ვმართავ:

— გიყვარს სწავლა, მამუკა?

— შენ?

— მე... კი.

— მეც.

თამაზ ზილბაძე

პოსამიღონის სასახლე

— მაინც რომელი საგანი უფრო გიყვარს?

— შენ?

— მე... რა ვიცი... ისტორია...

— მეც.

— ამხანაგები თუ გყავს?

— შენ?

— მე?... როგორ არა.

— მეც...

— გიყვარს? ამხანაგი უნდა გიყვარდეს.

— შენ?

— მე?... რასაკვირველია!

— მეც.

ჩვენი საუბარი უკვე რომელიღაც თამაშს ემსგავსება, ამიტომ დროზე გაცლას ვამჯობინებ, შევდივარ ჩემს ოთახში და ჩვეულებრივ საქმიანობას ვიწყებ: ვხევ ფურცლებს ჩემი წიგნიდან, იმ ფურცლებს სუფთა ქაღალდებზე ვაწებებ. მერე ამას გამომცემლობაში მივიტან, რომ იგივე წიგნი ხელახლა გამოსცენ. შემოდის მამუკა და ამ ბარბაროსულ აქტს გაკვირვებული უყურებს.

— რას აკეთებ? — მეკითხება. ეტყობა დიდხანია უნდა, ეს რომ მკითხოს, რადგან ბოლო ორი წელი მხოლოდ და მხოლოდ ამითა ვარ დაკავებული, ჩემი საბეჭდი მანქანის კაკუნის აღარ ისმის.

მამუკამ, რა თქმა უნდა, არ იცის, რომ როცა მწერალი ამას მიადრწევს, თავი უკვე ქუდში აქვს, შეუძლია აღარ იწვალოს, აღარ წეროს და ისე იცხოვროს უზრუნველად.

— წიგნს ვამზადებ გამოსაცემად, — ვპასუხობ. ვიცი რომ უკეთესია, ბავშვს დიდივით ელაპარაკო.

— კი მაგრამ, ეგეც ხომ წიგნია?

— წიგნია.

— მერე?

— მერე ახალი წიგნი იქნება.

მამუკა ჩემდება, ეტყობა, მისთვის — პატარა იულიუს კეისრისთვის — ეს მეტად ბუნდოვანი რამ არის. ალბათ, იმ პლანეტაზე, საიდანაც ისინი ჩამოფრინდნენ, ჯერ აქამდე არ მისულან. ამიტომ

მე ცოტათი ნიშნის მოგებთაც კი ველაპარაკები, ასე კი არ არის საქმე, ჩვენც ვიცით რაღაცა, ჯერ ფენი ანოევი გივით, უკაცრავად!

არ ვიცი მამუკასთან თავი როგორ დავიჭირო. ალბათ, იმიტომ, რომ უმამოდ გავიზარდე. ჩემი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე მამაჩემს სულ რამდენჯერმე შევხვედრივარ, როგორც სრულიად უცხო ადამიანს, რომელთანაც არავითარი გრძნობა არ მაკავშირებდა. უკანასკნელად მას შარშანწინ შევხვდი წყნეთში... მე და პოლიკო ბეთანიანი მივდიოდით, პოლიკოს მანქანა გაუფუჭდა და რომელიღაც აგარაკის ჭიშკართან გაჩერა.

გზის გადაღმა თეთრად შეღებილი რკინის ჭიშკარი მოჩანდა და ხეებში ჩაფლული სახლის სახურავი. ეზოში ვიღაც კაცი ყვიროდა:

— ყარაულო სდექ! ადგილებზე!

მერე დავინახე, როგორ მოადგა ის კაცი ჭიშკარს. მისი ერთი ფრთა გამოალო და გარეთ გამოიხედა, ჩემზე შეაჩერა თვალი წამით, მერე ისევ ჩაკეტა ჭიშკარი. ხელები ჭიშკარის გისოსებს ჩაავლო და მაგრად მოქაჩა, ალბათ, შეამოწმა საიმედოდ არის ჩაკეტილი თუ არაო. ამჟამად კმაყოფილი დარჩა, რაღაც შესძახა ხმამაღლა, ვერ გავარჩიე, რა.

მე ვერ ვიცანი მამაჩემი, თვითონ მიცნო.

ცოტა ხნის მერე ჭიშკარმა ისევ გაიჭრიალა და იმ კაცმა დამიძახა:

— გიგა!

ჩემსკენ გამოემართა.

მაღალი, მსუქანი კაცი იყო, წითელი მისური ეცვა, ისეთი ღივი ჰქონდა, თითქოს მისიურში ვაშლები უყრიო. ფართო ტოტებიან შარვალს მიწაზე მოაფართხლებდა.

ახლა კი ვიცანი. ამ რამდენიმე წლის წინათ ქუჩაში შემხვდა და გამომელაპარაკა. მას მერე გამოცვლილიყო, კიდევ უფრო გასუქებულიყო, თუ ასე ხალვათად ჩაცმული ჩანდა ასე მსუქანი, არ ვიცი.

მხრებში ჩამაფრინდა და მაგრად შე-
მანჯღორია:

— რას უდგებარ აქ, ვერ შემოხვალ
ჩემთან?

— არ ვიცოდი, თუ აქ ცხოვრობდი.

— მესამე წელია აქ ვცხოვრობ. ვის
უცდი?

— ამხანავი წყალზეა წასული.

— სად?

— აგერ, იმ ეზოში.

— ბარამიძეებთან?

— რა ვიცი.

— ჩემთან არ მოდის წყალი თუ?

— არ ვიცი.

— ასე უნდა? ერთხელ მაინც არ უნ-
და იკითხო მამის ამბავი? იქნებ ვკვდე-
ბი, პატრონი არ მინდა?

— სასიკვდილო არაფერი გეტყობა.

ესიამოვნა:

— კი ვარ ჯანზე მაგრად, კი. წამო,
ჩემი სახლი გაჩვენო.

— არა. ამხანავი დაბრუნდება და
ვერ მნახავს.

— ერთი წუთით, დიდხანს არ გაგა-
ჩერებ. შევიღმა არ იცოდეს, მამა რო-
გორ ცხოვრობს, არ გამიგია. სხვანაირი
ხალხი ხართ თქვენ, სხვანაირი. წამო!

ხელი ჩამვიდა და თითქმის ძალით
წამიყვანა. ღონიერი, დიდი ხელის მტე-
ვანი ჰქონდა, მიწის მუშასავით.

ეზოს ბილიკზე დაფქვილი აგური იყო
მოყრილი.

— თბილისში ყველაფერი გავყიდე,
აქ გადმოვბარგდი. არავინ შემაწუხებს.
პენსია კარგი მაქვს, შენ ხომ იცი, მე
ყოველთვის დიდი თანამდებობა მეჭი-
რა, ხომ იცი?

— ვიცი.

— მეყოფა! — დაიხარა, ბალახში
წაქცეული ბიჯგი აიღო და ვაშლის
ტოტს შეუყენა, — ახლა სხვამ იმტერი-
ოს თავი. ვარ ჩემთვის, ბედნიერად.

სახლის წინ, ასფალტმოსხმულ ბაქა-
ნზე ძალდი იწვა. ძალღს გრძელი ჯაჭვი
ჰქონდა გამობმული; რომლის ბოლო
მავთულზე ჩანგლით იყო გამოდებული,
ეს მავთული მთელს ეზოს უვლიდა ირ-
გვლივ.

მამაჩემი შეჩერდა და მომიბრუნდა:

— შენ რას აკეთებ? ხო, მგონი წარ-
არა? წავიკითხე, წავიკითხე, **სენა**
ზორშიც გნახე, ჩემსავით უნიჭო ხარ,
ჩემსავით, — მხარზე ხელი დამადო,
თვალეში ჩამხედა, მის ხმას თითქოს
სითბო გაერია, — ასე სჯობს, მტერი
ნაკლები გეყოლება. ფულს თუ აკე-
თებ მაინც?

— კი, არა უშავს.

— კარგია!

დაიხარა, ფეხიდან ფლოსტი წაიძრო,
იქიდან მიწა გადმოყარა და ისევ ჩაი-
ცვა.

ბაღში ჩავედი. ვიღაც ქალი კვალში
პამიდვრის ჩითილს რგავდა. მამაჩემი
მიეპარა და თეძოზე უჩქმიტა.

— ბილწო! — შემოაფრქვია ღმილი
ქალმა.

მამაჩემმა თვალი ჩამიკრა.

მერე ჰიშკრამდე მომაცილა:

— ამოდი ხოლმე, როცა დრო გექ-
ნება. შევილი გყავს ხომ?

— კი.

— ბიჭი?

— ბიჭი.

— რა ჰქვია?

— მამუკა.

— ჩემი სახელი ვერ დაარქვი?

— რა ვიცი.

— ამოიყვანე, მაჩვენე, ასე უნდა?

— ჯირკვლები აქვს, გარეთ არ გა-
მოიყავს, — ვიცრუე.

— უჯირკვლებო ბავშვი არ გამიგია
მე, — თქვა მამაჩემმა.

— მე თუ მქონდა ჯირკვლები? —
ვკითხე და უცებ მასთან გასაოცარი
სიახლოვე ვიგრძენი.

— აი, ამოდენა, — ორივე ხელის თი-
თები ისე მოკეცა, თითქოს კვერცხები
ეჭირა, — აბა!

ნუ გამამტყუნებთ. სხვა რა გრძნობა
უნდა მქონდეს კაცისადმი, რომელიც
მამინაც კი არ გამოჩენილა, როცა დე-
დაჩემი კვდებოდა.

თამაზ ბილაძე

აკოპილონის სასახლე

დედანგემი კი საავადმყოფოს პალატაში იწვა და კვდებოდა. ორივე ხელით მისი ხელი მეჭირა, გამხდარი, გალუული; რომელიც საცაა წყალივით დაიფრიტებოდა და გაქრებოდა.

ფანჯრის რაფაზე ცარიელი ჭიქა იდგა, ზედ ქალაღდის ნახევრი ეფარა. იმ ჭიქას ვუყურებდი დაძაბული, გაშტერებული და დედისკენ ვერ ვიხედებოდი. არ შემეძლო და მრცხვენოდა, რომ არ შემეძლო, რადგან ვგრძნობდი, თვითონ მიყურებდა, უხმოდ მთხოვდა, შემეხედა, თვალი შემეველო მისთვის უკანასკნელად, სანამ კიდევ ფეთქავდა, სანამ შეეძლო დავენახე. და მე ვნატრობდი, ხელი ჩაეჭიდა ჩემთვის მაგრად, ჩამფრენოდა, ჩავეთრე თან იმ ბნელით მოცულ ფსკერზე, საითქენაც ის ნელ-ნელა ეშვებოდა. მაგრამ ამავე დროს იმისთვისაც ვიყავი მზად, რომ წინააღმდეგობა გამეწია მისთვის, ვინც ამ ქვეყნად ყველაზე ძალიან მიყვარდა და ეს ორი, ბოლომდე გაურკვეველი გრძნობა თითქოს მთიშავდა იმ ნამდვილი ამბისგან, რომელიც ახლა ჩემს თვალწინ ხდებოდა. და ისევ იმ ცარიელ ჭიქას ვუყურებდი და მიკვირდა, რატომ ეფარა ქალაღდი, და ამან ისე გამაღიზიანა, რომ წამოვდექი, ქალაღდი მოვაშორე, დავჭმუჭნე და გადავაგდე. ისევ დედასთან დავბრუნდი, ისევ საწოლზე ჩამოვჯექი და მხოლოდ ახლა შეეძელი შემეხედა მისთვის. ბალიშზე მისვენებულიყო, თეთრი თმა გამლოდა, თითქოს ფერფლში იწვა, ცხელ ნაღვერდალში. ტუჩები უთრთოდა ოდნავ შესამჩნევად, მიგხვდი, რომ რაღაცას მელაპარაკებოდა. გამახსენდა, პატარა ვიყავი და დედას ხელჩაკიდებული მიყავდი. მეორე ხელში დიდი, ყავისფერი ჩემოდანი ეჭირა. ხანდახან დადგამდა და ზედ ჩამოჯდებოდა. კაბის კალთაზე ვეწოდი: წავიდეთ, დედა, წავიდეთ! ისიც დგებოდა და მივდიოდი. ვიცოდი, მატარებელში უნდა ჩავმსხდარიყავით და მიხაროდა. ფანჯარასთან დამსვი, იცოდე! — ვეუბნებოდი დედას. მერე

გამახსენდა სადგურის მოსაცდელი რაბაზი, იატაკზე დასაძინებლად მიტყაფილი ხალხი, ხის გრძელ სკამებზე დაჯდომულნი, კებებივით უძრავი, თვალდაბუქული ქალები, მბუქტავი, მოლურჯო სინათლე და გრძნობა, რომ მატარებელი არასოდეს მოვიდოდა, თუმცა მაღალი კარის იქით, რომელსაც წითელქუდა მილიციელები იცავდნენ, განუწყვეტლივ ისმოდა ორთქლმავლების კივილი და მეგონა, რომ ამ კარის იქითაც ყველას და ყველაფერს ეძინა და ორთქლმავლები სიზმრებში კიოდნენ.

მერე მატარებელში ისეთი ამბავი იყო, რომ მეგონა, ვავონს საერთოდ არ ჰქონდა ფანჯარა და ჩვენ ხალხით სავსე კასრში ვისხედით. დედა! დედა! დედა! ვტიროდი მე და ვილაც კაცი, რომელიც მუხლებს შორის ჩადებულ ყავარჯენზე იდაყვებით იყო დაყრდნობილი, მეუბნებოდა: გაჩუმდი, თორემ მილიციელი მოვა და წაგიყვანსო. მერე ზემო თაროზე ტომარა გასკდა და მარლით აივსო კუბე. ვილაცამ დაიძახა, მიშველეთ, ხალხო, მომეხმარეთო! იატაკზე დავფოფხავდი და მარლს ვაგროვებდი და ვილაცის დიდ, ქვაბივით ღრმა პეშვში ვყრიდი. მერე სულ წყალს ვთხოულობდი და წყალი არავის ჰქონდა. ყავარჯენებიანი კაცი დედას გაუჯავრდა, ბავშვი თუ მოგყავდა, წყალი ვერ წამოიღეო და გავჩუმდი, ხმა აღარ ამომიღია. როცა ვიძინებდი, ბნელში დედანგემის ლოყის შეხება ვიგრძენი, სველი და მლაშე, როგორც ყველაფერი ჩემს ირგვლივ.

აი ეს ამბავი გამახსენდა, როცა დედას დავცქეროდი, ის კი უკვე ვეღარ მხედავდა.

მამუქას ჰგონია, რომ მეც სკოლაში ვსწავლობ, რადგან ჩემს მაგიდაზე მერვე, მეცხრე და მეთექვსმეტე კლასის ფიზიკის, ქიმიის და ასტრონომიის სახელმძღვანელოები აწყვია. იმან არ იცის, რომ ეს წიგნები ჩემი შემოქმედების წყაროა.

იქიდან ვკრევ ცნობებს ფანტასტიკური რომანებისთვის. როცა ახალგაზრდა, როგორც ჩვენი იტყვიან, დამწყები მწერალი ვიყავი და მოთხრობებს იშვიათად მიბეჭდავენ (ნუთუ მართლა იყო ეს დრო?), ფანტასტიკურ ლიტერატურას ამრეზით ვუყურებდი, ვერც კი წარმოვიდგენდი, თუ როდისმე ამ საქმეს მოვკიდებდი ხელს. თუ არ ვცდები, ეს აზრი პირველად ჩვენი ერთ-ერთი უფროსის რედაქტორმა ჩამაწვეთა.

ამ რედაქციას „ლემნოსის კუნძულს“ ვეძახდით, რადგან იქ, რედაქტორის გარდა, სულ ქალები მუშაობდნენ. რედაქტორი დაბალი, მელოტი, სათვალისანი ახალგაზრდა კაცი იყო — ჰანიმედი, ეს ზედმეტი სახელი განუყრელი დიმილისა და დათაფლული ენის გამო შეარქვეს. რედაქცია ერთიანად ელავდა და ბზინავდა. იატაკი მუდამ მოკრიალებული და მოწმენდილი იყო, ფანჯრებზე გაქათბებული ფარდები ჩამოეციდათ, მაგიდებზე ყვავილების სურები იდგა. გოგოებიც კარგად გაუთოებულ და გაკრახმალეულ ზეწრებივით შრილებდნენ. რატომღაც ყველაფერი უფრო აფთიაქს გავდა, ვიდრე რედაქციას, მაგრამ ამაზე, რასაკვირველია, ცუდს ვერავინ იტყოდა, ოღონდ ჰანიმედზე ჩურჩულებდნენ, ანონიმურ წერილებს წერსო. ჩვეულებრივ ანონიმურ წერილებს კი არა, არამედ მეტად უცნაურს. თუ ჩვეულებრივი, ტიპური ანონიმური წერილი ლანძღვა-გინებითა და დაბეზღებითაა სავსე, ჰანიმედის ბარათი ქება-დიდებას ასხამდა ყველას და ყველაფერს. თუ რატომ არ აწერდა ასეთ წერილს ხელს, არავინ იცოდა. მე ეს ამბავი არ მჯეროდა, რადგან ვიცოდი, ანონიმური წერილების ავტორები სასტიკად რომ ისჯებოდნენ, ჰანიმედი კი რედაქტორი იყო.

კაბინეტის კართან მდივანი გოგონა გადამელობა:

— ვინ ბრძანდებით?

ვუთხარი, ვინც ვიყავი და რატომაც ვიყავი მოსული.

— მოითმინეთ, მოვახსენებ.

ცოტახნის მერე კაბინეტიდან გამოვიდა და მითხრა:

— უნდა დაცადოთ, თათბირის სკამზე ჩამოვჯექი. გოგონა მანქანაზე რაღაცას ბეჭდავდა. ერთი-ორჯერ ჩემსკენ გამოიხედა, ჰკვიანად ვიჯექი თუ არა.

უცებ კარი გაიღო და თვითონ რედაქტორი გამოვიდა:

— რატომ არ შემოდიხართ, რას უცდით, გელოდებით!

მდივანი გოგონა აიწურა:

— თქვენ ხომ...
— ახ, ცისანა, ცისანა, — თითი დაუქნია და თან ალერსიანად გაუღიმა რედაქტორმა, — ავტორების გარჩევა ვეღარ უნდა ისწავლო?

კაბინეტში განყოფილების გამგე მალვინა თუშიშვილი დამხვდა. მივესალმე, მალვინამ თავი დამიქნია.

— დაბრძანდით, — მითხრა ჰანიმედმა, თვითონ გამომიწვია სკამი, მერე წავიდა და მაგიდას მიუჯდა.

მალვინა წამოდგა, კუთხეში მიყრილ ქეჩის ნაჭრებზე შედგა და იატაკზე ჩემი ნაკვალევი გულდასმით გადაწმინდა.

ეტყობოდა, რედაქტორი საუზმობდა. მაგიდაზე ჩაის ჭიქა იდგა, ლამბაქზე ერთი ნაჭერი ნამცხვარი იდო. მალვინამ ჩაი ახლოს მიუჩოჩა:

— გაცივდება!

რედაქტორმა გამიღიმა, თითქოს მომიბოდიშა.

— მიირთვით, მიირთვით, — ვუთხარი.

— გმადლობთ. მეშინია არ გაცივდეს. ჩაი მოსვა, მალვინას მიუბრუნდა:


— ძალიან დაგიტყბია!

— თქვენ რაც შეიძლება მეტი ტყბილი უნდა მიიღოთ, — მკაცრად უპასუხა მალვინამ.

რედაქტორმა მხრები აიჩეჩა, თითქოს შეხედეთ, რა დღეში ვარო.

მალვინამ ყურმილი აიღო და ნომერი აკრიფა, მერე პირი მიიბრუნა, რომ

თამაზ ზილაძე
კოსილიძის სახელი



ჩვენ მისი ლაპარაკი არ გაგვეგო. მაგრამ მისი სიტყვები მაინც მკაფიოდ ისმოდა. რედაქტორმა გადახედა და თავი გაიქნია ღიმილით, ალბათ, მიხვდა მალვინა, ვისაც ურეკავდა.

— ახლა ჩაის სვამს, — ამბობდა მალვინა, — ავტორი ჰყავს... არის ერთი... ის ერთი მე ვიყავი.

— უსათუოდ მანქანაში ჩავსვამთ და შინ გამოუშვებთ...

— თუ გინდათ, მოწიეთ, — მითხრა რედაქტორმა.

— გმადლობთ, ახლახან მოვწიე...

— ჩვენ განვიხილეთ თქვენი მოთხრობა. მართალია, ჩვენ მეგობრები ვართ და ბევრი რამ ჩვენში მეგობრობით კეთდება, მაგრამ...

— მეგობრობა არც ისე ცუდია, — ვუპასუხე მე.

— გააჩნია როდის.

— როცა ნამდვილი მეგობრობაა.

— ჩვენ ახლა ამ საკითხზე არ ვკამათობთ.

— უკაცრავად.

— რას ვამბობდი?

— თქვენ ჩემი მოთხრობა არ მოგეწონათ.

— მე ეგ არ მითქვამს, ჩვენი რედაქციის კარი ყოველთვის ღიაა ნიჭიერი ახალგაზრდებისთვის, ჩვენი ლიტერატურის ხვალინდელი დღე თქვენა ხართ...

— ქალბატონო ზეინაბ, — ამბობდა მალვინა, — გემუდარებით, საღამოთი ნულა იმუშავებს, მთელი რედაქციის სახელით გთხოვთ...

— იქნებ სხვა რამე მოგეტანათ, — მითხრა ჰანიმედმა.

— მაინც რა? — მე უკვე გავბრაზდი. ყველა რედაქტორი ერთნაირად მელაპარაკებოდა, თითქოს პირი შეუკრავთო.

— აი როგორ გითხრაათ... ვთქვათ...

— ვთქვათ გლობუსი? — ვკითხე.

მალვინამ ყურმილი დადო და საყვედურით შემომხედა, ეტყობოდა ჩვენს საუბარსაც უსმენდა. ჰანიმედმა გაიციინა:

— გლობუსი რამ გაგახსენდა? — თქმულა, — შუბლზე ხელი შემოირტყა და სწორედ მაგის თქმას ვაპირებდნენ. გლობუსი, პლანეტა, კოსმოსი... ფანტასტიკური მოთხრობის დაწერა თუ გიცდიათ როდესმე?

— არა, — ვუპასუხე მკაცრად, — და არც ვაპირებ!

— სულ ტყუილად არ აპირებთ, ახლა კოსმოსური ერა დგება.

დღეს, როცა მის ნათქვამს ვიხსენებ, მჯერა, რომ ჰანიმედი წინასწარმეტყველი იყო, შეიძლება იმასაც ჰქონდა მნიშვნელობა, რომ თავისი ზედმეტი სახელის გამო კოსმოსთან რაღაც საერთო ჰქონდა...



მართალია, ჯერ სხვა პლანეტაზე არ გადავსახლებულვართ, მაგრამ უკვე სევდა გვიპყრობს ჩვენს პატარა დედამიწაზე, ჩვენს მყუდრო, ღამაზ პლანეტაზე. არა, სისულელეა, სისულელეა ასეთი ფიქრი. რატომ ვუძებნით ნაღვლიან სარჩულს ჩვენს ლტოლვას, ოცნებას, ჩვენი გონების სიდიადეს, თუნდაც გმირობას? განა სიხარულით არ ვტიროდი, როცა ადამიანის მთვარეზე ასვლის ამბავი გავიგე? მაგრამ ხომ შეიძლება ათი ათასი წლის მერე მოხდეს ის, რისიც ფარულად, მაგრამ მაინც გვეშივნია? არა, ჩვენ საკუთარი დრო გვაქვს, რომელსაც მარადისობის სახლი ჰქვია, ამიტომ ჩვენი სიცოცხლეც მარადიულია...

როცა ასე დავიწყებ ფიქრს, წიგნების უკან გადაშალულ კონიაკის ბოთლს ვიღებ. სასმელი მაშვიდებს, რადგან ვრწმუნდები, რომ რასაც ვფიქრობ, მართლაც სისულელეა.

მაგრამ კაცი რომ დაფიქრდეს და კარგად ჩაუყვირდეს, მიხედება, რომ ამ ქვეყანაზე მარადიული არაფერია. აი, ავიღოთ თუნდაც ჰანიმედის ამბავი. ის რედაქტორი აღარ არის! კარგი, დავანებოთ ჰანიმედსაც თავი და ერთი შეხედვით ყველაზე უფრო მოწესრიგებულ და უცვლელ სამყაროს დავუბრუნდეთ



— კოსმოსს. აი პოლარული ვარსკვლავი, ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი, ცენტრალური წერტილი ცის რუკაზე, ნათელი ორიენტირი მეცნიერისათვის, მოგზაურისათვის, იმედი, შუქურა, სამყაროს ნათურა. უკაცრავად, ის ვარსკვლავი კი არა, თანამდებობაა მხოლოდ, სავარძელი, თანაც დროებითი, რომელსაც უამრავი სხვა ვარსკვლავი ეპოტინება და ამავე დროს ბევრია ისეთი ვარსკვლავიც, რომელიც ერთხელ უკვე ასრულებდა ამ თანამდებობას. არიან ისეთებიც, რომლებიც, გადამდგარნი, კიდევ დაუბრუნდებიან ამ მაღალსა და კამყაშა სავარძელს. ასეთი ვარსკვლავია მაგალითად ტუბანი, ორნახევარი ათასი წლის წინ პოლარული რომ იყო, ახლა კი ურჩხულის თანავარსკვლავედის რიგითი წევრია, მაგრამ იმედი არ დაუკარგავს, რადგან იცის, რომ ოცი ათასი წლის მერე ისევ აღიდგენს დროებით ჩამორთმეულ წოდებას. ამ ადგილისათვის იბრძვის ცეფევის თანავარსკვლავედის სამი წევრი და მათაც გარანტირებული აქვთ გამარჯვება, ისინი თანმიმდევრობით: ორი ათასი, ოთხი ათასი და ექვსი ათასი წლის მერე მიიღებენ პოლარული ვარსკვლავის გვირგვინს. დიდი და ბრწყინვალე ვარსკვლავი ვეგა დაჯერებულად მიცურავს თავის დიდებისკენ, თორმეტი ათასი წლის მერე ისიც პოლარული ვარსკვლავი გახდება.

კიდევ ვსვამ კონიაქს და ვატყობ, ვთვრები.

— რა ვიქნები მე ხვალ? არაფერი. ახლანდელი პოლარული ვარსკვლავის მსგავსად ჩავინთქები კოსმოსის ურნაში.

— რას შვრები, ვაგიჟდი? — მომესმა ლიას ხმა. ოთახში ისე შემოსულა, რომ არც კი გამიგია.

შუა ოთახში ვიდექი ბოთლით ხელში და ლიას შევეყურებდი.

— გიგა, გიგა, რა იყო, გენაცვალე, რა დაგემართა? — ფრთხილად მომიახლოვდა, თან თვალს არ მავშორებდა, ბოთლი ჩამომართვა, მაღლა ასწია და სინათლეზე გახედა:

— რა არის ეს?
ფიქრისგან უკვე გამოვერკვე, მხოლოდ მთვრალი ვიყავი.
— ჩაი, — ვუბასუხე.
— ჩაის ამ ბოთლში რა უნდა?
— მე რომ ჩაის ბოთლში ვასხამ და ვაციებ, არ იცოდნი?
— არა.

ლია ძალიან დამტკბარი მელაპარაკებოდა, კონიაქის ბოთლსაც ღიმილით ატრიალებდა ხელში, ვითომ აი რა ქმარი მყავს, რა კარგი რამ მოუგონებიაო. მაგრამ ვიცოდი, რომ ეს ცოტახანს გაგრძელდებოდა, ჭერჯერობით ამოწმებდა, მართლა ვაგვიჟდი თუ არა. გამოცდილი მშვერავივით ფრთხილად, მტკაველ-მტკაველ მოიპარებოდა ჩემსკენ, მერე მიბნედილი, სასოწარკვეთილი ავადმყოფის ჩურჩული დაიწყებოდა. ცოტახანის მერე მართლაც გავიგონე:

— მე კი დილიდან ისე მტკივა თავი, ლამის გამისკდეს.

საწოლზე ჩამოჯდა, ბოთლი კალთაში ორივე ხელით მაგრად ეჭირა.

დავასწარი და იერიშზე მე გადავედი, სხვა გზა აღარ მქონდა:

— დალიე! — ვუთხარი.
— რა?
— ჩაი.
— ეს ჩაია?
— დალიე.
— ვაგიჟდი?
— დალიე, მოგიხდება. თუ ჩემი ხათრი გაქვს, დალიე!

ლიამ ცოტახანს მიყურა, მერე ბოთლიდან კონიაქი მოსვა:

— ფი!
— რა იყო?
— მაგარი ჩაი დაგიყენებია.
კიდევ მოსვა.
— მოგეწონა? — ვკითხე.

— კარგია, — სახე ისე დაეღმანჭა, ცოტათი შემეშინდა, გაიმეორა, — კარგია. შაქარი დაგიწყებია, — ვითომ ვე-

თამაზ ზილამე
პოსიდიონის სახახლე

რაფერს ხვდებოდა, — აბა, დალიე, — და ბოთლი გამომიწოდა.

ბოთლი ჩამოვართვი, სრულებით აღარ მინდოდა დალევა. ბოთლი საწოლთან მაგიდაზე დავდგი, მივედი და ლიას გვერდით ჩამოვჯექი, თმაზე ხელი გადავუსვი:

— ლია...

— არ შეიძლება, — თქვა მან და წამოდგომა სცადა, არ გაეუშვი, ხელები მოვხვიე:

— ლია!

— მამუკა მოვა!

— ჯერ ადრეა... ლია...

შენ ნუ გეშინია, ჩვენ ყოველთვის ვიქნებით... ნუ გეშინია... ნუ გეშინია... ყოველთვის... ყოველთვის...

— კარგი, გამიშვი ხელი, — თქვა მერე ლიამ.

ახლა მას უკვე მთლიანად დაპყრობილი ვყავდი. მე კი, დარწმუნებული ჩემს მარადიულობაში, სიგარეტს ვწევდი.

ლია ტიროდა:

— უსვინდისო... კონიაკის სმაც დაიწყე ხომ ჩუმჩუმად, რა დავიშავე ასეთი, ან მამუკამ რა დავიშავა, სრულებით არ გიყვარვარ, ნამცეცი ხათრი არა გაქვს ჩემი. მე კი, სულელი, ოჯახზე ვარ გადაგებული. რატომ, რისი გულისთვის. ღმერთო, რატომ დამსაჯე ასე, ლოთი ქმარი მინდოდა მე?

ჩემს სიცოცხლეში პირველად სიამოვნებით ვუსმენდი ლიას წუწუნს, ეს ყველა საბუთზე ნაღდი იყო იმის დასამტკიცებლად, რომ სიცოცხლე მუდამ იქნებოდა.

— აბა, რომელი შენი ნაცნობის ცოლი ზის შინ, ერთი დამისახელე. მეც შემეძლო მათსავით სადმე მემუშავა. რითი ვარ ნაკლები, მასწავლებლობა ხომ მაინც შემეძლო? მაგრამ არა, ოჯახს თავი არ დავანებე და იმის მაგივრად, რომ ვიმკურნალო, იატაკს ვხეხავ. მოსამსახურედ დავიდექით, ასეთ ერთგულ მოსამსახურეს სად იშოვი ახლა...

ლია სააბაზანოდან მელაპარაკებოდა, წამოვდექი და გამოვლებულ კართან მივედი:

— ლია, შენ ხომ იცი, რომ მიყვარხარ!

— ტყუი! შენ მარტო შენ მოგვიყვარს!

სააბაზანოში შევიხედე, ლია ნეილონის ვარდისფერი ფარდის იქით შხაპის ქვეშ იდგა და ტანს იბანდა.

— რა თქვი?

ლიას აღარ უპასუხია, ან შეიძლება მიპასუხა, მაგრამ წყლის ხმაურში ვერ გავიგონე, ან კიდევ არ მინდოდა და არ გავიგონე, რადგან ეს მოულოდნელი იყო, ლიას არასოდეს უთქვამს ადრე — მარტო შენი თავი გიყვარსო. გულზე მომხვდა. მეც მიფიქრია ამაზე, განსაკუთრებით ბოლო დროს.

გამოვტრიალდი, ელექტროსაპარსი ავიდე, შევეერთე და საწოლზე ჩამომჯდარმა, პირის პარსვა დავიწყე. ოთახში ლია შემოვიდა, აბანოს ხალათი შემოეცვა:

— სად მიდიხარ?

ხმა არ გავეცი.

— შენ გეკითხები?

— რა შენი საქმეა? — ვუყვირე.

ლია იმ წუთას გამოიცვალა:

— გიგა, ისე გკითხე, რა მოგივიდა? მე თვითონ მინდოდა, რომ წასულიყავი, სახლი დასალაგებელი მაქვს, რომელი პერანგი მოგცე?



ერთი კვირა იყო, შინიდან ფეხი არ გამომედგა. ტროლეიბუსში ჩავჯექი და რუსთაველის პროსპექტზე გავედი. იქ, ოპერის ბაღში შადრევანთან ჩამოვჯექი.

ეგოსტი ვარ, — ვფიქრობდი. — ნამდვილი ეგოსტი. იმიტომაც არ ზყავს ამხანაგი.

თუ ეგოიზმი თავდაცვის ინსტინქტია, მაშინ ის ძალიან ბრიყული ინსტინქტი ყოფილა. ეს იმას ნიშნავს, შენს სულში შენივე ხელით ჩასობილი პალოს გარშემო იტრიალო, თვალახვეულ სახეღარივით და ასე სიბნელეში გაატარო მთელი შენი ცხოვრება.

აი ასეთი, დილიდან აკვიატებული ფიქრები მიტრიალებდა თავში. მერე

გადაწყვიტე, ვინმესთან მივსულიყავი, ვისაც ჩემი ბავშვობა ახსოვდა.

ისევე როგორც ცაში ატყორცნილი ხე თავის ფესვებს ვერ ხედავს და არ იცის, ისინი თუ არსებობენ, ჩვენი ბავშვობაც მიწაში ჩაფლულ ქვევრში გვყავს მაგრად გამოკეტილი და დავიწყებული. მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ის მუდამ მზად არის ყოველ წამს თავგანწირულად გადაეშვას ხიფათის ზღვაში, თოკით დაეკიდოს უფესკრულის ციკაბო კედელს, რომ დასალუპად განწირულ ამხანაგს ხელი გაუწოდოს. მას შეუძლია გაპატიოს ყველაფერი, გარდა ღალატისა, რადგან ღალატის პატიება საერთოდ არ შეიძლება; გარდა უსინდისობისა, რადგან არც იმისთვის არსებობს პატიება. ეს ყველაფერი წიგნშია კარგი, როცა გარეთ წვიმს, ცივა, შინ კი რადიატორი ტკბილად ღუღუნებს, შენ ახალდაბანილი, თავწაქრული წვეხარ და პაწაწინა ნათურა, როგორც კეთილი გნომი, თავზე გადგას.

შორს არ დამჭირებია წასვლა. აქვე, ლადიძის წყლების თავზე ჩემი ქართულის მასწავლებელი, სოლომონ თუშმანიშვილი ცხოვრობდა. არ ვიყავი დარწმუნებული, ცოცხალი იყო თუ არა, მე ხომ ერთხელაც არ მიკითხავს მისი ამბავი.

საბედნიეროდ, კარი თვითონ გამიღო. უცებ ვერ ვიცანი, ისე დაბერებულიყო. ვერც იმან მიცნო, როგორც იქნა, გავახსენე თავი. შინ შემეპატიჟა.

ერთი, დიდი და ნათელი ოთახი ექირა, იმ ოთახს ეკლესიასავით მაღალი ჭერი ჰქონდა. კედლები წიგნებით იყო დაფარული, მხოლოდ ერთ, მოშიშვლებულ ადგილას სოლომონის ომში დაღუპული ორი შვილის სურათები ეკიდა. ეს სურათები კარგად მახსოვდა, რადგან ერთხელაც ვყოფილვარ აქ, დიდიხნის წინათ, სწორედ მაშინ, როცა სოლომონი მასწავლიდა.

— როგორ ხარ? — მკითხა სოლომონმა. სათვალე გაიკეთა და დამაკვირდა.

— კარგად. თქვენ როგორ ბრძანდებით?

— ეჰ!... აქ რამ მოგიყვანა მართლაც რამ მოგიყვანა აქ, მოხუც და დაჩაჩანაკებულ მასწავლებელთან, რომელიც არავის აღარ ახსოვს? ეტყობა, იშვიათი რამ შეგემთხვა, ან ძალიან გაგიჭირდა...

— მიჭირს, — ვუპასუხე მე.

— რატომ? — თითქოს გამოცოცხლდა, თვალეები აუციმციმდა.

გავჩუმდი, რადგან ჩემივე ნათქვამმა შემაკრთო. მე აქ იმიტომ მოვედი, რომ ის დღეები გამეხსენებინა, როცა მისი გაკვეთილები უსაზღვრო სიამეს მანიჭებდა, ნამდვილად კი თურმე აღსარების სათქმელად მოვსულვარ.

— რას აკეთებ? სად მუშაობ? — მკითხა სოლომონმა.

არც იყო საკვირველი, ჩემი მწერლობის ამბავი რომ არ იცოდა. ის არ ეკუთვნოდა ჩემი მკითხველების რიცხვს. რაც მის ღროს წასაკითხი არსებობდა, ყველაფერი წაეკითხა.

წამოსვლა რომ დავაპირე, ვკითხე:

— ბატონო სოლომონ, არ მახსოვს ვინ თქვა: „ფესვები ჩვენზე ადრე კვდებიანო“, როგორ უნდა გავიგოთ ეს?

— როცა შენც ფესვი გახდები, გაიგებ.

— მე შვილი მყავს.

— ეგ არ კმარა.

ტაქსში ჩავჯექი და ქალაქგარეთ წავედი. თუ შეგიძინევათ კახეთის გზაზე, ლილოს გადასახვევთან ერთსართულიანი, პატარა სახლი? აი სწორედ იმ სახლში მივდიოდი.

მახსოვრობას საშუალება არ უნდა მისცე, იბარპაშოს, თორემ შეიძლება ისეთი ვერაგული ოინი გავიკეთოს, რომ თავს ველარ დააღწევ. აქამდე ის ბოთლში საიმედოდ მყავდა ჩამწყვდეული, ჭინივით, დღეს კი ბოთლს საცობი მოვხსენი, შემთხვევით თუ შეგნებულად არ

თამაზ ზილაძე

აკონიფონის სასახლე

ვიცი, და ამის გამო იყო ასე რომ დავ-
წაწალებდი.

იმ სახლში ჩემი კლასის მეგობარი
დათო მუჭირი მეგულეობდა. მე და და-
თო განუყრელი ამხანაგები ვიყავით.
ჩემთანაც შინ ბევრჯერ მოსულა, სალა-
მომდე დარჩენილა. დედაჩემს დათო
მოსწონდა, კარგი ბიჭიაო, ამბობდა. რამ-
დენმა წელმა გაიარა მას შემდეგ? ზუს-
ტად ოცდასამმა. სკოლის დამთავრების
შემდეგ დათო აღარ მინახავს. სად და-
იკარგა? ნუთუ ერთხელ მაინც არ გავახ-
სენდი? მე კი მახსოვდა, დიდხანს მახ-
სოვდა, მაგრამ...

იმ სახლში სხვები დამხვდნენ, რკი-
ნიგზელი ცოლ-ქმარი. იმათგან შევიტყუე,
რომ დათო და მისი მშობლები აქ დიდი-
ხანია აღარ ცხოვრობდნენ. სადღაც სო-
ფელში. გადასახლებულან, რატომ ან
რისთვის, არ იცოდნენ.

— დათოს მატარებელმა ფეხი მოჭრა,
— მითხრა ქალმა.

— როდის?

— აი სწორედ მაშინ, ჩვენ რომ ამ
სახლს ვყიდულობდით.

— როგორ?

— არ ვიცი...

ტაქსი მიცდიდა. შოფერს ფული გა-
დავუხადე და გამოვეუშვი. გზას დავა-
დექი, ისე გაჩქარებული მივდიოდი,
თითქოს ვიცოდი, სად მივდიოდი. დიდ-
ხანს ვიარე ასე, მერე გზიდან გადა-
ვუხვიე და ახლა ტრიალ მინდორს და-
ვადექი, მერე მზისგან გადახრუკული
გორაკები დაიწყო და ყველაფერი უდა-
ბნოს დაემსგავსა. არაფერს არ ვფიქ-
რობდი, უაზროდ მივაბიჯებდი სადღაც.
თითქოს რაღაცას ვავუბრუნებდი. დაღამ-
და. მე მაინც მივდიოდი. მერე ქვაზე
ჩამოვჯექი. დიდხანს ვიჯექი ასე, ერთი-
ანად გამოცარიელებული და მოწყვეტი-
ლი. იმან გამომამხიზლა, რომ ძალიან
შემცივდა, ამაძაგძაგა. აქ რამ მომიყ-
ვანა, — გავიფიქრე, — რა მინდოდა?
არ ვიცოდი, სად ვიყავი. გამოვბრუნდი,
აღლებულად მივდიოდი, ბნელში ვერა-
ფერს ვხედავდი. მერე მაცვლის ბარ-

დებში გავიხლართე. სახე, ხელემი და
ტანისამოსი ჩამოვიფხვრიე. როგორც
იქნა, გამოვალწიე და გზაზე გამოვე-
დი. ასანთი ავანთე, საათზე დავიხედე,
ორის ნახევარი იყო. მანქანები აღარ და-
დიოდა. წამოვედი, იქნება სახლი შემხ-
ვდეს-მეთქი სადმე და სწორედ ამ დროს
შორს გაჩაღებული შენობა დავინახე.
სირბილით მივედი იქამდე, ვაზიანის
სადგური აღმოჩნდა.

სადგურში კაცის ჭაჭანება არ იყო.
მორიგეს კარზე დავაკაკუნე.

— მობრძანდით, — დამიძახეს შიგნი-
დან.

კარი შევალე, შევედი. მაგიდასთან
გამხდარი ბიჭი იჯდა. მაშინვე თვალში
მისი უზარმაზარი ყურები მეცა, თით-
ქოს ყურების მაგივრად ანგელოსის
ფრთები გამოსხმიო. ალბათ, საშინელი
შესახედავი ვიყავი, რადგან წამოდგა და
კედელთან აიტუზა.

— ნუ გეშინიათ, — ვუთხარი მე, —
მაცვლის ბარდებში დავიკაწრე ასე.

ამან, ეტყობა, კიდევ უფრო შეაკრთო
მორიგე, ამიტომ ჭიბიდან საბუთი ამო-
ვიღე და გავუწოდე. დიდხანს კითხუ-
ლობდა და სინჯავდა საბუთს. ერთი-ორ-
ჯერ შემომხედა, ალბათ, ფოტოსურათის
სისწორეს ამოწმებდა, მერე მითხრა:

— დაბრძანდით! დაბრძანდით!

სკამზე ჩამოვჯექი.

— თბილისამდე, რა თქმა უნდა, მა-
ტარებელი აღარ იქნება? — ვკითხე.

— დილაამდე მატარებელი არ იქნე-
ბა, — მიპასუხა და საბუთი გამომიწო-
და, — რა დაგემართათ, ავარიში მო-
ყევით?

— არა.

— აჰა, — თქვა მან ისეთი კილოთი,
თითქოს მისთვის უცებ ყველაფერი ნა-
თელი გახდა.

ალბათ გიყი ვგონივარ, — გავიფიქ-
რე. ჩემს შემხედვარეს უსათუოდ ასე
უნდა ეფიქრა.

— რამე საკმელი გექნებათ...

— როგორ არა, — მიპასუხა სწრა-
ფად და კარაღიდან მაწვნის ქილა და
შოთის ნატეხი გამოიღო, მომაწოდა:

— მიირთვით.

მაწონი და ის ერთი ნატეხი პური წამ-
ში შევთქვლიფე და ხელებში შევაც-
ქვრდი.

— მეტი არაფერი მაქვს, — მომიბო-
ლიშა მან.

ვთხოვე:

— თბილისში დამარეკინეთ, თუ შე-
იძლება.

— კი, ბატონო, მაგრამ ეს არც ისე
აღვილი საქმეა.

როგორც იქნა დავრეკეთ. დიდხანს
რეკდა ტელეფონი ჩემს ბინაში. როგორ
მშვიდად ძინავთ! — ვეფქრობდი და
ბრაზი მიპყრობდა: ვითომ შინ ვიყავი,
ისე მშვიდად ეძინათ.

— გისმენთ — გავფონე ლიას ხმა,
თითქოს ამ შუალამისას, ჩემს გარდა,
სხვის დარეკვასაც ელოდა. ამან კიდევ
უფრო ვაძაცოფა:

— გძინავს? — ვკითხე. ხმაში რაც შე-
იძლება მეტი ირონია გავურთიე.

— ვიგა ხარ?

— აბა სხვა ვინ უნდა ვიყო?

— საიდან რეკავ? — მკითხა და ვიგ-
რძენი, როგორ დამთქნარა.

— ჯანდაბიდან!

ლიამ გაიცინა:

— აღარ აპირებ შინ მოსვლას?

— არა და არც არასოდეს აღარ მო-
ვალ!

— რატომ, ჯენაცვალე? — მკითხა ძა-
ლიან მშვიდად, თითქოს პიჯაკიდან ძაფს
მამორებდა.

— იმიტომ, რომ არ არის საქირო.

— კარგი, დაკიდე ახლა ყურმილი და
მოდი, მეძინება.

— ვერ მოვდივარ, ვერა! — ვუყვირე,
თან მორიგეს გავხედე ცალი თვალით.
გაზეთი გაეშალა, ვითომ კითხულობდა.

— სადა ხარ?

— ვაზიანში!

მორიგემ გაზეთი გასწია და თავი დამი-
ქნია, დამიდასტურა, ნამდვილად ვაზი-
ანში ხარო.

— აბა, იყავი მანდ!

— დაიცა, არ დაკიდო! — შემეშინდა,
ხომ შეიძლებოდა, მართლა ხუმრობა

გონებოდა და ყურმილი დაეკიდა? მი-
გან ყველაფერი მოსალოდნელია, მაგრამ
მე კი ახლა ამ ტელეფონის მავთულს
ვეკიდე ორმოში ჩავარდნილივით და ის-
იც რომ გამწყდარიყო, რა უნდა მექნა!
— მე მართლა ვაზიანში ვარ, — ვუთხა-
რი, — ვაზიანის სადგურში.

ლია დიდხანს გულიანად კისკისებდა.
მოთმინებით ვიცდიდი. მერე ხმა შეეც-
ვალა, გაჩუმდა, მეც ჩუმად ვიყავი, ვა-
ცდიდი, რომ მის გონებაში შეედწია
ჩემს ნათქვამს, თან რატომღაც იმას
ვეფქრობდი, რომ არა, არ შეიძლება
ქალები ტელეფონისტებად მუშაობდ-
ნენ-მეთქი.

— სა-ა-ა-დ? — როგორც იქნა ჩემი
ნათქვამი მისი გონების რომელიღაც
უჯრედში ჩავარდა, ბილიარდის ბურ-
თივით.

— ვაზიანის სადგურში, — ვუთხარი
ძალიან მშვიდად, არ მინდოდა დამეფ-
რთხო, — მერე მოგიყვები ყველაფერს.

— ცოცხალი ხარ? — იყვირა ლიამ.

— კი, ცოცხალი ვარ, ნუ გეშინია.

ეტყობა, არ უნდა მეთქვა, ნუ გეშინ-
ია-მეთქი, ამით უფრო დავაფრთხე,
ტირილი დაიწყო:

— ვიგა... ვიგა...

— კარგად ვარ, კარგად!

— ახლავე მოვდივარ! — თქვა უცებ
მტკიცე ხმით.

— დაიცა...

მაგრამ ლიამ ყურმილი დაკიდა.

მორიგემ ხელ-პირი დამაბანინა. მე-
რე ჭადრაკის თამაში შევთავაზე (დაფა
კარადის თავზე დავინახე) მხოლოდ იმ-
იტომ, რომ მართლა არ იფიქრა, გი-
ჟიანო. ორი ხელი მომიგო, მერე ჩემ-
თან ჭადრაკის თამაშის ყოველგვარი
ინტერესი დაკარგა, რატომღაც დასეუ-
დიანდა, ახლა ქალაქობანა ვითამაშოთო,
— მითხრა. ეს თამაში ვიცოდი, რადგან
მამუქას ვეთამაშებოდი ხოლმე.

— რა ასოზე — ვკითხე.

— სულერთია, თუნდაც ბ-ზე.

თამაზ ჰილაძე
პოსამიფონის სასახლე

— კარგი.

ქალღმერთი და ფანჯარი მომავლდა და მე ქალაქების სახელების ჩამოწერა დავიწყე: ბათუმი, ბერლინი, ბრიანსკი, ბრატისლავა, ბარსელონა, ბომბეი, ბრნო, ბაქო, ბორჯომი, ბრესტი, ბუენოს-აირესი, ბაბილონი, ბალდადი, ბონი, ბეირუთი, ბელგრადი, ბელორეჩინსკი, ბილბაო, ბირმინგემი, ბორდო, ბოსტონი, ბუქარესტი, ბუხარა, ბრაზილია, ბრიუსელი, ბუდაპეშტი...

ღმერთო, — ვფიქრობდი, — რამდენი ქალაქია ამ ქვეყნად და მე მაინცდამაინც ვაზიანში რა მინდა?

ლიამ კარი შემოაღო, დამინახა თუ არა, იქვე ჩაიკეცა. მივცვივდი, წამოვაყენეთ, სკამზე დავსვით. როდის როდის გაახილა თვალი და პირველი რაც მკითხა, იყო:

— გცემეს?

მორიგესი შემრცხვა:

— ვის უნდა ვეცემე?

— გცემეს, ნამდვილად გცემეს, — დაიჩემა ლიამ, თან სახეზე ხელებს მიფათურებდა, — გტკივა?

— არა.

— აბა ახლა მითხარი, ვინ გცემა?

— არავის არ ვუცემივარ, აღამიანო, რატომ უნდა ვეცემე?

— წამო, შინ წამო.

მორიგეს დიდი მადლობა გადავუხადე, მას, ალბათ, ახლა არამართო მე, ჩემი ცოლიც გიყი ეგონა და მთელი სიცოცხლის მანძილზე ჩვენზე ასე უნდა ეფიქრა.

ლიას უხმოდ მიყავდა მანქანა. მის გვერდით ვიჭექი, თვალი დახუჭული მქონდა, ვითომ მეძინა, მძინარეს ხომ არ დაუწყებდა ჩხუბს?

მაგრამ ლიას მოტყუება არც ისე ადვილი იყო.

— ასეც ვიცოდი, — თქვა მან, — ასეც ვიცოდი.

ამან ისე დამაინტერესა, რომ თავი ვერ შევიკავე და ვკითხე:

— რა იცოდი მაინც?

— დღეს ისე იყავი ატეხილი...

სახლამდე ისე მივედი, ხმა აღარ

ამოგვიღია. როცა გარაქმი მანქანას ვაყენებდით, ლიამ მითხრა:

— გიგა, იცოდე, ეს არასოდეს, ვერასოდეს აღარ გაიმეორო.

მერე ჩაბნელებულ ოთახში ვიწექი და ვფიქრობდი: ჯობს შენს თავს მოუარო, სინდისის ქენჯნა არაფრის გამო ჭკუანაკლულობის ნიშანია. დაეტიე შენს კანში, ყველამ თავის თავს მოუაროს.

ლიას ჩურჩული გავიგონე.

— გიგა, გიგა.

— რა?

— ისევე იმაზე ფიქრობ?

— არა.

რა იცოდა რაზე ვფიქრობდი?

— დაიძინე.

— ხო.

მაგრამ მე ჭკუანაკლული ამკარად არა ვარ, არც სინდისის ქენჯნა შეიძლება უმიზეზოდ...

— დაიძინე!

— ხო... ხო...

ლიამ, როგორც იქნა, დაიძინა. ახლა შემეძლო თავისუფლად მეფიქრა. დღევანდელმა ამბავმა შემადრწუნა, ჩემგან ამას არ მოველოდი. რა დამემართა? იქნებ სოლომონი დიდხნის მკვდარიც კია და მხოლოდ ჩემს წარმოდგენაში ვესაუბრებოდი? უსათუოდ ფსიქიატრთან უნდა წავიდე. არა, არ ივარგებს, ხალხს მეტი კი არ უნდა, იტყვიან გაგიტადო-უკეთესია იოგების რომელიმე ვარჯიში ვისწავლო, დავდგები თავდაყირა და ვიქნები ჩემთვის. დავიდალე და ყველაფერი იმის ბრალია. კი მაგრამ, რამ დამალა? ორი წელია საბეჭდ მანქანასთან არ დავმჯდარვარ. არც მინდა, დასანახად მეზარება. ლია კი ყოველდღე დიდის ამბით წმენდს, მტვერს აშორებს, ჩემს დასანახად, უნდა მიმიტყუოს. არა, გათავდა. წავალ, რამე სხვა სამუშაოს ვიშოვნი. მივალ, ვთხოვ, გამომცემლობის რედაქტორის ადგილს მაინც არ მომცემენ?

უცებ იმ ხალხის შემშურდა, ვინც ყოველდღე რვა საათის განმავლობაში მაგიდასთან ან დაზვასთან თავაულებ-

ლად შრომობს. შემშურდა თუნდაც იმ ვაზიანელი მორიგესი, ყურების მაგივრად ანგელოსის ფრთები რომ ეს-ხა. ასეა მთელი კაცობრიობის უმეტე-სობა. მე კი მერვე კლასის სახელმძღვა-ნელოდან ამოწერილი ფორმულებით რაღაცას ვთითხნი და თანაც შემძლია, მთელი წელიწადი ისე ვიჯდე, ხელი არ გაეანძრო. ნამდვილი მწერალი მაინც ვიყო. თუმცა ვინ იცის, ვინ არის ნამ-დვილი მწერალი, ყველაფერი მერე გა-ირკვევა. — ეს აზრი ვერაგულად შე-მომეპარა. — ვერ ხედავ შენს გარშემო რა ხდება? შენ თანამდებობას მაინც არ ეძებ, ხარ შენთვის, კარტს არავის უწყობ. შენ ოჯახს მიხედე, რა სინდისის ქენჯნა აგიტყდა?

ფრთხილად წამოვდექი. ფეხშიშველა გავედი სააბაზანოში, შუქი ავანთე, კარი ჩაკვეტე და სარკესთან გავჩერდი.

— გამარჯობა, — ვუთხარი ჩემს თავს, — გცემს?

— მართლა უნდა ვეცემეთ, ღირსი ვიყავი.

— რატომ, ბრავო?

— ამას მერე ვეტყვი.

— მაინც როდის?

— როდისმე.

სარკიდან მახინჯი, დაკარული სახე შემომცქეროდა, ვილაც მოუხერხებელი ილუზიონისტის მიერ შეკოწიწებული, სხვადასხვა ყუთიდან ამოღებული ცხვი-რით, თვალებით, პირითა და ყურებით. იმდენად საძაგელი შესახედი იყო, თვა-ლი ავარიდე, აბაზანის კიდეზე ჩამოვ-ჯექი. ნეტა პაპიროსი წამომელო, ვიქნე-ბოდი აქ დიღამდე და არა მარტო დი-ღამდე, სულ აქ დავჩეხბოდი. აბაზა-ნაში ჩავიხედე, სარეცხით იყო სავსე, ყველაზე ზემოთ მამუკას ჭრელი მაი-სური მოჩანდა.

მე მოვალე ვარ, მოვალე — გამიელ-ვა ბედნიერმა აზრმა, — მოვალე ვარ, ჩემს ოჯახზე ვიფიქრო!

მაშინვე კარგ გუნებაზე დავდექი. სიფრთხილე დამავიწყდა და სიმღერა დავიწყე. ციტანის მერე კარებზე ბრა-ხუნი ატყდა:

— გიგა, გიგა!

— რა გინდა, გენაცვალე, — დავიწყე ძალიან მშვიდი ტონით, — რატომ მომასვენებ ერთი წუთით. ამ სახლში მეც ხომ მეკუთვნის ერთი კუთხე, აი ჩემი კუთხე ეს არის. დამაყენეთ.

— ერთი წამით შემომიშვი.

— ბოლოსდაბოლოს, ვინ ხარ, რა გი-ნდა?

— ძუძუებით რძე მომაქვს, პირით ბალახი, — მომიჩლიქა ენა ლიამ.

ჩემი ცოლ-შვილი სულ ასე მეთამა-შება, თითქოს მე ვიყო ბავშვი, ისინი კი ჩემი მშობლები.

სააბაზანოს კარს იმიტომ არ ვაღებ-დი, რომ ლიასი მრცხვენოდა, ასე შუა-ღამისას შტერივით სიმღერაზე რომ დამიჭირა და რადგან მრცხვენოდა, უფრო და უფრო უხეში ვხდებოდი.

— წადი დაიძინე, გამანებე თავი!

— გიგა, შენი ჭირიმე, ერთი წამით შემოვალ და მაშინვე გამოვბრუნდები, მერე რამდენიც გინდა, იმღერე, შემო-მიშვი!

— მაინც რა საქმე გაქვს ასეთი გადა-უღებელი, ჩემი პერანგის გარეცხვა და-გავიწყდა და იმან გამოგაღვიძა, თუ რა? — არ გრცხვენია, მე შენ პერანგს არ გირეცხავ? შემომიშვი, ოდესკოლონი უნდა ავიღო.

— ოდესკოლონი რად გინდა?

— მინდა ალბათ... აი მამუკამაც გაი-ღვიძა. წადი, მამუკა, აქედან!

— მამა რატომ მღერის? — იკითხა მამუკამ.

— მამუკა! — დავუძახე შვილს.

— რა გინდა? — მიპასუხა მკვახედ, ეტყობა, ჩემმა უმსგავსო საქციელმა გა-აბრაზა.

— მამუკა, ამხანაგები გყავს?

— შენ?

— მე კი!

მერე ყველაფერი თავისი ჩვეულებ-რივი გზით წავიდა.

— შურთ შენი, — მეუბნებოდა ლია,

თამაზ ზილამაძე

პოსაილონის სასახლე

ეგ არაფერი, ყველა დიდი მწერლისა შურთ.

ახლა კი მგონი, დროა ის ამბავი მოგიყვებ, ერთხელ კიდევ რომ ავთორიაქა ჩემი ცხოვრება. აქვე მინდა გაგახსენოთ ის, რითაც ეს მოთხრობა დავიწყე: ყველაფერი მახსოვრობის ბრალი იყო, ჩემდაუნებურად ისევ რომ გამოვლავძიებ.

ერთ მშვენიერ დღეს ტელესტუდიოდან დარეკეს, ყურმილი ლიამ აიღო. ცოტახანს ელაპარაკა ვიღაცას, მერე მითხრა:

— შენზე გადაცემას ამზადებენ — „მწერალი სტუდიაში“. დღეს საღამოს იქიდან რედაქტორი მოვა.

— თუკი მამა ტელევიზორში გამოდის, აქ რილასთვის უნდა მოვიდნენ, არ ჯობია, მამა თვითონ წავიდეს იქ? — იკითხა მამუკამ.

ეს კითხვა მეტად უადგილო იყო. ტყუილია, რომ ამბობენ, ბავშვის პირით ჭეშმარიტება დალადებსო. ერთი წუთით ეჭვიც კი შემეპარა მამუკას გენიოსობაში. აქამდე უნდა შეჩვეოდა იმას, რომ მამამისს აქეთ აკითხავდნენ.

— ჩემო პატარა იულიუს, — მინდოდა მეტქვა შვილისთვის, — შენ, ეტყობა, ჯერ კიდევ არ იცი, რომ მწერლები ორ კატეგორიად იყოფიან: ერთნი, რომლებიც იხვეწებიან ტელევიზორში გამოგვიყვანეთო და მეორენი, რომლებსაც შინ უგზავნიან რედაქტორს. — მაგრამ გაჩუმება ვამჯობინე, პედაგოგიურ ემშაკობას მივმართე: უმჯობესია, ბავშვი თვითონ მიხვდეს ყველაფერს!

მე ტელესტუდიაში მისვლა არ მიყვარდა. ალბათ, იმიტომ, რომ ვგრძნობდი, ეს იყო ერთადერთი ადგილი, რომელიც ჩემს შემოქმედებას შეეფერებოდა, თავისი ჯადოსნური მანქანებით მიღწეული სინამდვილის ილუზიის გამო.

ოთქოს ტელევიზორის ყუთი ის გა-

ლია იყო, რომელშიაც უსათუოდ შეუნდა ჩავესვით და ასე უნდა გვეყოლოდა დღით სულ, შიგ გამოკეტილი და, თქვენს წარმოდგინეთ, გულის სიღრმეში შეშინოდა, რომ შეიძლებოდა მართლაც ასე მომხდარიყო. ვიჯექი მის რკინის სავარძელში, როგორც საყვარელი ბავშვი ციკლოპის კალთაში და ათასი პროექტორი მქონდა მონათებული. მე, რასაკვირველია, იმათ ვერ ვხედავდი, ვინც შემომკეტირდა, ეს მქონდა ნუგეშად, მაგრამ იყო ერთი რამ, რაც ტექნიკასაც კი ამარცხებდა, მინის ჯავშანს შუბივით ხერტდა და ზედ შუბლზე მესობოდა, ეს იყო ლიას თვალი, აღტაცებითა და სიყვარულით სავსე და სწორედ ამის გამო მილიონჯერ გადიდებული. ერთხელ კინალამ ეკრანიდან დავუძახე: ნუ მიყურებ ასე, უხერხულია!

მთავარი მიზეზი, რომელიც ტელევიზორისკენ მეწეოდა, მაინც მამუკა იყო. მამუკას ტელევიზორი უყვარდა მშობლებზე მეტად და მშობლები რა მოსატანია, უყვარდა ბურთზე უფრო. თავდავიწყებამდე იტაცებდა ეს უცნაური, მეტად მხიარული ჰიპნოტიზიორი, ისეთი დაუღლელო, რომ მხოლოდ მამუკასთანა ენერგიულ ადამიანებს შეეძლო მისთვის მხარი აეხა. ტელევიზორის ეკრანზე ჩემი ყოველი გამოჩენა მამუკას გულში ერთდროულად გაოცებისა და მოწონების გრძნობას ბადებდა. გაოცების იმიტომ, რომ მას ვერ წარმოედგინა, ის კაცი, რომელიც მთელი დღე ფლოსტების ტყაპა-ტყუპით ოთახებში დაწრიალებდა, უცებ ასეთი მახლობელი გახდებოდა, მშობლიური ტელევიზორის ფანჯრიდან შემოხედავდა, მოწიწებისა კი იმიტომ, რომ ის კაცი მამა იყო მისი.

საღამოს ტელესტუდიის რედაქტორი მართლაც მოვიდა. კარი მამუკამ გაუღო. მე ჩემს ოთახში ვიჯექი, თეთრი პერანგი და კოსტუმი მეცვა, ყელსახვევიც

მეკეთა, მზად ვიყავი, შეიძლებოდა რედაქტორს ოპერატორიც მოყოლოდა თან. ერთხელ მთელი ოჯახი გამოგვიყვანეს ტელევიზორში, მთელი დღე გვიღებდნენ სურათს. მე ხან ჩემს მაგიდასთან ვიჯექი, ვითომ გაფაციცებით რაღაცას ვწერდი, ხან მამუკას ვეთამაშებოდი: იატაკზე მოკალათებულნი რაღაც კონსტრუქციას ვაწყობდით, მგონი, ამწეს. მამუკას არ აინტერესებდა ასეთი თამაში, მაგრამ ტელევიზორის ხალხს წინააღმდეგობას ვერ უწევდა. ღია ხან სამზარეულოში ტრიალებდა, ახალ კაბაში გამოწყობილი და გამოკობტავებული, ხან კი ჩვენთან მოვიდოდა და სიყვარულით დაგვცქიეროდა.

— მამა შინ არის? — მომესმა ქალის ხმა.

— შინ არის, მობრძანდით, — უპასუხა მამუკამ.

მისი ასეთი ზრდილობიანი დახვედრა მხოლოდ და მხოლოდ იმით უნდა ამეხსნა, რომ სტუმარი ნამდვილად ტელესტუდიიდან იყო. მამუკა მათ ქუჩაშიც კი ცნობს. ზოგჯერ ისეთ ვინმეზე მეტყვის, აი ეს ტელევიზორში მუშაობსო, რომელიც მანამდე თვალითაც არ უნახავს. შეიძლება მათ მართლაც ეტყობოდეთ, მე პირადად, ვერ ვამჩნევ. ალბათ, მამუკას ამ პროფესიის ხალხისადმი ყნოსვა აქვს გამახვილებული.

წამოვდექი და წინკარში გავედი, იქ ქალი იდგა და მამუკას თავზე ხელს უსვამდა. მამუკას თვალები მიენახა.

ქალმა შემომხედა, კინალამ წავიქეცი.

— სოფიკო? — წავილულულდე.
— გამარჯობა გიგა! — მითხრა სოფიკომ და ხელი ფამომიწოდა.

მამუკამ ჩემი დაბნეულობა ბუნებრივად ჩათვალა, გასხლტა და სამზარეულოში გავარდა:

— დედა, დედა, ტელევიზორიდან არ-
ოან!

ღია გამოვიდა, წინსაფარზე წელზე/ იმპრალეზა (ისიც მზად იყო ~~მწერა~~ ^{გველმწერა} ლის მეუღლე, სანიმუშო დიასახლისი!), სახეზე ის ღიმილი დაებნია, რომელიც თავის რეკვიზიტში ამ შემთხვევისათვის ჰქონდა გადანახული:

— მობრძანდით! მობრძანდით!

ღიამ კარი გააღო და გარეთ გაიხედა, ალბათ, ოპერატორსაც ელოდა:

— მარტო ხართ?

— დიახ, — უპასუხა სოფიკომ.

— მობრძანდით. გიგა, რას გაჩერებულხარ, გაუძეხი სტუმარს.

პირველმა ელდამ გამიარა. მე ვიცოდი, რომ სოფიკოს როდისმე უსათუოდ შეგვხვდებოდი, მაგრამ ის თუ ჩვენთან სტუმრად მოვიდოდა, ეს კი არ მეგონა. ესეც შენი ტელევიზორი! ყველაფერს უნდა ელოდო მისგან. ახლა მთავარი იყო, თავი ისე დამეჭირა, ღიას არაფერი შეეტყო.

ჩემს ოთახში შევედი.

— დაბრძანდით, — ვუთხარი სოფიკოს და სკამი მივაწოდე.

— გმადლობთ, — მიპასუხა, თითქოს მიხვდა, რომ სანამ ღია აქ იყო, უკეთესი იქნებოდა, თქვენობით მიგვემართა ერთმანეთისთვის.

ღიამ ცოტახანს იტრიალა ოთახში, მაგიდაზე ქალაღლის დასტა გაასწორა, საფერფლეს ადგილი შეუცვალა. ეს იყო უსიტყვო გაფრთხილება: სტუმრად მოსულ ქალს უნდა ეგრძნო, რომ აქ მისი საბრძანებელი იყო.

ხმამალა კი თქვა:

— დაგტოვებთ, მშვიდად იმუშავებთ, მე ჩემს საქმეს მივხედავ.

ამასაც თავისი ქვეტექსტი ჰქონდა: მე, სხვა ცოლებივით, ქმრის საქმეში ცხვირს არ ვყოფ!

თამაზ ზილამაძე

აკოსიდიონის სასახლე

სოფიკოს შევხედე, სრულებით არ გამოცვლილიყო, ოღონდ თვალებთან ნაოჭები გასჩენოდა. ხო, თმაც შეეღება. თორმეტი წლის წინ ქერა იყო, ახლა კი მუქი წაბლისფერი თმა ჰქონდა. ეცვა სადა, გრძელსახელოებიანი ლურჯი კაბა, რომელზედაც ოქროსბალთიანი ქამარი ერტყა. ტყავის შავი, დიდი ჩანთა, მხარზე რომ გრძელი ღვედით ეკიდა, მის გარეგნობას საქმიანი ადამიანის იერს აძლევდა.

ჩანთა მოიხსნა, მაგიდაზე დადო და იქიდან ბლოკნოტი და კალმისტარი ამოიღო.

— დავიწყოთ? — მკითხა და გამოიღმა.

— დავიწყოთ.

სოფიკომ კალამი მოიმარჯვა, მაგრამ მაშინვე ისევ მაგიდაზე დადო. ჩანთა ისევ გახსნა, იქიდან ახლა სიგარეტის კოლოფი ამოიღო:

— ჯერ მოვწიოთ.

ასანთი ავანთე, მივაწოდე.

— შენ არ მოწვევ? — მკითხა.

მეც მოვუკიდე სიგარეტს.

— როგორ დაბერებულხარ, — მითხრა სოფიკომ და კვამლს ხელი ისე გაუქნია, თითქოს ფარდა გადასწიო.

გული ჩამწყდა, ეს რომ მითხრა:

— ყოველთვის დაუნდობელი იყავი!

სოფიკომ გაიცინა:

— განა მეც არ დავბერდი?

— არა.

— იცი, შენთან სხვა უნდა წამოსულიყო, მაგრამ ვთხოვე და მე გამომიშვეს.

— როდის დაიწყე ტელესტუდიაში მუშაობა?

— ორი თვეა. ორი თვეა, რაც თბილისში ჩამოვედი.

— სად იყავი?

— არც კი იცი... მე ათი წელი მოსკოვში ვცხოვრობდი.

— ათი წელი?

— აი ხომ ხედავ?

— რას ვხედავ?

— კარგი, კარგი... გვეყოფა.

ჩემი გამოსვლის პროგრამის შედგენა

დავიწყეთ: რა უნდა ეკითხათ, რა უნდა მეპასუხა (გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად), რომელი ნაწყვეტები უნდა ერჩვენებინათ ჩემი ფილმებიდან, რომელი სცენები სპექტაკლებიდან და ასე შემდეგ.

მე, თუმცა სოფიკოს ველაპარაკებოდი, უკვე სხვაგან ვიყავი და არამართო სხვაგან, მოგონებამ თორმეტი წლის იქით გადამისროლა.

ადრე, მგონი, გითხარით, ფიქრით ერთდროულად სხვადასხვა ადგილას შემიძლია ვიყო-მეთქი. ისე რომ თანამოსაუბრე ვერც კი შეამჩნევს, და თუ არ ვცდები, ამის დასამტკიცებლად მაგალითიც მოვიყვანე.

უცებ სოფიკომ წერა შეწყვიტა, თავი ასწია და თქვა:

— გესმის, ეს პოსეიდონის ხმაა! — თითქოს თავის თავს ელაპარაკებო.

— გეშინოდეთ მისი, — ვუპასუხე მაშინვე, გამახსენდა რომ ეს ჩვენი თამაში იყო (მე ხომ ყველა მეთამაშებია!), თორმეტი წლის წინათ ზღვასთან მოგონილი თამაში: ვინ იტყოდა პოსეიდონზე ყველაზე მახვილგონიერ რამეს.

— ის ღმერთებს შორის ყველაზე უფრო ადამიანურია, — თქვა სოფიკომ.

— პოსეიდონი ცხოვრობს ოლიმპოსგან შორს, როგორც შერისხული გუბერნატორი ოკეანის რომელიმე ნამცეცა კუნძულზე, — ვთქვი მე.

— ამიტომ ის ნახევრად ღმერთია და ნახევრად პლანტატორი, რომელიც თუ რამეს დავაშავებთ, მათრახით გვსჯის.

ახლა ეს ჩემთვის მართო თამაშის გახსენება კი არა „სეზამ, გაიღეს!“ მსგავსი პაროლიც იყო, რომელიც ჩემს მახსოვრობას გარკვეულ მიმართულებას აძლევდა და იმ გზაზე აყენებდა, რომელიც მეგონა, რომ სამუდამოდ დავივიწყე.

●

ზევისის ძღვეამოსილი ძმა, პოსეიდონი ზურმუხტის ტახტზე ზის, ხელში განუყრელი სამითა უჭირავს.

სასახლეში სიჩუმე გამეფებულია. ტახტის საფეხურზე დელფინებს დაუსვენებიათ მახინჯი, ჭკვიანი თავები, მზად არიან შეასრულონ მბრძანებლის ყოველი სურვილი.

პოსეიდონის მეუღლე, ამფიტრიტე ღარიბი მებაღურისთვის ბადეს ქსოვს. სიჩუმეს ზოგჯერ ბუკის ხმა დაარღვევს ხოლმე, ტრიტონი ზღვის ცოფიან ქარიშხლებს ახელებს, პოსეიდონს გალიაში რომ ყავს დამწყვდეული.

პოსეიდონი იგონებს, როგორ მოსტაცა ატლანტს ამფიტრიტე: სწორედ მაშინ, როცა ატლანტს მხრებით ცის თალი ეჭირა და იქვე სკამზე დასკუპებული ამფიტრიტე ქმარს აღტაცებული შესცქეროდა, პოსეიდონი მოვარდა, ქალს ხელი ჩაჰკიდა და თავის სასახლისკენ გააქანა.

პოსეიდონი ღმერთი იყო და მუხანათობაც ღვთაებრივი ჰქონდა.

ამფიტრიტე მხოლოდ მაშინ მოვიდა გონს, როცა ოქროს საწოლზე პოსეიდონმა კოცნა დაუპირა.

— ოპო? — თქვა მან და მეტი არაფერი უთქვამს.

საყავეს ბრტყელ სახურავზე ჩალის სკამები ეწყო. ამ ადგილს გემბანს ვეძახლით და მართლაც გემბანს გავდამის თავზე, წვიმისგან დასაცავად, ბრეზენტი გადაეჭიმათ.

აქ მუდამ ნახავდით ერთ ყაზანელ მწერალს, სულ ჭადრაკის დაფას რომ დაჰყურებდა და, მგონი, მართლაც აქ სხვა არაფერი უნახავს.

ამ კაცს ზოგჯერ ედიშერი ეთამაშებოდა და მერე სულ გაბრაზებული დადიოდა, რადგან აგებდა. არც შეიძლებოდა, რომ სხვანაირად ყოფილიყო. ძალიან დიდი უსამართლობა იქნებოდა, ასეთი უმავალითო ასეკტობის მერე ყაზანელ მწერალს თუნდაც ერთი პარტია რომ წაეგო.

ის კაცი გემბანზე საქმისადმი ერთგულების ცოცხალ ნიმუშად იჯდა და რომელიღაც ძველ ინდურ ღვთაებას მა-

გონებდა. ანდა პაგოდიდან გაღრმოსულ ბერს, რომელმაც შეიძლება ყოველწამს ბენზინი გადაისხას და დაიწვას. ამიტომ ამ კაცს ყოველთვის მორიდებით ვესალმებოდი ხოლმე. ჩვენს შორის მხოლოდ ედიშერი უბედავდა დალაპარაკებას. თუ, რა თქმა უნდა, ლაპარაკად ჩავთვლით იმ რამდენიმე სიტყვას, რომელიც ჭადრაკის თამაშის დროს აუცილებელია.

ქუჩის ერთ მხარეს კირით შეფეთილი დაბალი სახლები იდგა, ღია ფანჯრებიდან ყოველთვის შემწვარი თევზის სუნი გამოდიოდა. მეორე მხარეს კი ახალი შენობები ჩამწყვირებულიყო: კინოთეატრი, უნივერსალი, საბჭო, მილიცია. რესტორანი, საზაფხულო კაფე, ფოსტა, მალაროელთა დასასვენებელი სახლი. ამ სახლის გვერდით, ეზოს სიღრმეში, იდგა თევზის ქარხნის სამსართულიანი უშნო შენობა. მერე კვიპაროსების მწკრივი იწყებოდა. კვიპაროსების იქით, მომიშვლებულ, ასფალტმოსხმულ მოედანზე მანქანების სადგომი გაემართათ. მანქანების სახურავზე მაგრად შეკრული ტვირთი იდო და ტვირთის ქვეშ მანქანები ხოჭოებივით მოჩანდა. ქვის დაბალ ყორეზე ჩამომჯდარი შუახნის ქალი და კაცი საზამთროს შეეცეოდნენ.

ნაპირს კატერი მოსდგომოდა, საიდანაც ზღვაზე გასეირნების მსურველებს ყვირილით ეპატიებოდნენ..

ბიჭმა პლიაქზე ჭყინტი სიმინდი მოიტანა გასაყიდად. იმდენი სიმინდი ვიციდეთ, რომ კალათი დაუცარიელდა. ბიჭი მოგვეწონა. მერე მან ტანსაცმელი გაიხადა და ჩვენთან დარჩა. კარგად ცურავდა. წყლიდან რომ ამოვიდა, ჩვენს გვერდით ქვებზე გაწვა.

— რა გქვია? — ჰკითხა გვიმ.

თამაზ ჰილაძე

პოსეიდონის სასახლე

— ომარი.

ამ დროს გოგოებიც ჩამოვიდნენ პლი-
აჟზე, სოფიკო და მანანა. კაბინებში შე-
ვიდნენ და საბანაო კოსტუმები ჩაიც-
ვეს, მერე ჩვენსკენ წამოვიდნენ. სო-
ფიკოს გასაბერი ლეიბი მოეკიდა ზურ-
გზე.

— ახალი მეგობარი გაგიჩენიათ! —
თქვა მანანამ.

— ეს ომარია, ჩვენი ძმაცაიცი!

— ომარ, რომელი გოგო მოგწონს?
— ჰკითხა გვიმი.

ომარმა დაიმორცხვა, პირზე ხელი აი-
ფარა და გვერდზე გაიხედა.

— ზვიგენია! — თქვა სოფიკომ.

— მამაჩემმა ზვიგენი დაიჭირა, არ
გჯერათ? — გამოცოცხლდა ომარი.

— ზვიგენს შავ ზღვაში რა უნდა? —
გაუკვირდა ბადრის.

— დედას გეფიცები, მეც იქ ვიყავი,
ნავში ამოათრია და კინაღამ ყველანი
წყალში გადაგვყარა იმ ზვიგენმა. მამა-
ჩემმა თავში ცული ჩაარტყა და მოკლა.

— შენ ის გვითხარი, რომელი გოგო
მოგწონს, ბიჭო? — არ ეშვებოდა გი-
ვი.

— აგე ის! — ომარმა სოფიკოზე მი-
უთითა.

გელას ეს არ მოეწონა:

— შენ ასწავლე? — მკითხა.

— გაგიჟდი?

მერე ომარი ყოველდღე ჩვენთან მო-
დიოდა, სიმინდი ახლა უფასოდ მოჰ-
ქონდა, ფულის დაბრუნება უნდოდა,
მაგრამ არ გამოვართვით.

— მამაჩემმა რომ გაიგოს, სიმინდი
გაყვიდე, მომკლავს, — გვითხრა მან. —
მაგრამ ფულს ვაგროვებ და... თბილის-
ში მინდა წავიდე.

— თბილისში რა გინდა?

— ისე გავივლი ცოტას, დედაქა-
ლაქში.

— კი მაგრამ, სად ხარშავ ამ სიმინდს,
შინ თუ არ იციან? — ჰკითხა ედიშერმა.

— ერთი გოგოა და ის მიხარშავს.

— შენ, ძმაო, დამთავრებული ყო-
ფილხარ!

ომარმა ჯიბიდან სიგარეტის კოლორჯი
ამოიღო და მოგვაწოდა:

— მიირთვით!

— რას გავს ეს! — შემოგვესმა ამ
დროს ელიზბარის ხმა, — რა დროს შენი
პაპიროსია, შე ცინგლიანო, შენ!

ელიზბარი ეს წუთია ჩამოვიდა პლი-
აჟზე და ჯერ არ დაბინაგებულიყო.
უამრავი რამ ჰქონდა თან წამოღებუ-
ლი: გასაბერი ლეიბი, კარავი, ტრანზის-
ტორი, თერმოსი, კარტი, ლასტები,
ფარდაგი, წიგნი. ახლა თავზე გვადგა
შორტებში და ცისფერ ზოლებიან მა-
ისურში გამოწყობილი, შავი სათვალე
ეკეთა და მშვენიერი საპლიაჟე ფრან-
გული ქული ეხურა.

— ყველაფერს ვაპატიებ ადამიანს,
მაგრამ უწყსობას ვერა, — თქვა ელიზ-
ბარმა.

წამოვდექით და ბარგი ჩამოვართვით.
ელიზბარი კარვის გაშლას შეუდგა, თან
ტრანზისტორი ჩართო, მაღალ ხმაზე,
თითქოს ელიზბარი კი არა, ბოშების ბა-
ნაკი დავგესხმოდეს თავს, თავიანთი და-
ირებით, გიტარებითა და დათვებით.

— პატარა უნიტაზიც რომ ჰქონდეს,
პატარა, რეზინის გასაბერი უნიტაზი, —
ჩაიბურტყუნა გვიმი ისე, რომ ელიზ-
ბარს არ გაუგონია, — დაჯდებოდა და
იქნებოდა თავისთვის...

მერე გაწვიმდა...

საყავეში ვისხედით მე, სოფიკო,
ბადრი, ედიშერი, გელა, გივი და მა-
ნანა.

მეზობელ მაგიდასთან მარტოდმარტო
იჯდა ცნობილი დრამატურგის მეუღლე,
ორმოცდაათ წელს მიღწეული ქერა, ლა-
მაზი ქალი, ოცი წლის გოგოს სხეული
და ბავშვის მუდამეჟმეს გაოცებული, დი-
დი, ცისფერი თვალები ჰქონდა. რატომ-
ღაც ფეიქრობდი, უსათუოდ რომელიმე
ყვავილის მსგავსად გრძელი, ლათინური
სახელი უნდა ერქვას მეთქი. ქალი ზოგ-
ჯერ ღიმილით გადმოგვხედავდა და იმ
ღიმილში იმდენი ცოდნა და გამოცდი-
ლება გამოსჭვიოდა, რომ უნებური სი-
მორცხვე და მორიდება გვიპყრობდა.

— ნება მომეცით დავლიო სოფიკოს

სადღეგრძელო, — თქვა გვიმ, რადგან ბადრიმ ეს წუთია კონიაკი მოიტანა და ყავის ფინჯნებში ჩამოგვისხა ყველას, — იმიტომ რომ სოფიკოს დაბადების დღეა.

— არა, გაიცინა სოფიკომ, — ჩემი დაბადების დღე აპრილშია.

— განა ამას რაიმე მნიშვნელობა აქვს? — უპასუხა გვიმ, — ჩემთვის შენ დღეს დაიბადე, რადგან ახლა, სწორედ ამ წუთას მივხვდი, რომ შენ ძალიან კარგი გოგო ხარ. ისე შენნაირი გოგო ჩვენისთანა მხეცებში ცოდაა.

ამ დროს ელიზბარი მიუახლოვდა ჩვენს მაგიდას (ასე მოულოდნელად იცოდა გამოჩენა):

— როგორ გეკადრებათ? — დაიწყო მან, მაგრამ უცებ სიტყვა გაწყვიტა, გატრიალდა, დრამატურგის ცოლთან მიიჭრა, ხელზე ეამბოროა და მერე ისევ ჩვენთან დაბრუნდა:

— როგორ გეკადრებათ?

სოფიკოს გვერდით ჩამოჯდა:

— როგორ გეკადრებათ, მხეცები რაჲ გაგახსენათ?

— ჩვენ გარეული ტახები ვართ, სოფიკო კირკეა! — უთხრა გვიმ.

— მე პირადად, — ელიზბარმა სოფიკოს შეხედა, — მე პირადად, ოღისევესობა პირჩენია.

— ვხეტივ ახლა ამ ბოთლს თავში და ეგ იქნება მაგის ოღისევესობა, — გადავულაპარაკე ბადრის ჩუმად.

— მოგცლია ერთი! — მიპასუხა ბადრიმ. ბადრი სოფიკოს ნათესავი იყო.

ეცებ ელიზბარი ადგილიდან წამოხტა, რადგან შეამჩნია დრამატურგის ცოლი წასვლას აპირებდა:

— მიბრძანდებით, ქალბატონო ადა?

— მივდივარ, — ქალის ჩაწიკწიკებულმა კბილებმა თვალისმოშკრულად განათეს.

— ასე ადრე?

— ჩემთვის გვიანაა, მე უკვე მოხუცი ვარ, — ქალმა გრძელი წამწამები დაახამხამა. პატარა გოგოებმა ტირილის წინ რომ იციან, ისე.

— რას ბრძანებთ? — შეპყვირა

ელიზბარმა, — მთელს სანაპიროზე თქვენ ყველას სჯობიხართ!

— გმადლობთ, — უთხრა ელიზბარმა ჩვენ ხელი ჩაგვიქნია, — ნახვამდის, ბავშვებო!

ელიზბარი დაბრუნდა:

— ხვალ ყველას რესტორანში გპატიუებთ, — თქვა და თან ხელი ისე გაიქნია, თითქოს აჰ, მადლობა არ არის საჭიროო, — თუმცა ყველა ჩემს მანქანაში არ ჩაეტევა, — გოგოებს წავიყვან და კიდევ...

თვალი მოგვავლო:

— კიდევ... ბადრი, შენ თუ გინდა წამოდი.

იმწამსვე დაამატა:

— მაგრამ სხვებს რომ ეწყინებათ?

— გმადლობთ, ბატონო ელიზბარ, მე ვერ წამოვალ, — უთხრა ბადრიმ.

ელიზბარი ცოტახანს კიდევ დარჩა, მერე ადგა და წავიდა.

— მე ძალიან მიყვარს მანქანით სეირნობა, — თქვა სოფიკომ.

— ისეირნე მერე, ვინ გიშლის? — ვუთხარი მე.

●
მე და სოფიკო გემბანზე ვსხედვართ. ორივეს გვცოვა, მაგრამ მაინც არ მივდივართ. თითქოს ზღვა არ გვიშვებს. თითქოს მაყურებელი სჭირდება, როგორც სპექტაკლს.

აქვე მაგიდასთან ყაზანელი მწერალი ზის და ჭადრაკის დაფას ჩასტკერის, თითქოს დაფა ჯადოსნური იყოს და ზედ მთელი ქვეყანა მოჩანდეს, ყოველ წამს შეიძლება რაღაც შეიცვალოს და ამიტომ წუთითაც კი არ უნდა მოაშოროს თვალი.

იგი მარტოა.

ყველანი შემოეცალნენ, რადგან ყველას უგებს. ბრტყელი სახე აქვს და ძალიან ვიწრო თვალები. ამ თვალებიდან, როგორც ფიცრებს შორის დარჩენილი ქირილიდან, იხედება ყოვლის-

თამაზ ბილაძე

კონსტანტინე სასახლე

მცოდნე, მარადიული არსება, რომელ-
მაც თავისი ამქვეყნიური ორეული კრე-
პის შავ კოსტუმში გამოაწყო, ყვითე-
ლი, დაჭრილი ფეხსაცმელი ჩააცვა, ჭი-
ლოფის ქული დაახურა, ხელში ჭადრა-
კის დაფა მისცა და მარტოობისთვის გა-
ნაწესა.

მე უკვე ძალიან მცივა და აქედან წას-
ვლა მინდა, მაგრამ სოფიკო წამოდგო-
მას არ აპირებს, რაღაცას ლაპარაკობს,
მე კი ჩემსას ვფიქრობ: კარგი იქნება,
თუ ხვალ გამოიღარებს, ძველ გაგრაში
გადავალ, გედებს ვნახავ. მერე სადმე
ხეივანში დავჯდები და ვიქნები ჩემთ-
ვის, მარტო, მთელი დღე მზეზე, როგო-
რი მონატრება იცის მზემ...

იმ პარკში გზები დანომრილია და
ტურისტები ჯგუფ-ჯგუფად დადიან,
ჯგუფ-ჯგუფად ბრუნდებიან ავტობუსი-
სკენ, პარკის შესასვლელთან რომ ელო-
დებათ.

პარკიდან როგორც კი გამოხვალ,
პლიაჟი იწყება. იქ ჭრელი ქოლგებია
სილაში ჩარჭობილი და ხის ტახტები
ყრია. ზოგიერთი ადგილი შემოღობი-
ლია და იქ შესვლა მარტო ბილეთით
შეიძლება. ხის ტახტები სწორედ შემო-
ღობილში ყრია და თუ გინდა ტახტზე
გაწვი, ან მხაბი მიიღო უსათუოდ ბილე-
თი უნდა შეიძინო, რადგან ამ შემოღო-
ბილს სამედციწინო პლიაჟი ქვია და გინ-
და საავადმყოფოს პალატაში წოლილ-
ხარ და გინდა იქ, რადგან ექთანი გამუ-
დმებით გითვალთვალებს, თითქოს ამ
შემოღობილში სხვა მზე აცხუნებდეს
და შავი ზღვის ნაცვლად წყალტუბოს
წყალში ბანაობდე.

დარწმუნებული ვარ, ბიჭები უკვე მე-
ძებენ და თუ იციან სადა ვარ, აწრია-
ლებულები ელოდებიან ჩემს დაბრუნე-
ბას. ყველამ თავის დანომრილ ხეივანში
უნდა იაროს და ვინც გვერდზე გადაუხ-
ვევს, იმან თვითონ უნდა აგოს პასუხი.
ბოლოსდაბოლოს, რას გადაეკიდე იმ
თბილისელ გოგოს, ქალების მეტი აქ რა
არის, თუ ამხანაგობა ამხანაგობა იყოს
და თუ, ძმაო, ჩვენთან ამხანაგობა არ

გინდა, იყავი იმ შენს სოფიკოსთან და
ეჩურჩულე რამდენიც გინდა.

ცეკვები ყოველ მეორე დღეს იმარ-
თებოდა. კინოდარბაზში სკამებს აიღებ-
დნენ, მაგნიტოფონს ჩართავდნენ და
ყველანი საცეკვაოდ გაემართებოდნენ,
როგორც ირმები წყლის დასალევად.

აქ სულ ძველისძველი მელოდიები
ჰქონდათ: ტანგო, ფოქსტროტი, ვალსი.
ამ მელოდიებში იყო რაღაც გულშტრყ-
ვილო და ამაღელვებელი. ეს გავდა რა-
ღაცის სამუდამოდ დაკარგულის გახსე-
ნებას, ანდა სიმშვიდის ძიებას, ბავშვო-
ბის მოგონებასავეთ იყო: როცა პატარა
ხარ და იმას აკეთებ, რაც ავიკრძალეს
— ან საღამოს სეანსზე შეიპარები კი-
ნოში ან მალულად ღვინოს სვამ სამხა-
რეთლოში დარჩენილი ბოთლიდან ან
კიდევ წიგნში უცხო, გაუგებარ, მაგრამ
ამავე დროს აშკარად უტიფარ სურა-
თებს ათვლიერებ: მწყემსი მიჭი და
გოგო ღობესთან ერთმანეთს კოცნიან!

პირველნი მოსკოველი იაშა და მისი
ცოლი დაიწყებდნენ ცეკვას. ქალს
მხრებზე შავი შალი ჰქონდა მოხურუ-
ლი, ერთიანად რომ ბრჭყვიალებდა. თი-
თქოს ქალს ეს წუთია სახალწლო ნაძვის
ხის ძირას გაევლოს. ისინი მეტად სე-
რიოზული სახით ცეკვავდნენ, როგორც
ცეკვის მასწავლებლები ვაკვეთილზე.
მათ სხვებიც მიჰყვებოდნენ. ყველაზე
მეტს სოფიკო ცეკვავდა. ერთხელ შუა
დარბაზში მარტომ დაიწყო ტრიალი და
ყველამ ცეკვა შეწყვიტა და, როცა ცეკ-
ვა დაამთავრა, ტაში დაუტრეს.

მე, ედიშერი, ბადრი, გივი და გელა
ერთად ვისხედით, ერთმანეთის გვერ-
დით, როგორც სათადარიგო ფეხბურთე-
ლები მატჩის დროს. სახეზე ყველას
დამცინავი ღიმილი დაგვთამაშებდა. ვი-
თომ ეს რა არის, ჩვენ ისეთი ცეკვები
გვინახავს და გვიცეკვიაო. ნამდვილად
კი მხოლოდ ბადრიმ იცოდა ცეკვა და
ისიც ისე ძველმოდურად, რომ ერთხელ,
როცა გაბედა და ჩვენც ხელი ვუბიძ-
გეთ, ერთი მსუქანი ქალი გამოიწვია და

ისეთ სირცხვილში ჩავვარდით, აღარ ვიცოდით, სად დავმალულიყავით.

ამის მერე უკვე ჩვენთვის სულერთი იყო და ყველანი თავისუფლად ვცეკვავდით. ყველა გულიანად იცეკვავდა და ყველას მოვწონდით: რა კარგი ბიჭები არიან, რა კარგად ხუმრობენ, ვითომ ცეკვა ვიცითო, რა კარგი ვქენით, აქ რომ წამოვედით, ამდენი არც ერთ დასასვენებელ სახლში არ გვიცინიაო.

სოფიკოს თეთრი, სქლადნაქსოვი კაბა ეცვა. მის მაღალ, მზეზე დამწვარ, ჩამოქნილ ფეხებს თითქოს თავისი საკუთარი მელოდია ჰქონდათ, რომელიც მხოლოდ მათ ესმოდათ და ცეკვის დროს ისინი კიდევ რაღაცას თავისას ცეკვავდნენ.

მე პირი მიშრებოდა, იქ გაჩერება აღარ შემეძლო, თუმცა არც წასვლა არ შემეძლო...

● გივი და ბადრი სათევზაოდ დადიოდნენ. მე ნაპირზე ვიდექი და ვუყურებდი, როგორ ბრუნდებოდნენ ისინი, როგორი ამაყი სახით მოაცურებდნენ ნავს... რკინის კიბეს ჩავირბენდი და ნავის ამოთრევაში ვშველოდი. ნავის ფსკერზე წვრილი სტავრიდკა ეყარა. გივი მათ ნელონის ცისფერ ძაფზე ასხამდა და მე გამომიწვდიდა. თევზი ნაპირიდან სამზარეულომდე მე უნდა მიმეტანა. იქ გივის სეხნია, თავაზიანი და კეთილი ახალგაზრდა მზარეული თევზს ჩამომართმევდა, უსათუოდ შემაქებდა, თუმცა კარგად იცოდა, ვინც იყო ნამდვილი მეთევზე და არა მარტო იმან, ჩვენი დასასვენებელი სახლის ყველა ბინადარმა კარგად იცოდა გივისა და ბადრის თევზაობის ამბავი.

შემწვარი თევზი გემრიელი იყო. ცოტა-ცოტას ყველას ვუგზავნიდით. მზარეული თევზს სიმინდის ფქვილში ახმევდა და ისე წვავდა.

სად არ გვინდოდა წასვლა, ვერსად კი გერ წავედით. რიწაზე მაინც ხომ უნდა ავსულიყავით? მაგრამ სექტემბრის ოქროსფერი მზით გაბრუებულები და მო-

თენთილები ერთ ადგილზე დაბმულებივით ვიყავით. არც წვიმას არ შეგძლო ამ პატარა შემოღობილი ადგილიდან ჩვენი გამორეკვა.

ზშირად კი წვიმდა.

გაწვიმდებოდა თუ არა, ზღვაც აღელდებოდა, პლიაჟზე გადმოვიდოდა, თითქოს გვახსენებდა, რომ მიწის ეს ვიწრო ზოლი დროებით დაეთმო ჩვენთვის და მაინცდამაინც ნუ გავლადლებოდით, ნუ დავივიწყებდით, რომ ჩვენს გვერდით ამ ადგილის ნამდვილი ბატონ-პატრონი პოსეიდონი ცხოვრობდა.

— პოსეიდონი ბრაზიანია! — ამბობდა სოფიკო.

— სამაგიეროდ ამოდენა სასახლე აქვს! — ვპასუხობდი მე.

— პოსეიდონის სასახლეში შეგიძლია დაემლო შენს თავს!

— პოსეიდონის სასახლეში ვერავინ გიპოვნის!

ზღვა ნაპირთან დაყრილ ლოდებს ისეთი ხმაურით ეხეთქებოდა, თითქოს ქვებზე ვეება ნათურები სკდებიანო. მისი გაცოფებული ტალღები თეთრი მოჩვენებებივით ამოდიოდნენ მაღლა და მერე ისე ნელა ეშვებოდნენ. თითქოს უხილავ პარაშუტებზე ჰკიდებოდნენ.

ჯებირზე პატარა ბიჭები იდგნენ, ბამბუკის გრძელ ჯოხებზე კონსერვის ქილები გამოებათ და ტალღებისგან წამით მიტოვებულ ნაპირზე ხურდა ფულს ექებდნენ. ზოგი პოულობდა კიდევ და ამიტომ მათ ბევრი ცნობისმოყვარე ეხვია გარს, ფულის შოვნის კიდევ ერთი ახალი ხერხით დაინტერესებულნი.

— სოფიკოს თუ შეირთავდი? — მკითხა ბადრიმ.

— რატომ მეკითხები?

— თუ შეირთავდი-მეთქი?

— მითხარი, რატომ გაინტერესებს?

— მიპასუხე!

მე ხუმრობაში ჩავუტარე:

— ჩემისთანა გაღლებილმა დამწყებმა მწერალმა ცოლზე არ უნდა იფიქ-

თამაზ ზილამაძე

პოსეიდონის სასახლე

როს, ჩემო ბაღრი. ეს იგივეა, ვირი მთვარეზე გაფრინდეს. აი ბატონი ელიზბარი დამპირდა, წიგნს გამოგვიცემო, მერე ვნახოთ...

მანანას ყურის ანთება დაემართა, საავადმყოფოში დააწვინეს, სოფიკო თავზე აღდა.

ერთხელ მათ სანახავად წავედი.

დერეფნის მთელ სიგრძეზე საწოლები ეწყო. ეტყობოდა, ზოგ ავადმყოფს გარეთ ერჩია წოლა, აქ უფრო გრილოდა. პალატების კარი გამოედო. მოჩანდნენ საწოლებზე ჩამონსხდარი ავადმყოფები და მნახველები. ერთ ქალს მუხლებზე ქვაბი ეღო, იქიდან ხელით კართოფილს იღებდა და ჭამდა.

ექთანი სოფიკოს დასაძახებლად გავგზავნე.

დერეფანში, ფანჯარასთან დავსხედით.

— როგორ არის?

— ძლივს ჩაეძინა.

საავადმყოფოს ღობის იქით რომელიღაც მაღალი, დაგრებილი ხე ჰყვავოდა ყვითლად, მისი მძაფრი სუნი აქამდე აღწევდა.

— იცი, რის სუნი აქვს იმ ხეს? — თქვა სოფიკომ, — ბავშვის ბალიშის! შენ რას აკეთებდი ეს ორი დღე?

— მეძინა.

— გეძინა?

— ხო, მეძინა და სიზმარში სულ შენ გხედავდი.

— ტყუი.

— ხო, ვტყუი.

ცოტახნის მერე სოფიკომ თქვა:

— წუხელ დამესიზმრა, ვითომ ჩვილ ბავშვს ვაბანავებდი. ვარდისფერი იყო, ფუნჩულა. საპნის სუნი ასდიოდა და ისეთი უცნაური სუნი ჰქონდა იმ საპონს, რომ გულდათუთქული ვტიროდი და ისეთი ტკბილი იყო ის ტირილი... თითებს მიცაცუნებდა ლოყებზე და ამიტომაც ვტიროდი... იცი, მე არასოდეს შეიღი არ მეყოლება...

— რატომ?

— ამას ვერ ავიხსნი... აგე, ექიმი მოდის!

დერეფანში სახეწამოჭარხლებული კაცი მოდიოდა, თეთრი გაკრახმალეული ხალათი ეცვა. გვერდით ჩაგვიარა და თავი დაგვიკრა. მისმა ტყიცინა ხალათმა სიგრილე შემოგვაფრქვია და პალატის ჩამუქებულ კარში თოვლის დედოფალივით შეფარფატდა.

ეს ექიმი ამას წინათ ჩვენს დასასვენებელ სახლში ელიზბართან იყო მოსული თავისი ლექსებით. ელიზბარი სასაღილოში ცნობილ დრამატურგის ცოლთან ერთად იჯდა და, კარგად დანაყრებული, ატამს ფცქენიდა. ექიმი გარეთ ბოლთას სცემდა, ორივე ხელის ნერვიულობისაგან გალურჯებული თითებით ეტრატევიტ დაგრაგნილი საერთო რვეული ეჭირა.

მერე ისინი გემბანზე ისხდნენ და ჩვენ გვესმოდა, როგორ არიგებდა ჰკუას ელიზბარი:

— აჩქარება ამ საქმეში მომაცდინებელია. მუშაობა, მუშაობა და მუშაობა — აი რა არის მთავარი... თქვენ რომელი პოეტი გიყვართ?

ექიმმა ნერწყვი გადაყლაპა და ხმა ვერ ამოიღო.

— აჰა — ელიზბარმა გაიღიმა, თითქოს ექიმს რამე ეთქვას, — კარგი... რვეულს, მუხლებზე გაშლილი რომ ედო, ხელისშურგი მსუბუქად დაჰკრა: — ამათ აშკარად ეტყობათ, რომ თქვენ როდისმე ლექსს დასწერთ, მხოლოდ როდისმე, გაიგეთ?

ექიმმა ისევ გადაყლაპა ნერწყვი და თავი დაუქნია. მას ეტყობოდა, ყველაზე უფრო ის აწუხებდა, რომ ჩვენ ძალიან ახლოს ვისხედით და ყველაფერი გვესმოდა. ელიზბარს კი, პირიქით, მამენელთა სიმრავლე ლაპარაკისთვის აღაგზნებდა:

— ახლა ლექსს ყველა წერს, მე არ მინდა თქვენ მათ შორის გიხილოთ, თქვენ სერიოზული კაცი ბრძანდებით. ყველას გონია, რომ ლექსის დაწერა შეუძლია, ყველას! — იყვირა უცებ მან და რატომღაც მე გადმომხედა მუქარით, —



წადით, ახლა, ბატონო ილარიონ შინ და ჩემს ნათქვამს ჩაუფიქრდით. ისე ნუ მომერიდებთ, სანამ აქა ვარ, გამომიყენეთ, მაჩვენეთ ხოლმე თქვენი ნამუშევარი...

აქ კი ბატონი ილარიონი, თეთრი ხალათითა და ქუდით მორთული, დიდებულის, მძლე და ზვიადი ალექსანდრე მაკედონელი იყო, ალექსანდრე მაკედონელი ბრძოლის ველზე, დაჭრილებს შორის.

— ეგ ძალიან კარგი კაცია, — მითხრა სოფიკომ, — და ძალიან კარგი ექიმი. მაგასთან თურმე თბილისიდან მოდიან სამკურნალოდ.

ცოტახნის მერე დაუმატა:
— ვიცოდი, რომ მოხვიდოდი... დარწმუნებული ვიყავი.

სიჩუმე ჩამოვარდა.

— რატომ არ მიდიხარ?

— სად? — გავიკვირვე.

— ხომ ვიცი, ერთი სული გაქვს, სანამ აქედან გაიქცეოდე.

— სოფიკო...

— გაჩუმდი!

დიდხანს ვისხედით ჩუმად, იმ აყვავებულ ხეს შევცქეროდით.

— დღეს ელიზბარი იყო აქ, — თქვა ბოლოს სოფიკომ.

— ოჰო?

— მითხრა, ცოლად გამომყევით.

— შენ რა უთხარი?

— ვიფიქრებ-მეთქი...

— აბა, გადაგიწყვეტიათ და ეგ არის.

— მეტი არაფერი გაქვს სათქმელი?

— მეტი რაღა უნდა მქონდეს?

— კარგი. იცი, მე დღეს თბილისში მივდივარ.

— აკი ერთი კვირა კიდევ რჩებოდი?

— პოსეიდონს არ უყვარს გაგრძელებული სტუმრობა.

გულზე მომეშვა, რადგან კიდევ მეთამაშება, ალბათ, ყველაფერს ხუმრობს-მეთქი.

— პოსეიდონი კეთილია.

— უკეთესია, პოსეიდონს დროზე გაასწრო, — თქვა სოფიკომ.

●
მე მაინც გავედი იმ საღამოს სოფიკომთან. ვნახე, როგორ მოიყვანა ელიზბარმა სოფიკო მანქანით. ისინი ვერ მხედავდნენ. მანქანიდან გადმოვიდნენ და მატარებელს მიაშურეს, რომელიც უკვე წასვლაზე იყო. ელიზბარს სოფიკოს ჩემოდანი ეჭირა, მეორე ხელში კი დიდი თაიგული. სოფიკო ვაგონში ავიდა და მატარებელიც დაიძრა, ელიზბარი ხელის ქნევით აედევნა.

მანქანის კარს ადებდა, როცა დამინახა, ახლა აზრი აღარ ჰქონდა დამალვას, ვიღას უნდა დავმალვოდი?

— მოდი, წაგიყვან, — მითხრა ელიზბარმა.

— არა, გმადლობთ, — ვუპასუხე, — ფეხით წავალ.

— შორს არის. ათი კილომეტრია.

— ძალიანაც კარგი, რომ შორს არის. მადლობა ღმერთს, ასე შორს რომ არის, თქვენ ვერ წარმოიდგენთ, როგორ მიხარია, შორს რომ არის, რა მეშველებოდა, ასე შორს რომ არ ყოფილიყო, ძალიან მიხარია, ახლოს რომ არ არის...

ელიზბარი უკვე კარგა ხნის წასული იყო, მე კი სადგურის კიბეზე ვიდექი და ვიმეორებდი:

— ძალიან მიხარია... ძალიან მიხარია...

●
უცებ სოფიკომ ისეთი რამ თქვა, შევკრთი, თითქოს იცოდა, რასაც ვფიქრობდი, თითქოს ჩემთან ერთად ყველაფერს ხედავდა:

— მე, რასაკვირველია, შემძლო ცა გადამედო და პოსეიდონს გამოვკიდებოდი, მაგრამ აბა ერთი წუთით დაფიქრდით და მერე გამამტყუნეთ: თუ ცის თაღს გადავაგდებდი, მაშინ სამყარო დაინგრეოდა და მე და ამფიტრიტე დავიღუპებოდით და თუ კი დავიღუპებოდით, მაშინ რად მინდოდა ამფიტრიტე, ან მე რაღად ვუნდოდი მას?

თამაზ ზილამა
პოსეიდონის სასახლე

სიგარეტი საფერფლეში ჩაჰყლიტა და დაუმატა:

— არასოდეს არ მიყვარდა ის ბრიყვი შტანგისტი!

ლია შეუმჩნევლად შემოსულიყო, სოფიკომ ეს რომ თქვა, ლიამ მე შემხედდა, თვალი ავარიდე. მას მერე ლია ძღარ მოგვეშორებია, თითქოს რაღაც საფრთხე იგრძნო.

— კრიტიკოსი უნდა გამოვიდეს უსათუოდ, — მითხრა სოფიკომ, — თქვენ მაინც ვინ გინდათ, ვისზე ფიქრობთ?

ის კრიტიკოსი დავუსახელე, ჩემს დაბადების დღეზე თამადად რომ იყო.

— იმას ჩვენც დავურეკეთ, მაგრამ უარი თქვა.

— უარი თქვა? — გაიკვირვა ლიამ. მეც გამიკვირდა.

ლია გაცხარდა:

— უსვენდისო! უნდა გენახათ, რა სიტყვებს ეუბნებოდა! აი ამ ადგილას იჯდა, სუფრის თავში, წამოდით, წამოდით, აი, ამ ადგილას, — სოფიკოს ხელი ჩაჰკიდა და მეორე ოთახში გაიყვანა, თითქოს კრიტიკოსი ახლაც იქ ეგზულეობოდა, სუფრის თავში, ყანწით ხელში. — უსვენდისო!

როცა დაბრუნდნენ, სოფიკომ მითხრა:

— ახლა ჩვენ კითხვა-პასუხი უნდა მოვაშალოთ, გადაცემის დროს თქვენთან ინტერვიუცა გვაქვს განზრახული, უკეთესია, წინდაწინ ვიცოდეთ.

— რასაკვირველია, — დაეთანხმა ლია.

— ეს უფრო ჩემთვისაა საჭირო, მე დამეხმარება, მოვემზადები, რაღაცა ხომ უნდა ვთქვა, გავიხუმრო, ცოცხალ საუბარივით გამოვა.

— რასაკვირველია, — კვერი დაუქრა ლიამ.

— პირველი კითხვა: რომელი მწერალი გიყვართ?

— რუსთაველი, — ვუპასუხე მე. სოფიკომ ჩაიწერა.

ამ კითხვებზე პასუხის გაცემა არ გა-

მიჭირდებოდა, ათასჯერ მქონდა ნაბასუხები.

— კიდე? ერთიც თანამედროვე უნდა დაასახელოთ...

— ვიცი, სტანისლავ ლემი.

— კარგია, — თქვა სოფიკომ და ჩაიწერა.

ლიამაც მოწონების ნიშნად თავი და მიკრა.

— კომპოზიტორი რომელი მოგწონთ?

— ფალიაშვილი.

— კიდე?

— მიკის თეოდორაკისი.

ლიამ ისევ დამიქნია თავი, ჭერჭერობით არაფერი მეშლებოდა.

— რომელი პიროვნება გზიბლავთ?

— გაგარინი!

— კიდე?

უცებ რაღაც დამემართა, გზიდან გადავუხვიე

— ყანა დარკი!

— ოჰო? — გაიკვირვა სოფიკომ.

ლიამაც გაკვირვებით შემომხედა.

— მოდით, ყანა დარკი ამოვიღოთ, — ვუთხარი სოფიკოს.

— რატომ, თუ კი გზიბლავთ?

— კი მზიბლავს, მაგრამ...

— კოპერნიკი, — მიკარნახა ლიამ, მან ჩემი პასუხები ზეპირად იცოდა.

— რა თქმა უნდა! — თქვა სოფიკომ.

— თქვენს შემოქმედებასთან ყველაზე ახლოს კოპერნიკია!

— არა, კოპერნიკი არა, — გავჯიუტდი. რასაკვირველია, კოპერნიკის საწინააღმდეგო არაფერი მქონდა, მაგრამ სოფიკოსი შემრტყვა, ლიამ რომ თავი გაყიდა. — კოპერნიკი არა!

ლია ადგა და პროტესტის ნიშნად ოთახიდან გავიდა.

— მაშინ სხვა ვინმე უნდა მოვიფიქროთ, — მითხრა სოფიკომ.

— დამცინი?

— რას ამბობ? მაგალითად რით არის ცუდი ჯორდანო ბრუნო, ან გალილეი? არა, ჯორდანო ბრუნო უკეთესია, კონცონზე დაწვეს.

— იყოს, — ვთქვი მე, — სულერთია.

— რატომ ბრზობ?

ლია შემოვიდა და თავის ადგილას დაჯდა.

— ჯორდანო ბრუნო გადავწყვიტეთ, — უთხრა სოფიკომ, — თქვენ რას იტყვით?

— კარგია, — დაეთანხმა ლია. ბრუნო და კოპერნიცი ამ შემთხვევაში ერთი და იგივე იყო.

— ახლა ამაზე მიპასუხეთ, მწერლობის გარდა თუ გიტაცებთ რამე, უფრო სწორად, რა არის თქვენი ჰობი?

— ნადირობა, — ვუპასუხე დაუფიქრებლად. თუმცა თოფი არასოდეს ამიღია ხელში.

— კარგია, — თქვა სოფიკომ, ლიამაც თავი დაიქნია.

— ახლა ის მითხარით, მოგზაურობა თუ გიყვართ?

სოფიკომ ლიას შეხედა, თითქოს მისგან ელოდა პასუხს, ლიას დავასწარი:

— ძალიან!

— რომელი ქალაქები მოგწონთ?

— კიევი.

— კიდეც?

— პრაღა.

— აქ ერთი-ორი სიტყვა თქვით პრაღაზე.

— ვიცი.

— მერე მე გკითხავთ, რა აზრისა ხართ ფანტასტიკური ლიტერატურის განვითარებაზე-მეთქი.

— რაც დრო გავა ამ ლიტერატურისადმი ინტერესი კიდეც უფრო გაიზრდება.

— ამას იქ მიპასუხებთ. შემდეგ ჩვენ ვაჩვენებთ ნაწყვეტს თქვენი ერთ-ერთი ფილმიდან...

— გადაცემა ფერადი ტელევიზიისთვის იქნება? — ჰკითხა ლიამ.

— დიახ.

— მაშინ სჯობს აჩვენოთ „სატურნის ტყვე“.

— ლია, ხილი მოიტანე რამე!

ალარ შემეძლო მისი ხმის გაგონება.

— ახლა ვივარაუდებთ, — მითხრა ლიამ, ესეც პროგრამით იყო გათვალისწინებული.

— ნუ წუხდებით, — უთხრა სოფიკომ.

— ისე ვერ გაგიშვებთ, — ლიამ გაიღიმა, — შინაურულად ვივარაუდებ.

ამ დროს ოთახში მამუკა შემოვიდა, ხელში ქალაღების დასტა ეჭირა.

— მამა! — თქვა მან და კართან აიტუზა, მისი ასეთი მორიდებულება ცოტათი მეუცხოვა.

— რა იყო, შვილო? — ვუთხარი ძალიან ალერსიანად.

— იცი, მამა, წიგნი დავწერე!

— ოჰო? — ვთქვი მე, ამაში გაკვირვებაც იყო, ალტაცებაც და ქებაც, ამით მინდოდა მასთან საუბარი დამემთავრებინა, რადგან არ ვიცოდი, რა ჰქონდა ჩაფიქრებული ცბიერ იულიუს კეისარს. გული კარგს არ მეუბნებოდა.

მამუკა ფეხს არ იცვლიდა.

— მოდი, გენაცვალე, — უთხრა ლიამ მამუკას, — გვაჩვენე!

ჩემი ამბავი განაღდებული ჰქონდა, ახლა შვილის დიდებაზე ზრუნავდა. მამუკა მომიხლოვდა და ქალაღები გამომიწოდა. ამ ქალაღებზე ისტორიის სახელმძღვანელოდან ამოხეული ფურცლები იყო დაწებებული.

ლოყაზე ხელი მოვუთათუნე. სიამოვნებით გავუშლიდი და ვტკიცავდი სილას, მაგრამ აქ არ შეიძლებოდა, მეტოქისადმი ექვიანობაში ჩამომართმევდნენ.

— ყოჩაღ, მამუკა, ყოჩაღ, — ვუთხარი და ხმაში მთელი ჩემი გულისტკივილი და საყვედური ჩავაქსოვე.

— კარგი, ახლა, მამუკა, გეყოფა, მამას ხელს ნუ უშლი, ხომ ხედავ, მუშაობს, — უთხრა ლიამ და ქალაღები გამოართვა.

თამაზ ზილაძე
პოსტალიონის სასახლე

— მალე ტელევიზორშიც გამოვიყვანო, — თქვა სოფიკომ.

ძალიან შემეშინდა, ხომ არიან დიუმა მამა და დიუმა შვილი, თომას და კლაუს მანები? წარმოვიდგინე ტელეკრანზე მე და მამუკა ერთმანეთის გვერდით ვსხედვართ და ჩვენი მოთხოვნილებიდან ნაწყვეტებს ვკითხულობთ რიგობით.

— წამო, მამუკა, წამო, — ლიამ ბავშვს ხელი მოხვია და ოთახიდან გაიყვანა.

— კარგი შვილი გყავს, — მითხრა სოფიკომ.

— კი, კარგია.

— ახლა მითხარი, როგორ ცხოვრობ?

— აი, ხომ ხედავ...

— ბიჭები როგორ არიან?

— რომელი ბიჭები?

— შენი ამხანაგები.

— კარგად...

— გივის სადოქტორო დისერტაცია დაუცავს.

— რას მეუბნები?

— არ გაგიგია?

— არა.

— მანანას მესამე ბიჭი ეყოლა. მისი ქმარი ინჟინერია, რუსთავეში მუშაობს.

— მესამე ბიჭი?

— გელა...

— გელა, მგონი თბილისში არ უნდა იყოს.

— თბილისშია, — კინემატოგრაფიის კომიტეტში მსახურობს, რედაქტორად, ცოლი არ შეუერთავს...

— გელა რედაქტორად?

— გადამრეც, გიგა, აქაურ ამბებს მე უნდა გეუბნებოდე? თუშეცა...

— რა?

— შენზე ამბობენ, დავიწყების იშვიათი უნარი აქვსო, მართალია?

— ხო, — ვუბასუხე მე, — ხო, ყველაფერი დამავიწყდა...

ახალი წლის მეორე დღე იყავი. შენთან ბადრიმ მომიყვანა. მას მეტე, როცა დაეშორდით, აღარ შეგხვედრივართ.

შინ მარტო იყავი. სუფრა გაშალე, ჩვენი მოგვხმარეთ, სამივენი მაგიდას შემოვუხსედით.

როცა ჩამობნულა, ნაძვის ხეზე სათლები აანთე. ბადრი როიას მიუჭდა, სუფრასთან მე და შენ დავრჩით. თავი ჩაგელუნა და იღიმებოდი. ეს ყაღვი და თავაზიანი ღიმილი თითქოს განუწყვეტლივ მახსენებდა, რომ მე აქ უცხო ვიყავი.

ბევრს ვლაპარაკობდი. სიტყვები იბადებოდნენ და მაშინვე კვდებოდნენ. ისინი ჩვენს ირგვლივ, მაგიდაზე, თეფშებზე, იატაკზე და ნაძვის ხის ძირას ეყარნენ, ფრთადამწვარ პეპლებივით ან ნაძვის წიწვივით ან კიდეც ქაღალდის ყვავილებივით, და მათი სიყალბით შემკრთალები, კიდეც უფრო უცხონი ვხდებოდით.

ალბათ, როგორ ბრაზობდი ჩემზე, მთელი დღე რომ სუფრას არ მოვშორდი და თან ასეთ ბრიყვულ, უაზრო რამეებს გელაპარაკებოდი.

— კიდეც მოვიტან ღვინოს! — წამოდექი და სამზარეულოში გაიქეცი.

კარგახანს არ გამოჩენილხარ, დარწმუნებული ვიყავი, იჯექი იქ და სიმწრისგან ტირიდი. როცა შემოხვედი, ვცდილობდი შენს სახეზე ცრემლის კვალი შემემჩნია, მაგრამ არაფერი გეტყობოდა, სახე ისევ ისე გიცინოდა და ის შეუცვლელი, ნაძვის ხის სათამაშოსავით, ბრჭყვილა ღიმილი ტუჩებზე დაგთამაშებდა.

საბავშვო ბაღის მასწავლებლის მოთმინება გქონდა!

წასვლა რომ დავაპირეთ, გვითხარი:

— მეც წამოვალ, დედა მამიდასთან მიცდის.

— ოჰ, — შევწუხდით ჩვენ, — რატომ ადრე არ გვითხარი, თუ დედა გელოდებოდა?

— არაფერია, — ახლა უფრო სხვა-

ნაირად გაიცინე, თავისუფლად, რადგან გედირსა და, როგორც იქნა, გათავდა ეს თავისმომამბეზრებელი სტუმრობა.

გარეთ თოვდა. თოვლის ბურუსში რეკლამები და ნათურები ფერად აბლანდებდნენ მოჩანდა. მკლავში გამიყარე ხელი, ფეხი გიცურდა. მეგონა, ისეთი უცხონი აღარ ვიყავით.

მეორე დღეს შენი სახლის წინ ვიდექი.

ირგვლივ ხალხი ირეოდა. მჭეროდა, რომ ყველანი ბედნიერები იყვნენ, ბედნიერებას თოვლივით ავესო ქალაქი, მხოლოდ მე არ მრგებოდა მისი ნამცეცი ციკი.

მერე შენ დაგინახე, სადარბაზოსთან იდექი და აქეთ-იქით იხედებოდი, ვილაცას ეძებდი თუ ელოდებოდი. ცოტა ხნის მერე შენს წინ მანქანა გაჩერდა. მიიბრინე და ჩაჯექი. მანქანა რომ დაიძრა, კინალამ ავედეგნე, ვილაცამ თითქოს კიდეც მიბიძგა, წაღი, გაეციდეთ. არ ვიცი, რატომ შევიკავე თავი. სრულიად ბუნებრივად მეჩვენებოდა ახლა, რომ მანქანის უკან მერბინა ქალაქში. იმ მანქანას კიდეც დიდხანს ვხედავდი მას მერე, რაც თვალს მიეფარა. ვიდექი კისერგაწვდილი, მხრებში მობუზული და გამვლელები მეჯახებოდნენ შუა ქუჩაში გაჩხერილს, ვერაფერს ვგრძობდი, არც იმ დამცინავ სიტყვებს ვაქცევდი ყურადღებას, ჩემი მისამართით რომ მოფრინავდნენ ყოველი მხრიდან.

ისევ თოვდა. დარწმუნებული ვიყავი, რომ სულ ასე ითოვებდა, სანამ ცოცხალი ვიქნებოდი.

სასაუბრეში შევედი და არაყი მოვიტხოვე. ცოტათი გამათბო. სიგარეტი ვიყიდე და ცარიელ მაგიდას მივუჯექი.

სასაუბრეში ბნელოდა, თუმცა დახლის თავზე დიდი ნათურა კაშკაშებდა. თუთუნის კვამლსა და ორთქლში ხალხი ირეოდა. ყრუ გუგუნნი იდგა. შიშშილს არ ვგრძობდი, თუმცა დღეს ლუკმა არ ჩამედო პირში. თავიდან ფეხბამდე სველი ვიყავი, ჭიდან ამოყვანილივით.

ცოტა ხნის მერე ისევ შენი სახლისკენ წამოვედი, თითქოს ვიცოდი, რომ დის უნდა დაბრუნებულიყავი. მაგრამ ვილაღ, მალე დაბრუნდი.

სანამ მანქანის კარს მიხურავდი, რაღაც თქვი და ხელი უარის ნიშნად გაიქნე. მანქანა წავიდა. წამით თვალი ჩემზე შეაჩერე, მაგრამ ვერ მიცანი თუ ვერ დამინახე. ისიც კი გავიფიქრე, იქნებ არც ვარ-მეთქი აქ და გული ტკივილით შემეკუმშა, ეს რომ გავიფიქრე.

სადარბაზოში შეხვედი, ქუჩა გადმოკვერი და შემოგყევი, უკვე კიბეზე აღიოდი, ერთი კი მოიხედე და ნაბიჯს აუჩქარე.

— სოფიკო! — დავიყვირე და ჩემივე ხმამ შემამჩრწუნა, მეგონა, რაღაც ჩამოინგრა-მეთქი, კიბეზე არბოდი, მე კი ვიდექი და ვყვიროდი:

— სოფიკო! სოფიკო! სოფიკო!
გავიგონე, როგორ მიიჯახუნე კარი. გაოცებული დავრჩი, რატომ შეეშინდა-მეთქი.

კიბეზე ჩამოვჯექი და სიგარეტს მოვუკიდე.

დიდხანს ვიჯექი კიბეზე, წამოდგომა არ შემეძლო, ისე დავქანტულიყავი. ფიქრში ერთსა და იმავეს ვიმეორებდი: „სულელი ვარ... სულელი ვარ...“ სხვა არაფერი შეეძლო ჩემს დაღლილსა და გაბრუებულ გონებას.

ერთმა თვემ ისე გაიარა, თითქოს ბურანში ვცხოვრობდი. თითქმის ყოველ დღე მოვდიოდი შენს სახლთან, ზოგჯერ კიბეზეც ჩამოვჯდებოდი ხოლმე. არავითარი იმედი არ მქონდა. იმასაც ვგრძნობდი, თავს ვიმცირებდი, მაგრამ არ შემეძლო სხვანაირად მოგქცეულიყავი, თითქოს ჩემდაუნებურად ხდებოდა ყველაფერი. სხვა ჩემს ადგილას ხელს ჩაიქნევდა, ანდა ისეთ რამეს გააკეთებდა, რომ მის ხმას ერთი წუთით მაინც შემოეღწია შენთან, ერთი წუთით მაინც დაერღვია შენი გამაღიზიანებელი სიმყუდროვე და სიმშვიდე. ნამდვილად

თამაზ ზილბაძე

კოსთიკოვის სასახლე

უცნაურად ვიქცეოდი, როდემდე უნდა ვაგრძელებულიყო ასე? ხომ დადგებოდა ერთხელ ის დღე, როდესაც ყველა იმედი, იმედის ნატამალიც კი ამოიწურებოდა? მაშინ რა უნდა მექნა? ასევე უხმოდ და მორჩილად გაგცლოდი, თავი დამენებებინა? ნუთუ იმ დღის დადგომას ველოდი შენს კიბეზე ჩამომჯდარი? ნუთუ ჯერ კიდევ მხოლოდ იმიტომ მიყვარდი, რომ იმ დღის მოახლოვებას ვერ ვგრძნობდი? ნუთუ შენი სიყვარული დროებით მჭირდებოდა, რაღაცის დასავიწყებლად ან თავის გასართობად და ისე ვეძალებოდი, როგორც სხვები ღვინოს?

თითქოს ნაეში ვიჯექი და ნავი ნელ-ნელა იძირებოდა, მე კი ცურვა არ ვიცოდი და ჩემი თავი მძულდა, ცურვა რომ არ ვიცოდი და იმიტომაც მძულდა, რომ შენი სახლის წინ ვიდექი ასე სამარცხვინოდ იმ ეშმაკ მათხოვარივით, რომელსაც თავის მობუზრების ნაცვლად შორჩილება აურჩევია, თუმცა გულის სიღრმეში მაინც შურს სხვა მათხოვრებისა, რომლებიც კალთებს აგლეჯენ გამვლელებს. გონია, რომ არჩევანი შეეშალა. თვითონ დგას კუთხეში მობუზული, ვითომ ყველაზე საცოდავია. მელიასავით თავი მოუმკვდარუნებია, ჩიტი ახლოს რომ მიიტყუოს და პირი სტაცოს.

იმასაც ვგრძნობდი, როგორც კი ის დღე დადგებოდა, შენთან ერთად ბევრ სხვა რამესაც დაკარგავდი, თუნდაც ჩემს ზოგიერთ თვისებას, რომლებიც ჩემი აზრით, სხვებისაგან მანსხვავებდა. ამიტომ ჩემსმიერვე შექმნილი ილუზიაც უნდა დამსხვრეულიყო, უნდა შემეცვალა სახე, ღიმილი, ლაპარაკი, მესწავლა თავისდაჭერა, მოვქცეულიყავი ისე, როგორც ზოგიერთი ჩემი ნაცნობი იქცეოდა, გავმხდარიყავი მოჩვენებითად თავდაბალი, ლაქუცა, რითი ვიყავი მე მათზე უკეთესი? პატივმოყვარეობიდან მლიქვნელობამდე ერთი ნაბიჯია, ან არც კია მათ შორის რაიმე განსხვავება: ერთ შემთხვევაში შენს თავს ელოლიავები, მეორეში — სხვას.

ისევ შენი გულისთვის. „რამდენი იოლი გზა არსებობს, — ვფიქრობდი მე, — რამდენი რამის მიღწევა შეიძლება უმტკივნეულოდ“. და ყველაზე საშინელი ის იყო, რომ დარწმუნებული ვიყავი, უსათუოდ ასეთ იოლ გზას ავირჩევდი, შენ თუ ვერ შეგინარჩუნებდი. არ ვიცი, რატომ ვფიქრობდი ამას, მაგრამ ნამდვილად კი ასე იყო. ფიქრში გელაპარაკებოდი და გარწმუნებდი, გთხოვდი, რომ ის გადამწყვეტი ნაბიჯი არ გადაგედგა. სამაგიეროდ ვერაფერს გთავაზობდი, რადგან მე თვითონ არ ვიცოდი, რა გამაჩნდა. ვგრძნობდი, აუცილებელი იყო, რაიმე გამომეძებნა ან ჩემს გარეთ. ან ჩემი სულის სიღრმეში, რაც ჩემსკენ მოგახედებდა. მეგონა, და შეიძლება არც ვცდებოდი, რომ ბრმად მიყვებოდი შენს გულისთქმას, მაგრამ რატომ უნდა აგერჩიე მაინცდამაინც მე, თვითონ არ ვიცოდი. მინდოდა, რომ ასე მომხდარიყო — ეგ იყო დეეგ. მიყვარდი! მაგრამ განა ისევ ჩემი გულისთვის არ მიყვარდი? განა უყოყმანოდ, თამამად მოვდიოდი, რომ დამეგლიჯა სხეული იმ ეკლიან მავთულეებზე, შენ რომ ირგვლივ გერტყა? საკვირველია, სრულებითაც არ ვფიქრობდი იმაზე, რომ რაიმე მსხვერპლი გამეღო. შეიძლება ამიტომაც ვერ ვებედავი სიყვარულის გამხელას. შემეძლო თუ არა მუპასუხა შენთვის იმ ძლიერი და წმინდა სიყვარულით, რომელიც ძველთან განშორებით მოყენებულ ტკივილებს გაგიყუჩებდა? იქნებ გზას გაცდენდი, იქნებ სწორი არ იყოს ჩემი საქციელი... მაგრამ ამავე დროს მთელი ჩემი არსებით ვგრძნობდი, თუმცა ბრმად, უაზროდ, როგორც ცხოველი ღამისა და დღის მონაცვლეობას, რომ მართალი ვიყავი. ვის უნდა გავემტყუნებინე? მხოლოდ და მხოლოდ მას, ვისაც არასოდეს ყვარებია, არ ყვარებია თუნდაც საკუთარი თავი.

ჩუმად ვიყავი და ჩემს უხმო ძახილს, მარტო ჩემს გონებას რომ ძიძგნიდა, სიჩუმის კედლის გარღვევა არ შეეძლო. აქამდე ეს გრძნობა ჩემთვის უცხო იყო.

აქამდე ტბასავით ერთ ადგილას ვიდექი. მზეც იყო, ვარსკვლავებიც, მაგრამ ისინი მარტო მზე და ვარსკვლავები იყვნენ, მეტი არაფერი. იმ პატიმარს ვგავდი, რომელიც ციხეში მარტოა დარჩენილი. ციხიდან ყველანი გაქცეულან, ტუსალებიც და ზედამხედველებიც. ახლა კარს, აქამდე გარედან რომ იკეტებოდა, პატიმარი შიგნიდან კეტავს და რადგან გასაღები თვითონ უჭირავს ხელში, გონია, რომ თავისუფალია. დღეს ის პატიმარი გარეთ გამოავლეს, ცა დაანახვეს და, თუმცა სიარულს გადაჩვეული ფეხები უსისხლიანდება, მაინც გარბის, რომ ცას შეეხლოს მკერდით — გონია, რომ ეს შესაძლებელია და რადგან გონია — ბედნიერია. მისგან განსხვავებით, მე ვგრძნობდი, რომ ეს შეუძლებელი იყო, ათასი კანონითა და მტკიცედ ჩამოყალიბებული მორალით აკრძალული. ზოგჯერ ვაგანია სიცხეში ბაღში შესვლა და ბალახზე წამოწოლა მინატრია, რადგან გახურებულ ბეტონს სიგჟემდე მივუყვანივარ, მაგრამ დიდი აბრა დამინახავს, საიდანაც წითელლოყება, მომღიმარე კაცი, ჩემთვის რომ ხელისგული მოეშვირა, მაფრთხილებდა: ბალახზე წამოწოლა აკრძალულია! განა შეიძლება ბაღში ბალახზე წამოწოლა აკრძალული იყოს? ახლა კი უფრო დიდი ადამიანური ბედნიერება იყო ჩემთვის მიუღწეველი — შენი სიყვარული!

ფიქრში ასე გელაპარაკებოდი, გულუბრყვილოდ მეგონა, ჩემს სიტყვებს გაიგონებდი, ან არა და იგრძნობდი მაინც, ისევე, როგორც დაჟინებულ მზერას და ჩემსკენ მოიხედავდი, მაგრამ ჩემი სიტყვები კედელს აწყდებოდნენ და უკანვე მიბრუნდებოდნენ ექოსავით, კედლის ქვის ყბებით დაღეჭილი, გამოწუწვნილი და ცარიელი.

ის დღე მაინც დადგა და უფრო ჩქარა, ვიდრე ველოდი. მე კი მეგონა, ყველაფერი უფრო მტკივნეული იქნებოდა...

— გიგა, რა დაგემართა? — მკითხველი იამ.

— ჩემი წასვლის დროც მოვიდა, — თქვა სოფიკომ.

— არავითარ შემთხვევაში, — უთხრა ილიამ. — მე სუფრა უკვე გავაწყვე.

— რატომ წუხდებოდით...

— რა შეწუხებაა, ჩვენს სახლში ყოველთვის არის სტუმარი, არც მახსოვს, მარტო გვესადილოს, ან გვევახშმოს, არა, გიგა?

— ხო, — დავეთანხმე, ჩემთვის უკვე ყველაფერი სულერთი იყო.

— გუნება შეგეცვალოთ, — მითხრა სოფიკომ, — ხომ არ დაიღალეთ?

— პირიქით, ძალიან კარგ გუნებაზე ვარ. თუ გინდათ, პროგრამაში ჩემი სიმღერებიც ჩავრთოთ. თქვენ არ მოგისმენიათ, როგორ ვმღერა?

— გიგა? — ლიამ ისეთი თვალებით შემხედა, წამსვე გამოვფხიზლდი.

— არსად არ გაგიშვებთ, — ვუთხარი სოფიკოს, — ერთად უნდა ვივახშმოთ.

მაგიდას შემოვუსხედით. მაშინვე კონიაკის ბოთლს გტაცე ხელი, კონიაკი დავასხი.

— ეს ჩვენს გაცნობას გაუმარჯოს! — ვუთხარი სოფიკოს და ჭიქა მივუჭახუნე. დავლიე. მაშინვე ავაგე ჭიქა და ისიც გამოვცაღე.

ალბათ, ისეთი შთაბეჭდილება შეგექმნათ, თითქოს მე სმა მიყვარდეს. არა, იშვიათად ვსვამ, მხოლოდ მაშინ, როცა ისეთ მდგომარეობაში ვვარდები. თუმცა არც ასეთ მდგომარეობაში ვვარდები ხშირად.

— მიატანე რამე, — მითხრა ლიამ და შემწვარი წიწილის ნაჭერი მომაწოდა. მერე სოფიკოს მიუბრუნდა:

— რამდენ ხანს გრძელდება გადამცემა?

— საათსა და ათ წუთს.

— ათი წუთი მოუმატებიათ.

თამაზ ჰილამაძე
აკრძალვის სასახლე

— მამუკა სად არის? — ვკითხე
ლიას.

— ტელევიზორს უყურებს.

ტელევიზორი ლოჯიაში გვედგა. იქ
მისი ტაძარი იყო, რომელსაც ჩემი ბე-
რადშემდგარი შვილი ემსახურებოდა.
შეიძლება ამოდენა მსხვერპლის გამოც
მწყალობდა ტელევიზორი ასე...

სასმელი უცებ მომეკიდა. ვიჯექი და
ლიასა და სოფიკოს შევყურებდი. „რა
იქნებოდა, — ვფიქრობდი — ვითომ რა
მოხდებოდა, მრავალცოლ ანობა რომ
დასაშვები იყოს? მეყოლებოდა ახლა
ორი ცოლი და იელურტულებდნენ
ტკბილად, ვის რას დაუშავებდნენ?“

კარგახანს ვიყავი ამ სასიამოვნო ბუ-
რუსში ჩაძირული, ხონთქარივით. მერე
ბურუსის ზედაპირზე სინამდვილის ნა-
ფლეთები ამოტივტივდა, წყლიდან თა-
ვამოყოფილ ქვის გორაკებივით, ანდა
ზომალდის ნამსხვრევებივით. უცებ ენით
აუწერელმა შიშმა შემიპყრო: ნუთუ,
მართლა მარტო ვიყავი, გარიყული, წა-
რმატების ბრწყვიალა ნაგავში ჩამჯდა-
რი და ჩამალული. ნუთუ სოფიკო ამი-
ტომ მოვიდა, რომ სამაგიერო გადაე-
ხადა ჩემთვის, დაენახვებინა ჩემი ნამ-
დვილი სახე, რომელსაც კარგახანია
ვეღარ ვხედავდი. ნუთუ დღევანდელი
საღამო სპექტაკლი იყო? რა თქმა უნდა,
სპექტაკლი იყო, რომელშიაც მე, აგერ
უკვე რამდენი წელია, უცვლელი მიმი-
კით, უცვლელი ტექსტით ვთამაშობ-
დი, ოღონდ დღეს ამ სპექტაკლს ერთი
მოქმედი პირი შემოემატა — მახსოვრო-
ბა, რომელიც ჩემი დაქინებული მოთ-
ხოვნით გაძევებული იყო თეატრი-
დან, როგორც პირშიმოქმედი, მოური-
დებელი, ხებრე მსახიობი.

— არა, — ვთქვი ხმამალა. — არა,
არაფერი გამოვა.

— რატომ? — შემომეპასუხა ლია,
— მსახიობები წაიკითხავენ ადგილებს
შენი ბოლო რომანიდან, განა ცუდი
იქნება?

— კარგი იდეაა! — თქვა სოფიკომ.
მოულოდნელად ვიგრძენი თუ რა სა-

შინელება იყო მრავალცოლიანობა,
ლია იყო ერთადერთი, განუმეორებელი,
ამ ქვეყანაზე ჩემი იმედი და...
ის იყო, ვისაც ესმოდა ჩემი და ამიტომ
სხვა არაფერი ესმოდა და სწორედ ამის
გამო ვიყავი ახლა მისდამი უსაზღვრო
მადლიერების გრძნობით გამსჭვალული.
ის იყო, სიმყუდროვის წყნარი, მოლი-
დინე, მოჩურჩულე დედოფალი, ყო-
ველგვარ ეჭვებსა და სინანულს ბუზე-
ბივით უბრალოდ რომ ხოცავდა და მა-
რთლაც აპა, ჩემს გარშემო ყველგან,
სამზარეულოში, ოთახებში, დერეფან-
ში, გარეშეც კი ჰკერიდან ჩამომვებულ
პრიალა, დახვეულ ქალღმერთებზე მიწე-
ბებული უამრავი მკვდარი ბუზი თუ
პეპელა მოჩანს, ყველაზე უფრო მავნე
მწერები.

განა ლიამ არ გამოგვეძერწა და სულ
არ ჩაგვებრა ჩვენ — საკუთარ თავს,
მე და მამუკას, არ გადაგვაბა ერთმანეთს
თოკით და თოკის ბოლო განა იმ კე-
დელს არ მიაბა, ცხოვრება რომ ჰქვია?
ის თოკი მაგრად, სამუდამოდ, საიმე-
დოდ იყო მიბმული. ნურავინ შეეცდე-
ბოდა მის გაწყვეტას, უკაცრავად! თავს
ტყუილად ნუ შეიწუხებდა. ვერც სო-
ფიკოს, ოფელიას აჩრდილივით გამო-
ცხადება უშველიდა ამას. მე უკვე სამა-
გისო კბილი მოვიცვალე. არც ჰამლეტი
ვიყავი, რომ ეჭვებს დაეღრღნა ჩემი
ჰკუა და გონება, და არც ქრისტე, მე-
გობრებს შორის რომ მესეირნა. თუმცა
არც იმას დააყარეს მეგობრებმა კარგი
დღე.

ამას რომ ვფიქრობდი, უცებ მამაჩე-
მი დამიდგა თვალწინ: პამიდვრების
ჩითილებს შორის ღიღინით რომ მი-
დიოდა და იმის გაფიქრებამ შემზარა,
რომ ჩემი სიბერეც ზუსტად ასეთი იქ-
ნებოდა. მთელი ჩემი არსება სავსე იყო
გენებით — მამაჩემის მსგავსი პაწა-
წინა კაცუნებით, რომლებიც ფუსფუ-
სებდნენ, პაწაწინა სახლებს აშენებდნენ,
პაწაწინა ბოსტნებს ღობავდნენ, პაწაწი-
ნა ვაშლის ხეებს კირით ათეთრებდნენ
და პაწაწინა ძაღლებს ასეირნებდნენ.

და როცა ამ ფიქრისგან გამოვერკვიე, ცარიელი ჭიქა მეჭირა ხელში და ბოთლს შევცქეროდი, რომელიც ასევე ცარიელი იყო.

სოფიკოსა და ლიას თითქოს ჩემი არსებობა დავიწყებოდათ და ისეთი გატაცებით ლაპარაკობდნენ, როგორც მხოლოდ ქალებს სჩვევიათ და მერე ისე მოულოდნელად შეწყვიტეს საუბარი, როგორც ეს ისევე მხოლოდ ქალებს შეუძლიათ და ორივემ მე შემომხედა.

— ღმერთო ჩემო, რამდენი საერთო ნაცნობი გვეყოლია! — თქვა ლიამ.

— სატანა, სატანა შემოიპარა შენს ოჯახში, — კინაღამ ვიყვირე მე, მაგრამ ამის ნაცვლად გავიღიმე და ვთქვი:

— სასიამოვნოა!

ჩემი გაწრთენილი და ნაგარჯიშევი გონება ჯერ კიდევ ხელიდან არ მიშვებდა, არ მაძლევდა საშუალებას გადმომეფრქვია მთელი ის სისულელე, რომელიც ჩემს თავში გამბაზივით დახტოდა და დაირას აბრაზუნებდა.

სოფიკო წამოდგა:

— სამწუხაროდ, დარჩენა აღარ შემიძლია, ძალიან გვიანაა!

— ჯერ თორმეტის ნახევარიც არაა, — უთხრა ლიამ, — რა გეჩქარებათ!

— არა, ძალიან შორს ვცხოვრობ, დიდი მადლობა.

— მე გაგაცილებთ, — ვუთხარი.

ლიამ შემხედა, მაგრამ არაფერი უთქვამს.

— არ მინდა გაცილება. ავტობუსში ჩავჯდები და პირდაპირ სახლთან მიმიყვანს.

— ახლა ავტობუსები აღარ დადიან, გაგაცილებთ!

— გიგა მთვრალია, — გაიცინა ლიამ.

— არა, სრულებითაც არა ვარ მთვრალი. სტუმარი უნდა გავაცილო, ამ შუალამისას მარტო როგორ უნდა გავუშვათ, სირცხვილია!

— დიდი მადლობა, — თქვა სოფიკომ, — ნუ წუხდებით!

— ერთი წუთით მომიტმინეთ, — ვუთხარი მე, — ერთი წუთით.

საწოლ ოთახში ვავედი, ლია გამომეყვანა:

— გაგიყდი? — მიჩურჩულა.

— არა.

საწოლთან მიდგმული პატარა კარადის უჯრა გამოვადე და იქიდან მანქანის გასაღები ამოვიღე.

— გიგა?

— უნდა გავაცილო, სირცხვილია.

— მე წავიყვან, შენ მთვრალი ხარ! მოიტა გასაღები, მე წავიყვან.

— არა, სირცხვილია...

ლია საწოლზე ჩამოჯდა:

— შენ მაგ ქალს ადრეც იცნობდი?

— ვინ ვითხრა?

— მოიტა გასაღები, დაიმტკრევი შე საწყალო!

— არავისაც არ ვიცნობდი.

— გიგა.. გიგა, — რაღაც დიდი სიბრაღული და სინანული იყო ამ ხმაში ერთად ჩაქსოვილი, მაგრამ მისი ხმის სპექტრისთვის ახლა არ მეცალა, მე უნდა აქედან წავსულიყავი გარეთ, ჰაერზე, სულერთია სად.

სოფიკო კართან იდგა.

— აბა, წავიდეთ! — ვუთხარი მე.

— ისე სულ ტყუილად წუხდებით, ბავშვი არა ვარ, ვინ შემამინებს, ან ვის რად ვუნდივარ, — ეს უფრო ლიას დასამშვიდებლად იყო ნათქვამი.

— აბა, ჭკვიანად იარე, — მითხრა ლიამ და შუბლზე მაკოცა, თითქოს ლუქის ბეჭედით ჩამკეტა, თილისმა დამადო, რომ სხვა ქალის ეშხი არ წამკარებოდა.

დიღხანს მივდიოდით ისე, რომ არც ერთს ხმა არ ამოგვიღია. სანაპიროზე რომ გავედით, მანქანა გვაჩერე და გადმოვედი. მოაჯირთან მივედი და მტკვარს გადავხედე. სიგარეტი ამოვიღე, ასანთი მანქანაში დამრჩენოდა.

ამ დროს სოფიკო მომიახლოვდა:

— რატომ გავჩერდი?

— რა გინდა? — ვკითხე მე.

თამაზ ბილაქაძე

აკოპილიონის სასახლე

— არაფერი, — სოფიკომ მხრები
იჩჩია, — რა უნდა მინდოდეს?

— რატომ მოხვედი დღეს ჩემთან?

— საქმეზე მოვედი.

— ტყუი, — ვუთხარი და მერე ვუ-
ყვირე, — ტყუი!

სოფიკომ თვალეში შემხედა, კარ-
გახანს მიყურა ასე, მერე გაიცინა.

— არასოდეს არ მყვარებინარ, —
ვუთხარი მე, მერე დავუმატე, — ახლა
მით უმეტეს...

სოფიკო გატრიალდა და წავიდა. მივ-
ბრუნდი და ისევ მტკვარს დავუწყე ყუ-
რება. ცოტახნის მერე მოვიხედე, სოფი-
კო აღარ ჩანდა. მანქანაში ჩავჯექი და
გავეკიდე. კარგა შორს წასულიყო, მოა-
ჭირის გასწვრივ მიდიოდა.

მანქანა გვაჩერე, მივედი:

— არ მოდინარ?

ხმა არ გამცა, არც შეჩერებულა,
ხელი დავუჭირე:

— მაპატიე... თუ შეგიძლია, მაპატიე.

სოფიკო გაჩერდა:

— შენ მართლა მთვრალი ყოფილ-
ხარ!

— ხო, — ვუთხარი, — მთვრალი
ვარ... უგონოდ.

სოფიკო დიღომში ცხოვრობდა, ახალ
სახლში.

— რატომ გამომაცილე? — მკითხა
მან, როცა მის სახლთან მივედი.

— არ ვიცი.

— მე ისე მაინტერესებდა შენი ნა-
ხვა...

— მერე?

— რა მერე?

— ნახე რამე საინტერესო?

სოფიკომ არ მიპასუხა, მანქანის კარი
გაღო.

— დაიცადე! — ვუთხარი მე.

— კიდევ რამე გინდა მითხრა?

— რალა უნდა გითხრა, ჩვენ ხომ
ყველაფერი ვთქვით!

— ყველაფერი ვთქვით. ნახვამდის,
გიგა, დიდი მადლობა!

— არაფრის.

სოფიკო სადარბაზოში შევიდა. ცო-

ტახნის მერე კარი შევალე: იდგა და
ლიფტს ელოდებოდა.

ლიფტში მეც შევეყვი.

სოფიკომ ჩანთიდან გასაღები ამოიღო-
და კარი გააღო:

— მარინას, ალბათ, არ სძინავს, —
თქვა მან ხმადაბლა, — ისეც ვიცოდი.
ტელევიზორს უყურებს.

— ვინ არის? — ვკითხე ჩურჩულით.

— მარინა, მოვედი! — დაიძახა ხმა-
მალა სოფიკომ.

ოთახიდან არავინ გამოპასუხებია.

სამზარეულოში შევედი. ერთოთა-
ხიანი ბინა იყო, დაბალჭერიანი.

— არ ვიცოდი, თუ შეილი გყავდა.
აქი...

— დაჯექი, ახლავე სასმელს მოგძებ-
ნი რამეს...

— არ მინდა...

— ვიშვილე, — მითხრა სოფიკომ
ჩურჩულით. — აი, ღვინო მქონია ცოტა.

— არ მინდა, — ვთქვი, — მე მალე
წავალ.

— ჩუ! — მითხრა მან და თვალით
ოთახზე მანიშნა, სადაც მისი შვილი თუ
ნაშვილები, სიმარტოვის წამალი და
თვითონ სიმარტოვისთვის განწესებუ-
ლი იჯდა და ტელევიზორს შესცქეროდა,
თითქოს ეკრანიდან რაიმე ნიშანს ელო-
და, რომ ბავშვური წმინდა და უსახლდ-
როდ გულწრფელი სისასტიკით შური
ეძია ჩვენზე, ვინც ახლა სამზარეულო-
ში შეპარულნი, ჩურჩულით, მიკიბულ-
მოკიბული, ყალბი ლაპარაკით ვწვალო-
ბდით, რომ ერთმანეთისათვის იქნებ
როგორმე თუნდაც ერთი მართალი სი-
ტყვა გამოგვეგლიჯა და ჩვენი ცბიერე-
ბითა და სიძულვილით შემკრთალი ის
სიტყვა, ენის წევრზე მომდგარი, ისევე
უკან იხევდა, ისევე ტვინის რომელიღაც
კუნჭულში იბუდებდა, როგორც ბარტყი
ჩვენი გაყუჩებული მახსოვრობის
ფრთებქვეშ.

— ახლა ვხვდები, რა სისულელე ჩა-
ვიდინე, — თქვა სოფიკომ და სიგარეტს
მოუყიდა.

— რატომ?

— ნუთუ შენ მართლა გგონია, რომ ისევე შენზე ვფიქრობ?

— არ მგონია.

— მაშ რატომ მოხვედლი აქ, რა გინდოდა?

— ისე ამოვედი.

— ისე არავინ არაფერს აკეთებს, მით უმეტეს...

— მით უმეტეს ჩემისთანები, არა?

— თუნდაც.

გამეცინა:

— თუ ჩემი დაცინვა გინდოდა, გეტქვა და ერთად ვიცინებდით.

— არა, გიგა, — რატომღაც შეწუხდა, — შენ არ იცი, ჩემთვის როგორი ძნელია...

— რა?

— შენ რომ ასე გელაპარაკები.

— მერე რატომ იწვალე თავს?

— მე მართლა ძალიან მინდოდა შენი ნახვა.

— და ბებერ, გამოტყინებულ და პატივმოყვარე ცხოველს წააწყდი არა? ო, რა იშვიათი აღმოჩენაა, რა სასაცილოა!

— არა, მე შენ მომენატრე.

— მოგენატრე?

— ხო. ესეც გიკვირს?

— ძალიან.

— იცი, გიგა, მე მინდა, რომ ამ ქვეყანაზე ყველა კარგი იყოს. ეტყობა, ჰკუთნებ ვერ ვისწავლე... დრო კია — ოცდათვრამეტი წლისა ვარ! არა მარტო შენ, ყველა ჩემი მეგობარი თუ აზნაზი მომენატრა. მომენატრა ის დრო, როცა ბედნიერი ვიყავი... მეშინია.

— რისი?

დავინახე, რომ ტიროდა:

— რა გატირებს?

გაიღიმა:

— მე ჰკუთნებ ვერასოდეს ვისწავლი...

წამოდგა, სააბაზანოში შევიდა. ცოტახნის მერე დაბრუნდა და სიცილით შითხრა:

— აი, დღეს შენ რა უცნაური სტუმარი გყავდა, პოსეიდონის სასახლიდან!

თითქოს ჩვენს შორის ის ძველისძველი უშუალობა დამყარდა ერთი წამით.

— ძალიან გამეხარდა შენი ნახვა!

მანქანა ნელა მომყავდა.

„შენი პოსეიდონის სასახლე ნაგვის ყუთია, — ვფიქრობდი მე, — ყველა სენტიმენტალური მოგონება იქ უნდა ჩაყარო, მოიშორო, იმიტომ რომ ცრემლისა და სინანულის სუნით აქოთებულ ჩვარავით ყელზე გაქვს შემოხვეული და გახრჩობს. მაგრამ, როგორ უნდა მოიშორო, როგორ? რომ მოიშორო. შენ თვითონაც... რა?“

ძაფის გორგალი ილევა, მგონი, ხმა. ხმა, ხმა გამეცი!

არ ვიცი, ვის მოვუხმობდი. ვისი ხმის გაგონება მინდოდა. ოღონდ ეს კი იყო, რომ ჩემს თავთან მარტო დარჩენისა მეშინოდა. და რადგან იმასაც ვფიქრობდი, ნაგავი მტკვარშიაც ჩაეტევა-მეტეი, კიდევ უფრო დიდი შიში მიპყრობდა. ეს იყო მოულოდნელი და უცნაური შიში საკუთარი თავის მიმართ, რომელიც ახალგაღვიძებულ, პირველყოფილ კაცივით, მოგონებებმა სიშმაგის ნელსაცხებელი რომ აკურეს, მდინარის ქვის ჭებირის იქით მიიწევა, როგორც დაბანგულ სივრცეში, სადაც, დარწმუნებული იყო, სიმშვიდესა და ნეტარებას ჰპოვებდა. მას შეეძლო ჩემთვის ხელი გადაეგრიხა და მანქანა, ეს მოთვინიერებული რკინის მხეცი, უხმო ძუნძულით ცარიელ სანაპიროს რომ მიჰყვებოდა. ქვის ჭებირს შესკდომოდა და მდინარეში გადაშვებულ იყო, თავის დაბნეულ და შემკრთალ მწრთვნელთან ერთად, რომელსაც მხრებზე ნაგვით სავსე ტომარა ჰქონდა მოგდებული.

უცებ ლიას ხმა გავიგონე, ისე გარკვევით, თითქოს ლიას ჩემს გვერდით მჯდარი იყოს:

— ჰკუთნებ იარე!

ღმერთო, ჰკუთნებ! ეს ჩემი ერთადერთი

თამაზ ბილაძე

პოსეიდონის სასახლე

მეგობარი და მშველელი, რომლის ყვე-
ლა გასაოცარი თვისება, ბევრისაგან
განსხვავებით, დროზე შევისწავლე.
ეს იყო ნუგეში, მონანიება, პატიება
სინათლე!

მანქანა გავაჩერე, გადმოვედი და
ფეხით განვაგრძე გზა, თითქოს გალიი-
დან გამოვიქეცი.

მე ოჯახი მყავდა. მქონდა ჩემი ბინა.
სადაც ახლა ეძინა ჩემს შვილს, პატარა
იულიუს კეისარს და სიზმრად ხვალინ-
დელ ტელეგადაცემების პროგრამას
ხედავდა. უცებ გასაოცარი სიცხადით
შევიგრძენი ჩვენი ბინის მყუდროება,
ჩვენი საწოლის სიგრილე და ლიას ოდ-
ნავ გასაგონი ფშვინვით გამტკიცებუ-
ლი სიმშვიდე.

ჩემი ბინა სავსე იყო ჩემი საყვარელი
ნივთებით. მორჩილი და მუდამ სამსა-

ხურისათვის გამზადებული საგნებთან-
მე უკვე ბებერი ვიყავი. აფთიაქებით
გაკრიალებული სიბერის თაროებზე
წამლის შუშებივით ეწყო ჩემი ფლოს-
ტები, ჩემი სათვალე, ჩემი საფერფლე,
ჩემი მაკრატელი და ჩემი წაუკითხავი
გაზეთი. თუმცა ჩემს ცოლ-შვილს ეძი-
ნა, დიდ ოთახში შუქი მაინც ენთო და
მისი სამი გაჩაღებული ფანჯარა შუქუ-
რებით მოჩანდა შორიდან.

ჩემი ბინა სავსე იყო ჩემი ღიღინით,
საბეჭდი მანქანის კაკუნით, ჩემი სივა-
რეტის კვამლით, ლიას ჩურჩულით, მა-
მუკას ყიყინით, ტელევიზორის გუგუ-
ნით და ამ ხმებისაგან მოქსოვილი ბადე
მღვრიე და გაყინულ წყლიდან მეწეო-
და, მექაჩებოდა, თავისაკენ მიმათრე-
და, რადგან მე უნდა მეცოცხლა, მეცოც-
ხლა, მეცოცხლა!



ს ა მ უ მ ბ ლ ი

როგორც გაზაფხულს მწვანე მინდვრები
იმიტომ შვენის, რომ
თავისია...

ვით ზაფხულს ცხელი, მდუღარე ხვატი
იმიტომ შვენის, რომ
თავისია!

ვით შემოდგომას სიმრავლე ფერთა
იმიტომ შვენის, რომ
თავისია,

ვით ზამთარს თეთრი, ცივი სამოსი
იმიტომ შვენის, რომ
თავისია...

მე მხოლოდ ერთი,
ვით ბედისწერა,
მამშვენებს შენზე ფიქრის პერანგი!

უ ა ტ ი ლ ი

არა ყოფილხარ, მამულო,
მხდალი და ბედის მორჩილა,
ამ კოშკზე ნისლის ნინვეი
შენი სულია ფოფინა...
ვნახე, დაჰქროლა ნიავმა
და საჭართველოს მოჰფინა!

●
ნისლო, მთით გადმამავალო,
რა ამბავ მოგაქვ, ნეტაი?
რასა იქმს, ჩემი დაღლილი,
ჩემი მწუხარე დედაი?

ხომ არ ჩაკეტა ნამქერმა
გზა — ვიწროები სავალი?
კვამლი ოთუ ადის ერდოზე,
ისევ თუ ყივის მამალი?

ნისლო, მთით გადმამავალო,
რა ამბავს მეტყვი, ნეტაი?
რასა იქმს ჩემი მწუხარე,
ჩემი ბეჩავი დედაი?

ერბო რა ღირსო ქალაქში,
ცხრა ფურს ვწველიო ღალიანს..
კითხულობს ბებერ ხევსური,
ახრჩოლებს მწარე ყალიონს.
მთვარე ჩამოდის ერდოდან,
მთვარე პირთეთრა ქალიო...
— აბა, რა გითხრა ქალაქის,
დაასხი, კაცო, დავლიოთ!...

ლეგაისკარი, ხევსურეთის აყრილი სოფალი

არა ბომბორა ძაღლის დავდავი,
მომდევს, მომყვება ქარის კიჟინა.
ვნახე, რაც იყო აქ სანახავი
და გევი უკვე სხვაგან მიჭირავს...

საცაა ბინდი არეს დალამავს,
მზე მთების გაღმა გადაიწვერა...
... ქანაობს კოშკზე ხაფისს დალალი,
როგორც ნუგეში და ბედისწერა...

მივალ, თეთრია არაგვის ჭალა,
თეთრად ქათქათებს მთელი
ტყე-ველი.
ღმერთო, გენუკვი, არ მომიშალო
ეს განწმენდილი საკურთხეველი!

ეხმიანება... ყინვის არტახებს
გამოქცეული და აწყვეტილი.
უცხოდ მოისმის ყვავის ყრანტალი, —
ქათქათა თოვლზე — შავი წერტილი...

მივალ, მეძახის კვამლი — ფრინველი,
იმედიანი, ფრთებგაფოფრილი...
წარსული — ჩემი ღია ჭრილობა,
ღია ჭრილობა — მარილმოსყრილი.

აფრინდა. მწუსრმა გადაიარა
და გადახაზა თეთრი ტყე-ველი.
ის ცბიერებით არის ძლიერი,
მე სიყვარულით — ბედის მძლველი...

თოვლი მოსულა. ჩამშვიდებული
შაინც შრიალებს წყალი არაგვის;
ეხმიანება შიშველ შიშველებს
ოდუმალ ხმითა და ლაპარაკით.

და მივალ.
მიხმობს კერიის კვამლი,
ჩემი მთების და ჩემი მამულის.
ღმერთო, გენუკვი, არ მომიშალო
ეს სიხარული და სიყვარული!



საქართველოს ხმელისა და ზღვის,
 ჩვენი სუფრის, პურისა და მარილის,
 მოსარკული ამ ფირუზი ცის,
 ამ მთა-ბარის ფერის ათასნაირის,
 მყინვარწვერით გადმომდგარი მზის
 და მთაწმინდის მთვარის წყნარი რონინის,
 რუსთაველის — ქართლის დიდი ძის,
 სხვათა მხარეს ბედის გადასროლილის,
 ერთი კახის მოქნეული ხმლის,
 ჩემი ცოტნე დადიანის სახელის,
 სიყვარულით ვძლიე ყველა ჭირს,
 შთაგონებით ვანთე სულის ნათელი.
 დაგვიმარცხდეს ორგული და მშური,
 იფრიალე ალისფერო ალამო...
 საქართველოს თუ სადმე აქვს წყლული,
 მე იმ წყლულზე დავედებოდე მალამოდ.

მაისის დილა

ზედ ჭალის თავზე, ალაზნგალმა,
 მაისის დილის მზე და აღმური,
 ვით ფარშევანგი ამოფრთხილდა,
 დაღესტნის მთებით გადმოპარული.
 მყინვარზე შედგა ნაზი ზმორებით —
 ალი ჩახჩახა, ცხელი ფერია,
 და მეწამული, სქელი მორვეი
 გომბორისაკენ გადმოფერია.
 რა ჟღერტულით და რა ჟრიამულით,
 წამოფრენილი ათასი ბუდით —
 სველი ლაჟვარდის ზეთში ბრუნავდა
 მოოქროვილი ჩიტების გუნდი.
 თითქოს მიჰყავდა მზისაკენ მათ ფრთებს —
 წამომართული ფრთოსან რაშივით,
 შერწყმული ზეცის თვალმომჭრელ ნათელს
 მთაზე შემდგარი ციხე დაშლილი.
 და ჟღერდა ვერცხლის ალაზნის სიმი,
 კახეთი დვინის ფერით თვრებოდა...
 მზეს სიდნადისკენ გაუსხლტა სსივი,
 ზედ ოქროს ჩიტი ჩამოჯდებოდა!

მესხეთის ტყეებს

ივნისის მზე დარჩენილა შორს
და შენც ყვითლად, ნაღვლისფერად მოირთე..
ასე უცებ როდის გასხლტა დრო,
რა უცაბედ გაპარულა ორი თვე.
განშორების ტკბილი სევდა მკლავს,
მაინც ყველა მოსათმენელს მოვითმენ;
დღე დადგება, მობრძანდება კვლავ,
ჩემი შენთან ნებივრობის ორი თვე.

მუხრან-ბატონის ყომბითა...

მტკვრის ნაპირებს თუ ქსნის ნაპირებს ჩიჩქნიდა კავი,
ზანტად, მოწყენით ნახნავებში დახტოდა ყვავი.
ხარების რქებზე ცისკრად წყვილი სანთელი ენთო;
სეტყვას ნუ დაჰკრავ ბეჩავთ ნათესს, მოწყალე ღმერთო!
ნუ გამოულევე პურსა და ხახვს, ღვინოს ხელადით...
გუთანს მისდევდნენ ფეხშიშველნი, თეთრი პერანგით.
შესწებებოდა ყმათა მაჯას ბერი სახნისი,
მაინც წყრებოდა დიანბეგიც, მამასახლისიც,
მილილინებდა დამაშვრალი, ოფლგადაშკადარი,
ზემთ გორაკზე მზის თვალივით იდგა საყდარი.
ჭირს ბობოქრობდა იმ ბედშავთ და ბეჩავთ პატრონი:
ხელმწიფის რიხით ბატონობდა მუხრან-ბატონი.
ყმა რას ჰკადრებდა, მორჩილებას ბრძანებდნენ ციდან
და ქუდმოხდილი გლეხკაცობაც მორჩილად იდგა...
და ასე, ყოველ გაზაფხულზე ლოცვით და სანთლით
მინდვრად ჭაპანქვეშ ღილინებდა, კვნესოდა ქართლი.
მე ვხედავ შორით — მწარე ცრემლით თვალებმონამულს.
და მოძმის ხვედრით შეწუხებულს — ნიკო ლომოურსა.




25 თებერვლის დილა

გულს გვინთებს ცეცხლი,
გმირთაგმირებს რომ დაუნთიათ,
ზაფხულობს მარად,
სიცოცხლეა,
ასე რომ თბილა,
დედის თვალეზი დამანათა
მშვიდობის დილამ
და ვთქვი ამაყად:
დღეს თებერვლის ოცდახუთია!

მოიჭრა სიო ეზოებში
და მოკრძალებით
ხეებზე კვირტებს
აეხილა თვალი ცისფერად,
დღეს საქართველო
მორთულია პატარძალივით
და ჩემს ქალაქში
ალტაცების ისმის სიმღერა.

თოვლის ფიფქებიც,
მთებიდან რომ გველანდებიან, —
ჩვენი დღეების სიყვარულით
ნელა დნებიან...

ჩონგურის სიმებს
შეარხვევენ ნაზი თითები;
დიდი მედროშის სიყვარული
კვირტშიც რომ ღვივის,
მზე დგება ახლოს,
რომ შეასხას ქება-დიდების
უხვი ნათელი
მშობლიური
თვალეზის ღიმილს.



საბედისწერო უღელტეხილი

ვაჟი მამას გაეპარა, ქალი — დედას.
წავიდნენ, მაგრამ თვითონაც არ იცოდნენ, საით.

გაიქცნენ, საცალფეხო ბილიკებს გაჰყვნენ მაღლა — ნისლეების მხარეში.

განუსჯელი იყო ეს ნაბიჯი, მაგრამ დაშორებას განუსჯელობა არჩიეს.

ადამიანთა უაზრო მტრობა, ქიშპობა, მკვლელობა მერე ტვირთად აწვებოდა უდანაშაულო შთამომავალთ, რომელთაც ერთმანეთი უყვარდათ, რომელთაც სურდათ ერთმანეთი ყვარებოდით.

ვაჟის პაპას ქალის ნათესავი ჰყავდა მოკლული, და ამიტომ სიყვარულის უფლება დაკარგეს ადამიანებმა, რომლებიც მაშინ დაბადებულიც არ იყვნენ.

მაგრამ ეს ძველი ამბებია. სვანეთის კოშკები გაჭადარავდნენ ასეთი ამბების მოსმენაში.

ქალი და ვაჟი ენგურის ზვირთებს ჩასცქეროდნენ. მარტონი იყვნენ და ერთმანეთს ეკვროდნენ შეშინებულნი, უცოდველნი. ჯერ ვაჟმა არ იცოდა, რა იყო ქალი და არც ქალმა იცოდა მამაკაცის სიახლოვე.

წმინდა, უმანკო გული არ ჩქარობს, მხოლოდ ნადირნი ლამობენ მალე გაგლოჯონ მსხვერპლი და მიიძალონ.

— წავიდეთ, ნასიბ, აქ მეშინია, — ამბობს ქალი.

— რისი გეშინია, მანოლ?

— მეშინია, არ დაგვაშორონ.

წამით დუმილი ჩამოვარდა.

— ნასიბ, ძაღლის ყეფა მესმის. სადაც ძაღლია, იქ ადამიანიც იქნება.

— წავიდეთ.

და მიდიოდნენ.

ჯერ ენგურს მიჰყვებოდნენ, მაგრამ

ძაღლების ყეფა რომ გაიგონეს, გადაუხვიეს და თავი ტყეს მისცეს. ბილიკი მთებში აღიოდა. ამ ბილიკით ხან მწყემსები დადიან, ხანაც მგლები და დათვები. ახლა ეს შეყვარებულთა გზა იყო.

— ამ მთის იქით რა არის? — ეკითხებოდა ქალი.

— მეორე მთა.

— იმის იქით?

— მესამე მთა.

— სულ მთებია?

— არა, უღელტეხილიც არის, იქით სხვა ქვეყანაა.

— ჩვენ იქ ვიცხოვრებთ?

— რა თქმა უნდა.

— საკუთარი ყანა გვექნება?

— გვექნება.

— თუ არ მოგვცეს?

— მაშინ წავალთ უფრო შორს. წავალთ ქალაქში.

— ქალაქში რა უნდა გავაკეთოთ?

— ვიმუშავებ, ქირაზე წავალ, რამეს ვიმოვნ.

— თუ ვერ იშოვნე?

— ხელს გავიშვერ და ვიმათხოვრებ, — ჩაიცინა ვაჟმა.

— უიმე! — შეკრთა ქალი. — მერე, რას იტყვის ხალხი?

— რა უნდა თქვას: მათხოვრობსო... არა, მანოლ, ნასიბი მოგიკვდეს, თუ საქმე სამათხოვროდ გაგიხადოს. მთავარი, შენ ჩემთან იყო.

— მე? მაშ სად უნდა ვიყო?

უმანკო ახალგაზრდები ერთმანეთს გადაეხვივნენ. მერე ქალმა ჰკითხა:

— მითხარი, ნასიბ, რანაირად ცხოვრობენ ქალაქში?

— ისევე, როგორც ჩვენთან: ზოგი

კარგად, ზოგი ცუდად, ზოგი ბატონია, ზოგი ყმა, ზოგი მუშაობს, ზოგი ჭამს. ფართო ქვეყანაში ცხოვრება ჭრელია.

— შენ როგორ ცხოვრობდი?

— გვარიანად. ვაშენებდი. ვქეიფობდი. დიასახლისი ჩიტის რძეს არ მაკლებდა. მოკლედ, კარგად ვცხოვრობდი.

ქალიშვილს გულზე რალაცამ გაჰკრა, ნაღვლიანად იკითხა:

— მერე, რად დაბრუნდი, თუ იქ კარგად ცხოვრობდი?

— მერცხალი ქვეყნიერებას დასტრიალებს, მაგრამ ჭვარტლიანი კოშკის ქონგურზე იკეთებს ბუდეს. იქ ერთი ზამთარი ძლივს გავჩერდი.

— ახლა რომ ბრუნდები?

— ახლა შენ ჩემთან ხარ.

ცოტა შეისვენეს. ბილიკი ცერად მიდიოდა. ქალს ეშინოდა, გზას არ ავცდებოდა, და ნასიბს ჰკითხა:

— ამ ადგილებში პირველად ხარ?

— არა, სანადიროდ ვიყავი ამ ზაფხულს.

— მოკალი რამე?

— არაფერი.

— ნადირი გაწყდა? თუ დალი გაწყდა?

— არც ნადირი გაწყვეტილა და არც დალი გამწყრალა. ბექობზე არჩვი იდგა. მზეს შეჰხაროდა. დავუმიზნე და არ ვე-სროლე.

— არ ესროლე?

— ჰო, სულ შენა გვავდა.

მანოლას გაეცინა. ქალაქელი დიასახლისი დაავიწყდა.

ფეტვრა გატეხეს. ხმელი ლუკმა ყელზე დაადგათ. წყალი მოსწყურდათ, არსად იყო.

ადგნენ და გზა განაგრძეს.

საით მიდის მათი გზა? რას მოლოდინს ხვალინდელი დღე? სიცოცხლისთვის სიყვარულით საესე არიან, მაგრამ მართო სიცოცხლე და სიყვარული რას კმარა! სიყვარული დედოფალია: ბევრს ითხოვს და არაფერს იძლევა.

მთებში აგრილდა. ბინდი ჩამოწვა და მაინც მიდიოდნენ. საღდაც მგლის გამჟღავნებული ყმული გაისმა. ქალი ვაჟს მიეკრა და უხმოდ მიჰყვა.

თოვა დაიწყო. შეყვარებულები კი მიდიოდნენ. რისხვას გაუტრბოდნენ. შიში შეეპარათ გულში და მაინც მიდიოდნენ.

— თოფი რატომ არ წამოიღე? — ჰკითხა ქალმა.

— რა ვიცი... მეგონა, შენ თუ ჩემთან იქნებოდი, არაფერი არ დამჭირდებოდა.

ყმული ისევ გაისმა. ნასიბი და მანოლა მაინც მიდიოდნენ.

მერე, სად წავიდნენ? აბა რა გითხრათ, რაც არ ვიცი. ალბათ დღესაც მიდიან, რადგან მთის გადაღმა არ გამოჩენილან, მთის გამოღმა კი მათი კვალი თოვლმა დაფარა. იქნებ კარავს წაიწყდნენ უღელტეხილზე და დღესაც იქ ცხოვრობენ? არ ვიცი. თქმულება ამაზე ღუმს.

მხოლოდ ორი კლდე დგას სვეტად აზიდული, ერთიმეორეს გადასცქერიან. ერთი მაღალია, მეორე დაბალი, ქალსა და ვაჟს გვანან. მონადირეები ასეღაც ეძახიან: „სიმაქ-ი-მახელვაჲ“ — ქალვაჲი...

მგზავრი ამ ადგილას უთუოდ შეისვენებს ზოლმე და რიდიტ დახრის თავს გაქვავებული სიყვარულის წინაშე.



წარწერა მეფე ფარნაპაგის ფარგე

რამაზ პატარიძეს

მე: ვარ: ფარი: ფარნავაზის:
მე: ვიფარავ: მტკვარს: და: ფაზისს:
ზედ: ბეჭედი: მისი: მაზის:
მორჩი: შვენიერი: ვაზის:

●
მასპინძლის გოგო ზალაში მაწვენს.
თოვს, და მე ვფიქრობ თოვლზე და „ტუ“-ზე.
ეზოში უღვთოდ მოჭრილი ნაძვი
აგდია, როგორც გაჭრილი ტუზი.

გარინდებული ვწევარ ზალაში
და ვუმზერ, როგორ ჩამოდის თოვლი,
ეუსმენ მეზობლის ხმიერ შალაშინს
და ვემატები თოვლს, როგორც თოვლი...

●
თითქო გულთეთრა ვიყოთ გნოლები —
გამობმული გვაქვს ფრთებზე რგოლები...

არსად არავის არ ავერვით
ასე გულდაგულ დანიშნულები...
ჭალა.
ჭალები.
ფერი.
ფერები.
შორს გასაფრენი სული. სულები.

ტკივილი ჩუმი და უნებური —
„ხელიდან ისე უცებ მეცლები“...
მე უნდა ვნახო დაბრუნებული
ჩემი გნოლები...
ჩემი მერცხლები...

ყოველის შემარიგებელი
დგება განშორების წამი...
ჩუმად! ჩუმად! ჩუმად! ჩუმად!

- ექვსი!
- ხუთი!
- ოთხი!
- სამი!

ხვალ ვინ იცის, სად გაქრება
სული შენი — შორით... შორით...
ფრთხილად! ფრთხილად! ფრთხილად!
ფრთხილად!

- ხუთი!
- ოთხი!
- სამი!
- ორი!

ჩრდილი ფარავს აღმოსავლეთს,
თითქო იყოს დასავლეთი...
ჩუმად! ჩუმად! ჩუმად! ჩუმად!
— ოთხი! სამი! ორი! ერთი!..

სწორედ იმგვარად შეუცხოება,
როგორც კუთხეში საგანს საგანი —
ეტლი და ეტლი ჩემი ცხოვრების:
ხან — ბალდახინი,
ხან — ბალაგანი.

და მაინც მიყვარს...

ასე ფრინველებს
უყვართ კლდეებში მათი ბაზარი.
ძველი ჭრილობის ტკივილს ვინელებ
კამკამა ცრემლის ცხელ აბაზანით.

თითქო დერვიში ვარ მალრიბელი,
ბოლო არ უჩანს მზისქვეშ ხეტიალს.
არსად გამოჩნდა ჩემი ღრუბელი,
ქედის გადაღმა — ისევ ქედია.

და მაინც მიყვარს...

ასე ფრინველებს
უყვართ კლდეებში მათი ბაზარი.
ძვირფას ტკივილებს კვლავ გავინელებ
კამკამა ცრემლის ცხელ აბაზანით...

მოწყენამ იცის — შევყვეით თამაშს,
და ვფხიზლობთ თუმცა მამა და შვილი —
დადგება ზამთრის ვეება ღამე
და ყველას, ყველას გვეყოფა ძილი...



დახურულია უსასრულობა —
 ცისარტყელების ადევს ურდული.
 ანგელოსები. სული. სულეები.
 სივრცე — ლამაზი და აბსურდული...

თითქო მდუღარე ცრემლში მიწყვეტილი
 გადაფატრული მაჯა. მაჯები.
 ამოდის მამის ლანდი მიწიდან,
 დარჩეს ბავშვებთან — ვთხოვ, ვეაჯები...

თითქო მდუღარე ცრემლში მიწყვეთია
 გადაფატრული სუსტი ვენები...
 ამოდის მამის ლანდი მიწიდან,
 სულს ჩრდილის მკერდზე მივესვენები.

მაგრამ სურავენ უსასრულობას
 ცისარტყელების ნაზი ურდულით,
 და მრჩება ფიქრის ვრცელი სავანე
 და ნაკადულის მშვიდი დუღუნი...

უსასრულობის ბალადა

არ გაგიკვირდეთ ბალადა არვის:
 პატარა გოგო მწყემსავდა არვეს.

გარეკა ღრუბლის კიკო კრავები
 (გაასუფთავა დაფა სრულებით),
 შედგა კიბეზე, და ვარსკვლავები
 ღმერთს მიუწერა, როგორც ნულები:
 0 0 0 0 0 0 0 0 0 0 0 0 0 0 0 0...

მდინარეს ეშინია ზღვასთან შეერთების,
 და მიდის ნელა. ნელა. ნელა.
 ბერიკაცს ეშინია ცასთან შეერთების,
 და მიდის ნელა. ნელა. ნელა.
 ღამეს უხარია დღესთან შეერთება,
 და მოდის ჩქარა. ჩქარა. ჩქარა.
 იყო ასე და იქნება ასე
 ყოველთვის.
 ყველგან.
 მარად.
 მარად.

?

ლურჯ
 უდაბნოში,
 რა თქმა უნდა,
 ცხელოდა ძალზე.
 ცხელ
 უდაბნოში,
 რა თქმა უნდა,

შიოდათ ძალზე;
 და ეს მირაჟი არ იყო სულაც
 გავდა
 აქლემი
 ლომისათვის
 დასმულ
 შეკითხვას...

ერეკა ანუ პირველი პარჯიში საბეჭდ მანქანაზე



რეზო კვიციანი

დღე. უფერული დღე, გადაბეჭდილი ათას ცალად.
ღამე. რა არის ღამე? — დღე, ეშმაკმა რომ გადასძალა!

ფიქრი. ფიქრები. ფიქრი, გადაბეჭდილი სამ ცალად.
ცრემლი. ცრემლები. ცრემლი. დაუღვეველი სამხალა!

პირმშვენიერი დები, გადაბეჭდილი ორ ცალად.
სამასკაციან სეფით ტყუპისცალს დავაქორწინებთ!

ტიპი, საწყალი ტიპი, გადაბეჭდილი ას ცალად.
მდგმურმა ბინები უფლის დიდი ხანია დასცალა!

დღე. უფერული დღე, გადაბეჭდილი ათას ცალად.
ღამე. რა არის ღამე? — დღე, ეშმაკმა რომ გადასძალა!

ღ ა მ ე ლ ო ბ ა ნ ა

(ოქროს ყელსაბამი ვანის ქალაქიდან)
მშვენიერ ყელზე ოქროს ბაკანს მისდევს ბაკანი:

კუ. კუ. კუ. კუ.

სამიათასი წლის გადაღმიდან მამრანებს გოგო.

— კუკუ!

კუკუ!

ოქროს ჯავშანმა გაუძლო დარტყმას,

მილიონ ღამის ძალისას.

ოქროს ჯავშანმა გაუძლო გლოვას,

მილიონ ცრემლის ძალისას.

სამიათასი წლით მიმასწრო ლეღვის ხეებთან


შავთვალა გოგომ, და იცინის გულნებიერად:

— კუკუ!

კუკუ!

მშვენიერ ყელზე ისევ მისდევს ბაკანს ბაკანი:

კუ. კუ. კუ. კუ.



მ ღ უ ხ რ ი

ანტონი ავუზგუზებულ ბუხართან ჩამოძვარა და მოკლუტარიან ჩიბუხს აბოლებდა. გახელბულ ცეცხლს ისე შეჰყურებდა, თითქოს რაღაც სახუკარი მიეზარებინოს და ახლა დაბრუნებას თხოვსო. არც ჩიბუხს იგიწყებდა ყოფილი მოსამართლე, მალმალე დახედავდა, თავს გააქნევ-გამოაქნევდა და კვლავ ცეცხლს ჩააშტერდებოდა.

ეს დიდი, ძალიან დიდი ხნის ამბავია. მაგრამ ჯერ არავისთვის გაუმხელია. დრომ ბევრი ჭირ-ვარამი აგემა, ბევრი სიხარულიც მოჰგვარა, მაგრამ იმის გახსენებას ვერაფერი დააკლო.

ცეცხლია მოწმე იმ ამბისა, რისი გახსენებაც ასე სტანჯავს ანტონს. წლებს ამოფარებული სადღაც ბნელში უნდა ჩაქარგულიყო, მაგრამ სულ მოგონებებში ტივტივებს.

არც ის მოკლუტარიანი ჩიბუხი დარჩენილა მოგონებების მიღმა. მაგრამ, ცეცხლთან მარტო რომ რჩება, არ შეიძლება მესამე უსიტყვო მოწმეც არ გაიხსენოს, არ აიღოს ხელში და არ გადაშალოს იმ გარდასულ დღეთა მოგონებების ფურცლები.

მოსამართლე ანტონი ცოდვა-მადლის არც თუ ცუდი გამკითხავი ყოფილა. სამართალში მიცემულთ ყოველთვის სჯეროდათ მისი, სჯეროდათ, რომ: თუ უდანაშაულონი იყვნენ, მათ ანტონი უბრალოდ არავის დააჩაგვრინებდა.

ყოველთვის სამართლიანი განაჩენი გამოჰქონდა ანტონს, უმაღური არავინ ჰყავდა. მაგრამ რა განაჩენიც არ უნდა გამოეტანა, ყოველთვის ღელავდა და პროცესის დროს თვალს ვერავის უსწორებდა, ბოლო სიტყვებს უკვე ხმისკანკალით წარმოთქვამდა.

...იჯდა მოსამართლედყოფილი ბუხარის პირას და ჩასჩერებოდა ცეცხლს,

რომელთანაც საუბარი სურდა, მაგრამ რატომღაც ვერ უბედავდა თავს. არა, საუბრით ხშირად უსაუბრია მასთან, თუმცა დაწყება უჭირდა ყოველთვის. მერე ანტონს თვით ცეცხლი წახებარებოდა, ერთს შეიშმუშნებოდა და ეტყოდა — გახსოვს ანტონ ზღაპარიო?

ანტონი არ დააყოვნებდა და შეშინებული იმით, რომ ცეცხლმა საუბარი არ შეწყვიტოსო, მაშინვე მიუგებდა:

— მახსოვს კი, როგორ არ მახსოვს!

ახლა ანტონი უფრო ხშირად შინ იჯდა, ვიდრე სასამართლო პროცესებზე. პენსიას თვის დასაწყისში იღებდა და, მარტოხელა კაცის კვალობაზე ეზოგებოდა კიდევ რაღაც ნაწილი. ბევრის მომთხოვნი არასოდეს ყოფილა და ახლაც უმნიშვნელოთი გადიოდა იოლად.

ახლადგამომცხვარი მოსამართლეები სახლში მორიდებით მიდიოდნენ ანტონთან, რჩევას ეკითხებოდნენ, ისიც არ იზარებდა პასუხს. ჯერ არ ახსოვს ანტონს, ვინმე გაწბილებული გაეშვას. მისი რჩევა მისწრება იყო თემილას მსახურობას შემდგარათვის.

ასეთი იყო ანტონი და ყველა პატივისცემით ეკიდებოდა. ყველასათვის გამოჰქონდა სამართლიანი განაჩენი; თუმცა თვითონ კმაყოფილი რომ ყოფილიყო, არასოდეს მომხდარა.

ეს მხოლოდ ანტონმა იცოდა, ვერ მოძებნა ვერავინ, ვისაც გულის ვარაშა გადაუშლიდა.

ბუხარში ცეცხლმა გაიტყაყუნა, ანტონი გამოერკვა და მაშინვე მოესმა:

— გახსოვს, ანტონ?

მობუცს არსაით გაუხედავს, იცოდა, ამას მხოლოდ ცეცხლი შეეკითხებოდა.

— მახსოვს, კი როგორ არ მახსოვს! შენ, შენც ხომ გახსოვს? ძველი ამბავია და იქნებ დაგავიწყდა?

ცეცხლი ბუხარში უფრო გაძლიერდა და ალის ენები წამოიფეთრნენ, თითქოს ამით საყვედურიც უთხრეს მოსაუბრეს, არც მე ვარ გულმაღიფყიო.

მერე კი მოგონებები გადაეჯაჭვნენ ერთმანეთს...

ბუხარში ცეცხლი ერთო ისევ, ხან აბუსბუსდებოდა, ხან მიინავლებოდა: შიშინ-ტაკუნით ხან ემოწმებოდა მოსამართლედყოფილს, ხან — ვიფიშებდა. ანტონი კი ჰყვებოდა და ჰყვებოდა. ჰყვებოდა იმ ამბავს, რომელიც მის ცხოვრებაში ერთ დიდ პროცესს შეეხებოდა, რომლის განაჩენი აქამდე ვერ გამოეტანა. ეს პროცესი დიდი, ძალიან დიდი ხნის წინ დაიწყო და დღემდე არ დამთავრებულა. მოწმეების ჩვენება კი... ანდა, ვინ იყო მაშინ მოწმე? მხოლოდ ის, ცეცხლი და აგერ ეს უკვე გალეული ძველი ჩიბუხი, რომელიდაც უცხოური ფირმის დამლაც კარგად რომ აღარ აჩნდა.

ცეცხლი გიზგიზებდა ბუხარში და მისი ძალა მოხუცს ძარღვებში გადასდიოდა. ანტონმა ცეცხლს შეშა შეუმატა და ორივენი ჩაიძირნენ მოგონებათა ბურუსში.

ძველად, დიდი ხნის წინათ, ერთ პატარა ქვეყანაში ცხოვრობდა ერთი სწავლამოწყურებული ჭაბუკი. ჭაბუკი დედისერთა იყო და ყველა თავს ევლებოდა, ანებივრებდა, რასაც ზოგიერთივით ბოროტად არ იყენებდა.

ყველა სიკეთე და მადლი იმ ჭაბუკში იყრიდა თავს, რისთვისაც მთელ სოფელს უყვარდა, თუმცა ერთი ნაკლი კი ჰქონდა: წიგნს რომ ჩაუჯდებოდა, ქვეყანა რომ დაქცეულიყო, თავს ვერ ააღებინებდით. უყვარდა წიგნი და წიგნის სიყვარულით ვინ დაჩაგრულა, ის რომ დაჩაგრულიყო. ჭაბუკი იზრდებოდა და თანდათან ხვდებოდა, რომ შინ მიღებული ცოდნა მაინცდამაინც ბევრს არაფერს მატებდა.

და აი, საულვამეზე გინგლი რომ გაუჩნდა, აიკრა გულა-ნაბადი და გაუდგა

მორეულ გზას — იქ მივდივარ, სადაც სწავლულების ქვეყანააო.

უშლიდნენ, მაგრამ ვერაფერს ვახდენენ შინაურები. მერე, რაკი სხვა გზა არა ჰქონდათ, დაულოცეს გზა, ცრემლით გააცილეს ჭაბუკი...

ბევრი იარა თუ ცოტა, მიადგა ერთ დიდ ქალაქს, რომელიც სწავლულებით იყო სავსე. მივიდა ერთ მეცნიერთან და უთხრა, შეგირდად უნდა ამიყვანოო.

მენციერს მოეწონა მოხდენილი ახალგაზრდა და ჰკითხა:

— საიდანა ხარო.

— იმ ქვეყნიდანა ვარ, სადაც ბაღები გაშლილი ტყეებად, სადაც ზაფხულში მზის თაკარება მთის კენწეროებზე ვერ აღნობს თეთრ თოვლს, სადაც ზამთარ-ზაფხულ იმ მთათა კალთებზე ხეხილი რივი მწიფს, რივი ყვავილობსო.

სწავლული და მეცნიერი აბა რის სწავლული და მეცნიერი იქნებოდა, თუ ეს ქვეყანა არ ეცოდინებოდა.

— დიდი გზა გამოგივლია ყმაწვილოო.

— დიდი, ოსტატოო.

— აქ, ჩვენს ქალაქში რა სურვილმა მოგიყვანაო?

— სწავლის სურვილმაო.

— თუ ასეა, ამიყვანისხარ შეგირდად. რა ვინდა იცოდე, ჭაბუკო?

ჭაბუკი ცოტახანს ჩაფიქრდა, მერე თამამად უთხრა:

— მე მინდა გავარჩიო ბოროტი კეთილისაგან, ნათელი — ბნელისაგან, ყინული — ცეცხლისაგან და ხალხს სამართალი გავუჩრჩიოო.

— თუ ასეა, — თქვა სწავლულმა — ერთი პირობა უნდა მომცე: არასოდეს არ უნდა შეგეშინდეს გარჯისაო.

— იქიდან აქ მოსვლამდე ბევრი გზა გამოვიარე, ბევრი ვაჭირვება გადავიტანე, მაგრამ სწავლის სურვილი მაინც არ დამიკარგავს. აწი რა უნდა შემემთხვას რომ აზრი შემეცვალოს? და თუ ეს ასე არ მოხდება, თქვენი რისხვაც ნუ მომკლებოდეს ნურასოდესო.

სწავლულს გაედიმა, თავზე ხელი გა-
დაუსვა შორი ქვეყნიდან მოსულ ჭა-
ბუქს.

— რადგან ასეა, შევუდგეთ საქმეს.

და დედისერთა ჭაბუკი გახდა შეგირ-
დი სწავლულთა ქალაქში ყველაზე უფ-
რო სწავლული და ყველასგან დაფასე-
ბული კაცისა.

ანტონი წამოდგა, გაიარ-გამოიარა
ოთახში, ჩიბუხი დატენა, მერე ნაკვერ-
ცხალი აიღო და გააჩაღა. ერთი ორჯერ
მოქაჩა, ისევ ჩამოჯდა ბუხართან და
ფიქრს გაჰყვა.

ცეცხლი ემზადებოდა მოსასმენად,
მაგრამ ანტონი ამბავს თითქოს აღარ
განაგრძობდა.

— მერე, მერე, ბებერო ანტონ, და-
გავიწყდა ათასჯერ მონათხრობი?

მოსამართლედყოფილი გამოერკვა,
შეხედა მოსაუბრეს და თითქოს რაღა-
ცას იგონებდა, ჩააშტერდა.

— მერე შენ ჩაერიე საქმეში, ცეცხ-
ლო, — ამოიხბრა ანტონმა.

— მე? არა, შენ ისე მოჰყევი ჩემს
ჩარევამდე რა მოხდა, მე მხოლოდ უნე-
ბლივთ გავაკეთე ჩემი საქმე.

— ჰო, სად შევჩერდი?

— და დედისერთა ჭაბუკი გახდა შე-
გირდი სწავლულთა ქალაქში ყველაზე
სწავლული და დაფასებული კაცისა.

დღე დღეს მისდევდა, კვირა — კვი-
რას, თვე — თვეს, ასე მიიწურა წელი-
წადი. დიდი სწავლული კმაყოფილი
იყო თავის შეგირდით, ამიტომ დიდ
მომავალსაც უწინასწარმეტყველებდა.

ჭაბუკმა საკუთარი მამა-მშობელივით
შეიყვარა ოსტატი.

დაძაბულ სწავლასა და ფიქრში ვა-
დიოდნენ წლები და აი, ერთ დღესაც
ოსტატი ეუბნება ჭაბუქს:

— შენ უკვე შეგასწავლე თეთრისა-
გან შავის გარჩევა, ბოროტისა — კე-
თილისაგან, ნათელისა — ბნელისაგან,
ყინულისა — ცეცხლისაგან. მე მეტ
ცოდნას ვეღარ მოგცემ, იმიტომ, რომ
რაც მე ვიცი, ის იცი შენ. შეგიძლია,

წახვიდე შენს ქვეყანაში და უმსაქმრო
შენს ხალხს.

— დიდო ოსტატო, შენ ამბობ, რომ:
რაც შენ იცი, ის ვიცი მეც, მაგრამ არა-
სოდეს მეცოდინება შენოდენი, სანამ
შენსავით არ ჩამომეთოვება თმა-წვერი.
მე მინდა კიდევ დავრჩე შენთან. კიდევ
ვისწავლო — ჩავწვდე ადამიანის გუ-
ლსა და გონებას, ბუნების სიბრძნესა
და მშვენიერებას...

მოხუც სწავლულს გაუხარდა, ღიმი-
ლით ეუბნება შეგირდს:

— სწავლა, სწავლაა, მაგრამ ამ ქვე-
ყნად არსებობს კიდევ გრძნობა, რომ-
ლის დაოკება არ შეუძლია არავის, რომ-
გორი გონების პატრონიც არ უნდა იყო.
ამ გრძნობას სიყვარული ჰქვია. სიყვა-
რული ბოჭავს ყველაფერს...

უცხო ჭაბუკმა უკვე უგანათლებუ-
ლესის სახელი მოიხვეჭა სწავლულთა
ქალაქში, რითაც ძალიან ამაყობდა მისი
ოსტატი. მაგრამ ერთ დღეს შეამჩნია
ოსტატმა, უგუნებოდ იყო ჭაბუკი. გა-
უკვირდა ოსტატს, ასეთი ღონიერი ჭა-
ბუკი, ნეტა რას უჩივისო. ოსტატი
დააკვირდა, ყველაფერს მიხვდა, მიხვ-
და და გაედიმა:

— ამური ხომ არ ისვრის თავის მსა-
ხვრალ ისრებს, ოსტატო? — შეეკითხა
დიდოსტატი ოსტატს.

ჭაბუქს ტყუილი არასოდეს უთქ-
ვამს და ვერც ახლა გაბედა ტყუილის
თქმა.

— ასეა, ოსტატო...

სწავლულთა ქალაქში ცხოვრობდა
ერთი მდიდარი კაცი. მისი ძალა და შე-
ძლებაც მთელ ქალაქს აზნაზარებდა. ამ
კაცს ჰყავდა ერთადერთი ქალიშვილი,
რომელზედაც მზე და მთვარე წმოსდი-
ოდა. იქაური პოეტები, როცა მუშას
მიმართავდნენ, იმ ქალიშვილის ხატებას
შესთხოვდნენ, ძალა მიეცათ მათთვის.

ჰოდა, შორით მოსული ჭაბუკი გაუ-
მიჯნურდა ამ ქალიშვილს. თავის ხეა-
ზიადი რომ გაანდო, არც ის გოგო დარ-
ჩენია ვალში — შეჰფიცეს ერთმანეთს
საუკუნო ერთგულება.

მთვარიანი ღამე იყო ამ ორი ბედნიერი აღამიანის შეხვედრის მოწმე.

მაგრამ ბედნიერებამდე მათ დიდი დაბრკოლება უნდა გადაელახათ.

ეს ამბავი ოსტატს გაანდო ქალ-ვაჟმა, სთხოვეს, ქალის მშობლებთან შუამავლობა გაევიწყლო. ოსტატი არ შეყოყმანებულა, მაშინვე მივიდა ქალის მშობლებთან.

— ქალის მამა გადაირია, გადაამთიელს ქალს არ მივცემ, როგორი სწავლული და მეცნიერიც არ უნდა იყოსო, — მოიტანა პასუხი.

გული ჩასწყდა ორივეს. გაწვილდა დიდოსტატიც. დრო კი მიდიოდა და მიდიოდა. მდიდარმა კაცმა, ქალიშვილი არ დაიყოლიონო, სხვაზე გათხოვება გადაწყვიტა.

ეს ამბავი ვაჟმა ქალისაგან შეიტყო. უთხრა, რაკი სხვა გამოსავალი არ არის, გაგიტაცებო.

ქალი დაფიქრდა და არაო.

ჭაბუკი დაღონდა. ქალს თუ უყვარდა, რატომ არ უნდა გაჰყოლოდა შორეულ ქვეყანაში?! მაგრამ თუ ჭაბუკს უყვარდა, რატომ არ უნდა დარჩენილიყო ქალის ქვეყანაში?!

ყველასაგან პატივცემულმა დიდოსტატმა ბევრი რამ შეასწავლა თოვლისა და ბღჩა-ბღების ქვეყნიდან მოსულ ყმაწვილს. ბევრი რამის გარჩევა ასწავლა, მაგრამ სიყვარულის მეცნიერებაში არაფერი გაეგებოდა.

მერე ჭაბუკმა ქალს უთხრა, შენს მშობლებს მოგაცილებ, შენს ქვეყანას კი არაო და გაიპარენ იმ ქვეყნის მაღალ მთებში.

მთებში ისეთ ადგილას დასახლდნენ, სადაც ადამის შვილი ვერ მიაგნებდათ. დაიწყეს ერთად ცხოვრება. მოაშენეს ცხვარ-ძროხა, ფრინველი... ჭაბუკი თავლაუზოგავად ებრძოდა მიწას...

ქალს ცივ ნიავს არ აკარებდა. ფიცრულ ქოხში ცხოვრობდნენ, ერთმანეთის გასატანად ერთმანეთის სიყვარულიც ჰყოფნიდათ...

გავიდა წელიწადი, მეორეც იწურებოდა და ჭაბუკი ატყობდა თანდათან,

რომ იმ მიწას რომელსაც ახლა მოეცადა, ის სურნელი არ ასდიოდა, სადაც პირველად აიღვა ფეხი, სადაც პირველი რიგი მწიფს, რიგი — ყვავილობს...

ხალხს განშორებულს ენატრებოდა ხალხი და თავისი ცოლიც ისეთი მომხიბვლელი აღარ ეჩვენებოდა, როგორც ბარად ყოფნის დროს. მეცნიერ ჭაბუკს ის სიხარული სიხარულად არ მიაჩნდა, თუ სხვასაც არ მოუტანდა ბედნიერების ღიმბილს...

ჭაბუკს აგონდებოდა თავისი მშობლები, რომლებიც ახლა ალბათ მოხუცები იყვნენ და რომლებმაც უკვე გამოიტირეს. აგონდებოდა და ენატრებოდა თავისი ხალხი, ვინც ამ შორეულ ქვეყანაში გამოგზავნა იმ იმედით, რომ ისწავლიდა და მისი ცოდნა გამოადგებოდა სამშობლოს.

სიყვარულის ალი ნელნელა ცხრებოდა.

— უნდა მომიყვე, ანტონ! — არ ეშვებოდა ცეცხლი.

— გინდა დამწვა?

— შენ ხომ სიმართლეს ემსახურებოდი? სთქვი სიმართლე!

— სიმართლე ყველაზე ძნელი სათქმელია ხანდახან!

— მამ მშიშარა და მხდალი ყოფილხარ!

— არ შემიძლია!

— მამ სულ ტყუილად გცემდა ხალხი პატივს.

— ხალხი ცდებოდა.

— შენ ხომ გჭეროდა ხალხის.

— ხალხის ახლაც მჭერა, მაგრამ ხალხი ზოგჯერ ცდება.

— იყავი გაბედული, ანტონ, დაამთავრე სათქმელი.

— კარგი. მისმინე: ჭაბუკმა ვეღარ მოითმინა და, როცა ცოლი იქვე ახლო სოფელში წასული დაიგულა, სახლი შენ ჩაგაბარა.

— ეს ხომ ვიცოდი, მაგრამ მაინც სიამოვნებით გისმენ. მერე?..

— ამ დროს შორის ქვეყნიდან მო-

სულ ჭაბუკს აღმოდებულ სახლიდან
კვილი შემოესმა.

ჭაბუკი შეცბა. არ იცოდა, რა მოხ-
და. კვილი რომ გამეორდა, სახლში
შეიჭრა. ცეცხლითა და კვამლით სავსე
სახლში ქალი ეგდო ლოგინზე:

შეშინებული კანკალებდა, მშველელს
უხმობდა.

მშველელი კი მისი ქმარი აღმოჩნდა.
მან ქალი გარეთ გამოიყვანა. ქალს
ახალთახალი ჩიბუხი ეჭირა ხელში.

— შინ იყავი? — შეეკითხა ჭაბუკი.
ქალმა ძლივს გაახილა თვალები:

— სოფლიდან დიდი ხანი არ არის,
რაც დავბრუნდი, შენთვის ეს, — ქალ-
მა გაუღიმა და ჩიბუხი გაუწოდა, —
მინდოდა მეყიდა და კიდევ... კიდევ...
აი, ეს ჩვენი ბავშვისათვის...

ქალს მეტი აღარაფერი უთქვამს.

აი, აქედან იწყება პროცესი, რომე-
ლიც ჯერ კიდევ არ დამთავრებულა.
პროცესი, რომელსაც ვერა და ვერ გა-
მოუტანა განაჩენი.

ჭაბუკმა მეცნიერმა შორს, მთებში
მიაბარა მიწას ის, ვინც ყველაზე ძლი-
ერ უყვარდა. და ცხარე, ალალი ცრემ-
ლით დაიტირა ცოლი.

ცოტა ხნით სიჩუმემ დაისადგურა.
მერე ცეცხლმა გამოიღო ენა და ან-
ტონს შეეკითხა.

— ანტონ, შენ სწავლული კაცი ხარ
და მითხარი, რატომ მიხმო მე იმ ჭა-
ბუკმა.

— რაც არ უნდა დიდი მეცნიერი იყო,
მოქმედების შედეგს ყოველთვის ვერ
გაითვალისწინებ. ჭაბუკმა გიხმო იმი-
ტომ, რომ სურდა იქ, იმ სახლში და
ირგვლივ ყველაფერი მოესპო, რომ ქა-
ლი ჭაბუკს გაჰყოლოდა სანატრელ ქვე-
ყანაში.

— მერე ჭაბუკი დაბრუნდა საკუთარ
ქვეყანაში?

— დაბრუნდა.

— მერე, რას აკეთებდა იქ?

— ხალხს სიკეთისაკენ მოუწოდებდა.

— ხალხს სჯეროდა მისი?

— სჯეროდა.

— თავის ამბავი არავის უთხრა?

— არავის.

— მას თუ სჯეროდა საკუთარ ქა-
ლსა?

— არ შემეკითხო მეტი! ის გაორე-
ბული იყო და არ შეეძლო განაჩენის
გამოტანა.

— აღმასხან კაცო, ადექი ჩქარა!

— რა იყო, დედაკაცო, აღარ მასვე-
ნებ, დამაძინე!

— ჩვენი მეზობელი ანტონი მომკე-
დარა.

— რომელი ანტონი?

— რომელი ანტონი გყავდა მეზობ-
ლად? მოსამართლე.

— რა მოსვლია საწყალს?

— რა ვიცი, ბუხართან ჩასძინებია
და გაპარულა საწყალი.

— აცხონა ღმერთმა! კარგი კაცი
იყო.

გადავარდა ასე უშვილძიროდ, დამ-
ტირებელიც არავინა ჰყავს.

— რავა, ქალო, ეს ქვეყანა თან კი
არ წაყოლია იმ საწყალს, რაც მას ამა-
გი მიუძღვის ამ ხალხზე, ის ამავი მა-
გას ვერ დამარხავს?

— ჰო, ეს კი ასეა. ადექი, ბარემ და
მივხედოთ მიცვალებულს, სირცხვილია,
მეზობლები რას იტყვიან?

— ჰა, რა კაცი წავიდა ამ ქვეყნიდან.
სულ ტყუილია, ჩემო ფარნაოზ, ცოდო
და მადლი ამ ქვეყნად არაფერს აკე-
თებს, ვისაც წამოწევია ის წყელი სიკ-
ვდილი, ერთიანად აშთობს.

— ასეა, თორემ იმ საწყალს რა ცო-
დვა უნდა ჰქონოდა?

— ცოდვა კი არა, თურმე წერილი
დაუტოვებია ცხონებულს: რაღაც და-
ნაზოგი მაქვს ბანკშიო და ის ჩემი ფუ-
ლი ცეცხლით დაზარალებულების სასა-
რგებლოდ დაიხარჯოსო.

— რაღა მაინცდამაინც ცეცხლითო?

— რა ვიცი, შე კაცო! მართლა
ცეცხლის პირას მომკვდარა და ხელში
ერთი გამოფუტურაგებული ჩიბუხი
ჰკავებია.

— აცხონა ღმერთმა.

— საწყალი, კარგი კაცი იყო.

მ ი წ უ რ ე ბ ს

უმუშევრობამ,
წყურვილ-შიმშილმა
მუხლი წაართვეს, გული დაშანთეს,
სიდუხჭირისგან სასომიხდილმა
ჩამოაკითხა კაცმა მანთაშვეს.

ლუკმა გადუგდეს ღარიბს ანკესად
და სხვისი ლუკმა გახდა თვითონაც,
რამდენ ხანს სხვათა საქმე აკეთა,
რისთვის აკეთა, არც კი იცოდა.

მას სიღატაკე თავიდან ეძმო
და უწამლავდა სულს და გუნებას,
მოვიდა კაცი, რომელმაც შეძლო
მისი ამ გზიდან შემობრუნება.

მან შეძლო
კველას გამოფხიზლება,
იმედის შუქი მისცა მიწურებს,
მონად ქცეული კაცის მიზნებმა
რევოლუციის გზები ირწმუნეს.

გ ა მ ს ღ ა რ ი ს ე

ჩიტმა მოსტაცა ნინოს
ქულუნა
და ხის ტოტებში იფენს
ლეიბად,
იმ ხეს
სიგამხდრით ძვლები თუ უჩანს,
ეს,
ზამთრის ქარმა გაახეიბრა.

ფოთლებიც ქარმა
მითელ-მოთელა...
ეს გაზაფხული მის დაღს იცილებს...
ხე სულ თავიდან შეიფოთლება,
ვედარ
გაატანს
ძვლებში
სიცივე!..

ს ი ს ო ს ხ ლ ი ს ს რ ე მ ლ ა ბ ი

მტარვალმა დაკარგა აზრი,
ყუმზარას ჟრიალი უვლის,
დატოვა ტყვეობა ვაზნის,
დააგდო საკანი ლულის.

სიკვდილი აიჭრა ცაში
და სადღაც დააცხრა მიწას...
რისურაჟის ნამსა და ცვარში
სიცოცხლის ცრემლები ვიცან!..

ქ ნ ა რ ო

სიმებ
სიმებ
სიმებ
ჩაწყვეტილო ქნარო,
იმედს,
იმედს,
იმედს
მომლოდინე ქალო...

მე
მივართმევ
ზენას
საღმრთოსა და საკლავს,
თუ
ავუდგი
ენა
შენისთანა საკრავს.

სიჭაბუკის კახილი

აფეთქებების, ვნებების მწველის,
გატაცებების ხანა დიადი —
მე სიჭაბუკის თექვსმეტი წელი
ქარზე მომადგა, ვით განთიადი.

და ჩემს ძარღვებში აჩქეფდა ვნებით
სისხლი — ეს წყარო გიჟურ ლტოლვისა
და მე მოვუხმობ სიცოცხლეს გზნებით,
როგორც ირემი მყვირალობისას.

ო, სიჭაბუკევე, მოგელი ისე,
როგორც უდაბნო წვიმას მოელის,
მოდის შეუნთე გულს სიხალისე,
გაათბე სისხლის წვეთი ყოველი.

შემაგრიგალე ველურ გრიგალებს,
დამღეწე ქარში ისე, ვით ანძა,
ჩემს ბავშვურ მკერდში ცეცხლებერ იალე,
დაქანცულ სხეულს მოედე ხანძრად.

ამაბობოქრე გრძნობათა ზღვაში
და შემამსხვრიე ზვირთად თუნდ კლდესაც
და მსოლოდ მაშინ და მსოლოდ მაშინ
ლექსებად ვაქცევ უნებურ კვნესას.



დაპითის საფლავზე

როცა კვდებოდა —
ელანდებოდა დიდგორის ომი.
როცა კვდებოდა, —
სული მისი ეძებდა ბრძოლებს.
როცა კვდებოდა, —
საქართველო ებრძოდა სიკვდილს.
როცა კვდებოდა, —
სული მისი ეძახდა ბრძოლებს.
ის მეთმარი იყო ერისა
და განისვენებს
დიდგორის ომში.

ს ი ს ა რ ი ე ლ ე

ჯიუტი ქარი
უსტვენდა გარეთ.
ზღვის ნაპირს ჰქონდა თვალები სველი.
და შემოდგომის ნისლიან კარებს
ფრთხილად ხურავდა
დაღლილი ხელი.
თითქოს სიცოცხლე წაიღო გემმა.
გემით წავიდა სადღაც ხმელეთი.
დამრჩა სიწყნარე, —
ტირიფის თელემა
და ზღვით ავსილი შენი ხელები.



ქ ა რ თ ლ ი

არსებობს ქართლის ერთი სოფელი,
ის არის სადაც თემის ნაპირას,
სადაც მდინარეს ფოთლის ცახცახით
და მყუდროებით გამხნეებული
აღმა მიჰყვება ნეშისილაპია.

შეუნდე. ღმერთო, სექტემბრის დღეებს,
მათ არ უწყიან თუ რას სჩადიან,
როცა დამყურებს მზე აღმაცერი,
როცა ფოთლებში მზე იმზირება,
თითქოს თონეზე სოფლის ვენერას
ხელში უჭირავს დიდი საცერი...

მათ არ უწყიან თუ რას სჩადიან,
შეუნდე, ღმერთო, ქართლის ხეობებს,
როცა იმარჯვებს ფერი ზაფრანის,
ატალახებულ ორღობის მერე
იწყება ბორცვი და იმ ბორცვზეა
ჩემთვის ძვირფასი ორი საფლავი.

ვინც იქ არიან, მესიზმრებიან,
მათ არ უწყიან, თუ რას სჩადიან,
შეუნდე, ღმერთო, მე მოვიქანცე,
ვარ მიშვებული მოგონებებზე,
როგორც თიკანი — გამშრალ ჯიქანზე.

მე ერთხელ მაინც უნდა ავიდე,
რომ ჩამომეხსნან, რომ დავივიწყო
თუნდაც მცირე ხნით, თუნდაც დროებით,
და ჩემს სიზმრებში არ ფართხალდებდნენ
მათი თვალების ღიღილოები!

არა! მე ისე ვერ მოვიცილებ
ჩენს მოგონებებს, როგორც ვიცილებ
სადაც მინდორში მოდებულ ბირკას,
არ მელირსება ძილი და ღამით
ცეცხლწაკიდებულ სიზმრის ზვინებზე
კვლავ იხტუნავენ ათასი ჭინკა!

არსებობს ქართლის ერთი სოფელი
და მორყეული ვენური სკამი

ჩემს ჩამოჯდომას ელის და მიცდის,
იქ არის ძველი სახლის ფანჯრები
ხელმისაწვდომი ჩამავალ მზისთვის...



იქ მივდეგ სიცხით გალექილ კამერს
და ქამარივით რიყეზე გდია
ჩემი მდინარე... ჩემი ქართლია!
ვიწრო სარკმლიდან შემოჭრილ შუქზე
მტერის გადახრილი ქანაობს სვეტი.
იქ სიმშვიდეა, იქ სინათლეა!..

მ ა მ ა

შენ წახვედი.
შენ წიგნებმა უცხო მხარეს გაგიტაცეს,
შენი წასვლა ვერ ვიგრძენი
სიჭაბუკის დუდილში.
წიგნი იღო იატაკზე,
სავარძელზე,
მაგიდაზე
და მე დავრჩი,
ვით მემკვიდრე,
უგნური და უღირსი...

იჯექ დიდხანს.
და ღამითაც გრძელდებოდა ჯადოქრობა,
აბაჟურთან იხრებოდა
სპეტაკი და მელოტი
და თაროდან წიგნი ისე
მოწიწებით გადმოგქონდა,
თითქოს ფრთხილად
ქალს ცხენიდან
გადმოსვლაში შველოდი...

პ ო ე ტ ი ს ქ უ ღ ი

ახლა ჩვენს შორის ის მანძილია, რაც ვარსკვლავიდან ვარსკვლავამდე,
მაგრამ შენ მალე მოხვალ ჩემამდე. მალე თენდება. მალე ღამდება.
მე მინდა მიხვდე, როგორ ვიცხოვრე, პატიოსნების რად ვარ ქომაგი,
ჩემო ძვირფასო, ქუდი პოეტის მძიმეა ისე, ვით მონომასის...
მე რომ გაეჩუმდე, დანაშაულად ჩამითვლი დუმილს ჩემი მემკვიდრე.
დიდი ხომალდის ვარ ცეცხლფარეში, ამიტომ სახელს ვერ გავეკიდე.
დუმილის მკაცრი გაკვეთილებით გამოზრდილია სული ამაყი
და ველი წამის მორჩილი პირმშო წამს, რომ არ არის აწ დასამარხი.
ლექსი ზოგისთვის არის თამაში და ბეწვის ხიდი არის ზოგისთვის,
სადაც ვერავინ დაგეხმარება და ხელს ვერავინ ვერ გამოგიწვდის.

წინადადებას თუ ზმნა ალაგებს, ზმნის გარდა ვერვინ ვერ მიშველიდა,
ო, სიტყვა ისე მძიმეა, თითქოს დაჭრილს მივათრევ ბრძოლის ველიდან,
მე მინდა, მისვდე, როგორ ვიცხოვრე, პატიოსნების რად ვარ ქომამა,
ჩემო ძვირფასო, ქული პოეტის მძიმეა ისე, ვით მონომახის...

ვენუროსკამი

სასადილოს კუთხეში
თაღით გადახურულში,
ვენურ სკამზე დაჯდები,
მოგეხვევა ბურუსი.
იმ ბურუსში გაქრება
დარბაზი და მაგიდა,
სხვა ქალაქში გადახვალ
თითქოს სხვა ქალაქიდან.
ასეთ სკამზე ჯდებოდი...
ის დრო უტკბილესია,
საქანელას თოკები
ნეტარებით კვნესიან.
— ტომ! — პასუხი არ არის...
მაგრამ მზერა დაგეძებს,
ეფარება მოხუცის
ლანდი ფარდის ნაკეცებს.

ის ძვირფასი ლანდია
ამოსული სკივრიდან.
იგი გეფერებოდა,
გირცხვავდა, გივლიდა.
მეოცნებედ შობილი
სიტყვებს ცისფრად ღებავდი,
ფარფატებდნენ დილიდან
მხოლოდ დაღამებამდე.
ზოგჯერ როგორ უეცრად
გაიელვებს ყოველი,
ის, რაც პათეტური
არის, ვით ბუთპოფენი.
გაცოცხლებულ წარსულზე
გამეფდება წყვილიაღი...

მაგიდასთან ღიმილით
მოვა ოფიციანტი.

ბრწყინავს თოვლი და მზე ნელა
ეთხოვება სვეტიცხოველს,
დღემდე, როგორც მე მინდოდა,
ისე რატომ ვერ ვიცხოვრე...

მზეზე თოვლის თეთრი ხანძრით
იწვის დღე და სხვა სივრცეა,
ჩემი მზერა შენთან, შენთვის
და შენს გვერდით გაიქცევა.

სამუდამოდ ან დროებით
რის გაქრობაც ასე მსურდა,
ახლა კვდება, როგორც ფიფქი
უმწეო და ქარაფშუტა.

ხსოვნის კედლებს დღევანდელი
გხეთქება კატაპულტით,

ჩვენ დავდივართ, ვით მორჩილი
მსახურები თოვლის კულტის.

თითქოს თოვლით იფარება
რაც კი ქვეყნად სიმდაბლვა,
თოვლი ხსნაა, თოვლი არის
უეცარი, ვით დარბევა.

შენთან, შენთვის და შენს გვერდით
მე რაც მსურდა, ის რომ შობოს,
თეთრი ხანძრით თოვლი დღევებს
ემუქრება უნაყოფოს.

ბრწყინავს იგი და მზე ნელა
ეთხოვება სვეტიცხოველს,
დღემდე, როგორც მე მინდოდა,
ისე რატომ ვერ ვიცხოვრე...

ბ ა ლ ა დ ა



რომელშიაც მთარგმნელი ფრანსუა ვიიონს შენდობას ევედრება

შენ მაწუხებდი და ამ წუხილში
უცებ გავიდა ცხელი აგვისტო,
შენზე ვფიქრობდი შენი უღირსი,
ბაკალავრო და ლექსის მაგისტრო!..
მე, უმეცარმა, შევბედე რონსარს,
კიდევ ჰიუგოს, კიდევ ლამარტინს,
მაგრამ მე შენთან მინდოდა მოსვლა...
შემინდე, ასე რო გავთამამდი.

რომ ჩაგერიე მონოლოგებში
და ჩემს ღამეში თვალებს ახელდი,
რომ საბინადროდ სხვა ცა მოგეცი,
სხვა დერეფნები, სხვა ოთახები.
ო, მაპატიე, თუ შენს ბალადებს
ჩამოვაცილე მე ანდამატი,
როგორც მძარცველმა და მოღალატემ...
შემინდე, ასე რომ გავთამამდი.

შემინდე, შენი ლექსის ხმაურად
თუ მომეჩვენა ჩემი ხმაური,
თუ უღიმღამო დღესასწაულად
ვაქციე შენი დღესასწაული.
მე მსურდა მეთქვა შენი სახელით
მხოლოდ სულის და ხორცის კამათი
და არ მქონია სხვა განზრახვები...
შემინდე, ასე რომ გავთამამდი.

მეორე ბალადა

წელიწადის დროების
მოძრაობა წრიული
გრძელდება და მოგელის
თეთრი ვესტიბიული.
მოოქროვილ თაბაშირს,
ტილოს დეკორაციებს
შენ ბავშვივით შეპყურებ,
ყველაფერი გაცინებს.
მაგრამ რამის გადაღმა
როცა კვდება რომეო,
შენი ცრემლი უპეზე
ბრწყინავს, მიუწვდომელო!..

როცა უჩინარდება
შერხეული მუყაო,
მსახიობებს კანფეტი
გინდა გადაუყარო.
შენ ხარ იდუმალეზა
და ღიმილი ფარია,
იგი არც თანხმობაა,
იგი არც უარია.
შენ გსურს სამოგზაუროდ
ხომალდები ამიგო,
შენი ლურჯი ოცნების
ფრინველია ფლამინგო.


საით უნდა გავცუროთ,
საით უხმობ მომავალს?
ძირს ჩამოდის ფოთოლი...
ვისი შემოდგომაა?..

მოდი, მომიახლოვდი,
მე გაკოცებ უთვალავს,
შენი კაბა შრიალებს,
გარეთ კიდევ თუთაა...
ვერსად ვერ დავივიწყებ,
სადაც უნდა წავიდე,
შენი საბნის ბორცვებზე
მოქანავე ყვავილებს.
საათს გამოჰყოლია
სიჯიუტე მევალის,
რას თვლის? რის თორმეტია,
ანდა რის ნახევარი?
ჩემსკენ გამოგიწვდია
ხელი სერაფიმივით
და ბალიშის ჩარჩოში
ბრწყინავს შენი ღიმილი.
ნუთუ ჩვენთვის ოდესმე
მოვა დრო უმკაცრესი,
აცვივდება ოცნების
სამნავიან ტაძრებში,
ან ხავსს მოეჭიდება
დაძარღვული თითები.
სიტყვებს განუსაზღვრელი
ნდობით ნუ ეკიდები...
ჯერ აღრუა, რა გინდა,
რად აწუხებ მომავალს,

ძირს ჩამოდის ფოთოლი...
სხვისი შემოდგომაა...
ერყენული
გინგლირთვა

რომ სხვები არ დაგეფრთხო,
შენ სიყვარულს მალავდი,
დიდხანს ხელს აფარებდი,
მაგრამ მაინც სანამდის
გსურდა რომ დაგეფარა,
თრთოდა, როგორც წერილი,
ირგვლივ იფანტებოდა
ყვავილების მტვერივით...
შენი უმანკოება თითქოს მზეზე
ბრწყინავდ

შენი სხივი მიჰქონდათ
ოცნებების ბინადართ
როგორც თივის ღერები
ფრინველების ნისკარტებს...
ახლა ნელა მივცურავთ
მშვიდი კვირადლისაკენ.
თითქოს სიჭაბუკეა
და არც სიჭაბუკეა
და ის აღარ აღლეგებს,
რასაც გუნდრუკს უკმევდა.
უფრო მძიმედ ვეყრდნობით
სკამებსა და მაგიდებს,
მაგრამ შენი ღიმილი
თვალებს ისევ ამინთებს,
ახლა საით მივდივართ,
საით უხმობ მომავალს?
ძირს ჩამოდის ფოთოლი...
ვისი შემოდგომაა?..





ბატონი ივანეს ყოველი ლექცია დიდი მოვლენა იყო. დიას, მოვლენა და ახლის აღმოჩენა მეცნიერებაში. სტუდენტების გარდა მის ლექციებს მთელი კათედრა ესწრებოდა, ერთნაირი გულიყურით უსმენდნენ პროფესორები და დოცენტები, ასპირანტები და სტუდენტები. ჩვენი პროფესორი უზომოდ თავაზიანი იყო და ასევე მეაკირი მომთხოვნი. მისგან ვსწავლობდით არა მარტო საქართველოს ისტორიას, არამედ იმასაც, თუ როგორ დაგვეჭირა თავი საზოგადოებაში. ბატონი ივანე თბილისის უნივერსიტეტის კარგეს მოუახლოვდებოდა თუ არა, ზამთარი იყო, თუ ზაფხული, ქუდს მოიხდიდა, შემდეგ დიდს მოწიწებით შემოვიდოდა უნივერსიტეტში და ღერეფანში შეხედ-

რილ ნაცნობსა და უცნობს, დიდსა და პატარას, პროფესორსა და დამლაგებულს მომღიძარი სახით, თავდახრილი ესალმებოდა. ამასაც ჩვენ პროფესორს ვებაძავდით. იგი იყო ჩვენი მეცნიერულ-მეთოდური მასწავლებელიც და ზნეობრივი მოძღვარიც. ბატონ ივანეს ქართული უნივერსიტეტი უზომოდ უყვარდა და ჩვენც ასევე უზომოდ შევიყვარეთ ამ უნივერსიტეტის დამაარსებელი და მეთაური...

იმ დღეს კი უნივერსიტეტის კლუბში პროფესორ მასწავლებელთა და სტუდენტთა საერთო კრებაზე ივანე ჯავახიშვილი გააკრიტიკეს...

გაკიდა ღღებები. ჩვენ შევეჩვიეთ ისტორიის ასალ პროფესორს, რომელიც განსაკუთრებული პატივისცემით ვვიდებოდა ბატონ ივანეს და სტუდენტობაც თა-

გისი გზით წაივდა. ახლა უკვე ახლად გაცნობილი მეგობრები ერთმანეთს ვედავებოდით, ვეჩუებოდით, ვეკამათებოდით, ვსმარურობდით, ზოგან ვმეგობრობდით, ზოგან გულცივად ვიყავით და დაიყო ჩვენი ჯგუფი ქვეჯგუფებად. მეზე, როცა მესამე კურსზე გადავედით, ერთმანეთი უფრო გავიცანით, გამოირკვა, რომ ზოგი არქეოლოგობას აპირებდა, ზოგი პოეტობდა ჩვენს შორის, ზოგს თავი მოჰქონდა ნაკითხობითა და განსწავლულობით. და ასე დადიოდით ახლა უკვე ცალცალკე, ზოგს ილღაში პოეტის წიგნი ჰქონდა ამოჩრდილი, ზოგს კიდევ ჩვენი გამოჩენილი მეგობრების შრომებით ჰქონდა პორტფელი გამოტენილი...

სამედიცინო ფაკულტეტი რომ დაგტოვე, ეს მამამ გაიგო და გაჯავრდა. მეც ავდექი და სტამბში დავიწვე მუშაობა. დღისით ვმუშაობდი, საღამოს უნივერსიტეტში ვსწავლობდი. მუშების საერთო საცხოვრებელში ერთი ადგილი მომცა. შეიდუმტრიან ოთახში ოთხი ვცხოვრობდით. მაინც იოლად გავდიოდით. საღამოს უნივერსიტეტიდან გვიან მოვდიოდი და, რაც მთავარი იყო, ვიდრე სამიზარი დადგებოდა, მე და ჩემს მეგობარ მუშას სახურავზე გვეძინა. საათი არ გვექონდა, მაგრამ სამსახურში არასოდეს მავიანდებოდა. ეს იმის წყალობით, რომ თბილისის აღმასკომის საათის რეგვა მამლის ყოველივეთ ჩაგვემოდა ყურში. კოჯრიდან მონაბერ მითს ნიავს ქალაქის საათის ხმა ღია ცის ქვეშ სახურავამდე, სადაც ჩვენ გვეძინა, ისე მოჰქონდა, თითქოს ბალიშის ქვეშ ამოდებული მადლიძარა რეკდა. ფინიზლად ვიყავით, საათის თოვალ და რეგვაზე გვედგებოდა. შეიძლება დაკრავდა თუ არა, ზეზე წამოვებებოდით, როგორც სოფელში, მზის ამოსვლას ავასწრებდი ხოლმე. პოეტის სიტყვებს ვიმეორებდო: ინდუსტრიალურ ალს გაუმარჯოს და პროლეტარულ აბოთქერებს. ღამე, ვიდრე ჩამეძინებოდა, თბილისის ცას, ვარსკვლავებით მოჭედოლს, მადლჭერიან თბილისურ ცას შევცქეროდი. არ ვიცო, ეს იყო მიზეზი, თუ სხვა რამ, ლექსების წერა დავიწყე. ერთ მშვენიერ დღეს ეს ლექსები პლენანოვის კლუბის ლიტერატურულ წრეში წავიკითხე, წრეში შემაქვს და მეც, გათამამებულმა, ლექსები გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტს“ წარუდგინე. კვირის ნომერში ჩემი ორი ლექსი დაიბეჭდა. ამით გაამყვებელი ისე დავდიოდით რუსთაველის პროსპექტზე, როგორც ნამდვილ პოეტს შეეფერებოდა. ცნობისმყოფეარობით ვაკვირდებოდი ყოველ გამვლულს და გამოშვლულს და, ასე მეგონა, ყველა იმათგანს ჩემი ლექსი წაკითხული ჰქონდა და მის ავტორს დაეძებდნენ. მეც ამ გრძნობით აღტაცებული დავაბიჯებდი თბილისის ქუჩებში. ჩემი წლოვანებისათვის და იმ დროისათვის საპატიო პროფესიაზე მე პოეტება მიმანდა და სწორედ ამიტომ პოეტობა დავიჩემე. ახლა უფრო მეტ ხანს მწერალთა კავშირში ვტრიალებდი, ვიდრე უნივერსიტეტში. ერთ მშვენიერ დღეს თავი პოეტად გამოვაცხადე და სამსახურიც მივატოვე. მეზე მოხდა ისე, პოეტებმა ახლოც არ გამიკარეს, უნივერსიტეტში კი გამოცხადება და საგნების ჩაბარება მომთხოვეს. მეც ავადიერე თავი და ისევ ჩემს უნივერსიტეტს შევეფარე.

მეზე მოთხრობების წერა დავიწყე. რედაქციებმა ახლო არ გაიკარეს ჩემი მოთხრობები, მეც ავდექი და ჩემს სოფელში ლიტერატურული სადგომში მრევსწვიმ სკოლის დარბაზს, სადაც მე ვსწავლობდი წინათ, აუარებელი ხალხი მოაწყდა. მოსხენების წაკითხვის შემდეგ ეტლუდი წავიკითხე. კითხვა დინჯად დავიწყე. იღლა იყო ღრუბლიანი, საწვიმარი შავი ღრუბლები. მამადავითის მთას წელამდე ჩამოსწოლოდა, მთაწმინდაზე აღმართული წამადავითის ეკლესია არ ჩანდა. უეწებოდ ამდგარი არქიპო ფიქრის გორადან გაჰყურებდა მთაწმინდის მთებს და ისედაც მოღრუბლული სახე მთაწმინდაზე შეფენილი საწვიმარი ღრუბელივით ჩამოსტიროდა. გუწმის სამსახურში უფროსთან შელაპარაკება მოუხდა და წუხელ ძილშიც მოსვენება დაკარგული არქიპო იმავს ფიქრობდა, თუ როგორ გამოეწყო რეგვა უფროსთან გაფუჭებული ურთიერთობა.

— არა, მაინც როგორა მოწყობილი ეს ქვეყანა არც განათლებით, არც ჭკუით, არც შთამომავლობით (რომელსაც უკვე დიდი ხანია არავინ კითხულობს!) არ გამოიხად და მაინც შენ უნდა დაუკრა თავი და ემორჩილო, მაგრამ...

ეს „მაგრამ“ იყო ყოველთვის რომ აწვალებდა არქიპოს. ყველა სომ უფროსი არ იქნება. უფროსი ერთია, დამორჩილებული ათასი და ათი ათასი. ცხოვრებაც ისეთი ჯაჭვია, რომლის ერთი პატარა რგოლი შენა სარ და რომ არ გამოვარდე ამ ჯაჭვიდან, თავი მაგრად უნდა გეჭიროს. — ასე ფიქრობდა არქიპო იმ დიღას. ფანჯარასთან იდგა და ისევ მიამწმინდას გაჰყურებდა. საიდანღაც ქარი ამოვარდა. თბილისში პირველი ქარი ფიქრისგორას მივარდებდა ხოლმე და ახლაც ასე იყო. იმ ქარმა ბიენის კარები შემოამტვრია და წინა ოთახში გავარდა. წინა ოთახის ოდნავ მიხურული ფანჯარა გაიღო და დამსწრეული მინები მიწას დაეჭრებოდა. ახლა კი გონს მოეყო არქიპო. ჯერ ბიენის კარები მიხურა, ჩარახა, შემდეგ ფანჯარებს მიწვედა. მაგრამ მიწებმალწილი ფანჯარების ჩარახვას აბა რა აზრი ჰქონდა. ოთხივე მინა ერთნაირად გამოეცალა ქარს, და ჩარჩობში შერჩენილი ნამტვრევები ახლა ხელით მოაცილა არქიპომ. საკეტით მაინც ჩაეჭრა ფანჯარა და ისევ ოთახში შებრუნდა.

შინ არავინ იყო. მარტო კაცს მოწყვიდა, ტანთ ჩაიცვა და ქვემოთ ჩავიდა. ქვემოთ ცოლი შეეფეთა და შავი დღე დააწია არქიპოს.

არქიპოს, წუხანდელი ამბების გადამიცდეს, სულ დავიწყებოდა, რომ დღეს ცოლი უნდა ჩამოსულიყო სოფლიდან. ბარგითა და ხაბაკ-ხუბაკით დატვირთულ ცოლს არავინ შეხვდა. მეზე ძლივს იმოგა ეტლი და სახლამდის მოაღწია. ბარგი გადმოტვირთა და სწორედ ამ დროს შეეჩეხა ქმარი.

— არა, შე უმეღურო, გამოჩენილებული რომ ხარ, ეს კი ვიციდი, მაგრამ ასე მთლად რამ გამოგასულელა, ახლა მიდიხარ ხომ სადგურზე შესახვედრად? შენ მოუკვდი შენს პატრონს!

დაბნეული არქიპო გოცემული შესცქეროდა გაწიწმატებული ცოლს და ვერ მიმეფლარიყო, რა მოხდა გონს მამინ მოეფო, როდესაც ისევ უღვტია ცოლმა:

— რას დგებარ ასე გამოჩენილებული, ხომ ხედავ...

რომ მოგვედი. ეს ბარგი მაინც აიტანე ზევით, შე არ-
გასახარელო, რამ მოვწყვიტა ეს წველი მაინც არ ვი-
ცი? — და ახლა ჩემოდანი მიაჩება.

არქიპომ ორ ჩემოდანს ხელი ჩაავლო და ხმის ამო-
უღებლად მესამე სართულზე აიტანა. უცხად კარი გა-
აღო და შიგ შეიტანა. იხტიარაწამდარამ არქიპომ,
ცოლმა შინ შემოსულს უფრო რომ შეუტია, სიცრუეს
მიმართა:

— შე ქალო, შენ თვითონ არ თქვი, სოხუმის მა-
ტარებელი ჩამოვალე. სოხუმის მატარებელი ათ სა-
ათზე ჩამოდის. ახლა ხომ ცხრა საათია?

ამან მთლად გააგიჟა ცოლი.

— არა, ეს რა გამოვიფინია, სოხუმის მატარებელს
როგორ გეტყვოდ. სოხუმის მატარებელი ხომ ორ
დღეში ერთხელ დიდის. — თან ჩემოდნების გატანას
შეუდგა. შუშაბანდში. ერთი ჩემოდანი გაიტანა, ჩამ-
ტერეული მინები შენიშნა და იყვირა — არა, შე ადრე
და მაღელ დასამიწველო, შე მართლა დოყვალაა შენა,
ფანჯარაც ვერ მიხურე? დედა, დედა! ეს რა უქნია! —
მთლად გადაირია თინა.

პილპოლომყრილი არქიპო ისევ გაშეშებული იდგა.
გაშეშებული და გაოგნებული. უცხად უფროსი მოა-
გონდა და ახლა არც აცხელა და არც აცივა და იმ
ამბებზე მოყოლას შეუდგა:

— არა, შენ, შენც ხონ არ მინდობ, აბა ის კაცი
როგორ დაგვინდობს ჩვენ, ა?

— რა კაცს ამბობ, შე გამომჩინებულს, რა
კაცს?

როცა უფროსის ამბავი დაწერილებით მოუყვა არ-
ქიპომ, თინა მთლად გადავიწინდა, ბოლმა ყელში
მოაწოვა და ისევ მივარდა ქმარს:

— ხომ გუებნებოდი, იმ კაცს ნუ გააჯაგრებ, ყველა-
ფერი შეუსრულე, ჩვენ იმის მეტი არავინ არ გვყავსთქვა.
შენ კი ისე ეპყრობი, როგორც შენი ტოლი და სწორი და
იყავი ახლა. ახლა ის გაკლია, რომ სამსახურიდანაც
გამოაძეოქმულონ. თუმცა რა უნდა გითხრა შენ. ვიც-
ნობ იმ შენ მექრთამე უფროსსაც და უფროსის ცოლ-
საც. დედა, ისე ვადაპარსულან, თითქმის დადუმე-
ლიანები იყვნენ, არა და დღეცა მათი სასუნებელი.
აბა, რა ქვეყანაა ეს, მე — ჯაიანის ქალი, ვიდაც ცალ-
ქალამანიძის ცოლს, რომელსაც წინათ დედაჩემი მო-
ვამაგიერდაც არ დააყენებდა, ვებოლიშო, თავი დიდუპ-
რა და ვეგმსხურო! არა, არ არის ჩვენი საშველი და
ესაა. — ესა თქვა და მეორე თიხაში გავიდა თინა. მე-
რე ისევ გამობრუნდა და ახლა უკვე დაყვავებით უთხ-
რა თავის ქმარს, — ასე ყოფნა არ ივარგებს. ხო და
არც მომიტანია, მიუტანე ახლავე, ჩვენი საშველი არ
ყოფილა და არც იქნება. არა, ახლავე-მეთქი, რას
დგახარ. თუმცა რა, შენ ამის უშო არა გაქვს.

თინა თვითონ დატრიალდა.

— ახლავე ძირს ჩამომატანინე ყველაფერი ეს, ის
ღვინოცა, ის ჩემოდანიც ახლავე-მეთქი.

არქიპო მთლად დაიბნა:

— არა, შე ქალო, რა საჩქაროა ყველაფერი ეს,
უფროსი მაინც შინ არ იქნება, აბა, დღეს კვირაა და
სახლში გაჩერდებოდა, მოიცადე, ჯერ მოვიტყობთ სუ-

ლი, მოვიფიქროთ კარგად, დღე წინაა, სად გაგვე-
ცვა ის კაცი...

თინა უფრო გაწიწვდა.

უფროსი თუ არ იქნება, კიდევ უკეთესი მოგვარება
მივფიქრებ. ხომ იცი, როგორი ქალია დარეჯანი.
გულმის შვილია, მაგრამ ყველაფერი იცის, ვერაფერს
გამოაპარებ. ჰოდა მომშველე-მეთქი. — და ისევ შე-
აჩება ხელში ჩემოდანი და ღვინით სასვე კასრი. კა-
რი გააღო და უბრბანა.

— ეტლი მიმოვე სადმე!

არქიპო ხმის ამოუღებლად გაძუნებულა, იქვე ეტ-
ლი იდგა, ცოლი ჩასვა და ისევ სახლისაკენ შემობ-
რუნდა. არქიპოს, დაღლილსა და დაქანცულს, კაცის
ფერი აღარ ედო, ბარბაქით შევიდა თიხაში, პალ-
ტო მივარალი კაცით გაიხანდა და ტახტზე ჩამოჯდა.

— არა. სხვის ნასუფრალს მიუძღურებულ კაცზე
საცოდავი არავინაა. ჩემი უფროსი სხვისი კაცია, მე
კიდევ იმის კაცის-კაცის კაცი! აუ, რა სასაცილოა
ყოველივე ეს. ამაზე დამამიკრებელი არც არაფერია
ამ ქვეყანაზე. კაცის კაცი იგივე მონაა, კაცი ის არის,
ვისაც თავის თავი თვითონ ვკუთვინის და არც არავი-
ნაც დამოკიდებულა. არა, ხომ არიან ასეთი კაცებიც!
ღიას, არიან, არიან. ნამდვილი თანასწორობაც ამ ნი-
ადაბზე თუ შეიქმნება? — ამას ლულულუთ ამბობდა
არქიპო და ხელებს ისე იქნევდა, თითქოს აბეზარ ბუ-
ზებს იგერებდნო. — ჰო, შენი თავი შენ უნდა გკუთ-
ვნოდეს, შენი თავის უფროსი შენ უნდა იყო და არც
არავის უნდა ჰქონდეს უფლება შენზე იბატონოს და
ითარეშოს. პიროვნების ამგვარი თავისუფლება, აი რა
არის უმადლესი თავისუფლება ჩემო... — ეს თქვა და
უცებ თავისი ცოლი და უფროსი მოაგონდა. მოაგონ-
და, თავი ვადაქნია და დადუმდა არქიპო...

კითხვა დაგამთავრე და შეგებით ამოვისუნთქე, წინ
გავიხედე. მერსზე ძლივს ეტვოდა ერთი ახმახი, შუა
ხნის კაცი. აღწნებულა თვალებით შემომხედდა და
ბოროტად შემეხიტყვა. ერთი მითხარა, ეს ამბავი,
შენ რომ გეცხვინა, როდინდელიაო. მე სხაპასუბითი
გუპასუხე, ძველია-მეთქი. თუ ძველია, მერე შენ საი-
დან იცი ეს ძველი ამბავი. მოსწრებისარ შევილსა,
გინახავს თუ... დარბაზში ვიდაცამ გაციცნა. ამას კი არ
მოველოდი და მართალი გითხრათ, დავიბენი. და რო-
ცა სიცილი მიწყდა, თუთიყუშითი გაციმორე: არა,
ახალა-მეთქი. ისევ ადგა ეს ახმახი კაცი, დარბაზს
მიუბრუნდა და ისევ როსროსით თქვა, ჰოდა, ასე
თქვი, შე კაცო. მამ ახლაც თუ ასეა, რას მიაღქვით
იმ ძველ დროს და არ დაასვენეთ, სანამ არ დაექციეთ,
რა, უკეთესი ააშენეთ თუ? ესა თქვა და დარბაზში
ისევ ატყდა სიცილი. სწორედ ამ დროს ერთი ახალ-
განარდა წამოვდა, ხელები ამ ახმახი კაცისაკენ გაიშ-
ვირა და გამომწვევად მიმართა: რა პაველ! არ მოგე-
წონა ბატონკაცების კრიტიკა ხო? რას ერჩი ამ ყმაწ-
ვილ კაცს, სწორედ რომ მართალს ამბობს... ახლა პაე-
ლუ აყვირდა... ამასობაში დარბაზი აირია, მე ვიდე-
ქი ნირშეცვლილი და მდგომარეობა რომ გამომესწო-
რებოდა, მეორე ეტიულის კითხვას შეუუღდეო:

სარგო ჰილიაი

მე და ჩემი პროფესორი

ფიქრის გორაზე თეთრი სახლია. ამ ხუთსართულიან სახლს ერთი სადარბაზო აქვს და მაინც იქ იშვიათად ნასავთ უსაქმურად გაჩერებულ, მოჭორავე ქალებსა და კაცებს, რომელთაც სწორად შეხედებით ჩვენს დალოცვილი ქალაქის გზოგზასა და სახლებში. შეიძლება ეს იმიტომ, რომ მთელს ეზოში ორად ორი დიასახლისია; სხვები ყველანი მუშაობენ. ხოლო ეს ორი დიასახლისიც ისეა დატვირთული სამინაო საქმეებით, რომ ქუჩაში საჭორაოდ კი არა, ოჯახში სალაპარაკოდაც ვერ იცლიან. ჰოდა ასეა, ვისაც შრომისაგან ხელეღი აქვს დაკოტრილი, ოფლისაგან შუბლი დაღარებული, იმასთან ჭორი და უსაქმურება ერთ დამსხვავებულ ვერ გაათვისებს. იმ საღამოსაც დიდი მყუდროება მეფობდა ფიქრის გორაზე. ეს მყუდროება ერთბაშად დაარღვია თეთრი სახლის სადარბაზოში შეგდებულმა კატის გუნტებმა. საცოდავად კნაოდნენ, ყოველ გამგულს მისტიროდნენ და შველას თხოვდნენ.

თუ მივსინჯავთ დამშული კატის გუნტების კნავილი, ამაზე შემაზრუნენ არა არის რა ქვეყანაზე. ამიტომ შემთხვევითი არ იყო, თეთრი სახლი გუნტების კნავილმა რომ შეძრა. ჯერ ბავშვებმა და ქალებმა შეიცხადეს კატის გუნტების კნავილი და კარებს ეცნენ, მერე მამაკაცებმაც გამოყვეს თავი სადარბაზოში და ატყდა ერთი ხმაური და კამათი თეთრ სახლში. მერე გამოჩნდა კეთილი დედა და შვილისათვის მამასისხლად ნაყიდი რძე კატის გუნტებს მიურბენინა. რძე შესვლიპეს და დამშვიდნენ გუნტებიც.

შუაღამე გადაცილებული იყო, როდესაც კვლავ შემაზრუნენ კნავილი ატყბეს გუნტებმა. იგივე ქალი გარეთ გამოვიდა და სახლში შეიყვანა. ისევ დამშვიდდა თეთრი სახლი. მუქთახორა კატის გუნტები ძილსა და ჭამაში ატარებდნენ დროს, მაგრამ თვლი აენილათ თუ არა, მაშინათვე გაეცალნენ იქაურობას, არ ისურვეს მუქთახორათ ყოფნა და ვირთხებს დაერივნენ.

შეგონება: კატის გუნტები ხომ საცოდავნი იყვნენ და შემაზრუნენი, მაგრამ არაფერი ისეთი საცოდავი არ არის, როგორც კატის გუნტად დაბადებული ადამიანი, მუდამ სხვისი ნაშრომის შემყურე და...

კითხვა არ მქონდა დამთავრებული, ისევ ის კაცი აგარდა, შავი, ჯაგარივით მსხვილი უღვაწები გადაიგრინა და იყვირა:

— გუნტების ამბავი, შვილოსა, აქ რა მოსატანია. კატა ერთი კი არა, ბარემ ხუთი მყავს თავის გუნტებთანად სახლში. მაგრამ მისგან არც გვაცხლებს და არც გვაცხიბს. ჩვენ ის გვითხარა, ომი იქნება თუ არა, წელს პურის მოსავალი რატომცა ცუდი, ან ჩვენი მალაზიებიდან შაქარი და პური რად გაქრა. აი, ამაზე გვითხარა, შვილოსა, ამაზე...

სოფლის არტისტისთვის მთლად დავიბენი, მაგრამ, თითქოს სუფილიორმა მიკარანასაო, შევესიტქვე მოკაშათეს.

— ნუთუ ვერ გაიგე, ძიაკაცო, სწორედ ამაზე მოგახსენებდით, რომ ის ბიუროკრატები და მუქთახორები, გადარჩენილი კლასობრივი მტრები რომ არ გვიმლდნენ ხელს, ყველაფერი გვექნებოდა: პურიც, შაქარიც და კარაბიც.

ამაზე მთლად გადაირია ჩემი მოკამათი.

— შე ოჯახეკტიანო, თუ ყველა მტრად გამოაცხადეთ, ვისთვის გინდათ ეს სახელმწიფო? პავლე ყოველივე ამას დიდი გაბოროტებით ამბობდა. საქმე ის იყო, რომ პავლეს, მდიდარ გლეხს, ხეტყით განთქმულ ჩვენს კუთხეში დიდი სახერხი ქარხანაა ჰქონდა და უზომო შემოსავალი შემოსდიოდა. კოლმეურნეობა რომ დააარსეს, იმ წელს სახერხი ქარხანა ჩამოართვეს და კოლმეურნეობას გადასცეს. გაბოროტებული პავლე ყოველ საღამოს კომუნისტებს წყევლიდა და რაღაც სასწაულს ელოდა. წლები გადიოდა და სასწაულს აგვიანდებოდა. პავლე უფრო და უფრო ბოროტდებოდა. მე ჯერ არსად მენახა ასეთი ბოროტებით, ბრანით, ღვარძლით გამსჭვალული თვალები.

მაშინ ვიგრძენი პირველად, ადამიანები მართო ფერთა და სახით კი არა განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, არამედ უფრო დაფარული გრძნობით და კივრებით, რომ ჩემს მოკამათს ეზიარებოდა და სძულდა მის ვარშემო ყველა და ყველაფერი. დაიხ, მე მივხვდი, რომ ის კლასობრივი ზიზღი და სიძულვილი, მის ბინძურ გულში ჩაბუდებული, ახლა ბიოლოგიურ სიძულვილში იყო გადაზრდილი და, რასაკვირველია, მისი მორჯულება კეთილ სიტყვას აღარ შეეძლო. განიზიანებული, გაბოროტებული შშად იყო შამფურზე ავეგე, ცეცხლში შევეწვი... გულში იყო დავდე, რომ არც არაფერი დამეთმო ასეთი ადამიანებისათვის. ახლა სამაგიეროს გადახდის ტინი დამებოდა, მაგრამ როგორ. უცბად მომაგონდა, რომ საჭირო იყო გამეგრძელება კითხვა. უფრო იმ კაცის გულის გასახეტივად, ნიშნის ნიშნავებად მთლად აღგზნებული და აღტაცებული შევუდექი კითხვას. კითხვა გავათავე და ტაში დამიკრეს, უფრო იმიტომ, რომ სასოგადოებამაც შეატყო პველეს გაბოროტება და მე მომეხრო. პირველად ვიგრძენი მხარდაჭერის ძალა და სიამაყე შეუღვა ჩემს გულს. მოწინააღმდეგე მაინც არ მომეშვა. ალბა, კატის გუნტი, კატის გუნტით, ჩაიჭირქალა და გარეთ გავიდა.

წაალებით მოწყობილი ეს საღამო ჩამშხამდა და მერე დღესვე თბილისისაკენ გამოვიწვი.

საგაზაფხულო გამოცდებით დიდის გაჭირვებით ჩავაბარე. არ ვემუშობდი. ორი ეტიუდისა და სამიოდელექსის პატრონს სიმონისისაგან კუჭი მეწოდა. სხვა მამა არ იყო და ისევ სოფელს მივაშურე. დამდებულ მანარემს პოეტობის პასპორტად ჩემი დამშვიდლი ლექსები წარუდგინე. მამარემმა ამხედ-დამხედა და მისთვის ჩვეული სიმშვიდით მკითხა:

— რა არის ეს, შვილო?

— ლექსები! — ვუპასუხე მე. და რომ ძალა მიმეცა ჩემი პასუხისათვის, დავუმატე — აკაკი ხომ გაგიგონა, მამა, ჰოდა, მეც აკაკივით პოეტი მინდა ვიყო.

მამარემი ხელოსანი კაცის პირობაზე ბევრგან ნამყოფი და ბევრის მნახველიც იყო. ქართული და რუსული ჩინებულად იცოდა.

— აკაკი არათუ გამოგონია, ვიცნობდი კიდევ, მილაპარაკენია კიდევ მასთან. მაგრამ აკაკი მართო ლექ-

სების მწერალი კი არ იყო, ღმერთკაცი იყო, დიას, ღმერთკაცი. ბევრნი ბაძავდნენ, მაგრამ იმისთანა სხვა არავინ მინახას.

— აქ, ჩვენს სოფელში, ერთი სულელი ბათუა, თუ გაგიგონია, პოდა ისიც ლექსებს წერს და ასე ამბობს, აკაკი ვარო, მაგ სიტყვა მეორედ არ წამოგვცდეს, შვილო, სად აკაკი და სად შენ? ჩემთვის რომ დაგვეჯერებია, სჯობდა ექიმი გამოსულიყავი. ჩვენს გაჭირვებას ექიმობა უფრო წაადგებოდა. ახლა, ახლა შენ იცი. ოღონდ, იმ ღმერთკაცს თავი ანებე. — ესა თქვა და დამღურებულვით გამეცალა. პასუხიც ვერ მოვასწარი.

ამით გაჯაგრებული იმ კვირას სკოლის დირექტორს შევუთხარებდი და ისევე ლიტერატურული საღამო მოვაწყვე. მართალია, საღამოს ათიოდე კაცი დაესწრო, მაგრამ მე მოსხენება მაინც დიდი რისით წავიკითხეთ. თანამედროვე მწერლობა დავახსიანეთ, ფუტკურისტებს და არრევიონისტებს შევუტვი. პროლეტარული მწერლობა ცამდე ავიწიე, რაც კარგი ლექსი იყო, მათ სახელს მივაწერე, გ. ტაბიძის „კოლექტივო მხარი მხარს“... „აბა ჰე, აბა ჰე...“ შეპირად წავიკითხე და ერთი ჩემი მეგობრის ლექსად დავასახლეთ. მაშინ არც ახებოდა და არც აცია იმ სულელმა ბათუმ და ადგილიდან წამოიყვინრა: — არა, ეს ლექსი გალაკტიონისააო. ახლა კი გავჯიქიდე, რა ქალაქელი ბოეტი ვიყავი თუ ჩემს ნათქვამს არ დაეცია? და დაევიწყე ტყვილის მტკიცება. მართალია, გალაკტიონის ლექსი ჰგავს ამ ლექსს-მეთქი, მაგრამ სიტყვის დამთავრება არ მაკალა, გვერდით ამოვიდგა, ხელები გაშალა და გალაკტიონის ამ ლექსის კითხვას შეუდგა. საქმეში დირექტორი ჩაერია და ინიციენტი ამოწურულად ჩაივალა. ეს უსიამოვნება რომ გამეფანტა, მოსხენებას ჩემი ორი ლექსი მივაყოსლე და დავემატე ეს ლექსები „სახალგაზრდა კომუნისტში“ დაბეჭდვა-მეთქი. ლექსები მოეწონათ. ტანით დამაჯილდოვეს. მართალია, სულ ათი კაცი უსრავდა ტაშს, მაგრამ შორიდან მაყურებელს დარბაზი სახვე ეგონებოდა. ამით გათამამებულმა კიდევ ორი ლექსი წავიკითხე და ზედ მივაყოსლე, ეს ლექსი „მნათობში“ იბეჭდება-მეთქი. არა! გადაცემით მართლა გადავეცი „მნათობს“ მდივანს, მაგრამ ისე ცივად ჩამომართვა, უინტერესოდ გადაიკითხა და დამადლებით დაიტოვა, სახზე არც კი შემოუხედავს. ვიცოდი, განწირული იყო მისი ბედი, მაგრამ აქ მყოფთაგანმა ეს ამბავი არავინ იცოდა და ამიტომ ადვილად დავიტრახაბე. კამათში არავინ გამოსულა. უეცრად იმ სულელმა ბათუმ მოითხოვა, მეც წამაკითხეთო ლექსები, ვნახთ, ვისი აჯობებოდა. მაგრამ სკოლის დირექტორმა კვლავაც მხარი დამიჭირა და კრება დახურულად გამოაცხადა. ვი-ღაცამ ჩაილაპარაკა, რად არ უშვებთ მაგ კაცს, მაგის ლექსები ჯობია იმას, რაც ახლა მოვისმინეთო. მე თითქოს არაფერი გამივია, ისე თავაწუული გამოვედი დარბაზიდან. შინსკენ გამყოფილი გამოვსწიე, მამა გვერდით მომყვებოდა, ხმას არ იღებდა, ისე კი გტყობოდა, რომ რაღაცის თქმა უნდოდა. ეს შევნიშნე და ვკითხე:

— როგორ მოვეწონა მამა, საღამო?

— არა უშავდა, შვილო, ოღონდ ერთი მიწერა იმ ბათუს რა უნდოდა? ვფიქრობ და ყველაზე უფრო იმის მემინია, იმას არ მივამეგანონ, არ გამოგვკაყონ ქვეყანაზე...

იმ საფხულს ჩვენს სოფელში თბილისელი ქალი ჩამოვიდა. ნათესავი, რომელთანაც იგი დაბინავდა, ჩვენს მუშობლად ცხოვრობდა. ჩემმა მეზობელმა ჩამოსული სტუმრის საპატივცემულოდ პატარა ნადიმი გამართა და მეც მიმიწვია. ჩემი თავი დიდის ამბით გააენეს, უნივერსიტეტის სტუდენტიო. ქერათმინანმა ქალიშვილმა ამხედ-დამხედა და გამიღიმა. ვცადე სუფრაზე თავი გამოემჩინა. ყოველ სადღეგრძელოზე სულ იმ ქალს მივჩერებოდი, მაგრამ სასიკეთო ვერაფერი შევატყვე. მერე ისევე ჩემი მეზობელი ჩაერია და მთხოვა, აბა შენ იცი, შვილო, ჩვენს სტუმარია, არ მოაკლო ყურადღება, იარე ჩვენსაო... მეც ყოველდღე დაბარებულვით მათთან ვსაუბრობდი და ვსადილობდი... მერე ავიყოლიე ეს თბილისელი ქალიშვილი და მთელი რაიონი შემოვატარე. რა არ ვაჩვენებ, რა არ ვახაბე. მერე ისევე სკოლის დირექტორს შევეჩინდი და წარმოდგენა მოვამზადეთ. კარგად არ მახსოვს, ვისი იყო ეს პიესა. ის კი მახსოვს, რაღაც სულელური სამკუთხედი იყო. ერთი ქალიშვილი ორ ვაჟიშვილს მოსწონდა და ამის თაობაზე იყო დიდი ცილობა და მიწვე-მოწვევა. ქალიშვილის როლს თბილისელი სტუმარი ასრულებდა, ხოლო ერთ-ერთი შეყვარებული ვაჟთაგანი მე ვიყავი. წარმოდგენას აუარებელი ხალხი დაესწრო. და სწორედ მაშინ, როცა სულგანაბული უსმენდნენ შეყვარებულთა დიალოგს, მე როლში შევიჭერი, მივეჯრიდი ამ ქალიშვილს და ვაკოცე. ეს სახვებით მოულოდნელი იყო. თბილისელი სტუმარი არ დაინდა, სილა გამაწინა და ის იყო ვი-ღაცამ დაიყვინრა — ფარად, ფარადო. დახსრეს ფარად, მე მეორე ოთაშში გავსდევ ჩემს შეყვარებულს, მაგრამ არ მოუხედავს, ისე მოკურცლა შინსაკენ. ჩაიშალა წარმოდგენა, ხოლო სოფელს საჭორაო გაუჩნდა. ამით განაწყნებული სტუმარი მეორე დღესვე გაემგზავრა თბილისს. ახლა მეზობელმააც ამითვალისწინეს. მამა ცალკე მიღრენდა, დავფიქრედი და მივხვედი, რომ ცუდად გამოვივინდა. საქმის გამოსწორება ვცადე და წერილი მივწერე თბილისელ ქალიშვილს.

„ჩემო საყვარელო, ჩემი ძვირფასო მარიკა! კეთილი და მართალი, ძლიერი და ლამაზო, მშვენიერი და ამაყო... მე შენს სიამაყეს მტლად დავედები, მე შენს სილამაზეს დარაჯად დავედგები. შენს მშვენიერებას ჩემს ლექსებში შევაქებ. შენ, ჩემო სალოცაო ხატ-ანგელოზო! მიიღე ჩემი საღამო, მსურვალე გრანობით, კეთილი სურვილებით და, და... მეც, მეც მიინდა შეყვადეს, როგორც ჩემს ტოლებს, ფიქრებისა და ოცნების შესაიდუმლე, გვერდით მეგულვობდე, ჩემად გთვლიდე, რომ მეც ავამალდე და სიამაყით გავიარო ქუჩებში. დიას, ზეცამდე ავამალდე. ხომ იცი რამ სიამალვა ეს დალოცვილი ე. ვ. გახსოვს იმ საღამოს ერ-

სარგო ბილიანი

მე და ჩემი პროფესორი

თად რომ ვიყავით გორაზე, მაშინ შენც დამეთანხმე, რომ ასე მაღალი ზეცა არსად არ არის, როგორც ჩვენში, ო, რა ბედნიერი ვიყავი იმ საღამოს. წახვედი და დაეკარგე მშვიდობა სულისა. წახვედი და აქ სრული სი-ცარიელე დარჩა. ყველგან გეძახი და ხმა ვერ მომიწვდინა. სადა ხარ, სადა? ამ დროს, როცა ყველაფერი ხართს ჩვენს სიფელში, ამბობინებულა მდელი და ვა-ში, რად წახვედი, რად დაგვტოვე. ასე მეონია, რომ მარტო ვარ, სულ მარტო. ჩემს გარშემო ყველაფერი ყვავის და ხართს, ჩემს გულში კი ზამთარია. ეს ორი დღეა ამინდი შეიცვალა, შხაპუნა წვიმა მოვიდა. წუ-ხელ მთელი დამე წვიმდა და სახურავზე ქარი დაქო-რითობდა. ასე მეგონა ვიღაცა უკანონო შემოიპარა ფან-ჯარაში. თვალები ფართოდ გახსნილ, სიბნელეში ვე-რა გაგარჩიე რა. ჩუმად შენი სახელი დავიძახე, მარი-კა, ჩემო მარიკა, ჩემო მეგობარო, შენ კი არსად ჩან-დი. მარტო წვიმა და წვიმა. ნალველი მიგერია ჩემს გულს და ასე მეგონა, რომ ვიღაც ჩემს საწოლში შე-მოდებდა. უხელავი, მაგრამ ჩემგან ვანუყურდი და ჩემი სულის ნაწილი. ერთხანს დამეშვიდდი, ამ მირაჯით გინუგეშე თავი. თუმცა სული ჩემი მაინც არ მშვიდ-დებოდა და ბორჯავდა. ბორჯავდა და ეძებდა რაღაც გამოუცნობს, ეძებდა და ტირიდა სული ჩემი, ალბათ მიხვდებოდა, რომ ჩემი დარდიც, ჩემი ფიჭირიც ჩემი აწ-ველიც, ჩემი სიყვარულიც და სიხარულიც შენა ხარ. აჲ შენით თუ გაიხსარებ ქვეყანაზე. ჰოდა, ნუ ვამოწყურე-ბი, ჩემო კეთილო, თუ რამ ვაწყენინე ჩემს საყვარელ არსებას. ეს მხოლოდ სიყვარულის ბრალია და არცა მსურს ბოდში მოვიხადო შენს წინაშე, ჩემო სალო-ცავო. მარიკა, ჩემო მარიკა, ხმა გამევი. თუ დამიჯე-რებო, წუხელ მთელი დამე არ მიძინია, შენს სახელს ვბოღავდი, შენს სახელს ვახსენებდი, შენც სოცოცოც გავტატარე მთელი დამე. დილას ჩამეძინა და მეზმანა: მე და შენ თბილისში რუსთაველის პროსპექტზე დაე-სეირნობდით. მე შენით მოხიბლული რაღაცას გეშუ-დარებოდი, შენ კი რაღაცის გამო მიწყურებდი. მთელი რუსთაველი ისე ავიარეთ, რომ ვერა და ვერ მოვიგე შენი გული. ელბაქიძის დაღმართზე რომ დავიფვივო, მხოლოდ მაშინ ამოვისუნთქე შეგებით. შენ მიიხარო, მოდი, ბაღში შევისვენოთო. ელბაქიძის დაღმართის იმ ზელსეულივით პატარა ბაღში შევედი, სკამი არსად იყო თავისუფალი. გული ჩამწყდა და კიდევ გამომე-ღვიძა. ვნატრობდი, ისევე ჩამძინებოდა და სიზმარი გაგრძელებულიყო. მაგრამ არც ძილი მეკარებოდა და არც სიზმარი მოსვენებადაკარგულს. მერე ავდევი და ეს წერილი დაეწერე. თითქოს რაღაც მძიმე სვედა მო-ციცილე სულიდან. დღეს ამ ბარათს ჩემს ბიძაშვილს გამოვაცანე და იცოდე, შენგან მოველი პასუს და იმედს, ჩემო მეარველო ანგელოზო“.

ეს წერილი ვგაგებდი ჩემს ბიძაშვილს. საკუთარ ხე-ლში გადახატა მარიკას. თბილისიდან იმ დღესვე დაბ-რუნდა ჩემი ბიძაშვილი და ამბავი მომიტანა, — იქვე გახსნაო ბარათი, კითხულობდა და ეცინებოდაო. რომ დაამთავრა, გაიღიმა და მოთხარაო, როგორც ჩანს, შე-ნი ბიძაშვილი ცუდი პოეტი არ ყოფილაო. კარგიო. მაგრამ მე ვერ გავიგე რას ნიშნავდა ეს სიტყვები. ბი-ძაშვილი ჩამაჯინდა, რა ლექსი მისწერეთ ასეთი, ასე

რომ მოეწონათ მარიკას. ისე გავიდა ერთი თვე, რომ საპასუხო წერილი ვერ მივიღე. ერთი თვის მერე რომ გადავიკითხე ამ წერილის შავი, მე თვითონ მიწვდი, რომ რომანტიზიდან ამოვიხიული ეს სხვისი სიტყვები რაღაც უცნაურად იყო შეგოწმებული. ალბათ იმი-ტომ თუ ეღიმებოდა ამ წერილის კითხვის დროს მარიკას. იმ თვის ბოლოს დავკარაი ფენი და თბილის-ში ჩამოვედი. იმავე საღამოს დიდებუმი გაგანდი. მისმა ძმამ ცივად მიპასუხა „მარიკა ბორჯომში და-სახსენებლად წავიდაო“. ნაცემი ძალღვივით გამოგე-რუნდი უკან...


სახლში მოვედი, ვერ დავისვენე, გამოუცნობი იჭვი-ღრღინდა ჩემს სულს, ვაითუ მარიკას სხვა უყვარს და მე ვერ დავიღო ბინა მის გულში-მეთქი. იმ საღამოს ჩემს მეგობარ პოეტს ვესტუმრე, ახლად აღებული ჰო-ნორარიდან ხუთი მანეთი ვესესხე და ბორჯომს მი-ვაშურე. მთელი ორი დღე ვიხტებოდი ბორჯომის პარკ-ში, ვიდრე მარიკას გადავეყრებოდი. ჩანჩქერთან იჯდა სულ მარტო, დაღონებული და დაფიქრებული. უკა-ნინად მივეპირე და თვალბრუნე ხელეში მივაფარე, ისე როგორც ბავშვობაში მითამაშა კუკუმალულობა და რიხიანად ვკითხე, აბა გამომიციანი-მეთქი. ჩემს გაკვი-რებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა მან ჩემი სახელი დასასხელა და ხელეში მიიშორა. მიბრძანა, აი მანდ ჩამოვეცი, მეც პატარა ბავშვივით დავმორჩილდი და იქვე შორიასლო ჩამოვეცი. საიდან, როგორ გაჩნდი აქო, — თითქოს სხვათაშორის მეკითხა. ვედაივისკისა, დედას გეფიცებო-მეთქი, ისევე გადაივისკისა. პატარა ბავშვი ვჩანდი მის წინაშე, უშუალო, უსუსური.

სულ ბანზე მიგდებდა სიტყვას, იცინოდა, იღიმე-ბოდა. პირდაპირ პასუსს გაუბოღა და თითქოს შორს-იყო ჩემგან. ეს ვიგრძენი და დავდუმდი. მეწყინა, თვითონაც შენდობდა და ასლად ჩვენს შორის ჩამოვარდ-ნილი უსიამოვნება რომ დაეფარა, თვითონ შემომთა-ვაზა, მოდი ზვეით, ბორჯომის პარკში ავიდეთო. ირე-მივით ყელი მოიღვრა და აღმართს შეუდგა. მე გა-მოვეცილე ვნად გაკრეფილი და მოსვენებას არ ვაძ-ლევი. ისეთი მაღალფარდოვანი სიტყვებით ვუსხნი-დი გულის დარდას, რომ მერე ამ სიტყვებისა თვითონ-ვე მრცხვენოდა. როცა ამ სტიქილას და სიცილე-კის-კისში დაიღალა, ერთ ხესთან გაჩერდა, ხელით მანიშ-ნა, შენც შეჩერდიო და ჯარისკაცივით სმენაზე დამა-ყენა.

— იცი, რა გითხრა, ჩემო გურამ, ახლა წავი თბი-ლისში, შენს საქმეებს მიხედე, და თუ შენ კიდევ ამ აზრისა იქნები, რასაც ახლა სიტყვებით მიმტკიცებ, ჩანს, მართლაც გულით ამბობ ყოველივე ამას, მაშინ ვნახოთ იქ თბილისში... მე კი მეონია, ეს ყველაფერი ზერელე გატაცების ბრალია ანდა უბრალოდ მორიგი სასიყვარულო თუ სანაღარი გასეირნება ბორჯომის ხეობაში, არა?

— არა-მეთქი, — ვიყვირე. — გეფიცები ყველაფერს, ვინცა მყავს და რაც კი მწყასს, მიყვარხარ, მიყვარხარ თავდაღვივებით!

ეს ვთქვი და უკან მოვიხედე. მზია წამოგადაცა, ჩვენი თბილისელი ნაცნობი. მზია ერთი კეთილი გუ-



ლის, მაგრამ თავზეხელაღებული ალქაჯი ვინმე იყო. სიტყვაც არ მქონდა დამთავრებული, ისე მომაყვირა, გურიკო, გაიმორე, გაიმორეო. ჩემს ყურებს მოესმა, თუ ნამდვილად შენ ამბობდი ამასო. ახლა ზევიდან მოგვიარა, ფერდობზე შედგა და გაწვრითილი არტისტიკით თვითონ გამიმორა ჩემი სიტყვები. მე შემრცხვა, თავი ძირს დავხარე, ერთბაშად გამოვეთხოვე ქალიშვილებს და თბილისისკენ გამოვწვიე — გალახული და გამოაშკარავებული. ახლა იმსაც მივხვდი, რომ თურმე შეიძლება მეორედაც შეიყვარო გულის ტოლი და შეიყვარო ნამდვილი გატაცებით...

ივანე ჯავახიშვილი ისევ აღადგინეს უნივერსიტეტი. ჩვენ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მე ისევ ჩემს პროფესორთან დავიწვეე მუშაობა...

გუშინ ახალმა რექტორატმა უნივერსიტეტში ბალმასკარადი მოაწყო. ვიღაც ამბობდა, მე ძველებური ბალებისა და მასკარადის მონაწილე ვყოფილვარ, მაგრამ ასეთი არაფერი მინახავსო. მერე ისიც უნივერსიტეტში! ჩვენი ახალგაზრდობა და მეცნიერები ნიღბებით, საოცარი ფერად-ფერადი ნიღბებით მორთულ-მოკაშმულნი უნივერსიტეტის აუდიტორიებსა და კლუბში ირეოდნენ. 107-ე აუდიტორიასა და კლუბში ორკესტრი უკრავდა. კიბესთან — არღანი. არღანს გარს ეხვია ყარაჩოდლებისა და კინტოების ტანსაცმელში გამოწყობილი ახალგაზრდები. დერეფნებსა და აუდიტორიებში თავბრუდამხვევ ვალს ცეკვავდნენ. თვით რექტორმა პირველმა გამოიწვია ვიღაც ნიღბოსანი გოგონა. ამით გათამამებული მთელი ახალგაზრდობა ცეკვავდა, რაღაც საოცარი ზეიმი იყო. აი თურმე, როგორ იცვლება ყველაფერი. მე მასსოვს, უნივერსიტეტში სტუდენტ ვაიფებს გალსტუკის გაკეთებას უკრძალავდნენ. ქალიშვილებს — ფრჩხილების შეღებვას... არა, ცხოვრებას თავისი გააქვს...

იმ საღამოს ერთი რომანტიკული ამბავი მოხდა, რომლის გმირი მე ვიყავი. ეს ახალგაზრდული სამიჯნურო ხუმრობა იყო, მაგრამ განუყოფელი ნაწილი ჩვენი ცხოვრების, მე მინდა ჩემმა ჩანაწერებმა ეს სურათიც ასახოს. მაშ ასე:

- რა საინტერესო ვარდი გაქვს, ჩემო!
- ვითომ მარტო ვარდია საინტერესო?
- არა, საკითხავი ეს არის, ეს ვარდი შენ გამშვენებს, თუ შენ ამშვენებ ვარდსა?
- პირბაღე რომ მოვიხადო, თავად იტყვილი.
- ისედაც მივხვდი. ვარდს შენთვის მოუპარავს ხილამაზე.
- ჰოდა, ეს ქურდი შევიპყარი და ხელთ მიჭირავს.
- როგორც შენი ხილამაზის სადარი განძი.
- წარბადენმა ამ ვარდის მიხედვით შეგიძლიათ იქონიოთ ჩემზე.
- თუ ასეა, მაშინ მე თქვენს ხელს ვითხოვ.
- ვინც ჩემს ხელს ითხოვს, იმას მე დაჯავალდები ჩემი ხილამაზის ქურდი — ეს ვარდი დასაჯოს. არ მსურს, ის ჩემი მეტოქე იყოს.
- მაშინ ხომ საქართველოში მთლად უნდა გაგვადლოთ ვარდები!

— რაღაც სასაცილოს ამბობ, არა?
— არა, მე სერიოზულად მოგახსენებთ. ეგებ სკობ-დეს, ორივე ერთად მოვიტაცო — ვარდიც და მისი პატრონიც, რომ ჩემს ოთახს ორივენი ამშვენებდნენ!

— ეს ძვირად დაგიჯდებათ!
— არაფერს დავიშურებდი, უკან არ დავიხვედამ შენი სიყვარულის წინაშე, თუნდაც ეს სიცოცხლის ფასად დამეჯდომოდა!
— ნუთუ არაინ კიდევ ასეთი რაინდები! თუ ტრახასია ეს?
— მე ჭირივით მძულს ცარიელი სიტყვების ხარჯვა, რასაც ვამბობ, კიდევ ავახსრულებდი!

— თუ ვახსოვთ ლექსი „საამო არს სახილველად, ოდეს ვარდი ნინას ეპყრას. მაგრამ ვინ სცნას ვინა სუნაეს ნინა ვარდს, თუ ვარდი ნინას?“
— ეგეც მასსოვს და მეორეცა: და არ არსებობს ქვეყანაზე თვით უკვდავება.

თვით უკვდავება არ არსებობს უსიყვარულოდ!
— ჰოი, მწარე ხვედრი ცაცთა შოღდმისა!
— მძულს სხვისი სიტყვებით რომ შელაპარაკებინ ხოლმე. შენა გგონია ვერ მივხვდი, ვის სიტყვებსაც იმეორებ?

— თუ მიხვდი, მით უკეთესი, ის სენი ნამდვილად მეც შემეყარა, რითაც იყო დაკოდილი გულს იმ ჭაბუკისა, ვისაც ეკუთვნის ეს სიტყვები.
— იმ ჭაბუკის მოგონება უადვილოა, ვერტერის დრო დიდია ხანია წავიდა.

— არა, სიყვარული მარად ძველია და მარად ახალი. ის არ წასახლა და არც მოსულა, მუდამ ჩვენს სულშია განუყოფლად. ახალგაზრდობა და სიყვარული ერთია, ჩემო. ყოველ ახალგაზრდას ვერტერის სიტყვები ისე შეუძლია გაიმეოროს, როგორც თავისი საკუთარი გულისთქმა.

— მაგრამ ამისთვის თუ არ ჰყოფნის ცოდნა და ნიჭი?
— რა ვუყოთ მერე? ნიჭი ისეთი რამ არის, რასაც ძუნწად არიგებს ღმერთი. სიყვარული კი ყველას შეუძლია — ნიჭიერსაც და უნიჭოსაც. ერთი გონების საქმეა, მეორე — გრძნობისა.

— ისევ სხვისი სიტყვები მესმის.
— თუ საკუთარი უკეთესი არ გავგანჩნია, მაშინ რა ვქნათ?

— აი მიზუნი, სულო ჩემო, აი მიზუნი!..
— ეგეც ზომ სხვისი სიტყვები!
— უნდა დაგითანხმო, მეტი რა გზაა.
— შენ ნამდვილად შლეგი ყოფილხარ.
— შენმა მიჯნურობამ მაქცია შლეგად.
— თუ ასეა, მაშინ გამარების ველად გაიჭრა, ვინ ტარიელი...

— არც ამას ვითაკილებდი, თუ შენს გულს ამით მოვიგებდი, ჩემო, რადგან ამ ქვეყანაზე სიციცხლეს ისე არაფერი არ აღამაზებს, როგორც სიყვარულს.

— საინტერესოა, თქვენ პოეტი ხართ, თუ?
— თუ რა?..
— მე თქვენ გამოგიცანით, დიას, გამოგიცანით!

სამრბი ვიღანი
მი და ჩიმი პროფესორი

და იცით მერე როგორ? სმით გამოვიცინით. ადამიანები სმებით განსხვავდებიან უფრო ერთმანეთისაგან, ვიდრე სხვა რამით. მე კი შეუმცდარი უნარი მაქვს გამოვიცნო ადამიანების სმა.

— არა, არა მგონია, თქვენ მართალი იყოთ. თუ ასეა, მაშინ თქვენ ისეთივე სმა გაქვთ, როგორც ჩემს ხატროს. პირველად რომ დამელაპარაკეთ, მე შევკართი კიდევ, ასე მგონია, ის არის-მეთქი და თუ არ მოვტყუდებ, ჩემზე ბედნიერი არაფერ იქნება.

— არა, დამკინით, თორემ ამის მსგავსი არაფერი ხდება ბუნებაში. ორ ადამიანს ვერ იპოვით, ერთნაირი სმა რომ ჰქონდეთ.

— დამიჯერეთ...

— ნახე? — წილან ჩვენი რექტორი ვალს ცეკვაობდა.

— მერე რა, ცუდია?

— არ ვიცოდი, თორემ ჩვენც ვიცეკვებდით ვალსს, არა?

— რომ ვიცოდე, სიამოვნებით, ოღონდ, შენთან მაინც არ ვიცეკვებდი!

— იქნებ რექტორთან?

— რატომაც არა. შენ ალბათ იცი, რომ ჩვენი რექტორი ვალსსაც კარგად ცეკვავს და ლექციებსაც კარგად კითხულობს.

— ამაში მართალი ბრძანდები, მისი ლექციები პოლიტეკონომიაში მე გერმანულად მომისმენია.

— მაშ თქვენ გერმანისტი ყოფილხართ, რადგან გერმანულად პოლიტეკონომიას სწორედ იქ კითხულობს.

— ალბათ, თქვენ ისიც იცით, რომ ჩვენი რექტორი პოლიტეკონომიას სხვა ფაკულტეტებზეც კითხულობს. დიან, ქართულად, რუსულად, გერმანულად.

— არა, ეს არ ვიცოდი, და არც მაინტერესებს ამჟამად.

უცხად ამ უნივერსიტეტის დამაარსებელი, ჩემი პროფესორი ივანე ჯავახიშვილი დამიდგა თვალწინ. და მე დავედმედი გაოგნებული ყოველივე იმით, რაც ჩემს გარშემო ხდებოდა. ისევე ნიღაბოსან ქალიშვილს შევხედე და ლექსად ვიქეცე:

შენ ჭვარს იწერდი იმ ღამეს მერი...

და მე ავტირდი ვით მიღე ლირა

ღირი ყველასგან დავიწყებული.

— კვლავ გალაკტიონის სმა მესმის.

— მერე, რა არის ამაში ცუდი, თანამედროვე საქართველოს ერთი პოეტის ჰყავს და დიდი ცოდვა იქნებათა, ზემობრად რომ არ ვიცოდე მისი ლექსები.

— გალაკტიონი ისე ერთია, როგორც ერთია კავკასიონი.

— სხვები? სხვა პოეტებს რად ივიწყებთ? თუნდაც...

არ დავცალე, სიტყვა მოუჭერ. — არა, რატომაც არა, სხვებიც არიან, მაგრამ გალაკტიონი მაინც ერთია, გალაკტიონი ქართულ პოეზიაში ისე ერთია, როგორც ერთია ქართულ მეცნიერებაში ივანე ჯავახიშვილი... ნიღაბოსანი გაჩუმდა, მეც გაჩუმდი. მერე ერთბა-

შად ისევ ვკითხე: მე ისა მსურს ვიცოდე, თქვენ როგორი ხართ და ვინა ხართ?

— ამის გაგება სულ ადვილია, ^{გერმანული} ~~გერმანული~~ ესა თქვა და ნიღაბი მოიხსნა ქალიშვილმა.

შევხედე და გავეშედი, ჩემს წინ ის ალქაჯი მზიადგა. დაუშორე და შევეხვეწე: მარიკას არ უთხრა-მეთქი ის, რაც ახლა ჩვენს შორის მოხდა... შემპირდა, არ ვიცი, რამდენად შეასრულა დანაპირები. ისე კი მივსიყვითლე მინიჭებულ და გულუბრყვილო იყო ჩემი საქმიანობა, მაგრამ ასე მეგონა, პოეტებს ევატებათ ასეთი რამ და მეც ვაპატიე ჩემს თავს, რაკი პოეტად მომიქონდა თავი.

და ბოლოს, იცით, კიდევ რა?

ამასწინათ ერთგან წვივითხე კაცობრიობის სიტორიას სიყვარულისა და სიძულვილის ნიჭი წერსო. ეს ნამდვილად ასე უნდა იყოს. ან ძლიერ უნდა გიყვარდეს ის სავანი, რომელსაც ეტრფი, ან ძლიერ უნდა გძულდეს ის, რასაც ებრძვი, რომ რაიმე სერიანი გამოვივიდეს. ვეცაა: დიდი სიყვარული ან დიდი სიძულვილი ბადებს შეუპოვრობას და შთაგონებას. ის ლექსებიც სიყვარულმა და ახალგაზრდობამ დამაწერინა, თორემ აბა სად მე და სად ლექსები... მით უფრო ეს ის დრო იყო, როცა არაფერი ისე არ ფასობდა პოეზიაში, როგორც ორიგინალური რითმები. მე სწორედ აქ ვიყავი სუსტი...

იმ დღეს იმ ჩემს ლექსებს ვისწავადი, ვაკვირდებოდი. მერე მომიხდა გაურთიბავად გამემართა ეს დასავაგებული სიტყვი.

აი ეს ფრაზები და სტრიქონები ერთმანეთის მიჯრით გადაწერილი: იისფერი ნისლი ებურა მთებს. მე კი მზითვად მეყოფა შენი იისფერი თვალები, გასაფხული დამიზამთრე, მე უშენოდ ვერ დამთბება. შენ გეცვა საქორწილო კაბა პროწულის ფერისა და გზაზე გაწოლილ შენს ლანდს ველაიცეცობდი. მე მახლეებენ ზღვასავით ლურჯი შენი თვალები... ვისხენებდი ჩვენი უიღბლო სიყვარულის მოწიხს, შენი სახლის მთვარიან აივანს... მესმოდა შენი სიცილი, ვით არწივის ფრთების ტაკუნია... თავზე გვეხურა ფირუნი ზეცა, მე ვით ღვთაებას, ისე გეაჯობოდი შენი თმის სურნელებით მთვრალი, ლალის საყურე გვიცადა, სახზე ია და ვარდი გეფინა და მე მომიხდა მეყოცნა შენს იამიწებებულ ლოყაზე...

თითქოსდა ურიგონი არ იყვნენ ეს ფრაზები, მაგრამ ნაჯახარევი რითმებში ჩასმულთ სიცოცხლე და ელვარება აკლდათ. ეჭვმა შემიპყრო, ნუთუ მართლმე შემართება ეს, თუ სხვებსაც. წიგნის თაროდან ჩემი მეგობარი პოეტის ლექსები გადმოვიღე და ახლა იმას დავეწიე სინჯავ. აქ მძლავრ სიტყვებსაც წავაწყდი, ანალოგიურ რითმებს. ცივმა ოფლმა დამასხა: ვინ იხმობა ეს პოეტური სამკაულები, ეს რითმები პირველად? მე თუ იმ ჩემმა მეგობარმა პოეტმა? თარიღებს დავეუწე ძებნა და სინჯავ, მაგრამ ამაოდ, არც ერთ ამ ლექსს თარიღი არ ესვა. მერე სხვა პოეტის წიგნი მოვიტყევე, იქაც ბევრი რამ მიენაურა. რა გამოდის?... — არა! ეს სიტყვები ჩვენი დალოცვილი ქართული ენის სლავარდანაა ამოკრეფილი, ოღონდ ამ სლავაროდან ამოკრეფილ ოქრო-სიტყვებს უნიჭო მელექ-

სენი ტრაფარეტის, შტამპის ბორკილებს ადებენ და სიტყვა სიცოცხლეს კარგავს, ბორკილადგებული სიტყვა არ მღერის, ვითარც გალაღვი დამწყვედული ფრთოსანი...

ნამდვილი პოეტები ისინი არიან, რომელთაც შესწევთ უნარი ხალხში გაბნეულ სიტყვებს, ნაცნობ და გავიწყობილ ფრაზას ახალი სიცოცხლე მიანიჭონ, ამღერონ, დაიხს, დაიხს, მათში დამალული საიდუმლო ხმები აღმოაჩინონ და აახშიანონ. ქაოტიურად, შაბლონურად მიმოხვეწილი ათასი და ათათასი სიტყვიდან ისეთი აარჩიონ. ისეთის გამოთ გააწყონ, იმდაგვარად განაღვლონ, რომ სული ჩაედგათ, ამღერდნენ, ახშიანდნენ. ეს აღმოჩენილი ხმები, ის ინტონაცია უნდა იყოს, რომელსაც სხვა ვერ იმღერებს, სხვა ვერ განიმეორებს, მაგრამ ყველას სულს შევარხებს, ყველას ზიზარი გახდნა. თითქოს განათდა ჩემი გონება და ისევ დაუწყვე ჩემს ლექსებს სინჯავ და დავერწმუნდი, რომ ტრაფარეტი, შაბლონი ახრჩობს სიტყვებს... და მე აღმოხსნა: „რითმებო, საცოდავო ჩემო რითმებო, თქვენ იქეთი ბორკილებად ჩემი ფიქრებისა და ოცნების...“

სულ მალე მივხვდი, რომ ჩემი პოეტობა ასაკის ავადმყოფობა იყო; თითქოს განვიკეთე ამ ავადმყოფობისაგან, რადგან ის არ იყო ორგანიული ჩემი სულისათვის, გვიან ვნანობდი კიდევ ამდენს რომ ვწვავლობდი, ვჯანბრობდი ამ ცარიელი, არაფრისმთქმელი, როსროსა რითმების ძებნაში. სამწუხაროდ, გვიან ისევ შეწყა ეს ავადმყოფობა.

თუმცა კი შევატყვევ, რომ ჩემად არც დიდი პოეტი გამოვიდი და არც პროზაიკოსი. ისევ უნივერსიტეტს მივუბრუნდი. უნივერსიტეტი წარმატებით დაგამთავრე და ივანე ჯავახიშვილის დახასიათებით ასპირანტად დამტოვეს საქართველოს ისტორიაში მოსამზადებლად. ხელმძღვანელად სიმონ ჯანაშია გამომიყვას. იმავე წელს ავად გავხდი და ასპირანტურას თავი დავანებე. აი უკვე ორი წელია, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციაში ვმუშაობ. ჩემს მოწოდებას მივგეინი და ყმაყოფილი ვარ პროფესიით. ყოველივე კარგი უნივერსიტეტმა მომცა. მართალი გითხრა, მე, ივანე ჯავახიშვილის მოწაფეს, ახლაც არ შემიძლია უნივერსიტეტის გულცივად ჩავუარო. მელოტიკოსების ქურბს გავცდები თუ არა, გამოჩნდება თუ არა ირემივით კლდესე გამომდგარი თეთრი შენობა, მაშინვე ქუდს მოვიხდი და ქუდმოსხილი ჩავევლი ხოლმე. ყოველთვის ისე ველავ, როგორც მაშინ, როცა პირველად ვისმინდი ივანე ჯავახიშვილის, კორნელი კეკელიძის, სიმონ ჯანაშიას ლექციებს. არა, არ მეგულება საქართველოში სხვა შენობა, რომლითაც ისე ვიყო მოხიბლული. აქ საქმე შენობა როდია, საქმე თვით უნივერსიტეტი. უნივერსიტეტი კი იყო, არის და იქნება ჩვენთვის ეროვნული კადრების ძვირფასი კერა. უნივერსიტეტი საქართველოს ეროვნული სულის განსახიერებაა და ამ სულს უნაწილებს ახალგაზრდობას. უნივერსიტეტი საქართველოს სამეცნიერო კულტურის დედაა. მე მისი დამფუძნებლის ერთი შვიკრდი, არასოდეს დავგიწყებ მის ამავს.

ახლა საქართველოში 18 უმაღლესი სასწავლებელია, მაგრამ უნივერსიტეტი მაინც სხვააა, დაიხს სხვაა..

გუშინ ივანე ჯავახიშვილს გავყვი მცხეთაში, როგორც გაზეთ „კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტი. არმაზის გათხრების ახალი საოცრებები მომეხსენებოდა და მონაწილე გახლდით. არმაზისადმი ინტერესი მე-19 საუკუნის მიწურულში დაიბადა. ჯერ ვიღაც უცხოელი დაინტერესდა, მერე მისი პირველი მცინერული შესწავლა ექვთიმე მთაწარიშვილმა დაიწყო. მაგრამ ახა სად იყო მაშინ ამისათვის საჭირო თანხა და მხარდაჭერა! და აი, ჩვენს დროში, კვლავ დაღვა გათხრების საკითხი. ამ საქმეს ჯერ ახლადშექმნილი აკადემიის ფილიალის „ენიმეის“ ინტიტუტი ჩაუდგა სათავეში ივანე ჯავახიშვილისა და სიმონ ჯანაშიას მეთაურობით, ხლო შემდეგ მცხეთის ექსპედიცია შეიქმნა ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით. ივანეს ხელმძღვანელობით დაწყებული გათხრების შედეგად პირველ სამარხს 22 ოქტომბერს მიაგნეს. სამარხის აღწერა საზეიმო ვითარებაში მოხდა, ოღონდ მიწვეულ მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა წრე ფართო არ იყო. მართლაც საოცრება გადამისალა ჩვენს თვალწინ.

ახადეს სამარხი. ივანე დაიხარა და ხელით მოფერა საგოფავა, ქვისაგან დაიკუთ მუმიას მჭერის მაგვარი შრე ედო. გახსნეს „ქვის კუბი“ და აღწერილობა დაიწყო, როგორ იწვა რაფაზე კაცი თუ ქალი, ფიქალი ქვისა როგორი იყო და მერე ნივთებს ამოლაგვას შეუდგნენ. ფრთხილად ამოიღეს რკინის სატყვარი, ოქროს თვლებით მოჭედილი. მერე პორტრეტისა და ხაზურის ოქროს ბეჭედი სიმონ აიღო ივანე ჯავახიშვილმა და იქვე გადასცა სიმონ ყაუხჩიშვილს. ერთად წაიკითხეს წარწერა: „ასპარუგ ერისთავი“. ივანე ჯავახიშვილმა განმარტა: წინათ ერისთავებს მარჯვენა თითზე ასეთი ბეჭედი ეკეთათ. იგი ერთხა და იმავე დროს სამკაულიც იყო და საქმიანი სამუშაოს ბეჭედიც... ახლა ოქროს სამაჯურებიც ამოიღეს. ამას ოქროს ხუთი მძივი, ასამდე სხვადასხვაგვარი ოქროს საკინძი, ოქროს და ვერცხლის მონეტები, ვერცხლის ჯამი და სხვა წერილობითი ნივთები მოჰყვა. მერე ივანე ჯავახიშვილი სიმონ ჯანაშიას მიუბრუნდა: ახა დააკვირდით ამ ოვალურ თვალთა ბუდებს, შიგ პორტრეტის გამოხატული. ჩანს, ხნიერი მამაკაცი ყოფილა ეს ერისთავი. ცხვირი კუხიანი აქვს, ქართული, გრძელ სახეს წვერულვამი ჰფარავს. და ისევ წაიკითხა ხამაძლად: „ასპარუგ ერისთავი“, მეორე მხარეს „პიტახში“. დაიხს, ეს ბეჭედი უთუოდ ერისთავების დინასტიისაა.

შეზინდებისას მოათავეს სამარხიდან ნივთების ამოღება.

მეორე დღეს მცხეთა-სამთავროს არქეოლოგიური ექსპედიციის თაბაზე კორესპონდენცია გავამზადე. მასალა ბატონი ივანესათვის უნდა გამეცნო. პროფესორმა შინ დამიბარა. ქურბისპირა ერთსართულიანი სახლის კარები გაიღო თუ არა, ბატონი ივანე და წიგნები შემომგებნენ... ვიწრო დერეფანი იატაკიდან ქვემდე წიგნებით იყო ატეხული, წიგნების ეს ხეივანი გავიარეთ და მის საუშუაო კაბინეტში შემიყვანა. აქვე წიგ-

სარგო ზილანი
მე და ჩემი პროფესორი

ნები და წიგნები... წიგნების გორა იდგა იატაკზე, საწერ მაგიდაზე, წიგნები ელაგა ძველ გახუნებულ დამბეზე, სკამებზე, კარადები ხომ საესე იყო და საესე წიგნებით, წიგნები იყო მისი სიმდიდრე, წიგნები და საქართველო...

კორუპციონდენცია დაკვირვებით წაიკითხა, ზოგი რამ შემისწორა, დიდხანს შესაუბრა, შემდეგ „ქართველი ერის ისტორია“ წარწერით მიმოიძვინა და დამოძღვრებული შინ გამოიშვა...

წარწერა უბრალო იყო: ჩემს მოწაფეს — გურამ გუგუშვილს მასწავლებლისაგან, ივანე ჯავახიშვილი, მაგრამ წარწერა კი არა ქართული ანბანის ჩუქურთმანინი წახატია, სადაც ყოველი ბეჭენი-ნიშანი ღრმა ასოციაციების აღმძვრელია, ყოველ შემთხვევაში — ჯ-კმ ნამდვილად ქართულ ჯვარსა ჰგავს...

ამ წიგნს სახეობით ვინახავ, როგორც ძვირფას საგვარეულო რელიკვიას...

...არამაზის გათხრებით უსაღვროდ გახარებულმა ივანე ჯავახიშვილმა საქართველოს მთელი ისტორია ერთხელ კიდევ ხელმეხსახებად გადამიშალა. ზოგი რამ შინ რომ მოვედი აღვადგინე და ჩავიწერე.

აი რა შიობრა შინ: ჩვენ — პატარა ერის — საქართველოს შეიღებინა „ვაშაით“ შივესალმეთ ცარიხის დამხობას, ოქტომბრის რევოლუციას, ამის შემდეგ დრომ გაიარა. ახლა ავერ ვემუშაობთ ჩვენს უნივერსიტეტში და გული ხარობს. მაგრამ ზოგი მაინც უმადურია. ეს უსახო კოსმოპოლიტებს შეეგებათ, ისინი ჩვენ ძველ ხალხს გვეძახიან. ზოგნი, ალბათ ჩამორჩენილებადაც გვევლიან, მე-19 საუკუნიდან მოხულ კაცებდა. მე, მართალი გითხრათ, სწორედ იმით მომაქვს თავი, რომ ბეგრი რამ კარგი, ერთვულება ქვეყნისა და შამულიშვილობა ჩემი თაობის საჯულად იმ ძველი დროიდან შემომჩრა, მაგრამ ზოგს ახლა შამულიშვილობა დასაყინ სიტყვად გაუხდია, სწორედ იმას გვიწოდებენ, რაც მოწონების ღირსია, რაც იმ ცეცხლის ნაპერწკალია, ჩვენს სულში ილიას და აკაკის რომ გაუღვივებიათ.

შართალი გითხრათ, არ მომწონს ის კოსმოპოლიტები, წარაშარა რომ გაიძახიან — სულერთია რევოლუციის, სოციალიზმის ტაძარში ქართულად ილოცებთ, რუსულად თუ ინგლისურადო. არა, სულერთი არ არის! ვინც ისტორიაში ჩახედულია, იმან იცის, რომ ეს არი „არ ახალია, ძველია“. იმ ქვეყნებს, სადაც ქრისტიანობა ვერცდიდებოდა, ამ ახალ საწმუნოების აღსაწვლელად ბერძნული ენა იყო სავალდებულო. მაგრამ ქრისტიანებად მოქცეულმა ერებმა სულ მალე გაიგეს, რომ სულერთი არ იყო, ბერძნულ ენაზე ილოცებდნენ თუ თავიანთ ეროვნულ ენაზე და ქრისტიანობის ენად იმ ქვეყნის ენა გახდა, სადაც იგი ვერცდიდებოდა. ასე მოქცნენ ქართველებიც. ქრისტიანობის გავრცელების პირველ წლებში ქართულ ეკლესიებში წირვა-ლოცვა ბერძნულად სრულდებოდა, მაგრამ მერმე მოიკრიბეს ქართველებმა ეროვნული ენერგია და, სწორედ ქართლში, ბერძნული ენის ნაცვლად, ქართულად დაიწყეს წირვა-ლოცვა. მერე მთელ საქართველოში ქრისტიანული საწმუნოების წესი ქართულ ენაზე სრულდებოდა. სწორედ ამ გზით მო-

ხერხდა წარმართული საწმუნოების დაძლევა. ერთნული ენები უნდა ემსახურებოდეს ხალხს. ქრისტიანული ქემმარტად დიდი იდეალის გავრცელებას, ერთნული ენების მეფებით შეიძლება დანიერგოს ყოველი სიკეთე ერის სულში. ამის დავიწყებთ კოსმოპოლიტიზმი, უგვარტომობა მოსდევს. უგვარტომო ხალხს არასოდეს შეუქმნია ეროვნული კულტურა. სწორედ რევოლუციამ მოგვანიჭა ჩვენ იმის უფლება, რომ ქართულად ვაწარმოთ ერის ცხოვრება, ჩვენ კარგად გვახსოვს, ეს სულ გუშინ იყო, რომ სასამართლოშიც, დაწესებულებაშიც, სკოლებშიც და ყველგან ქართული ენა დღეილი იყო. ჩვენმა წინაპრებმა მთელი საუკუნე შეალიეს იმასთან ბრძოლას, რომ ჩვენს შრავალსაუკუნოვან ძარღვიან ენას პატივისცემა არ მოკლებოდა. შე არც იმ ენათმეცნიერებმა შჯერა, რომ გამოშხტარან და ამტკიცებენ, ერთი ენისად წარმოიშვა მრავალი ენა და შრავალი ენიდან ერთი უნდა შექმნასო. შე წინააღმდეგი როდი ვარ, რომ საერთაშორისო კომუნიკაციისათვის ერთი ენა გამოიყენეთ, მაგრამ ეს ენა ვერ შეველის ეროვნულ ენებს, სოციალიზმის დროს ეროვნული ენები კი არ მოკვდება, აღორძინდება და გაიფურჩქნება. ენა დადამიანის სულს, მის ეროვნულ ხასიათს გამოხატავს და იმის მოსპობას არავინ მოისურვებს, არც ფრანგი და არც ინგლისელი, არც რუსი და არც ქართველი.

ერთიანი ქართული ეროვნული ენის სახელმწიფო ენად საწმუნოების ენად ქვეყაში ქრისტიანობამ დიდი როლი რომ შეასრულა, ეს სადაო არ უნდა იყოს. ისიც უნდა ითქვას, რომ ამ საქმეს სათავეში წსწორედ ქართლში ჩაუდგნენ, რადგან ქართლი იყო მამინ საქართველოს სახელმწიფოებრივი კერაც და გამართიანებელიც. სხვა ვითარებაში კი შეიძლებოდა ქართულის სხვა დიალექტი ქვეულოყო ქრისტიანობის სალოცავ ენად. რაკი ეს ასეა, ის კი არ უნდა გამოტკიცოთ, რომ ქართული ენა სულ მალე მოისპობა და აღარ იქნება საჭირო, არამედ ქართულია ყველა ტომი ვალდებული ვართ ჩვენი ერთიანი ენის, ჩვენი წინაპრების ენის, ჩვენი სალოცავი ენის, ქართული ენის განმტკიცებას, ყოველგვარი სინჯისა და ენგისაგან მის განწმუნდას შევალით ძალა და ენერგია. არა, ღმერთმა გვისხნას უკულოდით აზრისაგან, სადაც საქართველო იქნება, მანამდე ქართული ენაც იცოცხლებს! ესაც ქართული ენის მოსპობა უნდა, იმას საქართველოს დაქვევა განუზრახავს. ახლა კი, რევოლუციისაგან გამოფხიზლებულ ეპოქაში, ამის უფლებას არავინ მისცემს არც შინაურსა და არც გარეშეს. მე ეს მწამს და ამ რწმუნას ვერავინ შემაცვლევინებს!

— ეს ერთიც დაიმახსოვრეთ, — მიობრა გაღიმებული სახით ჩემმა პროფესორმა: საქართველოს არასოდეს ჰქონია ისეთი დრო ქვეყნის განმტკიცებისა და ერთობისა, როგორც ახლა დაუდგა. რევოლუციამ შეკავშირა, გაავრთიანა, ერთი ძალით შეგრა საქართველოს კუთხეები და ტომები. ეკონომიური, პოლიტიკური, კულტურული და ენობრივი ერთიანობისათვის არც არასოდეს ჰქონია ჩვენს ერს ასეთი ნიბა.

დაგი. მარტო უნივერსიტეტი და მისი 17 შვილი-ბილი — ამდენი უმაღლესი სასწავლებელი საქართველოში ვის შეეძლო წარმოედგინა თუნდაც ამ ოცი წლის წინათ... ახლა ეს ჩვენი დაწყებითი და საშუალო სკოლები, ყურნალ-გასუთები და წიგნები, თეატრები და სხვა კულტურული დაწესებულებანი. არა, ეს სრულიად სხვა საქართველოა. ამიტომაც მე გულწრფელად ამ ახალ საქართველოში დავით ადამიანების განახლებულ საქართველოს ვხედავ. იქნებ მეტსაც... ერთობა, ერთობა მამულისა უნაპირობა. რასაკვირველია, მე არც იმ აზრს ვიზიარებ, რომ თითქმის საქართველო არასოდეს ყოფილიყოს ერთიანი ვერა და დიდი დავითისა და თამარის დროსა. არა, საქართველო წარმართობით დაწყებული და გაქრისტიანებით დამთავრებული მუდამ ერთად ცხოვრობდა, მაშინაც კი, როცა ერთი ცენტრალისტური ხელისუფლებაც არ ყავდა ერს. საქართველოს ყოველ კუთხეში საერთო ტრადიცია, ერთი სარწმუნოება, ერთი სალოცავი ენა, ერთი დაუწყებელი კანონი — ფსიქიური წყობა ერის სულისა ქვეყნენობილად აერთიანებდა ამ ცალ-ცალკე ღობეშემოვლებულ სამთავროებს. ჩვენს სუფრას დააკვირდით, ყური დაუდგეთ ჩვენს მუსიკას, სიმღერებსა და ცეკვებს. სადღესასწაულო და სამწუხარო ცერემონიებს და უმაღლ ამოიციხობთ მასში განუყოფელ ერთობას სულისას, ქართველი ერის ერთ საერთო ხასიათს და სულიერ წყობას. დიას, ერთი ლხინითა და ერთი ჭირით ცხოვრობდა ჩვენი ხალხი. ამიტომაც ვერ მოეზრია ცალ-ცალკე დაყოფილ და დამონებულ ამ ერს ვერც ბიზანტიელები და ვერ მონღოლები, ვერც სპარსელები და ვერც თურქები.

ჩვენი ვალა ვამრავლოთ და ვადიდოთ ერთიანი საქართველოს ეს კეთილი ნერვი — დაუმონებელი ეროვნული მეობა, ერთიანი, განუყოფელი საქართველოს მეზობელი ეროვნული ვენტრია. ცეცხლი და მახვილი პარტიკულიარისტებს, კუთხოზობის მიმხრეებს. ამ ძველებური, ფეოდალური მტრობის თუ პრინციპალიური სიძულელის გადამაშობს. აი რას უნდა ებრძოლოს ქართველი კაცი. აი რას არის ყველაზე უფრო უკუსავადები და ამოსაძირკვი.

ყოველივე ამას დიდის მღელვარებით ამბობდა. უცბად ჩემი მეგობარი ასპირანტი მოიკითხა. მე არ დავმაღე და უთხარი: ასპირანტურას თავი დაანება და მოთხრობების წერა დაიწყეთ-მეთქი. ეს სიტყვები დაცემვით ნათქვამი გამოიმივიდა, ბატონი ივანე შეიშმუნა, ჯერ ჩაფიქრდა, მერე განმარტა. არა! მოთხრობების წერა ცუდი რედა. თუ კარგი მწერალი გამოვა მეთქი, დავემატებ, რომ გამოიხსოვრებია ჩემი მღვთმარებობა. არა, აქ მარტო კარგ მწერლობაზე როდია საქმე, რაკი უყვარს ეს საქმე, დაე წეროს, უნდა გამოგიტყდეთ და გითხრათ, რომ კარგმა კი არა, საშუალო და თვით მდარე მწერალმაც შეიძლება უფრო მეტი და საჭირო გააკეთოს ერისათვის, ვიდრე უხეირო მეცნიერმა. მხატვრულ სიტყვას დიდი ძალა აქვს, დიდი ადგილი ერის ცხოვრებაში. მხატვრული სიტყვა ინახავს ენას და წერს ჭეშმარიტ ისტორიას.

დიას, ჩვენი ძველი მემკვიდრეები, უპირველეს ყოვლისა, მწერლები იყვნენ...

სუსტი, შენ ამბობს, რამდენი სურვილია შენს სი და მოთხრობა იბეჭდებოდა ძველად, აბა, მარტო „ივერია“ აიღე, ილიაზე დიდსა და ბრწყინვალე რედაქტორს თქვენ ვერ დამისახლებთ მეორეს, მაგრამ ის დიდებულ ნაწარმოებთან ერთად, მდარესაც ბევრჯერ ბეჭდავდა. მერე რა, ეს მდარე საერთო ატმოსფეროს ქმნის და ენისა და მხატვრული სიტყვის ასპარეზს აფართოებს, ნიადაგს აწყობიერებს, რომ შემდეგ ერთი და ორი დიდი მწერალი ამოვიდეს ამ ნაყოფიერ ნიადაგზე...

აქ შეჩერდა ჩემი პროფესორი.

მე გელის ფიქრები დავიჭირე მისი სიტყვები და არც არასოდეს მიღალატია ამ შეგონებისათვის. და რომ ჩემ შვილებსა, შვილიშვილებსა და შვილთაშვილებს არ დაევიწყდეთ — დიდიერის სახით აღვადგინე ჩემი პროფესორის ეს ნაამბობი.

1940 წლის 18 ნოემბერს დიდი უბედურება დაგვატყდა თავს: გარდაიცვალა დიდი ივანე ჯავახიშვილი. ვაი, რა ბოძი წაიქცა, ვაი, რა კაცი დაკვარეთ!.. სიკვდილმა მაინც ვერ იხეიმა. რაკი სიკვდილი ადამიანს უწერია, მე ისეთ სიკვდილს ვისურვებდი, როგორც ივანე ჯავახიშვილს ერგო წილად. ო, როგორი რაინდული სიკვდილით მიიძინა, სწორედ მაშინ, როდესაც თავისი საყვარელი აუდიტორიის წინაშე მორიგ საჯარო ლექციას კითხულობდა.

ლექციამდე შესასვლელ კარებთან შევეხვი ივანე ჯავახიშვილს. ღიმილით მომეგება, არაფრით ჩემზე წინ დარბაზში არ შევიდა, იძულებული ვაგხვდი, დაუმორჩილებოდი. დარბაზში რომ შევედი და უკან მივიხედე, ნაღველი შეგნიშნე თვალებში. ივანეს წყლიან, გაბრწყინებულ თვალებში რადაც გამოუცნობი ნაღველი ჩამდგაროდა. არ მომეგება, მაგრამ ვერაფერი ვუთხარი, ვერ შევბედე. დარბაზი საგსე იყო ხალხით. ყველა მოწიწებით ეგებებოდა. მთელი დარბაზი ფესზე წამოუდგა სათავყვანებელ მეცნიერს და ლექციაც დაიწყო. ხმადაბლა, სულ ნელა ლაპარაკობდა. დარბაზი გაიანდა. მის ბავთავან იფრქვეოდა ჭეშმარიტება დიდი მეცნიერებისა და ჩვენს თვალწინ ბურუსით მოცული ჩვენი ისტორიის ნათელი სურათი იშლებოდა. აუდიტორია ისე აიტაცა ამ სურათმა, რომ არც კი მოუქცევია ყურადღება, როდესაც პროფესორი ერთგან შეზორძიდა, მაგრამ უმაღლესი განაგებო ლექცია. მერე ის იყო, მოულოდნელად შეჩერდა, თავი დაბლა დასწია... დარბაზში უცნაური სიჩუმე ჩამოვარდა. მომეჩვენა, რომ რამდენიმე წუთმა გაიარა... ივანეს ხმა აღარ ისმოდა. წუთიც... წაბარბაცდა, ხელებით მოეპოტინა ტრინუნას და გულშელოხებული იატაკზე დაეშვა. ერთბაშად მივარდნენ, ხელი მოჰკიდეს, მეორე ოთახში გაიყვანეს, იქ დევანზე წამოაწვიანეს, ჭქიმიო, იყვირეს. ექიმი კი რამდენიმე აღ-

სიარბი ბილანია

მი და ჩემი პროფესორი

მორნდა დარბაზში. ავდექი, შესვლა დავაპირე, მაგრამ ვიღაცამ ხელით მანიშნა, არ შეიძლებაო.

მინც შევედი და კუთხეში ავიტუხე. ექიმს გატონი ივანეს მარცხენა ხელი ეჭირა და მჯავს უსინჯავდა. ვიღაცამ რაღაც წვეთები შემოიტანა, მაგრამ ექიმმა უთხრა, საჭირო აღარ არისო...

დიდი ივანე პირალმა იწვა და ჯერ კიდევ პირზე ღიმილი ივანა, მერე ოდნავ გახვლილი თვალები მილულა და ღიმილიც გაქრა მის მუდამ მომღიპარ სახეზე. ექიმი ადგა და გარეთ გავიდა. დარბაზში ხანგრძლივი ხმა გავარდა: გარდაიცვალა ივანე ჯავახიშვილი... მისი ლექციის მოსასმენად მოსული თავზარდაცემული აუდიტორია დიდხანს არ დამწილა. რამდენიმე მისი მეგობარი მიცვალბულთან ასლო მივიდა. ერთმა მთავანამ დაიჩოქა და სახეზე ეამბოხრა. მერე ვიღაცა მივიდა და აქვითინებული წამოაყენა, ხელი მოჰხვია და გაიყვანა ოთახიდან.

ივანე ჯავახიშვილი სასწრაფო დამხმარის მანქანით საავადმყოფოში გადასაყენეს. მე გაოცებული ისევე კუთხეში ვიდექი, ასე მედია, თითქოს მწივანა ქვეწარმავალმა გაისისინა, ფრთამოტეხილი ფრინველივით დიად დატოვებულ ფანჯარაში გაფარფატდა, მაგრამ ავმა სულმა ვერ იხვიემა ჯავახიშვილის სიკვდილი. ორჯერ დაბადებულს ერთი სიკვდილი რას უსამდა. დიახ, თვალშეუდგამი მეცნიერი, უძველესი ქართული ერის პირუთვნელი მემკვიდრე, ქართული უნივერსიტეტის დამაარსებელი და მოძღვარი სიკვდილმა ფიზიკურად ჩამოაშორა თავის სათაყვანებელ ერს, ხოლო მისი სამაგიდო წიგნები და ქედმოუხრელი ეროვნული ენერჯია მარად იცოცხლებს საქართველოსთან ერთად.

მთელი ღამე არ მიძინია, რედაქციის დავალებით მასალებს ვაგროვებდი... მეორე დღეს ვაზეთ „კომუნისტის“ პირველ გვერდზე დაიბეჭდა ივანე ჯავახიშვილის შვა არწიანმეომოვლებული დიდი ფოტოსურათი. სურათის ქვემოთ — მთავრობის ცნობა: „18 ნოემბერს საღამოს 9 საათსა და 45 წუთზე ქ. თბილისში უეცრად გარდაიცვალა საბჭოთა ისტორიული მეცნიერების გამოჩენილი მოღვაწე, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ივანე ალექსანდრეს ძე ჯავახიშვილი“. სურათის მარცხნივ — საქართველოს სახკომსაბჭოს დადგენილება: შექმნილია აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის დაკრძალვის მომწყობი კომისია. საკმაოდ გრძელი სიაა დამკრძალავი კომისიის წევრებისა. ამავე გვერდზე დაბეჭდილია სამელოვიარო განცხადებები: საქართველოს კ.პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტისაგან, სახკომსაბჭოსაგან, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისაგან, საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატისაგან, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისაგან, საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირისაგან...

დემუბები: სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიისაგან, საბჭოთა კავშირის გამოჩენილი მეცნიერებისა

და სასოგადო მოღვაწეებისაგან. ერთი დემუბე ასე იკითხებოდა: თბილისში, საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის: სსრ კავშირის სახელმწიფო მწერლების კავშირმა და მისმა ქართულმა კომისიამ ღრმად მიუხარებთ შეიტყვეს უდიდესი საბჭოთა ისტორიკოსის აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის გარდაცვალება. მომე რესპუბლიკების იმ მწერალთა გულში, რომლებმაც მოისმინეს მისი ბრწყინვალე მოხსენება რუსთაველის საიუბილეო პლენუმზე, სამუდამოდ დატრეზა მადლიერი სსოვნა მასზე“. ა. ფადევეი, პ. პავლენკო, ვ. კოლცევი.

„კომუნისტის“, „სარია ვოსტოკის“, „ლიტერატურული გაზეთის“, „ახალგაზრდა კომუნისტის“ ფურცლებზე სრული 4 დღე ყოველ ნომერში ორი და სამი გვერდი ეძღვნებოდა აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის სსოვნას: რა თბილი, გულმხურვალე და მიუხარე, ამავე დროს მისი ღვაწლის მოგონებით სიამაყის აღმძვრელი იყო ეს წერილები:

„...თვით მისი სახელი ინტენსური აზროვნების სიმბოლოა, დაუცხრომელი შემოქმედებითი მუშაობის ნიმუში“...

„როგორ უნდა გვიყვარდეს ჩვენი მამული, როგორ უნდა ვვირავდეთ მას ჩვენ ნიჭს, უნარს და თვით სიცოცხლესაც კი — აი რას გვასწავლის ივანე ჯავახიშვილის დაუცხრომელი ცხოვრება და შემოქმედება“.

„ივანე ჯავახიშვილი ქართული კულტურის დიდი მკვლევარია, პატარა ხალხის დიდი კულტურის დიდი მკვლევარი“...

„ტბილი იყო დიდბუნებოვანი ადამიანი, საჯარო მოხსენების ხალხით კითხვის დროს ის გარდაიცვალა უამრავ მოწაფეთა ხელში“...

„საქართველოს ისტორიის შესწავლა მეცნიერულ ნიადაგზე ივანე ჯავახიშვილმა დააყენა“...

„მისი სახელი უკვდავია ყველა ქართველის სსოვნაში, როგორც უკვდავია თვით საქართველო“...

„ეროვნული უნივერსიტეტის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფუძემდებელი და საქართველოს პირუთვნელი მემკვიდრე“...

„თუ მართალია ის აზრი, რომ სახეთა გარეგნობა გამოსახავს ადამიანის შინაგან ბუნებას, მაშინ ივანე ჯავახიშვილი სრულ დისაბუთებას წარმოადგენს ამ მოვლენისა. მის მომხილავ სახეს ტბილი ენა და რკინის ლოცვა უფრო ამშვენებს“.

„მეცნიერს შემშარბიტება სამსახურად მიანიია. მაგრამ ის მამულის სამსახურს გულისხმობდა, უპირველეს ყოვლისა, პრინციპულ, უკომპრომისო ერუდიციით, საინტერესო ანალიზითა და ნიჭით, საბუთებით ასხნილ ყოველ ფაქტში“.

„ეს ნაწი, კაფანდარა კაცი, გოლიათური ენერჯიისა და ტალანტის მქონე იყო“...

იყო კამათი სად დაესაფლავებინათ ივანე ჯავახიშვილი: მისი სახელოვანი წინაპრების ილიას და აკაკის გვერდით — მთაწმნდაზე — თუ თავისივე დაარსებული უნივერსიტეტის ეზოში. და გადაწყდა: ივანე ჯავახიშვილი უნივერსიტეტის ეზოში დაეკრძალათ.

ხუთშაბათს, 21 ნოემბერს, დილის 10 საათზე ივა-

ნე ჯავახიშვილის ცხედარი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში გადმოსვენეს, დილიდანვე მოდიოდა ხალხი. მოდიოდნენ: მეცნიერები, სტუდენტები, მწერლები, მხატვრები, მუშები, დღეუგაციები მოძმე რესპუბლიკებიდან, რაიონებიდან. ზღვა ხალხი გარს უკლიდა სააქტო დარბაზის შუაგულში მაღალ პოსტამენტზე დასვენებულ, ყვავილების თაიგულში ჩაფლულ ივანე ჯავახიშვილის ნეშტს, ტირიდა, ქვითინებდა მთელი ერი. ივანე ჯავახიშვილის ცხედარი დღის 5 საათზე გამოასვენეს და უნივერსიტეტის კიბეების წინ დიდ მაგიდასუკ ასვენეს.

დაკრძალვას უამრავი ხალხი დაესწრო. უნივერსიტეტის ეზო ვერ იტევდა ჯავახიშვილის პატივსაცემად მოსულ ზღვა ხალხს.

იმას, ვინც სამი დღის წინათ მცხეთა-არმაზის გათხრილი საფლავებიდან ამოტანილ ქვებსა და სამაჯურებზე წარწერილი ცნობები ამოიკითხა, გამოიფრა და ისტორიის გაცოცხლებულ ფურცლებად აქცია, ვაი, რომ — ახლა იმას უნივერსიტეტის ეზოში გათხრილი საფლავი ელოდებოდა...

სამლოღოვარო მიტინგი...

სიტყვები, სიტყვები მთავრობის წევრების, მისი თანამებრძოლების, უნივერსიტეტის პირველი დამაარსებლის, სიტყვები მისი მოწაფეებისა...

მერე უნივერსიტეტის ეზოში, სამლოღოვარო ჰიმნის ხმებში, ფრთხილად ჩაუშვეს საფლავში ამ უნივერსიტეტის დამაარსებელი, მეთაური, მოძღვარი და მამა — ივანე ჯავახიშვილი...

მინაწერი: 1953 წლის 10 აპრილს ივანე ჯავახიშვილის ძეგლის გახსნას უამრავი ხალხი დაესწრო. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში კვარცხლბეკზე აღმართულ მარმარილოს საგარძელში ზის შუბლმაღალი და ღრმად ჩაფიჭრებული ივანე ჯავახიშვილი. მის გვერდით გუმბაგად ჩამდგარა თავდადებული თანამებრძოლი: ბეტერ მელიქიშვილი, უნივერსიტეტის პირველი რექტორი, თითქოს ამ დიდებულ მამულიშვილებს ჩააბარესო თბილისის უნივერსიტეტის, ქართული ეროვნული კულტურის ამ დიდებულ ტაძრის გასადები. ქვაში გაცხადებული ეს ორი ძმადნაფიცო ყოველ ცისმარდ დღილი ეგებებიან, კარს უღებენ, ზგას უღოცავენ უნივერსიტეტში შემოსულ მათ კოლეგებსა თუ ახალბედა სტუდენტებს...

იმ შემოდგომას მე და მარკა დავექორწინდით. დაიწყო სიყვარულით გამთბარი, მაგრამ უბინაობით გაწამებული მეტად ძნელი ცხოვრება ახალბედა ოჯახისა. ათი თვე გავიდა და ამას ახალი უმედეურება დაემატა: დიდი სამამულო ომი დაიწყო. მე მეორე დღესვე გამიწვიეს და ჩამრიცხეს სამხედრო კორესპონდენტად. და არა მარტო მე, მთელი საქართველო ჩაება ომის ქარცეცხლში.

საქართველოს სამრეკლომ ძველებურად ჩამორეკა: ქუდზე კაცი და აღსდგა, აწვავდა მთელი ჩვენი ქვეყანა მამულის დასაცავად.

ომის ცეცხლი ისევ კავკასიის მთებში გიზიზებდა,

მე რომ დავიჭერი, მერე მარჯვენა მომჭრეს საველე ჰოსპიტალში. ოთხად ოთხი მაისი გადავიხადე რაც უნივერსიტეტი ვავათავე და მამულის ~~სამაგისტრო~~ ჩავდენი. ორი დღის რედაქციოში ვიმუშავე, ხოლო 1941-იდან იარაღითაც ვიცავდი მამულს, მაგრამ, ვაი დედასა მტრისასა, ადრე გამომიყვანეს მწყობრიდან...

გონს ქალაქის ჰოსპიტალში მოვედი. თვალი გავახილე თუ არა, პირველმა ჩემს გვერდით ლოგინზე წამომადარმა, ჯარისკაცის ფარავა წამოხურულმა, უწამწამო, წითურმა მამაკაცმა მკითხა, სად დავტრეს, ძმობილო. ბალყარეთის მთების ძირას — ძლივს ამოვღანდლე სიტყვები. აქამდის დადუმებული ოთახი ახმაურდა და გამოკითხვა დამიწყეს, მაგრამ შემატყვეს, ლაპარაკი რომ მიჭირდა და გაჩემდნენ. ეს უწამწამო წითური მგზობელიც დადუმდა და ლოგინზე წამოწვა.

მეც პირაღმა ვიწვეი და ვეჭირბოდი, მაგრამ ახავინ ვაცდიდა ფიქრს, ვიდაცები შემოჰყავდათ, ერის ტრილობას უხვევდნენ და კენესოდა, მეორე და მესამე ისევ საოპერაცოდ გაჰყავდათ. ჩემს მარცხნივ ორივე ფეხმოჭლი, სიცხისაგან ევანთეული ბოდავდა, ბოროვავდა, ექთანს გვერდით ვადა და შუბლზე დადებულ ცივ ტილოს ხშირ-ხშირად უცვლიდა. ერთივე განუდებებით ასველებდა. მოკეთებული ხეობრები ვერ უძლებდნენ მათ კენესას და ოთახიდან გადიოდნენ.

ერთ კვირაში მეც მოვიტევი სული. ახლა ბალატაში ექვსნი ვიწვეით. გამოვჯობინდი თუ არა, კითხვები დამაყარეს. როცა გაიგეს ვინც ვიყავი, სადა და როგორ დამტრეს, ცოტა ხნით მომეშვენენ, მაგრამ ახლა თვითონ მიყვებოდნენ თავიანთ თავდადასავალს, როცა მეგონა ამით ყველაფერი დამთავრდა-მათქი, სწორედ მაშინ იმ წითურმა ხეობარმა სვედანარევი დომილით თქვა.

— მე ვიკითხო, თორემ თქვენ რა გიმავთ, შვილებიც გყოლიათ და ცოლებიც. დიდი იმედია ცლილი და შვილი, იმედი და სვალინდელი დღის რწმენა. ახა ახლა ამ ცალხელასა და ცალფეხს ვინ წამომყვება, ან ვის რაში გამოჟავდები.

ეს თქვა და მძიმედ ამოიკენესა. სწორედ ავ დროს ოთახში მეც მივიდე დატრილი შემოიყვანეს, ჯარისკაცის ორივე ფეხი მუხლებში ჰქონდა მოკვეთილი. როცა დააწვიენეს, საშინელი კენესა აღმოხდა. ყველაფერი რომ მიწყნარდა, უწამწამო ხეობარი ისევ ალაპარაკდა.

— აი ის კაცი, ახლა რომ შემოიყვანეს, ისიც ჩემზე ბედნიერია: თურმე ექვსი მოსწრებული შვილის მამაა.

ამას ახლა ჩემს მარჯვნივ წამოწოლილი პირყვითელა ხეობარი გამოეხმაურა:

— კი, შვილები დიდი ბედნიერებაა, დიდი სიმდიდრე. მე ცხრა შვილის მამა ვარ, — ამბობდა აზურბაიჯანული აქცენტით ეს ხეობარი კაცი. გაჩუმდა, მაგრამ როცა ამასაც არავინ გამოეხმაურა, თვით

სპარბი შილაია

მე და ჩემი ბროფისორი

დაუმატა — დიდი სიმდიდრეა, მაგრამ დიდი სადარ-
დებელიც. ჩემს ცხრა შვილში ყველაზე უფროსი 12
წლისაა, აბა ვინ მოუვლის ახლა მათ, ჩემი ცოლიც
ავადა. ამ უბედურ ომს ვეგებ ვადავუჩრქოთ, მაგრამ
მერე იკითხე შენ...

— არა, ჩემო ალი, ომი, ომია, ომი უმსხვერპლოდ
არც არასოდეს მოუვია სახელმწიფოს, მაგრამ მან
იკითხოს, ვინც მოკვდა, თორემ ცოცხალი ადამიანის
შვილს, დიდსაც და პატარასაც, ადვილად ვშველებ, ა
ადამიანი თავის თავს უკვდება, ვინც რჩება, იმას
ყველას ვშველებ.

ამ საუბარში ვიყავით, როცა პალატაში ექიმი შე-
მოვიდა. ყველას მოგვესალმა და პირდაპირ იმ ფე-
ხებმოკვეთილ ჯარისკაცთან მივიდა. პულსი გაუსინ-
ჯა, დაჭრილ ჯარისკაცს არაფერი გაუგია, ისევე ახო-
დებდა. მერე ექიმმა სიტყვები გაასინჯია ექთანს, ამა-
სობაში ჩვენ მოგვიბრუნდა და გვითხრა:

— ასეთი მაგარი კაცი ჯერ არ შემეგვდრია, მთე-
ლი ორი საათი მოვუნდით მის ოპერაციას და ერთი
არ დაუკუნებია, ხმა არ გაუღია. ეს სიტყვები არ მომ-
წონს, თორემ უნდა გადაიტანოს ჩემის რწმენით...

სიცხიანი ჯარისკაცი მეორე დღით უთენია გარდა-
იცვალა. ადრე ვაღვიძებული და სიკვდილით დაში-
ნებული ჩვენი პალატა ახმარდა. ჩემი მეზობელი
სამილად აღრიალდა.

— რა, შეგეშინდა?

— არა, კი არ შეგეშინდა, შურისძიების გრძნობა
მხსრჩობს, მაგრამ აბა რით, როგორ?.. მერე ისევე
სახედამწვარმა ხეობარმა წამოიწყით:

— ომი, ომია, აქ თქვა ვიღაცამ გუმინ, ომი! კმ,
რომელი ომი, ამისთანა ომი არ ახსოვს კაცობრიო-
ბას. მე წინა ომშიც ვიყავი, მაგრამ არაფერი ამის
მსგავსი. ეს მეორედ მოსვლას ჰგავს. ჩვენი ბიჭები
მინც მაგრად რომ არიან და განარჯებინა ჯერათ
აი ეს მიკვირს მე, არა! ვინ აძლევს ამ ფეხმოჭრილ
და სახედამწვარ მეომრებს ამ იმედს. უკან ვინმე
და მინც თვალი ბერლინზე გვიჭირავს. მოიცებს,
სწორედ მოიცებს ყოველივე მე. ვინ აძლევს ამ რწმე-
ნას, ამ უსაშველო ძალას, ვისი ან რისი იმედი აქვთ!

— მე ვერ მოვითმინე და ჩავერეი.

— ვინ აძლევთ ძალას სიმამაცისა და გმირობისა
ჩვენს ხალხსო, კითხულობ შენ, ჩემო სევასტი? კა-
ნონიერი კითხვაა. მამაცობა და თავგანწირვა სიყ-
ვარულით იხადება, მამულის, ოჯახის, ცოლ-შვილის
სიყვარულით.

— სიყვარულით თუ შიშით, — მიბასუსა სევას-
ტიმ.

— აა, რომელ შიშზე ამბობ შენ, ჩემო სევასტი, —
ახლა ალი ჩაერია საუბარში.

— იმის შიში, რომ ოჯახს აგვიწიოკებენ, ცოლ-
შვილს ვარტყავენ, შენ ხეზე ჩამოგვიდებენ ნემსები
ან იგივე შენი მთავრობა თუ დალატი შეგატყვევს,
არა? შიში, შიში იმზირება ჩვენს სულსა და გულ-
ში...

— დიას, ომში ადამიანებს ამოძრავებთ: სიყვა-
რული, სიძულვილი და შიში. იგი მოიგებს ომს, ვი-
საც სიყვარულის, შიშის და სიძულვილის ნიჭი აქვს.

სიყვარული, სიძულვილი და შიში, მესამედ გავიმე-
ორე და პალატაც დადუმდა...

სწორედ ამ დროს რადიოში დიქტორმა მიმას-
მა. ლევიტანი ი. ბ. სტალინის ბრძანებას კითხუ-
ლობდა. იმდრო, რწმენით აივსო ომის ხეიბართა
ოთახი. არა! მინც რა ძალი და ჯაღო ჰქონდა მთა-
ვარსარდლის სიტყვებს?...

ცალხედა დავბრუნდი შინ. მშუხარებამ ისევე დამ-
რია ხელი, შემლილს დავემგანე, მაგრამ თანდათან
მოვერეი სასოწარკვეთილებას და ახლა ჩემს თავს
თვითონ ვაზნებებდი. ხომ შეიძლებოდა სულ მოვეკა-
ლით, ჩემს გვერდით სამი ჩემზე უფრო ვაქცავი და-
იღუპა, მეც ხომ შეიძლებოდა იგივე ბედი მშვეოდა?
პოდა, ცოცხალი ვადავრი. რაკი გადავჩირი, ახლა ვი-
ში და ოხვრა კი არ მმართებს, არამედ ნებისყოფი
დაძაბვა და ცხოვრების ფერხულში ჩაბმა. ოჯახისა
და სამშობლოს ვალი ამას მოითხოვს ჩემგან. სანამ
რედაქციის კარებს მივაღებოდი, მანამ მარცხენა
ხელით ვცადე შეეწრა, მთელი კვირა ვივარჯიშე, მაგ-
რამ ვერ შეეწრევი. მამის უარი ვთქვი ჩემს მოწოდე-
ბაზე — სოციალდემოკრატიაზე და გადავწყვიტე და-
ვბრუნებოდი უნივერსიტეტისაგან მინიჭებულ პრო-
ფესიას — პედაგოგობას. იმავე დღეს განათლების
კომისარიატში გამოცხადდით და მასწავლებლობა
ვითხოვე. მეორე დღესვე დანიშნის ბრძანება მივი-
ღე.

მე ისევე ჩემი სოფელი მეძახდა, ჩემი ეზო-კა-
რის მიწა, გული იქითკენ მიმიწევდა. ბაბუას მოგო-
ნებაც და სოფლის სიკეთის გახსენებაც იქით მიწვიოდ-
ნენ, მამა-ბაბისა და სოფლის ვალი მქონდა წამო-
ღებული, ვალს გადახდა უნდოდა. არა, ჰქვეყნის ვა-
ლის გადახდა ქალაქად შეიძლებოდა (და აკი ვი-
სილიდ რამდენადაც შემეძლო) ოღონდ ჩემისთანად
ქალაქში ბლომად იყო, სოფელს კი უფრო ღირსდებო-
და ჩემი თავი. ქალაქის კომფორტიც მეძალეობდა,
მაგრამ სოფელი თუ გიყვარს მისი ტალახის ზეღვაც
არ გაგიძნელებდა. მეტაც ვეტყვით: ქალაქების ას-
ფალტმოსხმულ მოძრაობებზეც ადვილად გაცვლი
შენს სოფლის მიწას, თუ მიწის სიკეთის რომანტიკა
შენს სულში გამჯდარა. ჰო და მე იმ წლის
ოქტომბერში ბიჭითა და ცოლით სოფელს მივაშურე.
სინათლე ჩამქრალი, შენიღებული მატარებელი ღამის
უკუნეთს მთელი სისწრაფით მიარღვევდა. ჯარისკაცი
ბით გატენილ ჩვენს ვაგონში ფარჯიანი, უწვერულ-
ვამო ბიჭი ჩუმის ხმით ამხიანებულ ფანდურს დამლე-
როდა:

ლიმილის ბიჭი ვიყავი, ბეჭედდ არწივი მეხატა,
ცხრაამეტი წლისა შევსარულდი, ოცი არ
გაღამებადა...

არ დაიდარდო, დედაო!

მივდიოდი მატარებლით და გზად მომამხოდნენ. ქარ-
თლის, იმერეთის, სამეგრელოს მთა-გორაკებზე გა-
შენებული ციხე-კოშკები, ნადარბაზევი, ნამონასტ-
რევი, ნაქალაქევი, ეს წინაპართა ნამამაყარი: დი-
ცავით მამული, მტერს არ მისცეთ საჯიჯნელადო...
უნდა გამაგოდეს საქართველო... უნდა გამარჯვდეს

საქართველო, რომელიც ამ უსამველო ომში მრავალ ვაჟებსა სწირავს მამულს.

— ერთი დაღუპულის ნაცვლად ათი და თორმეტი, ათი და თორმეტი. მომძისხდა ეს სხმები და წინაპართა არჩილი ვალად მდებდა არაფერი დამეშურებია და მივედი თუ არა სოფელში, დავიწყეთ თუ არა მასწავლებლობა, ჯადაგად ვიქცე: უნდა გავმრავლდეთ, მამულიშვილებო, ომში წასული მეომრის ნაცვლად ათი და თორმეტი, ათი და თორმეტი. ცალხელა კაცს ზოგი ვაკვირვებით შემომქცეროდა, ზოგი კი ამბობდა, გოგიაო, რა დროს გამრავლებია, ომში გარეგანი ჩვენი შვილების ოჯახი ლამის ამოწყდესო, ბავშვები და ბებრები შევრჩით სოფელს, უსამველო ომი გვაქვსო.

— მერე რა, რომ ომი გვაქვს? სწორედ იმიტომ, რომ არ ამოწყდეთ, უნდა გავმრავლდეთ. შინ დარჩენილები ფრონტს უნდა დავეხმარეთ შრომითაც, გარჯითაც და იმითაც, რომ მამულს ხვალინდელი მომვლელი და პატრონი დაეუზარდოთ. უნდა გავმრავლდეთ, ვითარცა აბრამ და სარა, ვითარცა იაკობ და რახილი... თუ არ გავმრავლდით, ამოწყდებით. ზოგი ძალით ვიბერწიანებთ თავსა... უშვილობა ან მცირე შვილიანობა კულტგანათლება ჰგონიათ სოფლის ქალებსა. არა, ძირში უნდა ამოვევითთ ეს აზრი, ერის დამრუპველი. ამას ვქადაგებდი კრებებზე და სოფლის ორღობში, ჩემი მეზობლები ესაუბრნად... სოფელში საშუალო სკოლის დირექტორად დამნიშნეს. ჩემი ცოლი მარიკა კი ქართული ენის მასწავლებლად. ომის პირობაზე კარგად მოვეწყვეთ. ჩვენი საშუალო სკოლის პირველი გამოსვება სანინურში იყო მთელს რესპუბლიკაში. მერე ომიც დამთავრდა და სოფელს ცოტა როდელ დაუბრუნდა ომგადახდელი ვაჟვაცო... მათში ხებირებიც, ცალხელა და ცალფეხა, ცალთვალა და ორივე ფეხმოკვეთილიც. მერე ცხოვრებაც თავის კალაპოტში ჩადგა. ომში გამარჯვებული ჩვენი ქვეყანა ისევ ჯაფით, ისევ შრომით იშუშება ომისაგან მიყენებულ უსამველო ტრილობას, ქალაქის კომფორტსაც ვიყავი მიჩვეული, მაგრამ სოფლად არ გამჭირვებია იმიტომ, რომ მე სოფლის მაღლი და სიკეთე ძვალ-რბილი მქონდა გამჯდარი. და იცოდეთ, სოფელში ყოფნა არ გავიგონრდებოთ, თუ გიყვართ გულით. თუბრასაც გამართათ და სხვა გასართობებსაც ადვილად გამოიგონებთ, თუ გიყვარს გულით...

აბანო? — „საკონი და აბანო, ჯადოსნური ელექტრონი და თეორი საეველო, კბილის საყმენდი ფხენილი და ჯაგრისი, წიგნი და რადიო, ხრონომეტრი და რენტგენიც“ თუ მოისურვებთ რამდენიც გენებოთ. მეტი? მეტი კიდევ რა გინდათ? ქებას ნახვა ჯობია. არა, გადაჭარბებით არ ვამბობ ამას...

შეუმჩნევლად გაიარა თვრამეტმა წელმა. ცხრა შვილი გვეყოლა. ექვსი ვაჟი და სამი გოგო. ვმუშაობდით და ვსწავლობდით, ვსრდობდით პატარებს. მერე მოგვერია ბავშვები და მარიკამ თავი ვიანება მასწავლებლობას. მეშიდევ წელს უკვე მოგვეწვია პირველი შვილი, მერე მეორე... მერე უფრო გვიან სამი უფროსი გვერდით ამფივიდგა და გვეხმარებოდა შინ

და ვართ. მიმიე წლები გადაგვბდა, მაგრამ მინც მხნედ ვიყავით. საარაკოდ უჩვეულო იყო ჩვენი ცხოვრების ყოველი დღე. საღამოს რომ რჩებოდა ვას მოვიყირდით, ერთი ოჯახის თერთმეტი წევრი, არც დასაჯდომი გვეყოფნიდა და არც დასაწოლი. იყო უშველებელი გინასი, ბავშვების მიწვე-მოწვევა, ტირილი და სიცილი, სიმღერა და ქოქოქოთი ერთმანეთში არეული. გვიან ვახშობისას ძლივს ამოვი-სუნთქავდით. შუაღამე გადასული იყო, ჩვენ კი საკლასო რვეულებს ვასწორებდით. უთენია ისევ ვღმებოდით და ვმუშაობდით. ჩემი ბავშვებიც მზეს დაასწორებდნენ და ჭრიამულით აივებოდა ეწო-კარი. ძნელი დღეებიც გვადგა, ღარიბად ვცხოვრობდით და მაინც ბედნიერად მოგვექონდა თავი. ვისაც არ უჭრებია, მის არც შეუძლია წარმოიდგინოს ამ გაჭირვებაში რაოდენი სისხარული იყო. ეს სისხარული ბავშვებს მოქონდათ. მე კი ყველა მეზობელს, ასლობელს და ნაცვლს ვუზიარებდი ჩემს სისხარულს. ზოგს აჯეროდა, ზოგი კი ზურგს უკან დამყინდა, ზოგიც ფანატისკოსს მეხატდა. ამასობაში ზოგი აწყვა კიდევ. ჩემი სკოლის ახალგაზრდა მასწავლებლებმა, რომელთაც ჩემსავით უჭირდათ და ულხინდათ, მომბაძეს, ერთს ოთხი ჰყავდა, მეორეს ექვსი. მე მაინც ცხრას გავიძახოდი. იმ წელს მრავალშვილიანობისათვის აწოდოდა და ფულადი დახმარებაც შემოიღეს. ამან უფრო გაათამაშა ზოგ-ზოგი. არა, ეს დიდებუ-ლი რამ იყო.

მე სკოლაში ისტორიას ვასწავლიდი და ყველაზე უფრო მესმოდა ფასი და მნიშვნელობა საქართველოსათვის მრავალშვილიანობისა. და მართლაც, ერთი მილიონი ქართველი ხომ იქნებოდა ორმილიონ ნახევრიან საქართველოში, იმ თვრამეტი წლის მანძილზე მე რომ ცხრა შვილი შემეძინა, რომელთაც შევძლოთ ემრავლებიანთ შთამომავლობა. და თუ ისინი ჩემს მაგალითს გაჰყვებოდნენ, თვრამეტი წლის ბოლოს საქართველო ცხრა მილიონი იქნებოდა. ესე იგი იმდენი, რამდენიც თამარისა და რუსთაველის დროს. ჩემი მემკვიდრეების სისხლად და ცრემლით ნაწერი ფურცლები მივფრცლავს არქივებში და მუზეუმებში. დღეები ვმჯდარვარ, გადამიწერია, შემისწავლია და ახლაც სასოებით ვინახავ ამ რვეულებს. მე ვისწავლე და ვიწამე, რომ ერის ისტორიის უფუძე ხალხია. ხალხს უშენებია ეს ჩვენი ციხე-კოშკები, ეს ჩვენი დიდებული ტაძრები და მონასტრები. ისიც ვიცი, რომ უფრო მეტი მაშინ უშენებია და უკეთებია ჩემს ხალხს, როდესაც ბრძენი წინამძღოლები მეთაურობდნენ. ერის ისტორიის შენობის გვეგა დიდ პიროვნებებს შეუქმნიათ ვითარცა სწორთუბოვარ არქიტექტორები. და ამ გვირ წინამძღოლა მეთაურობით დაუცავს ჩემს ხალხს მათივე ხელით აგებული ციხე-სიმაგრენი და მონასტრები. ერის დიდიოტოგები დიდი ადამიანები ყოფილან მუდამ. თუ ხალხი ბლომადაა, იქ მეთაურიც გამოჩნდება. უთუოდ, ნიჭიერი მეთაური და მრავალრცხოვანი ხალხი უფრო ადვი-

სარბი ბილია
მი და ჩიმი პროფსისორი

ლად მოავგარებენ ერის სატიკივარს. ჰოდა, ხალხი გეჭირდება, ხალხი, ხალხი ჭიანჭველებზე მეტი, ვაითუ ვინმე უმადური ნაცარქექობად ჩამითვლის იმის გამმედობას, რომ ისტორიის ამ ვეებერთელა საკითხს ასე იოლად ვაბურთავებ. არა, მე დიდი წვალების შემდეგ მივაგენი იმ უბრალო აზრს, რომ ყველას, დიდსა თუ პატარას, შეუძლია აკეთოს ისტორიული საქმე, რადგან ერის ისტორიას მუდამ დიდები და პატარები ქმნიან — მეთაურები და ხალხი და მეც ხომ ერთი წახნაგი ვარ, ერთი ხრახნილი იმ დიდი მანქანისა, რომელსაც საქართველო ჰქვია. დიას, ამ თითო ხრახნილს, თითო წახნაგს მოგვყავს მოძრაობაში ცხოვრების დიდი მანქანა და რაც უფრო მეტნი ვიქნებით, მით უფრო ადვილად დავაბრუნებთ ისტორიის ბორბალს ჩვენი ერის სასარგებლოდ.

მე არ ვთაკილობდი სოფლის მასწავლებლობას. უფრო მეტი, როდესაც გაკეთილს მოვარჩებოდი, ჩემი მესობელი გლეხებივით ვხანავდი, ვთვავადი, ვყვინდი და ვსხლავდი ცალხელა კაცი. მიწას დაეებრუნდი, მიწას შესრდილი და შევიგენე, რომ ჩემი მასწავლებლობით და შრომით, მეტი სარგებლობას მოეუტანდი ჩემს ოჯახს, ჩემს მამულს, ჩემს ერს, ვიდრე რიგითი კორესპონდენტი ან უკუდო ლექსების ავტორი. ვამოყფენ თავს და გამოვინილი პროფესიონალიზმით ანავიანებენტი ატმოსფეროს. მე ჩემი ცხრა შვილით ათასჯერ და ათიათასჯერ უფრო დაგვირდები ჩემს სამშობლოს, ვიდრე ჩემი სუსტი ლექსებით. მამულის დაცვაში ჩემთვის მარჯვენა რომ არ მოეჭრათ, ალბათ ამ გადაწყვეტილებამდე მაინც მივიდოდი, რადგან მუდამ მაწუხებდა რაღაც და ჩემს ადგილს ვერ ვპოულობდი. მოვინახე ჩემი ადგილი და დავმშვიდდი კიდევ. კარგი პოეტი ან კარგი მასწავლებელი. მე-3 საშუალო გზაზე ყოფნა მე არ მწამდა.

მივხვდი, რომ ნამდვილად მოვინახე ჩემი ადგილი. ცხრა შვილიდან ალბათ პოეტად გამოვა, მასწავლებელიც და მიწის მუშაც. მაინც ჩემს შვილებს ანდერძად ვუტოვებ, არ მოსწყდნენ მიწას. ქართველ კაცს ყველაზე უფრო ლამაზი და მდიდარი მიწა აქვს. და თუ ამ ბარს, ამ მთას, ამ გორაკებს პატრონად არ გამოვადგეით, სხვები დაეპატრონებიან, რადგან ბუნებაში ცარიელი ადგილი არასოდეს რჩება და რომ ეს არ მოხდეს, უნდა გავმრავლდეთ. იმდენი მაინც უნდა ვიყოთ, რომ ჩვენ დალოცვილ მიწას და მამულს ვუპატრონოთ. ამიტომ ვთქვამთ მართალი, თვალებიდან მოვიშორეთ ვარდისფერი სათვალეები, ნუ ვიქნებით მემჩნაბები, პროვინციალური არტისტები, ნურავის ჰგონია, რომ მრავალშვილიანობა საძირისი იყოს. არა, ეს ხვალინდელი საქართველოა, ხვალინ-

დელი დღე ჩვენი. ამიტომ დამილოცნია მე რიგითი ქართველი, რომელიც ცხოვრების მიზნად ისახავს ისეთ ამოცანას, რომლის განხორციელებას უნარი შეუძლებს. არ იპრანჭება, არ იგრისხება, ცრუ მეცნიერის ნიღაბს არ იფარებს და იცის, რომ ცხოვრება რთულია, მაგრამ მაინც ლამაზი და მშვენიერი და შენ შენი წილი უნდა მიუმატო ამ სილამაზეს — ფიზიკური, გასაგნებული, ხელშეხსახები და ნამდვილი, რომლის დათვლაც შევეძლოს, დანახვაც და ხელშეხებაც.

ამას მე ვამბობ, ივანე ჯავახიშვილის ნამოწავარი, ნაკორესპონდენტარი, ნაომარი, ახლა სოფლის მასწავლებელი. ეს მე ვარ, სამშობლოსათვის ცალ-ხელ მოკვეთილი ცხრა შვილის მამა. მე გეძახით თქვენ, ჩემო მესობლებო და მეგობრებო, შორეულებო და ახლობლებო, მთლად საქართველოს. მე გეძახით თქვენ, სიცოცხლითა და სილამაზით სავეე ახალგაზრდობავ. ჩემო ჭაბუკებო და ქალიშვილებო, არაფერი არ დამშურთ საქართველოსათვის. დე, დედაშვილობის კალთამ ცხრა შვილი დაგიბრტყოთ, ცხრა კერა აგინოთ, ცხრა წყაროს ეწიაროთ.

მე ბევრი ვეწამე და ვეწავლე, ვიდრე ცხრა შვილს გამოვზრდიდი, მაგრამ ჩემზე ბედნიერი ახლა არავინაა ამ ქვეყანაზე. მე მოვინახე ჩემი ადგილი ჩემს ოჯახში და ჩემს მამულში. მე და ჩემს ცოლს სიამაყით შევევიდლიათ ვთქვათ, რომ ჩვენი წილი შევიტანეთ ჩვენს მამულში. ყველაზე დიდი წველილი მამულიშვილობისა. მამულიშვილობა, სწორედ რომ დედაშვილობის მოვალეობის მოხდაა.

წინ, მხოლოდ წინ უნდა ვიყურებოდეთ. იმ ერის საქმე ხელიდან წასულა, რომელიც წარსულის მოგონებით ცოცხლობს, წინაპართა ნაამგავართი მოაქვს თავი.

არა, ჩვენი ერის წარსული გმირულია, ჩვენი წინაპართა ნამამაციარი ყოველ დიდ ერს დაამშვენიებდა, მაგრამ ჩვენ იმ დიდ საქმეებში წილი არ გვიდევს, ის დიდი კულტურა უჩვენოდ შექმნილა, ის დიდი საქმეები უჩვენოდ გაკეთებულა. და თუ ჩვენი წილი არ წავუმატეთ ამ დიდებულ საუნჯეს, ისე ხვალ და ზგე ლარიბი აღმოვჩნდებით და რომ არ გადარიბდეს სული ჩვენი, აწმყო უნდა განვამტკიცოთ, ჩვენი ღვაწლით და საქმით, თავდადებითა და თავშეწირვით. რადგან დიდი მსხვერპლის გარეშე დიდი საქმე არასოდეს გაკეთდება.

მე ეს მჯეროდა და არც რა დამიკლია ჩემი ქვეყნისათვის.

მე ერთი ხელი მომკვეთეს, მაგრამ ცალმკლავამ ცხრაჯერ ორი ხელი შევიძინე. ისინი, ჩემი შვილები.



ბი, თავიანთი თვრამეტი ხელით დაიცივენ ჩემს საქართველოს, რომლის სიკეთისათვის მე არც არაფერი დამიშურებია და რითაც შემძღლო პირნათლად ვემსახურე.

პატიოსან კაცს სამი რამ აქვს სალოცავი: სამშობლო, ენა და ოჯახი. ბედნიერები არიან ისინი, რომლებსაც ყველაზე დიდი და ყველაზე ძვირფასი ადამიანის სიკოცხლე არ დაუშურებიათ, მამულის, ენის და ოჯახის დასაცავად. მე ანდერძად ვუტოვებ ჩემს შვილებს, პატიოსნად დაიცვან მამა-პაპათა მზით ნაფერი, ნამაგარი და სალოცავი ჩვენი სამშობლო, ჩვენი ენა, ჩვენი ოჯახი ქართული.


ბედნიერები არიან ისინი, რომელთაც ბავშვური უმანკოებით გალიეს ეს წუთისოფელი და ისე მოკვდნენ, ბოროტებას არ უშეიშია მათ სულში. ისინი, რომელთაც სიკვდილის შემდეგ მათ შვილებს უქებენ გარდაცვლილ მამის საქციელს. და არც არასოდეს დაუხედებათ გზაზე მამების ნაკვალევის ლაქა, რადგან მამებმა უბოროტოდ გალიეს ცხოვრების დღენი.

მე ვიცი, ჩემს შვილებს ჩემზე აუტს არც არასოდეს წამოაყვედრებენ, რადგან ბოროტება არც არასოდეს ჩამიდენია. ბაბუას კერასთან ზიარებული სიკეთე და ჩემი მასწავლებლის, ივანე ჯავახიშვილის შეგონებანი ცხოვრების მთელ გზაზე მყოს საგზლად.

მე ვხედავ ჩემს ახალ საქართველოში, საქართველოში საქართველოში ჩვენი კეთილი ახალგაზრდებს: მომწიპარალ თვალებს და თავს ვერ ვიკავებ შეძახილისაგან: „იმ გულად და პურად ცხრა მილიონიან საქართველოს გაუმარჯოს, იმ ცხრა მილიონიან ქართველების ოჯახში ანთებულ სანთლებს! კეთილი იყოს, კეთილი იყოს ეს მოღანდება!“

ბილწი მინაწერი: ერთ საიდუმლოებასაც გაგიმჟღავნებთ: ორმოც წელზე მეტია რაც ვშრომობ და ვიღწვი, რითაც კი შემძღლო ჩემი მამულისთვის თავი არ დამიზოგავს. მრავალი ხეც დავრგე. ეს ხეები, ეს ნერგები წლობით იშრიალებენ. ჩემი შვილებიც დარგავენ ხეებს და ისინიც იშრიალებენ. ისინი ცხრაჯერ მეტს დარგავენ, ცხრაჯერ მეტს გააკეთებენ. ოღონდ მე, მაშინაც კი, როცა მტერს ვებრძოდი შაშხანით ხელში და მაშინაც, როცა ცხრა შვილს ვზრდიდი მუზა მიღიტინებდა სულში. სამამულო ომში ხელი მომკვეთეს, მაგრამ როგორც კი მარცხნა ხელით წერას მივეჩვიე, დამეებს წერაში ვათენებდი, დღურების სახით ვწერდი ჩემი ცხოვრების ამ ქრონიკას. მერე დღიური დღიურს გადავაბი და ხელმეორედ გადავწერე. დაე, მაპატიოს ჩემი პროფესორის დიდი ივანეს აჩრდილმა, თუ პოეტობითა და ისტორიკოსობით ვერ ვასახელებ ჩემი მამული, მაგრამ ცხრა შვილი ხომ გამოვუზარდე ჩემს საქართველოს. ეგებ ერთი კაცისთვის ესეც კმაროდეს.





მარტო

ქალაქიანი, რომელიც კედელი გაღის

მონმარტრზე, ორშანის ქუჩა № 72, მესამე სართულზე ცხოვრობდა კაცი, გვარად დუტიოლი, რომელსაც საოცარი თვისება ჰქონდა: თავისუფლად შეეძლო კედელში გასვლა. დუტიოლი მესამე კლასის მოხელე იყო და რეგისტრაციის დეპარტამენტში მსახურობდა. პატარა, შავ წვერს ატარებდა, თასმაზე პენსზე ჰქონდა გამოხედილი. ზამთარში ავტობუსით მგზავრობდა, ზაფხულში კი მოიღებდა შავ ქუდას და ფეხით დაიარებოდა სამსახურში.

ორმოცდასამი წლისა იყო დუტიოლი, როცა ეს არაჩვეულებრივი თვისება აღმოაჩინა. ერთხელ საღამოს თავისი ბინის დერეფანში იდგა, როდესაც უცებ შუქი ჩაქრა. ერთხანს დუტიოლი ხელის ფათურით იკვლევდა გზას. როცა სინათლე აინთო, აღმოჩნდა, რომ კიბის ბაქანზე დგას. ამან დააფიქრა — კარი ხომ შიგნიდან იყო ჩაკეტილი! სხვა გამოსავალი არ ჰქონდა — იმავე გზით უნდა დაბრუნებულყო ბინაში, რა გზითაც ეს წუთია გამოვიდა: ესე იგი, კედელში უნდა გასულიყო, თუმცა ეს წარმოუდგენელი ჩანდა! კედელში სიარულს არ იყო დაჩვეული დუტიოლი, ამიტომ შეშფოთდა, და რაკი შაბათს ადრე ამთავრებდა სამუშაოს, ექიმს მიაკითხა. ექიმმა გასინჯა და დარწმუნდა, რაშიც იყო საქმე. ეს არის ფარისებრი ჯირკვლის სპირალური ჩაიბრვო — ასე ახსნა ამ ანომალიის მიზეზი და ავადმყოფს ურჩია, რაც შეიძლება მეტი ენერჯია დახარჯო. თანაც წამალი გამოუწერა — ბრინჯის ფქვილისა და კენტაგერის ჰორმონის ნარევი. წელიწადში ორჯერ მიიღეო.

დუტიოლმა ერთი ფუნჯილი მიიღო, დანარჩენი უჯრაში შეინახა და დაავიწყდა კიდევ. მისი

საქმიანობა დეპარტამენტში მაინცა და მაინც დიდ ენერჯიას არ მოითხოვდა: თავისუფალ დროს კი გაზრთებდა და მარკების კოლექციას ანდობებდა, რაც ასევე არ ღლიდა. ერთი წლის თავზე დუტიოლს კიდევ არ ჰქონდა დაკარგული კედელში გასვლის უნარი, თუმცა არასოდეს უსარგებლია ამით. ამისი ახსნა მხოლოდ იმით შეიძლება, რომ დუტიოლი არც ავანტურისტია იყო და არც მდიდარი ფანტაზიის პატრონი, საკუთარ ბინასაც ყოველთვის ვასაღებით აღებდა, როგორც ჭერ არს. ასე უშფოთველად გაატარებდა დუტიოლი თავის წუთისოფელს, არც თავის ჩვეულებებს უღალატებდა და შეიძლება არც გამოეცადა თავისი არაჩვეულებრივი უნარი, ერთი ამბავი რომ არ შემთხვეოდა, რომელმაც სიშვილედ დაუჯარგა. მისი განყოფილების გამგის თანაშემწე ბატონი მურონი სხვაგან გადაიყვანეს, მის ადგილას კი მოვიდა ვინმე ლეკუიე. ერთი სიტყვაყვირი პიროვნება იყო, ჯაგარა უღვაშემა ჰქონდა. პირველი დღიდანვე შეიძულა ახალმა უფროსმა დუტიოლი; თვალში არ მოუვიდა მისი თასმაზე გამოხედილი პენსზე და შავი წვერი. ყოველნაირად ავრძობინებდა — ვერ ვიტან, როგორც ძველ და უსარგებლო ნივთსო. განსაკუთრებით არასასიამოვნო ის იყო, რომ ლეკუიემ გადაწყვიტა ცვლილებები შეეტანა თავის განყოფილებაში. სწორედ ამან დაუჯარგა მოსვენება მის ქვეშევრდომს. საქმე ის გახლდათ, რომ ოცი წლის მანძილზე დუტიოლი ასე იწყებდა საქმიან წერილს: „თქვენი ღრმადპატივცემულა ამა და ამ რიცხვის წერილის თანახმად, ამავე დროს გვახსოვს რა ჩვენი ძველი მიმოწერა, პატივი მაქვს გაცნობოთ, რომ...“

ბატონმა ლეკუიემ მონინდომა ამ ფორმული-რების შეცვლა უფრო მოკლე და ამერიკელები-ვით საქმიანით: „თქვენი ამა და ამ რიცხვის წე-რილის პასუხად ვაცნობებთ, რომ...“ დუტიოლი ვერ შეეწყო ამ ახალ სტილს. თავინდაუნებუ-რად ისევ ძველებურად წერდა და ამ განსაც-ვიდურებელ სიჯიუტის გამო ის კიდევ უფრო შეიძულა უფროსმა. მდგომარეობა სულ უფრო აუტანელი ხდებოდა. დუტიოლი დილით უხალი-სოდ მოდიოდა სამსახურში, დაწოლისას კი ხშირად ვერ იძინებდა და ფიქრობდა ხოლმე.

დუტიოლის ეს შეუღრკეული კონსერვატიზმი ნერვებს უშლიდა ბატონ ლეკუიეს, რადგან ყო-ველივე ეს მის რეფორმებს აფერხებდა. ამიტომ ბატონმა ლეკუიემ დუტიოლი საერთო კანცელა-რიიდან ნახევრად ბნელ ოთახში გადაიყვანა, თავისი კაბინეტის გვერდით. ამ ოთახში შესვლა შეიძლებოდა მხოლოდ ერთი ვიწრო კართი, რო-მელსაც ამშვენებდა წარწერა: „საკუჭნაო“.

დუტიოლი უხმოდ იტანდა ასეთ დამცირებას, მაგრამ შინ კი, როცა გაზეთში კითხულობდა სხვადასხვაგან მომხდარ ამბებს, ნატრობდა, რომ ბატონი ლეკუიე საშინელი მკვლელობის მსხვერ-პლი გამხდარიყო.

ერთ დღეს დუტიოლის საკანში გააფთრე-ბულმა უფროსმა წერილი შემოაფრიალა.

— გადაწერეთ ეს საძაგლობა, — ღრიალებდა ის, — გადაწერეთ ეს საზიზღრობა, ეს სამარცხ-ვინოა ჩემი კანცელარიისათვის!

დუტიოლმა პასუხის გაცემა სცადა, მაგრამ ვინ აცალა ბატონმა ლეკუიემ ბებერი ტარაკანა და რუტინიორი უწოდა, მერე ქაღალდი დაქმუ-შნა და სახეში ესროლა ქვეშევრდომს.

დუტიოლი უწყინარი იყო, მაგრამ ამაყი. მა-რტო რომ დარჩა, ჯერ ცოტა შეამცივნა, მერე უცებ რაღაც აღმოაფინა იგრანო, ადგა და იმ კე-დელში შევიდა, რომელიც მის ოთახს ჰყოფდა უფროსისაგან. იმდენი გამბედაობა არ ეყო, რომ მთლიანად გამოჩინილიყო, ამიტომ კედელში მხოლოდ თავი გაპყო. ჯერ ისევ აღელვებულ ლეკუიე სამუშაო მაგიდას უჯდა და ქაღალდებს ათვალიერებდა. როცა რაღაც ნიშნის დასმას აპირებდა, ჩახელების ხმა მოესმა. თავი ასწია და გაოგნებული მიამხტარდა დუტიოლის თავს, რომელიც ნანადირევით ეკიდა კედელზე. თა-ნაც ეს თავი ცოცხალი აღმოჩნდა! ლაღლაპე-ბდნენ თამაზე გამობმული პენსნეს მინები და ლეკუიეს უყურებდა ორი სიძულვილით აღსავსე თვალი. მეტიც! უცებ თავი ალაპარაკდა:

— ბატონო, თქვენ არაზნადა, ხულიგანი და ლაწირაკი ხართ. — თქვა მან.

შინისაგან პირდაპირ ლეკუიე თვალს ვერ აცილებდა ამ მოჩვენებას. ბოლოს სავარძლიდან წამოხტა, დერეფანში ვაკარდა და საკუჭნაოში შეიჭრა. დუტიოლს ხელში კალამი ეჭირა და ბე-ჯითად უჯდა თავის საწერ მაგიდას. უფროსმა ერთხანს ათვალიერა ის, ბოლოს რაღაც წაიბუ-

რღუნა და გავიდა. მაგრამ დაჯდა თუ *ბა*, თავმა ისევ გამოიხედა კედლიდან:

— ბატონო, თქვენ არაზნადა, ხულიგანი და ლაწირაკი ხართ!

ამ ერთი დღის განმავლობაში ეს საშინელი თავი ოცდასამჯერ გამოჩნდა კედელზე. შემდეგ დღეებშიც იგივეს განაგრძობდა, მაგრამ დუტიო-ლმა უკვე გემო გაუგო ამ თამაშს და ლანძღვა-გინებას აღარ ჯერებოდა. არამქვეყნიური ხმით წარმოსთქვამდა რაღაც შექარას, იწყევლებოდა და დემონურად ხარხარებდა:

— მაქცია! მაქცია! ვიდარაჯებს! (ხარხარი) უფრთხილად, შორიახლო დაწინააღმდეგებს და და-მე შენ სისხლს დაღვეს (ხარხარი).

უფროსის ესმოდა ეს საშინელი ყვირილი, ფი-თრდებოდა, სული ეხუთებოდა, თმები ყალბზე აუდიოდა, ზურგზე ცივ ოფლს ასხამდა. პირვე-ლივე დღეს ერთი გირვანქა დაიყო, შემდეგ დღეებში რატომღაც ჩანდელი დაიწყო სუპის ქამა და სამხედრო სალაშა აძლევდა პოლიცი-ელებს. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ პირ-დაპირ დადნა კაცი.

მეორე კვირის დამდეგს სასწრაფო დახმარე-ბით წაიყვანეს ფსიქიატრიულ საავადმყოფოში.

ესლა კი როცა ბატონ ლეკუიეს ტირანის და-აღწია თავი, დუტიოლი თავის საყვარელ ფორ-მულირებას დაუბრუნდა — „თქვენი ღრმადმა-ტივცემული ამა და ამ რიცხვის წერლის თანახ-მად...“ მაგრამ ამან უკვე დაკარგა თავისი ეზობი მას ახალი მოთხოვნილება აღედგა, რომელიც სულ უფრო ხშირად აწუხებდა. ეს იყო კედელში გასვლის სურვილი! რა თქმა უნდა, ამ მი-ზნით მას შეეძლო საკუთარი სახლის კედლები გამოეყენებინა. ასეც აკეთებდა, მაგრამ როცა აღამიანს განსაკუთრებული უნარი აქვს, ხომ არ შეიძლება მისი დახურდავება ტყუილბ-რალოდ! თანაც, განა დიდხანს იქნებოდა კედ-ლებში გასვლა მხოლოდ თვითმიზანი? ვინც ერთხელ კი გემო გაუგო ხიფათს და განსაც-დეღს, ვიდრე ბოლომდე არ ჩასდევს. არ მოის-ვენებს. ასე მოუვიდა დუტიოლსაც. მოქმედების სურვილმა შეიპყრო, სურდა თავისი უნარის ბოლომდე გამოეყენება და რაღაც განსაკუთრე-ბული ჩადენა. ისე სწუხდა და იტანჯებოდა, თითქოს ვიღაც უხმობდა კედლის მიღმა. სამწუ-ხაროდ, არავითარი საბაზი არ ჰქონდა, ამიტომ ხარბად კითხულობდა გაზეთებს — პირველ რი-გში პოლიტიკისა და სპორტის ამბებს, რადგან ეს დარგები მიაჩნდა ყველაზე ღირსეულ საქმიანობად. მაგრამ ჩჭარა დარწმუნდა, რომ ეს არა-ფერს მისცემდა კაცს, რომელსაც კედელში გა-სვლა შეეძლო. მაშინ დუტიოლი მიეტანა სხვა-დასხვაგვარი ამბების განყოფილებას. ეს განყო-ფილება მრავლისმეტყველი აღმოჩნდა.

მარსალ ემი
აღამიანი, რომელიც კედელში გადის

პირველად დუტიოლმა ის ბანკი გაჭურდა, სენის მარჯვენა მხარეს რომ იყო. თავისუფლად გაიარა თორმეტობდე გარე და შიდა კედელი, სეიდს მიაღწია და ჩიბებები ფულით დიტიტა. ვიდრე იქაურობას გაცდებოდა, წითელი ცარციით მოაწერა ხელი — „გარუ-გარუ“*. ამ ხელმოწერას კონხად ჩახვეული ბოლო გაუკეთა, რომელიც მეორე დღესვე გადწილი იყვნენ. ერთი კვირაც არ გასულიყო და გარუ-გარუს სახელი მეტად პოპულარული გახდა. ხალხი თანაუგრძნობდა იმდენად ქურდს, რომელიც ასე ლამაზად აბიანბურებდა პოლიციას. დუტიოლი ყოველ დამე ახალახალ ვმირობას სჩადიოდა, დაზარალებული კი ხან ბანკი, ხან საიუველირო მაღაზია. ხან ვინმე მდიდარი აღმოჩნდებოდა. არ დარჩენილა პარიზსა და პრაღისკენ, ცოტად თუ ბევრად მეოცნებე ქალი, რომ მისხნად გარუ-გარუს საყვარლობა არ ნდობოდეს. დიდი აღმასის — ბურდიგალას გატაცებისა და მუნცი-პალური ბანკის გაძარცვის შემდეგ კი, რომელიც ერთი კვირის განმავლობაში ზედღებდ მოხდა, ხალხი აღტაცებისაგან ლამის გაგიჟდა. ვადაღვა შინაგან საქმეთა მინისტრი, მას მიჰყვარეს აკაციის დეპარტამენტის უფროსი. დუტიოლი კი პარიზში ყველაზე მდიდარი კაცი გახდა და..... ძველებური სიზუსტით დადიოდა სამსახურში. ამბობდნენ, ჯილდოზე არის წარდგენილი. დილაობით სიამოვნებით ისმენდა თანამშრომელი ლაპარაკს იმ თავის გვირობაზე, რაც წინა დამეს ჩაიდინა. „ეს გარუ-გარუ არაჩვეულებრივი ადამიანია, ზეადამიანია, გენიოსია“, გაიძახოდნენ ისინი. ასეთი შექები-საგან დუტიოლი წითლდებოდა და პენსიდან მისი თვალები მაღლიერებით იმზირებოდნენ. ამ საერთო აღტაცების გარემოცვაში იმდენად მიენდო თანამშრომლებს, რომ ვადაწყვიტა მათთვის საიდუმლო გაენდო. მორცხვობა, როგორც იქნა, სძლია, ახედა ამხანაგებს, გაზეთში სახელმწიფო ბანკის გაჭურდვის ამბავს რომ კითხულობდნენ და გაუბედავად ჩაილაპარაკა: „იცით, გარუ-გარუ მე ვარ“. ამ აღსარებაზე თანამშრომლებმა გიჟურად შეაბრაზებინეს და დუტიოლს იქვე, დაციენით შერაქვეს..... „გარუ-გარუ“. საღამოს კი, როცა შინ წასასვლელად ემზადებოდნენ, დუტიოლს იმდენი დაციენვა და გესლიანი ხუმრობა ხედა წილად, რომ სიცოცხლე არც ისე მშვენიერი ეჩვენა.

რამდენიმე დღის შემდეგ, დამით, რიუ დე ლა პეს საიუველირო მაღაზიაში გარუ-გარუმ თავი დააქვრინა პოლიციას. რაღაც უხამს სიმღერას მღეროდა, თან ოქროს თასს ურტყამდა დახლს. მანამდე კი ფულის ყუთს თავისი სახელი დააწერა. სულ ადვილად შეეძლო კედელში გასულიყო და დამეში გაუჩინარებულყო,

ყო, მაგრამ ალბათ უნდოდა, რომ დაეჭირათ. ეს, როგორც ჩანს, იმიტომ გააკეთა, რომ თავისი თანამშრომლები გაეოცებინა, რომელიც უნდობლობით შეურაცხვეს იგი.


დეპარტამენტის მოხელეები მართლაც მეტად გააცდნენ, გაზეთების პირველ გვერდზე დუტიოლის პორტრეტი რომ ნახეს. ძალიან ნაწიბდნენ, რატომ არ ვაფასებდითო ჩვენს გენიალურ კოლეგასო და მის პატივსაცემად წვერი მოუშვეს. ზოგიერთი კი ისე გაიტაცა მონანიების გრძნობამ და აღტაცებამ, რომ თავისი ახლობლებისა და ნაცნობების საფულეებსა და საათებზე დაიწყო ვარჯიში.

განა ასეთი არაჩვეულებრივი ადამიანისათვის მიუტევებელი ქადაგებულობა არაა პოლიციის ხელთ მოხვედ, მხოლოდ იმიტომ, რომ რამდენიმე თანამშრომელი ვადაკვირვო? თუმცა შეგნება მეტად ცოტას ნიშნავს ამგვარ ვადაწყვიტებებში. დუტიოლის ფიქრით, შეურაცხვეთელებს თავისას დაუმტკიცებდა, თუ საკუთარ თავისუფლებას შესწირავდა ამ პატივმოყვარე გრძნობას. სინამდვილეში კი იქით მიექანებოდა, საითაც უბიძგებდა ბედისწერა.

კედელში გამაყალი ადამიანისათვის სრულიად წარმოუდგენელია რაიმე კარიერა, თუ ერთხელ მაინც არ მოხვდა საპყრობილეში. როცა სანტეს ციხეში ჩასვეს, დუტიოლმა თავი უბედნიერეს ადამიანად იგრძნო. ციხის სქელი კედლები სასიამოვნო გასართობი აღმოჩნდა მისთვის. მეორე დღესვე გაცდებულმა მცველებმა აღმოაჩინეს, რომ ტუსაღმა თავისი საკნის კედელში ლურსმანი ჩააჭედდა და ზედ ციხის უფროსის ოქროს საათი დაკიდა. ტუსაღმა ვერ შესძლო, თუ არ მოინდომა აეხსნა, როგორ ჩაუვარდა ეს ნივთები ხელში. საათი პატრონს დაუბრუნეს, მეორე დღეს კი ისევ გარუ-გარუს სასთუმლოთან აღმოჩნდა „სამი მუშკეტერის“ პირველ ტომთან ერთად, რომელიც ციხის უფროსის წიგნების კარადილი გამოიღო. ციხის მცველები მოიქანცნენ. მეტიც. ჩიოდნენ, ვიღაცა წიხლებს გვირტყამსო უჩინდნენ. კაცს ეგონებოდა, კედლებს ყურების გარდა ფეხებზეც გამოიხმითო. გარუ-გარუს დაპატიმრებიდან ერთი კვირის თავზე სანტეს უფროსს დილით თავის კაბინეტში ასეთი შინაარსის წერილი დახვდა: „ბატონო უფროსო! ვიღებ რა მხედველობაში ჩვენ აზრთა გაცვლა გამოცვლას ამა თავის 17 რიცხვს, გარდა ამისა თქვენ მიერ 15 მაისს გაცემულ ბრძანებებს, პატივი მაქვს მოგახსენოთ, რომ მე ამ წუთას დავამთავრე „სამი მუშკეტერის“ მეორე ტომის კითხვა და ვადაწყვიტილი მაქვს ციხიდან გაიქცე ამდამ, თორმეტის ოცდახუთი წუთიდან ოცდაათხუთმეტ წუთებში. გთხოვთ, ბატონო, უფროსო, მიიღოთ ჩემი ღრმა პატივისცემა.

გარუ-გარუ“.

* გარუ-გარუ მაქციას ნიშნავს.



დუტიოლს იმ ღამეს მეტად მკაცრი ზედამ-
ზედველი მიუჩინეს, მაგრამ ამის მიუხედავად,
მანც გაქრა ზუსტად თერთმეტ საათსა და
ოცდაათ წუთზე.

მეორე დღეს ამ ამბავმა ხალხის ახალი აღ-
ტაცება გამოიწვია. დუტიოლმა კი ისევ გა-
ქურდა ვიღაცა და ახალი დიდებით შეიმკო სა-
ხელი. მაგრამ არც კი უფიქრია დამალვა და
უფარდელად დასეირნობდა მონმარტრზე. გაქ-
ცევიდან სამი დღის შემდეგ ისევ დაიჭირეს
კოლნეკურის ქუჩაზე, კაფე „ოცნებაში“, სადაც
რამდენიმე ნაცნობთან ღობონის წვნიან თეთრ
ღვინოს მიირთმევდა.

გარუ-გარუ ისევ სანტეში ჩამაწყვდის და
ბნელ კარცერში ჩაეკეტეს. იმავე ღამეს გამოვი-
და იქიდან, დასაძინებლად ციხის უფროსის
ბინაზე წაბრძანდა და სტუმრებისათვის გან-
კუთვნილ ოთახში მოიკალათა. დღის ცხრა
საათზე დაუძახა მოხალეს და საუბრე მოვი-
ტანო სთხოვა. როცა მცველებმა მიირბინეს,
ლოგინშივე დააჭერინა თავი და არ გაუწვია
არავითარი წინააღმდეგობა. ციხის უფროსი
გაბრაზდა, კარცერს ერთი დარაჯი მიუყენა და
მშრალ პურზე დასვა დუტიოლი. მგერამ შუა-
ღლისას ტუსალი უკვე მხოლოდ რეტორანში
საუზმობდა, ყავა მიირთვა და იქიდან დაურეკა
ციხის უფროსს:

— ალო! ბატონო უფროსო, ძალიან მეხათრე-
ბა თქვენი შეწუხება, მაგრამ როცა აქეთ მოვ-
დიოდი, თქვენი საფულეს წამოღება დამავიწყ-
და, ამიტომ ამ რესტორანს შევრჩი. ჰქენით სი-
კეთე, გამოგზავნეთ ვინმე, რომ ანგარიში გაას-
წიროს.

ციხის უფროსმა პირადად მიირბინა. აღშფო-
თებული ილანდებოდა და იმუქრებოდა. დუ-
ტიოლს ეწყინა, მეორე დამესვე გაიქცა და გა-
აფწყვიტო, აღარ დავბრუნდებო, ეხლა კი მეტი
სიფრთხილე გამოიჩინა — მოიპარსა შავი წვე-
რი და თასმიანი პენსნეს მაგიერ კუს ბაჯნის
სათვალე გაიკეთა. თავზე სპორტული ქუდი
დაიხურა, კუბოკრულმა კოსტუმმა და გოლ-
ფის ტიპის შარვალმა კი მთლიანად შეუცვალა
იერი.

დუტიოლი დასახლდა ავენიო ქუთნოზე, პა-
ტარა ბინაში, სადაც პირველ დაბატონებამდე
ვადაიტანა ავეჯი და თავისი ყველაზე საყვა-
რელი ნივთები. დიდებამ ცოტა არ იყოს მო-
ქანცა. სანტეში ყოფნამ კი კედელში სიარულის
ეშხი დაუკარგა. ყველაზე სქელსა და მიუწე-
დომელ კედელს ისევე არაფრად ავადებდა, რო-
გორც ჩვეულებრივ თევზის. შედღწია უზარმა-
ზარი პირამიდის გულში — აი ამაზე ოცნებო-
ბდა ეხლა! ეგვიპტეში მოგზაურობაზე ფიქრობ-
და, მანამ კი უღარდელად ცხოვრობდა — ავ-
როვებდა საფოსტო მარკებს, დადიოდა კინოში,
დაყაილობდა მონმარტრის ქუჩებში. გარეგნობა
იმდენად შეიცვალა, რომ ახლო მეგობრებზეც

ვერ ცნობდნენ, როცა ეს სუფთად გაპარული
და სათვლიანი კაცი გვერდით ჩაეკლამდათ
ხოლმე. მხოლოდ მხატვარმა ფან-პოლმა იცნო.
ქან პოლს ხომ არ გამოუპარება პატარა ცვლი-
ლებზე კი უხეხულებს გარეგნობაში ერთხელ
დილით აბრველარის კუთხეში შეეფთა დუ-
ტიოლს. მხატვარმა მოუჩინებლად მიმართა
რადაც საშინელი, მხოლოდ მისთვის გასაგები
ქარგონით:

— რაა ეს, არფივით რომ დაყაილობ? გინ-
და ნავგი ვაყურო? — რაც დაახლოებით
შემდეგს ნიშნავდა: „იქნებ გგონია, რომ ვერ
ვხვდები, რომ გამოპარულხარ ასე? გინდა
გამომძიებელს დაუხნიო ყვალი?“

— ეეჰ, მიცნო. — წაიბურღლუნა დუტიოლ-
მა.

ამ შემთხვევამ შეაწუხა და გადაწყვიტა და-
ეჩქარებინა ეგვიპტეს გამგზავრება. მაგრამ
იმავე დღეს ერთი ქერათმიანი ქალი შეუყვარ-
და, რომელიც თხუთმეტ წუთის განმავლობაში
ორჯერ შემოხვდა ლეპიკის ქუჩაზე სეირნობი-
სას. ამ ქალმა დაჩრდილა ყველაფერი — სა-
ფოსტო მარკები, ეგვიპტეც, პირამიდებიც!

ქერათმიანი ქალიც დიდი ინტერესით უყუ-
რებდა. არაფერი ისე არ აღეგებებს თანამედ-
როვე ქალს, როგორც შარვალი გოლფი და კუს
ბაჯნის სათვალე. ძალაუნებურად საყვარელი
კინოსსახიობის სახე წარმოუდგებოთ და იწყე-
ბენ ოცნებას რადაც კოქტეილებზე და კალი-
ფორნიის დამებზე. ქან პოლმა უამბო დუ-
ტიოლს, ეს მზეთუნახავი გათხოვილიაო, ქმარი
კი უხეში და ექვიანი ჰყავსო. თვითონ გარყუ-
ნილია, სახლიდან გადის ღამის ათ საათზე და
ღილის ოთხ საათზე ბრუნდება. წასვლის წინ
დარაბებს ბოქლომზე ჰკეტავს, კარის გასაღებს
კი ორჯერ გადააბრუნებს ხოლმე. დღისათ
თვალს არ აცილებს, ისიც კი ხდება, რომ მონ-
მარტრის ქუჩებში ჩუმჩუმად უთვალთვალეს
ხოლმეო.

— ამ სივთავსიებულ ძუნწს არ უნდა სხვა
დასტკებს მისი ვარდით.

ქან პოლის გაფრთხილებამ მხოლოდ გადი-
ზიანა დუტიოლი. მეორე დღეს ტოლოზის ქუ-
ჩაზე ახალგაზრდა ქალს შეხვდა, გაბედა და
გასდია. როცა ქალი რძის რიგში იდგა, დრო
იხელთა და მოიწიებით გრძნობა გაუშვილა.
ისიც უთხრა, ყველაფერი ვიცოო ვერაგ ქმარზე,
ჩაკეტოლ დარაბებსა და კარებზეო. მაგრამ
მანც ამავე საღამოს ვიქნები თქვენს ოთახშიო
— დაამიდა. ქერათმიანი ქალი გაფითლდა,
რძიანი ქილა შეუტოკდა ხელეგში. სინაზისაგან
გაბრწყინებული მზერა მიიპყრო და ამოიხარა:
„ეჰ, ბატონო, ეს შეუძლებელია“.

იმავე ბედნიერი დღის საღამო ზანს, ათი საა-

მარსელ მემ
აღამიანი, რომელიც კაფელში ბადის

თი დაიწყო თუ არა, დუტიოლი ნორვეინის ქუჩაზე იდგა და თვალს არ აცილებდა ქვის სქელ კედელს, საიდანაც მხოლოდ ფლუგერი და სახლის პატარა საკვამური მოჩანდა. ბოლოს გაიღო კარი, გამოვიდა კაცი, გულმოდგინედ გადააბრუნა გასაღები და ავენიუ ყიუთნოსაკენ დაეშვა. დუტიოლმა აცალა, სანამ მოსახვევს მოეფარებოდა, სიზუსტისათვის ათამდე დაითვა-ლა და ეკვეთა კედელს. ყველა წინააღმდეგობას სძლია და მშვენიერი ტყვე ქალის ოთახში აღმოჩნდა. ქალს მეტად გაეხარდა და ღამის პირველ საათამდე ერთად იყვნენ.

დუტიოლმა დილით თავის ტკივილი იგრძნო, მაგრამ ყურადღება არ მიუქცევია. ამისათვის ხომ არ გადადებდა პაემანს! თვალში რაღაც წამალი მოხვდა, ერთი დილით დალია, მეორე სადილის წინ. საღამოს უკეთ იგრძნო თავი, სულაც დაავიწყდა ტკივილი, ისე ღელავდა პაემანის წინ. ქალი აღერსით შეეგება, წინა ღამე აგონდებოდა.

ამჯერად დილის სამ საათამდე იყვნენ ერთად. უკან რომ ბრუნდებოდა, დუტიოლმა იგრძნო, რომ ოთახის კედელი რაღაც უცნაურად აწეება მხრებსა და ბარძაყებზე, მაგრამ ყურადღება არ მიუქცევია. სქელ კედელში შევიდა თუ არა, მეტი წინააღმდეგობა იგრძნო, თითქოს გარს ეკვროდა თხიერი რაღაც, რაც

ყოველ წუთას სქელდებოდა, მკვრივდებოდა და სულ უფრო მეტად უძლიანდებოდა. კედელი შუამდე რომ გაიარა, ხედავს, რომ ^{ეკვრივდებოდა} ~~უძლიანდებოდა~~ ვერ იძერის. შიშით გაახსენდა ის გადაყლაპული წამალი: რაც დილით დალია, ასპირინი კი არა, გასულ წელს გამოწერილი ბრინჯის ფქვილისა და კენტაერის პორმონის ნარევი ვახლდათ. ეს წამალი, დიდხალ ენერჯის ხარჯვასთან ერთად, იყო სწორედ ის, რაც ექიმმა განსაკუთრანად გამოუწერა.

ასე დარჩა კედელში დატანებული დუტიოლი. იქ არის დღესაც. ღამით, მიწყდება თუ არა პარიზის ხმაური, ნორვეინის ქუჩაზე ღამით მოხეტიალეთ ესმით რაღაც უცნაური, ყრუ, არაამქვეყნიური ხმა და ჰგონიათ ქარი დაჭრისო მონმარტრის მოსახვევებში. ეს კი გარუ-გარუ დუტიოლია, რომელიც დასტერის თავის ბრწყინვალე კარიერასა და ესოდენ ხანმოკლე სიყვარულს.

ზოგჯერ, ზამთრის ღამით მხატვარი ეან პოლი გიტარას იღებს და ნორვეინის უკაცრიელ ქუჩაზე გასვლას ბედავს, რათა სიმღერით ანუ გუგოს საბრალო ტყვე.

და ბგერები, რომელთაც გათოშილი თითებით სწყვეტს იგი სიმებს, მოვარის შუქის დარად წვეთ-წვეთად ატანენ ქვაში...

ფრანგულიდან თარგმნა ირინა კოჩკინა.



ზარიელ ხაშთასი

მზე მწვანე ტალღებზე

გივი წითლაძეს გული უმაღლესი სასწავლებლისაკენ მიუწევდა, მაგრამ სტუდენტობის ნაცვლად ხელში შაშხანა აიღო. ბელორუსიის პირველ და მეორე ფრონტებზე იბრძოდა, ჯერ როგორც რიგითი ჯარისკაცი, შემდეგ — მოტორმსროლელი ასეულის მეთაური. მრავალჯერ ჩაუხედავს მისთვის სიკვდილს თავლებში, მაგრამ გული არასოდეს გატეხია, გამარჯვების რწმენა არასოდეს დაუკარგავს. მომხდურს ბერლინამდე სდია და არც უკამია მტრის ჯარი. შინ 1947 წელს დაბრუნდა ალექსანდრე ნეველისა და წითელი ვარსკვლავის ორდენებით, მრავალი მედლით მკერდდამშვენებული.

ომგადახდილი ვაჟკაცი თანასოფლელებმა კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანად აირჩიეს. დაიწყო მშვიდობიანი შრომა და ცხოვრება. გივი ამ ცხოვრების შუაგულში ტრიალებდა. მის ირგვლივ შემოკრებილი ნატანებელი კომუნისტები თვდადებულნი შრომის მაგალითს იძლეოდნენ...

ომის მიერ შეწყვეტილმა სწავლის წყურვილმა ახალი ძალით იფეთქა. დღისით შრომა საკოლმეურნეო უბანზე, საღამოთი — წიგნი, მეცადინეობა, განვლილის აღდგენა და ახლით შევსება... მალე შრომა და სტუდენტური ცხოვრება ერთმანეთს გადაეწნა. ორთავე უბანზე მოწინავე და სამაგალითო, პარტიის მახარაძის რაიკომის განყოფილების გამგედ გადაიყვანეს, შემდეგ კი ამავე რაიკომის მეორე მდივნად აირჩიეს.

არ დაშორებია ხალხს, არც თანასოფლელებში დავიწყნია, გული მუდამ იქით მიუწევდა, სადაც მატერიალური დოვლათი იქმნებოდა! ამას კარგად ამჩნევდნენ რაიკომშიცა და სოფლებშიც. და აი, 1953 წელს მახარაძის რაიონის ვ. ი. ლენინის სახელობის ნატანების კოლმეურნეობის საერთო კრებამ იგი თავ-

მკლამარედ აირჩია. მაშინ ოცდაათი წლისა იყო გივი წითლაძე, სწორედ იმ წელს დაამთავრა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სუბტროპიკული ფაკულტეტი. ახალგაზრდული შემართება, ენერჯია და ოცნებები მოიტანა მან კოლმეურნეობაში. ამ ოცნებასა და გვეგებს განხორციელება და ფრთების შესხმა სჭირდებოდა...



წარმოება-დაწესებულების, თუ სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელ მუშაკებს აქვთ სიყვართო თვისება: როცა მათთან სტუმრები ან პრესის წარმომადგენლები მიდიან, პირველად მოწინავე აღამიანებს შეახვედრებენ, ან მოწინავე უბანს გააცნობენ, რათა პირველმა შთაბეჭდილებამ დაჩრდილოს, თუკი რამ ნაკლოვანება გააჩნიათ.

მეც ასეთი შეხვედრის მოლოდინში ვიყავი ნატანების კოლმეურნეობაში ჩასვლამდე. ვეჭვრობდი, პირველად ან დარეჯან ტაკიძეს შევხვდებოდი, ან სვეტლანა ნიკოლაიშვილს, ან კიდევ სხვა მოწინავე კოლმეურნეს, რომლებიც მართლაც რომ მრავალადა ამ სოფელში.

გამახარა გივის წინადადება: — მოდი ჩამორჩენილი ბრიგადიდან დავიწყეთ, — განსაკუთრებით იმიტომ, რომ მასში იოტის ოდენიც ვერ შევნიშნე წინასწარ მოფიქრებული, ასე ვთქვათ, „დიბლომატიური სვლა“.

მანქანა ზემო ნატანებისაკენ მივაჯაროლებს. სამსართულიან ახალ შენობას მივადგეკით.

— ეს მეორე საშუალო სკოლაა სოფელში, ძველი შენობა ვეღარ აკმაყოფილებდა მოთხოვნილებას და ახალი აფუგეთ ჩვენს ბავშვებს. ძალიან მაინტერესებს, როგორ მიდის საქმე, პირობას ხომ არ ღალატობენ მშენებლები, — ხალისიანად მეუბნება გივი და მანქანიდან ჩამოვდევია.

— ყველაფერი გემის მიხედვით კეთდება, პირველი სექტემბრის ზარის წკრაილზე ჩვენი სკოლაც აივსება ბავშვების ლალი სიცოცხლით და ქრიაშული — ამჟამად გვეუბნება სკოლის დირექტორი.

საგულდაგულოდ დავათვალიერეთ შენობა, შემოვიარეთ ყველა სართული, ყველა საკლასო ოთახი. მართლაც რომ შესანიშნავად უმუშავნიათ მშენებლებს.

— დიახ, ეს მეორე საშუალო სკოლა სოფელში. ამათ გარდა ნორჩი თათბის აღზრდას ნატანებში სამი დაწყებითი და ერთი მუსიკალური სკოლა ემსახურება, რომლებშიც 1200-მდე მოსწავლეს 150-ზე მეტი მასწავლებელი ასწავლის. არც სკოლამდებლები დავიწყნიათ ნატანებებს; ოთხასი ბავშვისათვის გახსნილია 1 საბავშვო ბაღი და 10 ბავშვთა ბავა, — მიყვება გივი...

ისევ ქუჩაში გამოვედით. სიხარულის ღიმილი შემორჩენოდა სახეზე თავმჯდომარეს და ოცნებაში წასული შორეულ სივრცეს ვაპყურებდა. ვერ ვეტყვი, თვის ბავშვობას იგონებდა იმ წუთით თუ ამ სკოლაში აღსაზრდელთა ნათელ მომავალს სჭვრეტდა წინასწარ.

შანქანისაკენ მიმავალი საუბრით ჩაგვიარა ორმა ახალგაზრდამ და წყნარად ვანგარეს გზა. გივი წამით ოცნებიდან გამოერკვა და ცნობისმოყვარეობით სახეგანათებულმა ერთ-ერთს გასძახა.

ყმაწვილი შემობრუნდა და გივისაკენ გამოეშურა.

— მოგილოცო, ბიძიკო? — ჰკითხა თავმჯდომარემ და თავზე ხელი ალერსით ვადაუსვა.

— დიახ, გივი ბიძია, ჩავაბარე, მოვეწვიე.

— ყოჩაღ, ყოჩაღ, ასე უნდა, ახლა კი ნამდვილი ვაჟკაცი ხარ. — აღფრთოვანება ვერ დაფარა თავმჯდომარემ და ყმაწვილს ხელი ჩამოართვა. და მომეჩვენა, რომ იმ დროს გივი თავმჯდომარე კი არ იყო, ან ეს ცნობისმოყვარეობა კი არ იყო მოვალეობით ნაკარნახევი, არამედ ყმაწვილის წინ იდგა სოფლის მამა, დიდი მშობლიური სიბოთი გულგამთბარი მამა, რომელსაც აინტერესებდა შვილის ამბავი და ახარებდა მისი გამარჯვება. და მე ვეცადე წარმომედგინა, თუ როგორი იქნებოდა მისი შეხედრბა საკუთარ შვილებთან, რომლებიც გამარჯვებულნი დაუბრუნდნენ ინსტიტუტში მისაღებ გამოცდებიდან.

ბრიგადისაკენ გზა ფეხით ვანავარძეთ. ჩაის პლანტაციაში შევედით. წინ ბრიგადირი შემოგვხვდა. კრეფის მიმდინარეობაზე ახალი ცნობები მიაწოდა თავმჯდომარეს. გივი უკმაყოფილოდ შეიშმულა.

— მესამე ბრიგადა რომ ხართ, ამიტომ სამიანზე შრომა კი არ გეპატიებათ, ჩიი გადაუხეშებელი გაქვთ, მწყრივებს შორის სარევე-

ლა ბალახი გამარავლებულა, — მერე ბუჩქს ხელი ვადაუსვა და თვალის დახამაშებაზე ორთავე მუჭი ნახი ფოთლებით აიფრთხილა. ქალებს ჩამოუარა, კარგი ხეავი უხუტვებ, ყველას ნაერთი ვაუსინჯა, ზოგი შეაქო, ზოგსაც მიუთითა.

— ჩამორჩენა გაქვთ, ამხანაგებო, ძალიან დიდი ჩამორჩენა, ასე თუ გააგრძელებთ მუშაობას სამარცხინო შედეგით დაამთავრებთ სამუშაო უწეს. — საყვედურობდა გივი.

კირიტი არავის დაუძრავს, თავის მართლაც არავის უცდია. არც არავის უგრძნია თავი შეურაცხყოფილად. ალბათ იმიტომ, რომ სოფლის თავკაცში თანასოფლელები, უპირველეს ყოვლისა, ხედავენ სოფლის მოამაგეს, მეზობელსა და ამხანაგს.

დავიტერესდი მესამე ბრიგადის მონაცემებით. გივიმ ციფრები მოიშველია და როცა საუბარი დაამთავრა, ვაკვირებით ვკითხე:

— ნუთუ თქვენ ამას ეძახით ჩამორჩენას? ასეთი მაღალი შრომითი მაჩვენებლების მქონე ბრიგადა ბევრი კოლმეურნეობის მოწინავეთა რიგებს დაამშვენებდა.

გივის ვაგიცინა: — გეთანხმები, მაგრამ ჩვენთან ასე როდია, როცა მოწინავე ბრიგადების მიღწევებს ვაეცნობი, დარწმუნდები, თუ რა შორს წასულან ისინი.

გზა განვარძეთ. როცა ფერდობი გადავიარეთ, გივიმ მარჯვნივ მიმახედა.

— აქედან მათე ბრიგადა იწყება, — მითხრა და დასძინა: — ბრიგადას სოციალისტური შრომის გმირი ღიმიტი ბაქანიძე ხელმძღვანელობს. გამოცდილი და უნარიანი ხელმძღვანელია. საერთოდ სოფელში მოტადერთმა მოიბოვა გმირის საბათო წოდება, მთვან ღღეს შრომის ფერხულში 15 კაცია ჩამხმული. სწორედ ისინია ჩვენი საიმედო და სამავალითა დასაყრდენი. დარეჯან ტაკიძე თუ ლოლა გოგოტიშვილი, ანა ლეღევა თუ ლუდა ხურციძე, თამარ ცენტრეაძე თუ ნინა მიმინოშვილი, ანა ბაბილოძე თუ ბარმე თავაძე, ვასო ჩავლიეშვილი თუ ივანე გორგილაძე, კასიანე თავაძე თუ ვალერიან ბაბილოძე — ღღესაც მოწინავეთა რიგებში დავან და თავიანთი შრომითი მაგალითებით აღაფრთოვანებენ ახალგაზრდებს. ზოგი მათგანი ღღეს პენსიონერია, მაგრამ ვული შინ მაინც არ უღვებთ, მხარში ვევიდვანან, ზრდიან ჩვენი კოლმეურნეობის ხეგესა და ბარაქს...

მეთერთმეტე ბრიგადისაკენ ვავეშურეთ. ამ ბრიგადას კაცმა მართლაც შეიძლება ვმირების ბრიგადა უწოდოს. ა. ბაბილოძე, ლ. გოგოტიშვილი, ლ. ხურციძე, ა. ლეღევა — ოთხი გმირი, ოთხი სახელოვანი მეჩაიე, რომელთა შრომითი მაჩვენებლებს არა ერთხელ აულაპარაკებია პრესა. ისინი ახლაც ძალ-ღონის დაუზოგავად ეწევიან სასახელო შრომის ვაპანს.

მოწინავე ბრიგადები ნატანებში თითხე ჩა-

მასათვლედი როდია, მაგრამ ხომ არსებობს მოწინავეთა შორის მოწინავე. სწორედ ასეთია კომუნისტური შრომის მეორე ბრიგადა. ამ ბრიგადაში შრომობენ საქვეყნოდ ცნობილი მეჩაიეები — დარეჯან ტაკიძე და სვეტლანა ნიკოლაიშვილი...

იმ დღეს სრულიად შემთხვევით აღმოჩნდა დარეჯანის ოჯახში. გამრჩე ადამიანის ხელი ეტყობა მისი ეზო-კარის ყოველ კუნჭულს. ფუსფუსებს კეთილი ღიმილით და თავს დავგვრიალებს უებრო მასპინძელი, სამაგალითო დიასახლისი.

— იმდენი წელი იცოცხლე, რამდენი ტონა ჩაიც მოვიკრეფიაო, — დილოცა თავმჯდომარე.

— ძალიან ბევრი გამომივა, — დამორცხვა დარეჯანმა და ქალარაშვიტრეველ თმაზე ხელი გადაისვა.

36 წელია დ. ტაკიძე კოლმეურნეობაში მუშაობს. ამ ხნის მანძილზე მას 200 ტონამდე ჩაის მწვანე ფოთოლი მოუკრეფია. საშუალოდ წელიწადში 5555 კილოგრამი. სიმბოლიურია ეს ციფრი: იგი მარტო მოკრეფილი ჩაის რაოდენობას როდი გამოხატავს, ხუთიანები მისი თავდაღებული შრომის შეფასებაც არის. ეს „ხუთოსანი“ მეჩაიე საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატია. მიღებული აქვს მთავრობის მაღალი ჯილდოები — ორი ლენინის ორდენი, საბატო ნიშნის ორდენი და მედლები.

ჩაის კრეფის წლიური გეგმა მან უკვე რა ხანია შეასრულა, ახლა ვალდებულების განაღდებისათვის იბრძვის, უნდა ხელდაშვევებულად შეხედდეს სკკ XXIV ყრილობა და საქართველოს კომპარტიისა და საბჭოთა საქართველოს სახელოვან 50 წლისთავს.

მოდო და ნუ გაიხარებ, მოდი და ნუ დალოცავ, ნუ შეუქებ მაღლიან მარჯვენას ასეთ მშრომელსა და მოქალაქეს.

ბარაქალა შენს მარჯვენას, დარეჯან, ქალი მართლაც შენა ყოფილხარ.

მზე კარგა ხნის ჩასული იყო, როცა კოლმეურნეობის კანტორაში დავბრუნდი.

— ხომ არ დაილაღე? — მკითხა თავმჯდომარემ.

— არა, არც ისე. — ალბათ ოცდაექვსივე ბრიგადას, 75 რგოლს რომ ჩამოუარო და მეტი არაფერი გააკეთო, ამისათვის მთელი დღეც არ გეყოფა, — მიუთხე მე.

— მართლაც ასეა. კოლმეურნეობას 4200 ჰექტარი ფართობი უჭირავს, — დინჯად ყვება გივი, — აქედან სრულმოსავლიანი ჩაის კულ-

ტურა 500, ციტრუსი 350, სიმინდი 650 ჰექტარზეა გაშენებული.

ნატანებში კოლმეურნეობა 1930 წელს დაიწყო. მისი ფართობი 1500 ჰექტარი იყო, აქედან სიმინდის კულტურას — 600, ჩაის — 47, მანდარინს — 6 ჰექტარი ეჭირა. დანარჩენი, გარდა საკარმიდამოსი, გამოუყენებელი მასივები და ჰაბიანი ადგილები იყო...

კარები მდივანმა ქალმა შემოაღო და თავმჯდომარეს წერილი გადასცა. გვიმ საუბარი შეწყვიტა და კონვერტს დახედა.

იგი მიხეილ შოლოხოვის წერილი აღმოჩნდა. კონვერტი სისწრაფოდ გახსნა, წერილი კერ ჩუმიად გადაიკითხა, შემდეგ კი ადგილები ხმაშლია წამიკითხა.

მიკითხვას უთვლიდა დიდი მწერალი ნატანებელ მშრომელებსა და მათ თავკაცს.

შემთხვევითი არ არის მიხეილ შოლოხოვის წერილი ნატანებში. მწერალსა და ნატანებელ კოლმეურნეებს შორის უკვე მეოთხე წელია რაც მჭიდრო, მეგობრული კონტაქტია დამყარებული. ეს მეგობრობა ასე დაიწყო: 1961 წელს მ. შოლოხოვი საქართველოში იმყოფებოდა. როგორც კი მეჩაიეთა შრომას გაეცნო, თქვა — მე ვისურვებდი განსაკუთრებით გულითადად მივესალმო, გადაეხეიო ჩვენი ჩაის პლანტაციების მშრომელ ქალებს. ჩემმა სამარცხვინოდ საქართველოში ჩამოსვლამდე არ ვიცოდი, თუ რა მიმივა თქვენი შრომა. და ამიტომაც განსაკუთრებით მოგესალმებით და გულითადად გეხვევითი...

მწერლის ეს პირველი შთაბეჭდილება არც შემდგომ წლებში განელებულა. იგი თვალს ადევნებს „მწვანე ოქროს“ მომყვანთა შრომას და ახარებს მათი წარმატებანი. მეჩაიეთა შრომის უკეთ გაცნობის წყურვილმა ჩამოიყვანა იგი ნატანებში 1968 წელს. ნატანებელი მშრომელები გულიადად მასპინძლობდნენ საყვარელ და საბატო სტუმარს. ამ პატივისცემამ და სიყვარულმა თავისი საქმიანი გამოხატულება ჰპოვა იმაში, რომ კოლმეურნეობის საერთო კრებამ მიხეილ შოლოხოვი ნატანების კოლმეურნეობის საბატო წევრად აირჩია. ამით კიდევ უფრო განმტკიცდა მეგობრობის გზა და ხიდი. სწორედ ეს მეგობრობა ელო საფუძვლად ქართული კულტურის მოღვაწეებთან და მშრომელთა წარმომადგენლებთან ერთად გივი წითლიძისა და მოწინავე მეჩაიე სვეტლანა ნიკოლაიშვილის შოლოხოვის მიერ მშობლიურ სტანცია ვეშენსკაიაში მიწვევას. ეს იყო გასული წლის აგვისტოში. დიდხელ გაიხარეს სტუმარ-მასპინძლებმა ამ შეხვედრით. ისინი საუბრობდნენ უქნობ მეგობრობაზე, შრომაზე, მწერლობაზე...

ტარიელ ხავთასი
მე მწვანე ტალღებზე

მწერალი ხშირად იღებს წერილებს ვივი წითლისაგან, რომელიც საამაყო კოლმეურს აცნობს ნატანებელთა შრომით მიღწევებს. არც მ. შოლოხოვი ივიწყებს თავის კოლმეურნეობას; ულოცავს მას წარმატებებს და ახალი შრომითი გამარჯვებებისაკენ მოუწოდებს. იწერება შემოქმედებით გეგმებზე, ამ გეგმაშია ქართველ მშრომელებზე, ქართველ მეჩაიებზე მხატვრულ ნაწარმოების შექმნის სურვილიც...

და განა მართო მიხილ შოლოხოვი აღუფრთოვანებია ნატანებელ კოლმეურნეებს? გერმანელი თუ ფრანგი, ინგლისელი თუ რუმინელი, ამერიკელი თუ ინდოელი, ჩემი თუ აზიის... უცხო ქვეყნების ასზე მეტი დელეგაცია სწევია სოფელს და ყველა მათგანი მოხიბლულა ამ შესანიშნავი სოფლის წარმატებით ბუნებით, მისი ეკონომიკით, კოლმეურნეთა მაღალი მატერიალური და კულტურული დონით, სტუმართმოყვარეობით, გონებამახვილობითა და იუმორით. სოფელში ორასზე მეტი უმაღლესდამთავრებულია. აქ თარჯიმანი იშვიათად რომელიმე დელეგაციას დასჭირდეს, ამ მხრივ არც ვივია გამონაკლისი. როცა ამ ორიოდ წლის წინათ გერმანელ სტუმრებს მასპინძლობდა, გოეთეს სამშობლოს წარმომადგენლები ატაკებთ უსმენდენ სოფლის თავიკაცს, რომელიც მათ მოზოლიურ ენაზე მოუთხრობდა ამა მართო სოფლის მეურნეობის საკითხებზე და მისი განვითარების გზებზე, არამედ აცნობდა საქართველოს ისტორიას, მისი ლიტერატურისა და კულტურის მიღწევებს...

ოთახში ამირან პატარავა შემოვიდა. იგი კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანია. განათლებით ავრონომი. უკვე რვა წელია, რაც პარტიულ კომიტეტს ხელმძღვანელობს. ადრე კომკავშირის კომიტეტის მდივანდ უმუშავანია. მრავალი კარგი საქმის წამომწყები და მოთავეა ეს ენერგიული, მაღალი, მოხდენილი გარეგნობის შავგვრემანი კაცი.

ძნწი მოსაუბრეა ამირანი, საუბრობს მხოლოდ საქმეზე. სულ მუდამ ფუსფუსებს, რაღაცას აკეთებს, ყველგან ასწრებს, ვიღაცას ურეკავს. ვიღაცას აფრთხილებს, ვიღაცას მოუწოდებს, აქებს...

კოლმეურნეობაში 219 კომუნისტი და 7 კანდიდატი. მუშაობს ოცი საბრძოლვეო პარტიული ორგანიზაცია, 26 ბრიგადიდან 24 ბრიგადირი კომუნისტია, მათ შორის 18 — უმაღლესი განათლების მქონეა.

კოლმეურნეობაში კარგად არის დაყენებული პარტიული სწავლების საკითხი. მუშაობს მარქსიზმ-ლენინიზმის შემსწავლელი 5 სკოლა, პოლიტიკური ეკონომიის შემსწავლელი სემინარი, რომელშიც 160-ზე მეტი მსმენელია გაერთიანებული; მაღალ დონეზე დგას სააგიტაციო-მასობრივი მუშაობა. მომზადებულად ატარებენ საუბრებს აგიტატორები, პოლიტიმფორმატორები და ლექტორ-მომხსენებლები. ყველგან,

ყველა უბანზე ივრძნობა კომუნისტების განვადული როლი. თავიანთი პირადი შრომითი მაგალითის ნიმუშს აჩვენებენ უბანებში მანაგებს კომუნისტები — შურა კვიციანი, ნორა მიმინოშვილი, ლამარა პერტია და მრავალი სხვა.

ყოველივე ეს კი შენი დამსახურებაცაა ჩემო ამირან. ვიცი არ ვიყვარს ქება და თავის გამოჩენა, მაგრამ ეს ასეა...



მზე უკვე კარგა ხნის ჩასული იყო, როცა თავმჯდომარის კაბინეტიდან ქუჩაში გამოვიდით. საღამოს ბინდი წვებოდა. გრილი, საამონიავ ყვავილებსა და ნაძვის ტოტებს ეალერსებოდა. შორიდან მანქანის გუგუნის ხმა მოიხსმა, რომელიც ტკბილმა გუნდურმა სიღერამ დაფარა. მალე ჩავვიჭროლა ამღერებულმა ავტობუსებმა. მეჩაიეები პლანტაციებიდან ბრუნდებოდნენ, პილის ქუდებს აფრიალებდნენ. რა სილად და სიხალისე იყო მათ ხმაში! მიმჭროლ მანქანებს თვალს ვავაყოფე, რაღაც უცნაური გრძნობა დამეუფლა: თან მიხაროდა, თანაც საღდაც გულის კუნტულში ვნანობდი, რომ იმ დროს მათ შორის არ ვიყავი, არ ვიყავი იმ კონთაგარს მიკებთან და ეშხიან გოგონებთან, რომელთა ვანმრთელი სახეები, ზარივით წკრიალა ხმები სიცოცხლესა და სიხალისეს მატებდა ყველაფერს. წამით თვალები დავხუქე და წარმოდგენაში ვავაიოცხლე ის დღე.

იმ დღეს დილიდან გადაუღებლად წვიმდა. თავმჯდომარეს და პარტორგანიზაციის მდივანს ოთახში გული არ უდგებოდათ. ლაზადები წამოვიხსით და პლანტაციებისაკენ გავეშურეთ.

და რაც პლანტაციაში ვნახე არ იყო სასწაულის აღმოჩენა, ის არც მოჩვენებითი თავდადება იყო. ის იყო ჭეშმარიტი სიყვარული, რწმენა, საქმეში ჩადებული დიდი ადამიანური გული. გული, რომელიც გონებასთან არის შეთანხმებული და ორთავე ერთად სასარგებლო, სახალხო საქმეს აკეთებს. სხვანაირად არც შეიძლება მეფიქრა, როცა იმ თავსხმა წვიმაში პლანტაციებში მეჩაიეები დაინახე, რომლებიც მშვიდად, თითქოს აქ არაფერიოთ გამალეებით კრფდნენ შემოსულ ფთობას.

მასპინძლებს გადავხედე. მკვრივ ორთავეს ძალუმად უტევიდა. ვგრძნობდი უხაროდათ, ამაცობდნენ. და განა არ იყო საამაყო? ვერც ერთი ხელმძღვანელი ვერ განახორციელებს დასახულ გეგმას, თუ კი მის გვერდით არა დგას კოლექტივი. მაგრამ ვერც კოლექტივი მოიპოვებს გამარჯვებას, თუ მას ხელმძღვანელად არა ჰყავს უნარიანი ორგანიზატორი. ნატანების კოლმეურნეობაში ეს ორთავე მხარე კარგა ხანია შეესისხლხორცა ერთმანეთს...

წვიმამ გადაიღო. მეჩაიეებმა ტემპს უმატეს.

მთებს გადმოვვლო ქარი უბელო,
(მზეს ჭერ სარკმელი არ გაუღია)?
რა დროს წვიმაა, შავო ღრუბელო,
გახურებული შრომის ბუღია.
ვისღა აწინებს წვიმის მუქარა,
შავთვალა გოგოს ღიმილი მიწვევს;
სავსე გოდრების მწვანე ქარავანს
მოაქვს დოვლათი მადლიან მიწის.

ვინ არიან ეს მეჩაიეები? ისინი, რომლებიც ნატანების კოლმეურნეობის უფროსი თაობის 21 გმირს მხარში უდგანან და კეწმარითად შრომითი გმირობისა და სიმამაცის მაგალითს იძლევიან! მათი რიცხვი ძალიან დიდია. ზუსტად ვერც დაასახელებთ, რადგან მოწინავეთა სახელებს ყოველ დღე ემატება ახალი, მოდის ახალი შევსება, უხვი მოსავლის ახალ-ახალი ოსტატები — მედეა სოსელია, მართა გოგუაძე, ირა ლეღეყვა, ეთერი რუსეიშვილი, გულნარა ჭყავანიძე, თინა თევზაძე, ქეთევან დლონტი და მრავალი სხვა.

ახალგაზრდობის პრობლემა სოფელში დღეს საერთოდ აქტუალური პრობლემაა. მან ასახვა პპოვა მხატვრულ ლიტერატურაში, თეატრში და კინოში. მაგრამ პრობლემა მაინც ძალაში რჩება და უფრო და უფრო აქტუალური ხდება. ამ მხრივ ნატანები ბედნიერ უმცირესობათა რიცხვს ეკუთვნის. კოლმეურნეობაში არ არსებობს ბრიგადა, რგოლი თუ უბანი, სადაც მოწინავეთა რიგებში არ იდგეს „ახალგაზრდობა — მომავლის დღეთა იმედის ტალღა ხალისიანია“. ამიტომაც ახე ამაყად უქირავს თავი ნატანების კომკავშირის კომიტეტის მდივანს რევაზ გობრონიძეს. მან წელს დაამთავრა უნივერსიტეტი და ისევ შშობლიურ სოფელს დაუბრუნდა. ენერჯული და საქმიანი ჭაბუკი, ახალგაზრდებმა თავიანთ წინამძღოლად აირჩიეს. აეწყო მუშაობა, გაიშალა შეჯიბრებები, გაიზარდა ახალგაზრდულ რგოლთა რიცხვი.

— ჩვენს კომკავშირულ ორგანიზაციაში, — ჰყვება რევაზი, — 305 კომკავშირელია გაერთიანებული. მუშაობს 14 საბრიგადო პირველადი კომკავშირული ორგანიზაცია, 10 მეჩაიეთა და 1 მესამინდეთა კომკავშირული რგოლი.

ნატანებელი მშრომელი ახალგაზრდობა სამართლიანად ამაყობს მოწინავე კომკავშირელებით, რომელთა თავდადებული შრომით იზარდება ჩვენი სოფლის ხეავი და ბარაქა.

მოწინავეთა შორის არის ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის მესამე კურსის სტუდენტი, კომკავშირული რგოლის ხელმძღვანელი ლეილა ჩხარტიშვილი, ნინელი ცენტრაძე, ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის მეორე კურსის სტუდენტი ციური ქილიფთარი, რომელმაც წელს სარეკორდო მაჩვენებელს მიაღწია — 2500 კილოგრამის ნაცვლად მოკრიფა 5000 კგ. ჩაის ხარისხიანი ფოთოლი.

— სვეტლანა ნიკოლაიშვილი ხომ არ დაგაგაწყდათ? — შევაწყვეტინე სიტყვა რევაზს.
რას ამბობთ, — იწყინა მან, — სვეტლანა ხომ ჩვენი სიამაყეა. — წამით შეჩერდეს რევაზს გახედა, მერე გაიღიმა და განაგრძო. — აგერ, სვეტლანა მოდის, თვითონ გვითხრას ორიოდე სიტყვა.

მართლაც მალე მოვიდა სვეტლანა. მოვიდა და მოიტანა ქალური სინაზე, ეშხი და მიმზიდველობა. მის კარგ გარეგნობას აშვენებს ქვიანი თვალები. ლამაზი მიხრა-მოხრა, სათნო ღიმილი.

სახელოვანი მეჩაიე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, შრომის წითელი დროშის ორდენოსანი, მოკრძალებით მიესალმა მდივანს. რევაზმა გამაცნო იგი და ვიგარძენი ქალიშვილს სადაც მიეჩქარებოდა.

— ხომ არ გავვიანებთ? — ვკითხე და რევაზს გადავხედე.

— არა, რას ამბობთ, არც ისე. — დამორცხება მან და ხმადაბლა ჩაილაპარაკა:

— პატივცემული ვიგი მინდოდა მენახა, ყუზახეთში ვარ მიწვეული რესპუბლიკის 50 წლისათვის სთიუბლეო ზეიმზე მონაწილეობის მისაღებად და... მაგრამ ეგ რა სათქმელია, სტუმარი ბრძანდებით, ოჯახში ვისაუბროთ. — გულწრფელად მიგვიპატიეთა მან და რევაზს ანიშნა მხარი დამიჭიროე.

სვეტლანას მადლობა გადაუხადე შემოთავაზებული მასპინძლობისათვის და ვთხოვე მოკლედ ეამნა მის საქმიანობაზე და მომავალ გეგმებზე.

— ჩაი, მისი მარადმწვანე ბუჩქები, ჩემმა უფროსმა დამ ერთ დროს მოწინავე მეჩაიემ ეთერიმ შემაყვარა..

მასთვის პირველი ნაბიჯები, პირველი წარმატებები ყველაზე მეტად ეთერის უხაროდა, ჩემზე გაპიროვნებულ პლანტაციაზე რომ წინა წლებთან შედარებით მეტი მოსავალი ავიღე. ტონებს ტონები ემატებოდა, მე კი — რწმენა, ახალ-ახალი გამარჯვებების იმედი. და როცა ჩემი დაი სხვა რაიონში გათხოვდა, რგოლის წევრებმა რგოლის ხელმძღვანელად მე ამირჩიეს. აქამად რგოლში ათნი ვართ. მე პირადად ოთხის ნაცვლად ხუთი ტონა მოკრიფე, მაგრამ მიღწეულით როდი ვკმაყოფილდები...



ღლით ძლიეს მივესწარი ვივის, — გზის მშენებლობის დასაოჯღიერებლად მიდიოდა. მანქანამ კურსი უტრეკისაკენ აიღო, მერე მარჯვნივ გადაუხვია და ციტრუსების ზღაპრულ ხეივანში ვერცხლის ზოლივით გაყვანილ გზაზე მსუბუქად გასრიალდა.

ტარიელ ხაშთასი
მზე მწვანე ტალღებზე

განიერ არხს გადავეკვლეთ. — ეს ხელოვნური არხია, ჭაობის დასაშრობად გაიყვანათ. — მეუბნება გვი.

მართლაც, რამდენიმე კილომეტრზეა გაყვანილი ეს არხი — ჭაობისა და მალარიის სამარე.

არხის ნაპირებზე ტოტებდახუნძლული, სიციხლით ვალადებული მანდარინის, ლიმონის და ფორთოხლის ბაღებია გაშენებული.

„აქ ახეა.

მაღე აშრიადდება

ფორთოხლის

და ლიმონის ბაღები,

დაიქროლებს

სიო ჩენი შავი ზღვის

და პალმების

აიწვეა თაღები...“

გამახსენდა ვალაკტიონის სტრიქონები.

მივდივართ ციტრუსების ხეივანში და აღფრთოვანებას ვერ ვშალავ, რა სილამაზეა, რა სიუხვეა! მაგონდება გვიის ნაამბობი, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ამოდენა სოფელში აქა-იქ თუ ნახავდით მანდარინის და ლიმონის ნარგავსო. ახლა კი... ეს ყოველივე შენ შექმენი ადამიანო, შენმა გონებამ, შენმა შრომამ, შენმა მარჯვენამ ააყვავა ეს ნაჭობარო. მაგრამ შექმნილსაც ხომ მოვლა-პატრონობა უნდა? ესეც კარგად იცი შენ — მიწის სიყვარულით ვალადებული, წელში გამართული გლეხაკოსი..

დროულად იქნა დაჭერილი თადარიგი. კოლმეურნეობის გამგეობამ ციტრუსოვანთა მოვლის მდგომარეობას სპეციალური სხდომაც კი მიუძღვნა.

გაჩაღდა მუშაობა. მეციტრუსებმა ყოველი ღონე იხმარეს მოსავლის შენარჩუნებისა და და მისი უდანაქარგოდ აღების პირობების მოსამზადებლად.

მოწინავე მეციტრუსები: ტიტე მენაბდე, ნიკოლოზ ქინქლაძე, ანტონ ცენტრაძე, მიხეილ კილაძე, მამია ნადირაძე უხვი მოსავლის მოლოდინში სიხარულით თავს დასტრიალებენ თავიანთ ბაღებს.

ყველაზე მეტად ბესარიონ ფერაძე ხარობს. 4 ჰექტარი ფართობიდან 30 ტონა მანდარინს, 3 ტონა ფორთოხალსა და 30000 ცალ ლიმონს ელოდება. მაგრამ ეს ლოდინი როდია ლოდინი ზარმაცი კაცისა, რომელიც მზესა და ამინდს შეჰყურებს და ბუნებისაგან მზამზარეულად ნაწყალობებზე ოცნებობს. ბესარიონი თავის შრომისა და გარჯის სანაცვლოს ელოდება. არც მეტი და არც ნაკლები. ბუნებისაგან საწყალობელი რა სჭირს — ბუნებასთან მოუღლეული მკლავებით შერკინებულ გლეხაკას!..

სახელდახლოდ ვაშლილ სუფრას შევუკრუსხედით. ხუთნი ვიყავით, მაგრამ თქვენ უფრო ვიარჩევია. იმ დღეს საამისო დროს სუფრაზე მცა სუფრას სახელდახლო ვერქვა, მაგრამ მას ქართული წესის მიხედვით მართლაც რომ არაფერი აკლდა. ჩემდა უნებლიე ბაშკირი მწერლის რამიმ ზაქიმოვის სიტყვები მომავინდა საქართველოზე დაწერილი „ათი სადღეგრძელოდან“: „საქართველოში სუფრა — ეს სახალხო სიმდიდრის მართო სარკე როდია. აქ ბუნებრივი პირობებიც და თითონ მასპინძლობის წყობაც შესანიშნავად უზასუხებს, იდეალური სამზარეულოს მითხოვენებს, და თითქოს თვითონ ქართული ხასიათიც შექმნილია იმისათვის, რომ აუცილებლად გამოვლინდეს სუფრასთან...“

მომავინდა და ჰყინტ სულუფრესა და ახლად შემოტანილი ცვირან მწველს თვალი შევაკვამერე გვიის მივებრუნდი და ხუმრობით ვუთხარი:

— საკუთარი თვალითაც რომ არ ვნახო, ვგარძნობ რა მალალ დონეზეა თქვენთან მესაქონლეობა.

— ასე აფასებ ჩვენი მეცხოველების შრომას? ხუმრობითვე მომიგო მან და ნატანებული მშრომელების სადღეგრძელო შემოგთავაზა... — მწვადი რა სათქმელია, ჩემო გვიე. ამა ვის მოუვა აზრად არ დააფასოს გარჯილობა ძველი, გამოცდილი მწველავის ალექსანდრე ცვირტინიძისა, რომელმაც წელს 18000 ლიტრი რძე მიიღო. ან ვის არ გაახარებს მოწინავე მწველავების ანა კიტასი, ვენია კოსენკოვას, ბორის გაბედავას, სონია ბუთბუზის, ნინა ჩერემენცევასა და სხვათა სასახელო შრომითი საქმეები.

გაცხოველებული მუშაობა მიდის საჭიშე პირუტყვის შენობის რემონტის დროულად დამთავრებისათვის, ქაბურღილიდან ფერაშაში სუფრა და წყლის შეყვანისათვის, სანაშენო ბირთვის შესაქმნელად და მოზარდი პირუტყვის გამოსაზამთრებლად კეთილმოწყობილი სადგომის აღდგენისათვის... —

სიმიინდის ყანაში კომბანიი დასრიალდება, ევება პირით სიმიინდის ნედლ ღეროებს ნთქავდა და სასილოხე კოშკში ჩასადებ მწვენი მასას ახვებდა.

— როცა ტრაქტორებსა და კომბაინებს ვუყურებ, მაგონდება ჩვენი სოფლის არცთუ ისე შორეული წარსული. კოლექტივიზაციის განხორციელებისას არტელის საკუთრებას 36 ცხენა და რამდენიმე წყვილი ხარკამეჩი შეადგენდა. მოხუცებს ახლაც ახსოვთ სოფელში პირველი ტრაქტორის გამოჩენა. არნახული ზემი და სიხარული იყო. ახალგეზადგმულ ნატანების კოლმეურნეობას მთავრობამ ტრაქტორი აჩუქა. მის შემოყვანას თვით ფილოპე მახარაძე დასწრებია. მას შემდეგ აგერ ორმოცი წელი გავიდა. ახლა

ჩვენს პლანტაციებში, ყანებსა თუ ბაღებში 34 ტრაქტორი და კომბაინი ტრიალებს, მათ შორისა ორი ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველო“, 24 სატივითო ავტობუსი თუ მსუბუქი მანქანა ემსახურება კოლმეურნეებს მოსავლის დროულად დაბინავების საქმეში.

— მექანიზაცია დიდად ეხმარება სოფელს — განავრცობს ამირან პატარავა, — მოწინავე მექანიზატორებს შორის სწორედ კომუნისტები არიან: გივი მენაბდე, ანზორ ხომერაძე, აბესალომ ტულუში, მამია გოგობრიშვილი, რომელთა მხარდაშია სამავალიო მიჩვენებლები აქვთ უპარტიო ამხანაგებს — ვასილ ჩხარტიშვილს, გიორგი გობრონიძეს, ცოლქმარ დონარა და შოთა მახარაძეებს, რომლებმაც წელს 12 ტონა ხარისხოვანი ჩაი მოკრიფეს „საქართველო“.

კულტურის სახლიდან მუსიკის საამო ჰანგები გამოდიოდა. ეზო თანდათანობით ივსებოდა ხალხით. მზიარულობდნენ, ხალისობდნენ ახალგაზრდები. ხანდაზმულები ჭგუფ-ჭგუფად იდგნენ და მზადებლა საუბრობდნენ, ახარებდათ მათი შეილები და შეილიშვილების ბედნიერი აწმყო და სათელი მომავალი.

— განა მართო შრომა ვითო ნატანებზე? — თავის დროზე არც ვითობას ვეიწყებო, ამისათვის აქ ყველა პირობა შექმნილი, — სიამაყით ამბობს გივი და მაცნობს თუ რა გაკეთდა სოფელში მშრომელთა კულტურული ვართობისა და დასვენებისათვის.

— ჩვენი კულტურის სახლი 800 ადგილიანია — განავრცობს იგი, — გვაქვს სამი კინოდანადგარი, მათ შორის ერთი ფართოეკრანიანი, მეშაობს სამი ბიბლიოთეკა, რომელთა საერთო წიგნადი ფონდი 70 000 ეგზემპლარს შეადგენს. სოფელში გამოდის მრავალტირაჟიანი გაზეთი „ნატანებელი კოლმეურნი“. კოლმეურნეობაში ყოველ დღე მოდის 120 დასახელების 11 000 ცალი ქურნალ-გაზეთი. საბჭოთა პერიოდიკაზე რომ არაფერი ვუქვით, მასში ბევრია უცხოური პერიოდული გამოცემები. გვაქვს საკუთარი რადიოცენტრი. რაიონში პოპულარობით სარგებლობს ჩვენი სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, მუშაობს კინომოყვარულთა წრე. შექმნილია ფილმი ნატანებისა და სომხეთის სსრ ოქტომბერიანის რაიონის ნალბანდიანის სახელობის კოლმეურნეთა შორის მეგობრობასა და სოციალისტურ შეჯიბრებაზე. სხვათა შორის ჩვენ ვაცეკვალეთ მეგობრობის დროები და მას ყოველი წლის ბოლოს გადავცემთ ხოლმე ბრიგადებს შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ ბრიგადას.

არც საპორტში მოვიკოტლებთ. ჩვენი სოფლის წარგზავნილებს არაერთხელ უსახელებიათ თავი რაიონულ და რესპუბლიკურ შეჯიბრებებზე.

კოლმეურნეობაში ფიზკულტურის კომიტეტს

სათავეში უდგას ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი ომარ ზოიძე, რომლის აღზრდილებმა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს მიძღვნულ საიუბილეო სპარტაკიადაში მონაწილეობის მიზნით 8 სახიდან 5 პირველი ადგილი და სპარტაკიადის ჩემპიონის საპატიო წოდება მოიპოვეს. ეს გამარჯვება დაავიკრივინა ფეხბურთში მოპოვებულმა გარდამავალმა თასმა...

დღეს მართლაც დღეს ნატანებში შინაარსიანი, მამდილი შემოქმედებითი ცხოვრება. სოფელში ბევრს ახსოვს ახალი ცხოვრების მსუწყვეტლი გარიჟრაჟი. თმდათოვლილი ბერიკაცები ხშირად იკრებიან ხოლმე და ერთმანეთს მესაუკურო უშლიან წარსულის მოგონებების მღელვარე ფურცლებს. იგონებენ და ტკბილად ელიმებათ, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდა. მაშინ ვინ წამოიდგენდა, რომ გაუვალ ტყვითა და ქობით დაფარული სოფელი ბალნარად გადაიქცეოდა, ახალ ამბებს მოიტანდა ვაზეთი და რადიო, აინთებოდა ტელევიზიის ცისფერი ეკრანები, კვარსა და ლამფას ელნათურები შეეცვლიდა, ბუხარსა და შუაეცხლს „პენსიაში“ გაუშვებდა გაზის ლუმები, იმუშავებდა ტელეფონი, წამოიჭიმებოდა ორსართოლიანი სახლები, სოფელში გამარჯვდებოდა ექიმები, ინჟინრები, აგრონომები, მასწავლებლები. უბრალო გლეხის შვილები გმირები, ორდენოსნები გახდებოდნენ და საბჭოთა პარლამენტში აირჩეოდნენ, ატლახებულ ბილიკებს ასფალტირებული ქუჩები შესცვლიდა, რომელთადაც კრილა ავტომანქანები იჭროლებდნენ. არა, ამის წარმოდგენა მათ მაშინ მართლაც არ შეეძლოთ. არ შეეძლოთ, მაგრამ ქვეშეცნეულად გრძობდნენ დიად მომავალს, რომელიც ბრძოლის გარეშე, თავისით არ მოვიდოდა. და ნატანებშიც ჩაებნენ უსამართლობისა და სიბნელის წინააღმდეგ გაჩაღებულ ბრძოლაში... ამ ბრძოლის მონაწილე, მეღქის ნადირაძეც, რომლის ამბოხი სული ვერ ურიგდებოდა ჩავრასა და უსამართლობას. იგი ჯერ ბათუმში, შემდეგ კი ნატანებში ასრულებდა პარტიის მრავალ რთულ დავალებას, პარტიისა, რომლის წევრიც 1917 წლიდან არის. მეღქისის გვერდით იყვნენ ივანე გობრონიძე, მოსე ბაჭელიძე, ებიფანე გოგობრიშვილი, გერასიმე გობრონიძე, მელიტონ მუჭირი და სხვები, ისინიც, რომლებიც ამ ბრძოლას შეეწირნენ, მაგრამ უცვადებმა დაიმკვიდრეს.

76 წლისა ახლა მეღქისი. სამამულო ომის მძიმე წლებში ისიც ქაბუკური შემართებით იბრძოდა ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგომ გადაახდელი ისევე სოფელს დაუბრუნდა და საკოლმეურნეო შრომის ფერხულში ჩაება. საბ-

ტარიელ ხაშთაძე
მზე მშვანი ბრალდება

კოთა მთავრობამ მაღალი შეფასება მისცა მის თვადღებას. ამაზე მეტყველებს შრომის წითელი დროშის ორდენი და მედლები, რომლებიც მეღმისის მკერდს ამშვენებენ. ახლა უზომოდ ბედნიერია წელთა სიმრავლით დატვირთული გლეხკაცი, ხარობს სანტარო აწმყოთი და უკეთესი მომავლის იმედით.

როცა მესამე ბრიგადიდან ვბრუნდებოდით, გვი ფიჭვებითა და ნაძვებით დამშვენებულ ბორცვთან შეჩერდა.

— ეს ბორცვი ამ ბრიგადიდან სამამულო ომში დაღუპულთა სახელზეა გაშენებული. — მითხრა გვიმ და ბილიკს ზევით აყვავით. 18 კაცის ხსოვნის ინახავს ეს უწმინდესი ადგილი, სადაც შეუწყვეტილი ანთია მარადიული ცეცხლი. აქ იერიზებთან ჭირისუფლები, იგონებენ შვილებს, მამებს, ძმებს, ოცნებაში ესაუბრებიან მათ აჩრდილებს.

ომში დაცემულთა მოსაგონარი ყოველ ბრიგადშია გავითებული. „17 ძმა და ორი და“ — ასეთი წარწერა აქვს მათე ბრიგადის შინმოუსვლელთა ხეივნის შესასვლელს.

როცა ფაშისტური გერმანია თავს დაესხა ჩვენს სამშობლოს, უფროს დას უმცროსი და — 10 წლის გოგონა თავისთან ჰყავდა უკრაინაში წაყვანილი. მეთაურის მეუღლეს ცალკე მოწინავე ხაზზე მებრძოლი ქმრის ბედი აწუხებდა, ცალკე — გოგონასი. გოგონამ რა იცოდა, მის ირგვლივ რა ხდებოდა, ომი ომბანას თამაში ეგონა. ან როგორ წარმოიღვინდა თუ გამხეცებული ფაშისტი არც დიდს დაინდობდა და არც პატარას.

შუალამისას გოგონა ხმაურმა გამოაღვიძა, ნახევრად ჩანთლებულ ოთახში გერმანელი ჯარისკაცები დაბორილებდნენ, ყველაფერს ამტრევენდნენ, თავდაყირა აყენებდნენ.

ბავშვი ზეზე წამოიჭრა, შეშინებული თვალებით დას დაუწყობა ძენა. და კი იატაკზე ეგდო და სისხლში ცურავდა. მას თავი ადგა ფაშისტი, რომელიც სისხლში ვასვრილ ხელებს გვამის შემოფლეთილ კაბაზე იწმინდდა: მეთაურის მეუღლისაგან ქმრის ასავალ-დასავალი და სამხედრო საიდუმლოება რომ ვერ გაიგეს, მთლად გამხეცდნენ. გოგონამ ერთი მწარედ შეჰკივლა, ტახტიდან მკვირცხლად გადმოხტა, ფაშისტს მივარდა და ჩვილი თითები ყელზე შემოუჭირა, კბილები ბეჭში ჩაასო და ფეხების ცემა დაუწყა. მკვლელი გაშმაგდა, მაგრამ ბავშვი ვერ მოიცილა. სულშეხუთული, თვალებგადმოკარკლული ჯალათის ხელში რევოლვერმა გათელვა და წამში ყველაფერს წერტილი დაესვა. გოგონას რძეშეუშრობი ტუჩებიდან გადმოღვრილი თბილი სისხლი იატაკზე წვეთ-წვეთად იღვრებოდა...

ნატანებელი ორი დის — გობრონიცების გმირული სიკვდილის ამბავი დღესაც ლეგენდასავით დადის სოფელში.

გმირობისა და სამშობლოსათვის თავდადების სამსამდე ლეგენდა დაწერა დიდმა სამამულო ომმა ნატანებელ ვაჟკაცებზე. სამასი ახალგაზრდის ნაცვლად სოფელში მხოლოდ ლეგენდები დაბრუნდნენ. და როცა კოლმეურნეობის კანტორის ვესტიბულში შედიხართ, არ შეიძება გული არ შეგიტოკდეთ, არ შეჩერდეთ და. კედლებიდან მზირალ ახალუღვაშებშეღინდლული ჭაბუკების სურათებს სინანულით არ შეხედოთ. უნ იცის რამდენი ფიქრი, ოცნება, პირველი უნაზესი სიყვარული შეწყვიტა მტარავლის დაუნდობელმა ტყვიამ.

მიცვალბულები ჩვენს მეხსიერებაში, ხსოვნაში ისეთივენი რჩებიან, როგორებიც გამოშვებობებისას გვახსოვს. სურათები უძლვებენ წელთა სიმრავლეს. შეიცვლებიან თაობები, მაგრამ ის ანთებული, იმედინი თვალები, სახეები, დარჩებიან უტკეფენი. ჭეშმარიტად, ჭაბუკები დარჩენ მარად!

„სამარადისო დიდება გმირებს...
გმირების ხსოვნას კი
ნათელი ემატოს,
არ მოკვდეს არახდროს
და აღარახოდეს!
იხინი,
რომელნიც ვერ მოკვლენ ვერახდროს...“

ზარივით ჩამქმის ეს სტრეიტონები.
და განა მარტო სურათებში ცოცხლობენ ადრე წასულთა ფიქრები? მათი ფიქრები შრიბლებს ციტრუსოვანთა 300 ნარგავში, რომელნიც ნატანებში შინმოუსვლელთა მოსაგონრად გააშენეს. ყოველ მათგანს საკუთარი სახელი უქვია. რამდენ ტკივლას და სევდას იტანს ეს უბოღველი მცენარეები, ამავე დროს რამხელა სიყვარული, იმედი და რწმენაა ყოველ მათგანში. ახლა სრულ მოსავალს იძლევა ეს ბაღი-სავანე. მის მოსავალს აქვს თავისი მისამართი, თავისი გზა. იგი სწორედ მათი ოჯახების კეთილდღეობას ხმარდობა, რომელთა უკვდავების ძეგლადაც ეს ბაღი შრიბლებს...

დილაა. სიმწვანეში ჩაფლული ნატანები ხმაურით იღვიძებს. აგვისტოს მცხუნვარე მზე ნელა მიიწევს ზევით და სირმებლ ჩამოშლილი უთვალავი ოქროსფერი სხივებით თავისკენ იზიდავს ნატერის სუფრასავით გაშლილ სოფელს. აკრიალდა ჭიშკრები, აგუგუნდა ტრაქტორები და ავტომანქანები. ზღვასავით მღელვარე ჩაის მწვანე ტალღებზე შეფრქვეულ ნამის მზარგალიტებს მზე ათასფრად აელვარებს.

მოდინ მეჩაიეები. ახალ-ახალი ტონები ემატება დედა-სამშობლოს ხევსა და ბარაქას...

გივი აივანზე დგას და სივრცეს გაჰყურებს. ხან შემობრუნდება, მაგიდაზე დატოვებულ შვილიშვილის სურათს გადახედავს და გაუღიმებს. სულში სიხარული თავლის წვეთებივით ეღვრება.

შვილების სიყვარული დამავიწყდაო, იტყვის ხოლმე, როცა პატარა მოაგონდება და ისევ სურათს დახედავს. ორი ვაჟკაცის მამაა გივი. ერთ-მა უკვე მოასწრო გულისტოლის არჩევა. ისედაც ბედნიერ ოჯახში ბედნიერების ახალი ნაპერწკალი აინთო. ორი წელია უკვე, რაც გივიმ ბაბუას დარბაისლური ქუდი მოირგო.

ხელში აიტაცებს პატარას და მეუღლეს ალერსით გადახედავს. წლებს მათი ტკბილი, მეგობ-

ბრული უღლისათვის სიყვარულის და ერთგულების ნამცეცხე ვერ წაურთმევია. ფუტკარივით დასტრიალებს ოჯახს დიასახლისი, ქალბატონი ნუნუ. სტუმრებისათვის მუდამ ღიაა მისი ოჯახის კარები. და გიყვარდეთ, მასპინძლობაც სანაქებო იცის...

მხარში უდგას მეუღლეს და ერთგულად ეწევა სიყვარულით შექმნილი ოჯახის ძნელ, მაგრამ სასიამოვნო ჭაბანს. განა მართო ორი შვილის აღზრდელია ნუნუ? მას, როგორც პედაგოგს მომავალი, თაობის აღზრდის საქმეში თავისი მოკრძალებული წვლილიც შეუტანია...

გივიმ საათს დახედა. მერე რაღაცა მოაგონდა. პიჯაკი ჩაიცვა და გარეთ გამოვიდა. თავაწეული მიაბიჯებს მოსფალტებულ ქუჩაში და განიერი მკერდით მიარღვევს გამჭვირვალე ჰაერის უჩინარ ღობეს...



ბიოგრაფიკა

როცა თენდებოდა

ღამდებოდა თბილისში. ბინდ-ბუნდში თანდათან იკარგებოდა დღის სინათლე. მეწაღე ექვთიმე სვანიძემ, რომლის სახელოსნოც საბჭოს ქუჩაზე, ყოფილი სასულიერო სასწავლებლის გვერდით მდებარეობდა, სანთელი აანთო.

— ასე. კიდევ ერთი შაბათიც მიილა, დათო. — მიმართა იქვე მდგომ თავის შეგირდს, — ჩამოთრბინე ერთი დავით დვალიშვილს, მენავთე გიგო მარცვალაძეს, ღურგალ ანტონს და ჩვენი „გოროდოვოი“ კუროპატკინიც მოინახულე.

ცამეტი წლის დათიყო ყოველ შაბათს ჩამოვიღოდა ნაცნობ ქუჩებს, თვალდახუჭული რომ ევლო, მაინც შეასრულებდა ოსტატის დავალებას.

— დათო! — გამოსძახა ექვთიმემ, — დაბრუნდი, ყელის ჩაასველებელიც დაგვპირდება.

დათიყო სახელოსნოში შებრუნდა. ექვთიმე მაგიდას ჩვრით წმენდდა გულმოდგინედ. მაგიდის წმენდა მიატოვა და კიბეში ხელი ჩაიყო. ქაღალდის მანეთიანები გადასცა ბიჭს.

— გასულ კვირას რაც მოხდა, ის რომ არ განმეორდეს, მოდი, მიიბრინე ჩუღურეთშიც, კულა გლდანელს ეს ფული მიეცე, დოქი წაიღე და ღვინო მოიტანე.

გასულ შაბათს დათიკომ შემოიბრინა ქალაქი და სახელოსნოში დაბრუნდა. შეგროვდნენ იატაკქვეშა ბოლშევიკური ორგანიზაციის წევრები, ფურულიც მოვიდა და დათიყო ვორონცოვის ხილთან სარდაფში ვაგზავნეს ღვინოს მოსატანად. ვიღრე დაბრუნდებოდა, კრება უკვე დამთავრებული იყო სახელოსნოში. არა, შემთხვევით მოხდა, დათო რომ კრებას ვერ დაესწრო. ნდობით კი ენდობოდნენ, უყვარდათ კიდევ ვერცხლისწყალივით მოძრავი ბიჭი. ის ხომ პარტიულ საიდუმლოს სპაოებით მალავდა, ყველა დაუალებას ხედშიწევნით ზუსტად ასრულებდა და ორგანიზაციის წევრებიც დიდად აფასებდნენ საიმედო შოკრებს.

აწითლებულმა, აქოშინებულმა დათომ ღვინით საცხე დოქით ხელში სახელოსნოს კარები შეაღო. გიგო, ანტონი და დავით დვალიშვილი მაგიდას შემოსხდომოდნენ. გურული ჭერ არ მოსულიყო. ის ხომ წესისამებრ სახელოსნოში ყველაზე გვიან მოდიოდა, თან მიჰქონდა ექვთიმესთან შესაკეთებელი ფეხსაცმელები, თვალი რომ აეხვია ქანდაკებისათვის.

— ჩვენი მერცხალი მოფრინდა. — თქვა ექვთიმემ.

— იცოცხლე, შვილო. მარჯვე ბიჭი ხარ და იმიტომაც გვიყვარხარ. — დავით დვალიშვილმა თავის პატარა სეხნიას ალურსიანად შეხედა, — რომ ვმუშაობდე და ფული მქონდეს, ახლა კი გეკუთვნის კარგი საჩუქარი. არაგინ მენდობა, პოლიტიკურად არასაიმედო პიროვნება ხარო და სამუშაოს არ მაძლევენ.

— ნუ წუწუნებ, დათიკო. განათლებული კაცი ხარ და არ შეგეფერება. სულ ასე ხომ არ იქნება.. ჩვენთვისაც ამოვა მზე. — თქვა ღურგალმა ანტონმა.

— როდისდა, ჩემო ანტონ, როდისდა. — დაინივლა მოხუცმა გიგო მარცვალაძემ, — ორი შვილი მყავდა და ერთი ქანდაკებია ჩამოახრჩო, მეორეც ციმბირში გაასახლეს, საცხოვრებელი სახლი წამართვეს და ცისქვეშ დამაგდეს. დიდი თხოვნის შემდეგ ძლივს მომცეს თუმანიანის ქუჩაზე პატარა ნესტიანი სარდაფი ჩემი ცოლისა, რძლისა და შვილიშვილების თავშესაფარად. იქვე ნათეს ვყიდი და ძლივს ვშოულობ დღიურ ლუკმას.

ექვთიმემ მაგიდაზე ჭიქები ჩამოარიგა, გახმაბრი პურის ნატუხები, ცოტა ყველი და მწვანელიც დააწყო ღვინოზე დასაყოლებლად, ჭიქები შავი ღვინით აავსო. ჩექმების ბრაზუნით სახელოსნოს მოადგა „გოროდოვოი“ კუროპატკინი, კარები შემოაღო და ოთახში შემოაბიჯა.

— ქეიფობთ, ბიჭებო? — თქვა „გოროდოვოი“, — არ მცალია, რომ თქვენთან ვიჯდე ისე, კარგ დროს კი მოვედი. — ჭიქას ხელი

სტატა და გადაყურწა, მეორედ შეუვსეს და შესვა, მესამედაც შესვა და წასასვლელად შებრუნდა. — დიდხანს ნუ ვაგარძელებთო. — გაფთხოხილა შეკრებილინი.

— არ დაგვიწყდეს, თუ რაიმე საშიშროებას შენიშნავ, დასტვინე, ჩვენი შიკრიკი კარებთან იქნება, ვაგონებს და გავგაფთხოვლებს.

— ვიცი, ვიცი, ექვთიმეჯან. აჰა, წავედი პოსტზე.

კუროპატყინი ვავიდა თუ არა სახლიდან, გურულმაც მოაქაუნა კარებზე, ხელში შესაკეთებელი ფეხსაცმელები ეჭირა, სახე ვაფითრებულ იპქონდა.

— რა მოხდა, შეშინებული ჩანხარ.

— არაფერი. ქუჩის კუთხეში ვიდექი და დავინახე — სახელოსნოში რომ ქანდარში შემოვიდა. მეგონა — მორჩა, დავიღუპეთ-მეთქი. ჩვენი „გაოროდოვოი“ ყოფილა. ყოველთვის ასე უნდა გამიხეთქოს გული.

— „ნოში ვერ გიხსნის სიკვდილსა“, — მოაგონა რუსთაველი ღურგალმა ანტონმა მის გვერდით ჩამქდარ გურულს. — გვითხარი ახლა, რა ექნათ. როგორ ვუშველოთ ამ ჩვენს გასაქირს.

— ასე დიდხანს არ ვაგარძელება, — ხმადაბლა დაიწყო გურულმა, — მთელი რუსეთი ემზადება ცარიზმის წინააღმდეგ ახალი ბრძოლისათვის, მეფის ხელისუფლებით დასამზობად. განა მარტო მუშათა კლასია აღუღებელი, განა მარტო პროლეტარიატმა ვანიცადა რეაქციის სუსხი. მშრომელ გლეხობას მოთმინების ფილა აქვს ავსილი. საკმარისა ვაისმას ბრძოლის საყვირის ხმა, რომ ისიც მხარში ამოუღებება პროლეტარიატს.

დათიკო სახელოსნოს კარებში იდგა და თვალს ადევნებდა ქუჩაში გამვლულ-გამომვლულს, თანაც ყურს უგდებდა გაფაციცებით გურულის საუბარს. ყველაზე კარგად პატარა დათიკო იცნობდა გლეხთა მდგომარეობას. გადასახადების სიმძიმისაგან გლეხობა წელში წყდებოდა. საკომლო გადასახადს ერთნაირად იხდიდნენ მდიდრებიც და ღარიბებიც. ამას ემატებოდა ეკლესიის, მამისახლისისა და სხვა გადასახადები. ღარიბები იძულებული იყვნენ გაეყიდათ მიწა, ავეჯი, პირუტყვი, შენობა. თუ არ გაისტუმრებდნენ თავის ღროზე გადასახადს, ართვებდნენ, რაც კი რამ ვაჩანდათ. დათიკოს თვალწინ წარმოუდგა, როგორ დასაჯეს სტრაჯნიკებმა მისი პაპა ზურაბ ალიხანაშვილი გადასახადის გადაუხდელობისათვის. მათარაბებით სცემდნენ ოთხმოცი წლის მოხუცს, თავიდან. მთელი სხეულიდან სისხლი სდიოდა და როცა ვინც დაჯარა, ღრმა თოვლიან ხევში გადააგდეს. მეზობლები უტყერდნენ გზიდან, მაგრამ ეზოში შესვლა მოხუცის დასახმარებლად ვერავინ გაბედა. მაშინ დათიკო რვა წლის იყო. მოაგონდა თავისი მწარე ბავშვობა და თვალბა

აუწყლიანდა. მამამისი გრიგოლ ალიხანაშვილი მდიდრებთან მუშაობდა, 10-15 მანეთს აძლევდნენ თვეში, სულ იმის ფიქრში იყო, რომ ვინმე აეშენებინა საკუთარი ქოხი და ცოლ-შვილისათვის თავზე ჭერი დავხურებინა. მაგრამ ვერ შეძლო, დღიური ლუკმისათვისაც ძლივს ყოფნიდა ოჯახს მამის ნაშოვნი, სახლისათვის ფულს როგორღა შეაგროვებდა და იძულებული გახდა მდიდრისაგან — ქვრივ რიმა დავიღოვასაგან ორმოცი მანეთი ეესხა. ქვრივი ფულს ასესხებდა გლეხებში, რომ შემდეგ ორმაგად და სამმაგად გადაეხდებინა მათთვის. მამამ ააშენა ერთი ოთხი, ვალის დროულად გასტუმრება კი ვერ შეძლო. რიმა დავიღოვამ სასამართლოში უჩივლა და მამას დაეკისრა ორმოცი მანეთის გარდა 120 მანეთის გადახდა. წაართვეს დედისაგან მზობივეში მოყვანილი ერთადერთი მარჩენალი ძროხა, ორი დესტინა მიწა გადაეცა ოთხი წლის ვადით სარგებლობაში დავიღოვას და ამავე ხნის მანძილზე უნდა ემუშავა მამას დავიღოვას სასარგებლოდ. ბოლბა ყელში ჰქონდა მობეჭნილი, მაგრამ რას იზამდა, გამოსავალი სხვა არ იყო.

1905-1907 წლებში, რევოლუციის დამარცხების შემდეგ, მამამ მუშაობა დაიწყო სოფელში მწყემსად. ამ დროს კობალის ტყეში იმაღლებდნენ პარტიზან-რევოლუციონერები ილია კანდელაკი, გოგლა ლონდარიძე, ვანო მახარაბელი და სხვები.

— ილია და გოგლა ნათესავეები იყვნენ ჩვენი, დედაჩემის მხრიდან. მამას ფულს აძლევდნენ, ისიც ყიდულობდა სოფელში პროლეტებს და უზიდავდა ტყეში რევოლუციონერებს. ერთხელ მოიტანა შინ თეთარი ძვლით მორაფული ჭოგრიტი. ყუთი ავხადე მაღულად და ჭოგრიტი ეზოში გამოვიტანე. ვათვალერებდი ჩვენს სოფელს პატარა თონეთს. ჭოგრიტით კარგად ეხედავდი მდინარე ალგეთს. მანგლისი ფიჭვნარს, მთებს... დედამ დამინახა, მომვარდა და ჭოგრიტი წამგლიჯა, მითხრა — რომ ვინმემ ვაიგოს, ხომ დავიღუპეთ, არავის უთხრა, დათო, თორემ ყველას დავგაპატიმრებენო. დედამ ჭოგრიტი ხელახლა დამალა, მეორე დღეს მამამ იგი წაიღო ტყეში და გადასცა იქ ილია კანდელაკს. ნეტავი როგორ არიან დედა და მამა...

— დათო, კარები დახურე.— დაიძახა ექვთიმემ და ბიჭი გამოერკვა, სწრაფად მიხტრა სახელოსნოს კარები და მაგიდასთან მსხლმით მიუთხოვდა. გურულმა ახლა ხმას უფრო დაუწია და თითქმის ჩურჩულით ამბობდა:

— უნდა შევიძინოთ იარაღი, უნდა შევირადღეთ. ეს არის უპირველესი ამოცანა. საჭიროა იარაღის შესაძენად შევკრიბოთ ფული

ბიორბი აბულაძე
როცა თანდებოდა

ორგანიზაციის წევრებისაგან, მოსახლეობისაგან, ვისაც კი ვენდობით. ხვალიდანვე უნდა შევეუდგეთ მუშაობას.

დამთავრდა იატაკქვეშა ორგანიზაციის შეკრება. წავიდ-წამოვიდნენ. ექვთიმემ სანთელი ჩააქრო, სახელოსნოს კარები კლიტით დაკეტა და დათიკოსთან ერთად ქუჩაში გამოვიდა.

— დათიკო, მოგწონს გურული შენი?

— ლამაზი კაცია, ექვთიმე ბიძია. რა ლამაზადაა ჩაცმული ყოველთვის. ყელსაბამს არასოდეს იშორებს კისრიდან.

— ჰმ, ლამაზი კაცი. მე კი არ მომწონს ეგ. მელსასვით შეშინებულია ყოველთვის, თვალებს აცეცებს აქეთ-იქით. ეგ არ რევოლუციონერია? საუბრით მიუახლოვდნენ მარიამ ბენდელიანის სახლს; მარიამი დათიკოს ნათესავი იყო. ბიჭი თბილისში ჩამოსვლის შემდეგ მასთან ცხოვრობდა.

— დათო, ხვალ სკოლაში არ წახვალ და მოდი სახელოსნოში.

— მოვალ, ექვთიმე ბიძია. — დათიკო დემშვიდობა ოსტატს და სახლისაკენ მოჰქურცლა. იგი დილით ასათიანის სახელობის ქუჩის მეორე სკოლაში სწავლობდა, დღის მეორე ნახევარში კი ხარაზობას ეუფლებოდა ექვთიმესთან სახელოსნოში.

დრო მიდრიადა. ხარაზი ექვთიმე სულ უფრო კარგავდა გურულისადმი ნდობას, ეჭვი შეჰქონდა მის პატიოსნებაში.

— რატომ არ მოგწონს, ექვთიმე ბიძია, გურული?

— ეხ, დათო, შენ პატარა ხარ ჭერ და რა გითხრა. ეგ რომ პატიოსანი კაცი იყო, როგორ აიშენა სამსართულიანი სახლი? მთელ ნამალადევში მაგნარი დიდი და ლამაზი სახლი არავის აქვს.

დათიკო ხუთმეტი წლის გახდა. ქუჩის სკოლა ფრიადებზე დაამთავრა და გამოცდები წარმატებით ჩააბარა საზეინკლო სასწავლებელში. ამ დროს პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომიც დაიწყო. სასწავლებელი დაიხურა.

— დათიკო, შენ სოფელში უნდა დაბრუნდე — უთხრა დილაუთენია სახელოსნოში მოსულს ხარაზმა.

— რატომ, ექვთიმე ბიძია? აღარ გჭირდება შიკრიკი?

— დათო. — ამოიოხრა ხარაზმა, — ჩვენს სახელოსნოს ყოველდღე საფრთხე ემუქრება. აქ აღარ მოხდება შეკრება.

— რატომ?

— ჩემი ეჭვი გამართლდა. ეგ გურული შემოპარული ყოფილა თურმე ბოლშევიკურ ორგანიზაციაში, დიდი ზღვიანი ყოფილა მამაძალი. დაკავშირებია ჟანდარმერიას და აწვდიდა თურმე რევოლუციონერთა საქმიანობის შესახებ ცნობებს. ჟანდარმერიას დაუჯილდოვებია ჯაშუშობისათვის დიდი თანხით.

— სახლი იმ ფულით ააშენა, ბიძა?

— ჰო, დათო... ჩვენ კი ვერაფერს ვხვდებოდით. დაპატიმრება გველის ყველგან და დავკეტო სახელოსნო და უნდა დავიძლო. შენ წადი სოფელში.

დათიკოს ცრემლები გადმოსცივდა. მეხუთე წელია, რაც ექვთიმე სვანიძის სახელოსნოში შევირდადა, შეუწყარადა ეს კეთილი კაცი და ახლა ემძიმებოდა დაშორება.

— ნუ დარდობ, დათო, ჩვენ კიდევ შევხვდებით ერთმანეთს. შენ იცი, როგორ იბრძოლებ რევოლუციის საქმისათვის.

— როდის შევხვდებით, ბიძია? შევხვდებით კი?

— უეჭველად, დათო! შევხვდებით, როცა მზე, წითელი მზე ამოგორდება ცაზე და გაანათებს ჩვენს ქვეყანას. დამახსოვრე, 1914 წელი დგას ახლა, 1914 წელს სახელოსნოში ხარაზმა ექვთიმე სვანიძემ ასე თქვა-თქო.

სოფლის საბჭოს შენობის აივანზე იდგა მანგლისის მენშევიკური გვარდიის უფროსი, მუჟყიანი ძველი შინელი ეცვა და ასეთივე ქუდი ეხურა თავზე, ცალთვალა მენშევიკი სოფელ პატარა თონეთის ახალგაზრდებს სიტყვით მიმართავდა:

— ჩაუწყევთ მენშევიკურ გვარდაში, თქვენ გეძნებათ კარგი ხელფასი, ტანსაცმელი, იარაღი და იბრძობებთ რევოლუციის საქმისათვის. რევოლუციის მტრები დაღუპვით აჯანყდნენ, გვეირღება ურმები, რომ საომარო იარაღი გადავიტანოთ აღბულახში...

სოფლის ახალგაზრდებმა აღუქსანდრე სამადაშვილმა, ალექსი ბატუაშვილმა, კონსტანტინე ბერძენიშვილმა, ნიკოლოზ გვარამამ და სხვებმა თვალი დათიკო ალხანაშვილისაკენ მიაპყრეს, ანიშნებდნენ — პასუხი გაეცა ცალთვალა მენშევიკისათვის. დათიკო წინ გამოვიდა:

— ჩვენ არ ჩაუწყევრებით მენშევიკურ გვარდაში. ჩვენი წინაპრები სამშობლოს იცავდნენ, მტრებს ებრძოდნენ, ფულზე კი არასოდეს გაუყვიდათ ვაყაცობა და სინდისი.

ცალთვალას სახე დაეღმძივა.

— მართალია, მართალი. — დაივრიალა ხალხმა. — ეტყობა შენც „კარგ ხელფასს“ ვამლევინ, იმიტომ გაცვია ეგერ „მიშხიდველადა“.

მენშევიკური გვარდიის უფროსი სახეზე წამოწილდა, ცალი სადი თვალი გადმოკარგა და დაუყვირა დათიკოს:

— თქვენც დაღუთულებს მხარზე ხართ? თქვენც რევოლუციის მტრები ხართ ხომ? გაპატიმრებთ, ციხეში ჩაგალობთ.

ხმა აიმაღლა დათიკომაც:

— ნუ ყვირიხარ, მოღალატე შენა ხარ თვითონ. ჩვენ არ ვიქცევით მძისმკვლელებად, არ მოგეხმარებთ, ჩვენი ძმების სისხლი რომ ღვა-

როთ. სომხები ჩვენი ძმებია და სადაც ისინი მოკვდებიან, ჩვენც იქ მოკვდებით.

— მართალია, მართალი. — ესეც ახმაურდა ხალხი, — რა გვაქვს გასაყოფი დაღუთვლებთან, რატომ უნდა ვებრძოლოთ მათ? გლეხებს მიწა არ მიეცით, თქვენ შემამულეთა ინტერესებს იცავთ, მათ მხარეზე ხართ და ხალხს ვაკვირებთ სულს ზღით. დაღუთვლების ბრძოლა სამართლიანია. ჩვენ მათთან ვართ.

დათიკო თვალს არ ამორებდა მენშევიკური გვარდიის უფროსს, სადაც უნახავს ეს მეღასავით მულად შეშინებული კაცი, მაგრამ არ აგონებდა. იქნებ მოლაღვლე ვურუღია, თბილისში რომ იატაკქვეშა ბოლშევიკური ორგანიზაცია გასცა, მაგრამ ის ზომ ცალი თვალთ ბრმა არ იყო. ჰკავს კი მას, ალბათ ცოდვებმა უწია და ცალი თვალი დაუბრმავა. ის არის, ის მოღალატე.

დათიკო აივანზე აბტა, მას მიჰყვნენ სხვებიც და ცალთვალა მენშევიკი აივნიდან ჩამოაფდეს. — წადი, ღმერთს მადლობა გადაუხადე, რომ ცოცხალი გადარჩი. მეორედ არ მოხვდებ სოფელში, თორემ ინანებო.

შეშინებული ცალთვალა მენშევიკი თვალს მიეფარა. პატარა თანეთლები იცინოდნენ. იცინოდნენ პარტიზანული რაზმის წევრები, რომელთა რიცხვი ორმოცამდე აღწევდა.

პარტიზანული რაზმი 1917 წელს ჩამოყალიბდა დიდი და პატარა თანეთის სოფლებში რევოლუციურად განწყობილი ახალგაზრდებისაგან. მას ჯერ 1905 წლის რევოლუციის მონაწილე ნიკოლოზ აბრამის ძე ლოლოშვილი ხელმძღვანელობდა, შემდეგ თბილისის იატაკქვეშა ბოლშევიკური ორგანიზაციის სამაზრო კომიტეტმა დაკმაყოფილა მისი თხოვნა და იგი რაზმის ხელმძღვანელობიდან გაათავისუფლა. რაზმის ხელმძღვანელობა კი დაეცალა ახალგაზრდა დავით ალიხანიშვილს, ხოლო ალექსი არტემის ძე მინესაშვილს მისი უშუალო უფროსობა მიენდო. ალექსი გაფრთხილებული იქნა რომ რაზმი ყოველთვის საბრძოლო მზადყოფნაში ჰყოლოდა. ამ რაზმმა შეძლო 1917-1918 წლებში მანგლისის რაიონის ბოლშევიკური ორგანიზაციის ხელმძღვანელების ილია მიხეილის ძე მჭედლიძისა და კირილე გრიგოლის ძე მარჩენკოს დავლებით დაეშალა და გაენადგურებინა მანგლისში ქართული და ბერძნული ნაციონალური ბატალიონები, რომელთაც ბესარაბიელი მენშევიკი ოფიცრები ედგნენ სათავეში.

იცინოდნენ პარტიზანული რაზმის წევრები, დასცინოდნენ მანგლისის მენშევიკური გვარდიის უფროსს. რომელიც კუდამოძუებული გააგდეს სოფლიდან. არ იცინოდა მხოლოდ დათიკო ალიხანიშვილი, შუბლშეკრული იდგა მათ შორის.

— არ გვაქვს სასაცილოდ საქმე. — გადაუჩურჩულა მან კონსტანტინე ბერძენიშვილსა და ალექსანდრე ბატკუაშვილს, რომელთაც უბე-

ები დატენილი ჰქონდათ თბილისიდან ამოტყევილი პოლიტიკური ლიტერატურით, უკვე დაწყებული იოსებ ლოლოშვილის ბინაზე შედგებულ ბოლშევიკური ორგანიზაციის კრებათ.

კრება შედგა. დათიკომ ორგანიზაციის წევრებს გააცნო ანხ. ს. ორჯონიკიძის მოწოდება მენშევიკების, დასწავებისა და მუსავატელების წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყების მომზადებისა და მათი ბატონობის დამხობის შესახებ ამიერკავკასიაში.

— არ გვაქვს სასაცილოდ საქმე, — გაიმეორა მან, — მენშევიკური უღელურო მმართველობა, დაჰკარგა რა ხალხში მთლიანად ატორიტეტი, ახლა რუბრუსებზე გადავიდა. მკვლელობებითა და დაბატონებით სურს შეინარჩუნოს მმართველობის სადავეები, დაბატონრებულია მანგლისის ბოლშევიკური ორგანიზაციის ხელმძღვანელი კირილე მარჩენკო და თბილისის სამაზრო კომიტეტის ინსტრუქტორ-ორგანიზატორი ილია მჭედლიძე. მეტეხის ციხეში სხედან ისინი. ციხეში ზის დათიკო ბერძენიშვილი, ჩვენი კონსტანტინე მამაც. დაუსჯელად არ ჩავეგდის მენშევიკური გვარდიის უფროსის სოფლიდან გაგდება. უნდა მალულად ვიმოქმედოთ, უნდა დავხუროთ სამომხმარებლო კომპარატები, სადაც ღია ავიტაციის ვეწევით მოახსენებთაში აგერ თითქმის სამი წელია. უნდა გვაუქმით იქ დადგმული საიდუმლო ტელეფონი, რომლითაც კავშირი გვქონდა დამყარებული სამაზრო კომიტეტთან. კომიტეტთან ჩვენი დაკავშირება მთლიანად კონსტანტინე ბერძენიშვილსა და ალექსი ბატკუაშვილს ეყისრებათ. ფრთხილად უნდა იმოქმედონ ამხანაგებმა.

სისხლი იღვრება დაღუთვი, ძმების სისხლი და ჩვენგან დახმარებას თხოულობენ. უნდა მივაწოდოთ ყუმბარებისათვის პატრონები. ოთხი ამხანაგი უნდა გავაყოლოთ ურმებს, დაასახელოთ ისინი.

— უნდა დავებმაროთ ძმები. — ასეთი იყო კრების მონაწილეთა ერთსულოვანი გადაწყვეტილება.

მეორედ დამით კი პატარა თანეთიდან აღმოსავლეთით გაემართა ოთხი ურგმი. ურგმები ჩალით იყო დატვირთული. გვერდით მისდევდნენ ურგმებს ნიკოლოზ გვარამძე, ვანო მიხუტრაძე, ალექსი და კოტე ადამაშვილები. მიდიოდნენ გზაზე ურგმები დაღუთსაყენ, სადაც მენშევიკების წინააღმდეგ აჯანყებულთა სისხლი იღვრებოდა. მთვარე ღრუბლებში იმალებოდა და ქარს აღმოსავლეთიდან მოჰქონდა ყუმბარების აფეთქების ხმა.

მიჭრიალებდნენ გზაზე მიმედ დატვირთული ურგმები.

გიორგი აბულაძე
როცა თინდებოდა

აღმოსავლეთიდან თბილი ქარი მოჰქროდა და საამოდ ელაშუქებოდა ცხენოსნების სახეებს. ცხენოსნებს, რომლებიც თავგანწირვით მიჰქნებდნენ ცხენებს, ეჩვენებოდათ, რომ ეს ქარი ბოლნისის (მაშინდელი ლუქსემბურგი) მხრიდან, სოფელ კიანეთიდან ჰქროდა, სადაც იმ დროს წითელი არმიის შტაბი იმყოფებოდა. მთავარ არ ჩანდა და ბნელი ღამის მყუდროებას არღვევდა ცხენების ფლოქვების თქარათქურის ხმა.

— ჩვენ მხოლოდ ისინი დაგვცხმარებიათ, ისინი გვიშველიან, სარქის. — ამბობს ერთი მხედარი.

— ამიტომაც მივიღივართ, სხვა გზა არ არსებობს ჩვენთვის, ვთხოვთ დახმარება, მელოქ.

ცხენები ზრამის ხეობას გასცდნენ. იქ დატოვეს ტყეს შეფარებული ამხანაგები, ყველას თვალს აღმოსავლეთისკენაა მიჰყრობილი, საითაც ორი ამხანაგი გაგზავნეს. მიჰქროდნენ მხედრები და თან მიჰქონდათ ტყეში გაჭრილი ამხანაგების გულისძეგრა.

განთიადისას სოფელ კიანეთში შეიჭრა ორი მხედარი. ცხენები ვახვითქულიყვენენ, ოფლი გავაზე წურწურით ჩამოსდიოდათ.

— სდექ. — მოისმა ყარაულის ხმა.

ცხენოსნები შეჩერდნენ.

— სად მიდიხართ?

— ჩვენ ბელიკლინიდან ვართ. თქვენი უფროსის ნახვა გვინდა. — თქვეს სარქისმა და მელოქმა და ცხენებიდან ჩამოხტნენ. მოსულებს იარაღი ჩამოართვეს და ოთახში შეუძღვნენ. მაგიდასთან იჯდა შტაბის უფროსი. გენერალმა მოსულებს შეხედა და სკამზე მიუთითა, რომ დამსტარაყვენენ.

— რისთვის მოსულხართ?

— ჩვენ ბელიკლინიდან მოვედით, დაგვაგაღეს, რომ დახმარება გთხოვთ. მოსახლეობა გთხოვთ, დაიხსნათ ისინი მენშევიკების ბატონობისაგან, ბატონო გენერალო! — თქვა სარქისმა.

— ჩვენთან ბატონები აღარ არიან. ყველანი ერთმანეთის ამხანაგები ვართ და ასე მომმართეთ. მიამბეთ, რა მდგომარეობაა ბელიკლინიში.

— ცუდი, ძლიერ ცუდი, ბატონო გენერალო.

1. დღეიდანდელ ქ. თეთრიწყაროს ადრე ერქვა გორისი (წარმოსდგება „გორა ისი“-დან. შემდეგ გორისი გარისად იქცა. მეფის მთავრობისაგან აქ ჩამოსახლებულმა რუსმა მოსახლეობამ ამ ადგილს „ბელიკლინი“, ხოლო აზერბაიჯანელებმა „აბდულახი“ უწოდეს, რაც მექანეიტრად ითარგმნა ქართულად და გავრცელდა სახელწოდება „თეთრიწყარო“. ისტორიული ქართული სახელწოდება „გორისი — გარისი“ კი დღეიწყებამს მიეცა.

— კვლავ წამოსცდა სარქისის სიტყვა „ბელიკლინი“ და შტაბის უფროსს გაეღიმა. სარქისს ასერიევისათვის ძნელი იყო ასე ერქვა მდგომარეობა ჩვეოდა „ამხანაგის“ თქმას. შტაბის უფროსი მიხვდა და ისევ გაუმეორა:

— „ბატონობა“ გადავარდა, ამხანაგო ბელიკლინიქლო.

— ჩვენთან ჯერ ისევ ბატონობაა, ჩვენთან ჯერ არაფერი შეცვლილა. — ამოიხსრა მელოქმა.

— ჰო, ცუდი მდგომარეობაა, — გააგრძელა სარქისმა. — ხალხი შიმშილისაგან იხოცება. მკადიც არ იშოვება. სახნისა და შაქრისათვის მბოლისში ვაგრბივართ და იქაც სპეკულაციებისაგან თუ არ ვიყიდით, ისე ვინ მოგვეცემს. ვიბრძოლეთ, განა არ ვიბრძოლეთ, რომ თავისუფლება მოგვებოვებინა. ორი წლის წინ ბელიკლინის მოსახლეობა აჯანყდა მენშევიკების წინააღმდეგ. მე სოფელ დაღეთის ათაკიანი რაზმით ემონაწილეობდი აჯანყებაში. აჯანყებას ხელმძღვანელობდა იტაკევეშა ბოლშევიკური ორგანიზაცია, რომლის წევრადაც ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელებმა გრიგოლ კირზნერმა და ადამ აყუბჯანოვმა მიმიღეს. იარაღის საწყობს თავზე დავესხით, მოგვიკლეს ოთხი კაცი, იარაღი მინც დაეპოვეთ და შევეტეთ მენშევიკებს, გავგვით ბელიკლინიდან ისინი, სოფელ ჯორჯიაშვილისაკენ დაიხიეს მათ. მაგრამ მენშევიკებმა ვერმანელთა დამსჯელი რაზმები მოიშველიეს. დაიწყეს აჯანყებულების დევნა. გრიგოლ კირზნერი დააპატიმრეს და დახვრიტეს ყოველნაირად ცდილობდნენ, რომ მას გაეცა ბოლშევიკური ორგანიზაცია, მაგრამ ეს ვერ მოახერხეს. ადამ აყუბჯანოვი მარჯვედ დაუსხლტა ხელიდან მენშევიკ ჯალათებს. იტაკევეშა ბოლშევიკური ორგანიზაციის ცენტრის წევრები პ. პეტროვი, ი. სელიხოვი, ი. ფეოდოროვი, ვ. ზაბლოცი და სხვები მუშაობას განაგრძობდნენ. ვერმანელთა დამსჯელი რაზმები დაღეთსა და სამშვილდეს ეწვივნენ. ყველა სახლი გაჩხრიკეს, ვინც თვალში არ მოუხეიდათ, აპატიმრებდნენ, ალყა შემოარტყენ ავეტისიანების სახლს. ძმებს ანდრო, არუთიან და ხენო ავეტისიანებს ხელები შეუყარეს, მიიყვანეს სამშვილდესა და დაღეთის საზღვარზე, მდინარის პირას. მშობლები და ნათესავები, ქალები და მოხუცები უკან მისდევდნენ, რომ არ დაეხვრიტათ ისინი. მშობლების თვალწინ დახვრიტეს ძმები. სოფელ სამშვილდესთან ერთადერთ წყაროსთან ტყვიამფრქველი დადგეს და მოსახლეობას მოსთხოვეს — პური, იარაღი და თივა გადაეცა მათთვის. სკოლა დახურეს და მაგიდები ქუჩაში გამოჰყარეს. ცარიელ შენობაში ერეკებოდნენ დაპატიმრებულებს. მიაა ბაბაიანის სახლს ვარშემო თივა მიჰყარეს, ნავთი მისახეს და დაწვეს, რადგანაც არა თქვა ამ ქალმა, თუ სად იყო მისი უფროსი.



მენშევიკები მოითხოვდნენ მოსახლეობისაგან, რომ მათ რაზმებში ჩაერეცხულიყავით. მიუხედავად რეპრესიებისა, ჩვენი აგიტაციის შედეგად დაღუპულნი ჯიუტად უარზე იდგნენ. ორმოც კაცამდე რაზმი ჩამოვყალიბეთ და ავჯანყდით გერმანელთა რეგულარული ჯარის წინააღმდეგ. ხუთ დღეს გრძელდებოდა ბრძოლა და ბოლოს იძულებული ვავხდით უკან დაგვეხია, ხრამის ხეობის ტყეებისათვის შეგვეფარებინათ თავი. ერთადერთი გზა თქვენსკენ მოდიოდა და ჩვენც ამ გზას დაედით. აჰა, მოვედით კიდევ, რომ დახმარების ხელი გამოგვიწოდოთ.

— დაგვიწვდა გეტქვა, სარქის, — შტაბის უფროსმა ახლა მელი ელიზბეგის მიაპყრო თვალი, — ბევრი იატაკქვეშა ორგანიზაციის წევრი ახლა ციხეებშია გამოწყვდელი და თქვენს მისვლას ელოდება. ივანე სელისოვი ქუთაისის ციხეშია, აქვეა გამოწყვდელი ილა დევიცი, ზრგოლ კობიძე (ციმბირელი), რომელიც ბელიკლიუჩის აჯანყების ერთ-ერთი ორგანიზატორთაგანი იყო. მეტეხის ციხეშია მოთავსებული...

— ვასაგებია, ვასაგები, ამხანაგებო, — თქვა შტაბის უფროსმა, სკამიდან წამოდგა და გაიარაგამოიარა ოთახში, — ჩვენ მალე მოვალთ, თქვენს პურებს შევასრულებთ. წადით ახლა და მოსახლეობაში აგიტაცია გასწვიეთ, რომ მენშევიკების ანკესზე არ წამოგვან და მათა სიხსლი არ დაგდვართ. მზად იყავით, რომ მეგზურთა ვავიწოდოთ.

— ჩვენ მზად ვიქნებით, გელოდებით, ამხანაგო ბენერალო. — ერთად წამოიძახეს ვახარებულმა სარქისმა და მელიქმა. შტაბის უფროსის ბრძანებით სარქის თავისი მაუზერი დაუბრუნეს, მელიქს შაშხანა და ისინი ცხენებზე შესხდნენ, მათრახებით შეახურეს ცხენები, თვალები უბრწყინავდათ, მიღრუბლული სახეები გამოდარებოდათ, წელში გამართულიყვნენ და გაზრდილიყვნენ თითქმის კიდეც. მოაქნებდნენ ცხენებს უკან ხრამის ხეობისაკენ, სადაც გულის ფანქალით ელოდნენ ტყეში გახიზნულნი, მიჰქონდათ მათთვის სიხარული. მოაქროლებდნენ ცხენებს მელიქი და სარქისი. ამოსული მზე სხივებს აფენდა და ზურგებს უთბობდა ცხენოსნებს.

თერამეტი თებერვლის ღამე იყო. ეძინა სოფლებს. აჰა-იქ ძაღლების წამოყვება არღვევდა მხოლოდ ღამის მყუდროებას.

უტეც გაავიწყდა აყვდნენ ძაღლები და ღამის სიჩუმეში გაისმა ცხენების ფლოქების ხმაური. სოფლის ორღობებში მიჰქროდნენ ცხენოსნები, ხანდახან ჩერდებოდნენ ღარიბთა ქოხების წინ... შემდეგ, ჯერ კიდევ არ იყო გათენებელი, სწრაფად გაბრუნდნენ უკან. დილით კი ჩურჩულებდნენ გლეხები: თონეთში, ალგეთსა და მანგლისში ბოლშევიკების დაზვერვა მოვი-

და და დიდი თავდასხმა მზადდება მანგლისში მზე ამოდისო. — ხარობდნენ პატარა თონეთში დაიეთ ალბანაშვილი, ალექსი მანგლისში, კონსტანტინე ბერძენიშვილი, ალექსი ბატკუაშვილი, ნიკოლოზ გვარამი, ვანო მაისურაძე და სხვები. მზე ამოდისო. — იძახდა მანგლისში ტარასი ბელიძე, შალვა თაყნაშვილი, უფობარ პლატონი და ყველა იმედით გასცქეროდნენ აღმოსავლეთიდან ამომავალ მზეს.

იმ დაზვერვაში დაღეთლი სომეხი იყო, — უამაზბდა ცრები გლეხი მეორეს, — გახარებული გადამეხვია, გადამოცნა და ასე მითხრა: — თქვენ ჩვენ დაგვეხმარეთ, როცა ვიკვირდა და გერმანელ ოკუპანტებს ვებრძოდით, ახლა ჩვენ მოვდივართ თქვენს დასახმარებლად. გამოვკითხე და ყველაფერი მიაპბო, თუ როგორ შემოვიდნენ მეთერთმეტე არმიის ნაწილები დაღეთსა და ბელიკლიუჩში.

დაღეთლები სოფლის მახლობლად შეგებებთან წითელარმიელებს. დაღეთში კომისრად ივანე კეჩიევი დაუტოვებიათ. ათი კაცი სარქის ასრიევის მეთაურობით კი წითლებს შეერთებია. ბელიკლიუჩისათვის იმაი მხრიდან შემოუტევიათ თურმე გუშინწინ ღამით — ვარხუნოდან, სამშვილდის ტყიდან და ორთაშუადან, სამი მხრიდან დაურტყამთ მენშევიკებისათვის, მალე გაუტეხიათ მათი წინააღმდეგობა, 150 კაცი დაუპატრონებიათ ბოლშევიკებს, დანარჩენი გაქცეულა და ხრამზე უნდოდათ გადასვლა თურმე დაღეთ-ხაჩინის ხიდი. აქ დაღეთ-სამშვილდის მცხოვრებლებს გიორგი პერიხანიანის ბრძანებით ტყვია დაუშენიათ გაქცეულებისათვის. გიორგი პერიხანიანი ამ ბრძოლაში მომკვდარაო.

— სხვა ხომ არავინ მომკვდარა კიდევ? — ეკითხება პირველ ცნობისმოყვარეობისაგან თვალმგაფართოებული მეორე გლეხი.

— არავინ. მხოლოდ ბელიკლიუჩის აღების დროს წითელარმიელთა ერთი მეთაური, გვარად კობტენკო ყოფილა. მოედანზე დაუცია მენშევიკთა ტყვიას. იგი ბაღში დაუსაფლავეთათ, საწვიმო მიტინგი ჩატარებიათ და ხალხისათვის განათავისუფლება მიუღოცავათ.

პატარა თონეთში პარტიზანული რაზმის წევრები შევარდნენ და დაადგინეს, რომ პურ-მარილით შეხვდნენ მდინარე ალგეთის პირას მე-11 წითელი არმიის მებრძოლებს, მიიბატეოვნ ისინი სოფელში, სასლებზე გადმოჰკიდონ წითელი დროშები, პლაკატნი წარწერით „ვაუმარჯოს წითელი არმისა!“ გაუმარჯოს მუშათა და გლეხთა განთავისუფლებას მენშევიკთა ბატონობისაგან“ რაზმის უფროსმა ალექსი მინესაშვილმა უჩვენოს ალგეთის ფონი მებრძოლებს და ვაპყვეს მათ მეგზურად მანგლისამდე. თუ კი

პიორბი აპულამა
როცა თინდებოდა

ნებას დაგვრთავენ, რაშიმ მთლიანად შეუერთ-
დეს წითელი არმიის რიგებსო.

— ნეტავი ასე იყოს.

— ნეტავი მანგლისის გასათავისუფლებლად
მეც წამიყვანონ! — ნატრობდა პარტიზანული
რაზმის თეთიული წარბი.

— მანგლისიდან თბილისის გასათავისუფ-
ლებლად წავლენო. — არ წყდებოდა ჩურჩუ-
ლი სოფლებში, — წითელი არმიის ერთი ნა-
წილი ასურეთისაკენ დაძვრულა. დაღმთელი ერ-
ვანდ ვანივისათვის, რომელიც მენშევიკებს პა-
ტირობიდან გამოქცევა და ვორონცოვკაში შე-
ერთებია წითლებს, დაუვალეობდა, რომ ვორონ-
ცოვკიდან ასურეთში ჩაიტანოს ტყვია-წამალა.

— ალბათ ასურეთის მხრიდანაც დასცხებენ
თბილისს, ჰა! — ამბობს ერთი გლეხი.

— ასე იქნება, ასე. მენშევიკების სიცოცხ-
ლის წუთები დათვლილია. — იმედიანად ჩუ-
რჩულებს მეორე.

ხმებმა მენშევიკების ყურამდევ მიადწია,
შეშფოთდნენ ისინი, დაიწყეს სახლების ჩხრეკა
და ექვმტანილ პირთა დაპატიმრება, თხრიდ-
ნენ სანგრებს, მანგლისის აღმოსავლეთით დად-
გეს ტყვიამფრქვევები. მენშევიკი გვარდიელებს
ეს უხეშეს ვულვაროდ უცქებოდნენ მან-
გლისის მკვიდრნი. წყალწაღებულნი ხავს ეჭი-
დებიათ. — ფიქრობდნენ ისინი.

19 თებერვალს, შუღამისას, ატყდა სროლა,
ტყვიამფრქვევებმა გრილი იწყეს. წითელარ-
მიელები ახალსოფლიდან ფიჭვნარში შემოდიან,
მეორე ახალი თონეთიდან ალგეთზე ვადმოვ-
ლთ შიდა მანგლისს, ერთიანი ფრონტით უტ-
ვევენ გვარდიელებს... ეს რა ხდება: ტყვიები გა-
ნა მარტო წინიდან მოდის, წვიმასავით ცვივა
სახლების ფანჯრებიდან, სახურავებიდან, ღო-
ბებიდან. მენშევიკ-გვარდიელების ფეხქვეშ
მიწა იწვის. ისინი სროლით იხევენ უკან, გარ-
ბიან და, აი, 19 თებერვალს თავისუფლების დი-
და თენდება მანგლისში, დაბა განთავისუფლე-
ბულია და მის თავზე ფრიალებს წითელი დროშა.

დაბის მოედანზე წითელარმიელები ჩამწკ-
რივებულან, მიაცილებენ ბრძოლაში დაცემულ
სამ მებრძოლს სასაფლაოსაკენ. იმართება დიდი
მიტინგი. მანგლისი გამარჯვებას ზეიმობს. უმ-
სხვერპლოდ თავისუფლება არ მოსულა, ერთად
ასაფლავევენ სამ მებრძოლს და ქვას ადებენ,
ზედ წარწერას აყეთებენ:

„ისინი მსხვერპლად დაცნენ
სახელებისწერო ბრძოლაში.

19 თებერვალი. 1921 წელი“.

ვინ იცის, საიდან, ჩვენი ქვეყნის რომელი
კუთხიდან მოვიდნენ ისინი, რომ მანგლისში თავ-
ისუფლება მოეტანათ. იქნებ რუსეთის სოფე-
ლში დედას წუხებულ ესიზმრებოდა და მკერდში
იკრავდა საყვარელ შვილს. იქნებ რომელიმე
მათვანის დედა რუსი კი არა, სომეხია, შეიძ-
ლება აზერბაიჯანელი ან უკრაინელი, ამ დი-
ლით კარები გამოაღო და ზგას გასცქერის —

შვილი ხომ არ ბრუნდებაო. ისინი კი საშუა-
მოდ ჩაიკრა მკერდში მანგლისის მიწამ. მანგ-
ლისის ცა დასტირის მათ და ცრემლებს მკერდის,
დედის მოთქმასავით გრიალებს მანგლისის ქარი
მათ საფლავზე.

იქნებ დედამ, მოხუცმა დედამ შეიტყო
შვილის სიკვდილის ამბავი და მოვიდა საფ-
ლავზე მის დასატირებლად? ვინ არის ეს შა-
ვეებით მოსილი მოხუცი ქალი? ვინ არის ეს ჰა-
ბუცი, ცრემლმორეული რომ დასცქერის საფ-
ლავს? იქნებ ძმა მოვიდა მის დასატირებლად?
ეს ახალგაზრდა ქალი კი იქნებ დაა დაღუპული-
ესა?.. უამრავი ჭირისუფალი მოსულა სასაფლა-
ოზე, უამრავი...

ქართველები გმირულად დაცემულ მებრ-
ძოლებს გლოვობენ!

მზე კი, სისხლისფერი, წითელი მზე ბრია-
ლებს მანგლისის თავზე. რამდენი სისხლი დი-
დვარა, რომ ფს მზე ამოსულყო. რამდენი ცრე-
მლი დაიდვარა, ვიდრე იგი ამობრწყინდებო-
და... რამდენჯერ გვინატრია სიცივისაგან გაყი-
ნულთ: „მზეო, ამოდი, ამოდი, ნუ ეფარები გო-
რასა“. ახლა იგი აღარ ეფარება გორას, ბრია-
ლებს მანგლისის თავზე და თავის ცხელი სხი-
ვებით ათბობს თავგლისის მკვიდრთ. დაღვრი-
ლი სისხლითაა შეღებული იგი, დაღვრილი სის-
ხლითაა გაწითლებული და უნდა გავუფრთხილ-
დეთ მას. ალექსი, დათიკო, ტარას, ივანე, ილია,
ერვანდ, სარქის, კონსტანტინე, კირილე, იოსებ,
ნიკოლოზ, არ გაუშვით ხელი თოფებს, არ გა-
უშვით. არ დაეცანეთ იარაღი! მეწაღე ექვთი-
მემ თქვა, რომ წითელი მზე ამოვარა და ამო-
ვიდა კიდეც. ვიხარიათ თქვენ, მაგრამ განა ყვე-
ლას უხარია! ჩოლოყაშვილი თავისი ბანდით
ტყეში გაიჭრა. ბნელ ადამიანებს შეკრებენ და
ტყეში წავლენ შატერაოვი, არუშანოვი და მრ-
ავალი სხვა, ტყეში წავლენ, რომ ამ მზეს არ
უცქირონ... მზად გქონდეთ, დატენილი გქონ-
დეთ თოფები, ტყეში მგლები ღმუიან და მზის
დაბნელება სურთ.

ახლადარჩეული მანგლისი რაიკომის მდივ-
ნის ა. ჯაფარიძისა და მანგლისის რევოლუციო-
ნი კომიტეტის თავმჯდომარის პლატონის მო-
წოდებით თქვენ დაფრთხობთ და გაფრთხავთ
ჩოლოყაშვილის ბანდას, თოფები მაინც მზად
უნდა გქონდეთ, ხოლო როცა მოხუცდებით,
თქვენს შვილებსა და შვილიშვილებს დაავა-
ლეთ — მზად ჰქონდეთ იარაღი. მიზანში ჰქონ-
დეთ ამოღებულ ცეცხლის ტყეში გახვეული
მათი ლეკვები. პო, აშკარა ბრძოლით რომ ვე-
რაფერს გახდებიან, დაბრუნდებიან ტყეებიდან,
ერთგულების ფიცის დაიწყებენ... არ შეცდეთ,
არ შეცდეთ... მგლები მგლობას არ მოიშლიან.

დათიკო, ტარას, ალექსი, ივანე, ილია, კონს-
ტანტინე, კირილე, იოსებ, ნიკოლოზ, — გაიხა-
რეთ, დატუბით წითელი მზის ცქერით. თოფები
მზად გქონდეთ, დაცავით იგი. თანდათან იზრ-
დება, ძლიერდება, იცინის. ვერავინ შეძლებს და-
აბნელოს იგი, ვერავინ... ლამაზია წითელი მზე.

გიორგი სენალიაძე

მიწის ღიმილი

(ნარკვევების ციკლიდან)

წვიმას არ აპირებდა თითქოს. შორს, პორი-
ზონტზე თეთრი ღრუბლები ჩანდა. ჩვენს ზე-
ვით ცა ნათელი იყო და მზე კარგა გვარიანად
აცხუნებდა.

— ნახეთ, თუ არ გაწვიმდეს. — თქვა ბენია
გოჩელაშვილმა და მისთვის დამახასიათებელი
ჩუმი, შემბარავი ღიმილით გადმოგვხედა.

— ეითომ? — დაექვდა გიორგი კუბლაშვი-
ლი.

— კისერს მოვიჭრი, თუ არ გაწვიმდება, —
განაგრძობ ბენიამ თვალების ეშუაქუთით, — მუხ-
ლები ამტკიცდება თუ არა, ღირს ნულარ ელი.

— აბა, ვიდრე გაწვიმდებოდეს, ვიჩქაროთ,
— თვალი ჩამიკრა თბილისელმა სტუმარმა,
პროფესორი გეოლოგ-ტოპოგრაფმა, როგორც
თვითონ ამბობდა — გოგი ბაღდასაროვმა, „სა-
დარბაზოს უბნელმა“.

არავინ იცოდა, სად იყო ეს „სადარბაზოს
უბანი“. მე მგონი თვით გოგიმაც არ იცოდა კა-
რგად. როგორც ჩანს, აქ ყველა ნაბიჯზე ესმო-
და: „ბლაშიდელეს უბანი“, „ბოგინეთის უბა-
ნი“, „ყიფიანების უბანი“, „მუხნარის უბანი“,
„სიბის უბანი“... და თვითონაც გადაწყვიტა,
უბნელობით მოეწონებინა თავი. სხვათაშორის,
ეს შესანიშნავად გამოუვიდა ჩვენს ტოპოგრაფს.
მეღერად, უცნაური სახელების მოყვარულ
სოხჩეთელებს „სადარბაზოს“ ხსენებამ შუბლ-
ზე ამოუყვანათ თვალები!

კვირა იყო.

ისვენებდა წყნარი. ისვენებდა სოხჩეთი. არ
ისვენებდა ჩვენი სახელოვანი მსახიობის სერგო
ზაქარიძის გვარისა და სახელის მოზიარე და-
ლაქი, სწორედ ის დალაქი, ყველას რომ პარ-
სავს და თვითონ რომ გაუპარსავი დაღის. მაკ-
რატლის წიკწიკს აყოლილი — ენაწვლიანობ-
და, სიტყვაჯამბაზობდა, ერთი პატარა ღიმილის
გამოსაძახებლად ნემსის ყუნწში გაძვრებოდა

და, თქვენ წარმოიდგინეთ, ზოგჯერ ისერ რამეს
გამოურევდა, სიცილით დახოცავდა ბიჭებს.

როგორც იყო, ჩვენი მძლოლი გამოძვრა მან-
ქანის ქვემოდან და ოფლი მოიწმინდა, რითაც
გვანიშნა: მანქანა მზადაა.

მაშინვე ჩავჯექით.

გადავიარეთ წყნარი — მთის ფერდობებზე
შეფენილი ეზოები, მწვანეში ჩაფლული ოდე-
ბი. ვავეციდეთ გზის პირას, წყაროებთან შექუ-
ჩებულ ქალებს, — ზოგი თუნგბა და ზოგიც
ლოქით რომ გამოსულიყო წყლის ასაღებად.
ჩრდილთა უბნით ჭინჭროლისაყენ გავიპირდაპი-
რეთ.

ბენია გოჩელაშვილი, ეს ბუხუნა და ვაფი-
ვინებული დათვი, კოლმეურნეობის თავმჯდო-
მარესა და ჩემს შორის იჯდა. წინ, მძლოლთან,
გოგია ბაღდასაროვი და მესაქონლეობის ფერ-
მის გამგე გურამ გოჩელაშვილი მოკალათე-
ბულიყენენ. მოძრაობის ელემენტარული წესი
უკვე დარღვეული გვექონდა. მაგრამ ვინ დაგი-
ღვთ ამას! აქ არავის სცალია ინსპექციის და-
წესებული კანონებისათვის. მოსახერხებელი
რომ ყოფილიყო, ჭინჭროლში წამოსვლის იმ-
დენი მსურველი აღმოჩნდა, ჩვენი მანქანას სა-
ხურავზეც არავინ იტყოდა უარს.

ჩვენთან კიდევ ერთი კაცი ზის, გიორგის
სუროსავით აკვრია, ტანთხელი და ჭალარა აკა-
კი. ისიც გოჩელაშვილია გვარად. „წაგველქეს
ამ გოჩელაშვილებმა“, — იღიმება გიორგი.

ერთხანს ჩახუთული სიცხე მოგვედევდა ფეხ-
დაფეხ. მერე ხეობას ნამეწყარალი დაეტყო.
თითქოს ნაქერალს ქედისაყენ გაჭრილ გზაზე
კი არა, მდინარის გამშრალ, გადახეხილ კალა-
პოტს მივეყვლიდით.

— მამ, ამბობ, აქ ვიყავით? — ეკითხება
თავმჯდომარე გოგია ბაღდასაროვს.

— კი, ჩემი ხელით ავზომე აქაურობა.

— მერედა, სადა ჩანს შენი ნაკვალევი?

— ნაკვალევი? — პირიქით ეკითხება ბაღ-
დასაროვი, — აი! — და ხელს პატარა ტაფობზე
დასობილი სარისაკენ იშვერს.

მე ეს ყველაფერი ხუმრობად მივიჩინე. მაგ-
რამ მერე და მერე, როცა სარები გახშირდა,
მივხედი, რა „ნაკვალევიც“ ჰქონდათ მხედვე-
ლობაში კოლმეტურნობის თავმჯდომარესა და
გეოლოგ-ტოპოგრაფს. აქ წყლის მიღებს უნდა
გაეცლო.

ძან კი ინდომა ჩვენმა მძღოლმა, მაგრამ
ჩინჭროლს წყევმისთა სადგომის იქით ვერ
იქნა და ვერ ავიდა. თუმცა აქამდეც რომ
მოაღწია, ესეც გასაოცარი და შესაკითხი იყო.
საურმე და მიხვეულ-მოხვეული გზებით ვია-
რეთ. ჩუმჩუმად ყველა ჩვენთაგანს გულის კან-
კალი ჰქონდა. მაგრამ ერთმანეთის წაბაძულო-
ბით კრიტიკაც არ ვიღებდით.

— ეპ, ნაწიმიარი რომ არ ყოფილიყო, კიდევ
უფრო ზევით აგვიყვანდით, — თქვა ჩვენმა
მძღოლმა.

და ჩვენ გავვიხარდა, რომ ნაწიმიარი იყო
და მანქანით აღარ გავაგრძელებდით გზას. ჩინ-
ჭროლში ცხენები დავგაზვედრეს. თურმე წინა
ღღეს კუბლაშვილს მწყემსები გაუფრთხილე-
ბინა, მთასაყდარზე გვირდა ასვლა და ცხენები
შეგვიჩიეთო.

წილი ვყარეთ და მე მინცდამაინც ჯაგაგა,
გადაბრუტუნებული ცხენი მერგო. ვიდრე ორ
ვერსამდე არ გავიარე, მანამდე ვერც მივხვდი,
რა ხარკუდასთან მქონდა საქმე. წილისყრის
ღროს კი გულში ვნატრობდი კიდევ, ნეტა ეს
მალევი, წაბლა ცხენი მერგოს მეთქი. და ვაი,
რომ გამოუცდელივით ვინატრეს! გიორგი კუბ-
ლაშვილს ტანწვრილი, მაგრამ ცქვიტი „ქუქუ-
რი“ ერგო.

დანარჩენებმა უარი თქვეს ცხენებზე. ტო-
პოგრაფი და ჩინჭროლის პრეზიდენტი, ავალო
ცნობილად მოკლებს აპყვენ წყლის სათა-
ვისაკენ.

ჩვენი მარშრუტი კი ასეთი იყო — შორი
გზით, მაგრამ ბზის ჰალის გავლით ავსტულიყა-
ვით ცივწყარომდე, სიდანაც სოფელი სას-
მელ წყალს მიიღებდა ახლო ხანში, მერე კი
სერს გავყოლოდით, მივსულიყავით ნაქერალას
კალთამდე და ბარე ერთი კილომეტრი, ღრან-
ტებობით, დაქცეულით, ავბლოტიალბებულიყა-
ვით წასაყდარალ მთაზე.

მზე წინანდებურად მაგრა იკბინებოდა. მზეს
კიდევ ვაუძლებდა კაცი, რომ ბუზებს არ დავე-
ტანჯეთ. პირდაპირ გასაოცარი იყო, საიდან
გაჩნდა ტყეში ამდენი ბუზი — გრძელი და
უცნაური. განსაკუთრებით ცხენები შეივლეს.
ცხენები წარამარა, ზოგჯერ ისეთ უადგილო
ადგილას მოიქნევდნენ თავს, ცოტა ფრთხი-
ლად თუ არ იყავი, წამახულ ქვეშე მოადენდი
ბრაგვანს.

პატარა ტაფობს რომ გავედით და ცხენებმა
დაგაფუნით გაიარეს ყინულოვით ცივი მშრალ-
ლეუ, თითქოს მიწიდან უცებ გამოვსულიყო,
ჩვენს წინ ბზის საუცხოო ტყე გადაიშალა.

— ამ ადგილს საიწკალო ქვია, — მითხრა
გიორგიმ. — აქ წინათ ზღაპრული ტყე იყო!

— ახლაც არაა ნაკლები, — ვუთხარა მე...

— ახლა იმის ჩრდილი, მოლანდარა თუა,
— განაგრძო გიორგიმ. — რევოლუციამდე აქ
უცხოელთა ფირმები ითბობდნენ ხელს. მოხუ-
ცებიდან გამიგონია, ინგლისელები პირდაპირ
ქუთას კარგავდნენ ბზის ხისათვისო.

— მაინც, როგორ მოგვინა აქ, ა? — გამი-
კვირდა. და მართლაც გასაკვირი იყო, რად-
გან საიწკალომდე ახლა გზის გაყვანის შემ-
დეგაც პირს მისვლა, თორემ წინათ სულ მო-
წყვეტილი და მოფარებული იქნებოდა.

— აბა, რა ვიცი, — ხელი ვაშალა გიორგიმ,
— ერთი კია, იმ შეჩვენებულზემა სულ აკაფეს
და ვაზიდეს ეს უძვირფასესი ჯიში.

გრილა, სამხრეთიდან ნიავე ქრას, ბლანტი და
ხორკლიანი. ვგრძნობ, როგორ იფლინებდა პე-
რანგი წებოვანი სინესტიო.

მთელი ეს კუთხე-არემარე ლეულებითაა და-
ცხავებული. აქ კალმახიც იცისო, მითხრა გი-
ორგიმ. მაგრამ ახლა მისი დაჭერა მინცდა-
მაინც სასურველად არა მიმაჩნიაო. ასე ფიქრო-
ბენ ჩვენი მწყემსებიც. და უცებ თავი შემო-
აბრუნა ჩემსკენ:

— ძელებიდან გამიგონია: იმ თვეში, რო-
მელშიც ასო „რ“ არ ურევია, თავში არ იქმნევაო.
მე გამეცინა.

— ქეშმარიტებაა ვე ვითომ?

— კი. ქეშმარიტებაა. — ცხენს აღვირი აუ-
კავა და მე დამელოდა. მერე ჩვენი ცხენები
ერთმანეთის გვერდი-გვერდ მიიბაჩებდნენ. —
აღამიანს რვა თვის განმავლობაში შეუძლია
ინადიროს თევზზე, მაგრამ თუკი ამ ოთხ თვეს
ქვირითის დაყრისა და გამარავლების ფაშს, აღარ
მოვასვენებთ — ჩვენს მდინარეებსა და ლე-
ულებში ჩქარა, წამალად რომ გვირდოდეს,
იმადაც ვეღარ ვიპოვით.

ცხენს ფერღში ვყარი ქუსლი. წყებლაც გა-
დავუჭირე, მარა შენ ნუ მომიკვდები, კუდიც
არ შეუხრებვია. ისევ ისე უხვიროდ ზღარათავ-
და ფეხებს. ახლა უკვე აღარ გვაწუხებდნენ
ბუზები. აცივდა თუ არა, ერთბაშად შემოგვე-
ცალენ. ბილიკი სულ მალა-მალა მიიწვედა,
და რაც უფრო მალა-მალა მიიწვედა, მით
უფრო მატულობდა წყლის შხუილი.

— ეს ჩვენი ცივდება, — მითხრა გიორ-
გიმ და სახე გაებადრა.

— ამისიზორიდან უნდა გაიყვანოთ წყალი?
— ვკითხე.

— ეს აქედან ჩანს ასე, მაგრამ რომ ვევაპი-
რდაპირებთ, მერე საოცრად მოკლეა.

— ძვირი გიჯდებათ, ალბათ...

— ასი ათას მანეთამდე. და კარგი იმით არის, რომ წყლის გაყვანას ახალი გზები მოკვეთა—ტრანსპორტი, ტექნიკა, მიწები! ეს ყველაფერი ხომ უნდა ამოვიტანოთ ამ სათავესთან? ხოლო თუ შესაფერისი გზა არ იქნება, ამაზე ოცნებაც ზედმეტია. ახალი კეთილმოწყობილი გზა ამ საწახეებს კიდევ უფრო დაუახლოვებს სოფელს.

ავალო და ტოპოგრაფი აღარ დაგვხვედრიან ციფელეს სათავესთან. როგორც ჩანს, დიდი წვიმების მერე მათი მონიშნული ბილიკი ღვარებს ვადაერეცხა და ახლა იმის აღდგენასა, ხელახალ მონიშვნაში თუ იყვნენ.

მაღე ჩვენ ნაქარალას ქედიდან გადმოვყურებდით სოჩხეთს. მზის დისკო რიკედ დასჩერებოდა ამწვანებულ სერებსა და ბორცვებს. თუნუქის სახურავებზე, კი მისი წვეტია სხივი ერთბაშად გაბლაგვებულიყო და დაჭრილ ფრინველივით ფართახლებდა. აგერ ბაგინეთის უბანი, აგერ ნეფეთი, „მოხოულის უბნიდან“ კი კვამლი ამოდის. მოხოულის მაღალი თხემლები და ტანწერწერტა იფნები ცვივა, დაკრუნჩხულ ბუჩქებად თუ ჩანან ამ სიმაღლიდან. შორს — წყნორი. იქით — ციხეა.

ისტორია ყოველთვის როდია სამართლიანი. ისტორია ყოველთვის როდი შეგახედებს ყველა კუქულში.

მას ზოგჯერ დუმლიც უყვარს. გავიხსენოთ ვანის ნანგრევები. მისი გათხრები ეს-ეს არის დაიწყო.

პირდამიწული დგას ისტორია აი ამ ტაძრის წინაშეც, რომელიც სასწაულად წამოსკუბულა მითის კორტოხზე. რა ხელმა შექმნა იგი, რამ ამოიტანა ამ სიმაღლეზე?

არსით გზა, არსით ბილიკი.

ირგვლივ ციციბო და თვალუწვედნელი ნაპრალი ერთი გაუფრთხილებელი მოძრაობა და...

მაგრამ არაეის ახსოვს აქედან გადმოვარდნილიყოს ვინმე. თითქოს რაღაც უხილავი ძალა გფარავს და იცი, ეს ძალა იმ ადამიანებმა მოგანიჭეს, ათასი და, ალბათ თუ კიდევ მეტი არა, ათასხუთასი წლის წინათ მოვიდნენ აქ, გაკრეს ბალავერი, დარგეს ვაზი, ჩაჰყარეს ქვევრები. და ცას უწვდინეს ყელყელა ჯვარი.

ვინ იყო იგი?

პირველპირთველი; ადგილის დედა; ყანის მუხლი, კაცი დიდი და ღმერთზე უფრო დაუსაწყისი; მიწის სინდისი; კაცი კაცთან ვერცხლნაჭამი, დასაფიცარი; აღმაშენებელი ამა ქვეყნის; ცეცხლთან ნაწოლი! რა ერქვა ნეტა: გადეონ, თაყა, აჯაკი, გელა, ვაჟიკა, ბერდო, შოთა, ერეკლე, ვახტანგ თუ კახა! გიორგი, თედო, სვიმონ თუ ბაგრატ!

გაცხუნებული დგახარ და ფიქრობ:

ჩამონგრეულა კედლები, შემორჩინილა მხოლოდ თაღი და შესასვლელი.

წმიდა გიორგის ობოლ ხატთან ვილაყ მაღ-

ლიანს (ვილას სწამს ახლა!) აუნთია ცილა ჩანთელი!

ეს სანთელი ანთია მუდამ.  საუკუნიდან საუკუნემდე მოვიდა ჩვენი ხსენება ტრადიცია.

იგი გამცნობს: უნდა გწამდეს სიციცხლისა. სანთელი ანთია, სანთელი სიციცხლზე საუბრობს ქართან. ქარი ძლიერია, მაგრამ მინც ფრთხილად, მორიდებით ეხახუნება სასწაულად შერჩენილ თაღს.

ქარი მძაფრდება.

— რამდენი წლისა ხარ, ქარო? ქარი ეღრიალებს, ისე ეღრიალებს, ბრძოლის დროს ერთმანეთზე შეეღწეილმა უთვალავმა ხმლმა რომ იცის.

— რამდენი წლისა ხარ, ქარო? უცებ ჩუმდება. მერე ბღავილით გადარბის პაწია ტავთობზე და ჰყივის.

მე ვხედვებ: მტერი არბევს სოფლებს.

გადამთიელები ნაპრალებში ყრიან უსუსურ ბავშვებს...

რა საშინელებაა!

რა საცოდობაა!

საყდრის იქით, ასიოდე ნახიჯზე სოლია ჩასობილი. თათრების შემოსევაზე გვამცნობს? ეს მათი სასაზღვრო ნიშანია?

სწორედ ამ ნიშნის საჯინოდ თუ ანთია სანთელი!

სიციცხლის სიმბოლო!

დე, ენთოს მუდამ!

ფრთხილად, ძალზე ფრთხილად ვეშვებით ქვევით.

ამ ფერდობს დაქცეულს ეძახიან. ლეგენდა გვამცნობს:

ერთ-ერთი შემოსევის დროს მთის დიდი ჩაწილი ერთბაშად ჩამოშვავებულა და ჩაუმარხავს მტრის ქარი.

ერთიანად მოუსრესია და ჩაუხერგია ლოდებს ქვეშ.

რა იყო ეს?

შემთხვევითობა თუ წმიდათა წმიდა ადგილის მქვინარება?

ამაზე ვფიქრობ.

გაოცებული ვეშვები ციციბო კლდეზე, დაშქრის ბუჩქებით ვიმაგრებ ფეხს.

ქვევით, ხავსიწყაროსთან, ცხენები გვიცდიან.

მოხოულის უბნიდან ისევ ამაყად მოიხლანება კვამლი — უკვე ღრუბლით ჩამუქებულ ცისკენ მიისწრაფვის.

მოხოულს იქით სოფლებია: წყნორი, მერე სოჩხეთი. თუმცა ახლა წყნორსა და სოჩხეთს ერთმანეთისაგან აღარავინ აცილებს. ამ თექვსმეტოდე წლის წინათ კოლმეურნეობები გაერთიანდა და ორი სოფელი ძლიერ ბირთვად იქ-

გიორგი სანადირაძე
მიწის ღიმილი

ცა. ახლა ამ ბირთვის უკან ოთხას სამოცი კომლი დვას. ოთხას სამოცი კომლი ბორცვაკენსა და ხეობისპირებში გაფენილა. ნაქერალას მთის კალთიდან აივნით ამომავალი, მზისკენ მიშვერილი ოღბე ირიბალ დაგდებულ ასანთის კოლოფებად ჩანან. ხოლო პატარ-პატარა ხეობებში ჩაქარგული მდინარეები — ვერცხლისფერ ზოლებად.

რამდენ რამეს არ მოსწრებია ეს მიწა! ჯერ იყო და, მენშვეციების დროს რაც საუკეთესო კრომები ჩანდა, ნახშირად აქციეს მოიჭარა-რებებმა, ხოლო ცეცხლს გადარჩენილი ხეები რკინიგზის განძელებად დახერხეს მერე.

თვალსა და ხელს შუა გავიდა წლები.

სოჩხეთი არ იცვლებოდა: იდგა იმაყად, მზისკენ მიშვერილი, შუქთეთრი. მისი სანახები ეს მთელი სახელმწიფოა — სალიების მთებიდან მოყოლებული — ვალმა წყნორამდე, საჯვარი ქედიდან — ქერქულამდე.

რა ვუყოთ, თუკი ისტორია ყოველთვის არ არის სამართლიანი, ყოვლისმომცველი და კეთილი.

რა ვუყოთ, თუკი ისტორიამ დუმილით აუარა გვერდი სოჩხეთს. სამაგიეროდ, სოჩხეთელი ვაზის დედას, მიწის მეფუძენს, გუთნის გამწევეს, აუფრის მომჭრელს, ფიცრის გამრანდავს, ყანის პატრონს, ფრინველთა და მხეტთა მესაიდუმლეს, მთავარზე შედამებულ მეოცნებეს, წიგნის ჭიას, მინდვრის მეთარგეს დაუტოვა ყველაზე უმთავრესი, ყველაზე უძვირფასესი რამ: პატი-ოსნება, ძლიერი ნებისყოფა, სულში ჩახედვის უნარი. რასაც — ერთად აღებულს — სოჩხეთური ხასიათი უნდა ვუწოდოთ.

ახლა ამ ხასიათის რამდენიმე წარმომადგენელი ცეცხლის პირს უზის.

შიშხინებს მწვადი;

იხარშება ქათამი;

ცივდება ღვინო;

დიდი საქმიანი კვირის შემდეგ ბურის გატეხასაც თავისი გემო, თავისი პეწი აქვს. განსაკუთრებით მთასაყდრიდან დაბრუნებულს კიდევ უფრო გიზიდავს და ახალ-ახალი ხილვებით ვაცებს მიწა და ცეცხლი.

ყველაფრის თავი და თავი ავალოა, — მისი თაოსნობით გაეშალათ სუფრა. ბენია გოჩელა-ვილიმა. — ავაშენათ ღმერთმაო, — შეებით ამოისუნთქა ჩვენს დანახავზე და ჭირკს მიუჭდა: — თქვენს ლოდინში შიმშილით დავიხოცეთო.

დიდი თვებატივი არავის ვაუღვია, მაშინვე შემოიწკაპენ „სუფრის“ გარშემო. ვხედავ: მზით გარუჭული მხრები, დაკორძილი ხელები! ეს ოქრო ხელები ხეალ განთიადიდან დაიწყებენ სილოსის დამზადებას, პანტის ჩამოხერტყვას, გაიყვანენ გზებს, საძოვრებზე გადენიან ნახირს, მოეფერებოან ვენახს, ფუჩეჩს მოუსინჯავენ სიმინდს...

იმთავითვე სითბო, გულოთადობა და ღიმილი ვამეფდა.

განდა ფხიანი სიტყვაბზიკი, ხან ერთს რომ უკებინდა ვნახე, და ხან მეორეს... ვინაჲთაჲსა სუფრის შუაში გედღონ მახარაშვილი იჯდა — ორმოცდახუთი წლის შეგვერემანი, პირხმელი, დაბალი...

მწყემსის გვერდით კიდევ ერთი მისი თანამოძმე იჯდა — კვართა, ვახტანგ მარგველაშვილი, მალალ-მალალი, ჩანჩუხა კაცი. ოცდაათი წლისთვის ძლიეს გადაებიჯებინა და, უკვე პენისს დაღუბობდა: შახტში მუშაობდა. დამარცხდა...

უფრო აქეთ, ჩემს გვერდით, ავალო ცნობილ-ძე წამოსკუპულიყო, მეველე, ისიც პირხმელი, ზედმეტ სახელად პლეუტა არ აუბარეს და ჭინჭროლის პრეზიდენტად აირჩიეს უცებ.

ჰე, მოგვეცათ ლხენა, შეიფერა ავალომ და დაამშვენა. და იცით, რატომ? იმიტომ რომ უბოროტო, უპირშავო, უღრუბლო, გულდამტკბარი და კვირია კაცია!

— რაჲ იყო, ავალო, დათვზე სანადიროდ რომ წაიყვანე ჩვენი თავმჯდომარე? — ეკითხებინა სუფრის მეორე თავიდან.

ავალო ეშმაკურად წყურავს თვალებს.

— არ ვაგვიმართლა მაშინ. — იღიმება გიორგი კულაშვილი.

— რატომ! — არ ტყდება ავალო, — ციკანი ხომ ვიპოვეთ!

— შე ოჯახაშენებულო, ციკნის კვალს ვაპყობსხართ და ციკანს იპოვიდით აბა, რა იქნებოდა, — იციანს გურამ გოჩელაშვილი.

— ხი, ხი, ხი, ხი! — ისმის აქეთ-იქიდან.

— იცინეთ, იცინეთ, მარა მაშინ ნამდვილად მოგვატყუა დათვმა!

— რომელმა დათვმა! — სერიოზულად ეკითხება ბენია გოჩელაშვილი.

— მტერი ჩავარდა თქვენს ყბაში! — ხელს იქნევს ავალო.

ავალოს ქვემოთ გოგია ბაღდასაროვი ზის.

— წუხელ, — თქვა გოგია, — სიზმარში მონტე-კრისტო ვნახე. შავი ხვერდის ტანსაცმელი ეცვა, სახელები და საყელო თეთრი მაქმანით ჰქონდა გაწყობილი. სიმართლე გითხრაო, ერთბაშად ვერ ვიცანი, მოზოდიშებით ვკითხე, ვინ ბრძანდებით-მეთქი. მონტე-კრისტო ვარო, გრაფი, აბა მე ტოპო-გრაფი ვარ-მეთქი! — ვაჯახე ამაყად. იცოცხლე, გაუკვირდა, მარა, რა გაუკვირდა, ძამია კრისტოს!..

ბაღდასაროვი კიდევ ყვება რაღაცას. მაგრამ „გრაფი“ გამოწვეული სიცოცხლე შეუხტომელ ღობესავით აემართა წინ.

იციანის ხარების საქმებრად წამოსული და სუფრასთან მოწვეული მოზოდიშე, ახალგაზრდა, უმადლესში თავშეყოფილი, დარსაძეების სავარეულოს იმედი — ჯემალი, სოფელში ხოიტას სახელით რომ არის ცნობილი.

როგორც ხედავთ, ზედმეტ სახელებს უხვად

ბერტყავს სოჩხეთის მადლიანი ზეცა. მაგრამ
თუ კიდევ გინდათ, გეტყვი: ფაეტონა, ქინძუა,
პაიჭა, ყვართია, კაცუნა, ჯაკვია, წიწილა, მე-
მეთა... უკაცრავად, აქ რომ არ შევჩერდე, სად
წავალ! მე კი სხვა ამბებზე ბევრი მაქვს მოსა-
ყოლი.

იმ დღეს ბენია გოჩელაშვილს გაუმართლდა
ვარაუდო.

ერთი-ორი სადღეგრძელოც არ ჰქონდა ჩა-
მორიგებული, რომ ამინდი გაფუჭდა, აიჭიქყა,
დაფინთიხდა და ჩუმად, წვრილად წამოჰინჯლა.
მაგრამ ბენიას ააყენებ სუფრიდან! ჯერ არ და-
ჯდება და არ დაჯდება, მაგრამ თუ დაჯდა, მერე
ნაჯახით ვერ ამოძირკვავ სკამიდან.

ჯერ საქართველო აღდგარძელა, მერე ჩვენი
ხალხი მოიკითხა ვეება ჭიქით, სოფლის გზა,
ტყე წყალი აღდგარძელა. შინმოუსვლელთა
საპატივცემულთ პურის ნატეხი ჩაალბო ჯა-

მში, ცას შეხედა, — ისევ წვიმდა, წვიმდა,
ხვავრიელად. მაგრამ მთელი ცის კიდული რე-
ლაციანიად მოსინათლებული იყო. და აქ მოხდა
სასწაული. ბენიამ, ამ ბუხუნა, ფეროვანმა და
ბაჯბაჯა დათვმა, ისე დაშაქრა, წვიმა კი არა,
ღვარცოფი რომ მოსულიყო, აღგილიდან არა-
ვინ დაიძვრებოდა. ყველას იმედი გაამართლა.
აედარს აჯობა. აქ, იფნის ქვეშ შეყუდრულებს,
წვიმა მიინცდამიანც ვერას გვაკლებდა. ხანდახან
თუ დაძვრებოდა ფოთლოვანის ყუნწში. ბენიამ
კი სიყვარულის ზღვა ფეხით გადაიარა, მერე
სიყვარულისაგან ვეება კიბე დაწნა, ცაზე აის-
როლა. მთვარეს ქამანდად მოსდო და ზედ, რო-
გორც უნდოდა, ისე ადიოდ-ჩამოდიოდა. ხან
მზის ნატეხი ჩამოჰქონდა ყოველი ჩვენთაგანი-
სათვის, ხან თითო ბლუჯა ვარსკვლავებს ჩაგვი-
ყრიდა კალთაში.
მერე წვიმაც შეწყდა და სიმღერამაც იფეთ-
ქა.



მედიკოსი პარკოსანიძე

გონჯი მკეთუნასკვი

ამერიკული ჩანახატები

ორი ოქანის შუა

მგზავრებს შორის არის ძუძუთა ბავშვი, რომელიც წამოიტირებს ხოლმე. პირთხელი ქალი ბავშვს პირში ძუძუს ჩრის და თან ოფოფივით აქოჩრილ, წითელ თმებს ხელის მსუბუქი მოძრაობით ისწორებს.

ჩემი გოგო ახლა უკვე დაბრუნდებოდა სკოლიდან. დედა სუფრას შლის. გოგო და ბიჭი ეშველებიან. სადილი მზად არის. სუფრა გააწყეს და დედა და შვილები მაგიდას მიუსხდნენ. ცოტას ლაპარაკობენ და უხალისოდ ჭამენ, თითქოს რაღაც დარდი და საფიქრი გასჩენიათ.

იქ რომ ვიყო, ჩემი გოგო მომიჯდებოდა გვერდით და გამიბამდა ტიტის, დაწვრილებით მიაპობდა, რაც იმ დღეს სკოლაში თავს გადახდა. მაგრამ მე ძალიან შორს ვარ სახლიდან...

თვითმფრინავი დაქინებით მიაპობს სივრცეს. ძირს უძირო ოქანა და ირგვლე — უსაზღვრო ცა.

ლამაზი სტიუარდესა, მუდამ რომ გილიმის და ისე გექცევა, თითქოს დიდი ხნის ნაცნობი და მეგობარი იყოს, ყურადღებას გვთხოვს. მისთვის სულსაც არ დაიშურებ.

ჩემი მგზობელი, ხანში შესული კაცი, რომელიც მგონი ჰოლანდიელია, სავარძელში მოხერხებულად ეწყობა და თვალებს ხუჭავს. ეტყობა, მას უკვე მობეზრებია სტიუარდესების გახეპირებული ახსნა-განმარტება. ხოლო ვინც ატლანტიკის თავზე პირველად ფრინავს, ნუ დაძრაბავთ, თუ გულში შიში შეეპაროს, ცალკე ამ უსაზღვრო სივრცისა და უნაპირო ოქანის გამო და ცალკე ამ სტიუარდესების მრავალმნიშვნელოვანი რჩევა-დარიგებით.

ჰოლანდიელი უკვე თვლემს. გულისყურით ვუსმენ სტიუარდესას, მაგრამ მეტი არაა ჩემი მტერი, თუ ღმერთი გაწყრა, ამ რჩევა-დარიგებით ჩვენ არაფერი გვეშველოს... ბავშვი ძუძუს პირს არიდებს და ჩხავის.

ის აღამიანური სიცოცხლე მხოლოდ რამდენიმე თვეა გაჩნდა და უკვე დიდ საფრთხეში ჩაეარდნილი.

სტიუარდესა იღიმება და რაღაც ფხვნილს გეჩვენებს, წყალში უნდა ჩაყაროთ და ზვიგენების თვდასხმისაგან დაზღვეული იქნებით. დიდი იმედია, მე და ჩემმა ღმერთმა. აქამდე თუ მივიდა საქმე, ფხვნილი გიშველის?

ჰოლანდიელი ხვრინავს. წამოსვლის წინ სოფელში დედაჩემი მოვიანახლე. ვუთხარი: ამერიკაში მივდივარ-მეთქი.

ამერიკაში რა გინდაო, ბიჭო, შენ ტყავში დაეტიეო.

მივდივარ-მეთქი. შვილო, მეტის-მეტს ნუ იზამო, იმ გადაკარგულში რომ არ წახვიდე. შენს მიწა-წყალზე გზა-შარა დაგელია თუ სამწერ-სანახავი დაგეშრიტაო...

ილუმინატორიდან მოჩანს უსასრულო ლავარდი, კაშკაშა მზე და თვითმფრინავს ქვევით — თეთრი, მატყლის ფთილსავით ვაპენტილი და თოვლივით სპეტაკი ღრუბლები.

ათი კილომეტრის სიმაღლეზე მივფრინავთ. ეს მანძილი დედამიწაზე არაფერია, ხოლო დედამიწიდან ცაში — ყოველი მეტრი, — აღამიანის გონების სასწაულია.

გიკვირს, გეუცხოება და გეამაყება კიდევ

რომ იქ ხარ, ცისა და მზის სამეფოში, სადაც ყველაფერი არის უშენოდ.

საუზმე მოგვიტანეს.

პოლანდიელი იღვიძებს და თვალებს ისრებს. სტიუარდსას იხმობს და ჭისკის უკვეთავს. ჩამოსიებულ სახეს ჩემსკენ აბრუნებს და მეკითხება:

— ატლანტიკაზე პირველად ფრინავთ?

— პირველად.

— საშინელებაა, ხომ?

მხრებს ვიჩჩჩ.

— მე სათვალავი დავკარგე, რამდენჯერ მიფრენია და მაინც ტანში მაჭრთვლებს.

ნეტა, რა არის ამ კაცისათვის ამ ქვეყნად ყველაზე ძვირფასი? ახლა კატასტროფა რომ ვანიცადლოთ, რა დარჩება მას ამქვეყნად ყველაზე სანუკვარი? გული ვისთვის ან რისთვის დაწყდება?

პოლანდიელი თითქოს ფიქრს მიმიხედა, ლუკმა ჩაყლაპა, ვისკი მოწურება და ღიმილით თქვა:

— შინ არავინ დამჩენია. კარი გამოვხურე და წამოვედი. ჭიშკრამდე მუზობლის ძაღლმა გამომაცილა.

პოლანდიელმა ჭიქაში ჩარჩენილი ვისკი გადაკრა.

არ ვიცი, იგი ხუმრობდა თუ სიმართლეს ამბობდა. ნუთუ არც ცოლი ჰყავდა, არც შვილი, არც დედა, არც მამა?.. აბა რითღა ხარობდა, რისთვისღა ცხოვრობდა? დაღუპვისა რატომღა ეშინოდა?..

სტიუარდსამ საგორავი მაგიდით ალკოჰოლიანი სასმელები და გამაგრებელი წყლები ჩამოატარა.

პოლანდიელმა ჭიქა ისევ ვისკით შეავსებინა. ჩემს გასწვრივ სავარძელში ღრმად ჩაფლულა მოხუცი, ფაშფაშა ქალი.

მან საუზმე მადიანად მიირთვა, ისე მადიანად, რომ მის მაკქერალს, მამდარ კაცსაც კი ჭამის სურვილი აღეძვროდა. ხემსიც კი არ დაუტოვებია.

სქელი ტუჩები ქაღალდის ხელსახოცით მოიწმინდა და ახლა სავარძლის უკან გადაწეულ სახურგზე გადასვენებულა. თვალები დახუჭული აქვს.

მშვიდს, უძრავსა და დაღუმებულს რომ ვუცქერი, მიკვირს, რაც მოვფრინავთ, პირი არ მოუტუშავს. გასასვლელში ვიდეც ქალიშვილი გამოიჭირა და გაუბა და გაუბა. ქალიშვილის შეწუხებული სახისათვის რომ შეგვხედნათ, "შეგეცოდებოდით. ისე დაღალა და გამოათავყვანა, ქალიშვილს ყბა მოგქცა და თვალები დაუელამდა.

მისი ცქერით მეც დავიღალე. ახლა კი სავარძლის სახურგზე გადასვენებულა და თვლებს.

ცხვირზე ბუზი დააჭდა. ქალმა გამწარებით აიქნია ხელი...

ბუზი თვითმფრინავში, ათიათას მეტრ სიმაღლეზე!

ილუმინატორიდან მზის სხივი იღვრებოდა მაკვანებს.

ღრუბლის დიდი ქულა მზეს ვარდისფრად აუნთია.

წინ დიდი გზა გვიძევს.

მივტურავთ ჰაერის ოკეანეზე, ცისა და ზღვის შუა, სადაც არის მხოლოდ მზე და არის ღრუბლები.

ცა იღუშალია და უცხო...

მიწაზე ფეხი რომ გიდგას, იმედინად ხარ კაცი; ცაში გამოკიდებულს კი რისი ან ვისი იმედი უნდა გქონდეს?

თვითმფრინავში რომ ჯდები და ცაში აღიხარ, გული მიწაზე გრჩება.

მგზავრებთან გამოვიდა ეკიპაჟის წევრი. იგი ხან ერთთან შეჩერდება, ხან მეორესთან, ორი-ორედ სიტყვით გამოესაუბრება. მგზავრები, ხან ეს, ხან ის, რაღაცას ეკითხებიან, თვითელს რაღაც აინტერესებს.

ეკიპაჟის წევრი პასუხს არავის ამადლის. იგი იღიმება და მსუბუქად ხუმრობს.

ცაში უჩვეულოა მგზავრის დამოკიდებულება ეკიპაჟისადმი. ტრაპზე რომ აღიხარ, უკვე იმ წუთიდან ყურადღება დაძაბულია ეკიპაჟის მიმართ. ძლიერი აგებულების, წარმოსადგე და მოხდენილ ეკიპაჟის წევრს რომ უცქერი, მშვიდდები და იმედინად ხარ.

ბავშვმა ისევ დაიწყო ტირილი. დედამისი უყვავებს, მაგრამ ბავშვი მაინც ტირის და თვითმფრინავში როგორღაც სიცოცხლეს ამძაფრებს ბავშვის ტირილი.

ადამიანთა ეს ერთი ჯგუფი ერთად მხოლოდ მგზავრობამ შეჰყარა. დამთავრდება მგზავრობა და თვითეული თავისი გზით წავა.

ადამიანს ახარებს ადამიანთან შეხვედრა და განშორება — აღონებს, უჩენს ფიქრს და რაღაც ნაირ სევედას.

თვითეული ადამიანი რომ იცნობდეს და მეგობრობდეს ყველა დანარჩენს, რა მდიდარი და რა ბედნიერი იქნებოდა ადამიანის მოდგმა!

თვით დედამიწა ხომალდია, კაცობრიობა კი — ეკიპაჟი.

ციდან რომ დასცქერი, ჩვენი პლანეტა მშვიდი და უწყინარია, თითქოს იქ ყველაფერი მოწყობილია; არ არის მტრობა, არ არის დამატრი, არ არის სიძვა... არ არის ადამიანის მიერ ადამიანის კვლა...

იქნება კი ასეთი ოდესმე დედამიწა?

ადამიანის მოდგმა იცხოვრებს თუ არა ერთ ოჯახად ჩვენი პლანეტისა?..

მეხუთე საათია მივფრინავთ ოკეანის თავზე, მეხუთე საათია ვცხოვრობთ ცაში.

ბიძი ვარდოსანიძე

ბონჯი მზათუნახავი

ეს ხუთი საათი წელიწადს უტოლდება. დრო თითქმის გაჩერებულია წყლისა და ცის ოკეანის შუა.

სულ სხვა არის სრბოლეა დედამიწაზე. მატარებელში რომ ზიხარ და მიპქრინხარ, შენთან ერთად მოძრაობს მთელი გარესამყარო; უკან გრჩება ტყე, მთა, ხე, ბუჩქი და მიწა-ღორ-ველი; შენსაკენ საღაღაც მიემუტრება მიწა, ცა და მთელი ქვეყნიერება; ხედავ, გრძნობ, განიცდი მოძრაობას.

ცაში არც ხეა, არც მთა, არც ტყე და არც მიწა-ღორ-ველი. ილუმინატორიდან მოჩანს ერთ-ერთოვანი სივრცე, ძირს კი მხოლოდ რძისფერი ღრუბლებია. და ასე გვონია, სივრცეში უმოძრაოდ ხარ გამოიდებული.

როცა ილუმინატორიდან მზეს დაინახავ, გული გიჩქროლავს, — ცაში მხოლოდ მზე არის შენი ერთადერთი ნაცნობი და ახლობელი.

უმზეოდ ყოფნა უფრო ძნელია ცაში, ვიდრე დედამიწაზე.

ჩემს წინ სავარძლის სახურავზე მიყვრებული ჯიბიდან ავიარუქას ვიღებ. რუქაზე გამოსახულია ყველა კონტინენტი, აღნიშნულია ჩვენი მარშრუტი.

ქალაქზე გადატანილი დედამიწა ხელში მიჭირავს, როგორც უსულო რამ სავანი.

აი, ევროპა, აგერ ამსტერდამი. იქ აიღო ჩვენმა თვითმფრინავმა სტარტი და ამჟამად ვიმყოფებით საღაღაც აქ — ატლანტიკის ოკეანის თავზე, ნახევარი გზის იქით.

ამსტერდამიდან ნიუ-იორკამდე საპაერო გზა ლარიეთი მიემართება.

მუქი მწვანე ფერი, ატლანტიკას რომ აღნიშნავს, ქალაქზე ერთი მტკაველით გაიზომება.

თვითმფრინავმა გუგუნს უმატა. რა მოხდა? ილუმინატორიდან ვიკჭირები. მივფრინავთ ლავარდოვან ცაზე, მივფრინავთ შაღლა, მზისკენ თუ საღაღაც.

შორს, ძალიან შორს ღრუბლები ჩახერგნიან, როგორც კავასიონის თოვლიანი მწვერვლები. ქამრებით დამაგრეთო. რატომ? წინაშე დაშვებამდე ჯერ კიდევ შორია. მაშ, რაღაც მოხდა. მაგრამ სიმაღლეს ვინ გეტყვის?

იმ წუთებში მზით განათებული ჰაერის ოკეანე, შენს მფრინავ სახლს ყოველი მხრიდან გარს რომ აკრავს, თითქმის ფერს იცვლის, შავდება, ჯოჯოხეთად იქცევა და შიშს გგვრის.

რა ნუგეშია, მაგრამ ძირს ხმელეთი მაინც იყო.

ჩემი მეზობელი პოლანდიელი სავარძლის სახურავზე გადაწოლილა და ხვრინავს.

ამჟამად ის ჩემზე ბედნიერია.

ჩემს გასწვრივ სავარძელში არ ზის მოუსვენარი, ფაშაშა მოხუცი ქალი, ალბათ კვლავ საღაღაც ვაღაჯდა.

ბავშვი აღარ ტირის, თუ ჩაიძინა.

ვხედავ იმ ბავშვის დედის ცეცხლისფერ თავს. გასასვლელში ბავშვის ცალი ფაჩუჩი აგდია. სტიუარდესამ კვლავ ჩამოატარა სავარავი მაგიდით გაშავებული წყლები.

ისევ სუფთა, ყინულიანი წყალი გამოვართვი. ცივი წყალი ძალიან მისიამოვნა.

— კიდევ ხომ არ მისითმეთ? — მეკითხება სტიუარდესა და მომხიბლავად მიღიბის.

ნეტავ, ეს ქალი ჩემ ქვეყანაში შემხედვს, თან გადაეყვები.

მეზობელმა გამოიღვიძა, საათს დახედა, გემრიელად დაამტენარა და ისევ სავარძლის ზურგზე გადაწვა.

გამოაცხადეს: საშიშროება გავლილია. თავისუფლად ამოვიხუნტე.

ცაში იყო მზე, ღრუბლები და თვითმფრინავი. ოკეანის ვალმა მელოდე მიწა, ოკეანის გამოღმა — ჩემი სახლა.

მ ი ტ რ ი ნ ე ბ ი

ბროდვეიზე ვიტრინა ზედ ქუჩაზე გამოსულა, სახეს მთვარესავით გაბადრულა და პატარძალივით მორთულა.

ვიტრინაში აწყვიდა სათამაშოები: დედოფალეზი, ავტომობილები, პისტოლეტები, თვითმფრინავები, საკერავი მანქანები...

ჩემი გოგო და ბიჭი ახლა აქ რომ იყვნენ, ვიტრინას ვერ მოვაშორებდი.

მალაზია დიდი არ არის. ასეთი პატარ-პატარა მალაზიები ნიუ-იორკში ყოველი ფუხის ნაბიჯზეა. ისინი წვრილ ვაჭრებს ეკუთვნის და იქ საქონელს მტკიცე ფასი არ ადევს, ვაჭრობა მიღებულია.

მალაზიაში ორიოდ მყიდველი და ოთხიოდე

გამყიდველია. ოთხივეს თვალი ჩემსკენ არის მოპყრობილი.

ახლაგაზრდა მოხდენილი ქალი კარებშივე წინ მეგებება და მიღიბის.

— მობრძანდით, სერ!.. მობრძანდით!..

დიდი, ცისფერთვალა დედოფალა ბავშვივით იღიშება და თვალებს აფახულებს; ასე მგონია, საღაღაც არის ენას ამოიდგამს და ატიტიკდება.

— ეს დედოფალა დადის, ლაპარაკობს, მღერის...

„ძვირი იქნება“: — ვამბობ ჩემ გულში და დედოფალს თვალს ვარიდებ.

—აი, ეს — არ ლაპარაკობს; მხოლოდ დადის, — ამბობს ქალი და დედოფალს მაჩვენებს...

მზერა ავტომობილებზე გადამაქვს.

ქალი შემომტყეპრის და მიდიხის...

ხნიერი მამაკაცი გვიხლოვდება.

— ვერაფერი აირჩიეთ?

მხრებს ვიჩჩრ.

კაცი სათამაშოებს ათვალეირებს. ერთ მომცროს ყუთს ხსნის.

— ახლა მთელი ქვეყანა შეშლილია კოსმოსით. პოდა, აი, კოსმოსური ხომალდი, — ამბობს კაცი და ყუთიდან იღებს „ხომალდს“, რომელიც მონიკლებულია და თვალისმომჭრელად კრიალებს. — ეს სათამაშო იღიდებსაც ართობს.

ხომალდს გასაშვები მოწყობილობაც აქვს, ამწის მსგავსი, წინ გაშვებული ხორთუმი. კაცი თითს აჭერს მწვანე დილაკს. იფეთქებს სქელი, ღრუბელივით ბოლი და სოკოსავით ადის მდელს. ხომალდი პაერში აიჭრება. ისმის სიგნალები.

მშვენიერია!

ქალი და კაცი, ნასიამოვნები იმით, რომ სათამაშო მომეწონა, შემომტყეპრიან თვალეში და შემომცინიან.

ხომალდს უკან ვდებ ყუთში და ქალს ვუბრუნებ.

— შეგიხეიოთ? — მეკითხება ქალი.

ხომალდი ხელში რომ მეჭირა, ფასს დაგხედე.

ქალი პასუხს მოთმინებით ელის.

ვადგევარ და ხმას არ ვიღებ.

ქალი ყუთს თაროზე დებს და სათამაშოებს ათვალეირებს, — კიდევ რა მაჩვენოს?

პატარა დედოფალას ვიღებ და ქალს ვუბრუნებ, შემიხვიოს.

ერთ დოლარს ვიხდი.

ქალი კარებამდე მიმაიცილებს და მადლობას მიხდის.

თავს მიკრავს და ღიმილით მაიცილებს ხანში შესული მამაკაცი, რომელიც, მე მგონი, ამ მაღაზიის პატრონია...

სასტუმროში ჩემი დედოფალა მოწონებას იმსახურებს.

— სად იყიდეთ? — მეკითხება მარია მიხეილის ასული, ლენინგრადელი ექიმი ქალი. — მშვენიერია!

ვეუბნები, სადაც ვიყიდე.

— ხვალ დილით წავალ და ჩემ გოგოს ვუყიდი, — ამბობს მარია მიხეილის ასული და დედოფალას იხუტებს ვულში.

მე მეცივნება.

— ვერ წამყვებით? — მეუბნება მარია. — მარტო სად უნდა ვეძებო.

— სიამოვნებით.

— თერთმეტ საათამდე თავისუფალი ვართ. — მოვასწრებთ.

დილით გვეერთდება იგორ ივანეს ძე, სვერდლოვსკელი პროფესორი.

სამნი მოვაბიჯებთ ბროდვეიზე, ბავშვების სათამაშოების მაღაზიისაკენ.

— მოდი, აქ შევიდეთ, პა! — ამბობს იგორ ივანეს ძე და ჩერდება დიდ ვიტრინასთან, სადაც გამოფენილია კინო და ფოტოაპარატები. პორტატული ტელევიზორები, ტრანსისტორები...

შევიდვართ.

ახლაგზრდა, საშუალო ტანის კაცი, რომელიც სახით ძალიან ჰგავს სომეხს, ყუთებს ფრთხილად ხსნის და თაროზე პორტატულ ტელევიზორებს ალაგვებს.

მაღაზიაში მის მეტი არავინაა.

ჩვენ რომ შევიდით, მილაგებას თავი ანება და ჩვენ შემოგვეგება.

იგორ ივანეს ძე დგას და თავის დიდი სათვალეებიდან დინჯად ათვალეირებს საქონელს.

— გვიბრძანეთ, რა გნებავთ, — ამბობს მაღაზიის პატრონი.

მე უხერხულად ვიშმუშნები. მარია მიხეილის ასული თავს აქნევს — არაფერი. იგორ ივანეს ძე კი სათვალეს იხსნის, ცხვირსახოცით წმენდს და ისევ იკეთებს.

მაღაზიის პატრონს ეჩვენება, რომ მყიდველი ტელევიზორზე აჩერებს თვალს. იგი თაროდან ფრთხილად იღებს ტელევიზორს და ბეჯითად განმარტავს მის ღირსებებს.

იგორ ივანეს ძე ყურადღებით უსმენს და ხმას არ იღებს.

მაღაზიის პატრონი, ალბათ, ფიქრობს, რომ მისი ლაპარაკი დამაჯერებელი არ არის და ტელევიზორს რთავს.

— ნუ წუხდებით, გეთავა, — შეწუხებული სახით და გაუბედავად ამბობს იგორ ივანეს ძე. მაღაზიის პატრონი ტელევიზორს თავის ადგილზე დებს.

მარია მიხეილის ასულს რაღაც აუღია ხელში და ათვალეირებს.

— ნეტა, ეს რა არის? — კითხულობს იგი.

ხელიდან ვართმევ და ვსინჯავ.

— მე მგონი, ტრანზისტორია. აი, ანტენა აქვს, ეს რა იქნება!

— სხვა პორტატული მიმღებ-გადამცემია, — ამბობს მაღაზიის პატრონი.

— ააა?! მაჩვენეთ, გეთავა! — ინტერესდება პროფესორი.

მაღაზიის პატრონი გვაწვდის მეორე ცალ ასეთივე მიმღებ-გადამცემს.

— ეს ორი ცალია ერთად, — ამბობს იგი.

გამახსენდა პოლიციელი, რომელიც პოსტზე იდგა და ხელში ასეთი მიმღებ-გადამცემი ეჭირა. ანტენა აღმართული იყო. პოლიციელს მიმღებ-გადამცემი ტუჩებთან ახლოს მიგტანა და აპარატში ლაპარაკობდა, ალბათ, თავის საპოლიციო უბნთან.

— საინტერესოა, — ამბობს პროფესორი, — მაგრამ რატომ არის ორი აპარატი?

ბიძი ვარლხანნიძე

გონჯი მზითუნახანი

— მე მივხვდი, — უპასუხებს მარია მიხეილის ასული, — ერთი აპარტი გაქვთ თქვენ, მეორე — სხვას, ვისთანაც თქვენ დამყარებული გაქვთ რადიოკავშირი. როცა გასურთ, თქვენ ერთმანეთს გამოიძახებთ და ესაუბრებთ.

— შესანიშნავია, — ბავშვით უხარია პროფესორს. — რა მანძილზე შემძლეა ვილაპარაკო?

— ამ აპარტით, ათი-თხუთმეტი მილის რადიუსის ფარგლებში, — ამბობს მალაზიის პატრონი. — უფრო მძლავრი აპარტებიც არის.

პროფესორი ფიქრობს.

— კარგი ვასართობია, — ამბობს მარია მიხეილის ასული.

— რატომ ვასართობი? — უარყოფს პროფესორი.

„ძალიან კარგია მონადირისათვის“, — ვფიქრობ ჩემ გულში.

— რა ღირს, გეთაყვა? — კითხულობს პროფესორი.

— ოცდაათი დოლარი, — უპასუხებს მალაზიის პატრონი.

პროფესორი ყოყმანობს.

— წაიღეთ ოცდაცხრა დოლარად.

— ამდენი სულ არა მაქვს, გეთაყვა, — იღიშება პროფესორი.

„მართლაც არ ექნება“, — ფიქრობ ჩემთვის და მზად ვარ დაეუბნო, რადგან ვხედავ, პროფესორი ძალიან მონდომებულია, რომ აპარტი შეიძინოს.

— კეთილი, არ გამოგვეიდებით, — ოცდარვა დოლარი მომეცით.

— არა, არა, გეთაყვა, სად მაქვს ამდენი.

კიდევ ფასის დაკლება...

ყოყმანი...

და იგორ ივანეს ძე ყიდულობს პორტატულ მიმღებ-გადამცემს, იხდის ოცდახუთ დოლარს. პროფესორი ნასიამოვნებია და, მე მგონია, არც მალაზიის პატრონია უკმაყოფილო.

...სათამაშოების მალაზიაში მცნობენ და როგორ უხარიათ! ხანში შესულს კაცი მხარზე ხელს მადებს და მეგობრულად მიკრავს თვალს.

ჩემი თანამგზავრები უხერხულობას გრძობენ. იგორ ივანეს ძე ყმაწვილივით აბუხულა. მარია მიხეილის ასული გვერდზე გამდგარა და ცალი ყური ჩვენკენ აქვს, თვალები — სათამაშოებისაკენ.

— ვისაც ბავშვები უყვარს, ჩემი მალაზიის ხშირი სტუმარია, — ამბობს მალაზიის პატრონი, მე და იგორ ივანეს ძეს ხელკავს გვიკეთებს და სათამაშოებისაკენ მივეყვართ. — ჩემი სათამაშოები უბადლოა, აირჩიეთ, რომელიც გნებათ!

და იწყება არჩევის გამასავათებელი პროცესი. თაროებიდან ვაღმოაქვთ სულ ახალ-ახალი სათამაშოები... იხსნება ყუთები... იხსნება და იხურება... იხსნება და იხურება...

მალაზიაში მოხუცი ქალი შემოდის, სულ ჩა-

მოშვებული. ძვირფასად აცვია და თავი ღირსეულად უჭირავს, ხელსაჯენს მოაკაუტუნებს. მალაზიის პატრონი თავს გვანებებს და მოხუცისკენ მივშურება.

— მობრძანდით, მისის!.. სულ დაგვიჩუქეთ, შემოგვწყვიროთ! — ამბობს იგი და პირი ყურება-მდე ასდის. მოხუცებულს მზრუნველად ხვევს მხარზე ხელს და ფრთხილად მოკავს.

— ბებერო მელა, კიდევ ცოცხალი ხარ? — ამბობს მოხუცი ქალი. — ამ ზამთარს როგორღა გადაურჩი!

— უფალსაც კი არ უყვარს ჩემსავით ღატაკი, მისის.

— თავს ნუ იკატუნებ, გიცნობ რა ვაებატონიკ ბრძანდები.

ქალეტი სავარდენი მოაქვთ და მოხუცებულს მოწიწებით სვამენ სავარძელში.

— ილოცე ჩემი შეილიშვილებისათვის.

— ისეთ საჩუქრებს ამოგიჩუქე, შეილიშვილები კოცნით დაგაძნობენ.

— ყებდობას არ იშლი.

— შენი კარგად ყოფნით, მისის...

ქალეტი ფუსფუსებენ... მაგრამ, როგორც ყველა მყიდველი, მოხუცებული ჭირვეულობს. მას თვალბნეში შესვქერბიან და ელოლიავებთან.

მალაზიის პატრონი ჩვენთან მოდის.

— მიაბატეთ, ჩემი მალაზიის ძველი კლიენტია, — ამბობს ის მოზოდიშებით და თვლით მოხუცებულ ქალზე გვანიშნებს. — თანაც, ასეთი კლიენტ ბევრი როდია. ხელცარიელი არასოდეს მიდის და ძვირფას საჩუქრებს ყიდულობს. ხუთი შეილი და ოცდარვა შეილიშვილი ჰყავს. უფალმა უმრავლოს! — ამბობს მალაზიის პატრონი და თვალებს მლოცველივით აღაპყრობს.

სიცილს ძლივს ვიკავებ

იგორ ივანეს ძე არანაკლებ გასაქირშია, ვიდრე მე ვიყავი გუშინ. მარია მიხეილის ასულმა კი შედარებით ადვილად მოახდინა არჩევანი. ის აქვთ მოდიოდა იმ განზრახვით, რომ ეყიდნა პატარა დედოფალი, ისეთი, როგორიც მე შევიძინე, მაგრამ მალაზიაში გადაწყვეტილება შეცვალა და ყინულზე მოციგურავე ქალ-ვაჟი იყიდა. მალაზიის პატრონმა თავის ხელით შეუხვია ნაყიდი.

— ის ქალბატონი არ შემეძღარა, — თქვა მოხუცმა ქალმა.

— ინებეთ, მისის!

— იყოს!

ყინულზე მოციგურავე ქალ-ვაჟი მოწიწებით შეუხვები.

რადღაც ორ სათამაშოს კიდევ ყიდულობს მოხუცი ქალი. მაგრამ ბოლო არ უჩანს სათამაშოების ჩვენებას, მოხუცი ქალის მიერ დაწუნებას და კვლავ და კვლავ სხვა სათამაშოების ჩვენებას...

იგორ ივანეს-ძე ხელში იღებს „კოსმოსურ ხომალდს“ და მეუბნება:

— რას იტყვით, პა?

— მშვენიერია!

— ბიჭი არ დამიწუნებს?.. თქვენ კი როგორ ფიქრობთ, მარია მიხეილის ასულო, პა?

— ნამდვილად კარგია.

— ქალღვს უკეთ გეხმით ასეთი რამეები.

— შეევახვითო? — კითხულობს მალაზის პატრონი.

— გადწყდა, — ამბობს იგორ ივანეს ძე. ერთ-ერთი თანაშემწე ქალი „კოსმოსურ ხომალდს“ ყუთში დებს და იგორ ივანეს ძეს აწვდის.

იგორ ივანეს ძე ყუთს ილღიაში იჩრის და გამხიარულებულია.

გასასვლელისაკენ მივიდევართ. მალაზის პატრონი სათითაოდ გვართმევს ხელს და კარებამდე მიგვაცილებს. თავს გვიკრავენ გამყიდველი ქალები და გვიღიმიან.

— თქვენი მადლობელი ვარ, — მეუბნება მალაზის პატრონი, — კარგი ფეხი გქონიათ. ო კეი!..

— ო კეი!..

ქუჩაში გამოსული, ძალაუნებურად ვიტრინაში ვიჭყიტებთ. ვიტრინის მიღმა ჩანს სავარძელში ჩასვენებული მოხუცი ქალი, რომელსაც სათამაშოები ულაგია წინ. მალაზის პატრონი ქალთან მიდის და რაღაცას ეუბნება, ალბათ, სახუმაროს, რადგან ქალი იცინის. მის იგრვლივ ფუტკრებივით დაფუსფუსებენ გამყიდველი ქალები...

ბროდვეი... ვიტრინები... ვიტრინები...

ვიტრინებისაკენ აღარ ვიხედებით. დრო ცოტა დავგრაჩა. ფულიც არ გვიხვეს ჯიბეებს. იგორ ივანეს ძეს ძალიან სერიოზული სახე აქვს და ქოშინით მოჩაქჩაქებს.

ფეხს ვუნელებ და მის მხარდამხარ მივდივარ.

იგორ ივანეს ძეს რაღაც აზრი მოსდის თავში, მკლავზე ხელს მკიდებს და მეუბნება:

— იცით, რა?

ჩერდები და ველოდები.

იგორ ივანეს-ძე თქმას აყოვნებს...

— არ ვიცი, — ვამბობ მე.

— ჰო!.. აი, რა... — მკლავზე ხელს მიჭერს იგორ ივანეს ძე. — ეს აიღეთ და წინ წადით, — მეუბნება და ხელში მჩრის მიმღებ-გადამცემ აპარატს. — ჩქარა იარეთ, ათი წუთის შემდეგ დავიკავშირდებით.

— ნუ დაფორდებით ერთმანეთს, — ამბობს მარია მიხეილის ასულო.

იგორ ივანეს ძე ხელით მანიშნებს, შორს წადო.

მივდივარ ჩქარი ნაბიჯით, თითქმის მივრბივარ... საათზე ვიხედები. ხელში მიჭირავს მიმღებ-გადამცემი. ანტენა ავმართე. ღილს თითს ვაჭერ და აპარატში ჩავძახი:

— იგორ ივანეს ძე, იგორ ივანეს ძე... ჰალო!.. ჰალო!..

ღილს თითს ვუშვებ და ვუსმენ.

— ჰალო!.. ჰალო!.. ეს მე ვარ, მესმის შენი, შესანიშნავია!.. — ბუხბუხებუნი იგორ ივანეს ძე. — ადგილზე ვჩქარდები წინ წადი. კავშირს ვამყარებთ ისევ ათი წუთის შემდეგ.

მე პასუხს არ ვაძლევ.

— ჰალო!.. ჰალო!.. — მესმის აპარატში შემფოთებული ხმა. — გესმით ჩემი?.. გესმით?.. ჰალო!.. ჰალო!.. ჰალო!..

— მესმის.

— ნუ დიზარებთ, ვეთაყვა... კავშირი ათი წუთის შემდეგ...

რა გაეწყობა. მივაბიჯებ ბროდვეიზე, უფრო გავრბივარ. საათზე ვიჭყიტები. ხუთი წუთი გავიდა: მეორე ხუთი წუთიც. აპარატის ანტენა აღმართულია. ეუსმენ.

— ჰალო!.. ჰალო! — ხმინაობს აპარატი. რატომ გაჩუმებულხარ?! ჰალო!.. ჰალო!.. მე ვარ, იგორ ივანეს ძე... იგორ ივანეს ძე.

— გისმენთ... გისმენთ... მადროვეთ, სულ მოვიტყვა.

— ჰო, ვეთაყვა, შეისვენეთ... შესანიშნავია!.. საღ ხართ, ვეთაყვა!..

— იარეთ პირდაპირ, სულ პირდაპირ, ჩემკენ.

— ადგილი არ მოინაცვლოთ, მოვდივარ... ვდგავარ და სულს ვიბრუნებ.

„ეს მართლაც კარგი რაღაცაა, მონადირისათვის განსაკუთრებით“.

იქვე ავტომატში ხურდა ფულს ვყრი და ავტომატი მაწვდის კოკაოლას ბოთლს. გასახსნელი ავტომატზევა. ბოთლს გხსნი და პირზე ვიყუდებ. უზრდევლობაში არავინ ჩამომართმევს, აქ ჩვეულებრივად ასე სვამენ. კოკაოლა ცივია და მსიამოვნებს. ბოთლს ერთი მოყუდებით ვცლი და ავტომატის გვერდით კალათში ვდებ...

ველი ხუთი წუთი, ათი წუთი, თხუთმეტი წუთი... ლოდინი ცუდია, თვით ბროდვეიზეცკი... ვხედავ, მოჩაქჩაქებს იგორ ივანეს ძე, ქოშინით, ხელების ქნევით.

— შესანიშნავია!.. შესანიშნავია!.. — იძახის ის შორიდანვე.

მისკენ მივიდევარ და ვხედავ იგორ ივანეს ძის ნასიამოვნებ და გაოფლილ სახეს.

ჩქარი სიარულით სახე ასწითლებია მარია მიხეილის ასულს.

ავტომატქანა ჩერდება და ზანგი ქალიშვილი და ვაჟი გადმოდიან. ქალიშვილი გამხდარია და მაღალი. მას მწიფე შვინდისფერი კაბა აცვია და ჩალის ფართო ფარფლიანი შლაბა ხუ-

ბივი პარლანანიძე

ბონჯი მხეთუნახხვი

რავს. ქალ-ვაგი ხელების ენერგიული მოძრაობით ლაპარაკობენ და იცინიან...

ორ ახალგაზრდას კისერზე ზონრებით ჩამოუთვლიათ განიერი მუყაო, რომელზედაც შავი, დიდი ასოებით ერთი და იგივე წერია: „ჩვენ არ გვიანდა დაეიხოცათ ვიეტნამში“.

ახალგაზრდები უალკოჰოლო სასმელების ავტომატთან ჩერდებიან და უკანვე ბრუნდებიან. გაივლიან მცირე მანძილს და ისევ აქეთ წამოვლენ, მერე კვლავ უკან. ეს მათი „სამოქმედო“ უბანია...

მალაზიის წინ, ქუჩაში ქალი ბავშვს ტოვებს პატარა ეტლით და თვითონ მალაზიაში შედის. ბავშვი დიდი აღმანიებით სერიოზულად და დინჯად არის. ვუტყერი და ვფიქრობ: „ეს რომ ჩემი იყოს, ტირილით ვასკდებოდა“.

— კოკაკოლას ხომ არ მიირთმევთ? — ეუბნები ჩემს თანამგზავრებს, რომლებსაც, ვატყობ, ხახა უშრებათ.

— დამეხა, ღმერთმანი, — ამბობს მარია მიხეილის ასული.

— უა!.. გული ლამის ამოვარდეს, — ქოშინებს იგორ ივანეს ძე.

ავტომატთან მივდივარ და მის ვიწრო ხახაში ვყრი ხურდა ფულებს. ავტომატი ძლიერილობს, ტაკუნობს და მიწვდის ყინულივით ცივ ბოთლებს.

ბოთლებს ავტომატზე ვხსნი და ჩემს თანამგზავრებს ვაწოდებ. ისინი აქეთ-იქით იხედებიან; ვატყობ, ეუხერხულბათ, პირდაპირ ბოთლიდან რომ დალიონ.

— არა უშავს. — ვამშვიდებ მე, — აქ ნიღბებულია.

პირთან აყირავებულ ბოთლებში კოკაკოლა ქაქს იკეთებს.

იგორ ივანეს ძე ბოთლს სულმოუთქმელად ცლის და ამბობს:

— ღმერთმა გიშველოს, მოვიტყვი სული! მარია მიხეილის ასულს ნახევარზე მეტი რჩება ბოთლში.

— მეტი არ შემოძლია, — ამბობს იგი, — ძალიან ცივია.

საათზე ვიხედები.

— არ დავაგვიანოთ, — ამბობს მარია მიხეილის ასული.

— თქვენთან რა დროა? — კითხულობს პროფესორი.

— ორმოცი წუთი დრო გვაქვს, — ვამბობ მე.

— ცოტა აუუჩქაროთ ნაბიჯს, — გვირჩევს მარია მიხეილის ასული.

უწარმავარი ვიტრინებიდან მანეკენი ქალები გვილიძიან. ქალებს სხვადასხვა ფერის შუქრეკლამები ანათებენ და მათი სამოსი ათასფრად ბრწყინავს, ღელაფს...

— შევიდეთ, — ამბობს მარია მიხეილის ასული.

მას სათვალეს ზემოდან უცქერის დღნაკევი ცვირებული პროფესორი.

— მხოლოდ რამდენიმე წუთით, ^{გარკვეული} ^{წინააღმდეგ} ნეს ძევ, ნუ გემინიათ, არ დავაგვიანებთ.

იგორ ივანეს ძე მხრებს იჩიჩს და შემომოტყერის, როგორ მოვიტყეთო.

— შევიდეთ, — ვამბობ მე. — მხოლოდ აი, რა: საათები გავასწოროთ. თხუთმეტი წუთის შემდეგ თავს მოვიყრით გასასვლელთან.

ჩემი და მარია მიხეილის ასულის საათები თითქმის ერთნაირად უჩვენებს დროს. იგორ ივანეს ძის საათი ოთხი წუთით ჩამორჩება.

— გაასწოროთ, იგორ ივანეს ძე!

— კეთილი, გეთაყვა... თქვენთან რომელია? — ამბობს იგორ ივანეს ძე და საათს ასწორებს. — გეთაყვა, ჯობს ერთად ვიაროთ.

— ვიაროთ...

დიდი უნივერსალური მალაზიის — „მეისის“ დარბაზებში აქა-იქ ჩანან აღმანიები... მე არაფრის ყიდვას არ ვაპირებ, საქონელს ვათვალიერებ, და რაც შემოძლია, მაგრამ ვაჩვენებ გამყიდველ ქალებს. მათ ხელში მტერი ჩავარდა.

ესკალატორით მეორე სართულზე ავდივარ. აქეთ-იქით ვიხედები. ჩემთან აღარც იგორ ივანეს ძეა და აღარც მარია მიხეილის ასული. ერთმანეთა დაეკარგეთ...

მეექვსე სართულზე კაფეტერია ყოფილა. ვიტრინაში ცივი საუზმე აწყვიდა. თვალში მხედება შავი ხიზილადა, მაგრამ ცეცხლი უკიდია. ასგრამინი ქილა თითქმის ცამეტი დოლარი ღირს. ამ ფასად ორ წყვილ ფეხსაცმელს იყიდი...

ყავას ვიღებ და ერთ ნაჭერს ნამცხვარს. სპ-მოც ცენტს ვიხდი. ზანგი მოლარე გოგონა მიღიმის და მაღლობას მიხდის.

ქიკა ყავით და ნაჭერი ნამცხვრით მაგიდებში-საკენ მივდივარ. აგერ, ნატალია გრიგოლის ასული, ჩვენი ჯგუფის წევრი კივიდნან. მან შემნიშნა და ხელს მიქნევს. ორივეს გვიხარია.

ნატალია გრიგოლის ასულს დიდი, ვრცელი ყუთი უღვევს გვერდით.

— საზაფხულო პალტო ვიყიდე, — ამბობს ის, — ქვეყნის ფული გადავყარე, ნეტა რაო მინდოდა?

— კარგი იქნება.

— ჩვენებურს არაფრით ჯობს.

ნატალია გრიგოლის ასული სვამს უკანასკნელ ყულუბ ყავას და ყუთს ხსნის.

— ბევრი არაფერი შვილია. ასეთი, ჩვენში რომ შეგხვდეს, არ იყიდი.

— მშვენიერი პალტოა! — ვუქებ ნატალია გრიგოლის ასულს, — მშვიდობაში.

— ვმადლობთ. — ამბობს ნატალია და პალტოს უკან დებს ყუთში. — ოცდახუთი დოლარი მივეცი.

ვდგებით და მივდივართ.

თერთმეტს ათი წუთი აკლია. ვჩქარობთ.

უნევერმადის გამოსასვლელში მარია მიხეილის ასული გველოდება: რომ გვხედავს, უხარია.

— იყიდეთ რამე? — მეკითხება მარია მიხეილის ასული.

— არაფერი.

— არც ჩე.

— ნატალია გრიგოლის ასულს კარგად უვაქრნია. — გამბობ მე.

— მართლა? — კითხულობს მარია მიხეილის ასული.

— ბალტო ვიყიდე.

— სიხარულში ვაცეითე. — ამბობს მარია მიხეილის ასული.

ვღგვერთ და ველოდებით. იგორ ივანეს ძე იკვიანებს... აგერ, გამოჩნდა. მოჩაქჩაქებს, ქშენით, ქოშინით.

— დამავიანდა? — იხახის შორიდან.

— როგორ დამეკარგეთ? — ვეკითხები მე.

— თქვენ საით წადით? — მიბრუნებს კითხვას იგორ ივანეს ძე.

— მალა აივდი.

— ჰოო... მე ძირს ჩავედი, სარდაფში. ჩამოვასებული საოჯახო ხარახურა ყრია.

— რაღაც შეგიძენიათ.

— ჩემ დედაბერს ვუყვიდე. — ამბობს ივანეს ძე და ვიწრო, მოგრძო ყუთს ხსნის, იღებს ვეებერთელა მაკრატელს, რომელიც მონიკელებულია და მოხდენილი. თერძის მაკრატელია?..

— ეს რისთვის იყიდე, იგორ ივანეს ძე?

იგორ ივანეს ძე სახეში მიცქერის და თვალები უციმციმებს.

— ბატის დასაჭრელად, გეთაყვა, შემწვარი ბატის...

ქალები იცინიან და მეც ვერ ვიკავებ სიცოცხლს.

— ჩემი ბებრუხუნა დიდი ხანია მიხოვს.

ქალები ხარხარებენ...

თერთმეტს კი აღარაფერი აკლია.

უნევერმადიდან ფაცი-ფუციტ გამოვდივართ. იგორ ივანეს ძე მბრუნავ კარებში იჩხიჩხება და ბუზღუნებს...

ზ ი ზ ლ ი

ზედ ჩვენ სასტუმროსთან, ხალხი შეგვფუფუნა. ისმის ჩოჩქოლი და შეძახილები. უთუოდ, რაღაც ამბავია.

ამ დღილიდან თავისუფალი დრო გვქონდა და ხეტიალს მოვანდომე. დავილაღე. სასტუმროსაკენ მოვეშურებოდი და ვფიქრობდი: „ნომერში არ ავალ, პოლში ტყავის დიდ, რბილ სავარძელში ჩავვადები, კიდევ დავისვენებ და თვალსაც წყალს დავალევიანებ“ (მიყვარს დიდი სასტუმროების პოლში ჯდომა).

მაგრამ ზედ სასტუმროს ცხვირწინ რაღაც ამბავია.

რას ვხედავ: შეგვფუფუნალი ხალხის წრეში ორი აღამიანი ჩამდგარა. ორივე ქალია. ერთი თეთრკანიანი, მეორე — შავკანიანი. თეთრკანიანი მოხუცია, შავკანიანი — გოგონა. თეთრკანიანი, სახე ჩამოშხმარი, ძვალტყავი ქალი ცივი ხმით გააკვივს და ხელების ენერგიული ქნევით მიიწევს ზანგი გოგონასაკენ. მას თმა ასწეწია, სახე შემოლია... საღმე, ბნელ გზაზე რომ შეგვხედეს, ჭკუიდან გადახვალ, ვიღაცეები აკავენ, არ უშებენ. მოხუცი იქაჩება და ყბა ეღრიცება, წვრილი თვალები ბრაზით გადმოცვენაზე აქვს.

ტანდაბალი ზანგი გოგონა მოხუცისაგან სამილოდ ნაბიჯზე დგას. სახე გაფითრებულია, თვალები სველი აქვს და სიფრიფანა მხრები ცივიანივით უთახთახებს. აწურული, დამფრთხალი, შიშით ლამის გაქრეს.

სეირის მონაწილეთაგან, ალბათ, არავინ იცის, ვინ არიან ეს მოჩხუბრები, რა საერთო

აქვთ ერთმანეთთან და მათ შორის რატომ ჩამდგარა უშამავლად ზიზღი და მტრობა; არავინ იცის, როდის, როგორ და რით დაიწყო ეს სერიი.

თეთრკანიანი დედაბერი ხელიდან უსხლტება გამშველებლუბს და გოგონასაკენ მიქრის, თმაში წვდება მას და დაითრევს. გოგონა სიმწრისაგან იღმეკება და დედაბრის კლანჭებისაგან განთავისუფლებას ცდილობს. მაგრამ დედაბერს ორივე ხელით ჩაუბღუჯავს თმა და გააოფებული ექაჩება. გოგონაც წვდება დედაბერს თმაში. დედაბერი წვიის და გოგონას წიხილუბს უშენს მუტელიში.

მოსეირეთა ჭგუფი მალე კიდევ უფრო იზრდება, არის ზორზოცი, ზრიალი.

ვიღაც ღიბიანი, ხალათამოჩაჩული კაცი, დიდი მელოტი თავი მზეზე რომ ულაპლაპებს, კევს ღუქს და თან ღრიალებს:

— მიდი, ბებია, მიდი!.. ეგრე, ბებია!.. გაუშვით, გაგუდოს ეგ ღორის შვილი!..

— ოჰოჰო!.. ოჰოჰო!.. — ხეიხინებს ვიღაც ჩემს ყურთან. — ბებია აფთარივით იბრძვის... ტლინკებს ვირივით აყრის...

— რინგზე... ბებია, რინგზე... ტყავის ხელთათმანები — ბებიას!..

— ეგრე, ბებია, ეგრე!.. უფ, ეს ვინ ყოფილა!..

როცა ზანგი გოგონა დედაბერს თმაში წვდა, ბრბომ ერთხმად ამოიღრიალა.

გივი პარღოსანიძე
გონეგი მხითუნახავი

მოჩხუბრებთან მიიჭრება კიაცელასავით გაწვირებული და ერთაფივით აწოწილი ყმაწვილი, თმა ქალიშვილივით რომ აქვს მხრებამდე ჩამოშლილი და დაკულულებული. გოგოს წვდება მაცაში და მოხუცის თმას ხელს გააშვებინებს. დედაბერი შვებს იგრძნობს და გოგოს მუშტებს დაუშენს სახეში.

— რინგზე... ბებია რინგზე!..

ჩენს მოპირდაპირე მხარეს, მოსიერეთა ჭკუფში დგას ერთი ახოვანი მოხუცებული. მას თეთრი შარვალ-ხალათი აცვია და თეთრი ჩალის შლაპა ხურავს. სამოსიც და თავსახურიც ნახშირი და ვაცვეთილი ჩანს. მოხუცი არ იძვრის. ხმას არ იღებს. გულზე ხელდაჭობილი, უმეტესწილად თვალებით შესცქერის ამ სანახაობას. ჩოჩქოლში ვიღაც ზურგიდან ეჯახება მოხუცს. იგი მკლავებს ჩამოყრის და წაიფორხილებს, ლამის დაეცეს. ვიღაც ხელს შეაშველებს.

— ბაბუა, მიუშვით, ბაბუა!.. ჰა, მიდი, ბაბუა, მიდი!..

— ბაბუა რინგზე!.. ბაბუა რინგზე!..

მოხუცს მისცივილებიან და მოჩხუბრებს ზედ მიაგდებენ.

ბრბო ღრიალებს და ცოფდება.

მოხუცი მოულოდნელი სიძარდით უსტყვება ხელიდან მოსიერეთ და წრიდან გარბობს ბრბო ხარხარებს და უსტყვის უკანაშუკი გოგონას ნახშირივით შავი სხსქლასისპირით წითლად ეღებება. აღარც სახე, აღარც თვალები აღამიანისას აღარ უჯავს.

იგი მუშტში ჩაბლუჯულ საფულეს ხსნის. იქიდან სამართებელს იღებს... დედაბერი სანართებლის პირზე თითებს ისერავს...

ბრბო ქუხს, გონებას კარგავს...

შევკებრი და ვხვდავ: იქ ყველაფერი კარგავს ფასს... აღარ არიან ადამიანები... აღარ არის აზრი, აღარ არის გონება... არის მხოლოდ ზიზღი...

სასტუმროს პოლში აღარ ვჩერდები. იქ ხალხი ირევა და კაცი გაერთობოდა, მაგრამ აღარაფრის თავი აღარ მაქვს... პორტიეს გასაღებს ვართმევ და ლიფტით ჩეთქვსმეტე სართულზე ავდივარ. ჩემი ნომრის წინ დიასახლისი შემეგება, ფაშფაშა ზანგი ქალი, მილიმის და მეუბნება:

— ხომ არაფერს მიბრძანებთ, სერ!

— გმადლობთ, არაფერი მჭირდება, — ეუბნები და მე ცვილიობ ღიმილითვე ვუპასუხო. იგი თავს მიკრავს და მშორდება...

აეტომობილავის სასულაო

ნიუ-იორკის კენედის სახელობის აერობორტის შენობიდან რომ გამოვედით და ტაქსში ჩაჯექით, ხელმარჯვნივ დიდ მოედანზე მრავალრიგად და მიჯრით ლანახად ჩამწკრივებული აეტომობილები დავინახე. ერთად ამდენი აეტომანქანა არასოდეს მიინახავს. ამერიკის დიდ ქალაქებში მერე ყველგან გვხვდებოდა დიდ მოედანებზე თავმოყრილი ბევრი აეტომანქანა და ამას თვალი კიდევ შეეჩვივა.

აეტომობილს დიდი ადგილი უჭირავს თვით ამერიკელის გულში; ამერიკელს უაეტომობილოდ ცხოვრება ვედარ წარმოუდგენია. კაცი თუ ქალი, მოხუცი თუ ახალგაზრდა, ბავშვი თუ მოზარდი ისე დაგოყვებს ლაპარაკს აეტომობილზე, როგორც თავის მრავალ წლის ნაცნობზე, თავის ახლობელზე, მისთვის რაღაც ძალიან ძვირფასზე. აეტომობილები არა უბრალოდ ავსებენ ქუჩებსა და გამზირებს, გზებსა და მოედნებს, არამედ აეტომობილი რაღაც ჰარმონიას ანიჭებს ამერიკის დამატულ და მღელვარე ცხოვრებას.

დვას აეტომობილი ქუჩაზე, დვას გზის პირას, დვას მოედანზე და ელის... ელის მოთმინებით, უდრტინველად, თუმცა მის სხეულში სრბოლის დიდი ძალაა დაბუდებული, თუმცა დგომბ მისთვის სიყვდილია, მოძრაობა კი — სიცოცხლე. მაგრამ დვას მოთმინებით და ელის. და ასე მგონია, ეს დიდი მოთმინება და დიდი

მოლოდინი მაინც ასატანია, რადგან დროებითა. გამოვა ხანი და მოვა ადამიანი, მოვა და თავის შეხებით გააცოცხლებს მას — ცივს და უსულოს, ამოძრავებს, ფრთებს გამოასახმს...

კიდევ უფრო შთამბეჭდავია აეტომობილების სასაფლაო. პირველად ისიც ნიუ-იორკში ვნახე, ქალაქის გარეუბანში, მდინარე გუტონის სანაპიროზე. მოედანზე ყრია აეტომობილები; ყრია გვერდებჩაღწილი, თვალდათხრელი და გამოშინებული; ყრია გულადმა და გაძარცული ბორბლები ზეცისაკენ მიუშვევრია; ყრია გვერდზე გადაწოლილი და ერთმანეთზე შეხოლიბებული, ჩაქყლიტილ-ჩამსხვრეული, ფორმა და სახე რომ დაუქარგავს.

აეტომობილების სასაფლაო შემზარავი სანახავია. ადამიანები თავიანთ სასაფლაოს უვლიან, აღამაზებენ... ადამიანების სასაფლაოზე ვერ დინახავ განვლილი ცხოვრების კვალს, გარდასული ბრძოლების კვალს, ცხოვრების ჭეჭყსა და სილაშქვს. იქ არ ჩანს ის, რაც აღრ იყო; სასაფლაოს მოჩვენებითი სიმშვიდე და ჰარმონია საიდუმლოების ბურუსში ზევს განვილგვას, ადამიანის აწ გარდასულ ცხოვრებას. სულ სხვა საქმეა აეტომობილების სასაფლაო. უცქერი ამ ჩაქყლიტილ-ჩაღწილ, უკვე უფორმო, დამახინჯებულ სხეულებს და თითქოს აეტომობილების სასაფლაო ნაომარი ვვლი; მხოლოდ ამ ბრძოლის ველზე კენესა არ ისმის,

შველას არაინ ითხოვს, ნათესავსა და ახლო-
ბელს არაინ უხმობს.

ადამიანების სისაფლაოზე ადამიანები მიდი-
ან ფეხაკრფით, თვალტრემილიანი და გულდამ-
შიმებულნი. ავტომობილების სისაფლაოს კი
ზოგიერთი ცნობისმოყვარის გარდა, ვულგარი-
ლად ჩაუვლიან, არც მიხედავენ, თუმცა ორივე
ეს ადგილი, ეს ორივე სისაფლაო ერთი და
იგივეს გვაუწყებს — გზის დასასრულს. და
რამდენი ისეთი ადგილია, რომელიც უნდა გვა-
ლელვებდეს, გვაფიქრებდეს. ცხოვრებაში ბევ-
რი საბაბია, ერთი მხრივ, გზის, მოძრაობის,
სიცოცხლის, ხოლო მეორე მხრივ, გზის დასას-
რულის, უმოძრაობის, სიკვდილის შეგარანები-
სათვის, მაგრამ რატომღაც საამისოდ ადამიან-
ებს დაჩაღუნებული გვაქვს გონება, გრძნობა,
უნებსვა...

არაინ იცის ვის, მაგრამ თავის დროზე ვინ-
მეს ხომ გეუთვნოდა თვითთელი ეს მანქანა. თვი-
თელს ჰქონდა ნომერი — თავის სახელი და
ჰყავდა პატრონი... მანქანას ჰქონდა თავისი სი-
ძაბუე, ახალგაზრდობა, სიბერე და აქვს სიკე-
დილი, როგორც ყველაფერი ეს აქვს ადამიანს.
ის იყო ლამაზი, მოხდენილი, ძლიერი; სიამოვ-
ნებასა და სიხარულს ანიჭებდა ადამიანს... ავ-
ტომობილში რომ ზიხარ და მიჭრხარ, ისევე
მსუბუქი გეჩვენება ირგვლივ ყოველივე, რო-
გორც შენ მიგაქროლებს მსუბუქად ის რაღაც,
რაც თვითონ შენ შეჰქმენი. ავტომობილში
არის სიმშვილე, არის განცხრომა. წინ გზა გი-
ძევეს და არის აღტიკნება და არის სრბოლა.

და მაინც მე ხშირად მიფიქრია, რომ მანქა-
ნით მგზავრობა, თვით სანიმუშო ავტომავისტ-
რალზეც კი, ეს იგივეა, რაც მგზავრობა ბეწვის ხი-
დზე. მქოლის წამიერი თავდავიწყება, საკის
ოდნავ შებრუნება მარჯვნივ ან მარცხნივ და
იყო და არა იყო რა...

დუდამიწაზე არ არის ადგილი, რომ სიცოცხ-
ლეს მუდმივად არ ჰყავდეს ჩასაფრებული სიკე-
დილი. მაგრამ სიკვდილ-სიცოცხლე ყველაზე ახ-
ლოს არიან გზის დასაწყისიდან — გზის დასას-
რულამდე.

აქ მაინც რამდენი ავტომობილი იქნება? ასი,
ორასი, სამასი... შესაძლებელია, ათასიც იყოს.
ავტომობილების ამ დაუთვლელ გროვამი ზოგი
ისეთიც არის, იფიქრებ: ჩავკვდები და წვალო-
მაგრამ რაკი გადავადეს, რაკი თავიდან მო-
წმაროს, ჩანს მისი ჯახირი და წვალება აღარ
უღირდათ. რა სამწუხაროა, როცა ადამიანის
ცხოვრებაშიც დგება უკამი, როცა იგი აღარავის
სიკრდება. ამერიკაში ასეთ გაუმედურებულს
ყველგან შეხვდები: ბაუერი* ხომ მათი ბუნა-
გია... რით გავჯობებთ იმ ადამიანების ბედი ამ
ავტომანქანების ბელს?.. ერთ დროს მშვენიე-
რი, ეს მოძრავი სახლები, აქ მოსულან და სა-

ბოლოოდ შეჩერებულან. თუ მოუტყუიანთ
მიუტოვებიათ. ვუტყერი სამუდამოდ შეჩერებულნი
ბორბლებს და კვიტორა: „ნუთუ ყველა მოძრავი
ობას ბოლოს შეჩერება უწყვიანა?..“

ავტომობილების სისაფლაოდან ორი ათეული
მეტრის მოშორებით, ავტომავისტრალზე მიქ-
რიან ავტომანქანები. ადამიანები, რომლებიც ავ-
ტომანქანებში სხედან, აქეთ, სასაფლაოსაკენ არც
კი გამოიხედავენ. სასაფლაო პეიზაჟს ამახინჯებს
და იქ საინტერესო არაფერია... იქროლან, ვიდრე
ძალა ეყოფათ... მოძრავ სხეულში უფრო მეტი
შინაარსია. როგორღაც საბრალოა ხე, მთა, ქვა,
ბუჩქი და ბალახი, ყოველივე, რაც მიჯაჭვულია
ერთ ადგილს. მუდამ იდგე, მუდამ ერთი და
იგივეს უტყვირო... საბრალოა, რაც სამუდამოდ
შეჩერებულია და ბედნიერია, რაც მუდამ მო-
ძრაობს.

დღე, იყოს ავტომობილების სისაფლაო, მი-
ლიონობით ავტომობილის, მაგრამ ნუ იქნება
თუნდაც ერთი საფლავი, კაცის მიერ კაცისათ-
ვის გათხრილი. ისედაც დედამიწა მოფენილია
სასაფლაოებითა და მიწა განოყიერებულია ად-
მიანების ძვლებით.

ბავშვობაში ვის არ უჭროლებია ძველი კას-
რის ჩაეანებული სალტე მავთელის ხელკა-
ვით. თაფშიშველი და ფეხშიშველი შეუსვენე-
ბლივ მიგრბოდი და მიგაიხიხიხებდი თუნუქის
ბორბალს მტერიან გზაზე და დალას ვერ
ვეგრძნობდი. ახლა ვფიქრობ, რა მსუბუქი და
უშფიკლო იყო ბავშვის ეს უმიზნო და გატა-
ცებული სრბოლა...

დავკვირვებოვარ, ახალ ნაწივბარზე ურემი
რომ ჩაივლიდა ჭირალით ორდობეში და ურ-
მის ბორბალი ეწირო ღრმა კვალს გაავლებდა
ტალახში; იმ კვალში წყალი ჩაღებოდა და
ჩაყვითლდებოდა ხოლმე... ერთხელ, ჩემ მეზო-
ბელ ივანეს ხარ-ურემი გამოეცქა თავდაღმართ-
ში. ბორბლები რახრახით მიაქროლდნენ თავ-
ქვე შვებით დატვირთულ ურემს. ივანე ყვი-
რილითა და ქიჩმანით გამოუდგა ხარ-ურემს. ურ-
მის ბოლო ჭალს მოალო ხელი. ჭალი ერთბაშად
მოუტყდა და ივანე უკან გადავარდა. ბორბალმა
ფეხზე გადაუარა. მეხსიერებაში ჩამრჩა ფეხ-
მოტეხილი, დღვრემილი ივანე, სოფელმა კო-
კლი ივანე რომ შეარქვა...

მერე მე მიცქერია მატარებლის ბორბლები-
სათვის. როცა მატარებელი დგას, ბორბლები
არავითარ შთაბეჭდილებას არ ახდენს და მას
ყურადღებასაც არ მიაქცევ. მაგრამ დიძერის
მატარებელი, ბორბალი ამოძრავდება, ჯერ ნე-
ლა, უფრო ჩქარა, ჩქარა და იგი მალე ფორმას
დაკარგავს — იქ, სადაც ბორბალი იყო, წარ-
მოიქმნება რაღაც ერთნაირი, უსახო მასა, რო-
მელიც ლიანდაგზე მონოტონურად რახრახებს
და მატარებელი მიჭრის.

გივი ვარლასანიძე

გონჯი მშობუნახავი

* ქუჩა ნიუ-იორკში.

არ ვიცი რატომ, მაგრამ განსაკუთრებით და-
ნით სიამოვნებით მივეუდგებ ხოლმე ყურს მა-
ტარებლის გამყულ ხმაურს. შეიძლება იმიტომ,
რომ ამ ხმაურში არის რაღაც მარადიული მოძ-
რაობისა და სიცოცხლის განუწყვეტელი რიტ-
მის მითყვებელი. და ხმა რომ მიწყდება, შენ
შინც გრჩება მუდმივი მისწრაფებისა და უსას-
რულობის ჩამაფიქრებელი შეგრძნება; ან თეი-
თმფრინავის ბორბლისათვის თუ გაგიყოფ-
ბიათ თვალი? თვითმფრინავი დგას თავის ტანთან
შეღარებებით სრულიად პატარა და უმნიშვნელო
ბორბლებზე. ის ბორბლები, უკვე ცაში ასულ
თვითმფრინავს, ერთხანს კიდევ ჰკიდია ჰაერში,
როგორც გაფრენილ წეროს — ფეხები, როცა
თვითმფრინავი დასაჯდომად დაშვებას იწყებს,
ყოველთვის გამყარავს ხოლმე გულში შიშო: ბო-
რბლები რომ არ ჩამოიშალოს? ავტომობილით
მგზავრობის დროს, სწორად მიფიქრია: ბო-
ბალი რომ მოძვრეს?

ავტომობილის კარს ეადებ და შიგნით ვიხე-
დები. ეს არის კვერცხისგულისფერი, ხომალ-
დივით ლიშუნი, შივი კაცისათვის. საკე-
თავის ადგილზეა და ისე ცინცხლად გამოიყუ-
რება. იფიქრებ: სამართავად მივეუდგებიო. პედა-
ლები კი შესამჩნევად გაცეითილა ხმარებაში.
იქ, სადაც საათი და რადიომიმღები იქნებოდა,
ორმოები გაჩენილა. სიჩქარისმზომის ისარი ნუ-
ლიდან მარცხნივ შეჩერებულა უსიცოცხლოდ.
სპიდომეტრი ასსამოცდათქვსმეტრ ათს მილს
უჩვენებს. არც სიმალისმზომი მოუხსნიათ...

საკუქნაო ყუთის მონიკელებულ ღილაკს
თითს ვაჭერ და ყუთის კარი უხმაუროდ იხს-
ნება. ყუთში დევს ჩვრის ნავლეჯი, სივარტის
კოლოფი და პატარა, მრგვალი, ჩამტვრეული
ხარკე. სივარტის კოლოფში ორი ცალი სივარ-
ტეი ჩარჩენილა. სივარტეს ვიღებ და თითე-
ბით ვსრეს. თუთუნი სიძველით ჩამკვრივებუ-
ლა და ქაღალდი ჩაყვითლებულა. ჩამტვრეულ
სარკეში ჩანს მოღუშული და ოფლიანი ჩემი
სახე...

საქვითან ვვდები. ვინ იცის, ამ საკვს ვინ
უჯდა! უჯდა ადამიანი. მაგრამ რა სახის, რა
გულის, რა გონების? რა საქმიანობას ეწეოდა,
რით ცოცხლობდა და რით ხარობდა? სიცივეს
სათესადა თუ ბორბლებს, ერთგულმებას თუ მე-
რგობას? ვინ იცის, ვინ იყო, რა კაცი იყო?
აქ, სანაგვეზე ვადაგდებულ ავტომობილში, აღა-
რაფერი. არ დარჩენილა მისი სახის შესაცნობად;
მასზე არაფერს ამბობს ეს საკე, რომელსაც იგი
მართავდა; არაფერს ამბობს სიჩქარისმზომის ისა-
რი, რომელსაც იგი თვალყურს ადევნებდა; არა-
ფერს ამბობს საკუქნაო ყუთში ჩარჩენილი სივარ-
ტის კოლოფი და არც ეს აქ ჩამსხვრეული
სარკე, რომელშიც იგი იცქირებოდა...

დუშან ავტომობილის კარის სახელურები,
რომელსაც ყოველ დღე ეხებოდა ავტომო-
ბილის პატრონი; დუშს სავარძელი და სახურ-
ვე; მხოლოდ მისი ზურგის ნაოფლარი დიდ

ლქად დარჩენილა... ამის მეტს ვერაფერი მო-
მიხსრობს ავტომობილი. ან კი რა უნდა მო-
მიხსროს? ბოლოს და ბოლოს, ვინაშენაა უც-
ფილიყო ავტომობილის პატრონი? იქნებ ბო-
ერთი მრავალთავანი, ჩვეულებრივი კაცი, ისე-
თი, როგორიც ბევრია ქვეყნად.

და მას შენდევ, რაც ავტომობილი გაცედა,
რომელიც მას დიდხანს კეთილსინდისიერად
ემსახურა, აქ მოიტანა, ქალაქგარეთ, მდინარე
გუბონის ნაპირას, დიდ მოედანზე და საშუა-
დოდ მიატოვა; დააგლო და თვითონ თავის გზით
წავიდა და აღარც აღმარასოდეს მოიკითხავს,
აღარ მოინახულებს. ნუთუ მას არაფერი და-
მანსოვრებია ყოველივე იქიდან, რაც მრავალი
წლის მანძილზე აკავშირებდა რკინის, რუხი-
ნის, მუდისა და მიწის მოხდენილად შერწყ-
მულ მსორივალ სახლთან?

საქის თავზე, ძარის მარცხენა კუთხეში ობო-
ბას ქსელი ვაუბამს. აბლაბუდის ნაწილი, რო-
მელსაც მზის სხივი ხვდება, შუქზე ბრწყინავს.
აბლაბუდაში გამბული ბუზი უკვე გამოშრა-
ლა, გამოფიტულა. ობობა კი არ ჩანს. ვეებ,
ისიც ასევე სადაც გდა, არსებობისათვის
ბძობლის ქსელში გამბული და უკვე დასტურე-
ბული. ხოლო ქსელი და ის ბუზი ადისტურე-
ბენ, რომ ის იყო, ობობა იყო, კვალი დარჩა.

სავარძელზე დიდი შავი სოკო ამობობდა.
მე შევხედე და გაიფიქრე: „ჩემკენ წამოვიდა“,
და შავი სოკო, რომელიც წამით შეჩერდა და
აწეული ფრთებით თითქოს ასაფრენად გაე-
მზადა, მართლაც ჩემკენ წამოვიდა. კარი გაე-
ღე და ავტომობილიდან გადმოვიდო. ხმაურ-
ზე სოკო შეჩერდა. გრძელი უღვაში ჰაერში
შემოატარა და ისევ გამობოდა აღებულ გე-
ნით, იქით, სადაც წუთის წინ მე ვიჯექი. ავ-
ტომობილის კარს ხელი ვკარი და კარი გა-
ხუნით მიხსტრა.

სასაფლაოს ჩავუარე. ყრია ავტომობილები,
ვადაბრეცილი, გულდამა, შიშველი ბორბლები
რომ ცისკენ მიუშვერიათ; ყრიან ერთმანეთზე
შებოლიხებული, ერთმანეთში ჩაქუქილი, ჩამ-
ტვრეულ-ჩალეწილი... მხოლოდ ფერს არ და-
უკარგავს თავისი პეწი: რძისფერი, მტრედის-
ფერი, ცისფერი, შავი, მწვანე, კვერცხისგუ-
ლისფერი, მოლისფერი, მწიფე შეინდისფერი,
ნაცრისფერი, მუქი წითელი... ქმნის ერთ
მთლიან უფორმო ხალიჩას, რომელიც მზის
სხივებზე ბრწყინავს...

ის შუქ-ფარები საღი რომ დარჩენილა, ვე-
ლარასოდეს ვააშუქებს გზას; ის ბორბლები,
გუშინდელი დაყენებულივით, ცინცხლად რომ
შენახულა, ველარასოდეს გაისრიალებენ და ვე-
ლარ შეივარძნობენ ასფალტის მხტრვალებას;
იმ შეინდისფერი ავტომობილის ჰერკევე აღა-
რასოდეს შეეფარვის ადამიანი, და მაშინ, რა-
ღა აზრი აქვს ფერებს ამ სილამაზეს?

შეინდისფერი ლიშუნის მოგლეკილ კარს

ოქროს ხეხედავ: გაძარცულ სავარძელზე მამაკაცის მკვლელობა, დაპყრობილი ქუდი ავღია. იატაკზე ვაჭათის ნახევები და პაპირთის ნამწვავები ყრია. ხოლო ჩემგან ცოტა მოშორებით, მინდორში მოჩანს სანახევროდ უკვე მიწაში ჩაფლული კონსერვის ცარიელი ყუთი... აღმოსავლეთიდან-დასავლეთისაკენ თვითმფრინავმა ვადაფრინა. მისი დიდი, შავი ჩრდილი ავტომობილების სისაფლაოს ძერასავით დაცეცა...

ავტომობილზე გამოვიდვარ. ავტომობილმა დატოვა მისი ორსართულიანი, მოხდენილი შენობის წინ რამდენიმე ავტომობილი დგას. იქ-

ვე, ხელმარცხნივ ცისფერი „დუგლაში“ გენზინს იღებს. ეზოში სამი-ოთხი კაცი ჩანს და მეორე სართულის განაღებელი ფენქსიონის ქალიშვილი იშხირება. იქ, ზევით, მეორე სართულზე, მაღაზია, სადაც ყოლიან ათას რამეს, საღებუ რეზინითა და იაფფასიანი სუვენირებით დაწყებული და ცეცხლის ფასად ღირებულ შავი ხიზილალით დამთავრებული. მაღაზიაში არ ავლივარ. ფიქრით და გონებით ისევ იქ ვარ, ავტომობილების სისაფლაოზე. იქით ვიხედები. მინდორში მზის სხივებში თვლუმს და იმშუმება ავტომობილების სისაფლაო.

ლემოა ქალაქი

ჯონ გლი შეიშმუნა, სკამზე შეტოვდა. მან ჩაქინდრული თავი შეარხია, მალა ასწია, მის პირდაპირ მჯდომს აღვრეული თვალები დაფრინებით დამაშტერა და მოგვიანებით თქვა:

— საიქოში ანგელოზები ვიპატრონებენ... ვენაცეალე მე მათ სახელს... იმ ქვეყანაში კაცის მფარველი ანგელოზები დაფრინავენ... ფრრრ... ფრრრ... გაფრინდა!.. თავს შემოაგველო... მათ არაფერი არ სურს... არაფრის არ ეშინიათ... ვენაცეალე მე მათ სახელს... ისინი ვიპატრონებენ... ისინი... ფრრრ... გაფრინდა!.. ფრრრ...

მან თავი ოდნავ უკან გადაიადო, თვალები სადღაც, უხილავს მიაპყრო და ბუტბუტით განაგრძობ:

— ზეცა, ზესკნელი, ზენაარი, ზეგარდმო, ზემდგომი, ზემორე, ზეკაცი, ზემადლი, ზეაღმავალი, ზებუნებრივი, ზეშთაგონება... — დააყარა და დააყარა სულმოუთქმელად და სიტყვების კორიანტელი დააყენა. უცხად გაჩუმდა, გაიორინდა, თითქოს ნათქვამის ექოს ყური მიუჯდო და კმაყოფილმა ფართოდ გაიღიმა. ამ დროს მის თვალებში გონიერებისა და სიკეთის სხივი ჩადგა და იგი ადამიანობის მადლით გააშუქა... არაყით სავსე ჭიჭა პირთან მიიტანა, მოსვა და თითქოს აქაშნიკებსო, არაყი ერთხანს პირში ჩაიგუბა: რომ ჩაყლაპა, გამხმარ, გაწერილებულ კისერზე წინ გამოჩრილი ხორხი ზევით აუვიდა და ქვევით ჩამოუვიდა.

— სიტყვას პატივს სცემთ, ფილოლოგი მარქანდებელი?

— ფილოლოგი, ფილოსოფოსი, ფილისტერი, ფინიკია, ფილადელფია, ფილიპინები, ფილტვი, ფილტრი, ფილოქსერა... — დიწყო ისევ მან შთაგონებით, ლოცვასავით და აზარტულად, თითქოს სიტყვათა წყობის რაღაც მნიშვნელოვან კანონზომიერებას მიაგნო და სურს თავის აღმოჩენით ქვეყანა გააკვირვოსო. თვალები კვლავ სადღაც, უხილავს მიაპყრო.

იაფფასიანი, ქუქუყიანი ბარი, სადაც არ უკ-

რავს მუსიკა, არ მღერიან, არ ცეკვავენ, გაფლენილი იყო პაპირთის ბოლით, ალკოჰოლიანი სასმელების და დაბალხარისხოვანი კერძების მძაფრი სუნით.

ჩემი თანამესუფრე იქ დამხვდა. როცა მან მაგიდასთან მივედი და დაჯდომის ნებართვა ვთხოვე, მან არც „პო“ მითხრა და არც „არა“; თავი ისე ექირა, თითქოს ჩემი ხმა არც გაუგონია. წინ ედგა სემიონოვის არყის ტანდაბალი, ოთხკუთხა ბოთლი, რომელიც ნახევრად უკვე დაცლილი იყო. ჯონი სვამდა ხანგამოშვებით, აუჩქარებლად.

მან ისევ გამისწორა თვალი და დამაშტერდა. გულში შიშმაკი ვამყრა, ისე უტიფრად, ბრაზიანად და დაყენებით მიმზერდა.

— მისტერ, აქ რა ქარამა ვაღმოვადლოთ? — თქვა მან მოულოდნელად მშვიდი და მეგობრული ხმით.

— რატომ იფიქრეთ, რომ ამ ბარში დღეს პირველად ვარ? — შევეუბრუნე კითხვა.

— ჰააააააა!.. ჰააააააა!.. ჰააააააა!.. — გადაიხარხარა მან გიჟურად და სლოკინი აუფარდა. როცა თავი დამიშვიდა და გული დაიწყნარა, თქვა:

— თორმეტო წელიწადია აქ დავლივარ, თორმეტი წელიწადი, ორი თვე, სამი კვირა და სამი დღე. ვიცი არ გეგონო, მე ყველაფერი მახსოვს. მე ყველაფერი ვიცი!.. ვიცი!.. ვიცი!.. — იყვირა მან და მაგიდას მუშტი დაარტყა.

ცარიელი ჭიჭა შეხტა. ბოთლში არაყი შეტოვდა.

— აი, ის ჯოა. ის აქ დამხვდა. ის კუბერია. ისიც აქ დამხვდა. ის იანგია. ისიც ამ ბარში დაბერდა. ის კონრადია. მაწანწალა კონრადი, — თავით მანიშნა ელიმ ზორბა მამაკაცზე, რომელიც ჩვენკენ ზურვით იჯდა. — ის გაკრეჭილი გოგო არ რუთია. აი, ის, უცქირე! შარშან ქუ-

ბიმი ვარდოსანიძე
ბონჯი მხომუნახხვი

ჩაში ენახე გამხლართული. ერთ მშვენიერ დღეს აქ შემოვიდა და ჩვენთან დარჩა...

რუთი მაღალ, მრგვალ ტაბურეტზე იჯდა დახლთან. მას მკლავები დახლზე დაეწყო და შიგ თავი ჩაერთო. ეძინა. რუთის გვერდით მჯდომი თმაწვერგაბანჯალული ქაბუკი ხელების ენერგიული მოძრაობით ელაპარაკებოდა დახლში მდგომ შუახნის ზანგს, რომელიც ქაბუკს ცალკებად უსმენდა, უფრო თავის საქმით იყო გართული. ზანგი იყო მაღალი, ზვინივით განიერი და ჩასტკებული კაცი და რა უცნაურია, მაგრამ რაღაცით ჰგავდა იმ სოსისებზე, კლიენტებს უხერხული ფუსფუსით რომ დაუდებდა ხოლმე თეფშზე.

— ის ლუწირაკი, — განაგრძო ელიმ, — რუთის რომ ეტმასნება, ავერ მესამე კვირაა ყოველ დღე დადის ბარში. შესტოპა ბიჭმა, შესტოპა და თავი ვეღარ დაუღწევია... მე ყველაფერი ვიცი!.. ვიცი!.. — უცებ დაუმატა მან და სახე შეეცვალა და მე შიშით გავიფიქრე, რომ იგი კვლავ ასტეხს ყვირილს და მაგიდას მუშტებს დაუშენს. მაგრამ მან, ისევ ჩემდა მოულოდნელად, წყნარად განაგრძო: — შენ თუ გინდა, შეგინახავ ხოლმე ადვილს.

მშვილად და მოფერებით ვკითხე: — რით დავიმსახურე, მისტერი?

ელიმ პირდაპირ თვალეში შემომხედა და გამიღიმა და ამ დროს მის სახეს დაუბრუნდა გონიერების იერი და ადამიანური მაღლი.

— თვინიერი ჩანხარ. ყურს მიგდებ და სიტყვა არ მაწყვეტინებ, — თქვა მან, წუთით ჩაეჭიქრა, თითქოს რაღაცას იგონებდა და დაუშატა:

— აბა, მომისმინე! — ავარა, ავარდა, ამბოღდა, აზავთდა, აზვირთდა, აზამთრდა, აქროლდა, აქრობდა, აქილევის, ანტეგრანეი, ამბორი, ამბორი... — გააბა და გააბა ელიმ.

ცოტა შევიცადე და მერე ვკითხე:

— შენ კი რა ქარმა შემოგავდო აქ თორმეტი წლის წინათ, მისტერი ელი?

— მე? — თქვა მან ჩაფიქრებით და ერთბაშად მოიწყინა. კარგა ხანს იყო ასე, მერე წყნარად თქვა: — გზად ნიუდირი და შემოვუხვიე... შენ იცი მე ვინ ვარ? — აენტო ელი. — არ იცი. აქ კი ყველამ იცის... ყველამ იცის... გენერალი ეიზენშაუერი პრეზიდენტად რომ აირჩიეს, მე პოლიოენიკი ვიყავი... პოლიოენიკი ვიყავი... პოლიოენიკი ჯონ რიჩარდ ელი... — ელიმ თვალი ჩამოკრა და ტუჩები გააწკლავუნა.

— არმაში მსახურობდა? — საკუთარი ფერმა მქონდა... საკუთარი ფერმა... იცი რას ნიშნავს საკუთარი ფერმა... საკუთარი ცხენები... საკუთარი ღორები... საკუთარი ძროხები... მე ვიცი... მე ყველაფერი ვიცი...

— სასიამოვნოა.

— რამდენი ათასი გაქვს წელიწადში? — დაინტერესდა ელი ჩემი შემოსავლით.

— არც ერთი ცენტი.

— ჩემსავით ყოფილხარ, — გეხარა ელიმ. პოლიოენიკი რომ ვიყავი, მქონდა, მქონდა მქონდა...

— მჭერა, მისტერი ელი.

ცოტა ვაცადე და ვკითხე:

— ის ფერმა ცოლ-შვილს დაუტოვებ?

— ერთ საიდუმლოს გაგანდობ, — გამოცოცხლა ელი. იგი მუცლით მაგიდის კიდეს მიეხრჩინა და ჩემკენ გადმოიხარა. — ამაღი ციდან უკუდინები ჩამოვლენ... ჩამოვლენ, — აუწია ხმას ელიმ. — ჩამოვლენ...

— დახს, ჩამოვლენ...

— ჰოდა, ჩამოვლენ და ჩემს ცოლს დააცხრებინა, — დატკბა ელი. — დააცხრებინა, — თქვა მან და ნეტარებით თვალეში ჩაუქუქუნდა.

მე გავიფიქრე, რომ ელი სიმშვიდისა და სიამოვნების ბურანში ჩაიძინა. მაგრამ ვარაუდრ არ გამიმართლდა, — ელიმ მოულოდნელად მთელი ხმით გადაიხარხარა:

— ჰაააჰაჰა!.. ჰაააჰაჰა!.. ჰაააჰაჰა!.. ჰაააჰაჰა!..

— საცოდავი თქვენი ცოლი, — ვთქვი მე.

ელიმ ხარხარი შეწყვიტა. ყური მიუგდო.

— ჩუ! — წამოიძახა მან და ტუჩებთან თითო მიიტანა. — ჩუ!.. აი, ხომ გესმის?.. ცხენები ჭხვინივებენ... ღორები ღრუტუნივებენ... ძროხები ბღავიან... ძროხები... ღორები... ცხენები... მე ყველაფერი ვიცი... ყველაფერი ვიცი...

— საცოდავი თქვენი ცოლი.

ელიმ აღმაცერად და გაკვირებულმა შემობხედა, — ნეტა რას ამბობო და კიდევ უფრო ხმაალა და თავაწყვეტით გადაიხარხარა:

— ჰაააჰაჰა!.. ჰაააჰაჰა!.. ჰაააჰაჰა!..

შეცქეროდი მას და აღარ ვიცოდი, რა მოემოქმედა.

ელის პირზე დუქი მოადგა. მე ლამის გული ამერია. ელიმ დუქი სახელოთი მოიწმინდა და თქვა:

— ხუმარა ყოფილხარ, სერ, დიდი ხუმარა ყოფილხარ. ცოლი რახანია გავათხოვე... გავათხოვე... გავათხოვე... აქ ყველამ იცის... ყველამ იცის... ჰაააჰაჰა!.. ჰაააჰაჰა!.. ჰაააჰაჰა!..

— ფერმაში ვინმე ხომ დავარჩათ?

— ყური მიგდევ, — ჩურჩულით თქვა ელიმ თითქოს დიდი საიდუმლოს მანდობდა. — ფორსიტს ორივე ერთ წელი მივათხოვე, ცოლი და ქაი ცხენები... მივათხოვე... ღმერთმა ხელი მოუმართოს... ჰაააჰაჰა!.. ჰაააჰაჰა!.. ჩვენ ანგელოზები დაგვიფარავენ... ანგელოზები გვიპატრონებენ... ვენაცვალე კაცის მფარველ ანგელოზებს... ვენაცვალე... ვენაცვალე...

ელი ჩაჩუმდა. სახე უმეტყველო გაუხდა. მერე თითქოს რაღაც მოაგონდა, სახე მწუხარებით მოქუქუფრა და გაჭაღარაგებული კაცი ბავშვივით გულსაკლავად ასლუქუნდა:

— ჩემი ცოლი ელენ... ჩემი ელენ... ჩემი



ფერმა... ჩემი სისხლით მონაგარი ფერმა... ჩემია... ჩემია... ჩემია... მე ყველაფერი ვიცი... ვიცი... ვიცი... ვიცი... — აღრიალდა ელი და თვალები გადმოქაჩა.

— ელი! — დაიძახა დახლიდან, ჩასუქებულმა ზანგმა და თითის ტურთან მიტანით ანიშნა: დაწყნარდიო.

ელი დემორჩილა და გაჩუმდა.

ელიმ ყვირილი რომ ასტეხა, რუთმა მკლავებში ჩარგული თავი მძიმედ აიღო და ჩვენკენ შემობრუნდა. მას ჰქონდა ლამაზი, მაგრამ უმეტესელო, გადაფითრებული სახე, როგორც აქვთ ხოლმე სისხლნაკლებებს და ნარკოზიანებს.

რუთი ხმაურმა გამოავიწყდა, მაგრამ იმ ხმაურს იგი შეჩვეული იყო, მისთვის არაფერს ნიშნავდა და მასზე არავითარი შთაბეჭდილება მოუხდენია. რუთი ჩვენკენ რომ შემობრუნდა, იმ თმა-წვერგაბურცულმა ბიჭმა, ელიმ ლაწირაყი რომ უწოდა, მას წელზე მოხვია ხელი. მაგრამ რუთი არც კი შენძრეულა, თითქოს უხორცო და უგრძობი იყო. ის ისევ დახლზე დაემხო და მკლავებში თავჩარგული ისევ ბურანში ჩაიძირა.

— მე ყველაფერი ვიცი, — თქვა ელიმ. — ყველაფერი ვიცი... ვიცი... ვიცი... ფორსაიტი ფიქრობს, გამაცურა, ცივ ქვაზე დამსვა, — გაიღიმა მან და თვალს მოკუტა. — ჩემი ცოლით მე ვერ ვიხიერე... ვერ ვიხიერე... ვერ ვიხიერე... ფორსაიტი იხიერებს... უწვილი ქალი, ბერწი ქაკი და ეწერი მიწა — ერთი და იგივეა... უნაყოფო საშო კუდიანებმა დადაღეს... დადაღეს... დადაღეს... ეწერში ქვეწარმავალნი ბუღობენ... ბუღობენ... ბუღობენ... იპპიპიპიპი... იპპიპიპიპი... — აიტეხა ქირქილი ელიმ. — ფორსაიტს შხამიანი გველი უკბენს... უკბენს... უკბენს... გველი, გედი, გერი, გენუა, გენია... — დაიწყო ელიმ გაბმით, თვალების ზეაყრობით და შთაგონებით.

— ცოლი გყავს? — მკითხა მერე მან.

— მყავს.

— შვილები?

— ქალ-ვაჟი.

— რანჩო გაქვს?

— არა.

— ყური მივდე, მე ყველაფერი ვიცი... ვიცი... ვიცი... ცოლი გაავდე, ვიდრე გაგმცევა... გაგმცევა... გაგმცევა... რანჩო არ გინდა, სულ გაგმწარებებს... გაგმწარებებს... გაგმწარებებს... დამიჯერე, მე ყველაფერი ვიცი... ვიცი... ვიცი... დამთხვეულო ფორსაიტი ფიქრობს, გამაცურა, გამაცურა... გამაცურა... გამაცურა... იპპიპიპიპი... იპპიპიპიპი...

— თქვენი შვილები?..

— შვილები... შვილები... შვილები... ჰო!.. შვილები ღმერთმა არ მადირსა... არ მადირსა... არ მადირსა... ვენაცვალე მე მის სახელს...

ვენაცვალე... ვენაცვალე... ღმერთი უზენაესია... უმაღლესია, უღიადესია... მან ყველაფერი იცის... იცის... იცის... იცის... მე ყველაფერი ვიცი... ვიცი... ვიცი... ვიცი... შვილები... შვილები...

ელიმ ყური მიუგდო და გახარებულმა წამოიძახა:

— ცხენები ჰიხენებენ... ჰიხენებენ. ჰიხენებენ... ღორები ღრუტუნებენ... ღრუტუნებენ... ღრუტუნებენ... ძროხები ბლავიან... ბლავიან... ბლავიან... არ გესმის?

არ ვუპასუხე.

— ააა, არ გესმის? — გამიმეორა კითხვა ელიმ და სმენა კიდევ უფრო დაიძახა.

— ელი, ფორსაიტი შენი მეგობარია, ხომ? — კითხე მე.

— იყო! — იყვირა ელიმ.

— მისი ფერმა და შენი ფერმა ერთმანეთს ესაზღვრებოდა...

— ყოფილხარ ჩვენ მხარეში?.. ყოფილხარ?.. ყოფილხარ?.. — გაეხარა ელის.

— მე არ ყოფილვარ, მაგრამ ვიცი.

— მე ყველაფერი ვიცი... ვიცი... ვიცი... ვიცი...

— შენ და ფორსაიტს კეთილი ნებობლობა გქონდათ, ხომ?

— ფორსაიტი ხშირად დადიოდა ჩვენს სახლში.

— ელენი სენდვიჩებს აცხობდა...

— აცხობდა... აცხობდა... აცხობდა...

— მერე შენ ცუდად წაგივიდა საქმეები ფერმაში და ფორსაიტმა თავისი სამასხური შემოგთავაზა...

— შემომთავაზა... შემომთავაზა... შემომთავაზა...

ელიმ თვალები გადმოქაჩა და იყვირა:

— მოვკვავ!.. ღორივით გამოვლადრი ყელს!.. გამოვლადრი... გამოვლადრი... გამოვლადრი... ცხენის კულზე გამოვაბამ... გამოვაბამ... გამოვაბამ... გამოვაბამ...

ადგომა და გაცლა დაეპიირე.

დახლიდან ის ჩასუქებული, ზორბა ზანგი გამოვიდა, ჩვენკენ ჩქარი ნაბიჯით წამოვიდა. ელის ზურგიდან დაუარა და ქეროში ჩაავლო ხელი.

— რას ღრიალებ, მუდრეგო! — დაუყვირა მან და ღონივრად შეანჯღრია.

ელი უცხად ჩაჩუმდა, მოიბუხა, მოიუწტა, მუშტის ოღენა გახდა.

მეზობელი მავიდიდან სუფთა ქიქა ავიღე, უღვთი შევავსე და ზანგს მივაწოდე.

— მიირთვიო, სერ, დაილოცეთ!

ზანგმა ელის ხელი უშვა, ჩემკენ შემო...

ბიძი პარდოსანიძე
ბონჯი მხითარაძე

ბრუნდა და დაბნეულად შემომხედა, ვერ გა-
იგო რას ვეუბნებოდი.

— მიირთვით, — გავუშვებოვ თხოვნა.

მან დიდი, შავი, უხეში ხელებით წინსაფარი
შეისწორა და მე მეგონა ჭიქას ჩაომართმევდა.
მაგრამ მან მხოლოდ რაღაცანიარად, უხერხულ-
ლად გაშიღშია და უარის ნიშნად თავი გაიქნია.

— ო, არა, სერ! გამაღობთ, მე არა ვსვამ.

— ეს ერთი ჭიქა, სერ!

— მაპატიეთ, მაპატიეთ... არ შემიძლია, —
თქვა მან მტკიცედ და მობოდიშებით, თავი
ღამიკრა და სწრაფად გავგზორდა.

წიწილასავით მობუხული ელი ისევ გას-
წორდა მხრებში, გაიბერა, დაუფხორა. არაყი
დაიხსნა და ამჯერად ერთი ყლუპით გადაკვრა.

— მე ყველაფერი ვიცი... ყველაფერი ვი-
ცი... ვიცი... აქ ყველა მიცნობს... მიცნობს...
ის შავი ღორი, მაწაწაწალა... მე პოლკოვნიკი
ვარ... პოლკოვნიკი ვარ... პოლკოვნიკი ვარ...
მე ყველაფერი ვიცი... ვიცი... ვიცი...

— მისტერ ელი!

— პოლკოვნიკი ელი! — გამაწყვეტინა მან.
— ნე პოლკოვნიკი ვარ, პოლკოვნიკი ვარ... მე
პოლკოვნიკი ვაგვხდი, როცა გენერალი ეიზენ-
ჰაუერი პრეზიდენტად აირჩიეს...

— არმიაში მსახურობდით?

— არმიაში... არმიაში... არმიაში... ჰო, ოდეს-
ღაც ემსახურობდი არმიაში. ემსახურობდი...
ემსახურობდი... იქ კარგად უხდიან... კარგად
უხდიან... ტრახტატატატა... ტრახტატატატა!
ტრახტატატატა... ესროლე, — მოკვდა... ეს-
როლე, — მოკვდა... ტრახტატატატა... შენ
იცი, მე ფერმა მქონდა... ფერმა მქონდა... ფე-
რმა მქონდა...

— ვიცი. შენ გყავდა ცოლი... გყავდა ცხე-
ნები... გყავდა ღორები... გყავდა ძროხები...

— ჰო... ჰო... ჰო... — სიამოვნებით აცმუჯ-
და და დაიღიმა ელი.

— ხნავდი... თესავდი... მოსავალს იღებდი...

— ჰო... ჰო... ჰო...

— შაბათ-კვირას შენ და ელენი ქალაქში
ნიდიოდით... რესტორანში სადილობდით... ახ-
ალ კინო-სურათს ნახულობდით...

— ჰოჰოჰო... — მოიფშენითა ხელები ელიმ
და ტუჩები ააცმაყუნა. — ტრახტატატატა...
ტრახტატატატა... ტრახტატატატა!

— ელი, ომში ყოვლიზარ?

— ომში... ომში... ომში... მე პოლკოვნიკი
ვარ. პოლკოვნიკი ვარ... ტრახტატატატა... ტრახ-
ტატატატა... ტრახტატატატა... სსსუ! — დაიძა-
ხა უცხად ელიმ და სმენა დაძაბა. — ჩვენი
მფარველი ანგელოზები გვიგალობენ... გვიგა-
ლობენ... გვიგალობენ... საიქიოში ანგელოზე-
ბი იქნებიან ჩვენი პატრონი... მე ყველაფერი ვი-
ცი... ყველაფერი ვიცი... ვიცი... ვიცი... ვიცი...
ფერმა... ფერისცვალება... ფერმიღებული, ფერ-

მისილი, ფერმიმჭარალი... ფეროვანი... /გესო...
ფეხი... ფერი... ფერფლი... ტრახტატატატა...
ტრახტატატატა... ტრახტატატატა... ექვემდებარე...
ჩემი ელენ... ჩემი ცხენები... ჩემი ძროხები... ჩე-
მი ძროხები...

ელის პირზე ჭაფი მოადგა და თვალები ჩაუ-
კისლიანდა. ისე მაგრად დაკვრა მუშტი მაგი-
დას, ცარიელი ჭიქა წაიქცა.

— მოვეკავე!.. ღორივით გამოვლადრი ყელს!..
მოვეკავე!.. დავხარხარო!.. ცხენის კუდზე გამო-
ვბავს!.. მე პოლკოვნიკი ვარ!.. პოლკოვნიკი
ვარ!.. პოლკოვნიკი ვარ!.. მე ყველაფერი ვი-
ცი... ვიცი!.. ვიცი!.. ჩემი ელენი... ჩემი ფერმა...
ჩემი ცხენები!.. ჩემი ღორები!.. მოვეკავე!..
მოვეკავე!.. უუუუუ!.. უუუუუ!.. უუუუუ!.. უუუუუ!
— ღრიალებდა ელი და მთელი ტანით ცახცა-
ებდა.

ის ბობოხონინა, ჩასუქებული ზანგი ისევ გა-
მოვარდა დახლიდან. ელის ზურგიდან მოუარა.
ქეროში ჩაავლო ხელი და დაუყვირა:

— რა გაღრიალებს, ხმა ჩაიწყვიტე, შე ღო-
რო!..

ზანგს ვილაც სხვაც წამოეშველა.

ელი ჯიკავით და კინწისკრით მიათრიეს
გასახველთან და ქაშაში გააგდეს.

უფარლო შუშის კედლის იქით დაეინახე,
როგორ წაფორხილდა იგი და დაეარდა. მიი-
მედ წამოდგა და მხრებში მოხრილი, მობუხუ-
ლი და თავჩაქინდრული ლასლასით წაფრატუნ-
და, ბარისკენ არ მოიხედა.

ბოთლიდან ჭიქაშია ლუღი დაეისხი. ქაფი
ნელ-ნელა იზრდებოდა და მალე მოადგა კი-
ქის პირს. გავიფრტე: „ახლა გადმოიდგრება“,
და დასხმა შევწყვიტე. ქაფი თანდათან ჩაიფუ-
ტა. ლუღს მაინც შევუბერე სული, დარჩენი-
ლი ქაფი რომ დამეფანტა და ხარბად დაეწა-
ფე... ვინატრე: ნეტა ახლა ამაფრინა და პირ-
დაპირ ჩემ სახლში დასმევა-მეთქი... ცხვირში
მიღიტინებდა იაფფასიანი ბარის ამმორებული
სუნი და ყნოსვას მიღიზიანებდა. დაბალი, შა-
ვი ჭერი სულს მიხუთავდა...

ბარში ერთი გაჩხინებული მოხუცი შემოვიდა.
ფეხებს ძლივს მოათრევდა. იფიქრებდი: სული
რომ შეუბერო, წაიქცევაო. შემოსასველეს გა-
მომორდა და შენერდა. ვიწრო მხრები ჰქონდა
და ბუქებში საგრძნობლად იყო მოხრილი. კა-
ფანდარა ტანზე ტომარასავით ეკიდა ძველი,
დაკუმუქნული პიჯაკი. ვიწრო, ლურჯი შარვალი
კოჭებს ზევით ჰქონდა აცანტურებული. ფეხზე
სანდლები ეცვა. ფარფლებ დაბრეცილი, ჭუჭ-
ყიანი შლაპა ისე ჩამოფეხატა, რომ ნახევარ-
უმაღლად ყურებს.

— ბიძია სემ!

— ბიძია სემ! — გაისმა აქეთ-იქიდან.

— სემ, შე ძველო, აქ მოდი, სენდვიჩზე გე-
პატიყები, — დაუძახეს მოხუცს მეზობელი მა-
გიდიდან. ეს ის კაცი იყო, ჩემკენ ზურგით რომ

იჭდა იგი ბარში შემოსვლისთანავე შევნიშნე, რადგან მამაკაცისათვის შეუფერებელი გრძელი თმა ჰქონდა და ყვირილი ლაპარაკობდა.

გრძელთმიანმა მაგიდასთან სკამი გამოსწია და მოხუცს დაუყვირა:

— სემ, აქ დაჯექი!

ბიძია სემმა ყურები არ შეიბერტყა. დარბაზი მძიმედ მოათვლიერა და ჩემთვის მოულოდნელად, ჩემი მავილისაკენ წამოვიდა. იმ გრძელთმიანს რომ გამოუთარა და გვერდი აუქცია, გრძელთმიანმა პიჯაკის კალთაზე ჩაავლო ხელი.

— დაჯექი, რაღა! — დაუყვირა მან.

ბიძია სემი უხმოდ და ღონივრად გაიჭაჩა და გრძელთმიანს ხელი გააშევიბინა, მაგრამ წაბარბაცდა და მეზობელ მაგიდასთან მსხდომთ დაჯახა.

— ბებერო, ფალმანდიანი ჭაკივით ფორხილობ, — შეუყვირა იმ მაგიდიდან რომელიღაცამ და ხელი წაპკრა.

ბარში გაიციენს.

მოხუცი ჩემს მაგიდასთან მოლასლასდა და სკამზე მოწყვეტით დაეშვა. მშვიდი სახე ჰქონდა, უმფოთველი, თითქოს დაღბინებული ცხოვეტების პატრონი იყო და რაც ამ წუთში მოხდა, მას არ ეხებოდა. შლაპა მუხლებზე დაიდო.

ძია სემს ფინჯანი ყავა და ერთი თხელი ნაჭერი ნამცხვარი მოუტანეს, თუმცა მას არაფერი შეუყვებოდა. როგორც ჩანს, ეს მისი ჩვეულებრივი, უცვლელი ულუფა იყო.

ძია სემმა მუხლებზე შლაპა შეისწორა. ნამცხვარი აუჩქარებლად წაიღო პირისაკენ და ჩაკბინა. ფინჯანზე დაიხარა, ყავა მოხვრაბა.

ახლა შევნიშნე, ხელი უქანკალებდა.

თავის მაგიდიდან აღდა და ჩვენთან გადმოჯდა ის გრძელთმიანი. თან მოიტანა თავისი ბოთლი ვისკი და ჭიქა, რომელიც სანახევროდ დაცლილი იყო.

— პარდონ, — თქვა მან და თავი დამიკრა. — ნება მომეცით, შემოგიერთდეთ.

— დაბრძანდით! — ვუთხარი მე.

ძია სემს ხმა არ გაუღია. თავიც არ გაუქანებია, თითქოს გრძელთმიანის მოსვლა ვერც შევნიშნის. იგი დროდადრო ხვრებდა ყავას და ზედ აყოლებდა ნამცხვარს.

გრძელთმიანი ხმაურით დაჯდა და მოხერხებულად მოეწყო. ის ახალგაზრდა კაცი იყო, ალბათ, ოცდაათიოდ წლისა; შევეგრემანი, მსხვილნაკეთებიანი სახე ჰქონდა, ბერძენს ჩამოჰავდა.

მაგიდასთან კარგად რომ მოეწყო, ძია სემს ბეჭებზე დაპკრა ხელი და ყვირილით უთხრა:

— ძველო, გამომეჭეცი, ხომ?

ძია სემს საშინელი ხველა აუვარდა, მგონი ყავა გადასცდა სასულეში.

„ამ დათვივით კაცს შეიძლება მოფერებანი კიდევ შემოაკვდეს ხელში“, — გაფიქვრე მე.

ძია სემმა დიდხანს იხლუჯუნა მოითქვა სული. თვალები ცრემლით ავესო და ძვალტყავა, ჩათეთქვილი სახე წამოუწითლოდა.

— შაქრად, ბატონებო, შაქრად შეგვერგოს, — უთხრა გრძელთმიანმა და ბობღინა ხელი მხარდა მოხვია.

ძია სემმა თვალები ამოიწმინდა ცხვირსახოციით, რომელიც პიჯაკის ვულისკბიდან ამოიღო და ყავის ხვრება განაგრძო. ყურადღება მივაქციე, რომ ცხვირსახოცი სუფთა იყო.

გრძელთმიანმა ჭიქა აიღო.

— ვინც არ მუშაობდეს და ჭამდეს, იმას გაუშვარჯოს. სემ, დამიკარი კვერი, — წაპკრა მან მუჯლუგუნი ნოხუსს. — მულრგეო, რას გაჩუმებულხარა!..

მერე მე მომიბრუნდა:

— წესიერი საქმე არც არასოდეს ჰქონია, მაწინწალა იყო, პენსია კი ააძრო, ძველმა.

— პენსიას იღებთ? — ვკითხე ძია სემს.

— იღებს. მთელი სიცოცხლე იჯახირა და მეტი ხეირი ვერ ნახა.

ძია სემმა თავი დააკანტურა.

— რამდენს იღებთ?

— ოცდათხუთმეტ დოლარს კვირაში, — თქვა წყნარად სემმა და თავისი წვრილი თვალებით მორჩილად შემომამცქერდა.

— რაო, არ თქვა არ მყოფნისო. მამა გიცხონდებო, ცოლი გიტრის შინ თუ შეიღო? ერთი ჩიტის ულუფა საკენცი ჩიჩახვს გამოვივსებს... ოხოხოხოხოხოხო! — გადაიხარხარა გრძელთმიანმა ისე ხმამაღლა, რომ რამდენიმე წყვილმა თვალმა ჩვენკენ მოიხედა.

— ჰოკ... ჰოკ... — აკრუსუნდა ძია სემი თანხმობისა და ხელისიღმი უღრტივინველი მორჩილების გამოსახატავად.

— ოხოხოხოხოხოხო!.. ფეხმძიმე ქალივით არ ინახება ეს სულძალი?

— მამატივით, თქვენ რით ყავხართ განებივრებული ღმერთს? — მივმართე გრძელთმიანს.

— მე? — თითქოს არ მოელოდაო, გაიკვირვა მან.

— დაახ!

გრძელთმიანი ჩაფიქრდა.

— პირველი, მე მგონი, ის, რომ ჯანმრთელი კაცი ხართ და დევით ღონიერი, — ვთქვი მე. გრძელთმიანმა ცარიელ ჭიქას გაუშტერა თვალი.

— მხიარული ბუნება გაქვთ; ესეც ბევრს ნიშნავს კაცისათვის...

ძია სემს ისე აუვარდა ხველა. მან აკანკა-

**30303 ვარდოსანიძე
ბონეჯი მზამუხანაბრი**

ლუბელი ხელით ფინჯანი ფრთხილად დადო
ლაშქაზე და პირზე ხელი მიიფარა.

ახელებდა ხრინწიანად და გაბნულად. როცა
სული მოიბრუნა, ფინჯანი წინ გასწია, მაგიდა-
ზე მკლავები დააწყო და მუშტებზე შუბლით
დაეყრდნო, ზედ კინკრისოზე ღრმა ნაპრილო-
ბები აჩნდა.

— მხიარული გუნების წამალი ჯიბეში მი-
დევს, — თქვა მოგვიანებით გრძელთმიანმა და
ხმაში ბრაზი დაეტყო. — აჰა, ნახე! — წანო-
ყვირა მან გაჯავრებით და პიჯაკის გულსჯი-
ბიდან თუნუქის პატარა, მოგრძო ყუთი ამოი-
ლო, გასნა და ცხვირწინ მომიტანა: — ნახე!..
ჩემთვის ყველაფერი გასაგები იყო.

— ზოგს ცხოვრება აქვს მხიარული, ზოგი
კი თავს ამით იმხიარულებს.

— დიდი ხანია იკეთებთ?

— ვიკეთებ!..

გრძელთმიანმა ყუთი დახურა და ისევ პიჯა-
კის გულსჯიბეში ჩაიღო.

ძია სემმა თავი წამოსწია და ჩაწითლებული
თვალები დარბაზს მოავლო, თითქოს მისთვის
უცხო გარემო მოათვალიერა.

გრძელთმიანმა წინ დაუდგა ჭიქა, რომლდა-
ნაც თვითონ სემამ და ჭიქა ვისკით შეუვსო.

— დალე! — უბრძანა მან.

ძია სემმა თვალები უმწეოდ ახამხამა და

მხრები აიჩეჩა.

— დალე! — გაუგებრა გრძელთმიანმა უფ-
რო ხმამდლა და უფრო მკაცრად. — თუ მო-
კვდები, სხვის სამარეს ვერ ამოვაცებ.

ძია სემმა გაუბედვლად აიღო ხელში ჭიქა და
პირთან მიიტანა.

გრძელთმიანმა ქვევიდან ხელი მიაშველა და
აიძულა ჭიქა აეპირქვავეინა. ხელი მანამ არ
ჩამოიღო, ვიდრე მოხუცმა ჭიქა ბოლომდე არ
დასცალა.

— ჯოჯოხეთში თუ ჩავიცდება ფეხი, წერილს
გაგატან, — უთხრა გრძელთმიანმა და ნიჯაბში
ამოსრო ხელი. — ბროდვეის გოგოებიც მე-
ლარ დაგიწუნებენ.

ძია სემს სლოკინი აუვარდა და ცხვირიდან
წვინტლი წამოთვიადა.

— მომჯალი კაცი, — თქვა მან კრუსუნით.

— თავს იკატუნებ; გიცნობ, რა ვაებატო-
ნიც ბრძანდები.

— დავაშავე რამე?

— დედამიწას ამძიმებ.

— თავი ვის მოუტლავს?..

— ენა ამოიდგა...
— მე ჩემი გავლიე... აწი შენ ეძებ შენი
და რაც იპოვნო, არავის გაუზიარო, — მოუ-
ლოდნულად გაბედულად თქვა ძია სემმა და
თავისთვის ჩაიჭირჭილა.

— აპარტალდი, ბეჭერო, ხომ?

— ასე ვინდოდა და...
— ილაპარაკე, ენას ძვალი არა აქვს და გულს
მოიოხებ.

— ბაუერის მთელი სიბინძურე შენ ხელში
გადის.

— თორემ შენ მთელი სიცოცხლე დაუყოფ-
ში ცურავდი.

— იმ ჭუჭყიან მიღებში ჩაიხრჩობი.

— ენა დაიტკბილე.

— კანალიზაციის დარგში მუშაობთ? — ჩა-
ვერიე საუბარში.

— ვინმემ ხომ უნდა იმუშაოს.

— რა თქმა უნდა, ყოველგვარი შრომა დას-
ფასებელია.

— ამ უბნის ფეხსადგილები უმაგისოდ პი-
რში წყალი იგუბებენ, — თქვა ძია სემმა და
ისევ ჩაიჭირჭილა.

— საკუთარ ფეხსადგილსაც არ ღირსებისარ.

— სუფთა ჰაერს ვიყნოსავ...
— შენი ყოფნით ჰაერს აფუქებ.

ძია სემმა მაგიდის პლასტმასის ზედაპირი
თავის წინ ქაღალდის ხელსახოცით გადმოა-
სუფთავა, ნამცხვრის ნამცეცები ლაშქაზე და-
ყარა და წამოდგომა დასაბრძოლა.

— იჯექი! — უბრძანა გრძელთმიანმა. მხა-
რზე ხელი დაჰკრა და დაქაჩა, ადგომის საშუა-
ლება არ მისცა.

— წავედი ახლა მე, — თქვა მუდღარიტ და-
ღრეკვით ძია სემმა და გრძელთმიანს ბავშვი-
ვით მორჩილად შეაკქვრადა.

— იჯექი! — გაუგებრა გრძელთმიანმა. —
ქუჩა-ქუჩა წანწალს, არ გიჯობს ჩემთან ენა
მოიქავე?

— ჰოკ... ჰოკ... — აკრუსუნდა ძია სემი.

დახლოან ჩამოსკუბუტულ რუთის, მკლავები
დახლზე რომ დაეწყო და შიგ თავი ჩაეყო, ჭა-
ბუქმა წელზე მოხვია ხელი და თავზე თავი
მიადო. ერთხანს ასე იყვნენ გაუნძრევლად,
სულგანაბლნი. მერე ქალიშვილი შეიშმუშნა,
ერთ მდგომარეობაში ყოფნით თუ დაიღალა
და მან თავი წამოსწია. ვაჟს წელზე ხელი არ
შეაშვებინა. ლოყა-ლოყას მიადევს და ერთმა-
ნეთს მიეტმასნენ...

— სემ, აბა ამოდერდე, როგორ იყო შავკა-
ნიანმა გომბიომ თვალები რომ დაგიყენა და
პირწმინდად გაგფქვენა?

სემი ხმას არ იღებდა, ჭირიანი ქათამივით
აფუყულოყო.

— ენას აპარტალდები... თქვი, რადა!.. —
დაუდრიალა გრძელთმიანმა.

სემი შეკრთა და გრძელთმიანს შეწუხებუ-
ლი თვალები მიაპყრო.

— ჰოკ... ჰოკ... — აწრიინდა იგი.

— მთვრალი იყავი, — შეახსენა გრძელთმი-
ანმა.

— ნასეპი, — თქვა ძია სემმა.

— ადრე ტრაზახობდი: ვალეშოლი ვიყავიო.
ძია სემმა თვალები აფხაზულა.

— ჰო, ნუ ამოგვხადე სული! — შეუწყრა
გრძელთმიანი.



— ქუჩაში ზანგის გოგო ამეღვენა, — და-
იწყო უხალისოდ ძია სემმა.

— შენ აედევნე, მუსუსო, — შეუსწორა
გრძელთმიანმა.

— თვითონ გამომელაპარაკა, — თქვა დაბე-
ჯითებით ძია სემმა.

— რათ, რა შინლაო, მომეწონეო? — გადა-
იხარხარა გრძელთმიანმა.

— ჩემთან წამოდო.

— საბან-ბუმბულში დაგაძინებო? — ძია
სემს სიტყვას პირიდან აცილიდა გრძელთმიანი.

— სენდვიჩებს დაგიცხობო?.. ტუჩებზე დაგად-
ნებო?..

— ახლოს ვცხოვრობო.

— რა შვილი იყავი, უარს ეტყოდ.

— გავბრიყვი და წავეყვი.

— ლოგინში ვარდ-ყვავილის სურნელს შეგა-
ფრქვევდა.

— მკვდარივით ჩამეძინა.

— სიზმარში კუპრის ტბაში ბანაობდი...

— არაფერი მახსოვს... ნაშუაღამეს გამომე-
ღვიძა და თავქუდმოგლეჯილი გავვარდი ქუჩაში.

— ჯიბე ცარიელ.

— ჰოკ... ჰოკ...

მერე მთელი თვე მათხოვრები გინაწილებდ-
ნენ ლუკმას.

— ჰოკ... ჰოკ...

— ოხოხოხოხოხო!.. ოხოხოხოხოხო!.. —
თავშეუკავებლად და მთელი ხმით ახეხვინდა
გრძელთმიანი.

ძია სემმა პიჯაკის ჯიბეები მოიქექა. ზურდა
ფული გადათვალა და მაგიდაზე დადო. უხმოდ,
უჩუმრად წამოდგა და გასასვლელისაკენ წა-
ლასლასდა. შლაბა ხელში ეჭირა. გრძელთმიანმა
აღარ შეაჩერა. ბარში ხალხი საცამოდ შეთხე-
რებულიყო და მოხუცისათვის ყურადღება
აღარაკის მიუქცევია.

...ბარიდან რომ გამოვედი, წინ გადამიდგა
ხანშიშესული, ჩამოძინძილი ქალი და ხელი
გამომიშვირა. ჩაცვივნილი ყბები და ჩალურ-
კებელი ტუჩები ჰქონდა. თვალები ამღვრე-
და და პირიდან ღვინის სუნი ამოსდიოდა... ზე-
შეში ხურდა ფული ჩავეუყარე და სწრაფად
გავშორდი... ქუჩის მოსახვევში ფილაქანზე
გულაღმა გამხსლართულიყო ჯონ ელი და მთე-
ლი ქუჩის გასაგონად ხვრინავდა...

ოთხი კვლის მიღვა

ჩიკაგოში საუცხოო ნომერში დამაბინავეს.
ორი დიდი ოთახი, გაწყობილი თანამედროვე ავე-
ჯით და გემოვნებით მორთული, ტელევიზორი
ფერადი გამოსახულებით, — საპირიზე მეტრიც
იყო უცხოელი ტურისტისათვის.

— რა ღირს ეს ნომერი, მაიკლ? — კვითხე
ჩემს ერთდღერთ ნაცნობს ჩიკაგოში, როცა მან
სადილს უკან სასტუმროში მომავითხა.

მაიკლი იყო მაღალი, ხმელი კაცი, როგორიც
არის თითქმის ყველა ამერიკელი. მას ჰქონდა
გრძელი კისერი და როგორღაც დაბერილი სა-
ფეთქლები. მისი თვალები ხან მშვიდი და
გულგრილი იყო, ხან ეშმაკურად მომღიმარი
და დამცინავი. თავი ყოველთვის თავისუფლად
ეჭირა.

მაიკლმა ტელევიზორი ჩართო, იგი სავარ-
ძელში ჩაესვენა, ფეხები დაბალ, სწორკუთხა
მაგიდაზე შეაწყო. უჩვენებდნენ ვიეტნამის
ომის ეპიზოდებს. ტელევიზორის ეკრანზე სა-
შინელუბა ხდებოდა. თვითმფრინავები ბომბებს
აყრიდნენ ვიეტნამურ სოფელს. ისმოდა აფეთ-
ქების ხმა. ცვარბოდნენ თავზარდაცემული ად-
მიანები. ცეცხლსა და ბოლში ინთქმებოდა ყვე-
ლაფერი...

ჩემი ნომრის ფანჯრიდან მოჩანდა ბულვარი
და უფრო შორს — მიჩიგანის ტბის სანაპირო.
ბულვარში ბავშვები თამაშობდნენ.

მაიკლმა თქვა:

— ეს ნომერი იმდენივე ღირს, რაც თქვენ

ჯიბის ფულად მიიღეთ, აქეთ რომ მოემგზავ-
რებოდით.

ჩვენ მივიღეთ თვითელმა რამდენიმე ათე-
ული დოლარი. ამ თანხით ამერიკაში იყიდი ორ-
სამ წყვილ ფეხსაცმელს, ოთხ-ხუთ ბარლონის
ხალათს... ეს კარგი კოსტუმის ნახევარი ფასია.
ამ თანხით თვითმომსახურების კაფეში ისადილებ
ათჯერ-თხუთმეტჯერ.

ამერიკის არც ერთ სხვა ქალაქში ჩვენდამი
მსგავსი ყურადღება არ გამოუჩენიათ. იმ კომ-
პანიას, რომელიც ჩვენ გვემსახურებოდა, არა
მგონია იმ თანხიდან, რაც საგზურში გადავიხა-
დეთ, რაიმე მოგება ღარჩა. ამერიკელები ასე
მსჯელობენ: დეე ჩამოვიდნენ საბჭოთა მოქა-
ლაქეები, გაიცნონ ჩვენი ქვეყანა, ნახონ რო-
გორ ვცხოვრობთ... აჰ ჩვენი გიდი არტური
სულ თავის ქვეყნის ქებაში იყო. მისი სიტყ-
ვით, ამერიკა მიწიერი სამოთხეა. ერთხელ მან
გვიოთხრა:

— ჩემ ჩემოდანს დავდებ, ზედ შევდგები და
რაც თავში მომივა და ენაზე მომაღებება ვიტ-
ყვი... იმიტომ, რომ ჩემოდანი ჩემია;

— ჩემს სახლში კაცს მოვკლავ და პასუხს
არ ვაგებ... იმიტომ, რომ სახლი ჩემია...

კონიაკი ვაგხსენი და სავსე ჭიქა მივაწოდე.
მაიკლმა კონიაკი მოსვა და ჭიქა დაღვა.

გივი ვარდოსანიძე

ბონჯი მზემოთხანავი

— მეუღლემ მთხოვა შეიკთხა: რა ღირს თქვენში ბეწვის ქურჭი? რუსული ბეწვი აგიყებს ჩვენს ქალებს.

— ბეწვის ქურჭი? დემერთმანი, არ ვიცი, ჩემ მეუღლეს ბეწვის ქურჭი არასოდეს ცმია.

— თქვენი მართალი ხართ. რა საჭიროა ბეწვის ქურჭი, როცა შეიძლება უიმისოდაც იოლად წახვიდე. მაპატიეთ, ყველა ქალი რომ თქვენი ქალბატონივით იქცეოდეს, რაღა გვიკირდა მამაკაცებს.

მაიკლმა გაიღიმა და მეგობრულად შემომხედდა.

— როცა სახლში ერთი ქალია, კიდევ აიტან, — განაგრძობ მან, — ხოლო დედას ქალიშვილებიც თუ აძლევენ ბანს, მტრის ოჯახში, პატიოსან კაცს სახლიდან გაქცევის მეტი არაფერი გიშველის.

— ქალებს შეუწუხებიათ?

— უფაღმა ორი ქალიშვილი მაჩუქა. უფროსი მეოცე წელში გადადგა, უმცროსს თვრამეტი შეუსრულდა. შინ აღარ უღებიათ გული. გამოიმცხადეს: საკუთრივ გვიყიდენ ბინებიო, ცალკე ცხოვრება გვინდაო, უკვე დიდები ვართო და თავი საკუთარ მხრებზე გვაბიო.

მაიკლი გაჩუმდა.

მეც არაფერი მითქვამს. — არ გინდათ, ღამის კლუბში წაიყვანოთ? ოი, როგორ ცეკვავდნ ჩვენი გოგოები, ხამი მამაკაცი ჰქუდიდან შეიშლებო.

— მალღობელი ვარ.

— დრამა არ მიყვარს. ტრაგედიაზე ქული რომ შემივლოთ, არ შევალ. ჩემი გასართობია ცირკი, მუსიკა პოლი, ღამის კლუბი... დრამა ცხოვრებაშიც ბევრია... სიკვამლეში მოხეტიალე ცირკს დავდევი.

ამ გაზაფხულზე ჩიკაგოში შეგვხვდა ერთ ასეთ ცირკს. გეფიცებით, ღამის სული ეშმაკს მივყიდე და ცირკს გავყვიე! დედიკო, ცხოვრებულო, განთავისუფლებოდა ჩემგან ჩემი ოჯახი და მე — ჩემი ოჯახისაგან. არენაზე გადავდიოდი მალაყებს. დამიჯერეთ, ზოგჯერ ჯობს კაცი თავით იდგეს ძირს და ფეხებით — მაღლა.

მაიკლი საგარემოში ისე მოსვენებით მოეწყო, შეგეშურდებოდათ. ფეხები ისევ მაგიდაზე ჰქონდა შეწყობილი. ფანჯარასთან ვიდექი და მას ვუმზერდი ზურგიდან. თვალი მხვდებოდა მგლოტი კეფა და ჩამოყრილი ყურები.

ტელევიზორი გრგვინავდა. იწოდა ვიეტნამური სოფელი. ცეცხლი საობდა ქოხმახებს და ფეხშიშველა ადამიანები გარბოდნენ თავზარდაცემულნი.

— ხომ არ ჯობდა, გეფიქრა ქვეყნის იმ თავდაყირა დგომაზე, რაც ამჟამად ტელევიზორის ეკრანზე ხდებო? — ვთქვი მე.

მაიკლმა მაგიდიდან ფეხები ჩამოიღო და თქვა:

— მე პოლიტიკაში არ ვერბევი. ამისთვის ჩვენ პრეზიდენტს ვირჩევთ. გვყავს მინისტრები, რომლებსაც ფულს ვუხდით. მათ უნდა აკეთონ პოლიტიკა.

— ყველა თუ ასე განსჯის?..

— თეთიუფალი ისე ცხოვრობს, როგორც მას ესმის. ყოველ შემთხვევაში, ეს ასეა ამერიკაში.

— ჩვენ ვნახეთ დემონსტრაციები ნიუ-იორკში, ვაშინგტონში, თქვენი ქალაქში. დემონსტრანტები მოითხოვდნენ ომის შეწყვეტას ვიეტნამში.

— ჰოდა, სხვა რაღა გინდათ? — გაიცინა მაიკლმა. — თქვენი ნახეთ ის, რის ნახვაც გასურდათ.

— ამერიკაში ახლა ბევრია დარწმუნებული ვიეტნამის ომის უაზრობაში.

— ომი არასოდეს არავის სურს, მაგრამ ომები მაინც არის.

— ვაშინგტონში, ერთ ოჯახში გაგაცანეს ხანში შესული ქალი. იგი ვიეტნამში ომის შეწყვეტის მოძრაობის აქტიური მონაწილეა. თვით იმ ქალმა მაჩვენა ფურცელი, რომელიც ამერიკელებს მოუწოდებს გაერთიანდნენ მშვიდობისათვის მებრძოლთა ორგანიზაციებში. ის ქალი სულ რამდენიმე თვის წინათ უბრალო დისახლისი იყო. ამ გაზაფხულზე მისი ერთადერთი ვაჟი არმიამი გაიწვიეს და სასაქალოზე გაგზავნეს...

გრგვინავდა ტელევიზორი. ადამიანები იტლიტებოდნენ...

„ადამიანო! რატომ ზიხარ ასე მშვიდად საგარემოში და გულდინჯად შესცქერი ომის ხანძარს ვიეტნამში?.. რატომ არ აღგები და მთელი ქვეყნის გასაგონად არ იყვირებ: შეწყვიტეთ ცეცხლი ვიეტნამში, შეწყვიტეთ სოციატლტვა, შეწყვიტეთ ნგრევა... დღეს ვიეტნამი იწვის, ხვალ ამერიკა დაიწვის, ზეც კი — მთელი დედამიწა... შენ ადამიანი ხარ და უფლება არა გაქვს, მშვიდად უცქერდე, როგორ ელტენ ადამიანებს; შენ დედამიწის მოქალაქე ხარ და ნუთუ დასაღუბავად გასწირავ შენ დედამიწას?..“

— თქვენი თანენემამულენი მარჯვედ ნადირობენ მშვიერ-მწყურვალ ადამიანებზე. ამით რაიმე ღირსება ემატება ამერიკას? — ვთქვი მე.

— ამერიკელები არ წავლენ ვიეტნამიდან.

— ხალხებს სურთ თვითონ იყვნენ თავიანთი თავის ბატონ-პატრონი. თქვენი ყველაზე ძმალვარი იარაღია — სიმდიდრე, მაგრამ ზოგჯერ სიმდიდრეზე ძლიერი სიღარიბეა.

— ჩემი წლიური შემოსავალია ექვსი ათასი დოლარი. ეს ფული საემარისია მხოლოდ არსებობისათვის, ამერიკულ გავებით. მაგრამ მე ამერიკელი ვარ და ნიშანია, რომ ჩვენი ცხოვრების წესი უკეთესია, ვიდრე თქვენი. ამერიკელებს გვირჩევნია დღეს ვჰამოთ მაძრისად,

დღეს გვეცვას და გვეხუროს კარგად, დღეს ვი-
ჯდეთ საკუთარ ავტომობილში...

...საწერი მაგიდის კუთხეში იდგა ვაზა წი-
თელი ყვავილებით. იგი პირველად შევნიშნე
და გამოვივრდა. ეს იყო ხელოვნური ყვავილე-
ბის თაგული, მაგრამ დიდი ოსტატობით ნაყე-
თები, ნამდივლისაგან არ განირჩეოდა.

კედელზე ვკიდა საათი, მაგრამ ნის წიკწიკს
ტელევიზორის ხმა ახშობდა.

ამ კედლებს იქით კი იყო ქუჩები, იყო ჩი-
კაგო, იყო ამერიკა...

ტელევიზორის ეკრანზე ბრძოლის ეპიზოდს
ცვლიდა ბრძოლის ეპიზოდი. იქ სიცოცხლეს
უქირდა, იქ სიკვდილი თარეშობდა, ადამიანე-
ბი ხოცავდნენ ადამიანებს.

საზარელია, როცა უქცერი, როგორ კლავს
კაცი კაცს, და კლავს დიდი ვატაცებით.

ომში ისპობა ჯანსაღი სიცოცხლე, რომელ-
საც ვინ იცის, წინ რა გზა ედო, რა ბედი ეწე-
რა? წუთის წინ იყო ადამიანი, იყო სიცოცხლე
და წუთის შემდეგ აღარ არის.

ქვეყნად კი მაინც რჩებიან ყვავილები, რჩე-
ბიან საათები, რჩებიან ქალაქები და ქვეყნები;
რჩებიან ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ
ისხდნენ კეთილმოწყობილ ბინებში, უცქერდ-
ნენ ტელევიზორში ომის სურათებს, უცქერდ-
ნენ კაცის მიერ კაცის კვლას და უცქერდნენ
ყვავილებს...

ნუთუ დენთის ძალას ვერ დაძლევს გონების
ძალა? სიძულვილის ძალას — კაცთმოყვარეო-
ბის ძალა? მტრობის ძალას — შეგობრობის ძა-
ლა?

მაიკლმა კონიაკი მოსვა და ზანტად თქვა,
თითქოს სიზმრიდან გამოერკვაო:

— ჰო, რა ღირს ბეწვის ქურჭი რუსეთში?
ჩემი დედაკაცი ქურჭის გიყია, ამბავი რომ არ
მიუღტანო, შინ აღარ შემიშვებს.

— არ ვიცი, ავი მოვახსენებ, ჩემს მიუღ-
ლეს ბეწვის ქურჭი არასოდეს არ ცმია.

— კაცი რუსეთში ცხოვრობდეს და ბეწვის
ქურჭს არ იცვამდეს... ჩემი ცოლი ამას არ და-
იჯერებს. ვერასოდეს ვერ ვუყიდი ჩემ ცოლს
რუსულ ბეწვის ქურჭს.

— უყიდეთ ამერიკული, რით არის ცული.

თვალში მეჩხირებოდა სავარძლის საზურგეს
ზევით აყელყელავებული წვრილი კისერი, კე-
ფა და მულოტი კინკრიახი. ამ მოკრიალებული
თავის ზედამიზირიდან რამდენიმე მილიმეტრის
სიღრმეში იდო რაღაც მასა, რომელსაც ეძა-
ხიან ტვინს. ის ერთი მუქა მასა შეიგრძნობ-
და, ფიჭრობდა, განიცდიდა, აზროვნებდა...

რომ შეიძლებაოდეს გაერთიანდეს ყველა ადა-
მიანის ტვინი სიკეთის სამსახურში, სიყვარუ-
ლის სამსახურში...

ადამიანებს შორის ტყვია კი არ უნდა იყოს
შუამავალი, — გული და გონება.

— ამერიკელი რატომ უნდა ტოვებდეს თავს
ვიეტნამში, მაიკლ? — ვთქვი მე.

— უბრალო მიზეზით, მას ვიეტნამში უნდა
არის ტყვია.

მაიკლი წამოადგა. ხელები ჯიბეებში ჩაიწყო
და ბოლოს ცემა დაიწყო.

— მოდით, ნუ ვიკამათებთ, — თქვა მან. —
არაფერი ვამოვა. ადვილია პოლიტიკაზე ლა-
პარაკი, პოლიტიკის კეთება კი ძნელია.

ერთხანს ხმა არ ამოვივლიდა.

მაიკლმა კონიაკის ბოთლი აიღო და შეათვა-
ლიერა.

— ჩვენებურია, ქართული, „გრემი“, — ვუ-
თხარი მე.

— თქვენ ქართველი ხართ?

— დიახ!

— სტალინის თანამემამულე?

— დიახ.

— ამჟამად ჩვენში დიდ მოღვაწეა რუსულ-
ტის კრიტიკა! თქვენი წარმატებები მეორე
მსოფლიო ომში და ომის შემდეგ, ბევრი ამე-
რიკელის აზრით, ჩვენი მაშინდელი ხელმძღვ-
ნელებს არაშორსმჭვრეტელური პოლიტიკის
ნაყოფი იყო.

— თქვენ ხელმძღვანელებს არ შეეძლოთ
ცვლილება შეეტანათ ისტორიის მსვლელობა-
ში.

— შევსვით მაშინდელი ჩვენი კავშირის სა-
დღეგრძელო. ასე იყო თუ ისე, ამ კავშირმა დი-
დი საქმე ვააკეთა კაცობრიობისათვის. ამჟამად
ჩვენი ქვეყნები ერთმანეთის პირისპირ დგანან.
მაგრამ თუ გინდათ სიმართლე იცოდეთ, მე ის
უფრო მჯერა, რომ ჩვენი ქვეყნები გამოანახვენ
დედამიწაზე ერთად ცხოვრების გზებს. უბრა-
ლო ამერიკელის სურვილია, რომ ამერიკა და რუ-
სეთი მეგობრები იყვნენ. და, ალბათ, ასეც იქ-
ნება, სხვა გზა არც ჩვენ გვაქვს და არც თქვენ...
გაუმარჯოს თქვენ შორეულ ქვეყანას, — დაბო-
ლავა მაიკლმა და კონიაკით სავსე ჭიქა აიღო.

— დიდი მადლობა... იყოს დღეგრძელი თქვე-
ნი ჩიკაგო...

ჩემოდნიდან ერთი ბოთლი გაუხსნელი კო-
ნიაკი — „ვარციზე“ ამოვიღე.

— საქართველოში ამბობენ: კეთილი გულით
მიძღვნილი, მცირედიც შეიწირებისო.

მაიკლმა კონიაკის ბოთლი მადლობით ჩა-
მომართვა.

— ოო, ეს დიდებულაია... რით დავიმსახუ-
რე?

— ქართველების წესია: მასპინძლებსაც უმა-
სპინძლონ... ჩვენში ჩამოსვლის სურვილი არა-
სოდეს გქონიათ?

— სურვილი ერთია, საშუალება კი — მე-
ორე, უბრალო ამერიკელისათვის თქვენში ჩა-
მოსვლა დიდი ფუფუნებაა.

გივი ვარლუსანიძე

გონჯი მზითუნახანი

— აქვე, მეზობელ ქუჩაზე პატარა სასაუზმეო. იქ შემწვარი ხორცით უმასპინძლებიან. ულუფა ერთი დოლარი ღირს. იმ სასაუზმესთან არა ერთხელ მოვხვდი და შემწვარი ხორცის სუნი ჩვენებური მწვადს მაგონებს.

— ჩვენებური კერძებიდან რომელი მოგეწონათ?

— გულახდილად გეტყვით: არც ერთი. მე არ ვიცი, ოჯახებში რა კერძები მზადდება, კაფეებსა და რესტორნებში კი არაფერს არა აქვს გემო. პური ვერ გვიპაშია, ჩვეულებრივი, ნამდვილი პური. ნიუ-იორკში რუსულ მაღაზიაში წაგვიყვანეს, ნამდვილ რუსულ პურს იქ იშოვნითო. დიდი ენთუზიაზმით წავედი. მაგრამ ის პური ისევე არ ჰგავდა რუსულ პურს, როგორც რუს ადამიანს აღარ ჰგავდნენ იმ მაღაზიაში მომსახურე რუსები.

— ამერიკაში ძნელია მიხვდე, ვინ რომელ ერს ეკუთვნის. ჩემი წინაპარი პოლანდიელი ყოფილა.

— შევსვავთ ჩვენი წინაპრების მოსაგონარი. მაიკლმა უხმოდ გადაჰკრა.

— თუმცა ამჟამად ჩვენითვის სულერთია, ვინ ვისი შთამომავალია.

მაიკლს ლაწეები წამოუწითლდა და თვალეზი წამოენთო.

— ერთი სადღეგრძელოც მინდა შემოგთავაზოთ, თქვენი მეუღლის სადღეგრძელო, — ვთქვი მე.

— ოო!.. ჩემი ცოლი!..

მაიკლმა ჭიქა დაცალა.

— თუ თქვენ ბედმა ცვალა გავიღმით და ჩიკაგოში ჩამოდით, აი ჩემი მისამართი: **1111 W. Madison St. Chicago, Ill.** გეწონებათ ჩემი ცოლის სენდვიჩები? მაიკლმა სასტუმრო ბარათი გამომიწოლა.

— მალღობელი ვარ.

— კიდევ ჩამოხვალთ ჩიკაგოში, ვინც ერთხელ ჩამოსულა, მეორედაც ჩამოდის. და ვინ იცის, ჩემი საქმეები კარგად წავიდეს და ფულიანი მაიკლი დაგიხედეთ... ჩიკაგო ხომ მაინც დაგიხედებათ, ჩიკაგო...

კარგა ხანს ვისხედით. თვალეზს წვავედა პაპიროსის ბოლი და ყნოსვას აღიზიანებდა წიკოს სუნე.

საწერ მაგიდაზე მოწყენილი გამოიყურებოდა ტელეფონის აპარატი. ჩიკაგოში ვისთვის უნდა დამერეკა, ან მე ვინ დამირეკავდა?

იმ ოთხ კედელს მიღმა კი იყო ქუჩები, იყო დიდი ქალაქი, იყო ამერიკა, იყო მსოფლიო, იყო ცა და მიწა, და იყო ვიეტნამის ომი...

მაიკლს შინ ელოდა ცოლი, რომელსაც აინტერესებს რუსული ბეწვის ქურჭის ფასი. მე შინ მელიოდება ჩემი ოჯახი, ჩემი მეუღლე და ჩემი შვილები, რომლებმაც, რაც წამოვედი, აღარაფერი იციან ჩემი. წერილი კი მივწერე ნიუ-იორკიდან, მაგრამ მიიღეს? სერი, წერილს თუ ჩაუტუსწარი...

ფანჯრიდან მოჩანს მიჩიგანის ტბა, უფრო ახლოს — ბულვარი, სადაც ბავშვები თამაშობენ.

უ ნ ი კ ლ ა გ ო

როცა ჩამოსართმევად ხელი გავუწოდე, მან გამოიღმა და მკვეთრი, უცხოური აქცენტით, გაჭირვებით თქვა:

— გამარჯობა!

ამის მერტად მისგან „ქართული“ არ გამოვირია.

— ჯაბადარი, — გამაცნო თავი.

მეც დაუესახელო ჩემი სახელი და გვარი.

იგი იყო საშუალო ტანის, შავგვრემანი, საკმაოდ მიმზიდველი სახის კაცი. შავი, მგზინავი თმები საფეთქლებთან უკვე შექალარაგებოდა. თხელი, ენერგიული ტუჩები ჰქონდა და ფართე, შუაზე გაყოფილი ნიკაბი.

საუბარში გამოირკვა, რომ იგი ელექტროინჟინერია, მეზობლს ვაშინგტონის ერთ-ერთ მსხვილ ელექტროკომპანიაში. ჰყავს მეუღლე და ორი ქალიშვილი. უფროს ქალიშვილს ჰქვია თამარი, უმცროსს — ჯენი. უფროსი თორმეტი წლისაა, უმცროსს 22 ოქტომბერს შეუსრულდება რვა წელი.

— თქვენთან შეხვედრა ჩემთვის დიდად სასიამოვნოა, — ამბობს იგი.

— მეც დიდად მიხარია, რომ ქართველ კაცს გხედავთ ვაშინგტონში.

— ოო, მეშინია, რომ იმედს გავიცრუებთ. მე მხოლოდ გვარი მაქვს ქართული.

„ჯაბადარი ვაშინგტონში. საიდან, როგორ?“

— მაშაჩემი ქართველი ემიგრანტი იყო. იგი პარიზში გარდაიცვალა 1931 წელს. მამის სახე ბუნდოვნად მახსოვს. დედა პოლონელი მყავდა. მამის გარდაცვალების შემდეგ საცხოვრებლად ამერიკაში გადმოვედი.

— დედათქვენი...

— დედაჩემი გარდაიცვალა ხუთი წლის წინათ, ჩიკაგოში, იქ მარხია..

ჯაბადარს ქუჩაში შევხვდი. მას შეეტყო, არ ვიცი საიდან, რომ ვაშინგტონში იმყოფებოდა საბჭოთა კავშირის მოქალაქეების ჯგუფი, რომელშიც ქართველებიც იყვნენ. კაპიტოლოუმთან დაგვხვდა, როცა ჩვენ იქ მივედი, და პირველი მე შევარი ხელში.

— საქართველოში არასოდეს არ ყოფილხართ? — არასოდეს.

— ჩვენთან ბევრი უცხოელი ჩამოდის.

— ამ ორი წლის წინათ მეც მქონდა საშუალება საქართველოს ეწვეოდი. მაგრამ საქმეებმა შემეშალა ხელი.

— მამათქვენი რომ მკვდრითთ აღსდგეს და საქართველო იხილოს, ვეღარ იცნობს.

— მჯერა, მჯერა.

— თქვენ ვაქეთ რაიმე ინფორმაცია საქართველოს შესახებ?

— დედაჩემის წყალობით, ვიცი პოლონური და რუსული ენები. ამ ენებზე არსებული ლიტერატურის მეოხებით ხელში ჩამივარდება ხოლმე ზოგიერთი ცნობა საქართველოზე.

მგონი სწორედ არ მოვიქეცი, როცა ვაშინგტონელ ჯაბადარს ასეთი კითხვა დაეუსვი:

— თვლით თუ არა თავს ქართველად?

იგი წამოწითლდა და ჩაფიქრდა.

— როგორ გითხრათ?.. მე საქართველოში არ დავბადებულვარ, იქ არ მიცხოვრია, არასოდეს არ ვყოფილვარ. როგორც მოგახსენეთ, მამაჩემი იყო ქართველი. იგი რომ გარდაიცვალა, მე შვიდი წლის ვიყავი. მას დარჩენია რაღაც ხელნაწერები ქართულ ენაზე. ეს ხელნაწერები დაკარგულა. ოჯახში შემოგვრჩა რამდენიმე ფოტოსურათი, რომლებზეც გამოსახულია მამაჩემის ნათესაეები და ახლობლები. მათგან არავის შევხვედრივარ, არც რაიმე ვიცი მათ შესახებ...

იგი გაჩუმდა.

— საქართველოში თქვენი სპეციალობისათვის

ბევრ საინტერესოს ნახავთ. საქართველო მდიდარია ჰიდროელექტროსურსებით. ჩვენ გვაქვს უნიკალური ჰიდროელექტროსადგურები; ენგურის კაშხალი, რომელსაც ახლა ვაშენებთ, უდიდესი იქნება მსოფლიოში.

—მე ჰიდრომშენებელი არა ვარ, ელექტრომანქანების დარგში ვმუშაობ, მაგრამ რაც თქვენ ბრძანებთ, ჩემთვის ცნობილია:

„ამ კაცის წინაპრები საქართველოში მარხია, მამა — საფრანგეთში, დედა — ჩიკაგოში. თვითონ სად დაიმარხება? მაგრამ მისთვის ამას, ალბათ, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.“

— საქართველოში რას დამაბარებთ?

— ყველაზე საუკეთესო სურვილებს, — თქვა მან და გაიღიმა.

პორტველი გავხსენი და იქიდან ამოვიღე რამდენიმე ფერადი ფოტოსურათი, თბილისის ხედების გამოსახულებით.

— ეს თქვენ გოგონებს, საქართველოდან.

— ოო, დიდად გმადლობთ, დიდად გმადლობთ, — თქვა მან და იქვე დაუწყო თვლიერება ფოტოსურათებს.

ერთმანეთს დავემშვიდობეთ.

ავტომანქანის ღია ფანჯრიდან მან ხელი გამოკყო და დამიწნია. მეც დავუქნიე ხელი.

ავტომანქანა ნელა გასრიალდა და ქუჩის ორმოტირალში ჩაიკარგა.

მე ჩვენ ჯგუფს შევეუბრთი.

მ უ ქ ა რ ა

იმ ციხე-სიმაგრის სახელწოდება აღარ მახსოვს, არც ჩამინიშნავს. იგი მდებარეობს ნიაგარიდან რამდენიმე ათეული მილის მოშორებით. აუშენებიათ ინგლისელებს. იქ ფრანგების გარნიზონი მდგარა. ციხე-სიმაგრე ისეთივეა, როგორც არის ბევრი ციხე-სიმაგრე ქვეყნად; მტკიცედ ნაგები გალავანი. ქონგურები. სათოფურები... გალავანს შიგნით ხელოვნურ გორაკზე — ზარბაზნები, რომლებიც დამიზნებულა ოთხივე მხარეს... იმ ციხე-სიმაგრეში ჯარისკაცებს თურმე დღემო ერთხელ აჰმევედნენ და ოფიცრის საწოლი იმ სიმაღლე ფეხებზე იდგა, კიბის მიდგმა იყო საჭირო ლოგინში ჩასაწოლად.

ასეთი რამ ქვეყნად სხვაგანაც შეიძლებოდა ყოფილიყო, სხვა ციხე-სიმაგრეშიც. მაგრამ იქ, ციხე-სიმაგრის გალავანის შიგნით არის ერთი თავლასავით გრძელი, უბრალო ნაგებობა, რომელიც თავის დროზე შეიძლება მართლაც თავლას წარმოადგენდა. ახლა იქ მოთავსებულია ინდიელთა ყოფის ამსახველი ნივთების გამოფენა-მუზეუმი და სუვენირების მაღაზია. ორივე ამ დაწესებულებას ერთი ადამიანი განივებს, ხანშიშესული, საკმაოდ ჩასქელები

ბულ-ჩამარგვალეული, მაგრამ ახალგაზრდულად ენერგიული, მკვირცხლად მოძრავი ქალი. იგი არა მხოლოდ ხალისით ვაჭრობს ათასგვარი სუვენირით, ასევე ხალისით იძლევა განმარტებას ყველა მნიშვნელოვან და წვრილმან კითხვაზე.

დახლზე აწყვია სხვადასხვა ზომის რქები. ინდიელები თურმე რქებს სატყეიაწამლედ იყენებდნენ.

— ის წითელი ქსოვილი რაღას ნიშნავს? — კითხვობს ერთი და თითოეტი ანიშნებს თაროზე შემოღობულ დიდ შეკვრაზე.

იქვე, თაროს ფიცარზე მიჭედებულ ლურსმანზე ჰკიდია სხვადასხვა ზომის და ფერის ძვირფასი ბეწვეული.

ქალი სწრაფი, ენერგიული მოძრაობით მიდის იმ მხარეს, სადაც თაროზე დიდი, წითელი შეკვრა დევს. იღებს, ჩვენთან მოაქვს და დახლზე დებს.

— ასეთი ქსოვილი ინგლისელებს შემოჰქონდათ ამერიკაში, რომ ინდიელებისათვის ბეწვე-

ვიპი ვარდოსანიძე

ბონჯი მზითუნახაძი

ულში გაცვალათ. გაცვლის წესი უბრალო იყო: ზომა-ზომში, ე. ი ცხოველის ბეწვს დადებდნენ ქსოვილზე და მის ზომაზე გამოჭრიდნენ ქსოვილს გასაცვლელად.

— დიერთო ჩემო, — ოხრავს ვიღაც დამთავალიერებელთაგანი, — ეს ხომ საშინელი მოტყუებაა.

— ინდიელები ძალიან კმაყოფილი იყვნენ, — ღიმილით უპასუხებს ქალი. — მათ ძალიან მოსწონდათ წითელი ქსოვილი; ბეწვეული ბევრი ჰქონდათ და არაფრად უღირდათ...

და ამას სჩადიოდნენ ადამიანები, ის ციხე-სიმაგრე რომ ააშენეს, რათა ეხოცათ და ეყვლინათ ისინი, ვისაც ეკუთვნოდა ის ცა, ის მიწა, ის ტყე-ველი და მთა და ბარი; ვისაც არაფრად უღირდა ძვირფასი ბეწვი, ოქრო და თვალ-მარგალიტი; ვისაც არ აშინებდა ნადირის ბლავილი და სიხარულს ჰგვრიდა წითელი ფერი.

ამას სჩადიოდნენ ადამიანები, რომლებიც ოკეანეს გზლიდან მოდიოდნენ, რომ აქ, ახალ მატერიკზე ეცანათ ბედი. მოდიოდნენ და ბევრი გზაში იღუპებოდა; ბევრი ვერ უძლებდა დაუსახლებელი, უკაცრიელი ქვეყნის პირობებს. ათასებიდან და ათი ათასებიდან ერთეულები და ათეულები გადარჩნენ და ეს მათი ნაშეიარა, ახლა რომ ცივილიზებულ მსოფლიოში პირველობას ჩემობს.

ვინ იცის, რა გზით წაივიდოდა ცხოვრება დიდ მატერიკზე, ვერაულებელა ამერიკა რომ უწოდეს, თეთრკანიანთა ურდოებს რომ არ და-

ეპყროთ. ეს დიდი მიწა ალბათ ვერ იამაყებდა ნიუ-იორკის ცათამბჯენებით; ვერ იამაყებდა ევტომობილებით, მსოფლიოში ბადალი რომ არ ჰყავთ; ვერ იამაყებდა ატომური დასაცავის უნარი და კოსმოდრომებით... მაგრამ მას ექნებოდა ყველაზე დიდი ადამიანური სიამაყე — სიმაართლე და ყველაზე დიდი ადამიანური სილაბაზე — გულუბრყვილობა; ის სიმაართლე და გულუბრყვილობა, რაც ყველაზე დიდი სიმდიდრე იყო დატაკი ინდიელისა; სიმაართლე და გულუბრყვილობა, რომლის ძალითაც ინდიელი მთუდის უბრალო წითელ ნაჭერში სიხარულით ცვლიდა ძვირფას ბეწვეულს.

ის ციხე-სიმაგრე ისეთივეა, როგორიც არის ბევრი სხვა ციხე-სიმაგრე დედამიწაზე, მტკიცე ვალაგანი, ქონგურები, სათოფურები... ხელოვნურ გორაკზე — ზარბაზნები, რომლებიც დამინულია ოთხივე მხარეს. მაგრამ ის ციხე-სიმაგრე ამჟამად აღარავისათვის არ წარმოადგენს იმედს და თავშესაფარს; აღარავისგან იცავს თავს და არავის ეშუქება. იმ ციხე-სიმაგრის მომსახურე მცირე რაზმი, მისი ძველი დამცველებივით, დღეში ერთხელ კი არ იღებს საჭმელს, არამედ ოთხჯერ, და ოფიცისთვის განკუთვნილი ის ორფეხებიანი საწოლიც ახლა სამუხეუმო ნივთია მხოლოდ. მაგრამ ეს ჩამრგვალებული ქალი ასე სიამოვნებით რომ ჰყვება უბრალო წითელი მაუდისა და ძვირფასი ბეწვეულის შორეულ ამბავს, ეს უსიტყვილო ღიმილი მთელ კაცობრიობას ეშუქება.

კრთი გოჯი მიწა

ვამინტრონში, ერთ-ერთ მწვენივთ დაბურულ ქუჩაზე, დგას პატარა, მოხდენილი სახლი. იმ სახლს გარს აკრავს მიწის მცირე ნაგლეჯი, ერთი გოჯი მიწა. ასეთი ელევანტური სახლები, ყვავილებითა და დეკორატიული მცენარეებით დამწვენივთი პაწაწინა ეზოებით, ბევრია ვამინტრონში. ისინი ყურადღებას იქცევენ, უცხო თვალს იზიდავენ. წუთით შეჩერდები. თვალს შეავლებ...

იმ დარბაზოხურული სარკმლების იქით ადამიანები არიან, ისეთები, როგორიც შენა ხარ. არის სკამი, არის მაგიდა, არის საწოლი... არის ცხოვრება, თითქოს ისეთივე, როგორიც ყველგან. მაგრამ მაინც ვინღა, თუნდაც ცალი თვალთ შეიჭვიტო, საკუთარი თვალთ ნახო...

რამდენიმე საფეხურიან კიბეზე, სახლს რომ დანარჩენ სამყაროსთან აკავშირებს, აღიან და ჩამოდიან ადამიანები. ის კარი იღება ყოველ დილით და იხურება ყოველ საღამოს, ვიდრე სახლში სინათლე ჩაქრებოდეს. სახლი იძინებს და შენ თითქოს უფრო გიცხოველდება ინტერესი იმ ცხოვრების მიმართ, ჩადამებული ფანჯრების იქით რომ სუფევს...

გაივლის ღამე, თავის სიხმრებით და იღუმელებით. კვლავ დაიდება სახლის დარბაზები და სახლიც თითქოს თვალს გაახელს. ახმაურდება კარები და ის ხუთსაფეხურიანი კიბე კვლავ გასდებს ხიდს სახლსა და სამყაროს შორის.

ასეა ყოველ დღე, ყოველ სახლში. ეზოში გაიღვიძრები ვარდები და მცენარეთა ფოთლებში დატყროლებს დილის ნიავი. ის პაწაწინა ეზო გაცოცხლდება, ახმაურდება...

ასეა ყოველ დილით ყოველ ეზოში. ასეთ სახლებს თავის პაწაწინა ეზოებით ვერ დაითვლით ვამინტრონში. მაგრამ ეს სახლი, რომლის წინაც ახლა მე ვდგავარ, სრულიად სხვა არის ჩემთვის და არაფრით არ ჰგავს ყველა სხვა სახლს. იგი როგორღაც მალეღვებს და გულს მიჩქროლებს. ის პატარა სახლი, ის პაწაწინა მიწა, ერთი გოჯი მიწა, რომელზედაც ის სახლი დგას, ჩემთვის ახლა მთელ ქვეყნიერებას უდრის.

თუმიცა კაცი მიწის შვილია და მიწა ყველგან მიწაა, უცხო ქვეყანაში, უცხო მიწაზე თავს როგორღაც ობლად, ეუღლად გრძნობ და გული გტკივა. შენი ქვეყანა, შენი მიწა გულში ღრმად

არის ჩაქდებული და ყველგან თან მიგყვება, არ გასვენებს, დარღსა და სიხარულს გვგვის, ძილსა და მოსვენებას გიფრთხობს, სიმშვიდეს გიკარგავს. შენს მიწას ისევე დაიდარდებ, როგორც შენს ახლობელს. შენი მიწა ისევე მოგუნატრება, როგორც შენთვის ძვირფასი ადამიანები. შენს მიწაზე ფეხის დადგმა მოგიწინდება.

ის სახლი არაფრით არ გამოირჩევა მრავალი სახლისაგან ვაშინგტონში. იმ ეზოს მიწაც მხოლოდ მიწაა და მეტი არაფერი.. მხოლოდ იმ სახლის შესასვლელთან, მარჯვენა მხარეს, კედელზე მიმაგრებული ლითონის ფირფიტაზე მოთავსებული წარწერა ვეაუწყებს, რომ ამ სახლში მოთავსებულია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საელჩო. და მხოლოდ ამ მაგიური წარწერის გამო ხდება ის ჩვეულებრივი სახლი ჩემთვის — არაჩვეულებრივი, ხოლო ის ერთი გოჯი მიწა, ამ სახლს რომ ირგვლივ აკრავს, მადლგებებს, გულს მიჩქროლებს, როგორც მოთულოდნელი შეხვედრა ძვირფას ადამიანთან.

ის სახლი ჩემთვის აღარ არის მხოლოდ მოხდენილი სახლი. იმ ფანჯრების მიღმა რომ ცხოვრებაა, ჩემთვის საინტერესოა არა როგორც ჩემთვის უცნობი, არამედ მე მას განვიცდი, როგორც ჩემი სხეულის სუნთქვას, როგორც საკუთარი გულის ცემას. ის სახლი — ჩემი ქვეყანაა აქ. ის სახლი — მე ვარ აქ. იმ სახლის ფანჯრები — ჩემი ქვეყნის თვალი და ყურია აქ. იმ სახლის მრავალსაფეხურიანი კიბე — ხილია, რომელიც ჩვენ ქვეყანას ამერიკასთან აკავშირებს.

ქუჩიდან, რომელიც ამერიკის ეკუთვნის, ნაბიჯს ვდგამ ეზოში, მიწაზე, რომელიც ეკუთვნის ჩემ ქვეყანას, და ასე მგონია, სხვა არსებად ვიქცევი. ფეხი მყარად მიდგას და ეს ერთი გოჯი მიწა მაწვდის სიცოცხლისათვის დაუშრეტელ წვენს და მამხნევეს, ძალ-ღონეს მიორკეცებს... ვიხრები და ბალახს ვგლეჯ, თითებით ვსრეს და ვყნოსავ. ბალახია... მიწას ვფხვნი და პეშვში ვყერი. სუნი არ აქვს. ფრჩხილებში შავად ჩაქდა... ფხვიერ მიწას ნელ-ნელა ვყრი პეშვიდან, თითქოს ვაბრელოებდე და ის უხმაუროდ იზნევა და ბალახებში უჩინარდება...

„ერთი, ორი სამი...“ — ვითვლი ნაბიჯებს და ასე მგონია, ზღაპარში ვარ და ჩემი ყოველი ნაბიჯი ქვეყნის ერთი კილიდან—მეორე კილიკვამდე სწვდება. თითქოს ჩემ ფეხქვეშ მიწა კი არა, ჯადოსნური ხალიჩაა გაფენილი; ეს-ეს არის ხალიჩა აფრინდება და შორეულ სივრცეებში გამაქროლებს...

გვერდით ამერიკის ქუჩა ხმაურობს, დულს და გუგუნებს...

იმ ქუჩასა და ამ მიწას შორის არც მანძილია და არც სივრცე; აქ, ასე ერთად მოთავსებული ორი სამყარო... ეს ერთი გოჯი მიწა წვეთია ოკეანეში, მაგრამ ჩემთვის მთელ სამყაროს უდრის. თვით ჩემი კუთხეც დედამიწის სულ უმინიმუმო ნაწილია. და ახლა აქ რომ ვდგევარ და ამ სახლს ვუმხერ, ასეთი აზრიც მომდის თავში: დედამიწაზე ყველა სახლში უნდა მიესვლებოდეს ადამიანს, ყველა სახლი თავისად მიანდეს... დედამიწის ყოველი გოჯი მიწა უნდა ეკუთვნოდეს დედამიწის ყოველ მოქალაქეს. მაგრამ ამჟამად ეს სახლი და ეს ერთი გოჯი მიწა ჩემთვის აქ ყველაფერია.

სადაც არ უნდა იყო, შინ დაბრუნდები, თუ საერთოდ შინ დაბრუნება გიწერია. შენი სახლი შენთვის საიმედო ჰერია ცისქვეშ. შენი სახლი — ეს არის სიტბო, სიმყუდროვე; ეს არის ადგილი, სადაც მიმდინარეობს შენი ცხოვრება თავის სიტყბითი და თავის სიმწარით. შენი სახლი ერთი რგოლია შენი ქვეყნის ჯაჭვში; იგი ციხე-სიმაგრეა, რომელიც გიცავს შენ და იცავს შენს ქვეყანას...

ხოლო ეს სახლი ვაშინგტონის მწვანით დაბურულ ქუჩაზე, ჩემი სახლია აქ. იმ კარს იქით, იმ ფანჯრებს იქით არის სიცოცხლე, არიან ადამიანები, არის ცხოვრება და ეს სიცოცხლე, ეს ცხოვრება ჩემი ნაწილია, ჩემი სისხლი და ხორცი. იმ კიბეებით სახლი უერთდება ქუჩას, ხოლო იმ სახლით—ქვეყანა უკავშირდება—ქვეყანას, სამყარო — სამყაროს.. სულ პატარაა ეს სახლი და სულ პატარაა ეს ეზო... ვართ სამნი: მე, სახლი და ერთი გოჯი მიწა.

დასასრული იქნება



გიორგი შთაქაური

სოციალისტური შრომის ჰეროიკა ქართულ ხალხურ პოეზიაში

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვართა შორის კოლოსალური მნიშვნელობის სოციალურ, ეკონომიურ და ფსიქოლოგიურ ფაქტორს ყოველგვარი ფორმის ექსპლოატაციისაგან თავისუფალი შრომის დამკვიდრება წარმოადგენს.

შრომა, როგორც საზოგადოების არსებობისა და განვითარების აუცილებელი პირობა, იქცა ყოველი შრომისუნარიანი საბჭოთა მოქალაქის არა მარტო უფლებად, არამედ მოვალეობადაც. ჩვენს ქვეყანაში ხორციელდება სოციალიზმის პრინციპი: „თვითუელისაგან მისი უნარის მიხედვით, თვითუელს — მისი შრომის მიხედვით“.

თავისუფალმა, შემოქმედებითმა, სოციალისტურმა შრომამ — კაცობრიობის ისტორიაში პროგრესული ტიპის შრომამ სათანადო რეზონანსი ჰპოვა. — ახალი ეპოქის ეროვნული ხალხური პოეზიის რეპერტუარში.

საბჭოთა ხელისუფლებამ თავისი არსებობის პირველივე წლებიდან მტკიცე კურსი აიღო ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის განუხრელი გატარებისაკენ. საქართველოში, ისევე როგორც მთლიანად სსრ კავშირში, განადიოზული მასშტაბით გაიშალა ახალი ფაბრიკების, ქარხნების, ჰიდროელექტროსადგურების, სასოფლო-სამეურნეო ნაგებობათა და სხვ. მშენებლობა. ახალი დროის ხალხური წყობილისტყვერი შემოქმედება ამ დიდმნიშვნელოვან მშენებლობათა ყოველ ფაქტზე მხატვრულ რეაგირებას ახდენდა და საბჭოთა ადამიანების დაძაბული შრომით შექმნილ სხვადასხვა დანიშნულების სამრეწველო-სამეურნეო ობიექტებს, თვით შრომის მოწინავე მუშაკებს მგრანობიარე, შთამბეჭდავი პოეტური ფერებით ამკობდა.

1927 წლის 26 ივნისს საზეიმო ვითარებაში

გაიხსნა საქართველოს ელექტრიფიკაციის პირველი გვიანტი — ვ. ი. ლენინის სახელობის ზემო ავჯალის ჰიდროელექტროსადგური.

ნიჭიერი სახალხო მთქმელი სანდრო წიკლაური უდიდესი ექსტაზით გამოეხმაურა ამ სასიხარულო მოვლენას და ზაპესს აღტაცებული სტრიქონები უძღვნა:

დავჯე, დავიწყე ლექსობა;
ჩონგუტს ავუბი ლარები,
მცხეთას აშენდა ზაპესი,
მუშებო, თქვენი ძალებით,
დაბრუნდა დიდი ბორბალი,
მტკვარში აინთო ფარები,
აქაც დამშვენდა თბილისი,
სამოთხის შესადარები.¹

თუ წინათ ფიზიკური შრომა სათაქილო საქმედ იყო მიჩნეული, ახლა მან სულ სხვა შინაარსი შეიძინა და დიდების, დაფახების, გმირობისა და მამაცობის საპატიო საქმედ იქნა აღიარებული:

წინათ მიწა სხვისი იყო,
მასზე გლეხი მუშაობდა,
ხოლო თავადი კი სჭამდა,
ის არასდროს არ შრომობდა.
თავადებს ეს წესი ჰქონდათ —
შრომას სთვლიდნენ სირცხვილად,
ვინც თავადი იშრომებდა,
არ ემაროდა სიცილად.
ახლა შრომას არავინ ხდის
სახაცილო სირცხვილად,
ვინც სინდისიერად შრომობს,
ის გამოდის დღეს გმირად.²

¹ სახალხო მთქმელები, კრებული I, თბილისი, 1956 წ., გვ. 87.

² ფოლკლორული ჩანაწერებიდან.



თანამედროვე ქართული ხალხური პოეზიის ამ ნიმუშში, რომელიც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებშია შექმნილი, ძველ და ახალ ეპოქათა დაპირისპირების ფონზეა ნაჩვენები შრომის პროცესი და დასკვნაც ლოკუტურადაა მოცემული. თუ ძველად გლეხი თავადის მიწაზე იყო მიჯაჭვული და მისი შრომის დოვლათსა და სიკეთეს უკანონოდ სხვა ითვისებდა, საბჭოთა ქვეყანაში, სადაც ერთხელ და სამუდამოდ ლიკვიდირებულია კერძო საკუთრება, ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაცია, კოლმეურნე გლეხობა პარმონიული კოლექტიური შრომის ფერხულშია ჩაბმული, მისთვის შრომა ბიოლოგიურ და მორალურ მოთხოვნილებადაა ქცეული.

სოციალიზმის დროს შრომა ყველა შრომისუნარიანი საბჭოთა მოქალაქის საყოველთაო ვალდებულებაა, — მას საფუძვლად უდევს პრინციპი: „ვინც არ მუშაობს, ის არ ჰყავს“. სწორედ ასეთ ასპექტში აქვს განხილული შრომა ავტორ-მთქმელ სიმონ გელაძეს:

**შრომა არის ყოველივე
ამ ქვეყნისა ცნება თელი,
ვინც არ შრომობს, იგი არის
მუქთახორა, ქვეყნის მტერი 3.**

მეფის ტირანიასთან მრავალგზის შეუპოვარ ბრძოლებში გამოწრთობილმა მუშათა კლასმა დიდი ლენინის ხელმძღვანელობით თავის სერიოზულ მოკავშირესთან — ღარიბი გლეხობის მასებთან ერთად ბოლო მოუღო სოციალურ უსამართლობაზე დამყარებულ, ხალხისათვის საძულველ მემამულურ-კაპიტალისტურ ხელისუფლებას. რევოლუციის შემდეგდროინდელ პერიოდშიც მუშათა კლასი ჰეგემონურ როლს ასრულებს და გლეხობასთან ერთად ენერგიული, თავდადებული შრომით აშენებს ახალ საზოგადოებას.

ახალი ყოფის ამსახველ ლექსში „საბჭოთა მუშას“, მთქმელი აქცენტს აკეთებს რა მუშათა კლასის რევოლუციურ დამსახურებასა და მათგანინებულ ძალაზე, ხოტბას ასხამს სიხარულისა და სიკეთის მომნიჭებელ სოციალისტურ შრომას:

**სულ სხვა ხმაზე დაწკრიანდეს
შენი ხელით გრდემლზე კვერი,
შენი ხელით ჩაუყარე
მშრომელთ ბინას საძირკველი.
გამოსჭედე ხალხის ბედი,
კაცს კაცობა მიანიჭე,
მჩაგვრელების შავხნელ ბუდეს
შეუპოვრად დააბიჯე.**

... ცეცხლის ალზე გამოსჭედე
ხალხის მტკიცე მეგობრობა,
მძლავრ დროსაზე დააწერე
მშრომელ ხალხთა ტკბილი შრომა.
შენ ლენინის წმინდა აზრით
გაიყოლე სოფლად გლეხი,
შეიტანე შუქი ბნელში,
მძარცვავ-მგლეჯთ დევიც მეხი.
... შენ ცხოვრებას ტკბილს და ლამაზს
შენი ხელით შენვე ქჷარგავ,
დოვლათსა ჰქმნი ვანუჯომელს
და შენს შრომას აღარ ჰჷარგავ.⁴

ანალოგიურ იდეურ და კომპოზიციურ ჩანაფიქრს შეიცავს ლექსი „გლეხის ღიღინი“.

**ჩენი მტკიცე კავშირით
გავამაგროთ ქვეყანა,
შრომის ოფლით გავებანოთ
შენ დაზგა და მე — ყანა.⁵**

ადამიანის წინეობრივ-ინტელექტუალური ფორმირების პროცესში ობიექტური სინამდვილისადმი მისი ეთიკური და ესთეტიკური დამოკიდებულების ჩამოყალიბების თვალსაზრისით შრომა, როგორც მიზანშეწონილი საწარმო-პრაქტიკული საქმიანობა, უდიდეს როლს თამაშობს. იგი ერთგვარ კრიტერიუმს წარმოადგენს, რომლის მიხედვითაც იზომება მოქალაქის სულიერი სახე; მისი ადამიანურ თვისებათა ავსარგინაობა. შრომის ერთგული ინდივიდი საბჭოთა ქვეყანაში საერთო-სახალხო სიყვარულითა და პატივისცემითაა გარემოში, იგი ყოველთვის ხალხურ მთქმელთა ქეზის ობიექტადაა ქცეული:

**შევიყვარებ ისეთ მუშას და კიდევაც
მეყვარება,
ვინც რომ შრომის ერთგულია და შრომა არ
ეჯარება.⁶**

ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის განხორციელებასთან ერთად სასოფლო-სამეურნეო წარმოების დრმა რევოლუციურ გარდაქმნებთან იყო დაკავშირებული სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია; კოლექტიური მეურნეობის მაღლი და ზარაქა, მისი მყავიო

⁴ ქართული ხალხური სიტყვიერება, ქრესტომათია, II, შედგენილი ქს. სიხარულიძის მიერ, თბილისი, 1961, გვ. 283-284.

⁵ მთქმელი დ. მომღერლიშვილი, ლიტმუხეუმი, 20012.

⁶ საკუთარი მასალებიდან. ავტორ-მთქმელი ა. გოგინაშვილი, ქ. სიღნაღი.

გიორგი შთთქმარი

სოციალისტური შრომის ჰეროიკა პარტიულ ხალხურ პოეზიაში

³ ალ. ლლონტი, გურული ფოლკლორი, თბილისი, 1937 წ, გვ. 19.

უპირატესობა ინდივიდუალურ, პრიმიტიულ გლეხურ მეურნეობებთან შედარებით, შეერთებული საკოლმეურნეო შრომის გიგანტური ძალა და გაქანება ხალხურ ავტორთა პოეტური აღტყინების საგანი გახდა:

**კარგია კოლექტივები,
საქმის კეთება ძმურია,
საერთო საქმე შრომაზე,
იქით მივირავ ყურია.⁷**

გულწრფელი ლირიკული პათოსით აცხადებს თიანელი კოლმეურნე ელიბო მინდო-დაური, ხოლო მახარაძელი მთქმელი კოლექტივიზაციის დამთავრების პერიოდში შექმნილ ლექსში — „კოლექტივის წვევებს“ თავის თანასოფლელებს საკოლმეურნეო მინდვრებისაყენ მოუწოდებს, რათა ნაკისრი ვალდებულებები პირნათლად, ვადაზე აღრე გაანაღდონ:

**ერთსოფლოვნად დევირაშმოთ,
შევასრულოთ გეგმა სრულად,
ყველამ ერთად შრომის ველზე,
არვინ დარჩეს უსაქმურად.⁸**

სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაცია, მისი აღჭურვა უმაღლესი ტექნიკით, სასოფლო-სამეურნეო მანქანებითა და ტრაქტორებით მხოლოდ მიწის დამუშავების მსხვილ საზოგადოებრივ გავრთიანებათა — კოლმეურნეობათა ბაზაზე იყო შესაძლებელი. ტრაქტორმა, რომელმაც ხის კავი და გუთანი შეცვალა, ლაღად გაიჭირითა საკოლმეურნეო მინდვრებში და მისი გუგუნი შრომის დიდებულ სიმფონიასავით გაისმა. ეს კიდევ ერთ-ერთი იმ ფაქტორთაგანი იყო, რომლის მეოხებითაც გლეხობა თვალნათლივ დარწმუნდა საკოლმეურნეო წყობილების, კოლექტიური შრომის ეფექტურობასა და სარგებლიანობაში. ხაშურის რაიონის სოფ. ვომის მცხოვრებნი ს. თვდიანიშვილი სხვადასხვა მხატვრულ-რეალისტური შტრიხის მოშველებით საუცხოო პიმნს უგალობს საკოლმეურნეო მინდვრებში „რკინის ხარის“ გამოჩენას; მთქმელის სიტყვით, წინათ ჩავრულ-ლატაკ გლეხობას ტრაქტორი ხსნად მოველინა და ძირფესვიანად შეცვალა მათი ცხოვრება:

**ტრაქტორო, შენი ჭირიმე,
რომ ძლიერი ხარ ღონითა,
არც თივა-ქერი გჭირდება
და არც ბალახი მოვნითა.**

⁷ ფშავ-ხევსურული პოეზია, შედგენილი ივ. ხორნაულის მიერ, თბილისი 1949 წ., გვ. 30.

⁸ ჩამწერი ა. აღონტი, მახარაძის რ., ს. ბახვი, 15. 8. 1936 წ.

**ტრაქტორო, რკინის ლაბა ხარ,
დაუღალავი შრომითა.
... მიდიხარ, როგორც დევგმირი,
წინ დაგიდგება ვერაო,
შენი ჭირიმე შენია,
ფეხზე დამიდვი კერაო.
ნიკოლოზის დროს შენს თავსა
ვინ გვაღირსებდა ჩვენაო!
მათ მხოლოდ ცემა შეეძლოთ,
არსაით გვექონდა შეველო,
ესლა კი სოფლად შეიქერ,
კოლექტივებში შენაო,
და ღარიბ-ტანჯულ გლეხებსა
მოგვეცა ტანჯვის შეველაო.⁹**

სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში ხელის დამაქანველი შრომიდან მანქანურ შრომაზე გადასვლასთან დაკავშირებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კომბაინს, რომელმაც ხმარებიდან გამოდევნა პრიმიტიული სამკალი იარაღი — ნამგალი. გამოჩნდნენ მოწინავე კომბაინერები და მათი დაუზარელი გარჯა და ღვაწლი სახალხო მთქმელთა ლექსებში იქნა ამტყველებული. ახმეტის რაიონის სოფ. საკომბაინოს მცხოვრები გაბრიელ გარაშვილი ცოცხალი, პლასტიკური სტილით, უაღრესად კონკრეტული ფერწერული დეტალებით უშუალოდ მკის პროცესში გვიჩვენებს საკოლმეურნეო ცხოვრების ავანგარდში მყოფი კომბაინერის შრომით პორტრეტს:

**იცოცხლე, კომბაინერო,
ხელში გიჭირავ შტურვალი,
ყანაში ხომალდს აცურებ,
ღღებები გიყვარს ცხუნვარო,
დასწაფებხარ შრომასა,
კაცი რო წყალსა მწყურვალი.
იგსება ჩქარა-ჩქარადა
შენი ბუნკერი პურისა,
კომბაინისა გუგუნო
საამო არის ყურისა,
რაც მეტსა მომკი, მით უფრო
მეტის მომკავე გწყურისა,
ჭირიმე შენი მკლავების,
საშრომლად გაწაფულისა.¹⁰**

ახალი ტიპის საზოგადოების — სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის მეთოდს, თავისუფალ, შემოქმედებით შრომაში მშრომელთა ფართო მასების ჩაბმის უმნიშვნელოვანეს საშუალებას სოციალისტური შეჯიბრება წარმოადგენს. ჩვენი ქვეყნის მშრომელები უდიდესი შრომითი ენთუზიაზმით გამოეხმაურ-

⁹ საუნჯე, ტ. II, ტფილისი, 1936, გვ. 25.

¹⁰ საკუთარი მასალებიდან.

ნენ პარტიის მოწოდებას სოციალისტური შეჯიბრების ვაშლის შესახებ და ყველგან თავდადებული მუშაობის მჭერმეტყველური მაგალითები აჩვენეს. ბათუმის რაიონის სოფ. მახოს მცხოვრები სულემან ბერიძე ლექსში „სიხარულით შევეგებე“ ატყუებით მიმართავს უკრაინელ მეგობარს, რომელიც მან სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია, ხოლო მათი ორმხრივი, საურთიერთო გამარჯვება გულისხმობს კეთილშობილურ მიზანს — საერთო-სახალხო საქმის შემდგომ წინსვლასა და წარმატებებს:

შეჯიბრში გამოვიწვიო
უკრაინელი ვაჟკაცი,
დავტკბით ნაშრომის სიუხვით,
ბელელი ხვავით ავაჯეთ.¹²

ოქტომბრის რევოლუციამ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა უბანზე ქალს მამაკაცის თანაბარი უფლება მიანიჭა. შრომის ფრონტის სხვადასხვა პროფესიის მუშაკთა შორის ქალები მამაკაცებთან ერთად იღვწიან. ქალი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში აქტიურ მონაწილეობას ღებულობს, იგი არის ტრაქტორისტი, კომბაინერი და ა. შ. ამ ფაქტმა საბჭოთა პერიოდის ხალხურ ზეპირსიტყვიერებაშიც პოვა გამოხატულება. ამის ერთერთ საილუსტრაციო არგუმენტს წარმოადგენს ლექსი „სიმიდრა კალოზა“.

ადარ გვჯირდება სალევად,
ადარც მზე, ადარც ქარია,
მანქანას მართავს, პურს ლეწავს
სტახანოველი ქალია.¹³

ჩვენმა ქვეყანამ ხალხის უმაგალითო გმირული შრომით მოიწუშა დიდი სამაშულო ომისაგან მიეცნებული ჭრილობები და როგორც აზრწველობაში, ისე სოფლის მეურნეობაში ახალი სერისოული წარმატებები მოიპოვა. ომის შემდგომი პერიოდის საქართველოს ისტორიაში უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იყო სამგორის სარწყავი სისტემის აშენება. ამ მსხვილი მასშტაბის საირიგაციო ნაგებობის თემაზე შეიქმნა სახალხო მთქმელთა ლექსების მთელი ციკლი, სადაც საბჭოთა ადამიანის მაღალითმოსილი, ყოვლისმძლეველი მარჯვენა, საბჭოთა ხალხის გოლიათური შემართება და უშრეტო ტიტანური ძალა განდიდებული. ს. ქარუნაშვილის მეტაფორული სახეებით მდიდარ პოეტურ ნაწარმოებში, რომელიც ტრადიციული ხალხური პოეზიის კილო-

ზე ვალექსილი, ემოციურად, მაღალი ინტონაციით გაისმის ადამიანის შრომითი დიდებულ სამგორთან. ყურადღებას იქცევს მტკიცე რწმენა, — ეს დიალოგი ადამიანის უიშველი გამარჯვებით დავგვიგინდება!

სამგორო, გვინდა შენს მკერდსა
გადავატაროთ კვალია,
საუკუნობით მწყურვალსა
დაგაღვიწიო წყალია.
შენს მკერდსა — ყამირ მიწასა
ღრმად უნდა დავკრათ ბარია.
სიცხით გადამწვარ შენს უბეს
დავასხათ ივრის წყალია.¹⁴

შეერთებული შრომა მთებს სძრავს, ადამიანის ურყევ ნებას ქვეყნად ყველაფერი ემორჩილება. რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მწყობრში ჩადგომა, ისევე როგორც სამგორის საირიგაციო კომპლექსის აგება, ალალი ოფლისა და გარჯის ზეიმისა და ლაღადის ნიშნავს. გაბრიელ გარაშვილმა შინაგანი რომანტიკული ექსპრესიით აღსავეს ვალექსილი წერილი გაუზგავნა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მოწინავე მეფოლადე — ძამაშვილს. წარმოების ნოვატორი, ბრძმელის მოგიზიფე ალთან ამაყად შერკინებული, მაღალი შრომითი მაჩვენებლების მქონე ვაჟკაცის საქმენი სასახელონი იქცა იმ შემოქმედებით სტიმულად, რამაც საკოაბიანოელ კოლმეურნეს ხელში კალამი ააღებინა:

შორს გავარდება მალევე
კარგი სახელი ყოველი,
შენ, ძამაშვილო, ვაჟკაცო,
ხარ მეფოლადე მდნობელი.
მეც მიწა, მთიელ ვაჟკაცმა
გულით გახსენო ქებათა,
გამოგვიგავნი წერილსა
მთების არწივის ფრთებითა,
მიწა, რომ ხმები გესმოდეს
კავკასიონის მთებითა...¹⁵

სოციალისტური შრომის ტრიუმფი, საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი გენიის ახალი, მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის უდავო გამარჯვებაა დედამიწის ხელოვნური თანამგზავრების, საპლანეტაშორისო რაკეტების, ადამიანის მიერ პილოტირებული კოსმოსური ხომალდების გაფრენათა განხორციელება:

13 ჩამწერი ი. ლონგიშვილი, ფ. არქ. კ. 24, გვ. 69.

14 საკუთარი მასალებიდან.

11 აუარის ზეპირსიტყვიერება, ბათუმი, 1959, გვ. 92.

12 მთქმელი ვ. მაისურაძე, ჩამწერი ნ. კაკუშაძე.

გიორგი შთიქაპური

სოციალისტური შრომის ჰეროიკა
პაროულ ხალხურ კოზნიკაში



დაუკარ, ჩემო ჩონგურო,
კობტათ ავაწუეო,
ჩაუქრობელ შუქით ბრწყინავს
ჩვენი ქვეყნის მზეო.
... გაავფრინეთ რაკეტები,
მიდის მთვარეზეო.¹⁶

შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთების აღზრდა და შრომის კომუნისტური ორგანიზაცია პროლეტარიატის დიქტატურის პერიოდში აუცილებელ სახელმწიფოებრივ ფაქტორებს წარმოადგენს. ლენინი მიუთითებდა, რომ ყველა შრომითი ჩვევისა თუ ზნე-ჩვეულების გარდაქმნა ხანგრძლივ პროცესს მოიცავს და მოითხოვდა, რომ „თანდათან, მაგრამ განუხრელად შემოვიღოთ კომუნისტური დისციპლინა და კომუნისტური შრომა“.¹⁷

საბჭოთა ქვეყანაში შრომის სხვადასხვა სფეროში დასაქმებულ, პატიოსნად და თავდადებულად მომუშავე ადამიანთა გვერდით, სამწუხაროდ, აქა-იქ ჯერ კიდევ მოიპოვებიან დაუდევარი, შეუგნებელი და ხორცმეტი ელემენტები.

სახალხო მთქმელები თავიანთი მაღალიდგური სატიარული ნაწარმოებებით დაუწდობლად გამოგნ და მთელი პირდაპირობით ააშკარავენ ბენ მცონარა, არაკეთილსინდისიერ, საზოგადოებრივი შრომისაგან განზე გამდგარ ვაი-ადამიანებს, რომლებიც პარაზიტული ცხოვრებით არიან გატაცებული. ამ წერილში მოხსენიებული ნიჭიერი ხალხური ავტორი ვაბრიელ ვარაშვილი მკვეთრი სარკასტული შტრიხებით სამარცხვინო ბოძზე ავრავს ტრაგიკომიკურ სიტუაციაში მოქცეულ ზანტ, ზარმაც, საკოლმეურნეო სამუშაოებისადმი ცინიზმით შეპყრობილ ურცხვ პიროვნებას. ლექსის ფინალი დიდაქტიკური მოტივებით ხასიათდება:

როდემდინარა იწევბი,
არ თუ მოგწყინდა ჩრდილშია,
ხან ჩარდახების ქვეშ გძინავ,
ხან კიდევ ხეთა ძირშია.
მთხნენლის მღერა-კიენია
არ თუ გეზმანვის ძილშია.
რაც არ გეკუთვნის, იმ ლუქმას
როგორ ჩაიდებ პირშია.
ტყუილად რაიხად გინდან
შენი მკლავნი და კუნთები,
ძვირია სამშობლოსადა
მუქთად დაკარგულ წუთები,
კარგ შრომით მოდის გმირობა
და იკიცხება ცუდები,

შენ კი ზარმაცობ ვეჯაცო,
მთელი დღე წოლას უნდები,
პირქვე წოლას რომ მიიწყენ,
გულაღმა გადაბრუნდები...
ჰა, ადექ, გვერდში მოგვიდექ,
მაგრად დაჰკარი ხელია,
ნუ გეშინიან, ძმობილო,
შრომა არ არის ძნელია,
მაღლი აქვს, როცა ეს მიწა
ჩვენი ოფლითაც სველია,
ლუქმაც ტბილია, ძმობამა,
დაუყვედრები მერეა.¹⁸

ზარმაცი, უქნარა ინდივიდები, შრომისადმი არასოციალისტური დამოკიდებულება გაკიცხული სხვა მთქმელთა ზოგიერთ პოეტურ ნიმუშშიც. ასეთი კატეგორიის ერთ-ერთი ლექსი მხოლოდ საკუთარი ოფლის მაღლით სარგებლობას მოითხოვს და ამ წესისაგან გადახვევის წინააღმდეგ მკაცრ გაფრთხილებას იძლევა:

მუდამ ჰამეთ თქვენი ოფლი,
საერთოს არ ახლოთ ხელი.¹⁹

აქ განხილული სოციალისტური შრომის პეროიკის ამსახველი ლექსები, რომლებიც უშუალოდ სახალხო მთქმელთა რეპერტუარს განეკუთვნება, ქართული ხალხური საბჭოთა პოეზიის ორგანულ ნაწილს შეადგენს და საკმაო რაოდენობით შეიცავს თანამედროვე ფოლკლორულ პროცესებს. ეს პროცესები კი, როგორც ხალხური პოეტური კულტურის თვალსაჩინო და საინტერესო მოვლენები თანამედროვე ეტაპზე, გულისხმობს თვით ხალხის შეგნებაში, მის მატერიალურ და სულიერ ცხოვრებაში მომხდარ ძვრებსა და ცვლილებებს, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური წყობილების არსებობით არის გაპირობებული.

„საბჭოთა ფოლკლორის ნაწარმოებებმა, — წერს ვ. დომანოვსკი, — მოიტანეს რევოლუციამდელი ფოლკლორისათვის უცნობი თემები, სახეები, ცხოვრების სოციალისტური ვარდაქმნებისა და სახალხო პეროიკის პათოსი. საბჭოთა სინამდვილემ გაამდიდრა ფოლკლორის შინაარსი და აამღლა მისი პოლიტიკური და სოციალური ფერადობა“.²⁰ ავტორის სიტყვებით, „საბჭოთა ფოლკლორის ნაწარმოებები გადაიქცნენ მახვილ იდეოლოგიურ იარაღად და ავტაცისა და მასების აღზრდის დიდმნიშვნელოვან საშუალებად“.²¹

17 ვაზ. „კომუნისტი“, 1962 წ. 2 თებერვალი.

18 მთქ. ილო ბენაშვილი, ვაზ. „კომუნისტი“, 1963 წ. № 16.

19 Советский фольклор, Ленинград, 1967, стр. 9.

20 იქვე.

15 მთქმელი ნ. თვალაშვილი, სოფ. ოჭიო, ახმეტის რ-ნი, ფ. არქ. კ. 26, გვ. 201.

16 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 31, გვ. 139.

ჩვენ სავსებით ვიზიარებთ მკვლევარის შეხედულებას საბჭოთა ფოლკლორის თავისებური შინაარსისა და სპეციფიკური ნიშნების შესახებ. ყოველივე ეს კანონზომიერად მიიჩნევა აქ გაანალიზებულ პოეტურ ნიმუშთა მიმართაც. სოციალისტური შრომის მოტივებზე აგებული ლექსები, მართალია, ძირითადად ფორმის, კერძოდ, პოეტური და სტილისტიკური ატრიბუტების მიხედვით მრავალ შემთხვევაში შექმნილია კლასიკური ფოლკლორის ტრადიციებზე, მაგრამ შინაარსის, თემატიკის, იდეური გააზრების მიხედვით ისინი ხალხურ წყობილისტიკური შემოქმედებაში სრულიად ახალ მხატვრულ ფაქტად გვევლინება. თანამედროვე ფოლკლორულ პროცესთა თვალსაზრისით აქ საინტერესოა კოლექტიურ და ინდივიდუალურ საწყისთა გარკვეული ურთიერთშეხამება, ფოლკლორისა და ლიტერატურის ურთიერთგავლენების მკაფიო კვალი. და

სხვ. აღსანიშნავია, რომ ამ ტიპის ნაწარმოებთათვის მინიმუმამდეა დაყვანილი ტულობა, ანონიმურობა, გავრცელებული ტრადიცია. ამ ნაშრომში გამოყენებულ თითქმის ყველა პოეტურ ტექსტს ჰყავს ავტორი, მათს გავრცელება-პოპულარიზაციაში დიდ როლს ასრულებენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი — პრესა, რადიო, ტელევიზია, აგრეთვე მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივები, ესტრადა და ა. შ.

ეს ფოლკლორულ-წყობილისტიკური ტექსტები დღეს ლოგიკურად და შემოქმედებითად აგრძელებენ ადრინდელი პერიოდის სოციალისტური შრომის პეროიკის შემცველ ხალხური პოეზიის საუკეთესო ტრადიციებს და თანამედროვე საბჭოთა ქართული პოეტური ფოლკლორის რეპერტუარს მრავალი მაღალ-მხატვრული ნაწარმოებით ამდიდრებენ.



ელგუჯა ხინთიბიძე

«ვეფხისტყაოსნის» კრონოსი

ამას წინათ „მნათობისა“ და „ცისკარის“ ფურცლებზე საინტერესო პოლემიკა გაიშალა დივოსოსისა და კრონოსის თაობაზე „ვეფხისტყაოსანში“ (დიმიტრი ქუშისიშვილი, ვეფხისტყაოსანში „დიონისის“ და „დიენოსის“ საკითხისათვის; „მნათობი“ № 8, 1969, გვ. 158—169. ზურაბიკიანაძე, დიონისესა და კრონოსის გამო „ვეფხისტყაოსანში“; „ცისკარი“, № 11, 1969, გვ. 119—122).

ეს პოლემიკა მიმდინარე წელსაც ვაგრძელებდა (დიმიტრი ქუშისიშვილი, შენიშვნები ზ. კიკნაძის წერილს გამო; „ცისკარი“, № 2, 1970, გვ. 142—148). თუ დივოსოსის ენაობაზე მკვლევარებმა სხვადასხვა თვალსაზრისი განავითარეს, კრონოსზე მათი აზრი ერთმანეთს დაემთხვა. ორივეს აზრით, „ვეფხისტყაოსანში“ ნახსენები კრონოსი ბერძნული მითოლოგიის ღმერთი კრონოსია, თუმცა მკვლევარები სხვადასხვაგვარად განმარტავენ პოემის შესაბამის ადგილს. ვფიქრობთ, ეს საერთო აზრი მართებული არ უნდა იყოს.

როგორც ცნობილია, — კრონოსი ბერძნული სახელია მითოლოგიური ღმერთის, ურანოსისა და გეას შვილის, უმცროსი ტიტანისა.

კრონოსი თავდაპირველად მიწათმოქმედების ღმერთი უნდა ყოფილიყო (სახელი კრონოსი ეტიმოლოგიურად უკავშირდება ზმნას კრანო, კრანო — ვამწიფებ); რომელზემაც იგი გააიგივეს თესვის იტალიურ ღმერთთან სატურნუსთან, ამიტომაც ბერძნული კრონოსის იტალიური სახელია სატურნუსი.

შენიშნულია, რომ ხალხური ღვთაებები ადვილად შეიძლება გადააზრებულ იქნან ასტროლოგიურ მნათობებად;¹ და როგორც ბერძნუ-

ლი კრონოსი, ასევე ლათინური სატურნუსი არ არის მხოლოდ მითოლოგიური ღმერთის სახელი. ბერძნულად კრონოსი და ლათინურად სატურნუსი ეწოდება ერთ-ერთ უშორეს და უდიდეს პლანეტას სატურსს.

სატურნი მზის სისტემის ცხრა პლანეტას შორის იუპიტერის შემდეგ ყველაზე დიდია. იგი ძველი ადამიანისათვის ცნობილ პლანეტათაგან უშორესი იყო (დღეს აღმოჩენილია ვაცილებით უფრო შორეული პლანეტები: ურანოსი, ნეპტუნი და პლუტონი). სატურნი არის ერთადერთი პლანეტა, რომელიც მხოლოდ სფეროსებურ მასას კი არ წარმოადგენს, არამედ მას სფეროს ირგვლივ ვეებერთელა მოკაშკაშე ბრტყელი რგოლი აქვს შემოვლებული.

რატომ დაუკავშირეს ბერძნებმა ერთმანეთს პლანეტა კრონოსის და ღმერთ კრონოსის სახელი? ამ კითხვაზე ამომწურავი პასუხის გაცემა ადვილი არ არის; მით უფრო, რომ ძველი ბერძნული ასტროლოგიური ტექსტები მნათობ კრონოსის ეტიმოლოგიას უკავშირებენ ბერძნულ სიტყვას ხრონოს (დრო, დაყოვნება)². მითოლოგიურ და ასტრონომიულ კრონოსს შორის მიმართების თუნდაც არასრული გათვალისწინება შესაძლებელია მხოლოდ იმ წარმოდგენებზე დაყრდნობით, რომლებიც ძველ ადამიანებს ჰქონდათ ზეციურ სამყაროზე და ერთიანდებოდა დღეისათვის უკვე მკვლარ მეცნიერებაში — ასტროლოგიაში.

ასტროლოგია დღევანდელი ასტრონომიისაგან განსხვავებით არ იყო მეცნიერება მხოლოდ ზეციურ სამყაროზე. იგი ზეციური და ამქვეყნიური ცხოვრების ყოველ დეტალს ერთიანად განიხილავდა, ერთმანეთზე დამოკიდებულად თვლიდა და წინასწარმეტყველებდა ცალკეული პირადებებისა და მთლიანად კაცობრიობის

¹ ა. ბ. შუბლეკლერკი, ბერძნული ასტროლოგია, 1899, პარიზი, გვ. 312 (ფრანგ. ენაზე).

² იქვე, გვ. 30, 94, 314, 412.

ბედს ზეციურ მნათობთა განლაგებაზე დაკვირ-
ვებით. ასტროლოგია თავდაპირველად უძველესი
აღმოსავლეთის ხალხების, კერძოდ, ქალდევე-
ლების, რელიგია უნდა ყოფილიყო. აქედან იგი
ეგვიპტეში და ანტიკურ საბერძნეთში გადავიდა,
საბერძნეთიდან კი რომში. ქრისტიანულ ეპოქა-
ში მან თანდათანობით დაკარგა რელიგიური
ბა და რომიდან ბიზანტიაში გავრცელდა, რო-
გორც მეცნიერება. ბიზანტიიდან ასტროლოგია
არაბეთში გადავიდა. მთელი ძალით აღდგა იგი
აღორძინების ხანაში და თვით XVII საუკუნემდე
დასავლეთით აღიარებულ სარგებლობდა. კო-
პერნიკის, ჯორდანო ბრუნოს და გალილეო გა-
ლილეის აღმოჩენებმა ასტროლოგიას, როგორც
მოდერნობას, ყოველგვარი საფუძველი გამოაცა-
ლეს. ქართულ სინამდვილეში ასტროლოგიური
შეხედულებები პოპულარული იყო. საქართვე-
ლოში ასტროლოგია ვრცელდებოდა, ერთი
მხრივ, არაბებიდან და, მეორე მხრივ, ბიზან-
ტიიდან.

ასტროლოგიური შეხედულებებით ზეციურ
სამყაროში შვიდი მნათობი (ეთომილი) მოძ-
რაობდა: მზე, მთვარე, იუპიტერი, ვენერა, მარ-
სი, სატურნი. მეტეორი. ამ ეთომილთა მოძრა-
ობის არე ციურ თაღზე თორმეტ ნაწილად იყო
დაყოფილი. ამ ნაწილებს ზოდიაქო, ბურჯი, ან
ეტლი ეწოდება. ბურჯებში ეთომილთა განლა-
გების სხვადასხვა ვარიანტი ასტროლოგებს ამ-
ლევდა მასალას მკითხაობისათვის.

ამ თორმეტ ბურჯში მოძრავ შვიდ მნათობში
ასტროლოგია თავიდანვე ღვთაებრივ ძალებს
ხედავდა. ძველი ქალდეველების რწმენით მნა-
თობები თვითონ წარმოადგენდნენ ღმერთებს.
ამებრ შეხედულებას განაპირობებდა ის, რომ
ეს შვიდი მნათობი სულიერ ძალებად ჩანდა:
ჭერ ერთი, ისინი სხვადასხვა დროს სხვადასხვა
ინტენსიობის და სხვადასხვა ფერის შუქით ციმ-
ციმებდნენ; მეორეც, უძრავ ვარსკვლავთა ფონ-
ზე ისინი მოძრაობდნენ, ადგილს იცვლიდნენ.
და აი, ბერძნებმა ასტროლოგიური მნათობებისა
და ღმერთების სახელები ერთმანეთს დაუკავში-
რეს: სატურს კრონიოსი უწოდეს; მეტეორს
— ჰერმესი (მეტეორიუსი ბერძენთა ჰერმეს-
ღმერთის შესატყვისი რომაული ღვთაება);
მარსს—არესი (მარსი არესის შესატყვისია რო-
მაულ მითოლოგიაში); იუპიტერს—ვესი (იუ-
პიტერი ზეცის შესატყვისი რომაული ღვთაება);
ვენერას—ფროდიტე (ვენერა ბერძნული
აფროდიტეს ლათინური შესატყვისია). თვით
მთვარის ბერძნული სახელი სელენე ბერძნულ
მითოლოგიით მთვარის ქალღმერთია. შემდეგ
ქალღმერთი სელენე გაივრცელდა იქნა მთვარის
ქალღმერთ არტემიდესთან (მისი რომა-
ული შესატყვისია დიანა). ასევე, მზის ბერძნუ-
ლი სახელი ჰელიოსი უკავშირდება მზის
ღმერთს ჰელიოსს, რომელიც ბერძნული მითო-
ლოგიით სელენეს ძმაა. შემდეგ ღმერთი ჰელი-

ოსი გაივრცელდა ბერძნულ-რომაული სამყაროს
მზის ღმერთ აპოლონთან. ასტროლოგია ფა-
აგრძელა პლანეტებისადმი ბერძნულ მითოლო-
გიის ღმერთთა სახელების მინიჭებისასტროლო-
გიური ტრადიცია: 1781 წელს უილიამ ჰერშელის
მიერ აღმოჩენილი იქნა მზის სისტემის ახა-
ლი პლანეტა, რომელსაც თანდათანობით დაუმ-
კვიდრდა ბერძნული მითოლოგიის უძველესი
ღმერთის, კრონოსის მამის ურანოსის სახე-
ლი. ამას მოჰყვა მზიდან რიგით მეორე და მე-
ცხრე პლანეტების აღმოჩენა, რომლებსაც შე-
საბამისად უწოდეს ნეპტუნი (ნეპტუნი
— რომაული მითოლოგიით ზღვის ღმერთი);
ბერძნულ მითოლოგიაში მას ჰესპერამბა პო-
სეიდონი და პლუტონი (ბერძნული მი-
თოლოგიის მიწისქვეშეთის ღმერთი, საიქიოს
მბრძანებელი, ზეცის ძმა).

რატომ უნდა დაკავშირებოდა ღმერთ კრონო-
სის სახელი მაინცადამაინც პლანეტა სატურს?
სატურნი შეუფარადეველი თვალით ჩანს სხვა
დიდი ვარსკვლავების ტოლად, მხოლოდ ბევრად
უფრო ნაკლებად კაშკაშებს ვიდრე ვენერა, იუ-
პიტერი, მარსი და მეტეორი. მისი სინათლე
მჭრტალი და ბუნდოვანია. იგი ციურ თაღზე ყვე-
ლა პლანეტაზე უფრო ნელა და თითქოს ზოგნა-
გურად მოძრაობს. ეს გარემოება, ერთი მხრივ,
მისი სიმძიმისა და უხეშობის მანიწნებელიც
იყო. მეორე მხრივ კი, იმის გამო, რომ სატურნი
მოთავსებული იყო სამყაროს უმაღლეს ნაწილ-
ში და ნელა მოძრაობდა, მასში სიმსუბუქესა
და სათნოებას ხედავდნენ და ცეცხლის ბუნებას
შეიცხადებდნენ. ამიტომაც ძველი ადამიანები სა-
ტურს დაბერებულ, გაცივებულ და შენეულ-
ბულ მზედ მიიჩნევდნენ და ხილული სამყაროს
ამ საკვირველებს ზოგჯერ ღამის მზეს უწოდებ-
დნენ. პტოლომემ ორი თვისებით მოიაზრა სა-
ტურნის მიმდებარე ასტროლოგიური ბუნება: სიცი-
ვითა და სიმშრალით. მისი აზრით, სატურნი ცი-
ვი იყო, რამდენადაც დაშორებული იყო მზისა-
გან და მშრალი რამდენადაც — დედამიწისაგან.
ამ თვისებებმა განაპირობეს ის, რომ სატურს
სახადდნენ გონიერ, ფრთხილ, უხეშ და მოწყუ-
ნილ მოხუცად, რომელშიაც ინტელექტუალური
მონაცემები ბატონობდა ფიზიკურ შესაძლებ-
ლობებზე. მას პლანეტური სამყაროს ტვინად
თვლიდნენ და დიდ, უბედურ მნათობად, ავის
მაუწყებელ ეთომილად მიიჩნევდნენ სატურნი
ყველა ნიშნით დამოხილ ღმერთს მიაგავდა,
რომელიც თითქოსდა ტყვეობაში იმყოფებოდა.
ეს შთაბეჭდილობა იმდენად სარწმუნო იყო,
რომ, ასტროლოგების სისტემატური კურსის ერთ-

1 ა. ბ. უ. ე. ლ. კ. ბერძნული ასტრო-
ლოგია, გვ. 93—95.

მეზუჯჯა ხინთიზიმი
„მეზუხინტაქონინი“ კონონი

ერთი ფუძემდებლის კ. ფლამარიონის ცნობით, ვიქტორ პიუგოს 1879 წელს მასთან პირად საუბარში დარწმუნებით უთქვამს, რომ სატურნი სხვა არაფერი შეიძლება იყოს, თუ არა საპურობილე, ან ქვესენელი. ვიქტორ პიუგო ამ დასკვნამდე, ალბათ, იმ გარემოებაზე მიიყვანა, რომ XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან უკვე დაბეჭდილებით იცოდნენ, რომ სატურნი უცნაური პლანეტაა, რომელსაც ირგველი სალტისებურად ვეებერთელა ორი რგოლი აკრავს².

მაგრამ იცოდნენ კი სატურნის ამგვარი მოხაზულობის შესახებ ძველმა ბერძნებმა, როდესაც მასში დატყვევებული ღმერთი შეიცნეს? ანდა იცოდა რუსთველმა, რომ სატურნი მთვარესავით მოგვალი მოკაშკაშე პლანეტაა, რომელსაც ასეთივე მოკაშკაშე ბრტყელი, სალტე აკრავს გარს, როდესაც სატურნი კიდობანში ჩაშვებულ მთვარეს ამსგავსებდა? ამ კითხვებზე პასუხის გაცემისაგან დღევანდელი ცოდნის დონეზე თავი უნდა შევიკავოთ.

მამასადამე, ბერძნულ საკუთარ სახელს კრო-

¹ К. Фламмарион, Живописная астрономия, С.-П., 1897, гл. 447—448.

² სატურნის მნათობელი რგოლების კვალი ბუნდოვნად ორი პატარა მნათობის სახით პირველად სპეციალური ასტრონომიული ხელსაწყოებით მე-17 საუკუნის დასაწყისში ვალილოვ გალილეომ შენიშნა. მაგრამ მისთვის სატურნის საიდუმლოება გაუხსნელი დარჩა. ამოდ მუშაობდა ამ იდუმალების ამხსნაზე კეპლერი. პირველი სურათი სატურნისა მისი მნათობელი რგოლებით გადაიღო ასტრონომმა პიუიგენსმა 1657 წელს.

³ ფრიდონი უყვება ტარიელს, თუ როგორ იხილა ერთგუნის ნესტანი ზღვაში:

„ზღვასა შიგან ცოტა რამე
დავინახე, თუცა შორსა“ (627)
„უთქვი: „რა არის, რას ვამსგავსო?
მფრინველია, ანუ მხეცი“.
ნავი იყო, გარ ეაფრა
სამოსელი მრავალ-კეცი;
წინა კაცნი მოზიდვიდეს;
თვალი ამაღ დავაცეცი,
მთვარე უჭდა კიდობანსა,
ცა მეშვიდე მასმცა ვეცი“ (628).

ფრიდონი ნახულ სურათს კიდობანში მჭდარ მთვარეს ადარებს და სატურნს ამსგავსებს (მეშვიდე ცა ტრადიციული ასტროლოგიური შეხედულებებით სატურნის ცაა). შედარება ძალზე უცნაურია: ნაენი ჩაშვებული მთვარე მიმსგავსებულია სატურნს. როგორც აღვნიშნეთ, სატურნს ირგვლივ ვეებერთელა მნათობელი რგოლი აქვს შემოვლებული და როცა ეს მნათობელი რგოლი მთელი სიბრტყით ჩანს, მნათობი მართლაც სასწაულებრივ გავს ნაენი ჩაშვებულ საესე მთვარეს.

ნოსს ორი მნიშვნელობა აქვს: მითოლოგიაში — ღმერთი-ტიტანი, ზევსის მამა და ასტროლოგიაში — პლანეტა სატურნი.

კრონოსს ასხენებს რუსთველი პოეტის მიერ სტროფში:

„მაშინ ქაჯეთს მოიწია უსაზომო რისხვა
ღმრთისა:
კრონოსს, წყრომით შეხედულმან, მოიშორვა,
სიტკბო მზისა;
მათე რისხვით გარდაბრუნდა ბორბალი და
სიმგრგველ ცისა,
ველნი მკედართა ვერ იტევდეს, გადაიდა
ჭარი მკედრისა“¹.

ამ სტროფში დამოწმებული კრონოსი სპეციალურ რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში ტრადიციულად პლანეტადაა მიჩნეული. სხვა აზრი „ვეფხისტყაოსნის“ კრონოსის რაობაზე დეტალში აღნიშნულია და ზ. კვიციანი შემოთავაზებული წერილებში ჩამოყალიბებული. მათი აზრით, პოემისეული კრონოსი ბერძნული მითოლოგიის ღმერთ კრონოსს უნდა გულისხმობდეს. მაგრამ ამ ახალი მოსაზრების დასაბუთებლად წარმოადგინელი არგუმენტაცია არაა დამარწმუნებელი, თითო კონტექსტში არასწორადაა გაგებული და ეს ახალი თვალსაზრისი დამყარებულია ძველი ქართული მწერლობის ძველთა არასწორად განმარტებულ ადგილებზე.

იმის დასამტყებლად, რომ კრონოსი ამ სტროფში არ უნდა იყოს პლანეტა, მოყვანილია ორი საბუთი:

1. „ვარსკვლავ სატურნოსის აღმნიშვნელად რუსთველი სიტყვა კრონოსს კი არ ხმარობს, არამედ — ზუალს“ („მნათობი“, გვ. 168). მართლაც, პოემაში სატურნი სხვა შემთხვევებში არაბული სახელით — ზუალით მოიხსენიება (959, 1; 965, 2; 1420, 2). მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ რუსთველს არ შეეძლო მისთვის კრონოსი ეწოდებინა; რამდენადაც ქართული ლიტერატურის ძეგლებში მნათობ სატურნს ხან არაბული სახელი ზუალი ეწოდება და ხან ბერძნული სახელი კრონოსი. ზოგჯერ კიდევ ორივე ერთად. ასე მაგალითად, ერთ ასტროლოგიურ საკითხავში, სადაც თითოეული მნათობი ორი სახელით — ქართულით და არაბულით არის სახელდებული, ვკითხულობთ: „კრონოს ზოპალ ეტლი თავის სიარულს ზოდიქოს კრკალზედ გაათავებს...“² უფრო მეტიც, სახელი კრონოსი ქართულ სინამდვილეში უფრო პოპულარული იყო; იქამდე, რომ სულხან-საბა მას პლანეტა

¹ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტს ყველა შემთხვევაში ვიმოწმებთ აკ. შანიძისა და ალ. ბარამიძის 1966 წლის გამოცემით.

² Q — 338, ფრ. 25.

სატრონის ქართულ სახელად თვლის.1 სულხან-საბას აზრი რომ ქვეშეაჩრია, ავას ადასტურებს ერთ ასტროლოგიური ხელნაწერიც, რომელშიც ვკითხულობთ: „ამ ზოალს ქართულად კრონოს ქვიან“2

კლასიკური პერიოდის ქართული ლიტერატურის ძველში საგნებით შესაძლებელი იყო, რომ მნათობი სატრონი მოხსენებული ყოფილიყო ხან კრონოსად და ხან ზუალად. ამის ნივთიერ საბუთს „თამარიანი“ წარმოადგენს. მოვიტანთ მხოლოდ ორიოდ მაგალითს:3

„ღაწეი მწყაზარი — ა, მულღაზარი,
უგავს ელობა კრონოს ციერსა“ (შეს., 10).
„რადგანცა დახვალ, რადგან ცალ ახვალ
ზუალი, ეტლი, მთვარე მცებარე (V, 8).

2. დ. ქუმსიწვილის აზრით, კრონოსი „ვეფხისტყაოსნის“ ზემოთმოყვანილ სტროფში იმიტომაც არ უნდა ნიშნავდეს პლანეტას, რომ „იგი უსულო საგანი კი არ არის, არამედ გასულდგმულზელია, რადგან მან „წყრომით შემოხედა“ („მნათობი“, გვ. 168). საქმე ისაა, რომ ასტროლოგიური შეხედულებებით მნათობები არ იყვნენ უსულო საგნები. მათში ძველი ადამიანები ხედავდნენ არა თუ მხოლოდ სულიერ არსებებს, არამედ ღვთაებრივ ძალებს. მრისხანე ძალებს, შორეულ ძალებს, კოსმოსურ თუ ზეციურ ძალებს, რომლებიც ერიოდნენ ამქვეყნიურ ცხოვრებაში, წინასწარმეტყველებდნენ მოკვდავთა ბედს, განწყობილი იყვნენ ადამიანთაღმი ზოგჯერ მტრულად და ზოგჯერ კეთილად. ამიტომაც, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორიც ზეციურ მნათობებს ყოველთვის განსულიერებულ ძალებად წარმოადგენს (იხ. სტროფები: 840, 959, 960, 963 და სხვ.).

კრონოსის ღმერთად მიჩნევა პომპის ზემოთმოყვანილ სტროფში კონტექსტითაც არ მართლდება. ამიტომაც, რომ ზემოლხსენებულნი მკვლევარნი სადაო ადგილის ინტერპრეტაციაში ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან და, ამავე დროს, ორივე წყაითხვა აშკარად ნაძალადევა:

1. ერთი თვალსაზრისით, ამ სტროფის პირველ ტაეპში ნახსენები „ღვთის რისხვა“ უნდა იყოს „კრონოსის წყრომით გამოხედვა“ („მნათობი“, გვ. 168). ამაზე დამყარებით კონტექს-

ტი ამგვარადაა გაგებული: „როდესაც სამმა ძმადნაფიცმა იერიში მიიტანა ქაჯეთის ტრეტი, ქაჯებს ამით ღმერთის უზომო რისხვა დაატყდათ თავს. ეს პავეს მრისხანე ღმერთს კრონოსის შემოხედვას, რომელმაც რისხვით ზედ თავზე დაამხო ცა“ (იქვე). საგნებით სწორად იყო შენიშნული, რომ „ამგვარი ინტერპრეტაცია ვერ ეწყობა ვერც სტროფის გრამატიკულ წყობას, ვერც ძველ ბერძნულ მითს კრონოსის შესახებ“ („ციცკარი“, 1969 წ., № 11, გვ. 122). მართლაც, ბერძნული მითისათვის არაა ნიშანდობლივი არც კრონოსის რისხვით მთელი ცის გადაბრუნება და არც კრონოსის წყრომით თქმული მთხედვა.1 მეორეც, პომეში არ არის თქმული, რომ კრონოსის რისხვად დაამხო ცა თავზე ქაჯებსო. რუსთველი აშობს: „მათვე რისხვით გარდაბრუნდა ბორბალი და სიმგრგვე ცისა“. ეს მათვე გულისხმობს მხოლოდ და მხოლოდ კრონოსსა და მზეს:

„კრონოს, წყრომით შეხედულმან,
მოიშორვა სიტკბო მზისა;
მათვე რისხვით გარდაბრუნდა
ბორბალი და სიმგრგვე ცისა“.

2. ასევე ხელაწერია სადაო კონტექსტის მეორე განმარტება, რომლის მიხედვითაც ამ სტროფში კრონოსის მითია მოთხრობილი და ამით ქაჯების უბედურებაზეა მიწინაშეული: „უმშობი — ტარტაროსში ჩაგდებაზე მიგვანიშნებს სტრიქონი „კრონოს წყრომის შემხედველმან, მოიშორვა სიტკბო მზისა“. შემდეგ სტრიქონში „მათვე რისხვით გარდაბრუნდა ბორბალი და სიმგრგვე ცისა“ — ქაჯებია ნავლუსხმევი (იგივე ტიტანები). კრონოსმა კი არ დაამხო მთზე ცა, არამედ მათთან ერთად კრონოსს გარდაბრუნდა ცარავალი“ („ციცკარი“, გვ. 122). ამგვარი ინტერპრეტაცია არ უდგება არც ბერძნულ მითს და არც სათანადო კონტექსტს:

კრონოსზე ბერძნული მითის არც ერთ ვარიანტში ტიტანების და კრონოსის ტარტაროსში ჩაგდება არ არის მიჩნეული „მზის სიტკბოს მოშორებად“2. მეორეც, კრონოსს თავისი თავი კი არ ჩაუგდია ტარტაროსში, ე. ი. მან თავისი ნებითა და სურვილით კი არ მოიშორა მზის სინათლე და ჩავიდა ქვესკნელში,

1 სულხან-საბას ორბელიანი, IV, გვ. 334.

2 A — 889, ფრ. 6.

3 ტექსტი მოგვყავს ივ. ლოლაშვილის გამოცემით, ძველი ქართველი მეხოტბენი, I, 1957.

4 ფრანც კუმონტი, ასტროლოგია და რელიგია ბერძნებსა და რომაელებში, ნიუ-იორკი და ლონდონი, 1912, გვ. 16, 37, 38, 54, 105, 179. (ინგლ. ენაზე).

1 „ვეფხისტყაოსნის“ ქართულ ხელნაწერებში და გამოცემებში კრონოსის წყრომა სხვადასხვა ვარიანტითაა წარმოდგენილი: „კრონოს, წყრომით შეხედულმან“ და „კრონოს, წყრომით შემხედველმან“.

2 იხ. ვ. პ. როშერი, ბერძნული და რომაული მითოლოგიის ლექსიკონი, II, ლაფიციგი, 1890-1897, სვ. 1471-1477 (გერმ. ენაზე).

აღზუჯა ხინთიბიძე

„ვეფხისტყაოსნის“ კრონოსი

არამელ ზეგის მიერ ტიტანებთან ერთად იქნა დამარცხებული და ტარტაროსში ჩაგდებულ- ი. ასე რომ, სიტყვები: „კრონოს, წყრომით შეხედულმან, „მ ო ი შ ო რ ვ ა სიტკბო მზისა“ — მითიური კრონოსის თავგადასავალს არ გულის- ხმობს. ვარდა ამისა ბერძნული მითოლოგიის ტიტანებთან „ვეფხისტყაოსნის“ ქაჯების მხატვ- რული იდენტიფიკაციისათვის საკმაო მასალას არ იძლევა არც ბერძნული მითის ტიტანა დახასი- ათება და არც ქაჯების პოემისეული ინტერ- პრეტაცია.

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტიდან გარკვევით ჩანს, რომ სიტყვებში — „მათვე რისხვით ვარდა- ბრუნდა ბორბალი და სიმგრგველ ცისა“ — ქაჯე- ნი არ არის ნაგულისხმევი. ჭერ ერთი, ნაცეალ- სახელი „მათვე“ სინტაქსურად შეიძლება გუ- ლისხმობდეს მხოლოდ მის წინ მდგარ სახელს მრავლობით რიცხვში, ან სახელებს მხოლობით რიცხვში. ასეთი სახელები კი კონტექსტში არის კ რ ო ნ ო ს ი და მ ზ ე. მეორეც, ვანა აზრობრი- ვად გამართლებულია, რომ ქაჯების რისხვით (მრისხანებით) ქაჯებსავე დამხოზოდათ თავზე ზეცა? და ბოლოს, ამ კონტექსტში რუსთველი არ იძლევა არავითარ საბაბს იმისა, რომ მის მი- ერ გადმოცემული ამბავი გვიგოთ გადატანით (მ ი ნ ი შ ნ ე ბ ა დ ქაჯეთის ტრაგედიაზე) და არა მისი პირდაპირი მნიშვნელობით. ქაჯეთის უბე- დურების აღწერად: ქაჯეთში ღვთის უზომო რისხვა მოიწია — წყრომით შეხედულმა კრონო- სმა მზის სიტკბო მოიშორა და მათი რისხვით „გარდაბრუნდა ბორბალი და სიმგრგველ ცისა“. დახოცილთა ტევა აღარ იყო.

დ. ქუმისიშვილი თავის მოსაზრების გასამაგ- რებლად ეყარება ძველი ქართული მწერლობის ძეგლებში კრონოსის ხსენების ორიოდ, ა რ ა - ს წ ო რ ა დ გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ უ ლ შემოხვევას. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ერთ ადგილას იკითხება: „და შვდთა მათ სარტყელ- თა ცისათა და მნათეთა სფეროსთა, რომელ არიან: კრონოს, ზევს და აფროდიტე, ერმი, აპოლონ და არეა...1 „ქართლის ცხოვრების“ II ტომის ბოლოს დართულ ლექსიკონში კი ს. ყა- უხჩიშვილი კ რ ო ნ ო ს ს განმარტავს „ბერძენთა უზენაეს ღვთაებად“2. ამაზე დაყრდნობით დ. ქუმისიშვილს გამოაქვს დასკვნა, რომ ს. ყაუხჩი- შვილი მოყვანილ კონტექსტში კ რ ო ნ ო ს ს ღმერთ კრონოსად თვლის და აქედან გამა მ ო მ დ ი ნ ო რ ე ავეთებს კატეგორიულ ზოგად დას- ცენას: „12-ე—14-ე საუკუნეების სხვა ლიტერა- ტურულ წყაროებშიც კრონოსი ღმერთის სახე- ლია, ვარსკვლავის სახელი არ არის“ („მნათო- ში“, გვ. 168) მოყვანილ ნაწყვეტში კრონოსი სწორედ მნათობ სატურნის სახელია და არა

ღმერთის. აქ რომ მნათობებზე, ასტროლოგიუტ ციომილუბაზეა საუბარი, გარკვევითაა მითი- თებელი: „შვდთა მათ სარტყელთა ცისათა და მნათეთა სფეროსთა, რომელ არიან: კრონოსი, ზევსი, აფროდიტე, ერმი, აპოლონი და სარტყელთა მნათობი ზეცაში თავის ცას ქმნიდა და ისინი სარტყელად, ერთმანეთის მიმდევრობით, ვარს ერტყენენ დედამიწას) სახე- ლები. ეს სახელები, მართალია, ბერძნულ ღმერ- თებს ეწოდებოდა, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვ- ნიშნეთ, ასევე აღინიშნებოდა ბერძნულად მნათობებზე. ქართველი ავტორი მნათობებს ბერძ- ნულად ასახელებს, რამდენადაც ეს ბერძნულს სახელები იყო ჩვენში დამკვიდრებული და თვის ქართული ორიგინალური სახელწოდებები ამ მნათობებისა (მზისა და მთვარის გამოვლებით) მწარმოებით ბერძნული იყო, ემთხვეოდა ამ ბერძნულ სახელებს. აი, ეს „მნათენი სფერო- სანიც“ კ რ ო ნ ო ს ი — ამ სახელით ბერძნულ ასტროლოგიურ ტექსტებში და ყველგან, სადაც პლანეტებზე იყო საუბარი, სატურნი აღინიშნე- ბოდა. კრონოსი ითვლებოდა, აგრეთვე პლანე- ტა სატურნის ქართულ სახელად.3 ზ ე ვ ს ი ანუ დიოს ბერძნულ ენაზე იმ კონტექსტში, სადაც მნათობებზეა საუბარი, აღნიშნავს პლანეტა იუ- პიტერს.4 ქართულ ენაზედაც ვარსკვლავი იუპი- ტერი აღინიშნებოდა ბერძნული სახელებით დია და ზევსი,5 ა ფ რ ო ლ ი ტ ე — პლანეტა ვენერას როგორც ბერძნული, ასევე ძველი ქართული სა- ხელი არის აფროდიტე;6 ე რ მ ი? არის ქართული სახელი პლანეტა მერკურის. ბერძნულად ამ მნათობს ჰერმესი ეწოდებოდა.8 ა პ ო ლ ო ნ ი ბერძნული მზის ღმერთის სახელია და ბერძნულ ასტროლოგიურ ტექსტებში და სპეციალურ კონტექსტებში ასტროლოგიურ მნათობ მზეს

- 1 ს უ ლ ხ ა ნ - ს ა ბ ა , თხზულებანი, IV, გვ. 324.
- 2 ვ. ჰ. როშერი, ბერძნული და რომაულ მითოლოგიის ლექსიკონი, II, სვ.1474—76;
ა. ბუშელეკლერკი, ბერძნული ასტრო- ლოგია, გვ. 643.
- 3 ს უ ლ ხ ა ნ - ს ა ბ ა , თხზულებანი, IV, გვ. 334.
- 4 „ოქსფორდის კლასიკურ სიძველეთა ლექსი- კონი“, 1950. გვ. 966 (ინგ. ენ.).
ა. ბუშელეკლერკი, ბერძნული ასტრო- ლოგია, გვ. 655.
- 5 ს უ ლ ხ ა ნ - ს ა ბ ა , თხზულებანი, IV, გვ. 334; IV₁, გვ. 222, 283.
- 6 ს უ ლ ხ ა ნ - ს ა ბ ა , თხზ., IV, გვ. 334; IV₁, გვ. 77.
- 7 ს უ ლ ხ ა ნ - ს ა ბ ა , თხზ., IV, გვ. 334;
- 8 ა. ბუშელეკლერკი, ბერძნული ასტროლოგია, გვ. 640.

1 ქართლის ცხოვრება, II, 1959 (ს. ყაუხ- ჩიშვილის გამოცემა), გვ. 27—28.
2 იქვე, გვ. 668.

ნიშნავს.1 ძველ ქართულ ტექსტებშიც იგი მწესს ეწოდება.2 არცა ქართული სახელია პლანეტა მარსისა.3 ბერძნულად ამ მნათობს არესი ეწოდება.4 ამგვარად, „ისტორიანი და აზმანის“ მოყვანილ კონტექსტში კრონოსი ნიშნავს ასტროლოგიურ მნათობ სატურნს.5

იმის დასამტკიცებლად, რომ კრონოსი მე-12— მე-14 საუკუნეების ლიტერატურულ ძეგლებში ღმერთის სახელია და არა პლანეტის, მოყვანილია კიდევ ერთი მაგალითი, ამგვარად „თამარიანიდან“ („მნათობი“, გვ. 168). მართლაც, „თამარიანის“ ივ. ლოლაშვილის გამოცემაში იკითხება:

ა რეა კრონოს ენა ვარდმკონოს, ვარდთა ვადარნე ნაშენენბანი“ (XVI, 5)
ამ კონტექსტის კრონოსს გამომცემელი განმარტავს „ზევისს მამად“.6 მაგრამ დაყოფა „ა რეა კრონოს“ ივ. ლოლაშვილისეულია და მას მხარს არ უჭერს არც ერთი ხელნაწერი, რომლებსაც გამომცემელი ეყრდნობა და არც ნ. მარის გამოცემა. კონტექსტი გამომცემელმა თვითონ გასწორა შემდეგი საბუთით: „ელინთა ზღაპრობანში“ კრონოსის გვერდით იხსენიება რეა ა. აქედან ირკვევა, რომ არცა—წანაეთიში შეერთებულია ორი სიტყვა: ა და რეა (არია)8. ეფიქრობთ, რომ არც გასწორება და არც განმარტება ამ კონტექსტის კრონოს სიტყვისა სწორი არ არის. „ელინთა ზღაპრობანში“, მართალია, კრონოსის გვერდით იხსენიება რეა, მაგრამ ეს იმიტომ, რომ იქ საუბარია კრონოს ღმერთსა და მის მეუღლე რეაზე. „თამარიანში“ კი კრონოსის გვერდით იხსენიება არცა, არამედ არცა, იმიტომ რომ აქ საუბარია ასტროლოგიურ მნათობებზე: კრონოსზე (სატურნზე) და

არიაზე (მარსზე). ნ. მარის გამოცემაში სადაო კონტექსტი ამგვარად იკითხება: „არია კრონოს ენა ვარდმკონოს“. ამ კონტექსტის არცა მხარს მარისა „ხელნაწერიც უჭერს მხარს.1 რთა „თამარიანის“ მოყვანილი კონტექსტის არცა და კრონოს ასტროლოგიური მნათობებია, ამას აღსატურებს შემდეგი ვარემოებანი: 1. როგორც არცა, ასევე კრონოსი ძველ ქართულ ძეგლებში ცნობილი სახელებია და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სულხან-საბას ლექსიკონით, ნიშნავს მნათობებს—არესს (მარსს) და კრონოსს (სატურნს). 2. რომ ამ ადგილას არცა არესს (მარსს) ნიშნავს, ამას პირდაპირ მიუთითებს ძირითადი და დიდი უმრავლესობა (თამარიანის ხელნაწერებისა, რომლებშიაც ეს ადგილი ამგვარი ვარიანტითაა წარმოდგენილი: „არეს და კრონოს“. ესაა ძირითადი ხელნაწერებისეული წაკითხვა ამ კონტექსტისა და „არია“ მისი ვარიანტია მხოლოდ. 3. ივ. ლოლაშვილის გასწორებით ამ კონტექსტის აზრი ნათელი არ არის: რეამ და კრონოსმა ენა დამიბას, ვარდებს შეგი-დარე, ნაშენენბანი“. ჯერ ერთი, რეას და კრონოსს ბერძნული მითით ენის დამბეულობა არ ახასიათებთ. მეორეც, რატომ უნდა დაუბას მეზობტეს ენა რეამ და კრონოსმა, თუ მან თამარს „ნაშენენბანი“ ვარდებს შეუდარა? 4. აზრი ამ კონტექსტში გამოჩნდება მაშინ, თუ ხელნაწერის წაკითხვას აღვადგენთ: არეს და (ანდა: არია) კრონოს ენა ვარდმკონოს...“ არესმა და კრონოსმა ენა დამიბას,—ამბობს ავტორი. მართლაც, ძველი ადამიანის თვალსაზრისით, არესსა და კრონოსს შეეძლო მეზობტისათვის ენა დებმა. მარსი (არესი) და სატურნი (კრონოსი), ასტროლოგიური შეგედულებებით, ბოროტ მნათობებად ითვლებოდნენ. ყველა უბედურება ადამიანთა ცხოვრებაში მხოლოდ ამ მნათობთა ძალით ხდებოდა. რატომ უნდა დაუბას მეზობტეს ენა მარსმა და სატურნმა? გამოქვეყნებულ სტრიონის მეორე ნახევარი („გვარდთა ვადარნე ნაშენენბანი“ — ლოლაშვილი; „გვარდთა ვადარნე ნაშენენბანი“ — მარი) ამაზე ბასუსს ვერ იძლევა, მაშინ როცა ხელნაწერებში დატულ ვარიანტებიდან აშკარად უფრო აზრიანი წაკითხვა შეიძლება იქნეს არჩეული: „ვერად ვადარნე ნაშენენბანი“2 მეზობტემ მისთვის დამახასიათებელი მოკრძალებით ამბობს: მარსმა და სატურნმა ვნაუნდა დამიბას, სათანადოდ ვერ შევაქე („ვერად ვადარნე“) შენი ღირსეული საქმეები („ნაშენენბანი“ ანდა „ნაშენენბანი“): „არეს და კრონოს ენა ვარდმკონოს ვერად ვადარნე ნაშენენბანი“.

1 ა. ბუშუელი კლერკი, ბერძნული ასტროლოგია, გვ. 631, ვ. როშერი, ბერძნული და რომაული მითოლოგიის ლექსიკონი, ვ. 422—423. ვ. როშერი ა, აპოლონი და მარსი, ჟიიფიცივი, 1873 (გერმ. ენაზე).

2 სულხან-საბა, IV₁, გვ. 62.

3 სულხან-საბა, თხზ., IV₂, გვ. 334; IV₁, გვ. 66.

4 ბუშუელი კლერკი, ბერძნული ასტროლოგია, გვ. 631.

5 საეკლეგია მხოლოდ ის, თუ, რატომ არან დასახელებულია ექვსი მნათობი, როცა საუბარია ზვიდივეზე. ამ თვალსაზრისით ყურადღება უნდა მიექცეს „აზმანის“ სხვადასხვა ხელნაწერის წაკითხვას. მით უმეტეს, რომ ერთ-ერთი მათგანი მნათობთა რიგს უმატებს კიდევ ერთ სახელს: იბაკლი („ქართლის ცხოვრება“, II, გვ. 28).

6 „თამარიანი“ (ივ. ლოლაშვილის გამოცემა), გვ. 239

7 „თამარიანი“, გვ. 231.

8 „თამარიანი“, გვ. 127.

1 „თამარიანი“, გვ. 231.

2 იქვე, გვ. 231.

ელგუჯა ხინთიბიძე
„მეზობტასენის“ კრონოსი

ამგვარად, „თამარიანის“ მოყვანილ კონტექსტში კრონოსი არის პლანეტა სატურნის სახელი.

ბერძნული მითოლოგიის ღვთაებათა სახელე-
ბით ასტროლოგიურ მნათობებზე მითითება და-
მახსიათებელი ყოფილა ქართული მწერლობი-
სათვის სწორედ XII საუკუნეში. ამ გარემოების
ვათვალისწინებით ძველ ქართულ მწერლობაში
ბევრი ბუნდოვანი კონტექსტის შეიძლება სწო-
რად იქნეს გაგებული. ყოველ შემთხვევაში, ეს
ბერძნული ღვთაებანი ძალზე ხშირად აღნიშნა-
ვენ ასტროლოგიურ მნათობებს იოანე პეტრიწის
„განმარტებაში“.¹

ასტროლოგიური ღვთაებების ვათვალისწინე-
ბით შეიძლება აიხსნას პეტრიწის გამოთქმები:
„სამყურობამან დიომაქსან“ და „ოთხყურობამან
კრონოსამან“. თუ რა ვაგლნას ახდენენ მნა-
თობები მიწიერ ცხოვრებაზე, ამას ასტროლო-
გიაში გეომეტრიული ნახაზებით ითვლიან. წრის
სხვადასხვა ადგილას განლაგებული მნათობები
ერთმანეთს უცქერენ სხვადასხვა გეომეტრიული
კუთხით. ან პირდაპირ დიაგონალზე, ან სამკუ-
თხედის, ან ოთხკუთხედის, ან ციდე ექვსკუთხე-
დის კუთხით. ამგვარად ახდენენ მნათობები ერ-
თმანეთზე ვაგლნას. რაც უფრო პირდაპირია
ცქერა, მით უფრო ძლიერია ერთი მნათობის ვა-
გლნა მეორეზე. და ბოლოს, გეომეტრიულმა
ნახებმა უნდა გამოავლინოს ამა თუ იმ მომენ-
ტში კეთილი მნათობის ძალა სჭარბობს თუ
ბოროტისა. პეტრიწის „სამყურობა“ და „ოთხ-
ყურობა“ უნდა ნიშნავდეს ს ა მ კ უ თ ხ ო ვ ა ნ
ც ქ ე რ ა ს და ო თ ხ კ უ თ ხ ო ვ ა ნ ც ქ ე რ ა ს:
„... რამეთუ რომელი ალაგო სამყურობამან დ ი-
ო მ ა ს მ ა ნ მ ზ ი ს ა მიმართ, იგი დაჰქსნა ო თ ხ-
ყ უ რ ო ბ ა მ ა ნ კ რ ო ნ ო მ ა ს მ ა ნ...“ 2. აქ საუ-
ბარია იმაზე, რომ კეთილი მნათობის იუბილეოსის
სამკუთხოვანი ცქერა მზის მიმართ ვაბათილა
ბოროტი მნათობის სატურნის ოთხკუთხოვანმა
ცქერამ (საზოგადოდ კი სატურნის სიბოროტე
უფრო ძლიერია, ვიდრე იუბილეოსის სიკეთე).

ამგვარად, მე-12—14 საუკუნეების ქართული
მწერლობის ძეგლებში კ რ ო ნ ო ს ი უბირატე-
სად ნიშნავს ასტროლოგიურ პლანეტას და არა
მითოლოგიურ ღმერთს. უფრო მეტიც, კ რ-
ნ ო ს ი ასტროლოგიურ მნათობადაა გაგებული
მთელს ძველ ქართულ მწერლობაში. მოვიყვანთ
კიდევ რამდენიმე მაგალითს: (თ ე ი მ უ რ ა ზ I,
„ლეილ-მაჯნ.“, 6, 2; თანიაშ., „ამირ-დარ.“,
1123,2; 1976,1; 1157, 3; 869,2; სულხან-საბა,
თხზ., II, 2, 9 6 8; 266, 16; დ. თუმ., 58, 5; 85,7,
66,3; დ. სააღ. — ქ. მწ. რ. — 279, 30; „ქარ.

სამ. ძეგ.“ II, 343,3; ხელნაწერები: A — 1776,
გვ. 254; 5—287, გვ. 62)1.

მაგრამ ეს გარემოება არ ნიშნავს, რომ
ძველ ქართულ მწერლობაში კრონოსი მითო-
ლოგიური კრონოს-ღმერთის მნიშვნელობით არ
შეიძლება შეგვხედეს. იმ სპეციფიკურ შემთხვე-
ვებში, როდესაც საუბარი ეხება ბერძნული მი-
თოლოგიის ღმერთს, ზევსის მამას, რაღა თქმა
უნდა, კრონოსი ღმერთის სახელია.²

სიტყვა კ რ ო ნ ო ს ი ს ძირითადი და ჩვეუ-
ლებრივი მნიშვნელობა ძველ საქართველოში,
როგორც წერლობითი ძეგლებიდანაც ჩანს,
იყო პლანეტა სატურნი. ამიტომაც, რომ სულ-
ხან-საბას ლექსიკონში კრონოსი მხოლოდ პლა-
ნეტადაა განმარტებული: „კ რ ო ნ ო ს — ესე
ვარსკვლავი არს მეშვიდესა ცასა...“.

აქედან გამომდინარე, ბუნებრივია ვფიქ-
როთ, რომ „ვეფხისტყაოსანში“ დამოწმებული
კრონოსიც ვარსკვლავ კრონოსს — სატურნს ნი-
შნავს. მართლაც, ამგვარად ესმოდათ პოემის
კრონოსი ძველად: „ვეფხისტყაოსნის“ ზოგირთ
ხელნაწერს ლექსიკონიც აქვს დართული. ერთ-
ერთ მთავანში (Q—279) განმარტებულია სი-
ტყვა კრონოსიც: „კრონოსი, ვარსკვლავია“.

ეს განმარტება სადაო არ უნდა იყოს:

1. „ვეფხისტყაოსნის“ განსახილველ სტროფ-
ში კ რ ო ნ ო ს ი დასახელებულია პლანეტა მზის
გვერდით და არა ბერძნული მითოლოგიის რი-
მელიმე ღმერთის გვერდით. ვარკვევითაა ნათ-
ქვამი, რომ ამ ორი მნათობის რისხვამ („მათე
რისხვით“) გადააბრუნა „ბორბლი და სიმგრგვ-
ლე ცისა“.

პოემისეულ კონტექსტში როგორც კრონოსი,
ასევე მზე დასახითებულია თითო ნიშნით, რო-
გორც კრონოსის, ასევე მზის ნიშანი ასტროლო-
გიური ნიშნებია, (რომლებიც ასტროლოგიური
შეხედულებებით მიეწერებოდა ამ ორ პლანე-
ტას). „ვეფხისტყაოსნის“ კრონოსი „წყრომით
შეხედულია“ (ან „წყრომით შეხედველი“). ეს
ნიშანი სავსებით ზუსტად ახასიათებს ასტრო-
ლოგიურ მნათობ კრონოსს. ასტროლოგიურად
კრონოსი უბედურ მნათობად ითვლება. იგი არის
ძალმომრეობისა და დაცემის უფალი, უბედური
დიდი ვარსკვლავი— როგორც მას ძველებმა
უწოდებდნენ. ფერთაგან კრონოსის ფერად შა-
ვია მიჩნეული. ამქვეყნიურ ცხოვრებაში ყოველა
დიდი უბედურება: საწყრობილე, ჭირი, ცრემ-
ლები, სიკვდილი კრონოსისაგან მომდინარედ
ითვლებოდა. კრონოსი არასოდეს არ იყო ბედ-
ნიერების მომასწავებელი. მას ასტროლოგებმა
თვლიდნენ უდიდეს დამანგრეველ ღმერთად; ქა-

1 ესარგებლობთ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტით
დამდგერი კომისიის მასალებით.

2 ენიქის მოამბე. ტ. X, 1941, გვ. 13, ს უ ლ-
ხ ა ნ -ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, თხზულებანი, I,
1959, გვ. 169.

რიზხლის, ნიაღვართა და ჰეჰა-ქუხლის აღმძვრელად! დამღუბველ, მკვლელ პლანეტად. 2 მი-სი მჭრქალი და ბუნდოვანი, ტყვიისფერად მო-ლაღლავე სხივის გამოჩენა ზეციურ თაღზე ძველ ადამიანს ყოველთვის აშინებდა, რადგანაც მას-ში ყოველთვის მხოლოდ და მხოლოდ „წყრო-მის“ ამოკითხვა შეიძლებოდა.

გასაანალიზებელი კონტექსტის მიხედვით მზეს ახასიათებს სიტკბო ანუ სიკეთე. 3 მართლაც, ას-ტროლოგიური შეხედულებებით მზე არის ყვე-ლაზე უფრო კეთილი მნათობი. იგი ყოველთვის სიკეთის მაუწყებელი და სიტკბოს მომფენია, ბედნიერების მომნიჭებელია.

პოემისეულ კონტექსტში კრონოსსა და მზეს შორის ისეთი მიმართება დამყარებული, რო-მელიც ამ ორ პლანეტას შორის ასტროლოგიურ ურთიერთობაზე მიუთითებს. როგორც აღვნიშ-ნეთ, მზე ყოველთვის სიკეთის მაუწყებელია და კრონოსი ყოველთვის უბედურების, მაგრამ ას-ტროლოგიური წინასწარმეტყველება ემყარება იმას, თუ ვარკვეულ მომენტში ზეცაზე რომე-ლი მნათობის ძალა სჭარბობს. ეს კი გამოითე-ლება მნათობების ერთმანეთისადმი მზერის, შე-ხედვის კუთხით, ანუ ასპექტით. მნათობთა გან-ლაგების ამა თუ იმ კერძო შემთხვევაში იმ მნა-თობს შეუძლია მოიწიროს თავიდან მეორეს გა-ვლენა, რომელიც უფრო ძლიერ ბოვიციაშია. და აი, რუსთველი გარკვევით მიუთითებს „კრო-ნოსს, წყრომით შეხედულმან, მოიშორავა სიტკ-ბო მზისა“.

პოემის შემდეგ სტრიქონშიც ვრძელდება ას-ტროლოგიური დეტალიზაცია: კრონოსი, მარ-თალია, ყოველთვის „წყრომით შეხედულია“, მაგრამ ასტროლოგიურად იგი მრისხანე ყოველ-თვის არ არის. თუ კრონოსის ბოროტება ზეცა-ზე კეთილი ვარსკვლავების გავლენით დათრგუ-ნელია, მაშინ კრონოსი მრისხანე აღარ არის. კრონოსი რისხავს, როცა მისი მდგომარეობა ზეცაზე გაბატონებულია, როცა იგია ყველაზე ძლიერი. მზე, მართლაც, ყოველთვის კეთილი მნათობია, მაგრამ ხშირად ისიც რისხვით იტყი-რება ციდან; ხშირად ისიც მრისხანებს, ანუ ავის მაუწყებელია. ეს მაშინ, როცა მისი სიკე-თე დათრგუნვილია ბოროტი მნათობების მიერ. აღწერილ შემთხვევაში, ასტროლოგიური თვალ-საზრისით, როგორც კრონოსი, ასევე მზე მრის-ხანებენ. ამიტომ აგრძელებს პოეტი: „მათვე რისხვით გარდაბრუნდა...“. ასტროლოგიური თვალსაზრისით ამ ორი დიდი მნათობის რის-ხვა ყოველთვის დიდ გავლენას ახდენს სხვა მნათობებზე, იმორჩილებს მათ. ამტკმაა, რომ

1 ა. ბ. უ. ე. - ლ. ე. კ. ლ. კ. პერძნული ასტრო-ლოგია, გვ. 94, 96, 358.

2 ი. ქ. ვ. ი, გვ. 414, 422, 423, 428, 552.

3 ი. ხ. ვ. ნ. ო. ზ. ა. დ. „ვეფხისტყაოსანის ღმრთისმეტყველება“, 1963, გვ. 175.

რუსთველი გარკვევით მიუთითებს: „მათვე რის-ხვით გარდაბრუნდა ბორბალი და სიმგარგველე-ცისა“. ცის სიმგარგველე „ვეფხისტყაოსანს“ ში“ საზოგადოდ ასტროლოგიური მინასისნ შემცველი გამოთქმა უნდა იყოს. 1 ზეციურ მნა-თობთა ამგვარ განლაგებას ქაჭეთში დიდი უბე-დურება მოჰყვა: „ველნი მკვდართა ვერ იტყე-დეს, გადიადდა ჭარი მკვდრისა“.

2. „ვეფხისტყაოსანს“ მიხედვით ოაში გამარ-ჯვებას ან დამარცხებას ასტროლოგიურ მნათო-ბთა განლაგებით წინასწარ ზეცა მიუთითებს. ამ გარემოებას ნათლად განმარტავს აეთანდლე ვა-ჭარებთან საუბარში მეკობრეების დამარცხების შემდეგ. ასევე მოხდა ქაჭეთთან ბრძოლაშიც. ერ-თი მხრივ, ასტროლოგიური მნათობები სამ რა-ინდს გამარჯვებას უწინასწარმეტყველებდნენ, იფარავდნენ:

„მათ სამთა შეიღნი მნათობნი ჰფარვენ ნათ-ლისა სვეტითა“. (1408) მეორე მხრივ კი, იგივე ასტროლოგიური მნათობები ქაჭეთს უბედურე-ბას აღუყებდნენ (1414).

3. მოყვანილ სტროფში ასტროლოგიურ უბე-დურებაზეა საუბარი. მაგრამ რატომღაც პირველ სტრიქონში ნათქვამი, რომ ეს რისხვა დ მე რ-თის რისხვა იყო?

ძველ აღმოსავლეთში ასტროლოგიას რელი-გიის მნიშვნელობა ჰქონდა. მნათობები ღმერ-თებად მიიჩნდათ და მათ თაყვანს სცემდნენ, როგორც ღმერთებს. მაგრამ თავისი რელიგიუ-რობა თანდათან დაჰკარგა ასტროლოგიამ საბერ-ძნეთში გავრცელებასთან ერთად. ვანსაკუთრე-ბული მოდერნიზაცია განიცადა ამ მოძღვრე-ბამ ჩვენი წელთაღრიცხვის მიჯნაზე. ასტროლო-გია ეგუებოდა სხვადასხვა ფილოსოფიურ და რელიგიურ სისტემებს. ახლებურად იქნა მო-ზარებული იგი ნეოპლატონიზმის მიერ. ამ ახა-ლი თვალსაზრისის მიხედვით, მნათობებმა დაჰ-კარგეს ღმერთობა, ამქვეყნიური მოვლენების განმგებლობა, მოვლენაში მზის მნიშვნელო-ბა და დამორჩილდნენ ერთი ღმერთის ნებას. ასტროლოგიური მნათობების განლაგებასა და მოძრაობაში დაინახეს ღვთაებრივი აზრი, ღვთა-ებრივი ჩანაფიქრი. ამიტომ იყო, რომ პლოტინი გარკვევით წერდა: „ვარსკვლავთა სრბოლა მი-გვანინებს რაც უნდა მოხდეს, მაგრამ თვითონ არ ქნის მას“ („ენეადა“, II, 3). შემქმნელი, განმგებელი ყოველივესი, და მათ შორის ვარსკ-ვლავთა განლაგებისაც, ამ ახალი თვალსაზრისის

1. ი. ხ. ნ. ა. თ. ა. დ. ე. ვეფხისტყაოსანის სამი ად-გილის გაგებისათვის; შოთა რუსთველი (საიუ-ბილო კრებული), 1966, გვ. 315, ვ. ნ. ო. ზ. ა. დ. „ვეფხისტყაოსანის ვარსკვლავთმეტყველება“, 1957, გვ. 84.

ელგუჯა ხინთიბიძე
„ვეფხისტყაოსანის“ პროზონი

თანხმად, არის ერთი ღმერთი, რომელიც მნათობების გზით მოქმედებს ამქვეყნიურ ცხოვრებაზე. ამგვარი თვალსაზრისი დაამკვიდრა მონოთეისტური რელიგიის შერწყმამ ასტროლოგიასთან. ეს თვალსაზრისი აღიარებულია როგორც ნეოპლატონიკოსთა მიერ, ასევე ქრისტიანული თეოლოგიის გარკვეულ მიმართულებათა მიერ. ამ აზრს იზიარებს ფილონის. ამ თვალსაზრისს ასაბუთებს პლოტინი. იგი აღიარებულია ორიგენის და ევსევი პამფილიელის მიერ. ამგვარად მიაზრებული ასტროლოგია ირწმუნეა ქრისტიანული თეოლოგიის ერთ-მა ფრთამ.¹ ამგვარი კოსმოლოგიური სისტემის შექმნას თავისებურ სანქციას აძლევდა არისტოტელეს „მეტაფიზიკის“ მე-12 წიგნი. ამიტომ-მა, რომ ამგვარადგვა გააზრებული მნათობთა მიმართება პირველმამოძრავებლისადმი შუა საუკუნეების არაბულ ფილოსოფიაშიც² მხოლოდ ამგვარად გავებული ასტროლოგიაა გაზიარებული როგორც იოანე პეტრიწის, ისე რუსთველის მიერ. პეტრიწი გარკვევით მიუთითებს, რომ მნათობთა გონიერებას ერთი ღმერთის გონიერებიდან მომდინარედ თვლიან; ხოლო მნათობთა ღვთაებრიობას ერთი ღმერთის მიერ გამოწვეულ ღვთაებრიობად: „და ესვითა ღმრთად გონებად იტყოდა პირველსა გონებასა, რომელსა ნამდვილ მყოფობაა უგალობა სიტყუამან. ხოლო მის მიერ წარმონაჩენად საშუალთა გონებათჳ ვითარ საუკუნროასასა და თვთ ცხოვლობისასა, და კუალად შემდგომითი შემდგომად გონებად ყოველთა უწოდა ვიდრე გონიერისა გონებისამდის, სადა გონიერი აპოლოთა და კრონისა და რვა დაღია გამოჩნდეს, რომელნი ხედვენ ცასა გონებათასა, რომელ არს ნამდვლ მყოფი, და ღმერთ ექმნებიან მის მიერა.“³

ეს აზრი თავიდან ბოლომდე სისტემატურადაა გატარებული „ვეფხისტყაოსანში“. ერთი ღმერთი

¹ იხ. ელ. ხინთიბიძე, ავთანდილის „ძალნი ზეციერნი“, თსუ საიუბილეო კრებული რუსთველს, 1966, გვ. 183—192.

² Э. Ренан. Собрание сочинений, т. 8, 1902, გვ. 74—77, 90—92.

³ იოანე პეტრიწის შრომები. II, გვ. 192.

თი განაგებს ზეცას. ზეცა კი ზეციურ ბუჩქებში მნათობთა განლაგება) უშუალოდ მოქმედებს აღმამნათა ბედ-იღბალზე, მათ ყოველდღიურ საქმიანობაზე. ამიტომ ეუბნება ასმათი ტარიელს: „მითხრა: „ღმერთმან სიმგრგველ ცისა ჩვენთვის რისხვით წამოგრაგნა“ (572).

ამიტომ უსხნის ავთანდილი ვაჟრებს, რომ გამარჯვება, რომელიც მან მეკობრეებზე მოიპოვა, ღმერთის შექმნილია: ღმერთის ნება-სურვილით ზეციური ძალები (ასტროლოგიური მნათობები) განაგებენ ყოველივეს, რაც ამ ქვეყნად ხდება ისინი აყეთებენ ყველაფერს — ზოგს აღამაზათათვის ცხადად, ზოგსაც დაფარულად. საჭიროა ვირწმუნეთ ეს სიბრძნე; თვით ბრძენსაც ეს სჯერა ზეციური ბედისწერისა:

„ყმამან უთხრა: „მაღლი ღმერთსა, შემოქმედსა, არსთა მხადსა, ვისგან ძალნი ზეციერნი გააგებენ აქა ქმნადსა, იგი იქმან ყველაქასა, იღუმალსა, ზოგსა ცხადსა; ხამს ყოვლისა დაჭერება, ბრძენი სჯერა მოწუნებადას“ (1050).

რუსთველი ცდილობს, რომ თავისი კოსმოლოგიური მოდელი (ღმერთი — ასტროლოგიური მნათობები — ამქვეყნიური სინამდვილე) გარეგნულად გავრცელებულ ქრისტიანულ შეხედულებებსა და დიონისე არეოპაგელის სქემაზე დაიყვანოს (ღმერთი — ანგელოზები — ამქვეყნიური სინამდვილე). ამიტომაც ასტროლოგიურ მნათობებს იგი მოიხსენიებს ბიბლიური სახელით „ძალნი ზეციერნი“, რომელიც, არეოპაგელის გადააზრების კვალდაკვალ („ზეცათა მღდელთ-მთავრობისათვის“), ქრისტიანულ მწერლობაში ანგელოზთა სახელია.

ასე რომ, ქაჯეთის უბედურებაც ღმერთის ნება-სურვილით ხდებოდა. ქაჯეთს თავს დაატყდი ღვთის რისხვა: „წყრომით შეხედულმა“ კრონოსმა თავიდან მოიშორა მშის კეთილი და ქველო გავლენა. კრონოსისა და მშის რისხვას დაემორჩილა მთელი ზეცა. და ქაჯეთშიც დიდი უბედურება დატრიალდა.

ალექსანდრე გატონიშვილი

ქართული და რუსული ლიტერატურისა და კულტურის სათავეები შორეულ წარსულშია საფუძვლებელი. ერთმორწმუნე რუსეთში ქართველმა ქრისტიანებმა დაინახეს ბიზანტიის, მისი კულტურის. რელიგიური მისიის მეშვეობით რუსეთისადმი ერთგულება განსაკუთრებით გამოვლინდა XVII-XVIII საუკუნეებში.

რუსეთის პოპულარობას საქართველოში ხელს უწყობდნენ ის პირები, რომლებიც ვადასახლდნენ რუსეთში ან სხვადასხვა მიზეზთა გამო იძულებული იყვნენ იქ ეცხოვრათ, ამ უკანასკნელთ მიეკუთვნება მეფე არჩილი, ვახტანგ VI, ანტონ კათალიკოსი, იოსებ სამებელი და სხვ. ეს პირები ახლოს ეცნობოდნენ რუსეთის ეკლესიის მდგომარეობას, მის ტრადიციებს, ლიტერატურას და შემდეგ, სამშობლოში დაბრუნებულნი, ან იქვე, რუსეთში მყოფნი, თარგმნიდნენ რუსულ ნაწარმოებებს. ამათ რიცხვს შეიძლება მივაკუთვნოთ ალექსანდრე არჩილის ძე ბატონიშვილიც — მეტად საინტერესო, ნათელი და თვითმყოფი პიროვნება.

უფლისწული ალექსანდრე, არჩილის უფროსი შვილი, დაიბადა 1664 წელს. მამამისი, რთული პოლიტიკური ვითარების გამო, იძულებული იყო დაეტოვებინა საქართველო და თავშესაფარი შორეულ ერთმორწმუნე რუსეთში ეძებნა. 1682 წელს არჩილი თავისი სახელეულობით გაემგზავრა ჩრდილოეთს. მას თან ახლდნენ მეუღლე ქეთევანი, შვილები ალექსანდრე, მამუკა და დავითი, ქალიშვილი დარეჯანი და დიდი ამაღა.

არჩილი შეჩერდა ასტრახანში, რადგან მისი ჩილებს საკითხი მოსკოვში ჯერ კიდევ არ იყო აბოლოლოდ გადაწყვეტილი.

1684 წელს რუსეთის მეფის კარზე გამოიძახეს არჩილის შვილები ალექსანდრე და მამუკა. მოსკოვში ქართველი უფლისწულების ჩამოსვლას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ამაზე მეტყველებს მრავალი ჩანაწერი საელჩო ბრძანების წიგნში, სადაც დაწვრილებით იყო აღწერილი უფლისწულთა მიღების რიტუალი და მათი შემდგომი ყოფნა რუსეთის დედაქალაქში.

მეფის კარზე ალექსანდრე ძალიან დაუახლოვდა პეტრე პირველს. გახდა მისი მეგობარი და ამქარი. შემდგომში კი მისი თანამებრძოლი და თანამზრახველი. ეს დაახლოება მოხდა უფრო ალექსანდრეს წყალობით. იგი საოცრად ჭკვიანი, ცნობისმოყვარე ბავშვი იყო. სწრაფად ითვისებდა და აღიქვამდა ყველაფერ ახალს, ნაწახს. გატაცებული იყო მეცნიერებით, ლიტერატურით, ბევრს და სერიოზულად მუშაობდა. ყოველივე ამის გამო იყო პეტრემ რომ შეიყვანა იგი თავისი დიდი საელჩოს შემადგენლობაში და თან გაიყოლა საზღვარგარეთ. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის ამბავი, რომ პეტრე არასოდეს იცინებდა მას თავიდან და ერთად ცხოვრობდნენ, ერთ ოთახში.

როცა დიდი საელჩოს შემადგენლობას აღწერდა ავტორი იმ სტატიისა, რომელიც 1876 წელს დაიბეჭდა ჟურნალში „გ დუხე ჟურნალოვ“, აღნიშნავდა: „ყველას ყურადღებას იქცევდა ქართველი უფლისწული, ქართველი მეფის შვილი, ბაგრატიონთა გვარისა. მას თავისი ერთგული ტანსაცმელი ეცვა და სპარსული ბრწყინვალეობით ატარებდა“. (18. გვ. 869. 870).

პეტრე რომ განსაკუთრებით იყო დაახლოვებული ალექსანდრესთან, ამას ადასტურებს ასეთი ფაქტი. პეტრე, რომელსაც არ უყვარდა ზიზილ-პიპილოები და მორთულობანი, საარდაში ყოფნისას თავისი ახლობელი პირებით გადასახლდნისთვის გამოყოფილ პატარა სახლში, გემთსაშენებელი ვერფების ახლოს რომ იდგა. მასთან იყვნენ „თავადი ბაგრატიონი და გრაფი აპრაკინი, რომელიც შემდგომში რუსეთის აღმირალი გახდა. ხელმწიფეს ძალიან უყვარდა თავადი ბაგრატიონი, განსაკუთრებით იმიტომ, რომ ამან ძალიან მალე გაიცნო და შეითვისა საზღვაოსნო ტრენინგები და თვითონაც კი ისწავლა ოსტატურად მართვა ნავისა“. (იქვე, 20, გვ. 930-931).

რუსეთში დაბრუნების შემდეგ პეტრე I შეუდგა რუსული არმიის რეორგანიზაციას და 1700 წელს მაისში იმერეთის უფლისწული ალექსანდრე არჩილის ძე რუსეთის არმიის გე-

ნერალ-ფელციებისტრად დანიშნა. განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ ეს წოდება რუსეთში პირველად ალექსანდრეს მიანიჭა.

აღსანიშნავია სხვა საინტერესო ფაქტებიც: ალექსანდრეს დანიშნამდე არტილერიის საქმეს განაგებდა ბოიარინი შეინი — იგი პირველი გენერალისიმუსი იყო მსოფლიოში, ხოლო ალექსანდრეს დანიშნა ამ თანამდებობაზე იმას ნიშნავდა, რომ პეტრეს ალექსანდრე არჩილის ძე მიიჩნდა საარტილერიო საქმის დიდ მცოდნედ, მით უმეტეს, რომ ამ ადგილზე თითქმის ერთი წელი არავინ დაუნიშნავს, ამ ამბავს აღნიშნავდნენ შემდგომი სამხედრო ისტორიკოსები და საბიბლიოთეკები.

„უფლისწული ალექსანდრე იმ პირებს შორის, რომლებიც მანამდე ხელმძღვანელობდნენ საარტილერიო დაწესებულებას, პირველი იყო, რომელმაც ეს პოსტი დაიკავა, როგორც პროფესიით არტილერისტმა. მანამდე საარტილერიო საქმეს განაგებდნენ ისეთი პირები, რომელთაც არავინა ჰქონდათ საერთო საარტილერიო საქმესთან, და ამგვარი ადგილები ეკირათ მხოლოდ და მხოლოდ მემკვიდრეობით“... — წერდა ალექსანდრეზე გამოჩენილი არქეოლოგი, ისტორიკოსი და სამხედრო მწერალი ნ. ე. ბრანდენბურგი. იგივე აღნიშნავდა, რომ „ამგვარი დანიშნვა მეფისწულისა მოხდა უკვე არა საუკუნოვანი ჩვეულების, არამედ იმ მონაცემების მიხედვით, რასაც თვითონ პიროვნებანი განასახიერებდნენ“, და რომ ჯერ კიდევ ევროპაში გამგზავრებამდე „პეტრეს უეჭველად მხედველობაში ჰქონდა უფლისწულის მომავალი თანამდებობა“.

ამრიგად, უფლისწულმა ალექსანდრემ მიიღო რუსეთის არტილერიის გენერალ-ფელციებისტრის თანამდებობა. და ამ ადგილზე დაინიშნა 1700 წელს, რამდენიმე თვით ადრე რუსეთ-შვეიცის ომამდე.

ახლო გენერალ-ფელციებისტერი შეუდგა სავალალო მდგომარეობაში მყოფი რუსეთის არტილერიის რეორგანიზაციის საქმეს, მაგრამ რამდენიმე თვეში დაწყებულმა რუსეთ-შვეიცის ომმა ხელი შეუშალა ამ გარდაქმნებს. რუსეთის ჯარი უიმედო მდგომარეობაში აღმოჩნდა.

1700 წლის ნოემბერში, ნარვასთან მღვარი ალექსანდრე მთელი თავისი გენერალიტეტით შეეღებს ტყვედ ჩაუვარდა. ალექსანდრეს ტყვეობა აღწერილი აქვს ვოლტერის თავის წიგნში: „კარლოს XII ისტორია“. „ნარვასთან დატყვევებულებს შორის იმყოფებოდა საქართველოს ტახტის მემკვიდრე, უფლისწული არჩელუ!“. რომელიც განგების ცვალებადობის ნიშნად იყო თითქოს. მამა მისი, მიტელისის მეფე და

მბრძანებელი დედამიწის უკეთესი ნაწილისა, რომელიც მდებარეობს არარატის უმეტესად შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაპირებს შორის მდებარე დევნილი იქნა თავისი სამფლობელოდან საკუთარი ქვეშევრდომების მიერ. 1688 წელს მან დახმარებისთვის არჩია მიემართა არა თურქეთის სულთანისთვის, არამედ მოსკოვის მეფისათვის. ამ ხელმწიფის 19 წლის შვილმა მოსაუბრეა ხლებოდა პეტრე დიდს შვედების წინააღმდეგ მის ექსპედიციას. დატყვევებულ იქნა ბრძოლაში რამდენიმე ფინელი ჯარისკაცის მიერ, რომელთაც ტანზე გახადეს მას და უნდოდათ მისი მოკლა. გრაფმა რენშვილმა გამოგოჯა იგი ჯარისკაცებს, მისცა ტანსაცმელი და წარუდგინა მეფეს. კარლოსმა გააგზავნა იგი სტოკჰოლმში, სადაც ეს უხედური პრინცი რამდენიმე წლის შემდეგ მიიცივლა. მისი გამგზავრების შემდეგ მეფემ თავი ვერ შეიკავა და აღნიშნა ამ ახიელი უფლისწულის უცნაური ბედი, რომელიც კავკასიის მთების ძირას დაიბადა და ტყვედ იქნა გაგზავნილი შვეიცის ყოფილეთში. „ეს იგივეა, — თქვა მან. — მე რომ ყინობის თათრების ტყვე აღმოჩნდებოდა“. ამ სიტყვებს მაშინ არავითარი შთაბეჭდილება არ მოუხდენია, მაგრამ შემდეგ, როცა ეს წინასწარმეტყველება ახლა, ბევრმა გაიხსენა იგი“.

11 წელი გაატარა უფლისწულმა ტყვეობაში. მას ვაჟაკურად და დღისუღალე ეკირა თავი. თავისთავზე უფრო იმათზე ზრუნავდა, ვინც მასთან ერთად აღმოჩნდა ტყვეობაში.

პეტრე პირველის და მეფე არჩილის უამრავ ცდას გაეთავისუფლებინათ იგი, წარმატება არ მოჰყოლია. დაბოლოს, 1711 წელს მოხერხდა მისი გაცვლა და მოსკოვისაკენ მომავალი უფლისწული გარდაიცვალა კუნძულ პიტერზე — ტყვეობაში ყოფნას, მიმიე ავადმყოფობას და ხელმოკლეობას არ შეიძლებოდა თავისი დღი არ დაესვა უფლისწულისათვის. მისი ცხედარი მოსკოვში გადმოასვენეს და დაასაფლავეს დონის მონასტერში.

სიკვდილის უკანასკნელ დღემდე ალექსანდრე ივლებოდა რუსეთის არტილერიის გენერალ-ფელციებისტრად. მიუხედავად იმისა, რომ იგი 1700 წლიდან ტყვეობაში იმყოფებოდა, ყველა საარტილერიო ბრძანება თუ უწყება 1711 წლამდე გენერალ-ფელციებისტრის ალექსანდრე არჩილის ძის სახელზე იყო მიმართული და მის სიკვდილამდე ამ თანამდებობაზე პეტრეს სხვა არავინ დაუნიშნავს.

მაგრამ უფლისწულმა ალექსანდრემ ისტორიაში თავისი კვალი დატოვა არა მარტო როგორც სამხედრო საქმის დიდმა მცოდნემ. მას დარჩა მნიშვნელოვანი ლიტერატურული მემკვიდრეობა, რაც მეტყველებს მის დიდ განათლებასა და ცოდნის მრავალმხრივობაზე.

1 ალექსანდრე შეცდომით მოხსენიებულია მამა მისის სახელით.

2 იმერეთის.

3 ალექსანდრე 26 წლის იყო მაშინ.

ჭერ-ერთი, ალექსანდრეს კალამს ეკუთვნის ქართულ ენაზე თარგმნილი „საარტილერიო წიგნი“. განსაკუთრებით ხზგასამელია ის ვარემოება, რომ თარგმანი შესრულებულია უშუალოდ ფრანგული ენიდან (ეს ჩვენს მიერ საბოლოოდ დადგენილია), ვინაიდან „საარტილერიო წიგნის“ პირველი რუსული გამოცემა მხოლოდ 1709 წელს განხორციელდა! საერთოდ რუსულ ენაზე არსებობს ამ წიგნის შემდეგი გამოცემა: ერნესტ ბრაუნის წიგნის ორი გამოცემა (1709 და 1710 წ.წ.), იოჰან ზიგმუნდ ბუხნერის „არტილერიის სწავლება და პრაქტიკა“ (1711), სენრემის „მემორიები ანდა საარტილერიო ჩანაწერები“ (1732-1733 წ.წ.) და ტიმოთ ბრინკის „არტილერიის აღწერა“.

ჩამოთვლილი გამოცემებიდან ალექსანდრეს თარგმანთან ყველაზე ახლოს დგას სენ-რემის წიგნი.

ფრანგული გამოცემა სენ-რემის „საარტილერიო წიგნისა“ განხორციელდა 1697 წ. ამ წიგნის შესავალში ნათქვამია, რომ იგი წარმოადგენს ყველაზე უახლოეს გამოკვლევას საარტილერიო დარგში და დიდი პოპულარობით სარგებლობს ევროპაში, განსაკუთრებით პოლანდიაში, ჩვენთვის ცნობილია, რომ ალექსანდრე სწორედ პოლანდიაში ეუფლებოდა არტილერიის საქმეს. უეჭველია, რომ ერთ-ერთი მისი ძირითადი სახელმძღვანელო იქნებოდა სენ-რემის „საარტილერიო წიგნი“. აღვივალ დასაშვებია და მისადგება აგრეთვე ვარაუდი, რომ სწორედ პოლანდიაში შეუდგა მის თარგმანს.

სენ-რემის წიგნს დიდ შეფასებას აძლევდა პეტრე I. მისი ბრძანებით იგი გადათარგმნილი იქნა რუსულ ენაზე. მაგრამ მეცნიერებათა აკადემიის ტიპოგრაფიაში იგი დასაბუქდად გადაეცა უკვე პეტრეს სიკვდილის შემდეგ. რუსული თარგმანის რედაქცია დაევალა ცნობილ რუს პოეტს ვ. კ. ტრედიაკოვსკის.

მეორეც, ალექსანდრე მთარგმნელია რუსული სასულიერო ლიტერატურის ნაწარმოებებისა ქართულ ენაზე. ამ ნაწარმოებთა შესწავლა სულ სხვათა შუქს ჰყენს ამ დღიად ნიჭიერ პიროვნებას.

ალექსანდრეს მოღვაწეობა მთარგმნელობით ასპარეზზე საკმაოდ ნაყოფიერი და საინტერესოა. მან ქართულ ენაზე თარგმნა შემდეგი ნაწარმოებები:

1. „სადიდებელნი გალობანი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესნი (A № № 347, ფ. 29-33), № 212, 8გ — 22v, K № 150 37გ — 411).

როგორც ვაიროვს ამ თარგმანის წყარო ყოფილა ლოცვა „Канон умалительный ко Господу нашему Иисусу Христу“, დაწერილი ბერძნულ ენაზე სტუდიის მონასტრის ბერის წმ. ფეოქტიტის მიერ.

2. „სიტყუაჲ მიცვალებისათჳს ღმრთისმშობლისა“ სიმეონ პოლოცკისა.

3. „სიტყუაჲ დღესა ყოვლად. წმიდნა ტარაჲნი მიყვანებისასა“. (И № 417, 46v—55v) ჰყენს მირ დადგენილია ამ თარგმანის პირველი წყარო. ესაა სიმეონ პოლოცკის ქადაგებანი «Слово в день введения пресвятой Богородицы во храм».

4. ტესტამენტი — ანდრძი, დაწერილი ბერძენი იმპერატორის ბასილი მაკედონელის მიერ (867—886) თავისი ძის — ლეონის მიმართ. რუსული გამოცემა, რომელიც თარგმნის წყაროა, რედაქტირებულია სიმეონ პოლოცკის მიერ.

5. „მეფის კურთხების წესი“. ამ თარგმანის წყაროს წარმოადგენს «Чин венчания на царство русских царей, князей»-ის ხელნაწერი, რომელიც ჩვენს მიერ მიკვლეულ იქნა ЦГАДА-ს არქივში. ეს „Чин“-ი შემდგომში გამოქვეყნდა ეურნალში «Древняя Российская Вифлионика», М., 1788.

6. „ლოცვა, ახლად თარგმნილი რუსულისაგან“, წიგნი გამოცემულ იქნა ქართულ ტიპოგრაფიაში, მოსკოვში 1737 — 1744 წ.წ. იგი მკვლევართა დიდ ინტერესს იწვევს.

როგორც წარმოადგენილი სიიდან ჩანს, ალექსანდრეს მთარგმნელობით მოღვაწეობაში დიდი ადგილი უჭირავს სიმეონ პოლოცკის ნაწარმოებებს. ეს ბუნებრივიაა. სიმეონ პოლოცკის პიროვნება მჭიდროდ არის დაკავშირებული იმ საგანმანათლებლო მოძრაობასთან, რაც განსაკუთრებული ძალით გაიშალა რუსეთში XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან.

სიმეონ პოლოცკი მიეკუთვნებოდა მაშინდელი უკრაინისა და ბელორუსიის ინტელიგენციის იმ წარმომადგენელთა რიცხვს, რომლებიც უკრაინისა და ბელორუსიის ხალხების გამათავისუფლებელი“ ბრძოლის დღეებში პანური პოლონეთის წინააღმდეგ, გადაჭრით მიემხრო თავიანთი სამშობლოს რუსეთის სახელმწიფოსთან შეერთების მოსურნეებს, ესმოდა ამ შეერთების აუცილებლობა და აქტიურად, შეძლებისდაგვარად ხელს უწყობდა მას.

სიმეონ პოლოცკის ჰქონდა სრული შესაძლებლობა სასულიერო იერარქიაში მიედწია თითქმის ყველანიანი თანამდებობისათვის, მაგრამ სიმეონი არ წავიდა ამ გზით. იგი მოწოდებით მწერალი იყო და ყველაზე მეტად აფასებდა იმ უფლებას, რაც მას ჰქონდა მინიჭებული — დასვენების ეამი სამეცნიერო-ლიტერატურული საქმიანობისთვის მიეძღვნა.

მოსკოვში მცხოვრები სიმეონი არა მარტო ბევრს კითხულობდა (მისი ბიბლიოთეკა ერთ-ერთი ყველაზე უფრო შესანიშნავი კერძო ბიბლიოთეკა იყო XVII საუკ. მოსკოვში), არამედ ბევრსაც წერდა. იგი წერდა ლექსებს, თხზავდა ქადაგებებს, თარგმნიდა პოლონური და ლათინური

ნათელა ნაღიბაძე
ალექსანდრე ბატონიშვილი

ნური ენებიდან, თეატრისათვისაც კი ცდილობდა რაიმე დაეწერა.

სიმეონ პოლოცკის მთელი ლიტერატურული მოღვაწეობა ერთ გამოკვეთილ მიზანს, ისახავდა — თავისი წვლილი შეეტანა რუსეთის განათლების საქმეში. და უნდა ითქვას პოლოცკის როლი რუსეთის განათლების ისტორიაში ერთ მნიშვნელოვანი იყო. იგი თავის თანამედროვეთაგან ყველაზე უფრო მტკიცედ ესწრაფოდა რუსეთში განათლების დამკვიდრებას — დასავლეთ-ევროპული განათლების საწყისებზე. აგი ყველაზე უფრო თვალსაჩინო წარმომადგენელი იმ დიდი მოძრაობისა, რომელიც ბუნებრივად და ვადატორთა დაამთავრა პეტრე I თავისი დიდი რეფორმებით.

საინტერესო და მნიშვნელოვანია ის დიდი მქადაგებლური მოღვაწეობა, რასაც სიმეონ პოლოცკი ეწეოდა. სიმეონ პოლოცკი თავგამოდებული მომხრე იყო იმისა, რომ დიოცხალ ქადაგებას შეეცვალა მოსკოვში დიდი ხნის წინათ დამკვიდრებული ჩვეულება ეკლესიაში ერთობათ ძველი საეკლესიო მოძღვრათა შეგონებანი — იგი იყო ყველაზე გულმოდგინე გამაგრებულ ცოცხალი ქადაგებისა მოსკოვის რუსეთში XVII საუკუნეში, მისი მქადაგებლური მოღვაწეობის ნაყოფი იყო მოზრდილი წიგნი „Обед душевный да Вечеря душевная“. ორივე ეს კრებული დაბეჭდილია მოსკოვში, თვით მის მიერ დაარსებულ „ზემოთა“ (ანუ სასახლის) ტიპოგრაფიაში. (ალსანიშნავია, რომ ამ ტიპოგრაფიაში დაბეჭდილი პირველი წიგნი ბახილი მაკედონელის „ტესტამენტი“ გახლდათ, რომლის რედაქტირებაც სიმეონ პოლოცკის ეკუთვნოდა და რომელიც ალექსანდრეს თარგმანის წყარო გახდა).

ხიმეონ პოლოცკის მთელი ამ მრავალმხრივ და მრავალფეროვან მოღვაწეობას არ შეეძლო არ მიექცა არჩილ მეფის კოლონიის ყურადღება მოსკოვში, მით უფრო, რომ მეფე არჩილსა და სიმეონ პოლოცკის ერთმანეთთან აკავშირებდა მიწერ-მოწერა და მეგობრობა. სწორედ შას მიმართავდა ქართველი მეფე 1680 წელს დახმარებისა და შუამდგომლობისათვის რუსეთს ხელმწიფის წინაშე. მასში ხელავდა მეფე არჩილი დამცველსა და მასწავლებელს, იგი მიჰქანდა „ტკბილ სასოებად და სიქადულად საღვრთა სულსა წმიდისა“. მას გაუგზავნა თავი-ხი ელჩები — არქიმანდრიტი მაკარი და ივანე გრიგორიევი.

ამგვარად, უფლისწულმა ალექსანდრემ სიმეონ პოლოცკის რომ მიმართა, ბუნებრივი და კანონზომიერი ამბავია.

საინტერესოა კიდევ ერთი ფაქტი: სიმეონ პოლოცკის ნაწარმოებებზე მუშაობის დროს განყოფილებაში „იშვიათი წიგნი“ ლენინის სახ. საჯარო სახელმწიფო ბიბლიოთეკაში მოსკოვში წვენ შეგებდა ერთი ეგზემპლარი „Обед

душевный“, გამოცემული 1681 წელს შემდეგ წარწერით: «Книга обед душевный по души своей дала книжня Феодосия Кутаевского Милославских старицам Кутейнским Новодевичиным».

ფედოსია ივანეს ასული მილოსლავსკაია კ უფლისწული ალექსანდრეს პირველი ცოლი გახლავთ (ალექსანდრე ორჯერ იყო დაქორწინებული. პირველად ფედოსია ივანეს ასული მილოსლავსკაიაზე, ხოლო დაქვრივების შემდეგ გლიკერია ილიას ასულ დაეთხოველდა).

ფედოსია ივანეს ასული ქალიშვილი იყო ბოიარინ ივანე მილოსლავსკისა. ამ კაცზე ბევრი არაფერი ვიცით. ცნობილია მხოლოდ, რომ მას ჰყავდა ორი ქალიშვილი. ერთი ალექსანდრე არჩილის ძის ცოლი იყო, მეორე პოლოცკიც იქვლერის მეუღლე, რომელიც პეტრე I წინააღმდეგ შეთქმულების მოთავე გახდა.

ბოიარინი მილოსლავსკი როგორც ჩანს განათლებული კაცი იყო და ითვლებოდა ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა მფარველად. ამაზე მეტყველებს მისადმი მიძღვნილი სიმეონ პოლოცკის სამი ლექსი.

ზემოთ მოტანილი ნაწუქარი წიგნის წარწერა ლაბარაკობს იმაზე, რომ მილოსლავსკის ბიბლიოთეკაში იყო სიმეონ პოლოცკის წიგნები. ამ წარწერაში ფედოსია ივანეს ასული თავის თავს თავადის ქალად მოიხსენიებს. მაგრამ მილოსლავსკები არ იყვნენ თავადები (იხ. ლობანოვ-როსტოვსკი, „რუსი თავადების გვარეულობა“ 1,384, РБС, გვ. 104.). თავადის ქალი ფედოსია ივანეს ასული გახდა ალექსანდრეზე გათხოვების შემდეგ. მაშასადამე, წიგნი მისთვის უჩუქებიათ გათხოვების შემდეგ.

ამგვარად, ეს წიგნი ინახებოდა ალექსანდრე ოჯახში, და შესაძლებელია, სწორედ ამ წიგნიმ სარგებლობდა ალექსანდრე, როცა სიმეონ პოლოცკის ნაწარმოებები გადმოჰქონდა ქართულ ენაზე.

როგორც უკვე ნათქვამია იყო, უფლისწულმა ალექსანდრემ ქართულად თარგმნა სიმეონ პოლოცკის ქადაგებანი: „სიტყუაჲ მიცვლებისათვის ღმრთისმშობლისა“ და „სიტყუაჲ დღეს ყოვლად წმიდისა ტაძრად მიყვანებისასა“ და აგრეთვე სიმეონ პოლოცკის მიერ რედაქტირებული „ტესტამენტი“.

ალექსანდრეს მიერ თარგმნილი ამ ქადაგებათა თაობაზე მეცნიერებმა დიდი ხანია იცოდნენ. გაზეთში „Летопись Грузии“ 1913 წელს გამოქვეყნდა მ. ჭანაშვილის სტატია სათაურით „ერთ-ერთი ქადაგება სიმეონ პოლოცკისა ქართულ ენაზე“. ამ ფაქტს აღნიშნავდნენ სხვა მეცნიერებიც: კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე, ლ. მენაშელი, ტ. რუხაძე. ხოლო ის ამბავი, რომ „სიტყუაჲ დღესა ყოვლად წმიდისა ტაძრად მიყვანებისასა“ სიმეონ პოლოცკის თუ ეკუთვნოდა, აქამდე უცნობი იყო.

ეს ქადაგება ჩვენს მიერ მიკვლეულ იქნა სიმეონ პოლოცის კრებულში „Вечеря душевна“ გამოცემული „ზემოთა“ ტიპოგრაფიაში, მოსკოვში 1683 წ.

ეს ქადაგებანი სიმეონ პოლოცის მიერ დაწერილია ხატოვანი, ცოცხალი რუსული ენით. მთარგმნელმა შეძლო შეენარჩუნებინა ორიგინალის სტილი, მისი სული. თარგმანი სიტყვა-სიტყვითაა, მაგრამ ამისდა მიუხედავად აგი ორიგინალური მხატვრული ნაწარმოების შთაბეჭდილებას ტოვებს, და შესანიშნავი ქართულით არის შესრულებული.

საინტერესოა აგრეთვე ალექსანდრეს მიერ „ტესტამენტის“ თარგმნის ფაქტი.

საბერძნეთის იმპერატორის ბასილი მაკედონელის მიერ მე-9 საუკუნეში (886) შექმნილი თხზულება დიდი პოპულარობით სარგებლობდა. დაწერილია „ტესტამენტი“ შეგონების სახით, რომელსაც ბასილი თავის ვაჟს უძღვნის. ამ თავების სათაურებია: „სწავლა სათნოებისათვის“, „სწავლა მოწყალებისათვის“, „სწავლა ჰატვისათვის მშობელთასა“, „სწავლა სულგრძელობისათვის“. თვით ამ სათაურების ჩამოთვლა კი გვარწმუნებს ამ მორალური დიდაქტიკური ნაწარმოების ღირსებაში.

საინტერესოა შეგონებანი: „განმცდელ იქმენ თავსა შორის შენსა, ვითარმედ ყოველთავე კაცთა მიმართ სიბრძნე უბატონსნეს არს“, ან: „ვითარცა ახლად აღმოცენებულნი, წყალთა მიერ მრწყულნი, აღყვადებიან და ნაყოფსა ჰყოფენ, ეგრეთვე, შეილო ჩემო, მორწყევ გონებათა შენი საღიბთა სიტყვითა სწავლითა“. აქითილ შესწორებულ არს სამეფო იგი, რომლისაცა შინა ანუ სიბრძნის მოყვარენი მეფობენ ანუ მეფეები სიბრძნის მოყვარებენ“. ეს უკანასკნელი იყო ის ძირითადი იდეა, რომელიც მე-17 საუკუნის განმანათლებლობამ ისესხა ანტიკურობისა და შუა საუკუნეებისაგან.

რუსულ ენაზე არსებობდა „ტესტამენტის“ რამდენიმე გამოცემა, ხოლო 1680 წ. გამოქვეყნებული მოსკოვერი გამოცემა დასაბუქდად მომზადებული და განახლებული იყო სიმეონ პოლოცის მიერ. სწორედ ეს გამოცემა დაედო საფუძვლად იმ თარგმანს, რაც შეასრულა უფლისწულმა ალექსანდრემ. ეს თარგმანი მოგვიანებით იქნა გამოცემული მოსკოვში, ქართულ ტიპოგრაფიაში 1739 წ.

არსებობს მოსაზრება, რომ „ტესტამენტი“ ათარგმნილია სიმეონ პოლოცის მიერ. მაგრამ ეს სწორი არ არის.

1646 და 1680 წელს გამოსული „ტესტამენტის“ ტექსტების შედარება (1680 წ. გამოსული მიიჩნევა ს. პოლოცის თარგმანად) გვარწმუნებს, რომ ეს ერთი და იგივე ტექსტია, რომელიც გამოირჩევა სტილისტური შესწორებებით

და განახლებით, რაც სიმეონ პოლოცის რედაქტირების დროს გააკეთა.

ამგვარად, უფლისწულმა ალექსანდრემ თარგმნა ორი ორიგინალური ნაწარმოები სიმეონ პოლოცისა და მის მიერ რედაქტირებულ „ტესტამენტი“.

რით იყო გამოწვეული და რამ განაპირობა ალექსანდრეს ამგვარი მთარგმნელობითი მოღვაწეობა?

ზემოთ ჩვენ ლაბარაკი გვქონდა საქართველოს მისწრაფებაზე, დაემყარებინა კავშირი ერთმორწმუნე რუსეთთან, ეკლესიის დიდ დამსახურებაზე.

თუ XI-XII საუკ. ქართველები ცდილობდნენ თავიანთი ეკლესიის დაახლოებას ბიზანტიურთან, XVII-XVIII საუკუნეებში კი მისწრაფობდნენ რუსეთის ეკლესიისკენ. ქართული კულტურის მოღვაწენი ცდილობენ დანერგონ საქართველოში რუსული ტრადიციები, განსაკუთრებით ლიტურგიული. რუსულიდან ითარგმნება როგორც ორიგინალური, ისე თარგმნილი ნაწარმოებები, რომელთა უმრავლესობას ქრისტიანულ-თეოლოგიური ლიტერატურა შეადგენს.

რუსულ სკოლებში, განსაკუთრებით მოსკოვის-სლავურ-ლათინურ აკადემიაში და ალექსანდრე ნეველის ლავრაში პეტერბურგში, იღებენ განათლებას ქართველი სასულიერო და საერო პირები. საქ-ში რუსული ყაიღის მიხედვით იხსნება დაწვებითი და საშუალო სკოლები, რომლებშიც მოსკოვის აკადემიის სქოლისტიკაბს ითვისებდნენ. ამ სკოლებისათვის წიგნები ითარგმნებოდა მეტწილად რუსული ენიდან. მაგრამ ყველაფერი ეს გადმოჰქონდათ მექანიკურად. ამ ეპოქის სასულიერო ლიტ-ში უფრო თვალსაჩინოა ეროვნული მიმართულება, ვიდრე წინა პერიოდში. ეროვნული ტენდენციები აღაფრთოვანებდა ამა თუ იმ მოღვაწეებს, განსაკუთრებით სამშობლოსაგან შორს მყოფთ. ამის მკაფიო მაგალითია ალექსანდრე არჩილის ძის მთარგმნელობითი მოღვაწეობა.

როცა ალექსანდრე თარგმნიდა რუს ავტორებს, იქნებოდა ეს სიმეონ პოლოცი თუ სხვა ვინმე, ცდილობდა თარგმანისთვის მიეცა ქართული იერი. ალექსანდრეს ნამუშევრები ხელს უწყობდნენ ქართული ეროვნული ლიტურგიული ლიტერატურის განვითარებას.

მხოლოდ გავიკრევა შეიძლება გამოიწვიოს ამ შრომისმოყვარე და მრავალმხრივი ნიჭი მქონე ქართველი ყმაწვილის მოღვაწეობა, რომელმაც 10 წლის ასაკში დატოვა სამშობლო, მაგრამ მთელი თავისი ხანმოკლე და ნათესო ცხოვრების მანძილზე გულით ატარებდა საქართველოს სიყვარულს, ზრუნავდა და იღვწოდა მისთვის.





ა უ შ

ჩაგრულთა დასაცავად

გაზეთი „დღილი უორლდი“ იტყობინება, რომ პენსილვანიის ლინკოლნის სახელმწიფოს შავენიანთა უნივერსიტეტში მოეწყო არაჩვეულებრივი გამოფენა — „წანგების ცხოვრება ამერიკაში 200 წლის მანძილზე“. გამოფენაზე წარმოდგენილია 150-ზე მეტი გრაფიკული ნამუშევარი, ისინი იყოფა ამერიკის ისტორიის 4 პერიოდად — მონობა და მონებით ვაჭრობა, ბრძოლა ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის, ომის შემდგომი პერიოდი და ამერიკის შეერთებული შტატები დასაბამიდან დღემდე. გამოფენაზე წარმოდგენილი ყველა ნამუშევარი სასტიკი გალაშქრებაა დღევანდელ ამერიკაში გამეფებული მონობისა და რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ.

ყველაზე აღრინდელი ნამუშევარი 1792 წლითადათარიღებული და ეკუთვნის ინგლისელ მხატვარს. ტილოზე გამოხატულია ტყვეებით დატვირთული ხომალდი, განრისხებული კაპიტანი შოლტაოს ცემის ხელფეხგარულ წანგგოგონას. შეძრწუნებული მეზღვაურები ზიზღით შესცქერიან ამ სცენას.

გამოფენაზე წარმოდგენი-

ლია როგორც წანგი, ასევე თეთრკანიანი ამერიკელი მხატვრების მრავალი საინტერესო ნამუშევარი.

ჯიმის ბოლდუინი: სამშობლოსაგან მოშორებით

ერთ-ერთმა ამერიკელმა კრიტიკოსმა ჯიმის ბოლდუინს უწოდა „მწერალი, რომელმაც ამხილა ამერიკა“. მარტინ ლუთერ კინგის მკვლელობის შემდეგ ბოლდუინმა დატოვა ამერიკა. ამჟამად იგი პარიზში ცხოვრობს და მუშაობს ახალ წიგნზე, რომელიც აგრძელებს წანგების ბრძოლის თემას ნაციონალური უფლებების მოსახრებლად. „უსახელოდ ქუჩაში“ — ასე ეწოდება წიგნს, რომლის მოქმედება იწყება 50-ანი წლების პარიზში.

„ნიუ-იორკ ტაიმს ბუკ რევიუს“ კორესპონდენტთან საუბარში ბოლდუინმა განაცხადა: „სამშობლოსაგან მოშორებით მე ყოველთვის ვფიქრობ იმაზე, რაჭრემს სამშობლოში ხდება. ამერიკაში ახლა წარმოუდგენელი ამბები ტრიალებს. იგი გაყოფილია ორ ნაწილად. ამერიკელები, რომლებსაც ესმით, და ისინი, რომლებსაც თითქოს არ ესმით საით მიდის მათი სახელმწიფო“.

არგენტინა

იტალო გრასის ნამუშევრების გამოფენა

იტალო გრასის სახელი ფართოდაა ცნობილი არა მარტო არგენტინაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ბოლო ათი წლის მანძილზე გრასის მიენიჭა 11 პრემია, მოეწყო მისი ნამუშევრების თოთხმეტი გამოფენა. ახლახან მის სამშობლოში, არგენტინაში გაიხსნა მხატვრის ახალი ნამუშევრების გამოფენა, რომელიც ასახავს თანამედროვეობის აქტუალურ საკითხებს — ვიეტნამელი ხალხის ბრძოლას ამერიკელ აგრესორთა წინააღმდეგ და პარტიზანულ ბრძოლებს ლათინურ ამერიკაში.

ბულგარეთი

ფელინის ფილმი „სატირიონი“ პირამ კელერი-სათვის სადებიუტო ფილმი იყო. ფილმის გამოსვლისთანავე კელერმა რეჟისორების დიდი ყურადღება მიიქცია. რეჟისორმა ერიკ-რანდო ვისკონტიმ კელერი მთავარი როლის შესასრულებლად მიიწვია იტალია-ბულგარეთის გაერთიანებულ ფილმში „მიხეილ სტროგოვი“, ჟიულ ვერნის ამავე სახელწოდების რომანის მიხედვით.



81 წლის ჩარლი ჩაპლინს გადაწყვეტილი აქვს გადაიღოს ახალი ფილმი „ფანტაზია“, რომლის განხორციელებაზე იგი დიდი ხანია ოცნებობს. ფილმში მონაწილეობას მიიღებენ ჩაპლინის ქალიშვილები უო-ზეფინა და ვიქტორია.

„მინეცისური პორტრეტის“ საიდუმლოება

შექსპირის ფართოდ ცნობილი პორტრეტი, ეგრეთწოდებული „ვენეციური პორტრეტი“, რომელიც რენდგენული გამოკვლევის შედეგად აღარარებულ იქნა XVII საუკუნის ყალბ პორტრეტად, აღესდგეობოთ ერთადერთია, რომელიც შექსპირის სიცოცხლეშივე იქნა შესრულებული.

„ვენეციური პორტრეტის“ გულდასმით შესწავლისას დადგინდა, რომ მხატვარმა შექსპირის პორტრეტად გადააკეთა უცნობი მამაკაცის გამოსახულება. ეს პორტრეტი შესრულებული იყო მისი თანამემამულის მიერ შექსპირის გარდაცვალებამდე 12 წლით ადრე. ამას ადასტურებს მინაწერი სურათის მეორე მხარეს, რომელშიც თითქმის აღარ იკითხება თარიღები — „1604“ და „1684“.

ეს პორტრეტი, რომელიც ოდესღაც ერთ-ერთ სალონში ძალიან მცირე ფასად იქნა შესყიდული აუქციონზე, ამჟამად დაბრუნეს სტრატფორდის შექსპირის სამეფო თეატრის სამხატვრო გალერეაში.

პორტრეტი შესწავლეს

ლონდონში, კურტოლდის ინსტიტუტის ლაბორატორიაში. რენტგენის სხივებით გაშუქებულმა ფოტომ დაადასტურა, რომ უცნობმა მხატვარმა ძველ გამოსახულებას მიახატა გრძელი თმა და შეუცვალა მხრების ფორმა, თვალღების გამომეტყველება, ხოლო გრძელი, წვეტიანი საყელი გადააკეთა ვანიერ, სწორ საყელოდ.

სამხატვრო გალერეის დირექტორმა განაცხადა, რომ სურათის შესწავლა გაგრძელდება მანამ, სანამ საბოლოოდ არ დადგინდება მისი წარმოშობის ისტორია.

საფრანგეთი

კომუნალურ მსახიობს, 75 წლის მიშელ სიმონს გადაწყვეტილი აქვს აღარ მიიღოს მონაწილეობა კინოფილმებში, დარჩეს მხოლოდ თეატრში და თავისუფალ დროს ქალაქგარეთ აგარაკზე წეროს მემუარები.

„ფიგარო ლიტერერის“ კორესპონდენტს სიმონმა, განუცხადა: „მივდივარ რადგან ვგრძნობ, რომ გავხდი ნივთი. დამთავრდა, მე აღარ შემიძლია ვიყო პიერო. 1945 წლიდან ახალგაზრდა რეჟისორები მხოლოდ კლოუნადებს მთავაზობდნენ. რაც შეეხება ფილმს „მოხუცი და ბავშვი“, ამ ფილმში გადაღება შემთხვევით მომხდლა. ვერ შეარჩიეს როლისათვის შესაფერი მსახიობი და ბოლოს მე შემომთავაზეს“. ახლახან გამოვიდა სიმონ-

ნის ბოლო ფილმი **ჟერარ ბრაშის „სახლი“**, რომლის შესახებაც იგი წერს — „ჟერარ ბრაშთან შეხვედრა. ხვედრამ შემახვედრა. იგი იყო სცენარისა და დიალოგების ავტორი, როდესაც შემომთავაზა მეთამაშა მის პირველ ფილმში, სიამოვნებით დაეთანხმე“.

კინოზე ბუტყუაწიული გაუღმის შესახებ სიმონს წერდა — „წინათ საფრანგეთში კინოწარმოებას საავტომობილო წარმოების მერე მეორე ადგილი ეჭარა. წინათ კინო კარგად იყო ორგანიზებული. მსახიობებს სცენებებს ვასცნობად ურიგებდნენ გადაღებამდე ერთი თვით ადრე. ახლა კი ყველა ერთმანეთს ბაძავს, ყველა ერთმანეთს ატყუებს...“

ერთი სიტყვით, მე მივდივარ, მივდივარ და ვგრძნობ ზიზღსაც და ნუგეშსაც. ნუგეშს იმ დიდ პატივისცემის გამო, რომელსაც თავის დროზე მასურბელი მიცხადებდა“.

კუბა

რთხი გამოფენა

პავანას გალერეაში მოეწყო მსოფლიოს თანამედროვე გრაფიკოსების გამოფენა. სამხატვრო გალერეაში ექსპონირებული იყო პოლონელი მხატვრის ალფრედ ლენიცის ნამუშევრები. „რამბაში“ მოეწყო სამხრეთავიეტნამელი მხატვრის ზუნგ ფიონგის გამოფენა. ხოლო სამხატვრო ცენტრის გალერეაში, რომელიც სან-რაფაელის ქუჩაზე მდებარეობს, გაიხსნა თანამედროვე მექსიკური ფერწერის გამოფენა.

ლურდეს ჰილის გამარჯვება სოკოტში

კუბელმა მომღერალმა ლურდეს ჰილმა სიმღერების X საერთაშორისო ფესტივალზე სოკოტში მესამე ადგილი დაიკავა. მან შეასრულა კომპოზიტორ ელი ჰაიტანის პოპულარული სიმღერა „რატომ გინდა დაბრუნება“. ამ ფესტივალზე პირველი პრემია მიენიჭა ინგლისელ მომღერალს ფრიდა ბრაუნს, ხოლო მეორე პრემია ბულგარელ მომღერალს ემილია მარკოვას. ფესტივალზე კუბის დელეგაციას ახლდა კომპოზიტორი ელი ჰაიტანი.

უფრო ადრე, სოკის III საერთაშორისო ფესტივალზე, პოლიტიკური სიმღერის კონკურსზე, ლურდეს ჰი-

ლმა ელი ჰაიტანის სიმღერის — „სოკი — პირველად“ შესრულებისათვის მეორე პრემია დაიმსახურა.

იური ბუკოვის მისამე ვიზიტი კუბაში

ცნობილი ბულგარელი პიანისტი იური ბუკოვი საგასტროლოდ მესამედ ეწვია კუბას. თეატრ „ამადეო როლდანიში“ ბუკოვმა შეასრულა ჩაიკოვსკის პირველი კონცერტი ფორტეპიანოსათვის ორკესტრთან ერთად და ბრამსის პირველი კონცერტი კუბის ნაციონალური სიმფონიური ორკესტრის თანხლებით, რომელსაც ღირიფოროზა კუბელი ღირიფორი დუ-

ჩენე კუხანი. ბულგარეთის გათავისუფლების წლისთავადმი მიძღვნილი საკონცერტო პროგრამაში აგრეთვე შევიდა ბეთჰოვენის 8 კონცერტი. სიმფონიური ორკესტრს ღირიფოროზა ბულგარელი ღირიფორი ივან მარკოვი.

იური ბუკოვმა საკონცერტო პროგრამით საგასტროლოდ იმოგზაურა ევროპისა და აფრიკის ქვეყნებში, საბჭოთა კავშირში, კანადაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ჩინეთში, ხოლო საფრანგეთში ჩასვლისას, სადაც იგი ადრე სწავლობდა, ნაციონალური კონსერვატორიის პიანისტების კონკურსზე ბუკოვს პირველი პრემია და ლუი დემიეს პრემია მიენიჭა.

ეურნალი გააფორმა დ. ერისთავმა.

ტექნიკური ხელმძღვანელი ე. აბდუშელიშვილი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლენარის პარ. № 91.

ტელეფონები: რედაქტორის — 95-08-75. პ/მგ. მდივნის — 95-08-85. ვანყოფინებების: პოეზიის, კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის — 95-08-86. პროზის, კულტურისა და ხელოვნების — 95-08-85.

გადაეცა ასაწყობად 5/X11-70 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 24/1-71 წ. ქაღალდის ზომა 70x108. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. საადრ-საჯ. თაბახი 14,5. შეკვეთა 3751. უე 01611. ტირაჟი 29.800.

საქ. ცკ კვ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина, 14.

0 7/33



ფან 60 კკკ.

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ
ИНДЕКС 76236